

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

სჯანი

ყოველწლიური ლიტერატურულ-თეორიული
სამეცნიერო ჟურნალი

Sjani

Annual scientific journal on Literature Theory

7

თბილისი
Tbilisi
2006

რედაქტორი
ირმა რატიანი

Editor
Irma Ratiani

სარედაქციო კოლეგია

თამარ ბარბაქაძე
ლევან ბრეგაძე
თეიმურაზ დოიაშვილი
გაგა ლომიძე
თამარ ლომიძე
რევაზ სირაძე
მერაბ ღაგანიძე
ზაზა შატირიშვილი
ბელა წიფურია
მალხაზ ხარბეგია
აკაკი ხინტიბიძე

Editorial Board

Tamar Barbakadze
Levan Bregadze
Teimuraz Doiashvili
Gaga Lomidze
Tamar Lomidze
Revaz Siradze
Merab Ghaghanidze
Zaza Shatirishvili
Bela Tsipuria
Malkhaz Kharbedia
Akaki Khintibidze

სარედაქციო კოლეგიას საპატიო წევრი
სადაო ცუკუი (იაპონია)

Honorary member of editorial board
Sadao Tsukui (Japan)

პასუხისმგებელი მდივანი
სოსო ტაბუცაძე

Responsible Editor
Soso Tabutsadze

სჯანი 7, 2006.

რედაქციის მისამართი: 0108, თბილისი,
მერაბ კოსტავას ქ. № 5.
ტელეფონი: 99-63-84
ფაქსი: 99-53-00
E-mail: litinst@litinstituti.ge

Sjani 7, 2006

Address: 0108, Tbilisi
M. Kostava str. 5
Tel.: 99-63-84
Fax: 99-53-00
E-mail: litinst@litinstituti.ge

პოზიცია**Position****ირმა რატიანი**

ქართული ლიტერატურა ტექსტის კვლევის
თანამედროვე ძეთოდების კონტექსტში

ლიტერატურის თეორიის პრობლემები**თამარ ლომიძე**

მეტონიმია უქნეტთან

ივანე ამირხანაშვილი

ავიოგრაფია და ისტორიის კომპოზიცია

მალხაზ ხარბედია

გალაკტიონის ქალაქური ტექსტი.

გათანაბრების პოეტიკა

ლევან ცაგარელი

რა არის ფანტასტიკური ლიტერატურა?

პოეტიკური პრაქტიკები**მაკა ელბაკიძე**

რუსთველური სიყვარულის კონტექსტის
ძირები (ოვიდიუსიდან ტრუბადურებამდე)

თემურ კობახიძე

DANCE MACABRE: ტომას ჯონსონის
„სუინი ავონისტი, ანუ არისტოფანეს
მელოდრამის ფრავმენტები“

ინგა ადამია

ბაირონის შემოქმედების ერთი ასპექტი

**ლიტერატურათმცოდნეობის
ქუსტომათია****ჰანს გეორგ გადამერი**

ზემოქმედების ისტორია და გამოყენება
(თარგმ. ლევან ბრეგაძესა)

ლექსიმცოდნეობა**აკაკი წინთიბიძე**

ჰაიატის ქართულ ენასა და ლექსიმი

თამარ ბარბაკაძე

„ცისფერყანწელთა“ მეტრიკა (პ. იაშვილი,
ტ. ტაბიძე, ვალ. გაფრინდაშვილი)

6**Irma Ratiani**

*Georgian Literature in the Context of
Contemporary Methods of Analyzing
Literary Text*

Problems of Literary Theory**10****Tamar Lomidze**

Genett's Metonymy

Ivane Amirkhanashvili

*Hagiography and composition of
History*

17**Malkhaz Kharbedia**

*Urban text of Galaktion. The poetry of
Even*

22**Levan Tsagareli**

What is "Fantastic Literature"?

Poetical practices**32****Maka Elbakidze**

*The Backgrounds of Rustaveli's Concept
of Love (From Ovid to Troubadours)*

Temur Kobakhidze

*Dance Macabre: T. S. Eliot's Sweeney
Agonistes. Fragments of an
Aristophanic Melodrama*

50**Inga Adamia**

One aspect of Byron's creative work

**Chrestomathy of Literary
Theory****57****Hans Georg Gadamer**

*History and use of Influence
(translation by Levan Bregadze)*

Theory of Poetry**Akaki Khintibidze**

*Hiatus in Georgian Language and
Poem*

66**Tamar Barbakadze**

*Metric System of Tsispherkantselebi
(P. Iashvili, T. Tabidze, V.
Gaprindashvili)*

ქახა დავითური
მწერალთა სასახლეში გამართული ერთი
დისკუსიის შესახებ

ფილოლოგიური ძიებანი

მარიამ ნინიძე
მხატვრული ნარატივი პუბლიცისტიკაში

ინტერპრეტაცია

რევაზ სირაძე
„იდვნენ და კლოდნენ”, „დვანან და კლიან”

კრიტიკული დისკურსი

შოთა ბოსტანაშვილი
ურიდოდ და უდერიდოდ

თარგმანის თეორია

მანანა მათიაშვილი
კონტექსტით განპირობებული „შემატება-
კლება“ ტ. ს. კლიონტის „ოთხი
კვარტეტის“ ქართულ თარგმანში
ნანა მრევლიშვილი
ტერმინი ჯერჩინება არსებ იყალთოვლითან
და კლეისიასტეს განმარტებათა გელათურ
თარგმანებში

ფოლკლორისტიკა – თანამედროვე კვლევები

ზურაბ კინაძე
ცხოველთა ეპოზი

კულტურის პარადიგმები

დავით ანდრიაძე
რიცხვის სიცოცხლე და ნების ისტორია
(ფოლკლორისტული თემა
დეკონსტრუქტივისტული კარიაციებით)
ნუგზარ ბარდაველიძე
პოსტმოდერნისტული დისკურსი PR-ზე და
რკლამაზე

84

Kakha Davituri

One discussion held in the Writers' Union

91

Philological Works

Mariam Ninidze

Creative narrative in Social and Political works

Interpretation

99

Revaz Siradze

Sources of Vazha-Pshavela's "High Mountains"

103

Shota Bostanashvili

Sans Reverence and sans Derrida

History of Translation

110

Manana Matiashvili

Additions and Losses Implicit by Context in Georgian Translation of T. S. Eliot's "The Four Quartets"

115

Nana Mrevlishvili

The term γνωμη in translations of Arsen Ikaltoeli and Gelati translations of Ecclesiast's Interpretation

Folkloristic – the Modern Researches

121

Zurab Kiknadze

Animal epic

Paradigms of Culture

127

David Andriadze

Life of Numbers and History of Will
(Voluntaristical theme with deconstructivistic variations)

136

Nugzar Bardavelidze

Postmodernist discourse on PR and Advertising

Memoria

გივი ლომიძე
კვალი ნათელი
როლანდ ბერიძე
საცნაური ხმები პიმნოვრაფიისა (გარდასულ
ხმათა საცნაური ხმები)

გამოხმაურება, რეცენზია

გაგა შურლაია

საქართველოს ანექსია რუსეთის მიერ:
ახლებური შეფასებები და მიღვომები.
ისტორიის გაკვეთილები

ახალი წიგნები

მოამზადა გაგა ლომიძემ

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტის სამეცნიერო პუბლიკაციების
სტოლი

Memoria

- 144 Givi Lomidze
Bright trace
145 Roland Beridze
Familiar sounds of Hymnography
Familiar sounds of Passed Sounds)

Reviews, comments

157

Gaga Shurgaia

*Georgia's annexation by Russia:
Modern evaluation and approaches.
History lessons*

166

New Books

Prepared by
Gaga Lomidze

171

Style of academic publications in Shota
Rustaveli Institute of Georgian
Literature

ირმა რატიანი

ქართული ლიტერატურა ტექსტის კვლევის თანამედროვე მეთოდების კონტექსტში

ტექსტის ანალიზმა, რაც ქმნიდა და ქმნის ლიტერატურის თეორიული კვლევის განსხვავებულ მოდელებს, დასაბამიდან ვიდრე მე-20 საუკუნის თეორიულ სკოლებამდე, განვითარების არაერთი მნიშვნელოვანი ეტაპი განვლო. ამ თვალსაზრისით, ათვლის წერტილს, ცხადია, წარმოადგენს კლასიკური პერიოდის ნორმატიული და რიტორიკული ხასიათის კრიტიკა. კლასიკური აზროვნების წიაღში შემუშავებულმა ინტერპრეტაციულმა პოზიციამ მოწესრიგებული თეორიული სისტემის სახე მიიღო: არისტოტელემ პორაციუსმა, კაინტიდიანემ, ციცერონმა და სხვებმა შექმნეს ტექსტის ანალიზის თვალსაზრისით საეჭაპო მნიშვნელობის მქონე ნაშრომები, რომლებშიც გამოიკვეთა კლასიკური ლიტერატურულ-თეორიული აზროვნებისათვის ნიშანდობლივი მახასიათებლები:

1. ხელოვნება, შესამისად, ლიტერატურა, არის რეალობის ბაძა;
2. ბაძის მანერა განასხვავებს ერთმანეთისაგან ლიტერატურულ ჟანრებს;
3. უანრის დეფინიციის განმსაზღვრელ კრიტერიუმს წარმოადგენს, ერთი მხრივ, უანრის სტრუქტურული აგებულება, მხორე მხრივ კი – მაყურებელზე ზემოქმედების უნარი;
4. ყოველ საგანს თავისი შესატყვისი იდეალური ფორმა და სტილი მოეძებნება;
5. ხელოვანის მიზანია სწრაფვა იდეალური ნორმისაკენ.

კლასიკური ხანის კრიტიკის კანონიკურ ტონს შუა საუკუნეებში აღევორიული ეგზეგეტიკის მეთოდი ჩატარებულია. ქრისტიანული აზროვნების წიაღში ჩამოყალიბებული „სხვაგვარად თემის“ ინტერპრეტაციული თეორია წინააღმდეგობაში აღმოჩნდა კლასიკური პოეტიკის ძირითად დებულებებთან: მიმესისის თეორიასთან, ორატორულ ტექნიკასთან და ფასტულის ე.წ. ფალსიფირებულ სტრუქტურასთან. მისი ინტერპრეტაციული სტრატეგია ტექსტის (ძირითადად, ბიბლიური ტექსტის) ინვარიანტული წაკითხვის მეთოდოლოგიურ ნოვაციაში გამოვლინდა. ტექსტის ინვარიანტული წაკითხვის დანერგვამ (პორფირი, პროკლე, ნეტარი ავგუსტინე, ნაწილობრივ – დანტე) გამოიწვია ინტერპრეტაციული მრავალუროვნების კულტურის ჩამოყალიბება. თუმცა, შუა საუკუნეების აზროვნებამ საჭიროდ არ მიიჩნია ამ სტრატეგიის გარდაქმნა კრიტიკულ თეორიად, გამომდინარე, ვფიქრობთ, იმ გარემოებიდან, რომ ახალმა ინტერპრეტაციულმა სტრატეგიამ უმისოდაც მიაღწია თავის მიზანს, იგი იქცა ზეობრივი და რელიგიური ლიტებულებების მქადაგებლად, ანუ შეკრა ქრისტიანული თეოლოგიის კონცეპტუალური მოდელი.

მიუხედავად მეთოდოლოგიური ინოვაციებისა, კლასიკური და შუა საუკუნეების პერიოდის ლიტერატურულ-თეორიული აზროვნება ნებისმიერ ლიტერატურულ კატეგორიას და, განსაკუთრებით ლიტერატურულ ჟანრს, მოიაზრებდა შიდა, ანუ ინტერლიტერატურული სისტემის ფარგლებში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კრიტიკული აზრი ეფუძნებოდა ფორმულირებულ კატეგორიებს და მყარად იდგა სინქრონიზმის პოზიციაზე.

რენესანსული ეპოქის ლიტერატურულ-თეორიულ აზროვნებაში, თუმცადა დიდი იყო არისტოტელეს „პოეტიკის“ ზეგავლენა, მაინც იგრძნობოდა ლტოლვა თეორიული აზროვნებისა და პრაქტიკული შემოქმედების მჭიდრო, ინტერმედიული ურთიერთობისკენ, რისი დასტურიცაა კრიტიკის ე.წ. „იტალიური სკოლის“ წარმომადგენელთა მოღვაწეობა. გვიანი რენესანსის ეპოქამ, რომელმაც ვერ დააღწია თავი გაქტიურებული საზოგადოებრივ-სოციალური პროცესების ტრანსპლანტაციას ლიტერატურულ სისტემაში, ცხადყო გარე, ანუ ექსტრალიტერატურული ფაქტორების მნიშვნელობა შიდა, ანუ ინტერლიტერატურული პროცესების რეგულირების საქმეში. მაგრამ რენესანსის ეპოქის ლიტერატურული აზროვნების ნოვატორული მიმართულება კონსერვატორულ კალაპოტში დააბრუნა ნეოკლასიკური ეპოქის ლიტერატურის თეორიამ, რომლის უმთავრესი მახასიათებელიც იყო მიბაძვა კლასიკური პერიოდის ლიტერატურული კანონებისადმის თომას ელიოტისეული განმარტება რომ მოვიშველით, ნეოკლასიკისა და სენტიმენტალიზმის

ეპოქებში აღინიშნა ლიტერატურისათვის მანამდე დამახასიათებელი „უმაღლესი სინთეზის“, ანუ „მსოფლშეგრძნებითი მთლიანობის“ რღვევა, რაციონალურისა და ემოციურის წონასწორობის დისბალანსი, რაც ჯერ „სტერილური პრაგრმატიზმის“, ხოლო მოგვიანებით „ირონიული მელანქოლოზმის“ ფორმით გამოიხატა.

რომანტიზმის ეპოქის კრიტიკული აზრი (ჰერდერი, ჰეგელი, გოეთე, შილერი, შელი, ჰიუგო), ისევე როგორც თავად რომანტიკული ლიტერატურა, თთქმის რევოლუციურ სიახლეებს ნერგავს ლიტერატურულ-თეოროიულ აზროვნებაში. მაკოორდინებელ როლს ასრულებს, ერთი მხრივ, ლიტერატურული კატეგორიების სტრუქტურულ-ფიზიოლოგიური ინტერპრეტაციის გაღრმავება სულიერ-ფსიქოლოგიური ინტერპრეტაციით, მეორე მხრივ, ექსტრალიტერატურული ინტერპრეტაციული მეთოდის შემუშავება. რომანტიზმის ეპოქის ლიტერატურულ-თეორიულმა აზროვნებამ გამოვლინა ლიტერატურული კატეგორიების გააზრების არა მარტო სინქრონული, არამედ დაიაქონული შესაძლებლობები, რაც, თავის მხრივ, ზედმიწევნით კარგად შეითვისეს პოსტრომანტიკული პერიოდის კრიტიკოსებმა. ამ პერიოდის კრიტიკამ ლიტერატურული კატეგორიებისა და პროცესების დეფინიციის პრიბლება მჭიდროდ დაუკავშირა ისტორიულ-სოციალური და კულტურული დეფინიციის საკითხს.

ლიტერატურულ-თეორიული აზრის განვითარების ხანგრძლივი ისტორიის ეს მოკლე მიმოხილვაც კი ცხადყოფს ერთ ჟეშმარიტებას: ლიტერატურის თეორია იყო და არის მუდამ ცვალებადი და განვითარებადი ფენომენი. ლიტერატურის თეორია არასოდეს და ვერასოდეს ჩერდება მიღწეულზე იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საგანი მისი კვლევისა – ლიტერატურა – განუწყვეტლივ იცვლის ხედვის პერსპექტივას და, როგორც მუდმივად ცვალებადი ინფორმაციული ნაკადი, განუწყვეტლივ ითხოვს ახალ თეორიულ ხედვებს. სწორედ, ლიტერატურული ხედვის პერსპექტივაში მომზდარ ძირებულ ცვლილებას – ე.წ. გარეხედვის პოზიციის ჩანაცვლებას შიგახედვის პოზიციით – დაუკავშირდა მე-20 საუკუნის ლიტერატურულ-თეორიული აზრის მოჭარბებული სიჭრელე, სიუხვე და მრავალფეროვნება. ერთმანეთის გვერდით აღმოცენდა თეორიული სკოლები, რომლებიც განსხვავებულ კონცეპტუალურ საფუძველს ეყრდნობონენ: რუსული ფორმალური სკოლა, მ. ბატტინის დიალოგური კრიტიკა, სტრუქტურალიზმი, ფსიქოანალიზი, ფენომენოლოგია, სემიოლოგია, პერმენეტიკა, ამერიკული „ახალი კრიტიკა“, პოსტსტრუქტურალიზმი, დეკონსტრუქტივიზმი, რეცეფციული ესთეტიკა, ნარატოლოგია, მითოლოგიური კრიტიკა, მარქსისტული კრიტიკა, ფენინისტური კრიტიკა, პოსტმოდერნიზმი, ახალი ისტორიზმი და სხვა. გამომდინარე აქედან, შეიქმნა ერთგვარი მულტიინტეპრეტაციული სივრცე, რომელსაც, ერთი შეხედვით, განსხვავებები უფრო მეტი ჰქონდა, ვიდრე მსგავსებანი. მაგრამ, ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. ტერმინი, რომელიც უდავოდ აერთიანებს მე-20 საუკუნის ლიტერატურულ-თეორიულ სკოლებსა და მიმდინარეობებს და, ასე ვთქვათ, ერთი ქუდის ქვეშ განათვასებს მათ, არის ინტერდისციპლინური კვლევები. მართალია, ყველა თეორიულ სკოლას თავისი მონათესავე დისციპლინა მოეპოვებოდა, ზოგს – ფილოსოფია, ზოგს – ესთეტიკა, ზოგს – ლინგვისტიკა, ეთიკა ან მათემატიკა, ზოგსაც კი – რამდენიმე ერთდროულად, მაგრამ პრიციპი იყო საერთო: ლიტერატურის თეორია სრულიად ცხადად დაადგა ინტერდისციპლინური კვლევების გზას. ინტერდისციპლინური კვლევების უმნიშვნელოვანებს მონაპოვარს წარმოადგენდა კვლევა მომიჯნავე დისციპლინებთან აქტიურ კავშირში, რაც ლიტერატურის თეორიის შემთხვევაში ნიშავდა ანალიზს კონცეპტუალურ პარალელებზე დაყრდნობით, ანუ ზოგადპუმანიტარული კვლევითი არეალის შექმნას.

ევროპულ და ამერიკულ ლიტერატურათმცოდნებით სივრცეში შემუშავებული მულტიინტეპრეტაციული და ინტერდისციპლინური მეთოდები სწრაფად გავრცელდა სხვადასხვა ნაციონალური ლიტერატურების დონეზე. ამ პროცესმა ევროპული და მსოფლიო მასშტაბის მიმშვნელობის შედევი მოიტანა: აღმოცენდა კომპარატივისტული კვლევები. იგი გულისხმობს არა ცალკეული ნაციონალური ლიტერატურების შეპარისპირებით ანალიზს, არამედ იმ უნივერსალური მეთოდის რეალიზებას, რომელიც ზოგად პერსპექტივაში გაიაზრებს კონკრეტულ ლიტერატურულ ნაწარმოებს, ანუ სკდება ნაციონალური მახასიათებლების საზღვრებს და ადგენს განსხვავებული ნაციონალური კულტურებისა და ლიტერატურების ინტეგრაციის ხარისხს მათი კულტურული იდენტობის შენარჩუნების პირობით. ამ პროცესის ესთეტიკური პერსპექტივა შეიძლება განისაზღვროს როგორც ერთმანეთთან დაახლოება. ანალოგიები კონტაქტის გარეშე

უზრუნველყოფები კონკრეტული ტექსტების სინთეზირებას სპეციალურ შემოქმედებით მოდელში. ასეთ შემთხვევაში ლიტერატურულ-თეორიული ანალიტიკური აზრის გლობალურ მიმართულებას წარმოადგენს შემოქმედების ლიტერატურული საფუძვლების გამოვლენა.

ლიტერატურათაშორისი დიალოგი ლიგიკურად ტრანსფორმირდება კულტურათაშორის დიალოგში. შესაბამისად, ლიტერატურის თეორიული კვლევისათვის უკვე დაძლეულ ეტაპს წარმოადგენს:

1. განსხვავებული პოეტიკური პრობლემების ანალიზი ერთი ტექსტის დონეზე;
 2. განსხვავებული ტექსტების ანალიზი ერთი მეთოდოლოგიის დონეზე;
 3. განსხვავებული მეთოდოლოგიების ანალიზი ერთი ლიტერატურული სისტემის დონეზე.
- დღეს, თეორიული აზრისათვის აქტუალური თემაა ლიტერატურული სისტემის გააზრება კულტურულ პერსპექტივაში, ანუ:
1. ლიტერატურული სისტემის ანალიზი ეპოქისათვის ნიშანდლობლივი ზოგადკულტურული კანონზომიერებების დონეზე;
 2. სხვადასხვა ლიტერატურული სისტემის ანალიზი ერთი რომელიმე კულტურული მოდელის დონეზე;
 3. ლიტერატურული სისტემის ანალიზი სხვადასხვა კულტურულ სისტემათა კვეთის დონეზე.

ამ მეთოდოლოგიური ამოცანის გადასაჭრელად საჭიროა ქართული ლიტერატურის კვლევა მსოფლიო ლიტერატურის პერიოდიზაციის, ჟანრის თეორიის ეფოლუციის, ნარატოლოგიის, თემატოლოგიის, რეცეპციული სპეციფიკის, ინტერტექსტუალობის, ინტერმედიალობისა და ინტერკულტურული კომუნიკაციების თვალსაზრისით.

ვფიქრობთ, ქართული ლიტერატურის კვლევა სწორედ ტექსტის ანალიზის ამ თანამედროვე მეთოდების კონტექსტში უნდა წარიმართოს. არვუმენტი ამისა გახლავთ შემდეგი:

ქართული ლიტერატურა არა მარტო აქმაყოფილებდა (თითქმის მუდმივად) ევროპული ლიტერატურული მოთხოვნების სტანდარტებს, არამედ, ხშირად, მეწინავეც იყო ახალი ლიტერატურული გემოვნებისა და მიმართულებების დამკვიდრებაში. საბჭოთა იდეოლოგიის პირობებშიც კი, ეწ. პროლეტარული და სოციალისტური დისკურსის ფონზე, ქართული ლიტერატურა ცდილობდა გასწორებითა მსოფლიო ლიტერატურულ სტანდარტებს. ეს იყო რთული პროცესი არა მარტო შემოქმედთავის, არამედ ლიტერატურის თეორეტიკოსებისთვისაც. საბჭოთა რეჟიმის პირობებში, ქართული ლიტერატურული საზოგადოება მოკლებული იყო აქტიური თანამშრომლობის საშუალებას დასავლურ ლიტერატურულ წრებთან: აკრძალული „ბურჟუაზიული ლიტერატურული აზროვნების ნიმუშების“ არა თუ ციტირებას, არამედ ხელისუფლებისათვის არასასურველ კონტექსტში მოხსენებასაც კი შეიძლებოდა უსიამო შედეგები მოყვოლობა. ცალკეული მეცნიერები და კრიტიკოსები მართალია ახერხებდნენ მცირეოდენ ლავირებას, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო კომპარატივისტული, ან, მით უმეტეს, ინტერკულტურული კვლევების გაშლისათვის. პისტსაბჭოური ქართული ლიტერატურათმცოდნეობა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ჩაება ეწ. „საზღვრების რღვევის“ პროცესში და შეეცადა, არა მარტო გაეცნო, არამედ, შეძლებისდაგვარად, აეთვისებინა მე-20 საუკუნის ევროპული და მსოფლიო ლიტერატურათმცოდნეობის გამოცდილება. ეს ეტაპი დღესდღეობით თითქმის დაძლეულია და ახლა უმთავრეს სამიზნედ ქართული ლიტერატურის უფრო გლობალური – ინტერკულტურული კვლევები და ეწ. „კროსკულტურული“, ანუ კულტურათაშორისი კვეთის ძიებები უნდა იქცეს. თანამედროვე ქართულ ლიტერატურათმცოდნეობით სივრცეში ამ მიმართულებით გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯები, მაგრამ გარდაუვალ საჭიროებას წარმოადგენს კვლევის თემატიკისა და დიაპაზონის გაფართოება, მასშტაბის გაზრდა. კვლევამ უნდა მოიცეს ქართული ლიტერატურული აზრის განვითარების არა ერთი რომელიმე, არამედ არაერთი, ანუ მრავალი ეტაპი. ამ თვალსაზრისით შედარებით ღრმად ათვისებულ ავტორებს – ქართველ პიმნოგრაფებს, აგიოგრაფებს, რუსთაველს – გვერდით უნდა დავუყენოთ შედარებით გეინი პერიოდის ქართველი მწერლები და პოეტები; აგრეთვე, რაც არსებითად აქტუალურია, თანამედროვე ქართული ლიტერატურა. ეს საშუალებას მოგვცემს არა მხოლოდ გავაფართოოთ ქართული ლიტერატურის კვლევის მასშტაბები, არამედ მოვაქციოთ იგი მსოფლიო

ლიტერატურული კვლევების ეპიცენტრში; როგორც იტყვიან, თუ მუპამედი ვერ მივა მთასთან, მთა მივა მუპამედთან.

ქართული ლიტერატურის კვლევა ინტერკულტურულ და კულტურათაშორისი კვეთის კონტექსტში არ წარმოადგენს თითოდან გამოწოვილ პრობლემას. ქართული ლიტერატურა ტრადიციულად იდგა დასავლური და აღმოსავლური ლიტერატურული სისტემების გზაგასაყარზე და აირეკლავდა კულტურული განსხვავებების არა მხოლოდ დისპოზიციის, არამედ ჰარმონიზების პროცესს. ამ ჭრილში თამამად შეიძლება ქართული ლიტერატურის როგორც ცალკეული ეტაპების, ისე განვითარების მთელი პროექციის გააზრება. ამგვარი მეთოდოლოგია იძლევა ქართული ლიტერატურის ევროპულ და მსოფლიო ლიტერატურასთან ლირებული ინტეგრაციის შესაძლებლობას, ანუ ქართული ლიტერატურის განთავსების საშუალებას მსოფლიო ლიტერატურული პროცესების ორბიტაზე.

Irma Ratiani

Georgian Literature in the Context of Contemporary

Methods of Analyzing Literary Text

Summary

The differences between the interpretation techniques of literary text cause the appearance of different theoretical models. From its very beginning until 20-th century literary theory has passed numerous, completely different stages of development: from the rhetorical criticism of early Antiques period to the social theories of 19-th century;

In the beginning of 20-th century, because of the general changes in the visual perspective of fiction, literary theory pointed up some new interpretation strategies: from Russian Formalism to New Historicism. The main innovations of these strategic changes were: a) the existence of multi-interpretative system; b) the development of interdisciplinary studies;

The implantation of multi-interpretative and interdisciplinary methods on the level of different national literatures caused the development of comparative studies. Comprehension of literary discourse, in the sense of multi-interpretative and interdisciplinary approaches, became the main communicative bridge between the different literary systems;

But nowadays, in the light of new cultural, political and social changes, which already influenced the world of fiction, literary theory is again looking for new development strategy. It can be described as:

a) analyzes of different literary systems in the context of one cultural model; b) analyzes of different literary systems in the context of different cultural models;

Cross-cultural and intercultural studies are attained via communication - dialog between cultures and, though, literatures;

Georgian literature seems to be the best choice for cross-cultural and intercultural studies. The arguments for this suggestion are:

a) during its long development history Georgian literature always managed to fit the frame of basic cultural and conceptual direction of the concrete epoch; b) standing on the cross-road of east and west civilizations, Georgian literature was looking for the harmonization of cultural differences;

The future research of Georgian literature has to be connected with those contemporary methods of analyzing literary text.

მეტონიმია უნეტან

რომან იაკობსონის პოეტიკური კონცეფცია საფუძვლად დაედო მრავალ ფილოლოგიურ ნაშრომს, ძირითადად თეორიული პოეტიკის სფეროში. ამიტომ, საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ის გამოკვლევები, რომლებშიც იაკობსონის დებულებები გამოყენებულია კონკრეტულ ლიტერატურულ ტექსტთა ანალიზის მიზნით. მათგან განსაკუთრებით საინტერესოა ცნობილი ფრანგი ლიტერატურათმცოდნის, ურარ უნეტის ვრცელი სტატია „მეტონიმია პრუსტან“.

უნეტის ამოცანაა პრუსტის მხატვრული მანერის თავისებურებათა გამოკვლევა და იმის დასაბუთება, რომ „მეტაფორა და მეტონიმია შეუთავსებელი ანტაგონისტები როდი არიან. ისინი განამტკიცებენ და მსჭვალვავნ ურთიერთს, მეორე მათგანის ჯეროვანი შეფასება სულაც არ ნიშნავს მეტონიმიათა ერთგვარი ნუსხის (რომელიც კონკურენციას გაუწევს მეტაფორათა ნუსხას) შედგენას, არამედ – იმის გამოვლენას, თუ როგორ მონაწილეობენ და ფუნქციონირებენ ანალოგის მიმართებათა ფარგლებში „თანაარსებობის“ მიმართებები. ამგვარად, უნდა გამოაშკარავდეს მეტონიმის როლი მეტაფორაში“ (უნეტი 1998: 37).

რატომ შეარჩია უნეტმა ანალიზის საგანად სწორედ პრუსტის შემოქმედება? იმიტომ, ალნიშნავს მეცნიერი, რომ თვით პრუსტის ესთეტიკურ თეორიაში, ისევე, როგორც პრაქტიკაში, მეტაფორულ (ანალოგიაზე დამყარებულ) მიმართებებს ძალზე არსებითი როლი განეკუთვნება, იმდენად არსებითი, რომ მათი მნიშვნელობა და როლი, სხვა სემანტიკურ მიმართებებთან შედარებით, ძალზე გაზვიადებულია.

უნეტის ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს იაკობსონის ორ სტატიაში („ენის ორი პოლუსი და აფაზიურ დარღვევათა ორი ტიპი“ და „შენიშვნები პოეტ პასტერნაკის პროზის შესახებ“) ჩამოყალიბებული დებულებები, ხოლო ძირითად ჰათოს – „მეტონიმის უპირატესობის დამტკიცება მეტაფორასთან შედარებით“ (ზენკინი 1998: 30).

იაკობსონის კვალობაზე, უნეტი საუბრობს მეტაფორული და მეტონიმიური მიმართებების (იაკობსონთან – „პოლუსების“, „ლერძების“) შესახებ და აქ გულისხმობს არა მარტო ტროპებს, არამედ, საზოგადოდ, ყოველგვარ სემანტიკურ მიმართებებს, რომლებიც აგებულია, შესაბამისად, ანალოგისა და მომიჯნავეობის პრინციპების მიხედვით.

როგორ ესმის უნეტს ტერმინ „თანაარსებობის“ მნიშვნელობა? ამ საკითხის გასარკვევად დავაკვირდეთ უნეტის მიერ პრუსტის ტექსტებიდან მოყვანილ ნიმუშებს და, აგრეთვე, იმას, თუ როგორ აანალიზებს მათ ფრანგი მეცნიერი.

ნაშრომის დასაწყისში უნეტი იმოწმებს სტივენ ულმანის შეხედულებას იმის შესახებ, რომ პრუსტთან გვხვდება იმგვარი მეტონიმიური მიმართებები, რომლებიც ეყრდნობა ორი შეგრძნების მომიჯნავეობას, მათ თანაარსებობას ერთსა და იმავე მეტალურ კონტექსტში. ასეთია, მაგალითად, კომბრეს ცის ქვეშ გამეფებული სიჩუმის „ლაუგარდოვანი ზედაპირი“ ან ბალის კუტიკარზე მიმაგრებული ზანზალაკის „ოვალური“ და „მოოქროვილი“ უდარუნი. აქ სმენით შეგრძნებებს მიეწერება მხედველობითი აღმის თვისებები (მიზეზის მეტონიმიური შენაცვლება შედეგით) და, ამგვარად, უნეტის თვალსაზრისით, ესაა მეტონიმიები, რომლებიც შენიდბულია მეტაფორული პრედიკაციით.

ამასთან, თვით იაკობსონის დებულებებიდან გამომდინარე, „ლაუგარდოვანს“, ისევე, როგორც „ოვალურსა“ და „მოოქროვილს“, მეტაფორული პრედიკატები შეიძლება ვუწოდოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტექსტში წინასწარ არ იქნება მოხსენიებული კომბრეს ლაუგარდოვანი ცა, ან ის, რომ ზანზალაკი ოვალური ფორმისაა და მოოქროვილი. მაგრამ პრუსტთან ეს პირობა დაცული არაა და მკითხველი უშუალოდ უკავშირებს ამ ეპითეტებს ტექსტის წინამორბედ ნაწილებს. შესაბამისად, მისთვის არ არსებობს ამ ეპითეტთა ალტერნატიული ვარიანტები, მათი გარკვეული პარადიგმა (ე. ი. მკითხველს არ ეძლევა სელექციის მენტალური ოპერაციის განხორციელების საშუალება). რიტორიკული ფიგურა – ჰიპალაგა – აქ აგებულია წრფივ მიმართებებზე ტექსტის ნაწილებს შორის. ამიტომაც გამოთქმებში: „სიჩუმის ლაუგარდოვანი ზედაპირი“, აგრეთვე –

„ზანზალაკის ოვალური და მოქროვილი უღარუნი“ შეინიშნება მარტოოდენ მეტონიმიური და არა მეტაფორული პრედიკაცია.

ამასთან, უნიტი უგულებელყოფს სინტაგმატიკისა და პარადოგმატიკის ტექსტუალურ გამოხატულებებს და ყურადღებას ამახვილებს, ძირითადად, ობიექტთა რეალურ მომიჯნავეობაზე. ეს ტენდენცია სტატიაში ბოლომდევ გატარებული.

მაგალითად, მკვლევარი საგანგებოდ განიხილავს ორ პასაჟს პრუსტის ქმნილებიდან. პირველ მათგანში (რომანიდან „სვანის მხარეს“) მთხოვბელი გასცეკრის მეზეგლიზის ველს, სადაც, პურის ყანებს მიღმა, მოჩანს ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძარი ორი მოჩუქურობებული სამრეკლოთი: „სამრეკლოებს ჰქონდა წაწვეტებული, ქერცლოვანი, უჯრედოვანი, გილიოშირებული, მოყვითალო, მარცვლოვანი სახურავები, რომლებიც ორ თავთავს წააგავდა“;

მეორე ნაწვეტში („სოდომი და გომორი“) გადმოცემულია მარსელის ფიქრები სენ-მარსის ეკლესიის შესახებ, რომელსაც ის მეორე დღეს უნდა ესტუმროს: „სენ-მარსის ორი მრავალსაუკუნოვანი მოვარდისფრო სამრეკლო, მათი რომბისებრი ფორმის, ოდნავ ამოზნექილი და თთექოს მთრთოლგარე კრამიტის ფილებით, დღის ყველაზე ცხელ საათებში, როდესაც, ბანაბის გარდა ვერაფერზე ფიქრობ, მაგონებდა აწ გადაშენებულ, ქერცლით დაფარულ, თავწაწვეტებულ თევზებს, უძრავად რომ აღმართულიყვნენ წყლის გამჭვირვალე ლაუკარდში“.

ამ ციტატებში ერთნაირ სამრეკლოთა ორი წყვილი შედარებულია ურთიერთგანსხვავებულ საგნებთან, ერთ შემთხვევაში – თავთავებთან, მეორეში კი თევზებთან. უნიტის აზრით, სამრეკლოთა შედარება თავთავებთან მოტივირებულია გარემოცვით (პურის ყანებით, რომლებიც გარს ერტყმის ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძარს), თევზებთან შედარება კი – ბანაბის მოლოდინითა და ზღვის სიახლოვით. მეცნიერის შეხედულებით, გარემოცვა კი არ წარმოქმნის ამ მსგავსებას, არამედ – განაპირობებს მის შერჩევასა და აქტუალიზებას მრავალ ანალოგიურ შესაძლებლობას შორის. „აქ, – შენიშნავს უნიტი, – მომიჯნავეობა განსაზღვრავს და წარმოშობს მსგავსებას, და ყველა ამ შემთხვევაში მეტაფორის საყრდენსა და მოტივაციას წარმოადგენს მეტონიმია“ (უნიტი 1998: 40).

როგორც ვხედავთ, აქაც მომიჯნავეობის მიმართებებში იგულისხმებოდა საგანთა და მოვლენათა რეალური მომიჯნავეობა სივრცეში, მაშინ, როდესაც იაკობსონის კონცეფციაში, ისევე, როგორც მის ამოსავალ თეორიაში – ფერდინანდ დე სოსიურის ლინგვისტურ მოძღვრებაში, მომიჯნავეობა გაგებულია როგორც წრფივი მიმართებები ტექსტის ელემენტებს შორის.

ისმის კითხვა: რატომ არ შეიძლება, მომიჯნავეობის ცნება დაუკავშირდეს არა ტექსტის სინტაგმატიკას, არამედ – ობიექტთა რეალურ მეზობლობას სივრცეში? იქნებ, უნიტის პოზიცია უფრო მართებული და პერსპექტიულია პოეტიკისა და რიტორიკის პრიბლემათა გადაწყვეტის თვალსაზრისით, ვიდრე იაკობსონისა?

აქ გასათვალისწინებელია, რომ იაკობსონის თეორიის უნიტისეული ინტერპრეტაცია საშუალებას არ იძლევა ადექვატურად განიმარტოს ტროპებისა და ფიგურების სემანტიკური სტრუქტურა; მეტიც, როდესაც საგნებისა და მოვლენების რეალური მსგავსებისა ან მომიჯნავეობის საფუძველზე მეცნიერი ცდილობს ისეთი რიტორიკული ფიგურის დახასიათებას, როგორიცაა სინეკდოქე, მისი მსჯელობა არადამაკერებელია.

მაგალითად, სტატიაში „შეკვეცილი რიტორიკა“ უნიტი წერს: „ანბასა და ხომალდს არ აკავშირებს მომიჯნავეობა, სამაგიეროდ, მომიჯნავეობა არსებობს ანბასა და აფრას, ან ანბასა და ქანდარას და, საერთოდ, ანბასა და მთელ დანარჩენ ხომალდს, ანუ ყოველივე იმას შორის, რაც არის ხომალდი და არ არის ანბა“ (უნიტი 1998: 22).

ამგვარად, უნიტის აზრით, სინეკდოქეს პრინციპს მომიჯნავეობა არ წარმოადგენს. მაგრამ, უნიტი არ განმარტავს, სახელდობრ, როგორ ათგება სინეკდოქე, რომელ სემანტიკურ მიმართებებს ასახვს ის, თუ არა მომიჯნავეობას. ეს გაუგებრობა გამოწვეულია იმით, რომ მეცნიერი უგულებელყოფს სინტაგმატიკისა (მომიჯნავეობის) და პარადიგმატიკის (მსგავსების) ლინგვისტურ ინტერპრეტაციას, რომელიც გულისხმობს პირველი მათგანის მიკუთვნებას მეტყველების, მეორის კი – ენის პლანებისადმი.

აშკარაა, რომ მომიჯნავეობის მიმართება აკავშირებს სწორედ რომ ანბასა და ხომალდს როგორც ცნებებს, და არა ანბასა და ხომალდის სხვა ნაწილს, მაგალითად, აფრას. მართლაც, ენობრივი კოლექტივის ცნობიერებაში ანბა ყოველთვის უკავშირდება (სინეკდოქურად) ხომალდს, ე.

ი. მათი კავშირი სინტაგმატურია, წრფივი. ამასთან, ესაა უზუალური მიმართება და, ამიტომ, არ საჭიროებს სინეკდოქსს ორივე წევრის მოხსენიებას ტექსტში.

როგორ გაიაზრებს უწევტი მსგავსების მიმართების არსე? „წაწვეტებულ, მოყვითალო და გილიოშირებულ სახურავს ძალუძს, – აღნიშნავს მკვლევარი, – ჩვენს წარმოსახვაში ერთნაირად ადგილად და ad libitum ამოატივტივოს დამწიფებული თავთავის (ან ზეინის), ან კიდევ – ოქროსფერი თევზის ხატი. ამ ორი ვირტუალური „მსგავსებიდან“ პრუსტი თითოეულ ჯერზე ირჩევს იმას, რაც უკეთ მიესადაგება სიტუაციას ან (რაც იგივეა) კონტექსტს“ (უწევტი 1998: 39].

„პრუსტი ირჩევს...“ — ეს ფრაზა მიგვანიშნებს, რომ მხატვრული სახის სპეციფიკის განსაზღვრისას ჟენეტი თვალისწინებს იაკობსონის იმ დებულებას, რომლის თანახმად, მეტაფორის საფუძველია სელუქია (თუმცა სტატიაში ეს ტერმინი მოხსენიებული არაა და, როგორც წესი, საუბარია მეტაფორის (ან მეტონიმის) წერტილის შესახებ).

ის ფაქტი, რომ შემოქმედი (ამ შემთხვევაში – პრუსტი) სიცტუაციის ან კონტექსტის მიხედვით ირჩევს, რას შეადაროს სამრეკლოები, არ ნიშნავს, რომ შესაბამისი მხატვრული სახე მეტაფორაა, ან მეტაფორულ მიმართებებზეა აგებული. ამა თუ იმ ტროპისა ან ფიგურის შექმნისას ყველა მწერალი მიმართავს სელექციის ოპერაციას, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ის ირჩევს კლიშირბულ, მზა ტროპს (რადგან მას შეუძლია, არ გამოიყენოს ეს ტროპი და აღნიშნოს დენოტატი მისი ჩვეული, ყოფითი სახელწოდებით). შემოქმედების პროცესში სელექციის განხორციელებისას საქმე გვაქვს ერთადერთ – ენობრივ პლანთან, რადგან ჯერ არ არსებობს ტექსტი, როგორც სინტაგმატური, წრფივი მოცემულობა. შესაბამისად, არ არსებობს არც ენისა და მეტყველების ოპოზიციური მიმართება, ამ უკანასკნელის გარეშე კი ვერ გამოვყოფთ მეტაფორულსა და მეტონიმიურ ტექსტუალურ პლანებს.

რაც შეეხება სუბსტიტუციურობას, ის ახასიათებს ყველა ტროპსა და ფიგურას, ე. ი. მათი კომპონენტები, გარკვეული გაგებით, ურთიერთშენაცვლებადია (ზემოყვანილ ციტატებში ურთიერთშენაცვლებადია, ერთი მხრივ, სამრეკლოთა სახურავები, მეორე მხრივ კი – თავთავები და ოვეზები), თუ არ ჩავთვლით მეტაფორას, რომლის იმპლიციტური კომპონენტი ხშირად იმდენად „მღვრიე“ სემანტიკურ გარემოშია განზაგებული, რომ მასი მკაფიო სემანტიკური განსაზღვრა ძნელდება. ამდენად, ტროპებისა და ფიგურების სუბსტიტუციურობა არაა კრიტერიუმი, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ მათი კლასიფიკაციის მიზნით.

სელექციისა და კომბინაციის ოპერაციები, რომლებიც განკუთვნება ორ ენობრივ პოლუსს და შესაბამისად, მეტაფორულსა და მეტონიმიურ პლანებს, აუცილებლად გულისხმობს ამ ორივე ოპერაციის ტექსტუალურ ხორცშესხმას და, შემდგომ, მის აღქმას რეციტაციის მიერ. იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელი ტექსტის აღქმისას ახორციელებს სელექციის ოპერაციას, შესაბამისი ტექსტუალური ელემენტი უნდა მივაკუთვნოთ ენის (მეტაფორულ) პლანს, ხოლო როდესაც მას ამ ოპერაციის ჩატარება არ სჭირდება და ენობრივი ერთეულები წარმოქმნის მყარ (ტექსტუალურად განმტკიცებულ, ან ენობრივი კოლექტივის ცნობიერებაში არსებულ) სინტაგმებს, შეიძლება გამსჯელოთ ტექსტში მეტყველების (მეტონიმიური) პლანის მონაწილეობის შესახებ.

აქედან გამომდინარე, პრუსტოან ორივე შემთხვევაში გამოყენებულია შედარება, და არა მეტონიმიაზე პროცესირებული მეტაფორა: „...თავთავს წაგავდა...“, „...მაგონებდა... თევზებს“. შედარების წევრთა მსგავსება სულაც არ ნიშნავს, რომ ის მეტაფორული პლანის გამოხატულებაა. ფიგურა, რომლის თრივე წევრი ექსპლიციტურადა მოცემული ტექსტში, სწორედ ამ ნიშნით განკუთვნება სინტაგმატურ (მეტონიმიურ, მეტყველების) პლანს. პრუსტის მხატვრული მანერის ის თავისებურება, რომ შედარებათა კომპონენტებად შერჩეულია რეალურად მომიჯნავე ობიექტები, არ ნიშნავს, რომ ეს „მომიჯნავეობა“ ემთხვევა ამ ტერმინის მნიშვნელობას იაკონსონის თეორიაში. უნეტისეული ანალიზი კორექტული იქნებოდა, იმ შემთხვევაში, თუ ავტორი მიზნად დაისახავდა რუსი მეცნიერის დებულებათა ილუსტრირებას და იმსჯელებდა პრუსტის მიერ გამოყენებული ორიგინალური (საგანთა და მოვლენათა რეალურ მომიჯნავეობაზე აგებული) შედარებების შესახებ.

დამოწმებანი:

ზენკინი 1998: Зенкин С. Преодоленное головокружение: Жерар Женетт и судьба структурализма. Вступ. статья к: Женетт Ж. Работы по поэтике (Фигуры). т.1, М.:1998.

ჟენეტი 1998: Женетт, Ж. Работы по поэтике (Фигуры). т.2, М.: 1998.

Genett's Metonymy

Summary

The article analyses the work of famous French philologist Gérard Genett „Proust's metonymy“. The methodological base of Genett's work is Roman Jakobson's linguopoetical conception.

Following Jakobson, Genett reasons about metaphorical and metonymical relations and implies not only tropes, but generally all semantical relations, which are based on principles of analogy and neighbourhood (or selection and combination).

It should be mentioned that Genett attaches no importance to textual expressions of metaphorical and metonymical relations. He takes into consideration mainly factual likeness and neighbourhood of real objects, which are reflected in texts. Genett declines linguistic interpretation that implies putting the former to the plan of speech and the latter to the plan of language.

Besides that, while analyzing Proust's artistic style, Genett attempts to imagine the operations of selection and combination (proceeding in author's consciousness), which give birth to metaphor, in first case, and to metonymy, in second case. However it is easy to observe that the results of such analysis are not thoroughly convincing, especially that Genett takes into consideration mostly the author and much less the recipient. But while creative working there is no text as syntagmatical object. Accordingly, there are no oppositional relations of speech and language and it's impossible to distinguish metaphorical and metonymical plans of text.

Only when the recipient, while perceiving the text, realizes the operation of selection, the corresponding element should be attributed to metaphorical plan, and when it is not necessary to realize this operation and the linguistic units make hard (textually strengthened or being usual for consciousness of linguistic body) syntagms, it is possible to reason about metaphorical or metonymical plans, presented in text.

In fact, Genett rejects Jakobson's conception and also its base – the linguistic doctrine of F. de Saussure, which gives hard, reliable foundation for the analysis of the style of literary texts, including Proust's texts. Hence, Genett's conclusions about „metaphors, projected on metonymies“, which are typical for Proust (according to Genett), require certain corrections.

ივანე ამირხანაშვილი

აგიოგრაფია და ისტორიის კომპოზიცია

რა არის აგიოგრაფია – ისტორია თუ ლიტერატურა?

ძველი შეკითხვა, რომელიც იმდენად პასუხს არ მოითხოვს, რამდენადაც აქცენტის მარტივ შებრუნებას შემდეგი პოზიციით: რა არის ისტორია?

ივანე ჯავახიშვილი წმინდანთა ცხოვრებებსა და მარტვილობებს საისტორიო მწერლობის ორგანულ ნაწილად მიიჩნევდა, როთაც აგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობით სანდოობას აღიარებდა; იგი იმასაც დასძენდა, რომ ქართული სამოქალაქო საისტორიო დარგი საეკლესიო მწერლობისგან განვითარდა (ჯავახიშვილი 1945: 13). თუმცა, თუ აგიოგრაფია ისტორიოგრაფიის ნაწილია, მაშინ როგორ ხდება, რომ ისტორიოგრაფია ვითარდება აგიოგრაფიის წიაღში, ანუ, როგორ იტევს ნაწილი მთელს? დამაფიქრებელი კითხვაა, რომელიც თვისთავად მოითხოვს ზემოთ დასმული შეკითხვის გამეორებას: რა არის ისტორია?

ისტორია არსებობს იმდენად, რამდენადაც არსებობს წერილობითი ძეგლი, დაწერილი სიტყვა, იგივე – ტექსტი, თუმცა შეიძლება ყველაფერი იმის აღნიშვნით დავიწყოთ, რომ ადამიანი ისტორიული არსებაა, ადამიანის სული კი არის ის ადგილი, სადაც ისტორია ახორციელებს თავის თავს.

ადამიანი თავისი დროის, თავისი „სიცოცხლის ისტორიის“ განმავლობაში ჩართულია იმ პროცესებში, რომლებიც ქმნიან მის თანამედროვე ისტორიას, მაგრამ ყოველივე ეს ისტორიად იქცევა მაშინ, როცა იგი ტოვებს თავის დრო-სივრცეს და მის ნაცვლად მოდის სხვა თაობა და

სხვა დრო-სივრცე, რომელსაც, თავისი შესაძლებლობების მიხედვით, მეტაფიზიკურ პლანში გადაქვს წინამორბედი თაობის პრაქტიკული ყოფიერება და მისი გათვალისწინებით ფასეულობათა ახალ წყებას აყალიბებს.

ფასეულობა, როგორც ტრადიცია, ტექსტის სახით ფორმდება, ოღონდ ისე, რომ ტექსტის შინაარსი არ ემთხვევა ყოფიერების შინაარსს – არც მოცულობით და არც სტრუქტურით. ყოფიერება არასოდეს არ არის ისეთი, როგორსაც წიგნში ვხედავთ. ბასილი ზარზმელი იტყვის: წიგნი არის „სიტყვისმიერი გამოხატვა ვრცელისა ცხორებისა“-ო. ცხოვრება სხვაგვარად განსაზღვრავს თავისი ლიტერატურული თვითდადგენის წესს, ტრანსფორმირებულად, სხვაგვარი მოდიფიკაციით გადადის წიგნში.

ცხოვრება წიგნში უარყოფს თავის თავს იმისათვის, რომ გადარჩეს, რომ იყოს ისეთი, როგორიც მისთვის არის მისაღები (დერიდა 2000: 122). თვითუარყოფის მომენტში ყოფიერება თავის პირობებს უყენებს ავტორს, ავტორი კი, პირიქით, ცხოვრების წინაშე აყენებს მოთხოვნებს. ამ წინააღმდეგობას არეგულირებს სიტყვა როგორც გამოსახვის საშუალება. ჩნდება სტილი – ცხოვრების ლიტერატურული მიზანსცენა. თხრობის წერილობითი ფორმა მეისტორიეს საშუალებას აძლევს დააკანონოს თავისი შემოქმედებითი პრეტენზიები.

სატოვანება თხრობის შინაგანი თვისებაა. არ არსებობს ისტორია ტროპოლოგიისა და რიტორიკული ფორმების გარეშე. „ეფექტების თეორიის“ მიხედვით, საისტორიო თხრობის ძალა მხატვრული საშუალებების გამოყენებაში ვლინდება (რიკიორი 2004: 329).

ისტორიის ინტერტექსტუალური ფაქტურა, ანუ ენობრივ-ლიტერატურული ნაკადი უდავო ფაქტია, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ აქ ლაპარაკია ზედაპირზე და არა სილრმეებზე, სადაც განსხვავება ლიტერატურასთან მიმართებაში წესია, მსგავსება კი – გამონაკლისი. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მხატვრული ტექსტი ქმნადობის შედეგია, როგორც ენობრივი, ისე სახეობრივი თვალსაზრისით. იგი ქმნის სამყაროს, რომელშიც ჩადებულია „არაპროგნოზირებადი თვითგანვითარების მექანიზმები“ (ლოტმანი 2000: 354). ისტორია კი, ვალდებულია აღწეროს ზუსტად ის, ან მიუახლოვდეს იმას, რაც სინამდვილეში იყო და შეძლებისდაგვარად თავიდან აიცილოს ქანრისთვის შეუთავსებელი „თვითგანვითარების მექანიზმები“, ანუ მხატვრული გამონაგონი.

ლიტერატურული აზროვნება იწყება მოვლენის ფენომენოლოგიურ სიღრმეში, სადაც მწერალი თვითონ ირჩევს, საით წავიდეს – მომხდარი ამბის ობიექტური მთლიანობისკენ, თუ სუბიექტური ნაწილისკენ. მემატიანისთვის ფაქტი არის დასრულებული დრო, სრული ნამყო, მწერლისთვის კი – დაუსრულებელი აწმყო.

როგორც ისტორია არ არის მარტო ქრონიკა და ფაქტების გროვა, ისე ლიტერატურა არ არის მარტო სიუჟეტი და მეტაფორები. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ შინაგანად რა იდეას ატარებს უანრი, რა ინტენცია, რა ჩანაფიქრი დევს მის თვითგანვითარებაში, რადგან, როგორც ცნობილია, სულ სხვა ისტორიის იდეა და სულ სხვა – ლიტერატურისა.

აგიოგრაფიასა და ისტორიას შორის არსებობს მსგავსება, ორივე ასახავს წარსულს და ორივე განკუთვნილია შემდგომი დროისთვის, რომელშიც აწმყო და მომავალი ერთ კულტურულ სივრცედ მოიაზრება.

ისტორიოგრაფიის მიზანია მოვლენების თანმიმდევრობით შეცნობა, ფაქტების დიალექტიკური ანალიზი; აგიოგრაფია ინტერესდება მოვლენათა ურთიერთქმედების შედეგით. ფერწერის ენაზე რომ ვთქვათ, მეისტორიეს აინტერესებს პერსპექტივა, აგიოგრაფოსს – ფონი; ისტორიკოსი გვიხსნის, აგიოგრაფოს მოგვითხრობს; სხვა არის ისტორიის ფაქტი, სხვა – აგიოგრაფიის ფაქტი. შესაბამისად, ისტორიკოსის მზერა სისტემურია, იგი მთლიანობაში, მოვლენათა ურთიერთკავშირში აღიქვემდეს ფაქტებს, აგიოგრაფოსი მთლიანობიდან იღებს ცალკეულს და აქედან ქმნის თავის ნარატივს, თავის თხრობას.

მეისტორიე თვითონ შედის მოვლენებში, დამოუკიდებლად აკვირდება და სწავლობს ფაქტებს, აგიოგრაფოსი კი, თავისი გმირის მემვეობით ეცნობა ფაქტებს, მოვლენათა სიღრმეებში გმირს მიჰყება, როგორც დანტე ვერგილიუსს.

მისაღებია პოლ ვენის მარტივი და ზუსტი ფორმულირება – „ისტორია მოგვითხრობს იმას, რაც მოხდა, უბრალოდ, მოგვითხრობს იმიტომ, რომ მოხდა... ისტორია არ არის აგიოგრაფიული, დამოძღვრითი“ (პოლ ვენი 2003: 67). ისტორია აგიოგრაფიის ანტიოქზაა

თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ისტორიის ფუნქცია არის აღნუსხვა, აგიოგრაფიისა კი – პანეგირიკი, ხოტბა; აგიოგრაფიის მიზანი არ არის ისტორიული მოვლენის ინტერპრეტაცია. მართალია, აქ, გარევეულ ეპიზოდებში, შეიძლება მოვლენა ახდენდეს თვითინტერპრეტაციას, მაგრამ ეს არ ცვლის საგნის არსს, მკითხველში არ ცვლება აღქმის ტიპი.

აგიოგრაფიული თხზულების ავტორი დაიხაც ხედავს მოვლენას, როგორც ისტორიული პროცესის ნაწილს, მაგრამ საკითხავია, რა არის მისთვის ისტორიული პროცესი? – საზოგადოება, პოლიტიკა, კულტურა თუ იდეოლოგია? როგორ გარდაისახება მოვლენა მწერლის წარმოსახვაში, უდრის თუ არა მოვლენა თავის თავს იქ, სადაც წარმოსახვა იწყებს მოქმედებას?

აგიოგრაფიული მოვლენა არ იბადება იქ, იმ მოქმედში, როცა იწერება, როცა ტექსტიად გარდაიქმნება, როცა შედის სიუჟეტურ მოქმედებაში. მას წარმოშობის ხანგრძლივი გზა აქვს და წარმოშობამდეც არსებობს, როგორც იდეოლოგიური ყოფიერება. მისთვის დრო და სივრცე წინასწარვე გამზადებული უანრის კანონებში. ყოველი კერძო მოვლენა კანონის პირველსაწყისში ერთიანდება.

პირველსაწყისი ანუ არქეტიან არის ის „ჯიუტი“ საძირე, რომელზედაც რა ისტორიული ფაქტიც უნდა დაამწნო, მაინც ერთგვაროვან ნაყოფს მიიღებ. ამის თვალსაჩინო მაგალითია XVIII საუკუნის მოღვაწის, დავით გარევის კულტურული კერის ცნობილი წარმომადგენლის ბესარიონ ორბელიშვილის „არჩილ მეფის მარტვილობა“, რომელიც ლეონტი მროველისა და ჯუნიშერის თხზულებათა კომპილაციას წარმოადგენს. ბესარიონ ორბელიშვილი ყველანაირად ცდილობს, ისტორიული მასალა აგიოგრაფიული ლიტერატურის კუთვნილებად აქციოს. იგი მეტაფრასტიკის ხერხებით ავრცობს წინამორბედ ტექსტებს, ემოციურად მუხტავს სიტყვას და ფრაზას, ერთი სიტყვით, აგიოგრაფიული ფაქტურით აფორმებს თხრობას. მას არ სურს, იყოს ნოვატორი, მისი მიზანია შეუერთდეს ისტორიულ-კულტურულ ტრადიციას, რომელიც, როგორც პროცესი, თხასი წლით ადრე, XIII საუკუნეში შეჩერდა.

ორბელიშვილი კი არ აწესრიგებს აგიოგრაფიულ კანონს, არამედ აგიოგრაფიული კანონი იწესრიგებს თავს ორბელიშვილის ხელით. დავარქვათ ორბელიშვილის მცდელობას ლიტერატურული ნოსტალგია, სულერთია, მასში მაინც საუკეთესოდ არის გამოხატული არქეტიპის ძალა. აქ ხდება არა განახლება, არა რეკონსტრუირება, არამედ ძველთან დაბრუნება, სტერეოტიპის აღდგენა. რაც უფრო დინამიკურია ძველი, მით უფრო სტატიკურია ახალი. მიუხედავად ამისა, მათ აქვს საერთო მიზეზობრივი კავშირი. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევებში მთავარ როლს ასრულებს სოციალური დაკვეთა. ქრისტიანული საზოგადოება ორბელიშვილის დროსაც იმ პრობლემის წინაშე დგას, რა პრობლემის წინაშეც იდგა, ვთქვათ, იაკობ ხუცესის ან იოანე საბანისძის დროს. ორივე შემთხვევაში საზოგადოებრივი იდეალი, საზოგადოებრივი მოთხოვნილება დაილექტიკურ კავშირშია უანრის არსებობასთან.

გვიანი ფეოდალური ხანის აგიოგრაფიამ მარტო რიტორიკული ხერხების არსენალი კი არ გადაიღო, არამედ გადაიღო იდეაც – ზუსტად გააზრებული ეროვნული იდეა. აი, რა არის მთავარი. აგიოგრაფიაში ობიექტურ ისტორიაზე მეტად იდეის ისტორიაა სამიებელი, ვინაიდან აქ ფაქტი სულიერი დოკუმენტის სტატუსს ატარებს.

იდეა როგორც ისტორიული კლიშე!

ეს არის ლიტერატურული მსოფლშედეველობის საკმაოდ მყარი თეორია. რაც შეეხება პრაქტიკას, ანგარიშგასაწევია ის, რომ კონკრეტული ადამიანები ავალებენ კონკრეტულ ადამიანზე, რომელიც კონკრეტული ძაფებით არის დაკავშირებული სინამდვილესთან, საზოგადოებასთან, ისტორიასთან.

როგორც ზემოთ ითქვა, ადამიანი ისტორიული არსებაა, იგი იმყოფება ისტორიაში და ისტორია იმყოფება ადამიანში. ადამიანს ვერ გამოაცალევებ ისტორიიდან და ვერც ისტორიას გამოაცალევებ ადამიანისგან (ბერდიავე 2002: 21).

პიროვნულ-კონკრეტულისა და ზოგადისტორიულის შეერთებამ შექმნა ათონის ლიტერატურული სკოლა, ქართული კულტურის უდიდესი ქრონოგრამოსი, სადაც ყველაზე თვალსაჩინოდ არის გამოვლენილი ქართული ისტორიული იდეის მნაარსი.

ათონელები თავისებურად ხედავნ ისტორიას, თავისებურად გაიაზრებენ ისტორიულ მოვლენებსა და იმ გარემოს, სადაც უწევთ ცხოვრება და მოღვაწეობა. მათ აქვთ კონკრეტული მიზანი – ათონის სულიერ-კულტურული ტრადიციის დაცვა-შენარჩუნება – და ყოველგვარ

მოვლენას ამ თვალთახედვით უყურებენ. ამიტომ მათ შემოქმედებაში ბიზანტიური რეალიები წარმოგვიდგება გარკვეული ლოკალის სახით, რომლის არეში ექცევა ბევრი ისეთი მოვლენა, რომელიც იმპერიის ისტორიის ქრესტომათიულ ნაწილს წარმოადგენს, ისინი თავს უფლებას აძლევენ გამოტოვონ ისეთი ფაქტები, როგორ ფაქტებსაც ისტორიკოსი არ გამოტოვებდა.

ისტორიზმი, როგორც მოვლენათა დიალექტიკური თანმიმდევრობის გააზრება, ათონელებთან იდეის სახით არის მოცემული. ფაქტებს არ აძლევენ დად მნიშვნელობას, მთავარი აქცენტი იდეაზე გადააქვთ. ექსპრესიულ-ემოციური ტენდენციების ნაკადში თავს იჩენს ზნეობრივი, ეროვნული და ფინექლოგიური კატეგორიები – ერთგვარი წყალგამყოფი რეალობასა და იდეას შორის. ისტორიული სინამდვილე გადმოცემის ობიექტი კი არ არის, არამედ ფონი იდეის განვითარებისთვის.

როგორც კი დაისმის შეკითხვა, არის თუ არა აგიოგრაფია საისტორიო ჟანრი, მაშინვე პასუხის მოძებნის „რეჟიმზე“ გადავერთვებით ხოლმე. მაგრამ ხომ არ ჯობია, სანამ პასუხს მოვძებნიდეთ, მანამ დავთიქრებულიყავით იმაზე, თუ რა ბადებს ამ შეკითხვას. იქნებ დაეჭვება?! ამიტომ ლოგიკური ხომ არ იქნებოდა, თვით შეკითხვაში მოგვეჩხრიკა პასუხი, უფრო სწორად, შეკითხვა მიგვეჩნია პასუხად?

„არის თუ არა აგიოგრაფია საისტორიო ჟანრი?“ – შეკითხვის ქვეცნობიერი იმპულსი არის იმის დაშვება, რომ შეიძლება აგიოგრაფია არ იყოს საისტორიო ჟანრი. ქვეცნობიერი აღიარებს, რომ მსგავსების მიუხედავად, განსხვავება არსებითა: აგიოგრაფიული და საისტორიო ჟანრები თავიანთი კანონებით ცხოვრობენ, თვითი ჰარიტო სუნთქვენ.

რატომ არის, რომ აგიოგრაფიაში ყველაზე აქტიური როლი ენას ენიჭება? რატომ არის სწრაფვა ენობრივი მრავალხმიანობისკენ, სტილური ავტონომიურობისკენ? რა არის ტექსტის მიზანი და „განზრახვა“? სამივე შეკითხვას ერთი პასუხი აქვს – ენის საკითხი არის მთავარი, ყველაფერი აქვთან გამომდინარეობს და ყველაფერი აქეთ მიედინება. ენის მხატვრული აგიოგრაფიის ბელეტრისტული კანონია.

მხატვრულ კომპონენტებს სხვა ხასიათი აქვს აგიოგრაფიაში და სხვა – ისტორიაში. პირველ შემთხვევაში ის საერთო-სისტემური მოვლენაა, მეორეში კი – ინდივიდუალურ-ფორმალური. სხვადასხვა ცნებებია მხატვრულობის ისტორიზმი და ისტორიზმის მხატვრულობა. მხატვრულ წარმოსახვაში ხდება ისტორიის, ენის, ტრადიციის, იდეოლოგიის, კონკრეტული თემისა და თვით აგტორის კონსტრუირება (ეკო 2004: 19), ისტორია კი ყველა ამ ცნების ეპისტემოლოგიური ჯამია. სწორედ ეპისტემოლოგიური თვალსაზრისით, მხატვრული ნაწარმოები არის მეტაფორა (ეკო 2004: 177), ისტორია კი – ღოვემენტი.

ისტორიის თხრობა ქრონოლოგიურ ძაფს მიჰყება, აგიოგრაფიისა – სიუჟეტს. თხრობის კონსტრუქციას თუ პირობებად ასე დაყოფთ: მოვლენა – იდეა, ისტორიისთვის მთავარი იქნება მოვლენა, აგიოგრაფიისთვის – იდეა.

აგიოგრაფიაში გარეგნულად მართლაც შეინიშნება „ისტორიზმის დიქტატურა“, მაგრამ ეს ვერ ზღუდავს ნაწარმოების შინაგან თავისუფლებას, იდეური ხაზი უცვლელია. რატომ? შეკითხვის დასმა სრულიად ზედმეტია, ვინაიდან ყველაფერი ისედაც ცხადია. ბოლოსდაბოლოს, აგიოგრაფია არის წმინდანთა ცხოვრების აღწერა, თხრობა რელიგიური იდეის შესახებ, ისტორიოგრაფია კი – ისტორიის აღწერა, თხრობა მოვლენათა შესახებ.

დამოწმებანი

ბერძიავი 2002: Бердяев Н. Смысл истории, новое средневековье. М.: Канон+, 2002.

დერიდა 2000: Деррида Ж. Письмо и различие. М.: Академический проект, 2000.

ეკო 2004: Эко У. Открытое произведение., Санкт-Петербург: Академический проект, 2004.

ვენი 2003: Вен П. Как пишут историю. Опыт эпистемологии. М.: Научный мир, 2003.

ლოტმანი 2000: Лотман Ю. Семиосфера. Санкт-Петербург: Искусство – СПб, 2000.

რიკიორი 2004: Рикёр П. Память, история, забвение. М.: изд. гуманитарной литературы, 2004.

ჯავახიშვილი 1945: ჯავახიშვილი ი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. თბ.: 1945.

Hagiography and Composition of History Summary

Is hagiography the historical genre or not? In order to answer to this question we need to define what is history and what is hagiography and how do they correlate with the fiction.

The artificial components have various characters in hagiography and in history. In the first case it's the general, system phenomenon, in the other case it's individual and formal. Historical story follows the chronological line, hagiographical one follows the plot. We conventionally divide the story into phenomenon and idea, while the idea will be most important in hagiography.

Outwardly we can really see the "dictatorship of history" in hagiography, but it doesn't infringe internal freedom of the literary working, ideological line is the same. Why? Finally, hagiography is the description of saints life, story about the religion idea and historiography is the description of history, narration about occurrences.

გალაკტიონის ქალაქური ტექსტი. გათანაბრების პოეტიკა

გალაკტიონის პირველი ქალაქური ტექსტი 1914 წელსაა შექმნილი. ესაა „ელეგია“, რომლის პირველივე სტრიქონში ავტორი ხედვის წერტილს მონიშნავს და იქვე ჩნდება მეტაფორა, რომელიც შემდგომში განმსაზღვრელი აღმოჩნდება არამთლოდ გალაკტიონის ქალაქური ტექსტებისთვის, არამედ, ზოგადად, მისი პოეტური ხელოვნებისთვისაც. ესაა „თოვლის“ სახე.

სარქმლიდან ვუცქერ, თუ თეთრი თოვლი
მთა-ბარს როგორ რთავს და ათანაბრებს...*

აქ, „თოვლს“ მოჰყვება გარკვეული ტექსტუალური ქმედებები, რომლებიც მყარი რეფერენტის, ანუ რეალური საფუძვლის მიუხედავად (ცხადია, რომ თოვლი ერთდროულად რთავს კიდევაც გარემოს და თანაბარი ფერითაც მოსავს მას), წინააღმდეგობას შეიცავს, რადგან იგი ორ განსხვავებულ მნიშვნელობას გულისხმობს. ერთი ესაა კაზბეკ-როვა, რომელიც პირობითად დემიურგის ქმედებასთან შეგვიძლია დავაახლოვოთ (ამიტომ, მეტაფორულად პოეტურ შემოქმედებასაც შეიძლება აღნიშნავდეს) და გარკვეულ რთულ (რთავს) ოპერაციას გულისხმობს. მეორე კი, „გათანაბრება“, არსებითად სხვაობის წაშლას, გაქრობასა და ერთყოფას, შესაბამისად კი ესქატოლოგიურ (ასევე პირობითად) ქმედებას გულისხმობს.

ამ ფარულ წინააღმდეგობას პაუზასავით მოჰყვება ორი სტრიქონი:

სული ეშვება მოგონებაში,
სიყმაწვილისას ვიგონებ ზღაპარს,

და შემდეგ:

ზღაპრებს, რომელთა უხმო აჩრდილში
ჰქონება ყოველი... გრძნობა დუნდება,
რაც კვლავ არასდროს არ განახლდება,
რაც კვლავ არასდროს არ დაბრუნდება.

ანუ პოეტის „სული“ დაახლოებით ისეთივე მოძრაობას გადის, როგორსაც თოვლი („ეშვება“) და მიიქცევა სადღაც, ნისლიან და აჩრდილოვან „მხარეში“, სადაც „ჰქონება ყოველი“, თანაბრდება. ამას მოსდევს ორჯერ გამეორებული უარყოფა (ინტონაციურად ედგარ პოსებური) და

* გ. ტაბიძის ტექსტები დამოწმებულია პოეტის თორმეტომეულიდან.

ლექსში კიდევ ერთხელ ზუსტდება ზემოხსენებული წინააღმდეგობა, ისევ ჩნდება ე.წ. „მორთვა-გათანაბრების“ („შემოვიხვიე“ - „მსურს შევერთო“) წყვილი:

შემოვიხვიე ტანზე ნაბადი
გაველ ქუჩაში, შსულს ბრძოს შევერთო*.

მასთან ერთად კი იკვეთება ქალაქური ტექსტის კონტურებიც, რომელიც, როგორც ადრეც გვქონდა აღნიშნული, მარტოიბის ტერმინებში აღიწერება. თუმცა აშკარაა, რომ მარტოიბის გამომსატველ ზმნას („შემოვიხვიე“, შდრ. „მოვირთე“, „რთავს“) მოსდევს განსხვავებული სემანტიკის მქონე ქმედება (არსებითად „გათანაბრების“ რიგისა), რომელიც უდერადობით თავის საპირისპიროს უახლოვდება („რთავს“ - კვეთს, სახეს აძლევს და „გერთვები“ - ვერთიანდები, ვქრები). ანუ, ერთი მხრივ, მნიშვნელობათა განსხვავებას - მეორეს მხრივ კი ერთან ფუძეს („რთ“), ზღვრამდე მიჰყავს ეს წინააღმდეგობა, რის შემდეგაც პოეტი უკაცრიელობის, უხმობისა და სხვა ნეგატიური ნიშნებით აღწერს თავის მდგომარეობას:

რა უდაბნოა, ოჰ, ჩემო ზეცავ.
რა სიჩუმეა, ოჰ, ჩემო დმერთ!
ახალი წელიც ვერაჯერს ძეტვების,
ახალი წელიც ვერ მომცემს პასუხს,
ისევ უდაბნო... ისევ დუშმალი...
ისევ თოვს და თოვს... გული წუხს და წუხს...

ლექსში კიდევ ერთი წყვილის გამოყოფა შეიძლება, ორი განსხვავებული დროის გარემოებისა, „კვლავ“ და „ისევ“. აქედან პირველი წარსულს, მოგონებას, „სიყმაწვილის ზღაპარს მიემართებაა, და რაღაც პირველადს, განუმეორებელს გულისხმობს („კვლავ არასდროს არ განახლდება,,, „...არ დაბრუნდება“), მეორე კი განმეორებად ქმედებას აღწერს და აწმყოს, ახლანდელ ვითარებას წარმოგვიდგენს.

ბრძოსთან შერთვისა და გაქრობის, დაკარგვის ქალაქური მოდელია წარმოდგენილი გალაკტიონის იმავე წელს დაწერილ ერთ ლექსში, რომელიც იწყება სიტყვებით:

როდესაც ხალხთა ურიამულში დავიკარგები,
რომ მოვიპოვო კაცთა შორის თავშესაფარი,
მაშინ ქნარი სდუმს, სდუმს, სიჩუმეს გარემოუცავს,
მწარე ნაღველით ავსებული სდუმს ჩემი ქნარი.

როგორც ხედავთ, აქაც იგივე „დუშმილი“, ისევ გამეორებები ანიჭებს ლექსს ინტენსიურობას, მაგრამ წინა შემთხვევისგან განსხვავებით, უკვე „ხალხთა ურიამული“ და „ქნარის უდერადობა“ ქმნის დაპირისპირებულ წყვილს („განვლილს იგონებს ჩემი ქნარი აზვირთებული, / აზვირთებული, აღტყენილი უდერს ჩემი ქნარი“). ბოლო სტროფში კი, ისევ ვითარება აღიწერება აწმყო დროში:

როცა ხალხში ვარ - მეკარგება რწმენა, ხალისი,
როცა მარტო ვარ - მაქეს სამგოსნო წმინდა ტაძარი:
ტყე, მინდორ-ველი, მთის წიაღი, კლდის ნანგრევები
და ჩემი ქნარი, მარტოიბით შექმნილი ქნარი!

ამ სტროფში ჯვარედინადაა განლაგებული საგანთა და მოქმედებათა ორი წყება - რეალური და მეტაფორული: 1) ხალისისა და რწმენის დაკარგვა, ტყე, მინდორ-ველი, მთის წიაღი... 2) სამგოსნო წმინდა ტაძარი და მარტოიბით შექმნილი ქნარი და ამ წყებათა ურთიერთობას კიდევ უფრო მეტ დრამატულობას ანიჭებს ბარათაშვილისეული „ვპოვე ტაძარი, შესაფარი, უდაბნოდ მდგარი“-ის ინტონაციები.

* გალაკტიონის ადრეული ლექსი (1909): „ხალხი ირევა, ხალხი ფუსფუსებს. / დაღონებული მივდიგარ ბრძოში“ (1, 78).

ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ გალაკტიონის კიდევ ერთი ლექსი, რომელიც ასევე 1914 წლით თარიღდება („ის მიდიოდა ქუჩაში ერთი, / მას მიჰყებოდა წვიმა და ქარი...“) და რომელიც ჩვენს წინა წერილში გავანალიზეთ. ბოლოში ასეთი სიტყვებია:

როგორ, საიდნ... არ იცის თვითონ.
ის უცნობ ხიდზე დგას. სხვაა ხიდი.
მძიმეა ტვირთი? მაშ სხვებმა ზიდონ,
ის ეხლა გახდა წყნარი და მშვიდი.

რას ნიშნავს „წყნარი და მშვიდი“, ან „მძიმე ტვირთი“, ანდა „მარტოობით შექმნილი ქარი“-სა და იმავდროულად, ძველი პოეტის ინტონაციური მყოფობა ჰქონის თუ არა რაიმეს ნათელს? იქნებ ეს „ტვირთი“ სწორედ წარსულის პოეტებია? ამ კითხვებთან ერთად ჩნდება კიდევ ერთი პრობლემა: თუკი პოეზიაში ხმიანობასთან, ბევრასთან და სმენასთან დაკავშირებული მეტაფორები ქაოსის ჰარმონიზირებას გულისხმობს (პოლ დე მანი 1999: 44), რას უნდა გულისხმობდეს გალაკტიონის პირველი ქალაქური ტექსტების დუშილი, სიწყნარე, სიმშვიდე, უდაბნო, ჰასუნის გაცემის შეუძლებლობა და ა.შ.

აშკარაა, რომ გალაკტიონის აღრეულ ლექსებში, ბევრი სხვა პოეტისგან განსხვავებით, არ ჩანს ე.წ. „ყოფის პოეტიზაცია“, რაც ასეთი დამახსასიათებელია ხოლმე დამწყები პოეტისთვის. იგი უფრო წინამორბედი პოეტების გამოცდილებას ეყრდნობა და თავისი შემოქმედებით – ერთი ცნობილი ფილოლოგის მანვილგონივრულ შენიშვნას თუ მოვიზმობთ – „სტილისტური ესპერანტოს“ შთაბეჭდილებას გვიტოვებს. თუმცა, იმ პერიოდში, როცა გალაკტიონი თავის პირველ ქალაქურ ტექსტებს ქმნიდა, ეს ე.წ. „ესპერანტო“ იცვლება და უკვე თავად ავტორის ძიებები ჩნდება, შემოდის განმორებებისა და დაზუსტებების რთული ტექნიკა, სარკისებურ ეფექტებზე დამყარებული ფრაზები, სინტაქსური ანარეკლები, (ხარბედია 2002: 165), რომლებიც ყველა ერთ მიზანს ემსახურება – სხვა, წინამორბედი პოეტების ნაცვლად თავად გასცეს ჰასუხი „მელად გამოსაცნობ ფიქრებს“, გამოთქვას ის, რაც დაარღვევს დუშილს, გაიყვანს შემოქმედებითი უდაბნოდან. ამ პერიოდის, ისევე როგორც ზემოთ გაანალიზებულ ლექსებში, ეს პროცესი აშკარად ჩანს. ხშირია ანალოგიები, გამორებები, მრავალწერტილები, რითაც გალაკტიონი თითქოს იმის დემონსტრირებას ახდენს, რომ ამგვარი გამეორებები შეუძლია უსასრულოდ გააგრძელოს და რომ იგი ამით თავის მდგომარეობას აღწერს...

ჩვენი აზრით, ეს მდგომარეობა გალაკტიონის პოეტიკის ჩასახვის პროცესს გულისხმობს. მომდევნო ქალაქურ ტექსტებში უკვე ჩნდება ის სახეები, რომლებიც ახალი პოეტური ენის შექმნასთან დაკავშირებულ სირთულეებზე მეტყველებენ.

გალაკტიონთან ეს პროცესი ჯერ კიდევ ათიან წლებში დაიწყო და იგი სპეციფიური მეტაფორიკით ხასიათდებოდა. ერთი მხრივ ეს იყო ძილის, ზმანების, ერთგვარი გაურკვევლობის სიტუაცია, მეორე მხრივ კი ნათლის, სინათლის ფიგურა, რომელსაც წესით ნათელი უნდა მოეფინა ამ გაურკვევლობისთვის. თუმცა, როგორც დავინახავთ, სინათლე, აქ არანაირად არ გულისხმობს (ცხადყოფას (შემუცნებითი თვალსაზრისით), არამედ სულ სხვა რამეს აღნიშნავს და ეს სხვა გახმოვანებასთანაა კავშირში* და არა გაცნობიერებასთან, რადგან გალაკტიონთან პოეტური თვალსაზრისით ღირებული, არსებითად გამოუთქმელის სფეროში ძევს და თემის თუ

* ლექსები „ყველა შანდალში ჩაქრა სანთელი“ სიბნელისა და სინათლის დაპირისპირება ჩვენთვის უკვე ნაცნობი „ქალაქის ხმათა“ (იგივე „ხალხის ურიამული“) და „ქარის უღერადობის“ დაპირისპირებულ წყვილზე მიგვანიშნება:

ყველა შანდალში ჩაქრა სანთელი
და სიბნელეა გადარეზილი;
გავრდა მეზი, ხარობს ქუხილი
და დემონების კორინტელი.

ქალაქი ხმათა, კვეთა-ცელვათა,
ის დღევანდელი და წინანდელი...
და როს დაწყნარდ ქარი ღელვათა,
უცებ აენო ყველა შანდალი. (1, 362)

ანუ „ღელვათა ქარის დაწყნარება“ მეტონიმიურად „ქარის აღტყინებულ უღერას მოასწავებს“.

სათქმელის დასუსტება ტროპოლოგიური ხერხებით, ერთი მხრივ პოეტური ობიექტურობის აღდგენას ისახავს მიზნად, მეორე მხრივ კი ამ გამოუთქმელის ბგერით ვარიანტს წარმოგვიდგენს. მაგალითად ლექსში „ტყემ წამიყვანა!“ (1913) გალაკტიონი ასეთ ვითარებას აღწერს:

მუხის ჩრდილქვეშ მიძებინა და ფოთლები პეპლებივით
მეცემოდენ მთელ სახეზე, აღზნებულზე, სიზმრის სხივით...

რასაც მოსდევს ჩენოვის კარგად ნაცნობი სიტუაცია, თუმცა საზრისის დაზუსტების გზაზე ამჯერად უკვე კეთილხმოვანების სინათლე „ცხადყოფს“ პოეტის ჩუმ და იდუმალ ნაფიქრს:

ვიყავ ჩუმი, ვიყავ ჩუმი და ვხედავდი ცის ლურჯ ტატნობს
და ვფიქრობდი ნათელ ფიქრით ფიქრებს ძელად გამოსაცნობს,
და ფიქრობდა ნათელ ფიქრს ტყე, და იდუმალ ნაფიქრ-ნაგრძნობს
ჩემს ფიქრებში მოგონება ეხლა აფრქვევს, ეხლა აღნობს, ნაფიქრ-ნაგრძნობს...

ლექსი კი მთავრდება მრავლისმეტყველი სტრიქონით:

და სიჩუმემ ნიავივით გამომძახა: მჯერა, მჯერა ეგ სიმღერა.

ლექსში „სანთელი“ (1915), ხსოვნის, წარსულის ხატი ჩნდება:

ღამის ნათელში, მტვერში, მოვარეში,
მიყვარდა სულის შეხება შენი,
თბილისის დაღლილ ქარის თარეში,
კოშკები ძველად ნაგებ-ნაშენი...
...მე მახსოვს შენი ძველი დიდება
და განშორება აწ მუძღველება.

რომელიც მთავრდება შემდეგი სიტყვებით:

ყოველდღე მოღის ახალი ტალღა
მყირალა, სუსტი და დღევანდელი,
და დროშასავით მე მიმაქვს მაღლა
სანთელი... შენი სული, სანთელი.

იმავე პერიოდის კოდევ ერთ ქალაქურ ტექსტში კი გაითხულობთ:

სად დასასრული იყო
ვიწრო, უცნობი ქუჩის,
იდგა სანთლების ჯიღა
და ქნდაკება თუჯის.
ყრიდნენ სანთლები ზოლებს,
ჰქეროდა სიცივე ბინდის
და იგონებდნენ მოლებს,
როგორც დაწყევლილ სინდისს.
იდგა გაშიშის სევდა,
მწარე, ნისლივით ვრცელი,
მას ბურუსებზე ხვევდა
თეთრი ობობას ქსელი.

ანუ აქაც ჩნდება სინათლის მეტაფორები და ნისლოვანება, ნიშნები, რომელიც გალაკტიონის ახალი პოეტიკის ჩამოყალიბებას გვაუწევს.

მაგალითად ლექსში „ყვავილები და ღვინო“ პოეტის პირით კინტო გეგსაუბრება. იგი თავისი არსებობის ვერბალურ სივრცეს მონიშნავს და სახეების მთელ წყებას წარმოგვიდგენს:

შეწი არი მზე და ღვინო,
ყოფნის არე - მზე და ღვინო,

ყვავილებიც, ეშმაკებიც
და სამარეც, მზე და ღვინო.

მანამდე კი ამბობს:

უცხოელი არ გეგონო,
მე ვარ კინტო - მზე და ღვინო.
მე არ მინდა
წყალი წმინდა,
მე ვარ კინტო, მზე და ღვინო.

როგორც ხედავთ, პოეტი უარს ამბობს წმინდა წყალზე, რაც პოეტიკის ენაზე საზრისის სიაშკარავეს უნდა ნიშნავდეს და მღვრიე ღვინისა და მზის უცნაურ წყვილს ირჩევს, ანუ პირობითად რომ ვთქვათ, დიონისურისა და აპოლონურის იღუმალ ნაზავს.

ამგვარი ორობითობა, როგორც უკვე ვნახეთ, საკმაოდ დამახასიათებელი ნიშანია გალაკტიონის ქალაქური ტექსტებისთვის. მისი ქრესტომათიული ლექსი „შემოდგომის დილა“ (1916) სწორედ ასეთი ცვალებადობითა და ორერთობითი განსაზღვრებით იწყება:

ღამით ძლიერი წვიმა მოვიდა,
დილით სიცივე იყო ფარული,
ჰერავდა ქარი მადაოვიდან,
როგორც სიკვდილი და სიყვარული.

ღამისა და დღის, სიკვდილისა და სიყვარულის ამ წყვილებს* მოსდევს მკრთალი სინათლის ფიგურა და შემდეგ, არსებითად გალაკტიონის ახალი პოეტიკის საფუძვლებიც განისაზღვრება:

მაგრამ მზეც იყო რბილი და მკრთალი.
სიყვითლე, ნება ხეთა კვდომისა,**
მე პოეზიით ვიყავი მთვრალი,
დღე იყო ისევ შემოდგომისა.

ხაზგასმული სტრიქონი პირდაპირი მინიშნებაა გალაკტიონის არტისტული (ანუ მკვდარი, ხელოვნური) ყვავილების პოეტიკაზე, იმ „ხელოვნურ ხეგბზე“, რომლებსაც „ქუჩა და ქარვასლა“ უნდა მიეფინოს. აյ ერთმანეთს უპირისიპირდება პოეზია და ბუნება, პოეზიით თრობა და ხეთა კვდომა, ყველაფერ ამას კი შემოდგომის მკრთალი და რბილი მზე დაპნათის.

დამოწმებანი:

პოლ დე მანი 1999: Поль де Ман. *Аллегории чтения. Фигуральныи язык Русс., Ницше, Рильке и Пруста.* Екатеринбург: 1999.

ხარბედია 2002: ხარბედია მ. გალაკტიონის ქალაქური ტექსტი (ნაწილი პირველი). გალაკტიონოლოგია. I. თბ.: 2002.

Malkhaz Kharbedia

Urban text of Galaktion. The poetry of Even

Summary

The publication represents one chapter of the earliest version of “Urban Text of Galaktion“. In the early Urban Texts some poetic forms are introduced which the author later uses not only in consequent Urban Texts

* მდრ. დემან შენგელაიას რომანი „ტფილისა“: ტფილისის სიყვარულით აზურდა ოქროს ქურქანი სპარსული სამეფო ვეფხვი, გაღმოველო თრიალეთის მთებს და სიკვდილი და სიყვარული იხილა ერთბასად. შაშხანის ტყვიით განგმირული ჩამოატარეს ის ქართველმა გლეხებმა სათიბე ურმით და ურემი მოდიოდა ისე, თითქოს ციდან ჩამოლებული ოქროს ჯავარიანი მზე მოჰქონდათ“. („მნათობი“ 1927, 1-2, 43გვ.).

** მდრ. „შემოდგომის დღე მისცემოდა უსაზღვრო დუმილს, / მთაწმინდა – მშვიდი და მოყვითალო“ (1, 333).

but also through his poetry. Obviously the early poetry of Galaktion is free from “Poetization of Existence”, so usual among other young poets. Galaktion prefers to rely on the experience of predecessor authors. To use the apt remark of a renowned philologist, Galaktion’s poetry leaves the impression of „Stylistic Esperanto“. It is true however that closer to the period when Galaktion starts to create his Urban Texts, this Esperanto changes to disclose the author’s own search; the later involves different techniques of repetitions and clarifications, as well as phrases based on mirror effects, and „reflections“ of syntax. The use of analogy, repetition and ellipsis is common, as if to demonstrate the author’s aptitude for repetitions, the technique that Galaktion uses to describe his own state of mind. We believe that this condition describes the conception process of Galaktion’s poetic style; also, later Urban Texts show lying ahead hints of difficulties that are connected with creation of a new poetic language.

ლეგან ცაგარელი

რა არის ფანტასტიკური ლიტერატურა?

1. ექსპურსი ფანტასტიკური ლიტერატურის თეორიაში

ლიტერატურული ენა კონვენციური ენაა, რომელშიც სიმართლის დამტკიცება შეუძლებელია: სიმართლე მიმართება სიტყვებსა და იმ საგნებს შორის, რომლებსაც სიტყვები აღნიშნავენ, ლიტერატურაში კი ეს საგნები არ არსებობს.

ცვეტან ტოდოროვი

ტერმინი ფანტასტიკა (ბერძნ. *phantastikos*) წარმოსახვასთან დაკავშირებულს ნიშნავს. ფანტასტიკის, როგორც ლიტერატურული ჟანრის, განსაზღვრა ერთობ როგორც აღმოჩნდა. ლიტერატურათმცოდნეობაში დღემდე ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ლიტერატურული ფანტასტიკა. საქმეს კიდევ უფრო ართულებს ის გარემოება, რომ XX ს-ში ცნება გაფართოვდა და ის ავტომატურად დაუკავშირდა უტოპიას, ფენტეზისა (Fantasy) და ე.წ. მეცნიერულ ფანტასტიკას (Science Fiction) როგორც მონათესავე უნირებს. ამასთან, სიტყვა ფანტასტიკა დასავლეთ ევროპაში სხვაგვარად ესმით, აღმოსავლეთ ევროპაში კი ამ ცნებაში მხოლოდ მეცნიერული ფანტასტიკა მოიაზრება. უნდა ითქვას ისიც, რომ XX ს-ის 70-იან წლებამდე ფანტასტიკურ ლიტერატურას მხოლოდ საფრანგეთში ექცეოდა სათანადო ყურადღება, გერმანიასა და ინგლისში კი ფანტასტიკა, როგორც ჩანს, ლიტერატურის მარგინალურ მოვლენად ითვლებოდა და შესწავლის ობიექტიად ქცევას არ იმსახურებდა. ერთი შეხედვით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ცნობილი ბულგარელი ლიტერატურათმცოდნის, ცვეტან ტოდოროვის თეორიის გავრცელების შემდეგ ვითარება შეიცვალა: იმართება საერთაშორისო კონგრესები, იქმნება ბიბლიოგრაფიები და მეცნიერული კრებულები, არსებობს სპეციალური ბიბლიოთეკები და ეს ყველაფერი თითქოს ფანტასტიკური ლიტერატურის კვლევის არსებობაზე მეტყველებს, თუმცა სინამდვილეში ამ დარგში არსებული ტერმინოლოგიური ანარქია გამორიცხავს ყოველგარ მეცნიერულ სიზუსტეს. არსებობს მეცნიერთა ისეთი ჯგუფიც, რომელიც საერთოდ უარყოფს ფანტასტიკის არსებობას; მაგალითად, ჰ. ჰოლენდერი მას ისეთსავე ესთეტიკურ კატეგორიად მიიჩნევს, როგორიცაა მშვენიერი, მანინჯი, ამაღლებული, შესაბამისად, მკვლევარს დასაშვებად მიაჩნია ამ ცნების გამოყენება ეპიკური ლიტერატურის ფარგლებს გარეთაც (ლირიკაში, დრამაში, მუსიკაში, სახვით ხელოვნებაში). ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ფანტასტიკის ცნების განსაზღვრა საერთოდ შეუძლებელია, ანდა სულაც არ არის საჭირო იმდენად, რამდენადაც ის საყოველთაოდ გასაგებია. შეიმჩნევა, აგრეთვე, აბსურდული ტენდენცია, ფანტასტიკურად იქნება მიჩნეული ყველა ის ნაწარმოები, რომლის ქვესათაურმიც შესაბამისი მითითება მოიპოვება ან რომელსაც თვითონ ავტორი აცხადებს ასეთად. ამ ქაოსის მიუხედავდ, ფანტასტიკური

ლიტერატურის თეორიის განვითარების მოცემულ ეტაპზე შეიძლება გამოვყოთ დეფინიციათა ორი ჯგუფი – მაქსიმალისტური და მინიმალისტური.*

მაქსიმალისტი თეორეტიკოსების შეხედულებით, ფანტასტიკური ლიტერატურა მოიცავს ყველა იმ ტექსტს, რომლის მხატვრულ სამყაროშიც ირღვევა ბუნებრივი (ფიზიკური) კანონები. ასეთ შემთხვევაში ფანტასტიკის უანრში ექცევა მხატვრული ლიტერატურის ძალიან დიდი ნაწილი – ბიბლიოიდან და ანტიკური მითებიდან ვიდრე მეცნიერულ ფანტასტიკამდე და ზღაპრებამდე. ფანტასტიკური ნაწარმოებების საერთო ნიშანი მაქსიმალისტურ თეორიებში გახლავთ ის, რომ აქ აღწერილი მოვლენები ბიოლოგიის, ფიზიკისა და ქიმიის კანონებთან დაპირისპირების გამო სრულდად გამორიცხულია ჩვენს ნაცონბ სამყაროში (ფრიკე 1981). ანალოგიურად მსჯელობს თეოდორ ფ. ადორნოც: „ფანტასტიკური ხელოვნება, რომლის ნიშნებიც რომანტიზმში, მანიერიზმსა და ბაროკოში გვაქვს, არარსებულს არსებულად წარმოადგენს“ (ადორნო 1995: 28).

მაქსიმალისტები ხშირად გარელიტერატურულ, ექსტრაფიქტიუმებს მიმართავენ მონათესავე უანრებისგან ფანტასტიკის გასამიჯნად (ლემი, დიორინგი, ფიშერი, სუვინი, ვილპერტი). მაგალითად, ლოვერაფტი და პენზოლდტი შიშს, რომელიც ფანტასტიკური ტექსტის კითხვის დროს აღმერის მკითხველს, უანრის ერთ-ერთ მთავარ მახასიათებლად თვლიან. ტოდოროვი მართებულად დასცინის ამგვარ ვარაუდს. მისი აზრით, ამ შემთხვევაში ლიტერატურული ნაწარმოების უანრი მკითხველის ნერვების გამძლეობაზე იქნებოდა დამოკიდებული. მაქსიმალისტებისთვის კიდევ ერთ დამხმარე კრიტერიუმს წარმოადგენს ავტორი; ლუი ვას (Vax) შეხედულებით, ფანტასტიკურია ყველა ის ნაწარმოები, რომელთა ავტორებსაც თავიანთი მონათხრობისა არ სკერათ. ცხადია, ავტორის ფაქტორი არ გამოიგება უანრის განსაზღვრისათვის, რადგან ის არ წარმოადგენს ტექსტის სტრუქტურულ ელემენტს.

ზოგი მკვლევარი მაქსიმალისტური დეფინიციების ფარგლებში დამატებით კლასიფიკაციას მიმართავს და ერთმანეთისგან გამოყოფს განსაზღვრებებს, რომლებიც, ერთი მხრივ, გარელიტერატურულ ფაქტორებზეა ორიენტირებული, და, მეორე მხრივ, განსაზღვრებებს, რომლებშიც შიდალიტერატურული კრიტერიუმებით ცდილობს უანრის დადგენას. თუ გარელიტერატურულ თეორიებში ფანტასტიკას შიშის ფაქტორს უკავშირებენ და ბნელი იმპულსების გამოხატულებად განიხილავენ (რ.ა.ცონდერგელდი), საზოგადოებრივი შეხედულებების მიმართ ოპოზიციური დამოკიდებულებით ახასიათებენ (ვ. ფრონიდი), ან კიდევ – ესოეტიკურ კატეგორიად, სტილად (ჰ. ჰილენდერი) და ანტირაციონალურ ადამიანურ დისკურსად (ჰაასი) მიიჩნევენ, შიდალიტერატურულ დეფინიციებში ხშირ შემთხვევაში საუბარია დუალისტურ სტრუქტურაზე, რომელსაც სხვადასხვა ავტორთან განსხვავებული სახელით ვხვდებით: რ.კელუას (Caillois) აზრით, ფანტასტიკა ყოველდღიურ სამყაროში გაჩერილი ნაპრალია (Riß); ლ. ვა მას – რეალურსა და შესაძლებელს შორის კონფლიქტად (Konflikt) მიიჩნევს, უ.ჟაკემენის (Jacquemin) შეხედულებით, ფანტასტიკა სხვა არაფერია, თუ არა უწესრიგობის შეჭრა (Einbruch) ყოველდღიური სამყაროს მოჩვენებით წესრიგში, ვ.ფრონიდი მას ირეალურთან ყოველდღიური სინამდვილის შეჯახებას (Konfrontation) უწოდებს, უფინო – ზებუნებრივთან თამაშს (Spiel mit dem Übernatürlichen), ა. ზგოუელსკი კი – ფიქტიური სამყაროს შიდა კანონების რღვევას (Bruch der inneren Gesetze).

მაქსიმალისტური თეორიებისგან საგრძნობლად გამოიჩევა სწორედ ზგოუელსკის განსაზღვრება. მისი აზრით, ფანტასტიკური ელემენტის გამოჩენა მთლიანად დამოკიდებულია ამა თუ იმ ლიტერატურული უანრის კონვენციურ თავისებურებებზე. ფანტასტიკის ფუნქცია ამ კონვენციებთან დაპირისპირებაა. ის ჩნდება მაშინ, „როცა ირღვევა ფიქტიური სამყაროს შინაგანი კანონები. [] ფანტასტიკა აღმულ უნდა იქნას, როგორც შიდა ლიტერატურული კანონების რღვევის შედეგი და არა – როგორც ობიექტური რეალობის კანონების რღვევისა“ (ზგოუელსკი 1975: 35).

ზგოუელსკის თეორიის ღირსება ის გახლავთ, რომ მასში მკაფიოდაა გამიჯნული ფიქცია და სინამდვილე, რის გამოც ექსტრალიტერატურული კრიტერიუმების მოშველიება ფანტასტიკური ლიტერატურის განსაზღვრისათვის ზედმეტი ხდება.

* მოცემული ექსკურსი ძირითადად მისდევს უკე დურსტის მონოგრაფიის ხაზს (დურსტი 2001).

მაქსიმალისტური დეფინიციებისგან განსხვავებით, მინიმალისტურ დეფინიციებში, განსაზღვრული როლი ეკისრება დაუჭვებას ზებუნებრივი მოვლენების შიდაფიქტიურ არსებობაში. მინიმალისტური თეორია ეფუძნება გარკვეულ ტრადიციას, რომელიც სათავეს გი დე მოპასანთან, ვლადიმირ სოლოვიოვთან, ბორის ტომაშვესკისა და მ. ჯეიმსთან იღებს. ამ ავტორებთან უკვე იკვეთება აზრი, რომ ფანტასტიკურ ლიტერატურაში შესაძლებელია მომხდარის ორგვარი ახსნა, სახელდობრ – საბუნებისმეტყველო კანონების მიხედვით ან მათი გამორიცხვით. ამდენად, ფანტასტიკური ლიტერატურა ემყარება გადაულახავ დაპირისპირებას ორ შეუთავსებელ ახსნას შორის. ცვეტან ტოდოროვის „ფანტასტიკური ლიტერატურის თეორიის შესავალი“ (1970 წ.) პირველი მეცნიერული გამოკვლევაა, რომელსაც მოცემული შეხედულება უდევს საფუძვლად.

ტოდოროვი განსაზღვრავს ფანტასტიკას, როგორც ორი ურთიერთგამომრიცხავი სინამდვილის თანარსებობას, რომელთაგან ერთი ბუნებრივი, მეორე კი – ზებუნებრივი ხასიათისაა. როგორც კი ტექსტში კეთდება არჩევანი რომელიმე სინამდვილის სასარგებლოდ, იგი უანრის ფარგლებიდან გადის და მონათესავე უანრში გადადის. ფანტასტიკის საფუძველია მხატვრული სამყაროს კანონებში დაეჭვება, ე. ი. ფანტასტიკა ერთგვარი მერყეობაა (ფრ. hesitation, გერმ. Unschlüssigkeit). ტოდოროვი გვთავაზობს შემდეგ დიაგრამას:

წმინდა საშინელი	ფანტასტიკური საშინელი	ფანტასტიკური საოცარი	წმინდა საოცარი
--------------------	--------------------------	-------------------------	-------------------

წმინდა საოცარის (le merveilleux pur; unvermischt Wunderbares) უანრში სამყაროს ბუნებრივი წყობა დარღვეულია (როგორც, მაგალითად, ზღაპარში). წმინდა საშინელში (l'étrange pur; unvermischt Unheimliches) ეს წყობა შენარჩუნებულია, მოვლენები რაციონალურ ახსნას ექვემდებარება, თუმცა გარკვეული ნიშნით მაინც დაუჯერებელი, უცნაური, შემაშფოთებელი, გაუგონარი ან აღმაშფოთებელია. ფანტასტიკურ საშინელში (le fantastique-étrange; hantastisch-Unheimliches) ერთი შეხედვით ზებუნებრივ მოვლენას საბოლოოდ ბუნებრივი ახსნა მოეძებნება; იგი ან მოტყუების შედეგია, ან თრობისა თუ სიგიჟის, ანდა შემთხვევითობა და უბრალო ზმანებაა, ფანტასტიკურ საოცარშიც (le fantastique-merveilleux; Phantastisch-Wunderbares) თავიდან გაურკვეველია, ძალაშია ფიზიკის კანონები თუ არა, ფინალში კი ზებუნებრივის არსებობა უდავოა. ამ ორ უკანასკნელ უანრს შორის ტოდოროვი ათავსებს წმინდა ფანტასტიკის უანრს (le fantastique pur; unvermischt Phantastisches): „ფანტასტიკა არის გაურკვევლობა, რომელსაც ფიზიკის კანონების მცოდნე ადამიანი განიცდის ისეთ მოვლენასთან შეხვედრისას, რომელიც ზებუნებრივად გაძოიყურება“ (ტოდოროვი 1992: 25).

ფანტასტიკას ყოველ ფეხის ნაბიჯზე გაქრობა ემუქრება, რის შემდეგაც მონათხრობი ან საოცარი გახდება, ან – საშინელი. ამდენად, წმინდა ფანტასტიკა არის უანრი, რომელშიც მერყეობა, გაურკვევლობა ტექსტში ბოლომდე შენარჩუნდება.

ტოდოროვის დეფინიცია პარადიგმატული გამოდგა ფანტასტიკის თეორიაში, თუმცა ზოგიერთი თეორეტიკოსის სასტიკი გულისწყრომაც დაიმსახურა. განსაკუთრებით ცნობილია სტანდარტული ლექტინგი. იგი ტოდოროვს „უზურავოროსა და დოგმატიკოსს უწოდებს და უამრავი ნაწარმოების „უსამშობლოდ“ დატოვებას სდებს ბრალად. ანტიმინიმალისტური კონცეფციაა გატარებული აგრეთვე მთელ რიგ უურნალებში, რომლებიც 70-იანი წლებიდან იძებებდა გერმანიაში და ვას, კელუასა და პენცოლდტის კლასიკად ქცეული ნაშრომების თარგმანებს აცნობს გერმანელ მკითხველს. ეს გახლავთ რ. ცონდერგელდის ალმანახი ფაიკონი (1974-1982 წწ.) და ფრანც როტენშტაინერის რედაქციით გამოცემული სტატიების ორი კრებული (Quarber Merkur და Die dunkle Seite der Wirklichkeit). იგივე ითქმის ქ. ოომსენისა და ი. მ. ფიშერის მიერ გამოცემულ მეცნიერულ ანთოლოგიაზეც (Phantastik in Literatur und Kunst). მასში თავმოყრილი კონცეფციები იმდენად განსხვავდება ერთმანეთისგან, რომ რაიმე ერთიან პოზიციაზე ლაპარაკი ზედმეტია. აღნიშნული ტერმენცია უკიდურესობას აღწევს ვ. ფრონდის წიგნში; აქ შემუშავებულია ფანტასტიკური ლიტერატურის განვითარების ახალი მოდელი, რომელიც გოეთესთან იდებს სათავეს და თომას ბერნჰარდთან მთავრდება.

შტეფან ბერგი ტოდოროვს დაცინვით სტრუქტურულ რაინდს უწოდებს და ფანტასტიკურ ლიტერატურას ახალი ეპოქის კრიზისული აზროვნების გამოხატულებად მიიჩნევს. ბრიტნახერი de facto იზიარებს ტოდოროვის მოდელს, თუმცა ფანტასტიკის ესთეტიკურ ღირებულებად მაინც შემზარავი ეფექტის (Horror) მოხდენის უნარს აცხადებს, რითაც საკითხისადმი მაქსიმალისტურ მიღვმას ამჟღავნებს. ცერზოვსკი ტოდოროვისეულ მერყეობის ცნებას უნივერსალურ გაურკვევლიბამდე აფართოებს. ანალოგიურად, ღუთიც ფანტასტიკის უანრს მიაკუთვნებს ყველა იმ ნაწარმოებს, რომლებშიც თავს იჩენ ამბივალენტობა, ორაზროვნება. ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს, ამ ამბივალენტობას ბუნებრივისა და ზებუნებრივის დაპირისპირება იწვევს, თუ არა. უაკ ფინი მერყობას ფანტასტიკური მოქმედების განვითარების მხოლოდ ერთ ფაზად მიიჩნევს, რომლის შემდეგაც ტექსტი აუცილებლად გადაიქცევა ან ზებუნებრივი ან ბუნებრივი ამბის ამსახველ ტექსტად. დიორინგისა და შრიოდერის აზრით, ფანტასტიკური ლიტერატურა ერთდროულად მოიცავს ფანტასტიკური და საოცარი (ტოდოროვის ტერმინოლოგიით) უანრის ნაწარმოებებს. საპირისპირო მიმართულებით აფართოებს ტოდოროვის დეფინიციას მარიანე ვიუნში; იგი ფანტასტიკის უანრს მიაკუთვნებს იმ ნაწარმოებებსაც, რომელიც რაციონალური ახსნის სამუალებას იძლევა (ე.წ. წმინდა სამინელი). ბრუკ-როუზი ფანტასტიკას მხოლოდ ელემენტად მიიჩნევს და მას შუასაუკუნეობრივი ალეგორიის მომდევნო ეტაპად განიხილავს. ვიორთხეს თვალსაზრისით, ფანტასტიკა გულისხმობს ყოველგვარ მერყეობას ნაწარმოებში მონათხრობი ამბის მიმართ იმის განურჩევლად, აქვს იქ ზებუნებრივ მოვლენას ადგილი, თუ არა.

მინიმალისტური თეორიების ასეთი განსხვავებულობის გამო ტოდოროვის კონცეფციის დამკავშირებაზე მსჯელობა ერთობ გადაჭარბებული იქნება. თუმცა, მინიმალისტების შეხედულებებს აშკარა უპირატესობა უნდა მიენიჭოს, რადგან ისინი (მაქსიმალისტურ თეორიებში არსებული სრული ქაოსისგან განსხვავებით) მხოლოდ იმ ტექსტებს მიაკუთვნებენ ფანტასტიკის უანრს, რომლებშიც საოცრების არსებობა ეჭვებება. მონათხესავე უანრის ტექსტებისგან ფანტასტიკური ტექსტების გამიჯვნა მხოლოდ ამ გზით ხდება შესაძლებელი.

2. მხატვრული სინამდვილე და ემპირიული რეალობა

სწორედ ტოდოროვის მინიმალისტური თეორიის საზრის განაგრძობს უვე დურსტი, რომლის გამოკვლევაც, ჩვენი აზრით, ფანტასტიკური ლიტერატურის განსაზღვრისა და სათანადო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების პირველი წარმატებული ცდაა. თავის ვრცელ მონოგრაფიაში დურსტი ეყრდნობა რუსული ფორმალიზმის (იაკობსონი, შკლოვსკი, ტინიანოვი, ტომაშევსკი), აგრეთვე – ფრანგული სტრუქტურალიზმის (რ. ბარტი) თეორიულ მონაპოვარს და ლიტერატურის – როგორც სისტემის – თვითმყოფადობის დებულებაზე აგებს თავის კონცეფციას. ნაშრომის დასაწყისში დურსტს მოყავს ევროპასა და ამერიკაში ჩატარებული გამოკითხვების შედეგები, საიდანაც ირკვევა, რომ კაცობრიობის საკმაოდ დიდ ნაწილს სწამე სხვადასხვა ზებუნებრივი მოვლენებისა და ფანტასტიკურ ლიტერატურაში აღწერილ მოვლენებს სრულიადაც არ მიაკუთვნებს ზებუნებრივთა წყებას. აქედან გამომდინარე, ღურსტის აზრით, აბსურდულია უანრის განმსაზღვრელ კრიტერიუმად ემპირიული სინამდვილის მიჩნევა, მით უფრო, რომ ამგარი სინამდვილე სხვადასხვაგვარად აღიქმება სხვადასხვა ადამიანის მიერ. ემპირიულ შესაძლებლობათა ერთიანი სპექტრი კაცობრიობის ცნობიერებაში არ არსებობს.

ღურსტი მკვეთრად მიჯნავს ერთმანეთისგან მხატვრულ რეალობასა და ემპირიულ სინამდვილეს, რადგან ემპირიის პერსპექტივიდან ნებისმიერ მხატვრულ ნაწარმოებში წარმოდგენილი სამყარო საოცარია. ფიქციაში მოქმედებს მთელი რიგი ისეთი კანონებისა, რომლებიც ეწინააღმდეგება ფიზიკის კანონებს. ისეთი ნარატიული ელემენტები, როგორიცაა ლიტერატურული დრო (თავისი აქრონიული მოვლენებით: პროლეტისი, ანალეფსისი, პაუზა, სუმარული თხრობა და სხვ.), ყოვლისმცოდნე მთხრობელი (რომლის უნარიც, ჩასწვდეს სხვა ადამიანების ფიქრებს, ემპირიულ სინამდვილეში ტელეპათიად ჩაითვლებოდა), ცალკეული მხატვრული ელემენტების ფუნქციური ურთიერთებაშირი (მხატვრულ სამყაროში თითოეულ ფერს, საგანსა თუ ბუნების მოვლენას გარკვეული ფუნქცია ეკისრება და პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება პროტაგონისტის პიროვნებას, მის განწყობას, ანდა მთელი ნაწარმოების ესთეტიკურ შეფყობინებას; ემპირიულ სამყაროში ასეთი ყოვლისმომცველი დეტერმინიზმი შეუძლებელი

იქნებოდა) ლიტერატურაში ფართო გავრცელების გამო კონვენციურ ელემენტებად იქცა და აღარ ტოვებს ზებუნებრივის შთაბეჭდილებას. მკითხველმა იცის, რომ ამგვარი ტელეპატია, მოგზაურობა დროში და ყოველივე არსებულის მაგიური ურთიერთკავშირი ლიტერატურული ფიქციის იმანენტური ატრიბუტებია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ზოგადად მხატვრული ლიტერატურა საოცარი და ზებუნებრივი ხასიათისაა, უანრის მიხედვით განსხვავებულია მხოლოდ ამ ზებუნებრიობის გაშიშვლების ხარისხი (დურსტი 2001: 81).

დურსტს შემოაქვს რეალობის სისტემის (Realitätssystem) ცნება, ესაა იმ კანონების ორგანიზაცია, რომლებიც ფიქტიურ სამყაროში მოქმედებს. ერთნაირი რეალობის სისტემის მქონე ტექსტები ქმნაან ლიტერატურულ ტრადიციას. ეს ტრადიცია დროდადრო ევოლუციურ ცვლილებებს განიცდის, თუმცა ლიტერატურული ნორმის სტატუსს ნებისმიერ შემთხვევაში ინარჩუნებს. ამავე დროს, ყოველთვის არსებობს ტექსტები, რომლებშიც ირლვევა დამკვიდრებული ლიტერატურული ნორმის კონვენციები. ზღაპრები და ფენტეზის უანრის ნაწარმოებები ლიტერატურული ნორმიდან გადახვევის სწორედ ასეთ შემთხვევებს წარმოადგენს. ამ ანტინომიაზე დაყრდნობით აგებს დურსტი რეალობის სისტემათა ნარატიული სპექტრის მოდელს, რომლის ერთ პოლუსზე ნორმატიული რეალობა (ე.წ. რეგულარული სისტემა R) თავსდება, მეორეზე – დევიაციური რეალობა (საოცარი სისტემა W), სპექტრის შუაში კი დგას ფანტასტიკა (ე.წ. არასისტემა N):



დურსტის აზრით, რეალისტურია ყველა ის ტექსტი, რომელშიც დაფარულია, მიჩქმალულია მხატვრული ხერხების იმანენტური ზებუნებრიობა; საოცრების უანრში კი ხორციელდება ამ მხატვრული ხერხების პაროდიული გაშიშვლება (Bloßlegung). სპექტრის პოლუსების ნორმირება ხდება მათი ერთმანეთისგან განსხვავების (დევიაციის) საფუძველზე: საოცრება იმდენადვეა რეალიზმისაგან გადახვევა, რამდენადაც რეალიზმი – საოცრებისგან. ამდენად, საოცრების უანრი არსებობს მხოლოდ რეგულარული სისტემის ფონზე, რომელიც ლიტერატურის საურთო კონვენციურობის გამო არასაოცრად გვეჩენება, სინამდვილეში კი ისიც სავსებით საოცარია.

ნარატიული სპექტრი, დურსტის მიხედვით, XVIII ს-ში რეალიზმის ნორმირების შემდეგ ჩამოყალიბდა. რეალისტური სისტემის წარმოქმნამ, რომლის წიაღიდანაც საოცრება განდევნილ იქნა, განაპირობა საოცრებისა და ფანტასტიკის უანრების განვითარება. ამ განვითარების პირველი შედეგი გახლდათ გოთური რომანი, პირველ ფანტასტიკურ ნაწარმოებად კი მიჩნეულია ჟაკ კაზოტის (Jacques Cazotte) *Le diable amoureux* (1776 წ.).

3. ფანტასტიკა როგორც არასისტემა

რეალიზმისა და საოცრების უანრებისგან, რომლებიც სისტემური ხასიათისაა (ანუ გარკვეული შინაგანი კონტერნტულობით, ბმულობით, ურთიერთშეკავშირებულობით ხასიათდება), ფანტასტიკა თავისი არაკონტერნტულობით გამოირჩევა, რის გამოც არასისტემადაც (Nichtsystem) შეიძლება იწოდებოდეს. ფანტასტიკურ ნაწარმოებში ორი (რეგულარული და საოცარი) რეალობის სისტემის კანონები ებრძვის და გამორიცხავს ერთმანეთს, რის შედეგადაც ორივე მათგანი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება და, ამგვარად, გაურკვევლობის, ამბივალენტობის მიზეზად იქცევა. საოცრების უანრისგან განსხვავებით, ფანტასტიკა არ ფლობს არავითარ (ერთიან) რეალობის სისტემას; შესაბამისად, ამ ორი უანრის ურთიერთაღრევა მაქსიმალისტური თეორიების უხეშ შეცდომად უნდა ჩაითვალოს.

დურსტი იზიარებს ტოდოროვის მიერ დასახელებულ ფაქტორებს, რომლებიც ნაწარმოების ფანტასტიკურობას ცხადყოფებ:


1. იმპლიციტური მეთხველის გაურკვევლობა, დაბნეულობა მოთხოვნილი სამყაროს კანონებთან მიმართებაში;
2. ამ გაურკვევლობის განცდა და წარმოლებენა რომელიმე მოქმედი პირის მიერ;
3. ალეგორიული და პოეტური ინტერპრეტაციის უგულებელყოფა.

ფანტასტიკური უანრის ტექსტში უნდა არსებობდეს ე.წ. „რეალობასთან შეუთავსებლობის კლასიფიკატორი“ (Klassifikator der Realitätsinkompatibilität). ეს კლასიფიკატორი გახლავთ

ერთგვარი მარკირება, რომლითაც ესა თუ ის მოვლენა რეალობის სისტემური წესრიგის დარღვევად ცხადდება. ამგვარი მარკირება შეიძლება განხორციელდეს ექსპლიციტურად – მთხოვნელის ან რომელიმე მოქმედი პირის გამონათქვამში, ან იმპლიციტურად – რეალობის სისტემის აქტუალიზებული ტრადიციის საფუძლიანი დარღვევის შემთხვევაში.

ვიორთხემ სამართლიანად შენიშვნა, რომ ტოლოროვის თეორიაში უგულებელყოფილია მთხოვნელის ინსტანცია, და თვითონ შეეცადა ამ ხარვეზის შევსებას. მისი აზრით, მთხოვნელის დესტაბილიზაცია ფანტასტიკური ლიტერატურის საფუძველს წარმოადგენს იმდენად, რამდენადაც სწორედ მთხოვნელის ავტორიტეტი უზრუნველყოფს რეალობის სისტემურ კოჰერენტულობას. ამდენად, მთხოვნელის ინსტანციის დესტაბილიზაცია ფანტასტიკის აუცილებელი პირობაა. ეს დესტაბილიზაცია შეიძლება ხდებოდეს მიკროსტრუქტურულ დონეზე მოდალიზაციისა (თხრობაში ისეთი გამოთქმების ჭარბი გამოყენებით, როგორიცაა „თთოქის“, „ვითომ“ და ა.შ.) და გრამატიკულად დარღვეული სტილის მეშვეობით (ქაოტური, ურთიერთდაუკავშირებელი ფრაზების, ანაკოლუთის ჭარბი გამოყენებით), მაგრამსტრუქტურულ დონეზე კი ურთიერთგამომრიცხავი პერსპექტივების სიმრავლითა და ავტორიტეტული მთხოვნელის ინსტანციის არასისტობით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ურთიერთსაპირისპირ პერსპექტივების გადაკვეთა (რომელთაგან ერთი ზებუნებრივ მოვლენას უარყოფს, მეორე კი ამტკიცებს) შეუძლებელს ხდის სისტემურ სიტუაციაში გარკვევას.

დურსტი ახდენს ნარატიული რეალობის სისტემების კლასიფიკაციას მობილურობისა და სტაბილურობის კატეგორიების მიხედვით:



მოძრავია ნარატიული რეალობის ყველა ის სისტემა, რომლებშიც თხრობის დროს რეალობის სისტემის ცვლა ხდება (ე.წ. ნახტომი), შესაბამისად, უძრავია სისტემა, რომელშიც ნახტომი საერთოდ არ გვხვდება. სტაბილურია ის სისტემა, რომელშიც კანონების ერთიანი სისტემა მოქმედებს, ან ერთ სისტემას ბუნებრივად ენაცვლება მეორე მათგანი (მაგალითად, „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“: $R = W + R$; „დორიან გრეის პორტრეტი“ $W = R + W$). ლაბილური კი ყველა ის სისტემაა, რომლებშიც მოქმედების განვითარების გარკვეულ ეტაპზე ორივე სისტემას უპირისპირებს ერთმანეთს, რის გამოც გაურკვეველი ხდება, თუ შესაძლებლობათა რომელი სისტემა მოქმედებს მოცემულ სამყაროში (სწორედ ასეთია, მაგალითად, დეტექტიური რომანის ტიპიური სტრუქტურა: $R = N + R$), ამ გაურკვევლობის ბოლომდე შენარჩუნების შემთხვევაში საქმე გვაქვს ფანტასტიკურ ნაწარმოებთან ($N = W + N$; $N = R + N$; $N = N$). ამდენად, ფანტასტიკური ნაწარმოები ორი ძირითადი თვისებით ხასიათდება – ლაბილურობითა და მობილურობით.

4. ფანტასტიკური ელემენტის ცნება

თავის მონოგრაფიაში დურსტი ეთანხმება ტოლოროვის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ფანტასტიკისა და საოცრების უანრების თემატური მასალა ერთმანეთისგან არ განსხვავდება. ამ უკანასკნელისგან ფანტასტიკურ ნაწარმოებს განასხვავებს, ერთი მხრივ, აღქმის თემატიზება მთხოვნელი ინსტანციის დესტაბილიზაციის გზით, მეორე მხრივ კი – ლიტერატურული კანონების გაშიშვლების ხარისხი. დურსტი ავითარებს საოცრების თემატური მასალის „გრამატიკას“; ის ცდილობს რ. ბარტის ნარატოლოგიურ თეორიაზე დაყრდნობით ახსნას ფანტასტიკური ელემენტის ბუნება.

რ. ბარტი თავის „მოთხოვნელთა სტრუქტურული ანალიზის შესავალში“ განარჩევს თხრობის სამ დონეს (შრეს): თხრობა, მოქმედება და ფუნქციები. ეს უკანასკნელი თხრობის უმცირეს ერთეულებს წარმოადგენს, მათში ბარტი განასხვავებს ინდექსებს და ფუნქციებს ვიწრო გაგებით. ფუნქციები ვიწრო გაგებით დამატებით იყოფა კარდინალურ ფუნქციებად (ანუ ბირთვებად) და

კატალიზებად. კარდინალური ფუნქცია თხრობის ის მომენტია, რომლიდანაც მოქმედება შეიძლება რამდენიმე აღტერნატიული მიმართულებით განვითარდეს. ორ კარდინალურ ფუნქციას შორის კატალიზები თავსდება; კატალიზები მხოლოდ ქრონოლოგიური ერთულებია, კარდინალური ფუნქციები კი ერთსა და იმავე დროს ქრონოლოგიურიცაა და ლოგიკურიც. ბირთვების ლოგიკურ თანმიმდევრობას, რომელიც სოლიდარობის პრინციპს ემყარება, ბარტი მწკრივს უწოდებს. მაგალითად, სიგარეტის შეთავაზება, გამორთმევა, ანთება, მოწევა არის ერთი მწკრივის შემადგრნელი კარდინალური ფუნქციები, რომელთაგან თითოეული – მოვლენების აღტერნატიულ განვითარებას გვთავაზობს. ყოველი მწკრივი დაკავშირებულია ლიტერატურულ ტრადიციასთან, ყოველი მწკრივი, რომელიც ტექსტში შეიძლება შეგვხვდეს, ინტერტექსტობრივად უკავშირდება მწკრივებს, რომლებშიც ლიტერატურულ კოსმოსში (სხვა მოთხოვებში) არსებობს, და ააქტიურებს შესაბამისი მწკრივის ტრადიციას. მაგალითად, ფუნქცია მოუცება ჩვენს ცნობიერებაში ააქტიურებს მოტაცების მთელ იმ პროცესს, რომელსაც სხვა მოთხოვებიდან ვიცნობთ (ბარტი 1988: 119).

დურსტი ეთანხმება ციმერმანის დაკვირვებას: „როცა ფუნქციათა მწკრივში ერთი წევრია გამოტოვებული, მაშინ საოცრებასთან გვაქვს საქმე, რადგან რეალისტურად თხრობაში მხოლოდ სრული რიგი შეიძლება ჩაითვალოს“ (ციმერმანი 1982: 108; 206).

მაგალითად, მეტამორფოზა სხვა არაფერია, თუ არა გაცვლის დაზიანებული, ნაკლოვანი მწკრივი: ამ მწკრივის შემადგენელი ფუნქციები (ობიექტი A-ს მოშორება და ობიექტი B-ს მოტანა A-ს ძალისად) მოკლებულია პირველ წევრს. ანალოგიურად: გაქრობა ადგილის შეცვლის ნაკლოვანი მწკრივია, ვამპირი კი შეზღუდული სასიცოცხლო ციკლის მწკრივის პერსონიფიკაციაა და ა.შ. ფანტასტიკური ელემენტი შეიძლება წარმოიქმნას აგრეთვე ორი ისეთი მწკრივის კომბინაციის გზით, რომლებიც კაუზალურად ერთმანეთს არ უკავშირდება. მაგალითად, სანთლების ანთება ოთახში ჯადოქრის შესვლისთანავე წარმოადგენს ფუნქციათა ორი (კაუზალურად ერთმანეთთან სრულიად დაუკავშირებელი) მწკრივის – ადგილის შეცვლისა და ცუცხლის ანთების – შერწყმას.

საოცრების ჟანრში ნაკლულ ფუნქციურ მწკრივს ნორმატიული სტატუსი ენიჭება, რეალიზმში კი მხოლოდ სრული მწკრივი ითვლება ნორმატიულად. სინამდვილეში, რეალისტურ თხრობაშიც უამრავ მწკრივისმიერ ხვრელს (ელითესისი, ე.წ. მინუს-ხერხი) ვაწყდებით. სხვანარად თხრობა შეუძლებელიც იქნებოდა, რადგან ყველაფრის მოყოლა არასდროს ხერხდება, მაგრამ რეალისტური კონკრეტია ცდილობს ამ ნაკლულობათა მიჩქმალვას, ფანტასტიკური და საოცარი ჟანრის ლიტერატურას კი წინა პლანზე გამოაქვს ისინი. ამდენად, ფანტასტიკური (საოცარი) მოვლენა გაშიშვლებული, თემად ქცეული მწკრივისმიერი ხარვეზი ყოფილა.

5. ფანტასტიკის დაბადება და აღსასრული

ფანტასტიკური ლიტერატურის წინამორბედად მკვლევარები ზღაპარსა და ბიურგერულ რომანს მიიჩნევენ. უფრო მართებული ჩანს დურსტისა და შრიოდერის მოსაზრება, რომლის მიხედვით, საოცრების სტრუქტურული გარდაქმნა ფანტასტიკად თქმულების (Sage) უანრში მომზადდა, რადგან პირველად სწორედ აქ ხდება გაუგონარი, საოცარი მოვლენის ჩართვა ისტორიულ სინამდვილეში. მონათესავე ჟანრებთან (მეცნიერული ფანტასტიკა, უტობია, ფენტეზი, ზღაპარი (W=W)) ფანტასტიკას მხოლოდ თემატური მასალა აკავშირებს, სტრუქტურულად კი არაფერი აქვს მათთან საერთო (N=R+N; N=W+N; N=N), თუმცა, დურსტს მოყავს რამდენიმე მაგალითი, სადაც ამ ჟანრების შერწყმა ხდება (მაგალითად, ლტიკის „ქერა ეკბერტი“).

ტოდოროვი ფიქტობდა, რომ ფანტასტიკამ როგორც ჟანრმა XX ს-ში არსებობა შეწყვიტა, რადგან ადამიანის არაცნობიერის გამოვლენის მისია ახლა ფიქრონალიზმი იყისრა. დურსტი ამ აზრს არ იზიარებს და მსჯელობს ჟანრის გაფართოების შესახებ: XIX ს-ის რეალიზმის ნაცვლად XX ს-ში ჩნდება თანამედროვე რეალიზმის ახალი ფორმები, რომლებმაც ცნეს მიმეზისის შეუძლებლობა და სინამდვილის რეპროდუციებას აღარ ცდილობენ. სიმპტომატურია ამ მხრივ ნარატიული ხერხების გართულება, ყოვლისმცოდნე მთხოვბლის გაუქმება და სხვ., მაგრამ რეალიზმის განვითარება განაპირობებს ფანტასტიკის ევოლუციას და არა მის „სიკვდილს“. ტოდოროვი ფანტასტიკის სიკვდილს უკავშირებდა ისეთი ტექსტების არსებობას, როგორიცაა კაფკას „მეტამორფოზა“. დურსტი დეტალურ რეფერატს უთმობს ამ საკითხს და ასკნის, რომ

კაფების ნაწარმოები ახალი უანრის ჩამოყალიბებაზე მეტყველებს, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ფანტასტიკის უანრი წყვეტს არსებობას. „მეტამორფოზის“ შემთხვევაში დურსტი საუბრობს გაუფორმებელი, უძრავი სისტემის შესახებ ($W=W$). სიტყვა გაუფორმებელი (unausformuliert) გულისხმობს, რომ საოცარის ელემენტები აქ მოკლებულია ერთმნიშვნელოვან მოტივაციასა და ლოგიკურ კავშირს. ასეთ მხატვრულ სამყაროში შეუძლებელია მოქმედი კანონების ერთიანი სისტემის დადგენა, რადგან ეს კანონები ტექსტში ან მხოლოდ მინიშნების სახით, ან სულაც თავისთავად გასაგებ მოვლენად არის წარმოდგენილი.

უანრები, რომლებიც ფანტასტიკის არსებობას გამორიცხავს, გახლავთ პოეზია და იგავი. პოეზია მიზნად არ ისახავს წარმოსახული სამყაროს (დიეგეზისის) გადმოცემა-ასახვას და, ამდენად, საერთოდ მოკლებულია რეალობის სისტემას. პოეზიაში ფანტასტიკის განხორციელება მისი სტრუქტურული თავისებურებების გამო პრაქტიკულად გამორიცხულია, რადგან ის მჭიდროდ არის დაკავშირებული ნარატიულობასთან (თხრობითობასთან): ფანტასტიკა შეიძლება მხოლოდ ზებუნებრივი პერსონაჟის გამოჩენით თუ მოვლენით გამოვლინდეს, მოვლენას (Ereignis) – ანუ ტექსტში გაცხადებული „წესრიგის“ დარღვევას (ლოტმანი) კი – მხოლოდ ნარატიულ სტრუქტურაში შეიძლება პერნდეს ადგილი, ხოლო ალეგორიულ დისკურსში ყველაფერს გადატანითი მნიშვნელობა ენიჭება. ეს დაუშვებელია ფანტასტიკის უანრისთვის, სადაც ყველაფერი სიტყვა-სიტყვით უნდა იქნას გაგებული. ტოდოროვის კალობაზე, დურსტი ამ ფაქტს იმით ხსნის, რომ ფანტასტიკა ტროპების მოქმედებად გარდასახვის გზით წარმოიქმნება; სხვაგვარად რომ ვთქათ, ფანტასტიკურ და საოცარის ლიტერატურაში ხდება ენის გარდაქმნა დაკარგული გამომსახველობითი პოტენციალის მოვლენებად; გადატანითი მნიშვნელობის მქონე ნათქვამის ნამდვილი არსი ფანტასტიკაში რეალობად იქცევა (მაგ. სკმის ფეხი ფანტასტიკაში სკამის ნამდვილ ფეხად იქცევა). მაგრამ „თუ საოცარის სისტემაში მხოლოდ ტროპი შედის ძალაში, არასისტემა პირდაპირ მიუთითებს საზღვარზე ტროპის ნამდვილობას (W) და არანამდვილობას (R) შორის, რითაც მისი გამოყენების ავტომატურობას ცხადყოფს. მეტაფორულად რომ ითქვას, აქ [ფანტასტიკაში – ლც.] პოეტური ენა ცოცხლდება, პრაქტიკული ენა კი კვდება“ (დურსტი 2001: 305).

ფანტასტიკა შეუთავსებელია კომიზმთანაც, რადგან კომიკური დისკურსი ემყარება ერთაზროვნებას, რომელიც მთელს ფანტასტიკურ ეფექტს აუქმებს: დაუშვებელი (მხატვრული სამყაროს სისტემიდან გამომდინარე) მოვლენა კომიზმის გავლენით მისაღები ხდება. ამიტომ კომიკური ტექსტები, რომლებშიც ფანტასტიკური ელემენტები გვხვდება, ზღაპრის უძრავი რეალობის სისტემას ემსგავსება, სადაც საოცრება მოთხოვობილი სამყაროს შემადგენელი ნაწილია.

თუ რეალისტურ სისტემაში ლიტერატურული სტრუქტურის ელემენტების იმანენტური ზებუნებრიობა კონვენციურ ნორმად ქცევის გამო გახდა შეუმჩნეველი, საოცარის სისტემაში კი ამ ნორმების დარღვევა იქცა ნორმატიულ მოვლენად, ფანტასტიკა ზოგადად კოპერენტული სამყაროს უარყოფის გზით ამ ორივე სისტემურ ტრადიციას უპირისპირდება და ყურადღება გადააქვს მოთხოვობილი სამყაროს აგებულებაზე. ამდენად, ფანტასტიკა უკიდურესად ავტორულექსიური და ინტროსპექტული მოვლენაა, ის ლიტერატურის ხელოვნურობას ცხადყოფს. ამიტომ უნდა დავეთანხმოთ დურსტის ფუნდამენტური ნაშრომის დასკვნას, რომ ფანტასტიკური ლიტერატურის მთავარი თემა თვით ლიტერატურაა.

6. ფსევდოფანტასტიკა და ნეოფანტასტიკა

ჯერ კიდევ ტოდოროვი მიუთითებს თავის ნაშრომში ისეთი უანრის არსებობაზე, რომელიც საოცრების მოჩვენებით შთაბეჭდილებას აღძრავს. ამ უანრს იგი ფანტასტიკურ-საშინელს (fantastique-étrange, Phantastisch-Unheimliches) უწოდებს. ამ უანრის ნაწარმოებებში ერთი შეხედვით ზებუნებრივ მოვლენას ბოლოს ბუნებრივი ახსნა ექცენტრი: მოჩვენებითი საოცრება მხატვრულ სინამდვილეში შეცდომის, ტყუილის, სიგიურის, თრობის, სიზმრისა თუ შემთხვევითობის ნაყოფი აღმოჩნდება ხოლმე.

ამ ფანტასტიკის სათანადო ყურადღებას უთმობს როჟერ კელუაც. იგი ტექსტში ფანტასტიკის გაუქმების შესაძლებლობებს ასახელებს: თუ მოჩვენებითი არარეალური მოვლენა ამბის ბოლოს ადამიანის ნამოქმედარი აღმოჩნდება; თუ ნაწარმოების უკანასკნელი სტრიქონები ცხადყოფს, რომ

მოთხრობილი ამბავი სინამდვილეში ზმანება, ჰალუცინაცია ან წარმოსახვის ნაყოფი ყოფილა; ანდა თუ ნაწარმოებში აღწერილი საშინელი მოვლენები რომელიმე „ჯადოსნურ მეცნიერებას“ – პარაფსიქოლოგიას, ტელეპათიასა და სპირიტიზმს ემყარება. ყველა ამ შემთხვევაში კელუა ფსევდოფანტასტიკის შესახებ საუბრობს (კელუა 1874: 44-83).

თითქმის ასეთივე კლასიფიკაციას ვწვდებით უკა ფინთანაც, რომელიც ლია (N) და პოტენცირებული ფანტასტიკისგან (W) გამოარჩევს ეწ. „რედუცირებულ“ ფანტასტიკას, სადაც წარმოდგენილი ფანტასტიკური ფენომენი კულტურულად სანქცირებულ, ნორმალურ, „რეალურ“ სინამდვილეზე დაიყვანება (ფინი 1980: 175).

ანალიგიურად მსჯელობს ფლორიან მარცინიც. მას ფანტასტიკა ორი წრის – რაციონალურ-ლოგიკური სინამდვილისა და ირაციონალურ-ლოგიკური სინამდვილის წრეების ურთიერთქმედების შედეგად მიაჩნია. ხოლო სიზმარი, ხილვა, შიზოფრენია და სხვ. შეოლოდ ერთი შეხედვით განეკუთვნება ამ მეორე წრეს, სინამდვილეში კი პირველ წრეში შედის. ასეთი ტიპის ტექსტებს მარცინი ფსევდოფანტასტიკას მიაკუთვნებს (მარცინი 1982: 140; 142-149; 163-167).

ცნადა, ჩამოთვლილ დეფინიციებს აშკარა მაქსიმალისტური ხასიათი აქვს. ამასთან, ვფიქრობთ, თუ „ბუნებრივი“, „ნორმალური“, „სანქცირებული“, „რაციონალურ-ლოგიკური“ სინამდვილის ცნებას შიდატექსტობრივ დონეზე გადავიტანთ და მხატვრულ სისტემასთან ან რეალობის სისტემასთან გავათგივებთ, სიტყვა „ფსევდოფანტასტიკა“ უფრო გამოსადეგი აღმოჩნდება. ამ ფენომენს, დურსტის ფორმულირებით, შემდეგი სახე მიეცემა: R=W+R, ან R=N+R. ლურსტი ასახელებს რამდენიმე ფაქტორს, რომელმაც მთხრობელის სტაბილიზაცია შეიძლება გამოიწვიოს:

1. ყოვლისმცოდნე მთხრობელის ჩარევა;
2. რომელიმე რეალობის სისტემის უნარი, აითვისოს (ახსნას) მოვლენის ყველა დეტალი მაშინ, როცა საპირისპირ სისტემა ამ უნარს მოკლებულია;

3. საწინააღმდეგო სისტემის გაქრობა ახალ მტკიცებულებათა საფუძველზე ან მისი რეალობის სისტემური ორიენტაციის შეცვლა, რაც ინსტანციების გათანაბრებას იწვევს.

სწორედ ამ ფაქტორების მოქმედების შედეგად წარმოიქმნება ფსევდოფანტასტიკა.

თანამედროვე ესპანისტიკაში დამკვიდრდა ტერმინი „ნეოფანტასტიკა“, რომლითაც აღინიშნება ხ.ლ.ბორხესის, ხ.კორტასარისა და ფ. კაფკას მოთხრობებში წარმოდგენილი მხატვრული სინამდვილე. ეს მხატვრული სინამდვილე, მართალია, პეტეროგენულია (ანუ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ლიტერატურული ტრადიციის სისტემების ნაერთს წარმოადგინს), მაგრამ სტაბილურია, უძრავია (ანუ სისტემური ნორმა შენარჩუნებულია ნაწარმოების ბოლომდე). თუმცა, ის ფაქტი, რომ კაფკას ცნობილ მოთხრობაში პროტაგონისტის გადაქცევა ხოჭოდ მხოლოდ აღშფოთებას იწვევს, ისე კი – სავსებით შესაძლებელ მოვლენად აღიმება გრეგორ ზამზას ახლობლების მიერ, გვაფიქრებინებს, რომ კაფკა ქმნის ხარისხობრივად ახალი ტიპის რეალობის სისტემას. „მეტამორფოზაში“ დახატული სამყარო ორი შეუთავსებელი ლიტერატურული კონვენციის ნაერთია, მაგრამ, ამავე დროს, ეს სითოზი სისტემურ ნორმად არის ქცეული (R=W).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ფანტასტიკურად არ შეიძლება იწოდებოდეს ყველა ის ნაწარმოები, სადაც ზებუნებრივი (ემპირიულ რეალობასთან მიმართებაში) მოვლენები აისახება. ფანტასტიკა, მეცნიერული ფანტასტიკა და ფენტეზი მონათესავე უანრებია და ხშირად ერთსა და იმავე თემატურ მასალას იყენებს, თუმცა, ეს სრულიად არ ნიშნავს მათ იდენტურობას. ამავე დროს, აუცილებელია ფანტასტიკისგან გავარჩიოთ ფსევდოფანტასტიკა და ნეოფანტასტიკა, როგორც უნრის მოდიფიკაციის შედეგად ჩამოყალიბებული ახალი ლიტერატურული წარმონაქმნები.

დამოწებანი

ადორნო 1995: Adorno, Theodor von. *Ästhetische Theorie*. Frankfurt a. M.: 1995.

ბარტი 1988: Barthes, Roland. *Einführung in die strukturelle Analyse von Erzählungen*. In: Ders., *Das semiologische Abenteuer*. Frankfurt a. M.: 1988.

ბერგი 1991: Berg, Stephan. *Schlimme Zeiten, böse Räume. Zeit- und Raumstrukturen in der phantastischen Literatur des 20. Jahrhunderts*. Stuttgart: 1991.

დურსტი 2001: Durst, Uwe. *Theorie der phantastischen Literatur*. Tübingen u. Basel. Francke: 2001.

- ზგოჟელსკი 1975:** Zgorzelski, Andrzej. *Zum Verständnis der phantastischer Literatur*. In: Rein A.Zondergeld.
- კალუჟა 1874:** Caillois, Roger. *Das Bild des Phantastischen: Vom Märchen bis zur Science Fictio.*, In: R.A.Zondergeld (Hg.). Phaicon I. Frankfurt a. M.: 1874.
- მარცინი 1982:** Marzin, Florian F. *Die phantastische Literatur: Eine Gattungsstudie*. [Diss.] Frankfurt a. M. Bern: 1982.
- ტოდოროვი 1992:** Todorov, Tzvetan. *Einführung in die fantastische Literatur*. Frankfurt a.M.: 1992. (Hg.): Phaicon: *Almanach der phantastischen Literatur*. II. Frankfurt a.M.: 1975.
- ფინი 1980:** Finne, Jacque: *La literature fantastique: Essai sur l'organisation surnaturelle*. Brüssel: 1980.
- ფიშერი 1978:** Fischer, Jens Malte. *Deutschsprachige Phantastik zwischen Decadence und Faschismus*, In: Phaicon 3. (1978).
- ციმერმანი 1982:** Zimmermann, Hans Dieter. *Trivialliteratur? Schema-Literatur!: Entstehung, Formen, Bewertung*. 2. Aufl. Stuttgart u.a. 1982.

Levan Tsagareli

What is fantastic literature?

Summary

According to Todorov a reader's hesitation concerning what is true in a given work of fiction has to be seen as the only criterion for regarding it as a fantastic fiction or not. Durst's observations of the phenomenon result in the suggestion to regard the purely fantastic diegesis as a non-system, i.e. a system, which negates both the „regular” and the „wonderful” (deriving) systems. There are several narrative skills (such as modalizations, or narrator's instability), which make the ambiguity remain throughout a particular work. Furthermore Durst delivers a definition of the fantastic element identifying it as a sequence gap (in the sense of Barthes' structural analysis) modified to a character or an event. The fantastic fiction shares its elements with the closest genres of fantasy, science fiction and fairy tale, and differs from them due to its non-systematic diegetic status.

Our thesis is, that a fictional work can lose its non-systematic status as soon as the diegesis appears at the end of a story definitely being either wonderful or regular, which means that all the fantastic events and figures of the story will be recoded into another diegetic system. We may call these elements pseudofantastic.

მაპა ელბაშიძე

რუსთველური სიყვარულის კონცეფციის ძირები

(ოვიდიუსიდან ტრუბადურებამდე)

ვეჯზისტებაოსნის პროლოგსა და სიუჟეტის განვითარებაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ რუსთველის მიერ ჩამოყალიბებული სიყვარულის კონცეფცია (სიყვარული კი მთავარი მოტივია მისი ნაწარმოებისა) არის ძალზე სპეციფიკური და, იმავდროულად, სრულიად ახლებური გაზრება მიჯნურობისა, რომელსაც არ იცნობს წინარე პერიოდის ქართული მწერლობა. სამეცნიერო ლიტერატურაში მართებულადაა შენიშნული, რომ რუსთველის (ისევე როგორც მისი თანამედროვე ევროპელი პოეტების) მიერ აღწერილი სიყვარული არ არის მხოლოდ გრძნობა, არამედ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი ინსტიტუტი, გარკვეულ წრეებში მიღებული ურთიერთობის ფორმა, რომელსაც გააჩნია თავისი საზოგადოებრივად დადგენილი წესები და გამოხატვის მეტ-ნაკლებად პირობითი ფორმები (ნათაძე 1966: 3). ეს ყველაფერი ქმნის საზოგადოებრივ და ლიტერატურულ ფონს, რომელზედაც ცალკეული ავტორებისა და თვით რუსთველის ინდივიდუალური შემოქმედება იშლება. ამგარი ახლებური აზროვნების საფუძველი კონკრეტულ დროსა და კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალშია საგულვებელი, კერძოდ, XI-XII საუკუნეების დასავლეთ ევროპაში, სადაც რაინდული იდეოლოგიის წიაღში, ეწ. კურტუაზულ საზოგადოებაში, აღმოცენდა ტრუბადურთა და მინეზინგერთა კულტურა. ის ფაქტი, რომ სიყვარულის რუსთველურ კონცეფციას ბევრი აქვს საერთო იმ პერიოდის ევროპული ცივილიზაციისთვის დამახასიათებელ ტენდენციებთან, რომ ძირითადი მიზეზით შეიძლება აიხსნას – პირველ ყოვლისა, ესაა საერთო რელიგია, ქრისტიანობა, რომელმაც, უდავოდ, განსაზღვრა ჩვენი ეროვნული კულტურის ძირითადი მიმართულებები და ტენდენციები და, მეორე მხრივ, საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობა, კერძოდ, ფეოდალური სამყაროს წიაღში ჩამოყალიბებული იდეოლოგიური ფონი, რომელიც ძალზე მსუსე ნიადაგი აღმოჩნდა ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების გასაშლელად, რომელიც როგორც თავისი შინაარსით, ისე ფორმით ვასალიტეტის ინსტიტუტის ერთგვარ ანალოგიას წარმოადგენდა. ამგვარ ტენდენციას, რასაკვირველია, პეტონდა მყარი ფილოსოფიურ-თეოლოგიური საფუძველიც – თუკი შუასაუკუნეების მოზროვნენი ფეოდალური სამყაროს უზენაეს სენიორად ქრისტეს მიჩნევდნენ, მარიამ ღვთისმშობელს მოიაზრებდნენ, ვითარცა ქალბატონს *par excellence*, ადამიანის დამოკიდებულება უფლისადმი კი გაგბებული იყო, როგორც ვასალის სამსახური სენიორისადმი, სრულიად ბუნებრივია, რომ ისეთი იდეალიზებული ურთიერთობა, როგორიცაა მამაკაცის ქალისადმი სიყვარული, მიიღებდა ვასალური სამსახურის ფორმას. ქალბატონი, რაინდის გულთამპყრობელი, იქცა მის სენიორად, ანუ პატრონად, რომლის ნება-სურვილის უსიტყვოდ შესრულება მეტრფის ძირითად ვალდებულებად იყო მიჩნეული (შიშმარიოვი 1965: 192).

ვინაიდან ურთიერთობის ვასალური ფორმა პირობითობათა წყებას შეიცავდა (საუბარია ვასალსა და სენიორს შორის არსებულ უფლება-მოვალეობებზე), ცხადია, იგივე პირობითობებმა იჩინა თავი სასიყვარულო ურთიერთობებშიც. ჩამოვთვლით მხოლოდ რამდენიმე მათგანს, რომელებიც ნიშანდობლივია სიყვარულის როგორც რუსთველური, ისე კურტუაზული დოქტრინისთვის:

1. სიყვარულის წოდებრივი სასიათი – მიჯნურობა მხოლოდ რაინდთა წრის კუთვნილებაა და ის სავალდებულო თვისებათა მკაცრად ჩამოყალიბებული კოდექსით არის განსაზღვრული; თანაც მიჯნურობა სრულყოფილი, ყოველმხრივ შემკული ადამიანების ხვედრია;
2. სამსახური, რომელიც სამიჯნურო ურთიერთობებშიც ჩამოჩნდა სიყვარულის როგორც რუსთველური, ისე კურტუაზული დოქტრინისთვის:

1. სიყვარულის წოდებრივი სასიათი – მიჯნურობა მხოლოდ რაინდთა წრის კუთვნილებაა და

ის სავალდებულო თვისებათა მკაცრად ჩამოყალიბებული კოდექსით არის განსაზღვრული;

თანაც მიჯნურობა სრულყოფილი, ყოველმხრივ შემკული ადამიანების ხვედრია;

2. სამსახური, რომელიც სამიჯნურო ურთიერთობებშიც საფუძველია, გულისხმობის არა მარტო

სამხედრო სიქველის გამოჩენას, არამედ სატრუოს შექებას, მის პოეტურ განდიდებას (აქედან გამომდინარე, მიჯნურობა პოეზიას უკავშირდება);

3. სიყვარული გამაკეთილშობილებელი, ადამიანისათვის აღმაფრუნის მიმნიჭებელი გრძნობაა, რომელიც მიჯნურის სრულყოფილ პიროვნებად ჩამოყალიბების საწინდარია;

4. მიჯნურს, პირველ ყოვლისა, მართებს თავმდაბლობა, დუმილი და მოთმინება, ერთგულება სატრუფოსადმი, რაც ყოველგვარ მერყეობას გამორიცხავს;

5. ჭეშმარიტი სიყვარული შეზღუდულიც არის, რადგან მხოლოდ ერთი ქალის (ევროპულ კულტურაში მხოლოდ მაღალი წოდების გათხოვილი მანდილოსნის) მიმართ უნდა აღიძრას.

სიყვარულის ამგვარი ახლებური იდეალის აღმოსაცენტრილად და გასაფურჩქნად მეტად ნაყოფიერ ნიადაგს წარმოადგენდა სამხრეთ საფრანგეთის ერთ ნაწილში, ჩასასული საკარო ცხოვრება თავისი სპეციფიკური იერარქიულობითა და ეტიკეტით. ცნობილი მედიევასტის ქლავ სთეფლზ ლუისის თვალსაზრისით, შუასაუკუნეების პროგანსული საკარო ცხოვრების სურათი დაახლოებით ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: ფეოდალური ციხე-დარბაზი, რომელიც აუდებელ სიმაგრესთან ერთად არის სიფაქიზის, სრულყოფილებისა და ფუფუნების ერთგვარი კუნძული, სადაც ბევრი მამაკაცია, მაგრამ ძალზე ცოტა ქალი, ძირითადად, გათხოვილი მანდილოსნები და მათი ქალიშვილები. მათ გარშემო თავი მოუყრია სხვადასხვა სოციალური ფენისა თუ მატერიალური სტატუსის მქონე მამაკაცთა მთელ კოპორტას. ესენია: დიდებულები, ძლიდარი მემატულები, პაუები და, რაც მთავარია, უმიწაწყლო რაინდები. ეს უკანასკნელი ცალკე კასტას შეადგენს, ვინაიდან არ გააჩნიათ არავითარი ადგილი ფეოდალიზმის ტერიტორიულ იერარქიაში, სამაგიეროდ, შემკულნი არიან იმ ღირსებებით, რომელიც ესოდენ ფასობს პროგანსულ მათალ საზოგადოებაში. ესენია: მამაცობა, რაინდული ღირსება და თავაზიანობა, ანუ კურტუაზულობა, რაც ოდენ თავაზიან ქცევასა და კარგ მანერებს როდი გულისხმობს, არამედ არის მწყობრი და ჩამოყალიბებული ინსტიტუტი, რომლის არსის გადმოცემაც, ერთი შეხედვით, ძალზე რთულია, ვინაიდან მოიცავს პიროვნულ ღირსებათა მთელ ნაკრებს, ადამიანის გარეგული და შინაგანი თვისებების ერთობლიობას, რაც კურტუაზულ ადამიანს ჩვეულებრივი მოკვდავისგან განასხვავებს. სწორედ ამ კასტას ეკუთვნიან ე.წ. „ადრეული ტრუბადურები“, კერძოდ, ერთი ჩვეულებრივი მშვილდოსნისა და პურის მცხობლის ვაჟი, ბერნარდ ვენტადორნელი (მოგვიანებით ელეონორა აქვიტანელის კარის პოეტი), ღარიბი ოჯახიდან გამოსული არნალდ დე მარიუელი თუ ტულუზელი მეგრავი პეტრე ვიდალი, რომელთა პოეზიაში ჩამოყალიბებულმა მოტივებმა, ფაქტიურად, განსაზღვრა ჯერ მომდევნო თაობის ტრუბადურთა და მინეზინგერთა, შემდგომ კი პიკარდის უაღრესად ნაყოფიერ ნიადაგზე აღმოცენებული რაინდული რომანების იდეოლოგიურ-კონცეპტუალური საფუძველი.

სიყვარულის კურტუაზული კონცეფციის თანახმად, რაინდის უპირველეს მოვალეობად თავმდაბლობაა მიჩნეული (ამასვე მოითხოვს რაინდული კეთილშობილების კოდექსიც). შეყვარებული რაინდი ვალდებულია დაემორჩილოს თავისი ქალბატონის ნებისმიერ სურვილს, რაოდენ ახირებული და აბსურდულიც უნდა ეჩვენოს იგი, უსიტყვოდ აიტანოს სატრფოს უსამართლო საყვედურებიც კი და ამ თავგანწირვის საფასურად მხოლოდ მისი კეთილგანწყობა მოითხოვთ. შეყვარებული მამაკაცისთვის ყველაზე დიდ ჯილდოდ მიჩნეულია თავად ეს გრძნობა და მასთან დაკავშირებული ხალისიანი განწყობა (შიშმარიოვი 1965: 198). მიჯნური, პოეტი, უდიდეს ბენდიერებას განიცდის იმითაც კი, თუკი სატრფო მასზე ფიქრის უფლებას მისცემს (თუმცა ადრეულ ტრუბადურთა შემოქმედებაში *servir*, ანუ სამსახური, გარკვეული „საფასურის“, ჯილდოს მოთხოვნასაც უკავშირდება. ზოგჯერ ეს შეიძლება იყოს ბეჭედი, მაშინდელი წარმოდგენით კავშირისა და ერთობის სიმბოლო, კეთილგანწყობილი ღიმილი, ქალბატონის მოსასხამზე დაცემული თმის ღერი, ხელთამბინი, კაბის ბაფთა და ამბორიც კი). როგორც ვხედავთ, სატრფოსადმი გაწეული სამსახური ძალზე პგავს იმ ვალდებულებას, რომელსაც თავის თავზე იღებს ვასალი სიუზერენის წინაშე (შდრ. ვეფხისტყაოსანი, სადაც სატრფო რეალური პატრონიცა თავისი მიჯნურისა – „პირველ, ყმა ხარ, ხორციელი არვინა გფავს შენად სწორად, / მერმე, ჩემი მიჯნური ხარ, დასტურია, არ ნაჭორად“... (რუსთაველი 1966: სტრ. 129). ასე რომ, სატრფო არის არა მარტო ქალბატონი თავისი მიჯნურისა, არამედ მბრძანებელიც, *midons*. სხვათა შორის, ეს ტერმინი ეტიმოლოგიურად აღნიშხავს არა *my lady*-ს, ანუ ქალბატონს, არამედ *my lord*-ს, ანუ ბატონს. ამგვარი ურთიერთდამოკიდებულება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „სიყვარულის ფეოდალიზაცია“, მიჩნეული იყო სასახლის კარის უცილობელ ატრიბუტად (ლუისი 1973: 2).

თავმდაბლობასთან ერთად რაინდული კოდექსის ერთ-ერთ უძირითადეს პირობად და სატრფოს კეთილგანწყობის მოპოვების საშუალებად მიჩნეულია დუმილი და მოთმინება. შეყვარებული რაინდი ვალდებულია მოწიწებითა და მოკრძალებით მოეპყრას თავის ქალბატონს და ნებისმიერ სიტუაციაშიც კი შეძლოს საკუთარ თავში სიამაყის გრძნობის ჩახშობა. გარდა ამისა, დუმილი არის სიყვარულის შენარჩუნების ერთ-ერთი პირობაც, ვინაიდან სიყვარული განეკუთვნება ისეთ საიდუმლოთა რიცხვს, რომელიც დაფარული და დაცული უნდა იყოს ბოროტი თვალისაგან (შდრ. ვეფხისტყაოსნის პროლოგი – „ხამს, თავისსა ხვაშიადსა არვისთანა ამჟღავნებდეს...“). რაინდის ამგვარ მოკრძალებულ დამოკიდებულებას სატრფოსადმი ყველაზე ნათლად გამოხატავს ტერმინები *domnei-donnei*, რაც ნიშნავს მანდილოსნისადმი გაწულ სამსახურს ამ სიტყვის ფერდალური გაგებით. იმავე (ფერდალური) მნიშვნელობის მატარებელია ტერმინი *cortesie*, ქართულად თავაზიანობა, რომელიც თავმდაბლობასთან და მოთმინებასთან ერთად სიყვარულის კურტუაზული კონცეფციის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს წარმოადგენს. უფრო მეტიც – ტერმინი აერთიანებს ყველა მუხლი, რაინდული კეთილშობილების კოდექსისა, რომლის თანახმად, ჭეშმარიტი რაინდი უნდა იყოს არა მარტო მამაცი, ერთგული და უხვი, არამედ თავაზიანი, მოხდენილი, მგრძნობიარე და დახვეწილი მანერების მქონე (შდრ. ვეფხისტყაოსნის პროლოგში, კერძოდ, 23-ე სტროფში წარმოდგენილი იდეალური მიჯნურისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებათა წესხა, რომელიც ასრულებს ერთგვარი სქემის, ერთგვარი მოდელის ფუნქციას პერსონაჟთა მხატვრული სახეების შესაქმნელად). კურტუაზული რაინდის აღზრდის პროგრამაში შედის არა მარტო საბრძოლო ხელოვნება და ნადირობა, არამედ სხვადასხვა სახის გართობა-თამაშობანი, მუსიკალური ინსტრუმენტების ფლობის ხელოვნება, სიმღერა, ქალთა თაყვანისცმა. როგორც ვხედავთ, პერიოდულ იდეალს უახლოვდება და ერწყმის ესთეტიკური იდეალი, რაც ერთგვარი წინაპირობა იყო მოგვიანებით წარმოქმნილი სალონური კულტურისა (სმირნოვი 1934: 13).

ამგვარ მოთხოვნებს უყენებდნენ „სიყვარულის ქურუმთ“ ქალის კულტის აღმოცენების გარიურაჟზე. ბერნარდ ვენტადორნელი სიყვარულს სიცოცხლის აუცილებელ ელემენტად მიიჩნევს, ვინაიდან, მისი თვალსაზრისით, ვისაც არ უყვარს, ის არც ცოცხალი ადამიანია. „შეუძლებელია იყო პოეტი და არ გიყვარდეს, მაგრამ წარმოუდგენელია, წრფელად გიყვარდეს და ამ გრძნობამ შენს გულში სიყვარულის სიმღერა არ დაპატიოს“ (შიშმარიოვი 1965: 196). ადრეულ ტრუბადურთა პოეზიაში ფორმულირებული ეს თვალისაზრისი პოეტთა შემდგომ თაობებსაც გადაეცა – სიყვარულისა და პოეზის სინთეზი, მათი ურთიერთქმედება და ურთიერთგანპირობებულობა იმ სახოგადოების უცილობელი პრინციპი გახდა, რომელშიც სიყვარულის ახლებური იდეალი იშვა, სადაც სიყვარულმა იმგვარი ფენომენის მნიშვნელობა შეიძინა, რომელიც ადამიანს აკეთილშობილებს და სულიერად აღამაღლებს. ანუ სიყვარული იქცა პიროვნების სულიერი სამყაროს ფორმირების უმთავრეს პირობად. თავად ეს პროცესი შემდგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ: გამიჯნურებული პოეტი სალექსო სტრიქონებში აქსოვს თავის გრძნობებს და განცდებს, აქობს თავისი ტრფობის საგანს, თავის იდეალს. ამ დროს ხორციელდება მისი, როგორც პიროვნების, სულიერი კათარზისი, ვინაიდან შესხმისას, შექებისას წინა პლაზე წარმოიწევს ყოველივე საუკეთესო, რაც კი ადამიანს, როგორც პიროვნებას გააჩნია. თუკი ქების ობიექტი – ქალბატონი – მოწყალედ შეხედავს პოეტს, ამ უკანასკნელისთვის სიცოცხლე დღესასწაულად იქცევა, მის გულს სიხარული და ბედნიერება აავსებს, სული კი იმდენად გარდაიქმნება, რომ ზენობრივ იდეალსაც კი უახლოვდება (შდრ. „ვეფხისტყაოსნის“ მე-18 სტროფი: „ხამს მელექსე ნაჭირვებსა მისა ცუდად არ აბრკმობდეს, / ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმეს აშიკობდეს, / ყოვლისა მისთვის ხელოვნობდეს, მას აქებდეს, მას ამკობდეს, – / მისგან კიდე ნურა უნდა, მისთვის ენა მუსიკობდეს“ (რუსთაველი: სტრ.: 18)).

როდესაც შუასაუკუნების ლიტერატურის მკვლევარნი კურტუაზული სიყვარულის წარმომშობ მიზეზებსა და წყაროებზე საუბრობენ, ყველა ერთხმად მიდის იმ დასკვნამდე, რომ გვიანდელი შუასაუკუნების პროვანსში აღმოცენებული სიყვარულის ახლებური იდეალის ჩამოყალიბებაზე, შესაბამისად კი, ამ პერიოდის პოეტ-ტრუბადურთა შემოქმდებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა ცნობილი რომაელი პოეტის, ოვიდიუსის (ძვ.წ.43–ახ.წ.17) ნააზრევმა, კერძოდ კი მისმა სატრფიალო ელუუგიებმა (*Amores*) და სიყვარულის ხელოვნებამ (*Ars amatoria*). თანამემამულეთაგან ჯეროვნად დაფასებული შემოქმედის სახელი ოდნავადაც ვერ შებლალა ვერც

მისმა განდევნამ და ვერც იმ ბრძოლამ, რომელიც მისი ნაწერების წინააღმდეგ წამოიწყეს. მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიოთეკებიდან გაქრა ოვიდიუსის ყველა წიგნი, მას მაინც კითხულობდნენ და ბაძნენ. შუასაუკუნეებში იგი მიჩნეული იყო მეორე პოეტად ვირგილიუსის შემდეგ, თუმცა როცა სასიყვარულო პოეზიაზე მიღებოდა საქმე, ოვიდიუსს მართლაც არ ჰყავდა კონკურენტი. შუასაუკუნეების საზოგადოებას ისევე კარგად ესმოდა მისი ირონიულ-დიდაქტიკური პოემების არსი, როგორც რომაელ მეითხველს; მისი სიყვარულის, ანუ „ცდუნების ხელოვნებამ“ კი იმგვარივე ნაყოფიერი ნიადაგი პპოვა XI საუკუნის მიწურულის ლანგელოკში, როგორც ერთ დროს ძვ.წ.-ის I საუკუნის რომში.

ამჯერად მოვიტანთ სიყვარულის ხელოვნების მხოლოდ იმ პასაუებს, რომელთაც გარკვეული პარალელი შეიძლება მოებების სიყვარულის კურტუაზულ დოქტრინათან, შესაბამისად კი რუსთველური მიჯნურობის კონცეფციასთან.

თავისი თხზულების I და II წიგნში ოვიდიუსი არაერთ სასარგებლო რჩევას აძლევს შეყვარებულ მამაკაცებს და არწმუნებს, რომ თუკი ისინი ზედმიწევნით დაიცავენ სასიყვარულო კოდექსის ყველა მუხლს, ამურის ისარი უთუოდ მისწვდება შშვენიერი მანდილისნის გულს, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს იგი: პომპეუსის პორტიკთან თუ იზიდას ტაძართან, ფორუმთან თუ პალატინის ბორცვთან. მთავარია სითამამე, გამჭრიახობა, „სიყვარულის კანონთა“ ცოდნა და წარმატებაც გარანტირებულია. „Чтобы любовь госпожи сохранить и её не лишиться,/ Ты приложи к красоте малую долю ума. / Ведь красота ненадежная вещь, убывает с годами: Чем протяженней она, тем её сила слабей. / Вечно цветы не дано цветам длиннолепестных лилий;/ Роза осипав красу, сохнет, шипами торча. / Так и в твоих волосах забелеют, красавец, седины,/ Так и тебе на лицо борозды лягут морщин. / Дух один долговечен, - да будет тебе он опорой! Он – достоянье твоё до погребальных костров“ (ოვიდიუსი 2000: 111-120).*

სასიყვარულო ურთიერთობებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს პოეტი მჭევრმეტყველებას აკუთვნებს, რადგან, მისი თვალსაზრისით, მამაკაცს უნდა შესწევდეს უნარი, ქებით შეამკოს თავისი გულთამბყრობლის თმები, ნატიფი თითები, მოხდენილი ტანი. ამ დროს შეყვარებულს ღირსეულ სამსახურს ცრემლებიც გაუწევს – მათი მეშვეობით ხომ აღმასის დარბილებაც შეიძლება. ამიტომ თვიდიუსი ურჩევს მეტრფეს, მის ქალბატონს ცრემლებით დასველებული ღაწვები დაანახოს „Польза есть и в слезах: слеза и алмазы растопит. / Только сумей показать, как увлажнилась щека! Если же сухи глаза (не приходит слеза по заказу) - / Маслом пальцы полей и по ресницам пройдись“ (ოვიდიუსი 2000: 659-662). სიყვარულის ხელოვნების მიშებულოვანი პასაუები სასიყვარულო სამსახურს ეძღვნება. ოვიდიუსის აზრით, შეყვარებული მამაკაცი ვალდებულია, სატრფოს სურვილი და ბრძანება უსიტყვოდ შეასრულოს. „Я говорю: Будь уступчив! Уступки приносят победу. / Всё, что придет ей на ум, выполнни, словно актер! / Скажет «нет» - скажешь «нет»; Скажет «да» - скажешь «да»: повинуйся! / Будет хвалить – похвали, будет бранить – побрани; Будет смеяться – засмейся и ты; прослезиться – расплачешься; / Пусть она будет указ всем выраженьям лица!“ (ოვიდიუსი 2000: 197-202).

ოვიდიუსის აზრით, გამიჯნურებული მამაკაცი თავისი სატრფოს მონაა, თავად სიყვარული კი – სამხედრო სამსახური. უძილო დამეები, ზამთრის სიცივე, ხანგრძლივი გზა, ფიზიკური ტანკვა და სხვა სახის დაბრკოლებანი ძალზე წააგავს სამსახურს სიყვარულის დროშის ქვეშ. შეყვარებულმა ყოველგვარი დაბრკოლება უნდა გადალახოს, თუ სურს, რომ „ბრძოლის ველზე“ წარმატებას მიაღწიოს. მშვენიერი მანდილოსანი უთუოდ დააფასებს თავისი საყვარლის თავგანწირვას, რაც მისთვის სიყვარულის საწინაარი იქნება.

ოვიდიუსი ურჩევს შეყვარებულთ, გულმიჩამწვდომი ლექსები უძღვნან სატრფოს, თანაც სასიამოვნო ინტონაციებით გაამდიდრონ პოეტური ქმნილება. კარგი ლექსი ქალბატონთა მიერ მოკრძალებულ საჩუქრად აღიქმება, თუმცა პოეტი ირონიულად შენიშვნავს, რომ მის ეპოქაში ლექსებს დიდად არ აფასებენ. შესაძლოა, ავტორის მიმართ საქებარი სიტყვები არ დაიშურონ, მაგრამ მამაკაცისგან ლექსებზე მეტად საჩუქარს ელიას: „Истинно, век наш есть век золотой! Покупается ныне / Золотом – почесть и власть, золотом – нежная страсть. /Если с пустыми руками придешь ты, питомец Камены, / Будь ты хоть сам Гомер – выставлен будет Гомер“

* ტექსტს ყველა შემთხვევაში ვიძოწმებთ: Овидий, Наука любви. Москва: «Эксмо-Пресс», 2000.

(ოვიდიუსი 2000: 277-280). ოვიდიუსი მკაცრად აფრთხილებს შეყვარებულებს, არ გაამჟღავნონ „შეჭირვება“ და უახლოეს მეგობართანაც კი არ აქონ სატრფო. პოეტის აზრით, ყოველთვის არსებობს საფრთხე, რომ ამ მონათხრობით შთაგონებული მსმენელი მეგობრის კვალს გაჰყვეს და მას საყვარელი წაპვაროს: „Нынче, увы, не врага своего опасайся влюблённый, - / Чтобы верней уцелеть, мнимых друзей берегись. / Остерегайся родных, бойся брата, чуждайся знакомца – Вот с какой стороны ждет тебя истинный страх!“ (ოვიდიუსი 2000: 751-754).

ტონი ოვიდიუსის შეგონებებისა, უდავოდ, ირონიულია. პოეტი თავადვე შენიშნავს, რომ თავისი სასიყვარულო-დიდაქტიკური პოემა საზოგადოების გასართობად დაწერა, მაგრამ საკმარისია, შეიცვალოს ამ შეგონებათა კილო, საკმარისია, ღმერთი ამურის სიყვარულის რელიგიას, რომელიც თავისი შინაარსით ეროტიკულია და ჭეშმარიტი რელიგიის ერთგვარ პაროდიას წარმოადგენს, სხვა რელიგია ჩაქნაცვლოს, რომ სიტუაცია რადიკალურად იცვლება და ოვიდიუსის ირონიული რჩევები კურტუაზულ ტრადიციაში სერიოზულ რეკომენდაციებად იქცევა. შესაძლოა, სწორედ ამ ფაქტორის გათვალისწინებით პროვანსული ლირიკის ძირების კვლევისას ყველაზე მეტად მისაღები და გასათვალისწინებელია ის თეორიები, რომელთაც ოვიდიუსთან და მის სიყვარულის ხელოვნებასთან მივყავართ. მართალია, რაინდული ინსტიტუტი არ არის და არც შეიძლება იყოს ოვიდიუსის ნაწერების იდეოლოგიური მემკვიდრე, მაგრამ კურტუაზულობის ზოგიერთი ფორმა საკმაო მსგავსებას ამჟღავნებს რომალი პოეტის ზოგიერთ „შეგონებასთან“, განსაკუთრებით როდესაც საქმე რაინდის სატრუტოსადმი დამოკიდებულებას ეხება. ტრუბადურებმა ოვიდიუსისგან იმემკვიდრეს სიყვარულის ხელოვნების ერთ-ერთი უმთავრესი თეზისიც – „სიყვარული ტანჯვაა, მაგრამ არა სენი“ – და თავიანთი სასიყვარულო ლირიკის ძირითადი მოტივები სწორედ მასზე „დააფუძნეს“. ასე რომ, როგორც სავსებით მართებულად შენიშნავს ქლაივ სთეფილზ ლუისი, *fin amor-მა* (წმინდა სიყვარული) ოვიდიუსის ეროტიზმს შემოაცალა ცინიკურობის საბურველი, ფეოდალურ სამოსელში გამოაწყო და სიყვარულის ახალი იდეალის საფუძლად და წყაროდ აქცია (ლუისი 1973: 23).

დასასრულ მოვიტანთ ფრაგმენტს ერთი ძევლი პიესიდან (*Si Nat de Mons agues*), რომელიც არაერთგზის დაუმოწმებია სიყვარულის უდიდეს პროვანსელ თეორეტიკოსს, ფრანცისკელ ბერსა და ტრუბადურს მატფრე ერმენგაუდს, რომელიც საკუთარ თავს სიყვარულის საკითხებში უდიდეს ავტორიტეტად მიიჩნევდა: „Да знают истинные любовники, что движимый любовью гордец становится смиренным, пошляк – мужественным, ленивец – энергичным, глупец – разумным, невежа – хорошо воспитанным, отчаявшийся овладеет собой, печальный становится весёлым и радостным, хвастун – правдивым, тот, кто прежде только досаждал, теперь превращается в самого приятного человека, злой – в благородственного, сварливый – в терпеливого, вероломный в благожелательного, неприятный – в самого милого, самый дикий – в ручного, некуртуазный – в куртуазного, трус – в смельчака, слабый – в силача, ничтожный – в достойного, презренный – в уважаемого всеми, жадный – в благородного сердцем и пошлый – в выдающегося“ (ზიმარიოვი: 1965, 203).

ასევე სწამდათ სიყვარულის ყოვლისშემძლე ძალისა მომდევნო პერიოდის ტრუვერებს; პიროვნების სრულყოფის გზად, „ტურფად“, თუმცა „საცოდნელად მნელ გვარად“ მიაჩნდა ეს გრძნობა XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწე ქართველ პოეტსაც.

დამოწმებანი:

ლუისი 1973: Lewis C.S. *The Allegory of Love, a Study in Medieval Tradition*. Oxford: University Press, 1973.
ნათაძე 1965: ნათაძე ნ. რუსთველური ძჯინურობა და რენესანსი. თბ.: 1965.

ოვიდიუსი 2000: Овидий. *Наука любви*. М.: «Эксмо-Пресс», 2000.

რუსთაველი 1966: რუსთაველი მოთა „ვეფხისტეოსახი“ სარედაქციო კოლეგია: ი. აბაშიძე, ა. ბარამიძე, პ. ინგოროვა, ა. შანიძე, გ. წერეთელი, თბ.: 1966.

სმირნოვი 1934: Смирнов А. *Французский Артуровский роман эпохи зрелого феодализма*. из книги: *Пайен из Мезьера*. М-Л.: Мул без узды, 1934.

ზიმარიოვი 1965: Шишмарев В. *К истории любовных теории романского средневековья*. Избранные статьи. М-Л.: 1965.

The Backgrounds of Rustaveli's Concept of Love

(From Ovid to Troubadours)

Summary

It is common knowledge that love holds priority among the motifs of medieval secular literature, particularly in its brilliant manifestations – the West European chivalry romance and Rustaveli's poem The Knight in the Panther's Skin. The traditional model of courtly love, as well as of courtly lover – laid down in the works of early troubadours, who were greatly influenced by Latin poet Ovid, in particular his literary works Amores and Ars Amatoria.

Like the West-European romance of chivalry, love in Georgian classical period literature was a cultural-historical phenomenon – a social institution – with its socially established rules and probably with more-or-less conventional forms of expression. Although no theoretical work concerning love has survived in Georgian, the Prologue of the Knight in the Panther's Skin may play the role of a theoretical treatise shedding light on the essence of love presented in the poem. The articles of this „Treatise” – the theoretical background of Rustaveli's concept of love – evince rather close affinity with the view of the early troubadours and trouvers, as with some utterance of Ovid.

თემურ პობახიძე

DANCE MACABRE: ტომას ელიოტის „სუინი აგონისტი, ანუ არისტოფანული მელოდრამის ფრაგმენტები“

საბოლოოდ, საშინელება და სიცილი შეიძლება გაერთიანდნენ... პოტენციური კომედია ისევე მოიპოვება სოფოკლესთან, როგორც პოტენციური ტრაგედია არისტოფანესთან.

ტომას ელიოტი

„სარგებელი პოეზიისა და სარგებელი კრიტიკის“.

„1920 წლის ლექსების“ შემდეგ, სუინის სახეს ელიოტი პირველად „უნაყოფო მიწაში“ უბრუნდება, ჯონ დეის „ფუტკართა პარლამენტის“ ცნობილ პაროდიაში, სადაც აქტეონისა და დიანას შეხვედრის ნაცვლად, სწორედ სუინი ესტუმრება კახპას, მისის პორტრეტს:

But at my back from time to time I hear
The sound of horns and motors, which shall bring
Sweeney to Mrs. Porter in the Spring.

მაგრამ სუინი „უნაყოფო მიწის“ მხოლოდ ერთ ეპიზოდში გვხვდება, როგორც პაროდიული აქტეონი და მთავარი „მოქმედი პირის“, ტირესიას ერთ-ერთი „ავატარი“, ანუ, როგორც ერთი მორიგი სახე, სხვა უამრავ ასოციაციურ სახეთა რიგში. „უნაყოფო მიწა“ იმდენად რთულსა და დახვეწილ მხატვრულ სტრუქტურას შეადგენს, რომ მისი ერთიანი კონტექსტიდან „ამოგლევით“, სუინის სახის შესახებ ცალკე მსჯელობა მართებული არ იქნებოდა. ამ სახესთან ელიოტის ახლებური მიღვომის დასახასიათებლად, უფრო საინტერესოა „სუინი აგონისტის, ანუ არისტოფანული მელოდრამის ფრაგმენტების“ მხატვრული სტეციფიკის გარკვევა, მით უფრო, რომ ამ ნაწარმოებში პოეტმა პირველად მიმართა მისთვის სრულიად ახალ, უჩვეულო ფორმას. „ფრაგმენტები“ წამოადგენს ვოდევილის სტილში დაწერილ, კომიკურ-ირონიული ელემენტების შემცველსა და ამავე დროს, პირქუში სიმბოლიკით დატვირთულ, დაუმთავრებელ „მელოდრამას“.

„ლექსები 1920“, სადაც სუინი პირველად გვხვდება, 1915-1919 წლებში იქმნებოდა. რადგან „არისტოფანული მელოდრამის ფრაგმენტები“ „უნაყოფო მიწის“ შემდეგ (1923-25 წწ.) შეიქმნა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ელიოტისათვის სუინის სახე მთელი ათი წლის მანძილზე ინარჩუნებდა შემოქმედებით აქტუალობას. როგორც ელიოტის ბიოგრაფი პიტერ ეკროიდი აღნიშნავს, იმ პერიოდში პოეტი ყველა ღონეს ხმარობდა, რათა „უნაყოფო მიწის“ უსასრულოდ პირქუშ სამყაროს ემოციურად გასცლოდა. მეორე მხრივ, „სუინი აგონისტი“, ფაქტობრივად, „კაცის ფიტულებთან“ (1925) ერთდროულად დაიწერა და ამიტომ, პესიმისტური განწყობილებებისაგან გაქცევა არ უნდა ყოფილიყო მისი შექმნის მირითადი მიზეზი. გროტესკის, კარიკატურის, ირონიული ინტონაციისა და საგანგებოდ ვულგარული იუმორის საშუალებით, „სუინი აგონისტი“ იმავე „სასოწარგვეთილების ფილოსოფიას“ გამოხატავს, რაც „კაცის ფიტულების“ პოეტურ ესქატოლოგიას უდევს საფუძლად.

თავდაპირველად, 1926 და 1927 წლებში, პიესა ორ ნაწილად გამოქვეყნდა უურნალ „კრაიტერიონში“ სათაურით, „შინ ხომ არ გინდა წასვლა, ჭირიმე?“ („Wanna Go Home, Baby?“). 1932 წელს, უკვე საბოლოო სათაურით, ის ცალკე წიგნად გამოიცა და სულ ცოტა ხანში რამდენჯერმე დაიდგა კიდეც სცენაზე. ამ დროისათვის ელიოტის ამაღლებულად სერიოზული, პრინციპულად ანტიბოკემური და ელიტარული ხატება ინგლისურენოვან ლიტერატურულ ცნობიერებაში უკვე საბოლოოდ დამკვიდრებული იყო. მასგან ცივი ლიმილითა და პირქუში ირონით აღსაცეს ლექსებს უფრო მოელოდნენ, ვიდრე „მსუბუქი უანრის“ ნაწარმოებთა შექმნას. მაგრამ პიტერ ეკროიდისა და ლინდალ გორდონის დაწვრილებითი ბიოგრაფიები ცხადყოფს, რომ „გასართობი“ ხასიათის შემოქმედებითი ინტერესები ელიოტისათვის უცხო არასიღეს ყოფილა (ეკორიდი 1984: 105, 145; გორდონი 1998). მას ყოველთვის იზიდავდა კინემატოგრაფის გავრცელებამდე არსებული გასართობი ინდუსტრია. ერთ დროს ის აღტაცებულიც იყო მიუზიკ-ჰოლის მსახიობებით, მეგობრობდა კიდეც მათთან და მათ მეგობარ ლონდონელ დემიმონდენებთან. პოეტი, რომელიც ბევრს დღესაც „მაღალი მოდერნიზმის“ წარბშექრულ ქურუმად წარმოუდგნია, რეალურ ცხოვრებაში ისე ყოფილა გატაცებული მიუზიკ-ჰოლის მხიარული უანრით, რომ რამდენიმე წარმოდგენაზე რეცენზიაც კი გამოუქვეყნებია და პოპულარული შემსრულებლის, მერი ლოიდის გარდაცვალების გამო ნეკროლოგიც დაუწერია. ელიოტი თვითონაც წერდა თავშესაცევ, სახუმარო ლექსებს. მისი „მოხუცი პოსუმის წიგნი პრაქტიკულ კატებზე“, მრავალი წლის შემდეგ, ენდრიუ ლოიდ უებერის ცნობილ მიუზიკლს, „კატებს“ დაედო საფუძლად. შესაძლოა, სწორედ ამგვარმა და მსგავსმა ინტერესებმა განაპირობა ის, რომ სუინის დრამატურგიული ხორცშესხმისათვის ელიოტმა ვოდევილის ფორმა აირჩია. „მელოდრამა“ ნაწარმოებს პირობითად დაერქვა იმ აზრით, რომ ის უნდა ყოფილიყო მუსიკის თანხლებით შესრულებული წარმოდგენა. ფაქტობრივად კი „ფრაგმენტები“ მარტივი სიუჟეტით გაერთიანებულ, მიუზიკ-ჰოლში შესასრულებელ ვოდევილის კუპლეტებს წარმოადგენს, რომლებსაც მსახიობები ცეკვა-თამაშითა და სიძლერით წარმოსთქმავნ.

ნაწარმოების სიუჟეტი პირობითა, ხასიათები — საგანგებოდ სქემატური და ორგანზომილებიანი. დორისი და დასთი მკითხველს პირველი წაკითხვისას ადვილად აურევა ერთმანეთში; ასევე უსახური და ლამის ურთიერთჩანაცვლებადნი არიან სწორ, სუორთსი, უოჩოუპი, ჰორსფოლი, კრამპეკერი და კლიპსტაინი. პიესის პირველ ნაწილში სუინი საერთოდ არ ჩანს. დორისი და დასტი სხედან ბინაში და დროს იმით ჰკლავენ, რომ კარტს შლიან და მეგობრებზე ჰორაბერი. უსიამოვნო განცდა, რომელიც მათ ვინმე პერეირას სატელეფონო ზარისა და კარტში ამოსული „კუბის“ გამო ეუფლებათ („კუბის“ დორისის მარჩიელობაში ყვავის ორიანი განასახიერებს), მათთან მხიარული კომპანიის სტუმრობით ითვაწება. შემოღიან გოგონების მეგობარი სემ უოჩოუპი და მისი ყოფილი ფრონტელი მეგობრები, კანადელი სამხედროები: ჰორსფოლი, კლიპსტაინი და კრამპეკერი.

მეორე ნაწილში ამ საზოგადოებას ემატება სუინი, რომელიც შემოსვლისთანავე იწყებს დორისთან არშიყს. მათ უერთდებიან სწორ და სუორტსი — როგორც ჩანს, მოწვეული პროფესიონალი კონფერანსიები, რომელთა მიზნის დამსწრეთა გართობა და სიტუაციის გახალისება წარმოადგენს. სუინის თითქოსდა მხიარულ ხუმრობებს შიშისმომგვრელი ელფერი დაჰკრავს. ის უებნება დორისს, რომ მოიტაცებს მას და „კაციჭამიათა კუნძულზე“ შესანსლავს. ის

იქნება კანიბალი, დორისი კი – მისიონერი და ის სიამოვნებით მიირთმევს მისიონერისაგან დამზადებულ ჩაშუშულს:

I'll gobble you up. I'll be the cannibal....
Yes I'd eat you!
In a nice little, white little, soft little, tender little,
Juicy little, right little, missionary stew.

ცოცხლად შეჭმის პერსპექტივა, თუნდაც ხუმრობით გამოთქმული, დორისში უსიამო შეგრძნებას აღძრავს: „მართლა შემჭამ?“ – ეკითხება ის სუინის.

კუნძულზე, რომელსაც სუინი „ნიანგთა კუნძულსაც“ უწოდებს, ცხოვრება მარტივია და პირველყოფილი იდილიით აღსავესე: იქ არც ტელეფონებია, არც გრამოფონებია, არც სიტრონები და არც როლს-როისებია; არც ორკარიანი არც ოთხკარიანი. ვერაფერს შეჭამ ხეზე მოსული ნაყოფის გარდა, ვერც რამეს დაინახავ ზღვის და პალმების იქით და ვერც რამეს გაიგონებ ტალღის ხმაურის გარდა – ცხოვრება იქ სამი რამ არის მხოლოდ:

That's all the facts when you come to brass tacks:
Birth, and copulation, and death.

სუინი იხსენებს ნაცნობს, რომელმაც საშინელი დანაშაული ჩაიდინა – „გაასალა“ გოგონა და მისი გვამი ლიზოლით სავსე აბაზანაში „გაალღვო“. ის შეძრწუნებული ჩანს თავისივე მოგონებით (იქნებ თვითონ იყო მკვლელი?), დორის კი მისი ნაამბობი და კარტში ამოსული „ქუბო“ თავის საკუთარ შესაძლებელ სიკვდილზე დააფიქრებს. თანაც სუინი რამდენჯერმე იმეორებს, რომ ყველა მამაკაცს სურს, „ცხოვრებაში ერთხელ მაინც გაასაღოს ვინმე გოგო“-ო, რაც თითქოს სახუმარო, ლამის საცეკვაო-ჯაზური ინტონაციით ითქმის, მაგრამ ამავე დროს, შემზარავ შთაბეჭდილებას ახდენს დორისზე.

I knew a man once did a girl in
Any man might do a girl in
Any man has to, needs to, wants to
Once in a lifetime, do a girl in.

საერთო პირქუშ (თუმცადა იუმორისტულსა და კარიკატურულ) განწყობილებას ამძაფრებს ისიც, რომ სუინი რამდენჯერმე იმეორებს: „ქირა ვიღაცამ აუცილებლად უნდა გადაიხადოს“, რაც „მსუბუქი“, სასაუბრო ინტონაციისა და სიტუაციის გარეგნული მხიარულების მიუხედავად, ავისმომასწავებლად ჟღერს. ფრაზა აშკარად „ყველას საკადრისი მიეზღვება“-ს, ან „ყველას ადრე თუ გვაინ ვალი მოეგითხება“-ს ქვეტექსტს შეიცავს და ლამის მუქარად აღიქმება. დიალოგი პირების ისეა აგებული, რომ ფაქტობრივად „ქირა“ ძალადობრივი სიკვდილის ეფექტიზმად, ან უფრო მის მეტაფორად აღიქმება. ბოლოს, როდესაც დორისი ამბობს, რომ არ იცის ვინ გადაიხდის ქირას („იქნებ პერეირა?“), მამაკაცთა გუნდი შემოსახებს სიმღერას, რომელიც მარტოსულის ღამეულ კოშმარებსა და სულის ძროლას ასახავს. ფინალში ისმის კაგუნი შემოსავლელ კარზე. კაკუნის მოტივი ამგვარ კონტექსტში ამბივალენტურია და ნიშნავს როგორც ბედის კაკუნს, ისე სიკვდილის მოგაკუნებას, „ჩამოხრიბობილის“ სტუმრობას, ან „ქირის ამქრეფის“ (მიქელ-გაბრიელის?) მოსვლას, რაც ლექსის სიბოლურ პლანში ერთი და ივივეა.

კარიკატურისა და შავი იუმორის, მხიარულებისა და ძრწოლის, კომიკურისა და საშინელის ეს „ჯოჯოხეთური“ კაკაფონია, ერთი მხრივ, შემაძრწუნებელია, ხოლო, მეორე მხრივ, აგებულია 20-იანი წლების ჯაზის სინკოპირებულ რიტმსა და თითქოს უდარდელ, მხიარულ ინტონაციაზე; მთელი მოქმედება (განსაკუთრებით მეორე ნაწილი) ელიოტს ჩაფიქრებული და განხორციელებული აქვს, როგორც ცეკვა-თამაშის, სიმღერისა და სასაუბრო ტექსტის რიტმული ერთიანობა. კომიკური და კოშმარული საწყისები პიესაში ისეა მოწოდებული, რომ ამ ორმხრივ ემოციურ დატვირთვას ნაწარმოების ყველა სახე თუ ასოციაციური დეტალი თითქმის თანაბრად შეიცავს, თუმცა შეუმზადებელი მკითხველი ხშირად ვერ ხვდება, რომ სახუმაროსა და გასართობს მიღმა ძალზე სერიოზული, ხშირად, საკმაოდ პირქუში აზრი იმაღლება. „მისი პიესების თხრობითი ელემენტები, – წერს გროვერ სმიტი, – იმგვარად მიეწოდება ჩვეულებრივ მკითხველს, რომ ის, რაც მათში

მისტიკური ან რიტუალისტურია, სულ სხვაგან ძევს, მარტივი რეალიზმისაგან განსხვავებით, რომელიც ზედაპირზე ადვილად აღიქმება“ (სმიტი: 1956, 111).

თვით იმ ისტორიას, რომ სუინის ნაცნობმა ქალი „გაასაღა“ და მისი გვამი ლიზოლით (ანტისეპტიკური სარეცხი საშუალება) სავსე აბაზანაში „ჩაალბო“, სუინი პირქუში ანეკდოტივით ჰყვება:

Well he kept her there in a bath
With the gallon of Lysol in a bath...
ხოდა იქ ინახავდა მას, აბაზანაში
ლიზოლში ჩამბალს, აბაზანაში...

საინტერესოა, რომ მკვლელობის ეს ისტორია რეალურად მომზდარ ამბავს ეყრდნობა. 1923 წელს ვინმე სესილ მოლტბიმ (სმიტი 1956: 118; URL: <http://www.real-crime.co.uk/Murder1/docm.htm//Maltby>), გალოთებულმა თერმმა, რომელსაც ლონდონში ელიოტის მახლობლად ეჭირა ბინა („ის მოდიოდა ჩემთან, მე ვისკის ვუდგამდი და ვამშვიდებდიო“, – ამბობს სუინი), მოკლა თავისი საყვარელი და შემდეგ მის ცხედარს თითქმის ნახევარი წლის განმავლობაში აბაზანაში „ინახავდა“. მთელი დრო, მკვლელობიდან დანაშაულის გახსნამდე (პიესაში – ორი თვე), მოლტბიმ სრულ მარტობაში, ბინძიან გამოუსვლელად, ცხედართან ერთად გაატარა. აბაზანის ნიჟარაზე მოლტბის ფიცრები ჰქონდა გადაფარებული. ამ იმპროვიზებულ „მაგიდაზე“ ის საჭმელს შეექცეოდა. როდესაც დანაშაული გამოაშეარავდა, მოლტბიმ თავი მოიკლა, ქალის სხეული კი ისე იყო ჩაშლილი ხსნარში, რომ პოლიციელებმა გვიმი ვერ ამოიღეს და განყოფილებაში მთელი აბაზანის გადატანა მოუხდათ. თავის დროზე ეს ისტორია დიდად გახმაურდა „ტაიმსის“ ფურცლებზე. ბრიტანულ კრიმინალისტიკაში მას დღესაც მოიხსენიებენ, როგორც ბოროტმოქმედების ფსიქოლოგიის ქრისტომათიულ მაგალითს.

როგორც ეს საერთოდ ხდება დიდ ლიტერატურაში, ეროსი და თანატოსი „სუინი აგონისტშიც“ განუყოფელია, მაგრამ სიყვარული აქ მრუშობად იქცევა, სიკვდილი კი – მკვლელობად. ელიოტი ამ მოტივს მკაფიო ტრაგიომიკურ უღერადობასა და როულ სიმბოლურ დატვირთვას ანიჭებს. „გოგონას გასაღება“ ნაწარმოების აზრობრივ სტრუქტურაში მხოლოდ ძალადობასა და მკვლელობას კი არ გამოხატავს, არამედ, უპირველეს ყოვლისა ადამიანის ყოვლისმომცველი მარტობის თემას უკავშირდება. მკვლელობა წარმოჩენილია როგორც რუტინული მოვლენა, ყოველდღიურობის ნაწილი („რა მოხდა მერე, ამქვეყნად ყველა კაცს უნდა, ცხოვრებაში ერთხელ მაინც გაასაღოს ვინმე გოგო“, – ამბობს სუინი), მაგრამ თვით მკვლელისათვის ის ცხოვრების შეგრძნების წყაროდ იქცევა:

This went on for a couple of months
Nobody came and nobody went
But he took in the milk and he paid the rent.

ეპიზოდი ადამიანის მეტაფიზიკურ მარტობას, ალოგიკურ სამყაროში მის სრულ გუცხოებას გამოხატავს. ამგვარი მარტობისას იშლება ზღვარი სიკვდილსა და სიცოცხლეს, რეალურსა და ირეალურს, ცხოვრებასა და კოშმარულ ზმანებას, „ამქვეყნიურ“ და „იმქვეყნიურ“ სამყაროს შორის. „სუინი აგონისტში“ ამგვარ სახეს იღებს ჯერ კიდევ „უნაყოფო მიწისათვის“ (1922) ცენტრალური და მისი თემატური სტრუქტურის განმსაზღვრელი „ცოცხლად კვლობის“, ანუ „სიცოცხლეში სიკვდილის“ მოტივი (death-in-life motif). გოგონას „გამსაღებელმა“ უკვე აღარ იცოდა, ის თვითონ იყო მკვდარი თუ მკვდარი იყო მისი მსხვერპლი. ის ქირასაც იხდიდა და მერძევის ბოთლებიც შინ შემოჰქონდა, მაგრამ

He did not know if he was alive
and the girl was dead
He didn't know if the girl was alive
and he was dead
He did not know if they were both alive
or both were dead
If he was alive then the milkman wasn't

and the rent-collector wasn't
And if they were alive then he was dead.

მას ვერ გაეგო, თვითონ იყო ცოცხალი,
თუ ის გოგო მკვდარი
ვერც ის გაეგო, გოგო იყო ცოცხალი,
თუ თვითონ ის მკვდარი
ისიც ვერ გაეგო, ცოცხლები იყვნენ ორივე,
თუ ორივენი მკვდარი
და თუ ის ცოცხალი იყო, მაშინ მერძევე იყო მკვდარი
და ქირის ამკრეფიც - მკვდარი.
და თუ ყველანი ცოცხლები იყვნენ,
მაშინ თვითონ ის იყო მკვდარი.

მთლიანობაში, „სუინი აგონისტის“ ეს ეპიზოდი კონცენტრირებული სახით გამოხატავს 20-30-იანი წლების მიჯნის ევროპულ ინტელექტუალურ წრებში გამეფებულ განწყობილებებს.

ოცი წელი უაზროდ მომსპარი,
L'entre deux guerres gaCixerili wlebi,

— წერდა ამ დროის შესახებ ელიოტი „ოთხ კვარტეტში“. დაახლოებით იმავე პერიოდში (1938 წელს) პოეტი აღნიშნავდა, რომ „აცი შეიძლება გაანადგუროს იმის შეცნობამ, თუ რამდენად არის იგი იზოლირებული სხვა ადამიანებისაგან, რამდენად არის დარჩენილი მატროდმარტო საკუთარ თავთან, თავის ეგოიზმთან და უსარგებლობასთან, თვით ღვთისგანაც მაროტდმარტო მიტოვებული“ (ელიოტი 1938: 382).

ელიოტის თანამედროვე, ქრისტიანი ეგზისტენციალისტი პაულ ტილისი (1886-1965) წერდა, რომ იმჟამად „...ბრიტანეთიდან იტალიამდე მთელი ევროპის სულიერი ცხოვრება წარმოადგენდა დაშლისა და ნგრევის ერთ უშველებელ სურათს.... გამეფებული იყო ყოვლისმომცველი შიში და რაღაც გაურკვეველი ძრწოლა.... დაუცველობის ამ განცდას უკავშირდებოდა კულტურული ქაოსის მახასიათებელი — ინდივიდუუმის ის მეტაფიზიკური მარტობა, რომელიც პარმონიულ სისტემაში მკაფიოდ წარმოაჩენს ერთი “მონადიდან“ მეორისაკენ გამავალი “კარ-ფანჯრის“ არ არსებობას. ყოველივე არსებული ჩაკეტილი იყო საკუთარ თავში, მოშლილი იყო ყოველგვარი კავშირი.... კულტურის ნგრევის მთავარი მახასიათებელი იყო ყოფიერების უაზრობის განცდა და მისგან გამომდინარე ცინიზმი“... (ტილისი, URL)

ეპოქის ამ ძირითად განწყობილებებს, ლამის უშუალოდ დეკლარირებული დებულებების სახით, ელიოტი ძალზე ეფექტურად იყენებს, მაგრამ როგორც პოეტი, თავის მხატვრულ სათქმელს ის „უშუალოდ გამოთქმული აზრის“ დონეზე არასოდეს არ გამოხატავს. ელიოტისათვის არც სულიერი დევრადაციის გამომხატველ აზრთა დეკლარირება, არც გოგონას მკვლელობის ისტორიის „მოყოლა“ და არც ამ ისტორიის „ფილოსოფიური“ განზოგადება არ არის მთავარი (ნიშანდობლივია, რომ სწორედ სუინი „განაზოგადებს“ მომხდარ ამბავს და ლამის „ეგზისტენციალისტ მოაზროვნედ“ წარმოგვიდგება, რაც უკეთ თავისთავად პაროდია). ელიოტისათვის უმთავრესია პოეტიკა, მთელი ამ თემატური მასალის ისეთი დალაგება, სახეთა კომბინირების ისეთი გზისა თუ მეთოდის მიგნება, რომელიც მკითხველში მისთვის სასურველ განცდით ეფექტს აღძრავს. მე იმულებული ვარ სიტყვები ვიზმარო, რომ გელაპარაკო, — ეუბნება სუინი დორისს და ამით თითქოს მარტობისა და არაკომუნიკაბელობის დაძლევას ცდილობს. მაგრამ აქაც ირონიაა ჩაქსოვილი. პოეტი თვითონაც „იმულებულია“ თავისი დროის ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური და სხვა იდეები მოიხმოს, რათა გამოხატოს თავისი ლექსის (და მასთან ერთად თავისი ეპოქის) ემოციური დაძაბულობა, მისი პირქუში, პაროდიული და ირონიული მუხტი. მეორე მხრივ, ცხადია, პოეტი გულგრილი ვერ იქნება იმ აზრთა მიმართ, რომელთაც მისი ნაწარმოები უშუალოდ გამოთქვამს. უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ გამოხატვას თვით ელიოტის იმჟამინდელმა, არცთუ მხიარულმა განწყობილებებმა შეუწყო ხელი. „სუინი აგონისტის“ ღირსებაც და მისი შეზღუდულობაც იმაში მდგომარეობს, — წერს სტივენ სპენდერი, — რომ მთელი პიესა წარმოადგენს პირქუში იუმორით გადმოცემული, შემზარავი და გამოუვალი სიტუაციის ხილვას...

კაცი წამითაც ვერ იფიქრებ, როგორც, ვთქვათ, „პრაქტიკული კატების წიგნის“, ან ელიოტის კომედიების კითხვისას, რომ აქ პოეტს ხუმრობა სურდა. ამგვარი იუმორის სახით, რაღაც ძალიან პირქუში, ღრმად სარდონიული გადმოინთხა მისი ბუნებიდან“ (სპენდერი 1975: 189).

მართალია, ელიოტი თავის პიესას უანრობრივად უკვე ქვესათაურში განსაზღვრავს როგორც მელოდრამას (რაც ისევ და ისევ პაროდიული ილეთია, იმიტომ, რომ არსებითად, მელოდრამასთან „სუინი აგონისტს“ არავითარი კავშირი არა აქვს), მაგრამ მხატვრულ ქსოვილში ასახული ავტორისული ხედვით, ის უფრო პირქუში და გესლიანი იუმორით აღსავს ტრაგიკომედიაა, რომელიც ფარსს უახლოვდება და დროდადრო კლოუნადაში გადადის. ფორმალურად, პიესა ვოდევილია, მაგრამ ტრაგიკომიკურია მასში ასახული სამყაროს ხედვა, ტრაგიკომიკურია თვით სუინი და ის მოქმედებაც, რომელშიც სხვა პერსონაჟები არიან ჩართულნი. მაგრამ ტრადიციული ტრაგიკომედისაგან „სუინი აგონისტი“ უკვე იმით განსხვავდება, რომ ის „პეპი ენდით“ არ მთავრდება. პიესის ფინალში, სუინის მიერ ნაამბობი და მის მეგობართა მიერ ნამღერი კოშმარების შეძლებ, კარზე საბეჭისწერო კაპუნი გისმის.

ფორმალურად ვოდევილი, სათაურით – მელოდრამა, არსებითად კი პირქუში ირონიით აღსაგეს ტრაგიკომედია – „სუინი აგონისტი“ რამდენიმე სასცენო უანრის სინთეზს შეიცავს. ფარსის, ბურლესკისა და ბუფონადის ეკლექტიკაზე, ვარიეტესა და მიუზიკ-პოლზე რომ არაფერი ვთქვათ, პიესაში იკითხება „პირქუში კომედიის“ ძველი ინგლისური ტრადიციის ქვეტექსტიც. თუ პერეირას, რომელიც დორისს ურეკავს, მაგრამ „კადრში“ არ ჩანს, ასაკოვან მამაკაცად წარმოვიდგენთ, ძნელი მისახვედრი არ იქნება, რომ პიესა ბალაგანური *Commedia dell'Arte*-ს ფორმალურ ასოციაციასაც შეიცავს. ამ რემინისცენციას ყველა პერსონაჟი თითქმის თანაბრად ინაწილებს. პერეირა (პანტალონე) – „Sugar-Daddy“ („პაპაშა“), რომელიც ქირას იხდის და „სპონსორობს“ ახალგაზრდა ლამაზმანს; სუინი (არლეკინი), რომელიც ამ ლამაზმანს უკაცრიელ კუნძულზე მოტაცებას უპირებს; დორისი (კოლომბინა), რომელსაც პერეირა არ უყვარს და სუინის ეარშიყება. მათ მხარს უბაშს ტრაგიკულ ჯამბაზთა (პიერო) სევდიან-კარიკატურული ქორო, რომელიც უოჩოუპის, ჰორსფოლის, კრამპაკერის, კლიფფსტაინის, სუორთსისა და სნოუსგან შედგება და კოშმარნარევ სასაცილო სიმღერებს ასრულებს დაირისა და კასტანიეტების თანხლებით. ერთი სიტყვით, სიტუაცია პოლონიუსის აღწერილს წააგავს: „~მაგათ ქვეყანაზედ აქტიორი ვერა სჯობს: ვერც ტრაგედიაში, ვერც კომედიაში, ვერც ისტორიკულ წარმოდგენაში, ვერც იდილიაში, ვერც იდილიკურ-კომიკურში, ვერც ისტორიკულ-იდილიკურში, ვერც ტრაგიკულ-ისტორიკულში, ვერც ტრაგიკულ-კომიკურ-ისტორიკულ-იდილიკურში ოხუნჯობასა და თავისუფალ ლაპარაკში კიდევ მაგათ ვერავინ შეეღრება“ (პამლეტი, მოქმ. II სურ. 2).

კიდევ ერთი და, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი უანრობრივი ასოციაცია, რომელიც ელიოტმა თავის დაუმთავრებელ პიესაში შემოიტანა, არის ე.წ. „მინსტრელ შოუ“, რომელიც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის შუაწლებიდან იყო გავრცელებული ამერიკაში და ელიოტის დროისათვის უკვე მივიწყებას ეძლეოდა. მოგვიანებით, „მინსტრელ შოუს“ წარმოდგენები ეთიკური მიზეზითაც ალიკეთა, რადგან მას, ძირითადად, ზანგებად გადაღებილი თეთრკანიანები ასრულებდნენ, ხოლო ტრადიციული ტექსტი უხვად შეიცავდა შავკანიანთა გაქილიკების, მათი აქცენტის მასხარად აგდების, მათი გონებრივი ჩამორჩენილობის მტკიცებისა და სხვა არაკორექტულ მოტივებს. ტრადიციულად, „მინსტრელ შოუს“ რამდენიმე შსახობი მამაკაცი ასრულებდა, რომლებიც დასაწყისში რიტმული ინსტრუმენტების თანხლებით, დიალოგური ფორმით წარმოთქმდნენ ხუმრობებს, ხოლო შემდეგ სიმღერითა და ცეკვა-თამაშით იწყებდნენ სვლას მაყურებელთა შორის. ჩვეულებრივ, ამ მსვლელობას წინ უძღვდა დაირის, ან დოლის დამკრელი (თვით შოუს პერსონაჟს, ტრადიციულად, „თამბო“- „დაირა“ ერქვა), ხოლო ბოლოს მიჰყებოდა მსახიობი კასტანიეტებით (რომელსაც შესაბამისად, ერქვა „Bones“ – „ძვლები“, ანუ „კასტანიეტები“). „სუინი აგონისტები“ დაირა სნოუს უჭირავს, „ძვლები“ კი – სუორთს. ავტორისუელ რემარკაში პირდაპირ არის ხაზგასმული, რომ სნოუ „დაირის“ როლს ასრულებს, ხოლო სუორთსი – „კასტანიეტებისას“. თვით პერსონაჟთა გვარებიც: სუორთის (გერმ. Schwartz, „შავი“) და სნოუ – („Snow“, თოვლი, ანუ თეთრი), „მინსტრელ შოუს“ მიმნიშნებელი პერსონაჟთა სახელებია. სნოუს, სუორთსის, კრამპაკერისა და კლიპსატინის სიმღერა, პიესის გარემომცველ კოშმარში მათი კომიკური მსვლელობა, რომელმაც შოუს ტრადიციის თანახმად, სხვა მოქმედი პირებიც უნდა აიყოლიოს, „სიკვდილის მსვლელობის“, ანუ ძველევროპული „DANCE MACABRE“-ის მძაფრ

ასოციაციას აღძრავს. იგივე ასოციაციას იწვევს პიესის ფინალში მამაკაცთა გუნდის ერთდროულად შიშისმომგვრელი და პაროდიული შეძახილებიც: „Ho ha ha / Ho ha ha / Hoo Hoo Hoo“.

სიკვდილი პიესაში თავიდანვე მთელი მოქმედების დამსწრეა და მისი თანაზიარი. ფაქტობრივად ის პერეირას მსგავსი უხილავი პერსონაჟია, თუმცა მას ბევრად უფრო მნიშვნელოვანი აზრობრივ-ემოციური და სიმბოლური დატვირთვა ეკისრება. ამას მოწმობს პიესის ტექსტის თითქმის ყველა დეტალი, მთელი მისი ერთდროულად პირქუში და „სახუმარო“ განწყობილება: სიკვდილი აქ ყველან სუფეს და ყველა წვრილმანიდან გამოსჭვივის. პარადოქსულად, ის თვით სიცოცხლესთან არის გაიგივებული:

DORIS: What is?
What's that life is?
SWEENEY: Life is death.

რადგან სიცოცხლე სიკვდილია, მკვდრები არიან პიესის ცოცხალი პერსონაჟებიც. ისინი „არიან კიდეც და არც არიან“ ამქვეყნად, იმ ყმაწვილის მსგავსად, თავისი საყვარელი რომ „გაასაღა“ და აღარ იცოდა, თვითონ მკვდარი იყო, თუ ცოცხალი:

For when you're alone
When you're alone like he was alone
You're either or neither...

რადგანაც როცა ხარ მარტო
როცა ისე მარტო ხარ, როგორც ის იყო,
მაშინ ან ხარ და ან კიდევ არც ხარ.

იგივეს მღერის მამაკაცთა ფინალური ქორო:

And perhaps you're alive
And perhaps you're dead
და იქნებ ცოცხალი ხარ
და იქნებ კიდეც – მკვდარი

იგივეს (უკვე მერამდენედ!) იმეორებს სუინიც:

Death or life or life or death
Death is life and life is death.

სიკვდილი თუ სიცოცხლე, სიცოცხლე თუ სიკვდილი
სიკვდილია სიცოცხლე და სიცოცხლე – სიკვდილი

სუორთსის, უოჩოუპის, ჰორსფოლისა და სნოუს კომიკური მანჭვა-გრეხა, მათი პირქუში და ამავე დროს კარიკატურული პარადი, დაირისა და კასტანიეტების თანხლებით მათი შემზარავი, პაროდიული მსვლელობა, მათი სიმღერა კუნძულზე, რომელიც ახლა უავე იმქვეყნიურობად აღიქმება, ყოველივე ეს უამრავ შუასაუკუნეობრივ გრავიურაზე გამოხატული და პოპულარულ ტექსტში აღწერილი „სიკვდილის მსვლელობის“, ანუ „სიკვდილის როკვის“ პაროდიული ანალოგიაა. შუასაუკუნეობრივ რელიგიურ ტრადიციაში სიკვდილის სახება – მოცეკვავე ჩონჩხი მხოლოდ ცელით კი არა, ხშირად დაირით, ან დოლით, ან ძვლების ხრიალით („კასტანიეტებით“) წარმოუდგებოდა ხოლმე მისი ხილვით შეძრწუნებულ ღვთისმოსავ ხალხს.

მხიარული და მოცეკვავე სიკვდილი გვხვდება პანს ჰოლბაინისა და ალბრეხტ დიურეის გრავიურებში. ასეთივეა ის გერმანისა და საფრანგეთის დიდებული ტაძრების ინტერიერთა მოხატულობაშიც. მას, დამკვრელსა და მოცეკვავეს, ერთდროულად კომიკურსა და ტრაგიკულს, მხიარულსა და პირქუშს, მასხარასა და მბრძანებელს, მეფეები და იმპერატორები, აზნაურები და გლეხები, გაჭრები და რაინდები, მევაზშეები და მიჯნურები, ქალები და კაცები ერთნაირად მიჰყავს იქ, საიდანაც დაბრუნება შეუძლებელა. ხშირად ეს „წაყვანის“ პროცესიც ისეა წამოდგენილი, როგორც მსვლელობა, რომელსაც წინ მოცეკვავე და მომღიმარი, თანაც ინსტრუმენტზე დამკვრელი სიკვდილი მიუძღვის. პიესის ფინალში, სწორედ უოჩოუპის, ჰორსფოლისა და

კრამპექერის კოშმარული ზმანებით აღსავსე „მინსტრელ შოუს“ შემდეგ ისმის ის საბედისწერო კაცუნი, რომელსაც წესით შემზარავი სტუმარი უნდა შემოჰყვეს. მაგრამ კარზე კაცუნს არავინ და არაფერი აღარ მოჰყვება, წარმოსახვით სცენაზე აღარავინ აღარ შემოდის, რადგან ის, ვინც მომსვლელი იყო, არსებითად, მთელი პიესის განმავლობაში იღებდა მოქმედებაში მონაწილეობას.

„DANCE MACABRE“-ის გაშლილი ასოციაცია პიესის მხატვრულ ქსოვილზე მხოლოდ თემატურისა და სიმბოლურ გავლენას არ ახდენს. ის მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის პოეტიკასაც. „პირქუში მხიარულებისა“ და „კოშმარული ცეკვა-თამაშის“ განწყობილება, რომელიც პიესაში სუფეს, დიდწილად სწორედ მოცეკვავე ჩონჩხის ორსახოვნებითაა ნაკარნახევი: კომიკური მანჭვა-გრეხით, ლამის კარიკატურული ჰაბიტუსითა და ვულგარული მანერებით, სიკვდილის ეს სახება ტრადიციულად უსასრულო კოშმარს გამოხატავს. ელიოტსაც ისე აქვს დალაგებული თავისი დრამის პოეტიკა, რომ ყოფიერების კოშმარი მკითხველს პირქუშ კლოუნადად წარმოუდგება, რომელიც ცოცხალი რიტმისა და მხიარული მელოდიის თანხლებით სრულდება.

არ არის გამორიცხული, რომ უამრავ ფერწერულ, გრაფიკულსა და მუსიკალურ ნაწარმოებთან ერთად, სადაც „სიკვდილის როკვაა“ წარმოსახული, კონკრეტული გავლენა ელიოტზე მოახდინა ბოლლერის ცნობილმა ლექსმა „Dance Macabre“ („ბოროტების ყვავილებიდან“), სადაც სიკვდილის ტრაგიკომიკური აღქმა მსგავს განწყობილებას გამოხატავს. როგორც ჩანს, ელიოტის ერთ-ერთი წყარო იყო ჯოზეფ კონრადის „წყვდიადის გულიც“, სადაც აგრეთვე გამოყენებულია „სიკვდილის როკვის“ სიმბოლიკა (სანდელსონი 1981: 41-44; მუფინი 1989: 123-136).

უსაზღვროდ შთამბეჭდავი „სიკვდილის როკვა“ წარმოსახული პიტერ ბროიგელის ცნობილ ტილოზეც („სიკვდილის ტრიუმფი“), სადაც უკვე სახვითი ხელოვნების საშუალებებითაა გადმოცემული ამ შემზარავი როკვის წრიული, განმეორებადი რიტმიც და ის პაროდიული მსოფლალებასაც, რაც ელიოტის ტრაგიკომიკური ფარსის საფუძველს შეადგენს. ელიოტი ლექსმი ფერწერულ ასოციაციათა შემოტანის დიდოსტატი იყო: ბოსხისა და ბროიგელისაგან „ნასესხები“ სახეები მის სხვა ნაწარმოებებშიც გვხვდება. რაც შეეხება ბროიგელის ამ კონკრეტულ სურათს, მისი ძირითადი ფრაგმენტი იმდენად ახლოს დგას „სუინი აგონისტთან“, რომ დაკვირვებულმა მკითხველმა შესაძლოა, მასში ამ პიესის ერთგვარი „ილუსტრაციაც“ შეიცნოს.

პიესის გამომსახულ საშუალებათა სისტემაში „მინსტრელ შოუდა“ ნასესხები ასოციაციური სტრუქტურის შემოტანით, ელიოტი მიანიშნებს მოქმედების რიტუალურ ხასიათზე. ცხადია, იმავე მიზანს ემსახურება „დანს მაკაბრის“ ვრცელი ასოციაციაც. იქ, სადაც მხოლოდ სიკვდილი, ძალადობა და მრუშობა სუფეს, რიტუალი, სულ ცოტა, ჰალუცინაციათა მოსაწესრიგებლად არის საგირო, რათა ფინქოპატის სიზმარს მიმსგავსებულმა, ზნეობრივად ნიველირებულმა და უსაზღვროდ პირქუშმა სამყარომ მთლიანობის ილუზია შეინარჩუნოს: თუნდაც იმისათვის, რომ მხატვრული ხორცებს სხმისათვის ვარგისი გახდეს. ამდენად, რიტუალი ელიოტისათვის დრამატურგიული მასალის მხატვრულ მთლიანობად გარდასახვის ფუნქციას ასრულებს.

რიტუალური ფორმათქმნადობა პიესის მხატვრული სტრუქტურის უმნიშვნელოვანეს ფუნქციონალურ ელემენტში კლინდება. ესაა განმეორებადი რიტმი, რომელიც პიესის მთელ მხატვრულ ქსოვილს მსჭალავს, რიტმული დიალოგით დაწყებული და სპეციფიური, მიუზიკ-ჰოლისა თუ „მინსტრელ შოუსათვის“ დამახასიათებელი ცეკვითი მოძრაობებით დამთავრებული (ესენი ტექსტში მხოლოდ იგულისხმება, მაგრამ პიესის შესრულებისას რიტუალური ცეკვების პაროდიად უნდა აღიქმებოდეს). დიალოგი პიესაში ინტონაციურად ისეა აგებული, რომ ის ადვილად იწვევს მკითხველში მარტივი ჯაზური მელოდიის სინკოპირებული რიტმის ასოციაციას:

DUSTY: How about Pereira?

DORIS: What about Pereira

I don't care.

DUSTY: You don't care!

Who pays the rent?

DORIS Yes he pays the rent

DUSTY: Well some men don't and some men do

Some men don't and you know who.

თვით უოჩოუბის, პორსფოლიის, სუორთისისა და სნოუს სიმღერა, დევიდ ჯოუნზის ცნობით (უონესი 1960: 28), ნასესხებია 1905 წელს ბობ კოულის და როზამუნდ ჯონსონის პოპულარული

რიტმული მელოდიიდან „nder the Bamboo“ („ბამბუკის ხის ქვეშ“). ელიოტს პოპულარული ლირიკა შეუცვლია, მაგრამ რიტმი, „ბამბუკის ხე“ და ტექსტის დასასრული უცვლელად დაუტოვებია.

მთელი პიესის მანძილზე ლექსიკურსა თუ სინტაქსურ დონეზე დიალოგის ცალკეული ელემენტების განმეორებადი მონაცვლეობა ციკლურობის, წრისმაგარი მოძრაობის შთაბეჭდილებას ახდენს. რიტმის განმეორებადობის, მისი ციკლურობისა და შესაბამისად, თემატური მასალის „წრებრუნვის“ ეს ხერხი ტექსტში თავს იჩენს უშუალო-აზრობრივ დონეზეც, როგორც, მაგალითად, დაბადება-გარდაცვალების უსასრულო წრებრუნვა, რომელიც ინდუისტური „სამსარას ბორბლის“ ასოციაციას იწვევს და რომელსაც გარდაცვალება-მკვდრეოთით აღდგომის მითოლოგემა უდევს საფუძვლად. სუინი ამბობს, რომ კუნძულზე ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არა „სამი რამ მხოლოდ“:

Birth, and copulation and death.
That's all, that's all, that's all,
Birth and copulation, and death.

ტექნიკური თვალსაზრისით, ეს რიტმული წრებრუნვა, „საწუთროს ჩარხის“ ეს განმეორებადი, რიტმული ტრიალი, ელიოტს ცოცხალ დიალოგში თემატრალური დინამიკის წამოსახენად სჭირდება (მით უმეტეს, რომ იგივე რიტმზეა აგებული მსახიობთა მოძრაობებიც), მაგრამ ამავე დროს ის ადამიანის არსებობის უცვლელობას, ერთგვარ „მანკიერ წრეში“ მის დატყვევებასა და ქრონიკულად ნეგატიურ სიტუაციაში მის მარადიულ „გაჭედილობას“ გამოხატავს.

განმეორებადი რიტმი პიესაში არა მხოლოდ ლექსიკურ და სინტაქსურ, არამედ სიმბოლურ დონეზეც გამოიხატება, რიტმული ინსტრუმენტების – დაირისა და კასტანიუტების ხსნებით. გარდა ამისა, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ უინილაკების გარდა, დაირა მასზე გადაქრული დასარტყმელი აპკისაგანაც შედგება, სრულიად მართებულად წარმოგვიდგება დოლის, როგორც მთავარი დასარტყმელი ინსტრუმენტის ასოციაცია, რომლის ხმაც მელოდიის „გვერდის ავლით“, უშუალოდ ზემოქმედებს ადამიანზე, მის ბიორიტმსა და არაცნობიერზე, აღვიძებს მასში მივიწყებულ, პირველყოფილ, რიტუალურ იმპულსებს. ტყუილად არ უპირებს სუინი დორისს უკაცრიელ კუნძულზე შეჭმას და ამასთან, საკუთარ თავს კანიბალად წარმოსახავს. ესეც ერთგვარი სიუჟეტური მინიშნებაა პაროდიულ რიტუალიზმზე. ნიშანდობლივია ისიც, რომ შაბანისტურ რიტუალებში დაირისა და დოლის გამოყენება ფართოდ გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენს. „თავდაპირველად, – აღნიშნავს ელიოტი ესეში „The Beating of the Drum“ (1923), – დრამა სხვა არაფერი იყო, თუ არა რიტუალი. ხოლო რიტუალი, რომელიც განმეორებად მოძრაობათა თანმიმდევრობისაგან შედგება, არსებითად, იყო ცეკვა... ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირველყოფილი ადამიანი ჯერ გარკვეული წესით იქცეოდა და უკვე შემდეგ ეძიებდა ამ თავისი ქცევის მიზეზს. მოცლილ კაცს, თუ ის დოლს იპოვის, შეიძლება გაუჩნდეს ამ დოლზე დაკვრის დაუოკებელი სურვილი. მაგრამ თუ ის იმბეცილი არ არის, იგი ვერ შესძლებს სურვილი იმით დაიკამაყოფილოს, რომ ამ დოლზე გაუთავებლად უკრას ისე, რომ მას სხვა რამ მიზეზი არ ამოძრავებდეს. მიზეზი კი შეიძლება იყოს, ვთქვათ, ხანგრძლივი, გაუთავებელი გვალვა. შემდევი თაობა, ან შემდეგი ცივილიზაცია იპოვის კიდევ უფრო დამაჯერებელ მიზეზებს, რათა დოლზე იმანაც დაუკრას... დღეს ეს მიზეზები შეიძლება დავყოთ ტრაგედიად და კომედიად. ანუ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ დღესაც ისეთივე მიზეზები გვამოძრავებს, მაგრამ დოლი... დოლი კი დაკარგული გვაქვს“... (ელიოტი 1923: 11-12)

შეიძლება ითქვას, რომ თავის შემოქმედებაში ელიოტმა ეს „დოლი“ ჯაზური მელოდიისა და მისი რიტმიკის პოეტური იმიტაციის სახით, „თავიდან აღმოაჩინა“. მე-20 საუკუნის დასაწყისის ჯაზური ინტონაცია „სუინი-აგონისტში“ წარმოდგენილია, როგორც რიტუალური რიტმის პაროდიული ანალოგია, რომელმაც თანამედროვე სამყაროში რიტუალური დოლის ხმა შეცვალა. ამავე დროს, საცეკვაო რიტმს ობიექტურად ენიჭება მითოლოგიური დატვირთვა; პირველყოფილ რიტუალსა და მარადიულ მითოსურ წრებრუნვას ის ობიექტურად უკავშირდება. როგორც მირჩა ელიადე აღნიშნავს, „საცეკვაო რიტმები ადამიანის ამქვეყნიური ყოფის მიღმა იღებენ დასაბამს, განურჩევლად იმისა, განასახიერებენ ისინი ტოტემური, ან სიმბოლური ცხოველის მოძრაობებს, ვარსკვლავთა გადანაცვლებას, თუ თავისთავად წარმოადგენენ რიტუალს... ცეკვა ყოველთვის

ეტალონურ, ანუ მითოსურ ქმედებას განასახიერებს. ერთი სიტყვით, ის წარმოადგენს მითოლოგიური დროის ხორცშესხმას და, აქედან გამომდინარე, მის რეაქტუალიზაციას“ (ელიადე, URL).

ელიოტის პაროდიული პერსონაჟები ვერ აცნობიერებენ, თუ რაოდენ დიდი ადგილი უჭირავს მათ ტრივიალურ ყოფაში, მათ საგანგებოდ ბანალურსა და ვულგარულ ქცევაში, რუდიმენტულ, სეკულარიზებულ, მოქმედების ჩვეულ სქემად ქცეულ რიტუალს. ცხადია, როგორც მოდერნისტი პოეტი, ელიოტი სავსებით გაცნობიერებულად იყენებს მხატვრული ნაწარმოების რიტუალიზაციისა და მისი დროის მითოლოგიზაციის ხერხს. სუინი, დორისი, უოჩოუპი და სხვანი, მისთვის ლონდონის იაფეასიანი უბნის ერთ-ერთ ბინაში მანცდამანც „დღეს“ შეკრებილი დემიმონდენები არ არიან. მათ მიერ გათამაშებული პირქუში ტრაგიკომედია მითოსური და რიტუალური დროის რეაქტუალიზაციას ახდენს და ამ თვალსაზრისით, „მარადიულია“. ელიოტის უდავო შემოქმედებით მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ამ ურთულეს მხატვრულ ეფექტს ის შედარებით მარტივი პოეტიკური ხერხით – დიალოგში განმეორებადი რიტმული ინტონაციის შემოტანით აღწევს.

უნდა ითქვას, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ელიოტი გარ-კვეულწილად დავალებულია მისი თანამედროვე ამერიკელი მწერლის, ფრენსის სკოტ ფიცერალდისაგან, რომლის კრებული „ჯაზის ეპოქის ზღაპრები“ და განსაკუთრებით, რომანი „დიდი გეტსბი“ დღესაც ჯაზური ინტონაციების ლიტერატურული ადაპტაციის ნიმუშად არის ცნობილი. ფიცერალდმა თავადაც განიცადა ელიოტის გავლენა, როგორც თანადროული ცივილიზაციის სიმბოლოდ „თავისი“ უნაყოფო მიწა – უკიდვენან „შლაკის ველი“ წარმოსახა, რომელსაც მის რომანში „ექიმ ჯ. ეკლბერგის სათვალეების“ უშველებელი სარეკლამო ფარი დაჰყურებს.

გრ. სმიტის ცნობით (სმიტი 1956: 114), ელიოტს სამჯერ ზედიზედ გადაუკითხავს ფიცერალდის მიერ საჩუქრად გამოგზავნილი „გეტსბი“ და საპასუხო შესტად, „სუინი აგონისტში“ ამ რომანის რამდენიმე ალუზია შეუტანია (მისი კლიპსტაინი ფიცერალდის კლიპსპრინგერს წააგავს, ხოლო მამაკაცთა გუნდის „დიმინუენდ“, ფაქტობრივად, „დიდი გეტსბის“ მე-5 თავისი მოყვანილი ბალადის პაროდიული დუბლიკატია და ა.შ.). მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ძირითადი, რაც ელიოტმა ფიცერალდისგან „ისესხა“, ჯაზური რიტმიკის ლიტერატურული ადაპტაცია იყო, რომელიც მან ასოციაციურად რიტუალს დაუკავშირა და განმეორებადი რიტმი თავის ნაწარმოებში სწორედ ამ გზით შემოიტანა. „პლაგიატზე“ მსჯელობა აქ უადგილოა, რადგან „დიდი გეტსბის“ ავტორი ვერც წარმოიდგნდა, რომ შესაძლებელი იქნებოდა მისი ორიგინალური მიგნების რიტუალებად გამოყენება, მისთვის მითოსურ-ზედროული განზომილების მინიჭება და „სუინი აგონისტის“ რთული ასოციაციური პოეტიკის ღერძად გარდაქმნა.

საგულისხმოა, რომ მითოლოგიზმი „სუინი აგონისტში“ არ არის რიტუალზე უშუალოდ „მიბმული“, თუმცა ცნობილია, რომ თვით რიტუალი ხსნა არაფერია, თუ არა ადამიანის განმეორებად კოლექტიურ ქცევაში განხორციელებული თანდაყოლილი მეტალური სტრუქტურა, ანუ იგივე არქეტიპი. ამას ნათლად მოწმობს კარლ გუსტავ იუნგისა და ჯეიმზ ჯორჯ ფრეიზერის უკვე ქრესტომათიებად ქცეული ნაშრომები. „სუინი აგონისტში“ ელიოტს შემოაქვს მნიშვნელოვანი სიმბოლური სახე, რომელიც ფაქტობრივად მთელი ნაწარმოების მითოპოეტიკურ ბირთვს შეადგენს, მაგრამ როგორც ასოციაციური ხატი, რიტმის ასოციაციას არ შეიცავს (ცხადია, თუ არ ჩავთვლით, რომ თვით მისი ხშირი ხსნება ნაწარმოების რიტმული ქსოვილის ნაწილს შეადგენს). ესაა „სუინი აგონისტის“ მითოპოეტიკური ქრონოგრამა, ის „შედედებული“ სივრცე-დრო, რომელსაც პიესაში „ნიანგთა კუნძული“ განასახიერებს. ამ კუნძულის შესახებ მღერიან უოჩოუპი, პორსფოლიო, სუორთსი და სნოუ, სწორედ იქ იტაცებს სუინი დორისს. „კანიბალების კუნძულზე“ ბამბუკისა და პალმების მეტი არაფერი იზრდება, იქ სივრცე შემოფარგლულია, დრო კი ისე უსაშველოდაა გაწელილი, რომ ლამის შეტერებულია. თანაც, ეს მდორე და ზანტი დრო ციკლურია, ის წრიულად მიედინება:

We'll gather hibiscus flowers
For it won't be minutes but hours
For it won't be hours but years
And the morning

And the evening
And noontide
And night...

დროის შესაბამისად, ამ კუნძულზე ცხოვრებაც დაბადება-შეჯვარება-სიკვდილის გაუთავებელი წრებრუნვაა, პირწმინდად ბიოლოგიური და ყოველგვარი ზნეობრიობისაგან თავისუფალი („Birth, and copulation, and death“).

კუნძული პაროდიულ იმქვექნიურ სამყაროს განასახიერებს. შესაბამისად, სუინის ტექსტშიც რელიგიური ტერმინოლოგიის პაროდია ჩნდება. ის „ხუმრობს“, რომ კუნძულზე მისიონერად ქცეულ დორისს „მოაქცევს“, მაგრამ არა რომელიმე ახალი რელიგიის ადეპტად, არამედ „მოაქცევს“ მას ჩაშუბულ ხორცად. ის, რომ კანიბალი-სუინი „გამისიონერებულ“ დორის ცოცხლად შესანსკლას უპირებს და ისიც, რომ ნიანგთა კუნძული ღორმუცელა რეპტილიებით არის დასახლებული, ჯოჯოხეთის მსგავსი ჯურლმულის ასოციაციას იწვევს. მაგრამ სნოუ, სუორთსი და სხვანი თავიანთ სიმღერაში პირიქით, ამ კუნძულს „განცხორმის კუნძულად“ და პაროდიულ სამოთხედ სახავენ, სადაც ყველა პრობლემა მოხსნილია. იქ „გოგენის ქალწულები პალმის ფოთლებით იმოსებიან“ და მოსიყვარულე წყვილებისათვის იდეალური პირობებია შექმნილი:

Tell me, in what part of the wood
Do you want to flirt with me?
Under the breadfruit, banyan, palmleaf
Or under the bamboo tree?

„იმქვექნიური“ კუნძული ისეთივე ორსახოვანია, როგორც პიესის მოქმედების უშუალო სასცენო პლანი. კოშმარის და მხიარულების, სუორთსის და სნოუს, „შავის“ და „თეთრის“ დიქოტომიას ნაწარმოების მთელი სიმბოლიკა ეყრდნობა. საგულისხმოა, რომ როგორც სუინის სიტყვებზე, ისე მამაკაცთა გუნდის სიმღერაზე, ანუ კუნძულის როგორც ნეგატიურ, ისე პოზიტიურ ჩსენებაზე, დორისს ერთნაირად უარყოფითი რეაქცია აქვს:

I don't like life on your crocodile isle...
That's not life, that's no life
Why I'd just as soon be dead.

მართალია, მას „გუბო“ ამოუკიდა კარტში, მაგრამ სიკვდილი მაინც არ უნდა, რაზედაც სუინი „დამაჯერებლად“ პასუხობს, რომ ცხოვრება ნებისმიერ შემთხვევაში სიკვდილია და სხვა არაფერი.

„იმქვექნიური“ კუნძული ამქვექნიური რეალობის კონცენტრირებული ასლია იმ განსხვავებით, რომ „აქაური“ პროცესები, „იქ“ უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს. „ამქვექნად“, სუინის ნაცნობმა გოგონა „გასასაღა“ და თვეების მანძილზე ინახავდა მის ცხედარს ხსნარში, იმქვექნად კი თვით სუინი მალევე მოუღებს ბოლოს „ჩაშუბულად მოქცეულ“ დორისს. „დორისი მსხვერპლის განსახიერებაა, – აღნიშნავს სტივენ სპირიტი, – სუინისთან მისი ურთიერთობა არის შესასანსლის ურთიერთობა შემსანსვლელთან, რომელიც მასზე თავის სექსუალურ ფანტაზიებს ახორციელებს“... (სპენდერი 1975: 188).

ამავე დროს, პიესის პერსონაჟთაგან დორისი ერთადერთია, რომელიც არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით გამოთქვამს უმწეო, მაგრამ მკაფიოდ გამოხატულ პროტესტს. მეორე მხრივ, მასაც, როგორც „ტიპიურ მსხვერპლს“, კარტში კუბო ამოსდის, რაც სიმბოლურად იგივე აბაზანაა, სადაც სხვა მსხვერპლი – „გასაღებული“ გოგო არის ჩასვნებული. მაგრამ აბაზანა ლიზოლითაა სავსე და არა ნაკურთხი წყლით, კუბო კი მხოლოდ კარტში ამოდის. „სუნი აგონისტში“ ხსნა ვერ შედგება ვერც სიკვდილის, ვერც განბანვის, ვერც მსვერპლშეწირვის გზით, ვერც „იმქვექნიურ“ და ვერც „ამქვექნიურ“ დონეზე, რაღაც თვით „იმქვექნიურობა“, „ამქვექნიურობის“ პაროდიული ასლია, გესლიანი და ენაჭარტალა მასხარების მიერ მონათხობი.

საინტერესოა, რომ „კუნძული“, როგორც ასოციაციური ხატი, „სუინი ერექტუსშიც“ გვხდება, სადაც ის ანალოგიურ დატვირთვას ატარებს: მრუშობა და მკვლელობა, მარტოობა და

ძრწოლა იქაც ძირითად თემატიკას შეადგენს. რაც მთავარია, კუნძული იქაც ბორდელთან არის ასოცირებული, ან მსგავს ვერტეპთან, სადაც ლექსის მთელი „მოქმედება“ ხდება. სუინის „ნიანგთა კუნძულზე“ არ მოიპოვება საშუალო კლასის კეთილდღეობის ჩვეული ატრიბუტები („როლს-როისები, სიტროენები, გრამოფონები, ტელეფონები“), იქაც მარტობა, მრუშობა და მკვლელობა გამეფებულა (თუმცა თვით სუინი ყველაფერს ამას მხიარული თვალით უყურებს). უკიდეგანო მარტობას განიცდის გოგონას „გამსაღებელიც“, რომელიც ვეღარ გრძნობს სხვაობას სიცოცხლესა და სიკვდილს შორის და რომლისთვისაც ზღვარი რეალურსა და ირეალურს, აწყობსა და წარსულს შორის წაშლილია. თუ დორისის უმნიშვნელო პროტესტს არ ჩავთვლით, ეს ზღვარი პიესის ყველა სხვა პერსონაჟისთვისაც არ არსებობს: „იმქვეყნიური“ კუნძულის ყოფა ამქვეყნიურ ყოფად იქცევა და პირიქით. საერთო კოშმარს ამბავებს ისიც, რომ სიმღერა „განცხრომის კუნძულის“ სიამტკბილობათა შესახებ, რომელსაც მამაკაცთა გუნდი ასრულებს, ფაქტობრივად, „სიკვდილის ცეკვის“ მეტაფორის ნაწილია. „მზიარული“ სიმღერით, დაირისა და ძვლების ჩხრიალით, აქ თვით სიკვდილი ხატავს „იმქვეყნიურობის“ მაცდურ სურათს და ახალ მსხვერპლს ეპატიუება. მაგრამ თუ სიცოცხლე სიკვდილია, მაშინ დორისს და მის სტუმრებს გინდ „იმქვეყნიური“ კუნძულისაკენ გაუწევიათ და გინდ დორისის „ამქვეყნიურ“ ბინაში დარჩენილან დორის გასატარებლად. ფასულობები თავდაყირა დგას, ზნეობა ნიველირებულია, ყველგან სიკვდილი სუფეს, ხსნა არსაიდან ჩანს.

„სუინი აგონისტი“ ელიოტს დაუმთავრებელი დარჩა. უნდა ვიფიქროთ, რომ ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. ჯერ ერთი, როგორც ჩანს, წერის პროცესში თავი იჩინა ავტორისეული სათქმელის მზარდება შეუსაბამობაში იმ მხატვრულ ფორმასთან, როგორაც თავიდანვე იყო პიესა ჩაფიქრებული. აღმოჩნდა, რომ ვოდევილის თუნდაც პირობითი უანრი, ბოლომდე ვერ დაიტევდა ელიოტის მხატვრულ სათქმელს, მის რთულ ასოციაციურ პოეტიკას და იმ გლობალური ხასიათის კულტურფილოსოფიურ თემატიკას, რომელიც პოეტს იმუად აინტერესებდა. საბოლოოდ, დიდი ფორმის დრამატურგიულ ტილოში (როგორც ჩანს, „სუინი აგონისტი“ სწორედ ასეთად იყო ჩაფიქრებული), შეუძლებელი აღმოჩნდა იმის განხორციელება, რაც შედარებით კომპაქტური ზომის „ფრაგმენტებში“ მოხერხდა. ჯორჯ უილიამსონის თქმით, ესაა „ვულგარული იდომის საშუალებით სერიოზული თემების გადმოცემა“ და „თამაშისებრ“ პოეტიკაში კრიზისული განწყობილებების განხორციელება“ (უილიამსონი 1949: 195).

ფარსმა და მიუზიკ-ჰოლმა თავისი უანრობრივი არსით გამორიცხა ის განცდითი და ინტუილიამსონისეული ინტელექტუალური სიღმე, რომლის ჩატევასაც ელიოტი ამ უანრში ცდილობდა.

მაგრამ უკვე იმ სახით, რა სახითაც ის ჩვენ ხელთ გვაქს, ელიოტის მწიგნობრული და ალუზიებით აღსავს „ვოდევილი“, მისი მწერლური ოსტატობის ნიმუშს შეადგენს. როგორც კეტრინ უორთი აღნიშნავს, „სუინი აგონისტმა“ იმდენად წინ გაუსწრო თავისი დროის ორთოდოქსულ თეატრალურ პრაქტიკას, რომ წლების განმავლობაში მას ლექსად უფრო აღიქვამდნენ, კიდრე იმად, რაც ის სინამდვილეში არის: განასცვიფრებელი (თუმც დაუმთავრებელი) პიესა თეატრისათვის, მომავლის ავანგარდის-ტული დრამის შთამაგონებელი წინასწარმეტეჭველება და მისი წინამორბედი“ (უორთი 1980: 60).

ეუენ იონესკოს, სემიუელ ბეკეტის, პაროლდ პინტერის და სხვათა დიალოგების შედარება „სუინი აგონისტთან“ მართლაც მოულოდნელად ამდიდრებს ჩვენს წარმოდგენას იმ ლიტერატურულ ტრადიციაზე, რომლის ნიადაგზეც აღმოცენდა აბსურდის თეატრი. თემატური და მსოფლმხედველობრივი სიახლოვის გარდა, ხშირად ყურადღებას იყრობს პირწმინდად „ტექნიკური“ ხასიათის მსგავსებებიც. მაგალითისათვის, საკუთარ სახელთა სხვაობა რომ არა, ალბათ გამნელდებოდა ელიოტის ტექსტისაგან („How about Pereira? / What about Pereira...“) პინტერის „დაბადების დღის წვეულების“ (1958) ამ ფრაგმენტის გარჩევა:

GOLDBERG: Don't worry yourself, McCann. Take a seat.

McCANN: What about you?

GOLDBERG: What about me?

McCANN: Are you going to take a seat?

GOLDBERG: We'll both take a seat.

შემდგომი თაობების ინგლისურ (და არა მარტო ინგლისურ) დრამაში „სუინი აგონისტან“ ანალოგია სხვაც მოიპოვება. ცხადია, საქმე უშუალო გავლენას იმდენად არ ეხება, რამდენადაც გასული საუკუნის შუაწლების იმ ზოგადკულტურულ, განცდითსა და ინტელექტუალურ კონტექსტს, რომელიც ელიოტმა ძალიან ადრე, ჯერ კიდევ 20-იან წლებში აღიქვა და დრამატურგიულად განახორციელა. უკვე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღმოცენებულ აბსურდის თეატრს, კიდევ უფრო „ცინიკურს“, „მშრალსა“ და „შავ-თეორს“ (სემიუელ ბეკეტის „გოდოს მოლოდინი“ „სუინი აგონისტის“ შექმნიდან ოცილე წლის შემდეგ გამოქვენდა) მტკიცნეულად დააკლა ის, რაც ჯერ კიდევ ნათლად იყო წარმოსახული ელიოტის პიესაში: თუმც, იმთავითვე პაროდიული და საბოლოოდ არშემდგარი, მაგრამ მაინც ხსნის შესაძლებლობა და ამ შესაძლებლობისაკენ დორისის გაუცნობიერებელი სწრაფვა.

დამოწმებანი:

- ეროვნი 1984:** Ackroyd, Peter. T. S. Eliot. *Harmonsworth, Middlesex*. Penguin Books, © 1984.
- ელიოტი 1938:** Eliot, T. S. „Literature in the Modern World“. In: *America through the Essay*. Ed. by A. T. Johnson and A. Tate, New York: 1938.
- ელიოტი 1923:** Eliot, T. S. *The Beating of a Drum: Nation & Athenaeum*. XXXIV (October 6, 1923).
- გორდონი 1998:** Gordon, Lyndall. T.S. Eliot: *An Imperfect Life*. London: Vintage, © 1998.
- ჟონესი 1960:** Jones, David E. *The Plays of T.S.Eliot*. London: Routledge and Kegan Paul, 1960.
- მურფი 1989:** Murfin, Ross C. (ed.). Joseph Conrad: *Heart of Darkness*. New Yoork: St. Martin's, 1989.
- სმიტი 1956:** Smith, Grover. *T.S.Eliot's Poetry and Plays. A Study in Sources and Meaning*. spenderi 1975: Chicago: U of Chicago Press, 1956.
- სპენდერი 1975:** Spender, Steven: T.S. Eliot. *Penguin Modern Masters ed. by Frank Kermode*. Harmondsworth, Middlesex, © 1975.
- სუნდელსონი 1981:** Sundelson, David. *Dance Macabre*. In: Conradiana: *A Journal of Joseph Conrad Studies*. 1981, v.13 (1).
- ტილიჩი URL:** Tillich, Paul. *The Protestant Era. Storms of Our Times*. URL: <http://www.religion-online.org/showchapter.asp?title=380&C=103>.
- უილიამსონი 1949:** Williamson, George. *A readre's Guide to T.S.Eliot*. New York: The Noonday Press, © 1949.
- უორთი 1980:** Worth, Katharine J. „Precursor and Model“. In: T.S.Eliot: Plays. Ed. by A.P.Hinchcliffe, London: Macmillan, 1980.
- ელიადე URL:** L. Элиаде, Мирча. *Миф о Вечном Возвращении*. URL: <http://nz-biblio.narod.ru/html/eliade/predisl.htm>.

Temur Kobakhidze

Dance Macabre: T. S. Eliot's Sweeney Agonistes. Fragments

of an Aristophanic Melodrama

Summary

T. S. Eliot's poem Sweeney Agonistes was so far ahead of orthodox theatre practice of the 20s-30s that for years it was thought of as a poem rather than what it clearly is, an exciting (if unfinished) piece of theatre, a prophetic inspiration and anticipation of the British avant-garde plays of the 50s. The action is set in one of the flats in London, and the characters are Londoners, later visited by English-speaking foreigners, and having together a party. One of the main parody symbols of the play is the symbolism of death exemplified in the action of the characters, the recurrent images of the coffin, cannibalistic murder and the parody procession of Minstrel show, which is performed by a male chorus as a disguised dance macabre, the dancing death. The rhythmic composition of the dialogues reveals its dependence on symbolic ritual drum beating, which can also be perceived as the beating of a tambo (tambourine), carried by one of the characters in the procession. Macabre symbolism of the play and allusions to various kinds of violent death like „gobbling up“, i.e. cannibalism, „doing in“, i.e. murder, etc. make Death the main character of the play. The nightmarish atmosphere of the play is enhanced by the dark humor, unexpected jokes and buns that accompany the action. In many respects like „the use of imagery of the sordid life of a great metropolis“ and „the elevation of such imagery to the first intensity“ (T.S.Eliot, essay on Baudelaire) Sweeney Agonistes (1932) was the first play that explored and opened up new dramatic possibilities in the 20th century literature. Beckett's Waiting for Godot came some twenty years later.

ბაირონის შემოქმედების ერთი ასპექტი

„ადამიანის ერთადერთი მარადიული საკუთრებაა სიბრძნე“ – იტყოდა მეშვიდე ბრძნი ბიანტი და ამ ჭეშმარიტების პოეტური ილუსტრაციაა მითი. რაც დრო გადის, მით უფრო მეტი ცნობისმოყვარეობით უბრუნდება განათლებული კაცობრიობა ანტიკურ ეპოქას, რომლის წიაღშიც ძევს ევროპული კულტურის სამირკველი. ტერმინი „მითი“ გამოხატავს მითოლოგიურ სიუჟეტს, რომელიც მხატვრულ ლიტერატურაში უძველესი დროიდან გამოიყენება. მითი ან მითოლოგია გულისხმობს ადრეული ისტორიული ეპოქის ადამიანთა მიერ შექმნილ ზეპირსიტყვიერ სიუჟეტებს, რომელებშიც არეკლილია საკულტო თუ რელიგიური სამყარო და რომელიც უხვადაა წარმოდგენილი უძველეს ბერძნულ-რომაულ, ბიბლიურ, შემერულ და სხვა ლიტერატურულ წყაროებში. შეიძლება თამამად ითქვას, რომ არც ერთი ხალხის მითოს არ ჰქონია ისეთი მძღვრი ზეგავლენა ევროპელთა და არა მხოლოდ ევროპელთა აზროვნებაზე, როგორც ბერძნულ მითოს. ბერძნული მითების სხვადასხვა ციკლებს შორის ფაბულის სირთულითა და ინფორმაციული სიჭარბით გამოირჩევა თქმულებები პრომეთე-ამირანზე, თქმულებათა ვრცელი ციკლი მედავასა და არგონავტების კოლხეთში ლაშქრობაზე, რაც მეტყველებს ძველ საბერძნეთან კილხეთის კავშირზე. ასეთი კავშირურთიერთობის დასტურია, აგრეთვე, ვანის არქეოლოგიური გათხრები, შავი ზღვისპირეთის ძეგლები, გადმოცემები, მითები, საქართველოში დღემდე შემორჩენილი ბერძნული საკუთარი და არა მარტო საკუთარი სახელები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ უშეალოდ ძველი კოლხეთის უშორეს წარსულთან დაკავშირებული მითები პრომეთესა და არგონავტებზე შეიცავდა ევროპული აზროვნების განვითარების მძღვრ იმპულს.

ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიაში არის შემთხვევები, როდესაც ერთი ქვეწის ლიტერატურის ისტორიული თუ კულტურული ცხოვრების ამსახველი მასალები მეორე ქვეყანაში არაპირდაპირი გზით – სხვა ქვეწის ლიტერატურის მეშვეობით შედის. ინგლისურსა და ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის აღინიშნა, რომ, შეუ საუკუნეებიდან მოყოლებული, დასავლეთ ევროპის ქვეწის საქართველო, შესაძლოა, უმტესად ანტიკური წყაროებიდან გაეცნოთ. საფიქრებელია, რომ კოლხურმა თემატიკამ, ვიდრე დასავლეთ ევროპულ სივრცეში შეაღწევდა, გარკვეული საფეხურები გაიარა – იგი ჯერ ბერძნულ მითოლოგიაში აისახა, ხოლო შემდეგ ბერძნი ავტორების მიერ ლიტერატურულად გადამუშავდა. ეს ლიტერატურული წყაროები გვანინი შეუ საუკუნეებიდან გავრცელდა ინგლისში. ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკაში დაცულია ბერძნულ და ლათინურ ენებზე დაბეჭდილი ანტიკური ლიტერატურის არაერთი ნიმუში, სადაც ფართოდ არის წარმოდგენილი ძველი კოლხური თემატიკა, კერძოდ, მითები არგონავტებსა და პრომეთეზე. გასაკვირი არ არის, რომ არისტოკრატიული წარმოშობის ბაირონისთვის, რომელიც სწავლობდა ჯერ ჰაროუს ელიტარულ სკოლაში, ხოლო შემდეგ – კემბრიჯის უნივერსიტეტში, სრულიად ხელმისაწვდომი ყოფილიყო ლიტერატურა: ბაირონი კითხულობდა უკვე არსებული ანტიკური მითების სხვადასხვა სახის გამოცემებსა და კომენტარებს, რაც, მწერლისული ინტერპრეტაციით, ძალუმად ვლინდებოდა მის შემოქმედებაში. ბაირონი წერდა კიდეც ესქილეს „მიჯაჭვული პრომეთეს“ შესახებ: „ესქილეს პრომეთეთი მე საოცრად გატაცებული ვიყავი ბავშვობაში. ეს იყო ერთი იმ ბერძნულ პიესათაგანი, რომელიც ჰაროუში სწავლისას გულზე მხვდებოდა და, თუ პრომეთე ჩემს გეგმებში ზუსტად არ დამისახავს, იგი იმდენად მაქვს გონებაში გამჯდარი, რომ მე ადვილად ვპოულობ მის გავლენას ყველაფერზე, რაც კი ოდესმე დამიწერია“ (Byron's Letters and Journals, 1973-83). მიგვაჩნია, რომ სწორედ ესქილეს „მიჯაჭვული პრომეთეს“ ინტერპრეტაციაში შეიძლება ვეძიოთ სულიერი სიახლოვე ბაირონსა და საქართველოს შორის.

ბაირონის აზროვნებაში პრომეთესული მსოფლგაგების სიძლიერეზე მეტყველებს მის მიერ 1816 წლის ივლისში დიოდატში დაწერილი ლექსი „პრომეთე“ – „PROMEHTEUS“, სადაც ავტორი მართლაც შესანიშნავად ძერწავს აჯანყებული სულის სახებას. როგორია ბაირონის პრომეთე? იგი რეალური, ხალხური გმირია, რომელმაც სიკეთის სანაცვლოდ მხოლოდ ტანჯვა მიიღო:

Titan! to whose immortal eyes
 The sufferings of mortality,
 Seen in their sad reality,
 Were not as things that gods despise;
 What was the pity's recompense?
 (Byron Poetical Works, 1970, 98)

ტიტანო! ღმერთო! შენი თვალის უკვდავი სხივი
 სხვა მოკვდავების წამებას და მოწამვლას სისხლის,
 სხვას ღმერთებივთ არ უმზერდნენ რისხვით და ზიზღით,
 მაგრამ რა მოგცეს სიბრალულის სანაზღაუროდ?
 (თარგმნა ჯ. ჩარგვიანმა)

ბაირონი პრომეთეს სასჯელს განიხილავს როგორც საზღაურს სიკეთისათვის. მსგავსად ბაირონისეული პრომეთესი, დასჯილი გმირია ქართული თქმულების ამირანიც, რომელიც თავისი სიკეთით, სასჯელის ფორმით, ხალხურობითა და მიწიერებით მრავალმხრივ ემსგავსება ბაირონის პერსონაჟს.

ბაირონი თითქოს ეძებდა კიდეც პრომეთეს რეალურ ცხოვრებაში და დიდი ძალისხმევა არ დასჭირვებია, რომ თავის თანადროულ ამოცნო პრომეთეს სადარი პიროვნება ბაირონის ლექსი „ოდა ნაპოლეონ ბონაპარტისადმი“ – ODE TO NAPOLEON BUONAPARTE – წარმოადგენს პარალელების ძიების მცდელობას პრომეთესეულ სულისკეთებასა და ნაპოლეონს შორის:

Or, like the thief of fire from heaven,
 Will thou withstand the shock?
 And share with him, the unforgiven,
 His vulture and his rock!
 Foredom'd by God - by man accurst,
 And that last act, thought not thy worst,
 The very Fiend's arch mock;
 He in his fall preserved his pride,
 And, if a mortal, had as proudly died!

მსგავსად ტიტანის, ვისა მადლით ცეცხლი ანთია,
 იქნებ შენც მეძლო ყოველ დარტყმას გმირულად შეხვდე,
 განაწამები მიეგებო გმირულ განთიადს,
 ორბმა რომ გაკორტნოს მიჯაჭვული ფრიალო კლდეზე!
 ღმერთმა გაგწირა, შეგაჩვენა ძემ კაცთა მოდგმის,
 შენი დაცემა გრძნეულ ეშმას დღეს სხვას რას მოჰყვრის,
 თუ არა დვარძლით საკე დიმილს, კვლავ მსხვერპლს რომ ეძებს,
 ზექსთო მებრძოლმა, მან დირსება რომ არ დაკარგა,
 ის თვით მოკვდავიც მოკვდებოდა მხოლოდ ამაყად!*

ცნობილი ამერიკელი მკალევარი დევიდ მარკპარი აღნიშნავს: „ბაირონი მიმართავს ნაპოლეონს რათა მისგან გმირი შექმნას. იგი ცდილობს ნაპოლეონის მითის ჩამოყალიბება. ამავე დროს ყურადღებით ადგვნებს თვალს მისი კარიერის ისტორიულ განვითარებას“ (Markham 1996: 662). ნაპოლეონი მარცხდება მითოლოგიურ პრომეთესთან მიმართებაში და ნაპოლეონით იმედგაცრუებული ბაირონი თავად მიისწავის, თუნდაც გაუცნობიერებლად, პრომეთეს რეინგარნაციისაკენ. როგორ? საკუთარი ცხოვრების წესით: შესწირა რა სიცოცხლე საბერძნების მიწას, ბერძენი ხალხის გათავისუფლებას, მან სამყაროს სიკვდილისათვის მზადყოფნა გამოუცხადა. ბაირონის გარდა საბერძნების ბევრი გულშემატკივარი და მხარდამჭერი ჰყავდა ევროპელ მწერალთა და პოეტთა შორის, მაგრამ ევროპელ ფილელებისტებს საკუთარი სიცოცხლე საბერძნებისათვის ზვარაკად არ გაუღიათ, მათ შემთხვევაში სისხლი მხოლოდ სტრიქონებში იღვრებოდა. „დონ შუანში“ ბაირონი წერს: „მე ვაბროლებ სულ მცირე სიტყვებით და, როცა საშუალება მომეცემა – საქმით“ (Byron 1970) და მან შეასრულა განმათავისუფლებელი გმირის მისია,

* აქ და შემდეგ ბაირონის ტექსტის ქართული თარგმანი ეკუთვნის ინესა მერაბიშვილს (იხ. „ბაირონი ქართულად“).

მომკვდარიყო ისევე ამაყად, როგორც ამას პრომეთე გააკეთებდა. „სიტყვით მიღწეული ტრიუმფი გაცილებით უფრო დღეგრძელია საგმირო საქმით მიღწეულ ტრიუმფზე“ (Clubbe 1997), იტყვის ცნობილი ამერიკელი მკვლევარი ჯონ კლაბი, მაგრამ ბაირონისეული გამარჯვება, ეს არაა მხოლოდ სიტყვებით მიღწეული გამარჯვება. მან გამარჯვებას თავგანწირვითა და თავდადებით მიაღწია, ანუ მოხდა სიტყვებისა და საქმის თანხვდრა.

აღსანიშნავია, რომ ბაირონის ცხოვრებასა და შემოქმედებას აბსოლუტურად უნიკალური ფორმით ამთლიანებს ალუზია, ანუ ქარაგმა როგორც სტილისტური ხერხი. ბაირონის ცხოვრებისა და შემოქმედების ამ ასპექტზე პირველად ყურადღება გაამახვილა ქართველმა მკვლევარმა, პროფესორმა ინესა მერაბიშვილმა ბაირონოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმზე, რომელიც 1996 წ. დუისბურგის უნივერსიტეტში გაიმართა. ლორდ ბაირონი არა მარტო ქარაგმით მოგვითხრობს მითოლოგიური, ბიბლიური და ისტორიული გმირების შესახებ, არამედ მთელი თავისი ცხოვრებით მისტიურ ურთიერთობას ამყარებს და მუდმივ კავშირშია მათთან. წარსულის შთამბეჭდავი წარმოსახვა, თუნდაც მითიური და ლეგენდარული, მის წინაშე რეალობასავით ცოცხლდება. ამის დასტურია შემდეგი:

1810 წ-ის აპრილში ბაირონი დარდანელის სრუტეს მიადგა, რომლის ძველი სახელია ჰელესპონტი – „ჰელის ზღვა“ – სადაც, ლეგენდის მიხედვით, ფრიესეს და, ჰელე გადავარდა ოქრის საწმისიანი ცხვრის ზურგიდან და დაიხრჩო. დარდანელის სრუტე ჰელოს აზიასა და ევროპას (Trakiis xersones). ძველი ბერძნული თქმულების თანახმად, ქალაქ აბიდოსში, რომელიც აზიის სანაპიროზე მდებარეობს, ცხოვრობდა ჭაბუკი სახელად ლეანდრი. ევროპის სანაპიროზე მდებარე ქალაქ სესტოსში ცხოვრობდა მშვენიერი ჰერო, აფროდიტეს (იგივე ვენერას) ტაძრის ქურუმი. ლეანდრს გატაცებით შეუყვარდა ჰერო და ყოველ ღამით სრუტის ცივ ტალღებს აპობდა, რათა მეორე ნაპირზე გადასულიყო, სადაც მას ჰერო მოუთმენლად ელოდა. მიჯნურის მოლოდინში ჰერო კოშკზე ჩირაღდანს ანთებდა და ამით გზას უნათებდა მისკენ მიმავალ რაინდს. ავბედით ლამეს ძლიერი ქარიშხალი ამოვარდა. ჭაბუკს ტალღების სიძლიერე ჯაბნიდა. კოშკზე ჩირაღდანიც ჩამქრალიყო. ლეანდრი ლელვამ დაახრჩო. ტალღებმა მისი უსიცოცხლო სხეული ევროპის სანაპიროზე მიაცურეს და ჰერომ თავისი თვალით იხილა მკვდარი მიჯნური. სასოწარკვეთილი ქალი კოშკიდან ზღვაში გადაეშვა და თავი დაიხრჩო. ბაირონს სურვილი გაუჩნდა, ლეგენდარული ლეანდრის გმირობა საკუთარ თავზე გამოეცადა. ვინ უწყის, ამბავი მართალი იყო თუ არა, მაგრამ როგორც ბაირონი დარწმუნდა, ერთი რამ ცხადი იყო, ეს სრუტე მას შემდეგ მოკვდავთაგანს ალარავის გადაეცურა. ინგლისელი ფრეგატის მეზღვაურებს შორის მან კომპანიონიც მონახა, ლეიტენანტი ეკენჰენდი და 1810წ. 3 მაისს მათ წარმატებით განახორციელეს პოეტის ჩანაფიქრი.

ჰობჰაუზი (ბაირონის მეგობარი) აღნიშნავს დღიურში: „ბაირონი და ეკენჰენდი ახლა ჰელესპონტზე მიცურავენ – ჩემს წინ ოვიდიუსის ჰერო და ლეანდრი ცოცხლდებიან (Byron's Letters and Journals 1973-82), ბაირონი კი დაწერს: „მთელი მანძილი რომელიც მე და ე-მა (იგულისხმება ეკენჰენდი) დავფარეთ, ოთხ მიღს აღემატება, თუმც თავად სრუტის სიგანე ერთ მიღზე მეტი არაა. დინების სისწრავე იქ ისეთია, რომ ვერც ერთი ნაგი სრუტეს პირდაპირ ვერ გადაკვეთს, ამაზე გარკვეულ წარმოდგენას ის გარემოებაც ქმნის, რომ ერთ-ერთმა ჩვენგანმა ეს მანძილი საათსა და ხუთ წუთში დაფარა, ხოლო მეორემ საათსა და ათ წუთში. წყალი იყო უჩვეულოდ ცივი მთებიდან ჩამოტანილი თოვლის გამო... ვერ ვიტყვი დავიქანცეთო, მაგრამ გავცივდით და, ცოტა არ იყოს, გაგვიჭირდა კიდეც“ (Byron's Letters and Journals 1973-82). ამ გმირული ნაბიჯიდან ექვსი თვეს შემდეგ იწერება ბაირონის მხიარული სტრიქონები „სესტოსიდან აბიდოსამდე“ – WRITTEN AFTER SWIMMING EROM SESTOS TO ABYDOS (Byron Poetical Works 1970: 59).

If, in the month of dark December,
Leander, who was nightly wont
(What maid will not the tale remember?)
To cross thy stream, broad Hellespont!

If, when the wintry tempest roared,
He sped to Hero, nothing loth,
And thus of old thy current poured,
Fair Venus! how I pity both!

For my, degenerate modern wretch,
Though in the genial month of May,
My dripping limbs I faintly stretch,
And think I've done a feat to-day.

But since he crossed the rapid tide,
According to the doubtful story,
To woo, – and – Lord knows what beside,
And swam for Love, as I for Glory;

‘Twere hard to say who fared the best:
Sad mortals! thus the Gods still plague you!
He lost his labour, I my jest:
For he was drowned, and I've the ague.

ცივი დეპემბრის უკუნით ღამით
ლეანდრს ნაპირზე ჰერო ელოდა,
ჭაბუქი ტალღებს აპობდა გზნებით
და სიოც თითქოს მისოვის ძღეროდა.

უცებ ავარდა მძიმე გრიგალი,
ტალღა აზვირთდა, სრუტე ღელავდა,
იყო მძვინვარე თქეში და ქარი,
და ჩირაღდანიც აღარ ელავდა.

მე უბადრუქი იმ დროის შვილი
მხოლოდ უწყინარ მაისს მივენდე,
თხემთ ტერფამდე ვარ გათოშილი,
და ამ გმირობით თავს ვიძედებ.

თუ ჰელესპონტი მართლაც გაცურა,
ლეანდრს ეწადა ქალის ტრფილი
ვაგლას რომ უკვე სხვა დრო მოსულა
მხოლოდ დიდების ვარ მოტრფილე.

არ ვიცი ეს გზა ვისოვის რა იყო,
ღმერთი არ გწყალობს არ გეშველება,
რადგან მიჯნური წყალში დაიხრჩო
და მეც წარმიტანს ციგ-ცხელება.

საგულისხმოა, რომ ეს უძველესი ბერძნული თქმულება შეყვარებულებზე ჯერ კიდევ
ოვიდიუსმა დაამუშავა პოემაში „გმირები და გმირი ქალები“, შემდეგ ჩვ. წ. აღრიცხვის მე-6 ს.-ში,
კლასიკური ლიტერატურის ე.წ. „რკინის ხანაში“, პოეტმა მუსიემ ხელახლა დაამუშავა
განმორებულ სატრფოთა სიუჟეტი; ევრგილიუსმა მიუძღვნა „ჰეროიდები“; იგივე მითოსი ბალადად
გარდაქმნა შილერმა – „ჰერო და ლეანდრი“, დრამად – „ზღვისა და სიყვარულის ტალღები“ –
გრილპარცერმა, კორნად ვიურცბერგელმა დაწერა ბალადა „ჰერცემერი“, კუპრინმა – მოთხოვნა
„ჰერო, ლეანდრი და მწყემსი“, ხოლო რუქენმა შშვენიერი ტილო შექმნა ამ თემაზე.

ბაირონამდე და მის შემდეგაც ევროპული ლიტერატურა არაერთხელ დაბრუნებია არა
მარტო სიუჟეტს, არამედ ჰეროსა და ლეანდრის სახელებსაც. მაგრამ ჩვენთვის არსებითი ამ
შემთხვევაში არის მისი კავშირი კოლხურ თემატიკასთან, კერძოდ, ზალხურ ლექსთან –
„თავფარავნელი ჭაბუქი“:

თავფარავნელი ჭაბუქი
ასპანას ქალსა ჰყვარობდა
ზღვა ჰერონდა წინად სავალი
გასვლას შიგ არა ზარობდა.
ქალი ანთებდა სანთელსა,
სანთელი კელაპტარობდა,
ერთი ავსული ბებერი

ვაჟისთვის აკსა ლამობდა.
 სარკმელზე ანთებულ სანთელს
 აქრობდა აბეზარობდა,
 თან ამას ეუბნებოდა
 წინათაც ეგა გყვარობდა.
 ვაჟი მანგრევს ტალღებსა
 გულმერდი არა ჩქამობდა.
 ცალხელით დოლაბი მიაქვს
 ცალხელით ნიავქარობდა,
 ზღვის გარძა ერთი სანთელი
 გამოღმა კელაპტარობდა.
 ღამე ჩამოღგა წყვდიადი
 უკუნს რამესა ჰეგანობდა,
 ტალღა ტალღაზე ნაცემი
 ვაჟის ჩანთქმასა ლამობდა.
 დაჰკარგა ფონი, შესჭირდა,
 მორეგი ბობოქარობდა.
 გათენდა დილა ლამაზი
 ქველუცის თვალებს ჰეგანობდა,
 წყალსა დაეხრჩო ჭაბუკი,
 ჭოროხზე ეგდო, ქანობდა,
 წითელი მოვის პერანგი
 ზეგიდან დაჰფარფარობდა.
 ლეშს დასჯდომოდა ზედ ორბი,
 გულს უგლეჯავდა, ხარობდა.

პარალელები აშკარაა. სად უნდა ვეძიოთ მისი ძირები?

ვიაჩესლავ ივანოვის აზრით, მითი ჰეროსა და ლეანდრეს შესახებ დაკავშირებულია დიონისეს კულტის ზღვის ღვთაებათა უძველეს ციკლთან. ამ მითოსში მთავარია სანთლის, ჩირალდის, ლამპრის ფუნქცია, რასაც ანთებს შეყვარებული ჰერო და იგი, საზოგადოდ, მთვარის სიმბოლოა; ხოლო ლეანდრე ზღვის ღვთაებაა, ღელფინის სახით და, სხვა ბერძნული მითების მსგავსად, ჰეგავს ზღვის ღვთაებებს. ამიტომ უკავშირდება მისი სახელი დიონისეს და სწორედ ამიტომ მოუქცევია იგი ოვიდიუს არა „სიყვარულის მეცნიერების“, არამედ ბალადების სულ სხვა ციკლში. ამავე აზრს ასაბუთებს ქართველი მეცნიერი ვახტანგ კოტეტიშვილი.

ლექსში „თავფარავნელი ჭაბუკი“ სამი მომენტია გასათვალისწინებელი – თვით სახელი „თავფარავნელი“, „დოლაბი“, რომელიც ცურვის დროს „ცალ ხელით მიაქვს“ და „წითელი მოვის პერანგი“.

მითოლოგიაში „თავი“ გარკვეულ მნიშვნელობას იძენს. ღვთაებათა განსახიერების დროს, სხეულს მათ ადამიანისას აძლევდნენ, თავებს კი – ცხოველებისას ან ფრინველისას. ორფეოსის თქმულებაში თავმა გადასცურა ზღვა ლესბოსის ნაპირმდე, სადაც თავი დამარხეს, იმ აღილას დიონისეს საფლავი იქნა აგებული, ორფეოსსა და ტრიტონს ბაკეანები თავს აჭრიან, ასევე დანაიდები – საქმროებს, პერსევსი – მედუზას და ა.შ. თავს განსაკუთრებული ფუნქცია ენიჭება ქართულ ფოლკლორშიც, მას გარკვეულ წილად საკულტო დანიშნულება აქვს, რის მაგალითებს ქართულ ზღაპრებში მრავლად ვხვდებით; ასევე „თავი“ აქვს დართული ქართული სალოცავების სახელებს, მაგ. „წყაროს თავი“, „გერის თავი“. ყოველივე ამაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიტყვა „თავფარავნელშიც“ ანალოგიურ მომენტთან გვაქვს საქმე: ჭაბუკის „თავი“ გადაქცეულია საკრალურ მოვლენად. რაც შეეხება თავფარავნელი ჭაბუკის დოლაბს, ესეც მისი ატრიბუტია, დოლაბის, ანუ წისქვილის ქავა, ჭექა-ქუხილის გამომწვევი სიმბოლოა და დაკავშირებულია იმ აღელვებასთან და წყვდიადთან, რომელმაც გამოიწვია „ტალღის ტალღაზე ცემა“. ასეთივე დანიშნულება ჰქონია საქართველოში „მამიდაის ქვას“ ახოტილას მთაზე. ამ ქვას გამოუწვევია ავდარი და ქარიშხალი, რამაც ჩააქრო ჩირალდანი (დააბნელა მთვარე). იგივე დანიშნულება ჰქონია ქვას, დოლაბს სხვა ხალხთა მითებში.

„წითელი მოვის პერანგი“ ამ შემთხვევაში ჭაბუკის სიკვდილთანაა დაკავშირებული და სიკვდილის სიმბოლოა. სიკვდილის ღმერთი წითელი ტანისამოსითაა მოსილი, წითლად ჩამავალ

მზეს მკვდრის მზეს ვუწოდებთ. ბერძნულ-რომაული მითოლოგის პლუტონის, ქვესკნელის ღმერთი, წითელ პერანგიანია, ასევეა ღმერთი ჰადესი, გერიონს წითელი ზარები ჰყავს და ა.შ.

ამრიგად, „ყველა ნიშნის მიხედვით „თავფარავნელი ჰაბუკი“ არის ზღვის ღმერთის დიონისეს ქართული სახე“ (კოტეტიშვილი 1961: 329). ჩვენთვის ნიშანდობლივია „თავფარავნელი ჰაბუკის“ მსგავსება ლეანდრის მითთან და ბაირონის ლექსთან „სესტოსიდან აბიდოსამდე“:

ღამე ჩამოდგა წყვდიადი,
უკუნს რამესა ჰევანობდა,
ტალღა ტალღაზე ნაცემი
გაჟის ჩათქმასა ლამობდა.
დაჰკარგა ფონი, შესჭირდა,
მორევი ბობოქარობდა.

მსგავსად აღწერს ბუნების ჰირვეულობას ბაირონი, რომელიც მთავარი ფაქტორია მიჯნურთა დაშორებისა:

უცებ ავარდა მძიმე გრიგალი,
ტალღა აზვირთდა, სრუტე ღელავდა,
იყო მმვინვარე თქეში და ქარი,
და ჩირალდანიც აღარ ელავდა.

ჰერო ყოველ დამით კოშკის თავზე ჩირალდანს ანთებდა „ქალი ანთებდა სანთელსა, სანთელი კელაპტრობდა“ ამბობს მითის ქართული ვარიანტი და ესაა სინათლის ღვთაების, მთვარის სიმბოლიკა. აღიარებულია, რომ მთვარე იყო ქართველთა უმთავრესი ღვთაება მითიურ ეპოქაში. თეთრი გიორგი მითოლოგიური გმირია და მთვარეა შასში ჰერსონიფიცირებული. „ზღვა ჰერნდა წინად სავალი, გასვლას შიგ არა ზარობდა“ – მხოლოდ ზღვის სტიქისთან შეგუებულ მამაცს შეეძლო ეს ეთქვა. ზღვის წყვდიადი, ღმერთთა სავანე, მოუსვენარი სტიქია ამ ბალადაში მოკლედ და გააზრებულადა ნაჩვენები.

ბერძნული მითის ქართული ვარიანტის ზოგიერთი დეტალი ახლოს დგას გერმანულ ხალხურ ლექსთან არნიმის და ბრეტანის „ყმაწვილი ჯადოსნური ბუკიდან“ (გელოვანი 1983: 277).

ერთი გულქვა მონაზონი
ბნელთან იყო შეფიცული
დაუშრიტა კელაპტრები
და წყალს მისცა უფლისწული.

„თავფარავნელ ჰაბუკში“ კი ნათქვამია:

ერთი აგსული ბერძნი
ვაჟისთვის აგსა ლამობდა
სარკმლზე ანთებულ სანთელს
აქრობდა აბეზარობდა.

სიყვარულის ქალღმერთს უყვარს მსხვერპლი, მოთმენა, მაგრამ უფრო მეტად – უკიდურესობები და უაღრესობანი. ის ყველას ერთიანად სწყალობს, ვისაც კი მის სამსპერაბლოზე წრფელი ზეარაკი მოუტანია. ცხადია, რომ ჰაბუკს ფორტუნა არ სწყალობს, ასევე არ წყალობს იგი ბაირონსაც:

არ ვიცი ეს გზა ვისთვის რა იყო,
ღმერთი არ გწყალობს, არ გეშველება,
რადგან მიჯნური წყალში დაიხრჩო
და მეც წარმიტანს ციებ-ცხელება.

ბაირონს კარგად ესმის, რომ სიყვარულის, როგორც აბსოლუტური ბედნიერების ნდობა, აუხდენელია; ეს გრძნობა თავისი ბუნებით ყველაზე საბედისწეროდ არის დაკავშირებული

შეუძლებელთან, ვინაიდან ბედნიერება, „აღვსება“, დაოკება, სრული გაგებით, მიუღწეველი ოცნებაა. ბაირონისათვის აუცილებლობით ზღვარდებული რეალობა სწორედ იმ ზღვარს მიღმა და ეს იწყება, მისი მუდმივი ძიების, თავდავიწყებული ჭიდილის, ტრაგიკული გაბრძოლების დედააზრია. სწორედ სიყვარულთან ჭიდილმა მიიყვანა იგი ჰელესპონტის ნაპირებთან.

მიწისა და მტვრის ტაბუდადებულ ფენებში რეალობა იმაღება. სინამდვილე მითის ნისლებშია გახვეული, მითი კი ისე იკითხება, როგორც რეალობა, რომელმაც არ იცის გეოგრაფიული მიჯნები და საზღვრები. ესაა ათასწლოვანი სიბრძნე, და თუ ხელოვნება დროთა გაგშირია, მითი ხელოვნების წყაროა.

დამოწმებანი:

ბაირონი 1965: ბაირონი. რჩეული. თბ.: გამომცემლობა „ნაკადული“, 1965.

ბაირონი 1996: ბაირონი. ოდა ნაპოლეონ ბონაპარტისადმი. წინასიტყვაობა, თარგმანი და კომენტირება ინესა მერაბიშვილისა. თბ.: 1996.

ბაირონი 1970: Byron, *Poetical Works. Edited by Frederick Page. A New Edition Revised by John Jump* Oxford University press, 1970.

ბაირონი 1973-1982: *Byron's Letters and Journals in 12 volumes*, edited by Leslie A.Marchand, John Murray, London: 1973-1982.

გელოვანი 1983: გელოვანი ა. მითოლოგიური ლექსიკონი. თბ.: 1983.

კოტეტიშვილი 1961: კოტეტიშვილი ვ. ხალხური პოეზია. მე-2 გამოცემა, თბ.: 1961.

კლაბი 1997: Clubbe John. *Napoleon's Last Campaign and the Origins of "Don Juan"*. Byron Journal, 1997.

მერაბიშვილი 2002: მერაბიშვილი ი. ბაირონი ქართულად. თბ.: 2002.

მარგარამი 1996: Markham David. *Napoleon and the Romantic Poets*. In: *Proceeding of the International Napoleonic Congress in Italy*, 1996.

მერაბიშვილი 1996: Merabishvili Innes. *Stylistic Allusion – Or Way of Life (On the Material of Byron's Text and Life)*. Seventh International Conference of the Society for English Romanticism and the 22nd Conference of the International Byron Society. The University of Duisburg, 22nd-27th, August, 1996.

Inga Adamia

One Aspect of Byron's Poetry

Summary

Allusion as a stylistic device acquires focal meaning in Byron's poetry. Lord Byron not only employs mythological, biblical and historical characters through his allusions, but also enters into certain mystical relations with them. This aspect of Byron's life and creativity was first pointed out by Professor Innes Merabishvili at the international symposium held at the Duisburg University in 1996.

Mythology in Byron's works is converted into reality. The impressive, even mythical and legendary imagination of past, revives reality in the poet's perception and arouses his desire to take part in it.

With his impressive life Lord Byron personified Prometheus. Inspired by Aeschylus's Prometheus Bound, he realized himself when imitating Napoleon Bonaparte. Although Napoleon suffered a defeat in the battle with mythical Prometheus, Byron himself strived towards the reincarnation of Prometheus. He enlivened Prometheus with his own feats, scarifying himself for the Greek land and the liberation of the Greek people. He suffered a hero's death, which put him on the same level with Prometheus, as far as there was something that Napoleonic legend lacked. Euripides's Medea and search for Medea in reality make an essential part in his life. Finally he finds Margarita Cogni, a simple Venetian woman who resembles Medea to him.

The imagination of mythical heroes took him to the banks of the Hellespont, where he managed to immortalize the myth of Hero and Leander. Byron had himself accomplished the feat of legendary Leander. After crossing the stream, he wrote the merry verse Written after Swimming from Sestos to Abydos. Some of the details of the Georgian version of the Greek myth find parallels with Byron's verse. By crossing the mythological Hellespont, Byron launched a marathon crossing of streams, through which he reanimated the legendary love between Leander and Hero. The analogue of the mentioned poem by Byron can be found in Georgian mythology (Tavparavneli Tchabuki – The Lad from Tavparavani). The similarities between the plots of these poems are based on mythological roots.

პანს გეორგ გადამერი

ზემოქმედების ისტორია და გამოყენება

ზემოქმედების ისტორიის პრინციპი

ისტორიული ინტერესი რომ არამარტო ისტორიული მოვლენისა თუ ჩვენამდე მოღწეული ხაწარმოებისაკენ არის მიმართული, არამედ აგრეთვე მათი ზემოქმედებისკენაც ისტორიაში (რომელიც ბოლოს და ბოლოს კვლევა-ძიების ისტორიასაც მოიცავს), საზოგადოდ მხოლოდ დამხმარე მომენტად მიიჩნევა საკითხის ისტორიული კუთხით დასმისას, რამაც პერმან გრიმს რაფაელიდან მოკიდებული გუნდოლფამდე და მის შემდგომაც უამრავი ძეირუასი ისტორიული ხასიათის მიგნებამდე მიგვიყვნა. ამდღნად ზემოქმედების ისტორია ახალი რამ სულაც არ არის. მაგრამ ზემოქმედების ისტორიის თვალსაზრისით საკითხის კვლევა რომ ყველა შემთხვევაში საჭიროა, როცა კი ნაწარმოები ან გადმოცემა ტრადიციისა და ისტორიის ბინდბუნდიდან არის გამოსახმობი, რათა ნათელი მოეფინოს მის ჭეშმარიტ მნიშვნელობას, ეს მართლაც ახალი მოთხოვნაა (წაყენებული არა თვით კვლევის, არამედ მისი მეთოდიკური ცნობიერების მიმართ), მოთხოვნა, რომელიც აუცილებლობით გამომდინარების ისტორიული ცნობიერების გააზრებიდან.

ოღონდ ეს არ არის პერმენევტიკული მოთხოვნა პერმენევტიკის ცნების ტრადიციული გაგებით. ვინაიდან მიზანი ის კი არ არის, ამგვარმა კვლევამ ზემოქმედების ისტორიის თვალსაზრისით ისე დააყენოს საკითხი, რომ იგი (საკითხის ამგვარად დასმა) ნაწარმოების გაგებაზე უშუალოდ ორიენტირებულ საკითხს ამოუდგეს გვერდით. ეს მოთხოვნა უფრო თეორიული ხასიათისაა. ისტორიულმა ცნობიერებამ უნდა გაითვალისწინოს, რომ იმ მოჩვენებით უშუალობას, რომლითაც იგი ნაწარმოებს ან გადმოცემას მიემართება, ყოველთვის ახლაც საკითხის ეს სხვაგვარი დასმა, თუმცა შეუცნობლად და ამის გამო კონტროლს დაუქვემდებარებლად. როდესაც რომელიმე ისტორიული მოვლენის გაგებას ვცდილობთ ისტორიული დისტანციიდან, რომელიც მთლიანობაში განსაზღვრავს ჩვენს პერმენევტიკულ სიტუაციას, ყოველთვის უკვე ვეკვემდებარებით ზემოქმედების ისტორიის ზეგავლენას. ეს ზემოქმედება წინასწარ განსაზღვრავს, რა უნდა წარმოგვიდგეს საეჭვოდ და რა – კვლევის საგადა, და თითქოს სანახვროდ ვივიწყებთ, სინამდვილეში რასთან გვაქვს საქმე, მეტიც: უგულებელვყოფთ მოვლენის მთელ სიმართლეს, როცა ჩვენ უშუალოდ თვით ეს მოვლენა მიგვაჩნია მთელ სიმართლედ.

გაგების მოჩვენებით მიამიტურობაში, რომლითაც ჩვენ გაგებითობის მოთხოვნას ვაგმაყოფილებთ, სხვას (das Andere) იმდენად საკუთარი თვალთაზედვით წარმოვიდგენთ, რომ საკუთარსა და სხვას შორის ზღვარი იშლება. ისტორიული ობიექტივიზმი, რამდენადაც ის თავის კრიტიკულ მეთოდიკას ეყრდნობა, ჩქმალავს ზემოქმედებისისტორიისმიერ ხლართს, რომელშიც თვით ისტორიული ცნობიერებაც მყოფობს. მართალია, იგი წარსულთან მააქტუალიზებელი გაშინაურების თვითნებობასა და განურჩევლობას ნიადაგს აცლის კრიტიკის თავისი მეთოდის წყალობით, მაგრამ ამითი სინდისს იმშვიდებს, რომ არათვითნებური და არაგანურჩეველი კი არა, ყველაფრისმომცველი წინაპირობებიც უგულებელყო, რომელიც მის საკუთარ გაგებას წარმართავენ, და ამით აცდა ჭეშმარიტებას, რომლის მიღწევა ჩვენი გაგების სასრულობის პირობებში შეიძლებოდა. ისტორიული ობიექტივიზმი ამით სტატისტიკას ემსგავსება, რომელიც სწორედ იმიტომ არის პროპაგანდის ჩინებული საშუალება, რომ ფაქტების ენით ლაპარაკობს და ამით ობიექტურობის ილუზიას ქმნის, მაშინ როცა ობიექტურობა სინამდვილეში საკითხის სტატისტიკისეული დასმის ლეგიტიმურობაზეა დამოკიდებული.

ამგვარად, იმას კი არ მოვითხოვთ, რომ ზემოქმედების ისტორია პუმნიტარულ მეცნიერებათა ახალ დამოუკიდებელ დამხმარე დისციპლინად ჩამოყალიბდეს, არამედ ჩვენი მოთხოვნაა საკუთარი თავის უფრო სწორად გაგება ვისწავლოთ და ვაღიაროთ, რომ ყოველგვარი გაგების პროცესში, სულერთია, გაცნობიერებული გვაქვს თუ არა ეს გარემოება, ზემოქმედების

ისტორიის ზეგავლენაც მონაწილეობს. თუ მეთოდისადმი მიამიტურად გადაჭარბებული ნდობის გამო ამ ზეგავლენას უგულებელვყოფთ, შესაძლებელია ამას შედეგად შემეცნების რეალური დეფორმაციაც მოჰყვეს. ჩვენ ვიცნობთ მეცნიერების ისტორიიდან შემთხვევებს, როცა „უცილობელი“ მტკიცებულებები მოჰყვავთ აშკარად მცდარი თვალსაზრისის დასასაბუთებლად. მაგრამ თუ საკითხს ფართოდ შევხედავთ, ზემოქმედების ისტორიის ძალა მის აღიარებაზე სულაც არ არის დამოკიდებული. ისტორიის ზეგავლენა სასრულ ადამიანურ ცნობიერებაზე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი იქაც იჩენს თავს, სადაც მეთოდის მიმართ რწმენის გამო საკუთარ ისტორიულობასაც უგულებელყოფენ. სწორედ ამიტომ მოვითხოვთ ასე დაუინებით, რომ ზემოქმედების ისტორია გავაცნობიეროთ – ეს მეცნიერული ცნობიერებისთვის აუცილებელი მოთხოვნაა. მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, თითქოს იგი (ეს მოთხოვნა) უთუოდ შესრულებადი იყოს. მტკიცება იმისა, რომ ზემოქმედების ისტორია ოდესმე სავსებით გათვალისწინებული იქნება, ისეთივე ქედმაღლურია, როგორიც პეგელის პრეტენზია აბსოლუტურ ცოდნაზე, რომელშიც, მისი სიტყვით, ისტორია სრულყოფილ თვითგამჭვირვალებას მიაღწევს და ამის შედეგად ცნების დონემდე ამაღლდება. ზემოქმედებისისტორიისმიერი ცნობიერება უფრო თვით გაების პროცესის ერთი მომენტია, და ჩვენ ვნახავთ, რაოდენ უწყობს ის ხელს საკითხის მართებულად დასძას.

ზემოქმედებისისტორიისმიერი ცნობიერება უპირველეს ყოვლისა პერმენევტიკული სიტუაციის ცნობიერებაა. მაგრამ ამა თუ იმ სიტუაციის გაცნობიერება ყველა შემთხვევაში გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. სიტუაციის ცნებისთვის დამახასიათებელია ის, რომ ჩვენ მის პირისპირ არ ვიმყოფებით და ამიტომ არ შეგვიძლია მის შესახებ საგნობრივ ცოდნას ვფლობდეთ*. ჩვენ მასში ვიმყოფებით, ჩვენ ყოველთვის ვპოულობთ ჩვენს თავს ამა თუ იმ სიტუაციაში, რომლის განმარტება ისეთი ამოცანაა, ვერასოდეს ბოლომდე რომ ვერ განხორციელდება. ეს ეხება პერმენევტიკულ სიტუაციასაც, ანუ სიტუაციას, რომელშიც ჩვენ იმ გადმოცემის პირისპირ ვიმყოფებით, რომლის გაგება ჩვენი ამოცანაა. ამ სიტუაციის განმარტებაც, ანუ ზემოქმედებისისტორიის რეფლექსია, ბოლომდე შეუძლებელია, მაგრამ ეს შეუძლებლობა რეფლექსის ნაკლულების ბრალი კი არ არის, არამედ იმ ისტორიული ყოფიერების არსები ძევს, რასაც ჩვენ წარმოვადგენთ. ისტორიულად ყოფნა ნიშნავს, სრულად ვერასოდეს შეძლო თვითშემუცნება. ყოველი თვითშემეცნება ისტორიული წინასწარმოცემულობიდან წარმოდგება, რომელსაც ჩვენ პეგელის მიხედვით სუბსტანციას ვუწოდებთ, ვინაიდან იგი ყველანაირი სუბიექტური შეხედულებისა და მიმართების მატარებელია და ამის გამო ყოველგვარ შესაძლებლობას, რომ გადმოცემა მის ისტორიულ სხვაგვარობაში (Andersheit) იქნეს გაგებული, წინასწარ განსაზღვრავს (vorzeichnet) და ზღუდავს. აქედან ფილოსოფიური პერმენევტიკის ამოცანა შეიძლება ასე დავახასიათოთ: მან პეგელის გონის ფენომენოლოგიის გზა იძღვნად უნდა გამოიაროს უკანვე, რამდენადაც მთელი სუბიექტურობის პირობებში მის განმსაზღვრულ სუბსტანციონალურობას წარმოვაჩნთ.

ყველა სასრული მოცემულობა დასაზღვრულია. ჩვენ სწორედ იმის მეოხებით განვსაზღვრავთ სიტუაციის ცნებას, რომ იგი (სიტუაცია) წარმოადგენს პოზიციას (Standort), რომელიც ხედვის შესაძლებლობებს ზღუდავს. ამიტომ სიტუაციის ცნებასთან არსისმიერადაა დაკავშირებული პორიზონტის ცნება. პორიზონტი არის ხედვის არეალი, რომელიც მოიცავს ყოველივე იმას, რისი დანახვაც ერთი წერტილიდან არის შესაძლებელი. და მოაზროვნე ცნობიერებასთან დაკავშირებით ჩვენ ვლაპარაკობთ პორიზონტის სივიწროვეზე, პორიზონტის შესაძლო გაფართოებაზე, ახალი პორიზონტების წარმოჩენაზე და ა.შ. ნიცშედან და პუსტერლიდნ მოკიდებული ფილოსოფიაში ეს სიტყვა უპირატესად აზროვნების მისივე სასრულ განსაზღვრულობასთან კავშირისა და თვალსაწიერის ნაბიჯ-ნაბიჯ გაფართოების დასახასიათებლად გამოიყენება. ვისაც პორიზონტი არ გამნია, ის არის ადამიანი, რომელიც მორს ვერ იყურება და ამის გამო გადაჭარბებულად აფასებს იმას, რაც მის სიახლოვეს ძევს. და პირიქით, პორიზონტის ქონა ნიშნავს: უახლოესით კი არ შემოიფარგლო, არამედ მის მიღმა გაიხედო. ვისაც პორიზონტი აქვს, ხელეწიფება ამ პორიზონტის ფარგლებში ყველა საგნის მნიშვნელობა სწორად შეაფასოს მისი სიახლოვისა და სიშორის,

* სიტუაციის ცნება მისსავე სტრუქტურაში უპირველეს ყოვლისა კ. ასპერსმა (დროის გონითი სიტუაცია) და ერთ როტაკერმა გააშექეს.

სიდიდისა და სიმცირის მიხედვით. შესაბამისად ჰერმენევტიკული სიტუაციის შემუშავება ნიშნავს მართებული შეკითხვითი პორიზონტის (Fragehorizont) მოპოვებას იმ კითხვებისთვის, რომლებიც ჩვენ წინაშე წამოიჭრება გადმოცემასთან დაკავშირებით.

თუმცა ჩვენ ისტორიული გაგების სფეროშიც სიამოვნებით ვლაპარაკობთ პორიზონტების შესახებ, მეტადრე, როცა ვგულისხმობთ ისტორიული ცნობიერების პრეტენზიას, ყოველი წარსული მისივე (წარსულისავე) საკუთარ ყოფიერებაში დაინახოს, არა ჩვენი თანამედროვე მასშტაბებისა და წარმოდგენების, არამედ მისივე (წარსულისავე) საკუთარი პორიზონტის შესაბამისად. ისტორიული გაგების ამოცანა შეიცავს ყველა შემთხვევაში შესაბამისი ისტორიული პორიზონტის მოხელთების მოთხოვნას, რათა ის, რისი გაგებაც გვსურს, თავის ჭეშმარიტ განზომილებებში გამოისახოს. ვინც უგულებელყოფს იმ ისტორიული პორიზონტის პოზიციაზე დადგომას, რომელი პოზიციიდანაც გადმოცემა გველაპარაკება, ის მცდარად გაიგებს გადმოცემის შინაარსთა მნიშვნელობას. ამდენად ჩანს გამართლებული ჰერმენევტიკული მოთხოვნა, რომ თუ სხვისი გაგება გვსურს, მის ტყავში უნდა შევძვროთ. ამასთან დაისმის კითხვა, ამგვარი მიდგომა ხელს ხომ არ შეუმლის სწორედ იმ გაგებას, რომელსაც ჩვენგან მოითხოვენ. ეს ზუსტად იმ საუბრის მსგავსია, რომელსაც მავანთან მხოლოდ იმ მიზნით ვატარებთ, რომ ის გავიცნოთ, ანუ მისი პოზიცია და მისი პორიზონტი შევაფასოთ. ეს არ არის ნამდვილი საუბარი, ანუ მის პროცესში ამა თუ იმ საგანზე შეთანხმებას კი არ ვცდილობთ, არამედ საუბრის ყველა საქმიანი შინაარსი მხოლოდ მავანის პორიზონტის გასაცნობი საშუალებაა. გავიხსენოთ საგამოცდო საუბარი ან ექიმისა და პაციენტის საუბრის ზოგიერთი ფორმა. ეტყობა, ისტორიული ცნობიერებაც ასევე იქცევა, როცა ის წარსულის სიტუაციაში გადაინაცვლებს და ამით მართებული ისტორიული პორიზონტის მოხელთებას ცდილობს. როგორც საუბარში თანამოსაუბრის პოზიციისა და პორიზონტის გარეკვევის შემდეგ მისი შეხედულებები გასაგები ხდება ისე, რომ არ არის საჭირო მისი აზრი გაიზიარო, ამის მსგავსადვე მისთვის, ვინც ისტორიულად აზროვნებს, გადმოცემის აზრი გასაგები ხდება, თუმცა არ არის საჭირო მას ეთანხმებოდეს.

ორივე შემთხვევაში გამგები თითქოს გაგების სიტუაციისგან განზე დგება. თვითონ იგი მოუწყვლადია. როცა სხვის პოზიციას წინასწარ ვითვალისწინებთ და ისე ვეუბნებით მას, რაც მისთვის სათქმელი გვაქს, ამით ჩვენს პოზიციას უსაფრთხო მდგომარეობას ვუქმნით. ისტორიული აზროვნების წარმოშობისას ჩვენ ვნახეთ, რომ იგი (ისტორიული აზროვნება) საშუალებიდან მიზანზე ამ ორაზოვანი გადასვლით მართლაც სარგებლობს, ანუ იმას, რაც მხოლოდ საშუალებაა, მიზნად აქცევს. ტექსტს, რომელიც ისტორიულად უნდა იქნეს გაგებული, ვართმევთ ჭეშმარიტების ქადაგების პრეტეზიას. როცა გადმოცემას ისტორიული პოზიციიდან ვუცურებთ, ანუ როცა ისტორიულ სიტუაციაში გადავინაცვლებთ და ისტორიული პორიზონტის რეკონსტრუირებას ვცდილობთ, ვფიქრობთ, რომ გაგებას ვაღწევთ. სინამდვილეში მთლიანად ხელს ვიღებთ პრეტეზიაზე, რომ გადმოცემაში ჩვენთვის მისაღები და გასაგები ჭეშმარიტება ვიპოვოთ. ამგვარი აღიარება სხვისი სხვაგვარობისა (der Andersheit des anderen), რაც იმავე სხვაგვარობას ობიექტური შემეცნების საგნად აქცევს, წარმოადგენს პრინციპულ გაუქმებას მისი (სხვისი) პრეტეზიისა.

ახლა ვიკითხოთ, რამდენად მართებულია ჰერმენევტიკული ფენომენის ამგვარი აღწერა. ნამდვილად არსებობს აქ ორი ერთმანეთისგან განსხვავებული პორიზონტი, – ერთი, რომელშიც გამგები ცხოვრობს, და მეორე – ესა თუ ის ისტორიული პორიზონტი, რომელშიც ის გადაინაცვლებს? როცა ვამბობთ, რომ უნდა ვისწავლოთ უცხო პორიზონტებში გადანაცვლება, ამით მართებულად და დამაკმაყოფილებლად აღიწერება ისტორიული გაგების ხელოვნება? საერთოდ, არსებობს კი ამ აზრით დახურული პორიზონტები? გავიხსენოთ ნიცშეს მიერ ისტორიზმის მიმართ გამოთქმული საყველური, რომ იგი (ისტორიზმი) აუქმებს მითებით შემოსაზღვრულ პორიზონტს, ხოლო კულტურას მხოლოდ ამგვარ პორიზონტში შეუძლია არსებობა. საკუთარი მყოფობის პორიზონტი ნუთუ ოდესმე ესოდენ ჩაკეტილია, და ნუთუ შეიძლება წარმოვიდგინოთ ისეთი ისტორიული სიტუაცია, რომელსაც ასეთი ჩაკეტილი პორიზონტი ექნებოდა?

იქნებ ეს წარსულში რომანტიკული ჭვრეტაა, ისტორიული განმანათლებლობის ერთგვარი რობინზონიადა, მიუღწეველი კუნძულის ფიქცია, რომელიც ისევე ხელოვნურია, როგორც თვით

რობინზონი, ვითარცა solus ipse*-ს მოჩენებითი პირველხატი (ურფენმენი)? ისევე როგორც მარტოკაცი (der Einzelne) არასოდეს მარტოკაცი არ არის, ვინაიდნ მას იმთავითვე ნაპოვნი აქვს სხვებთან საერთო ენა, ასევე ჩაკეტილი ჰორიზონტიც, რომელმაც ესა თუ ის კულტურა უნდა მოიცვას, ამსტრაქციაა. ადამიანური ყოფიერების (Dasein) ისტორიულ მოძრავუნარიანობას ის განაპირობებს, რომ იგი (ეს ყოფიერება) აუცილებლობით არ არის მიჯაჭვული ერთ ადგილს და, აქედან გამომდინარე, არც მისი ჰორიზონტია ნამდვილად ჩაკეტილი. ჰორიზონტი ისეთი რამ არის, რომლისკენც მივემართებით და ისიც ჩვენთან ერთად მიიწვეს წინ. ვინც მოძრაობს, მისი ჰორიზონტებიც ადგილს იცვლიან. ამრიგად, წარსულის ჰორიზონტიც, რომლიდანაც მთელი ადამიანური ცხოვრება გადმოჩქეფს და რომელიც გადმოცემის სახით არსებობს, კვლავაც მოძრაობაშია. ისტორიულ ცნობიერებას როდი მოჰყავს მოძრაობაში გარემომცველი ჰორიზონტი. ისტორიულ ცნობიერებაში ამ მოძრაობამ შხოლოდ გაიცნობიერა თავისი თავი.

ჩვენი ისტორიული ცნობიერების ისტორიულ ჰორიზონტებში გადანაცვლება როდი ნიშნავს უცხო სამყაროებში გადასვლას, რომელთაც ჩვენს სამყაროსთან არაფერი აკავშირებთ, არამედ ისინი ერთობლივად ქმნიან ერთ დიდ, შინაგანად მოძრავ ჰორიზონტს, რომელიც აწმეოს საზღვრებს მიღმა ჩვენი თვითცნობიერების ისტორიის სიღრმეს მოიცავს. სინამდვილეში ეს ერთადერთი ჰორიზონტია, რომელიც ყოველივე იმას მოიცავს, რასაც ისტორიული ცნობიერებისკენ არის მოპყრობილი, მონაწილეობას ამ მოძრავი ჰორიზონტის ფორმირებაში, რომლიდანაც ადამიანური ცხოვრება მუდამ გადმოჩქეფს და რომელიც ამ ცხოვრებას განსაზღვრავს როგორც წარმომავლობას და გადმოცემას.

მაშასადამე, გადმოცემის გაგება, ცხადია, ისტორიულ ჰორიზონტს მოითხოვს. მაგრამ ისე კი არ ხდება, რომ ამ ჰორიზონტს მოვიხელთებთ, თუკი ისტორიულ სიტუაციაში გადანაცვლება შევძლოთ. რადგანაც, რას ნიშნავს გადანაცვლება? ცხადია, ეს არ იქნება უბრალოდ საკუთარი თავისაგან განზე გადგომა (Von-sich-absehen). ბუნებრივია, იგი (ასეთი განზე გადგომა) საჭიროა იმდენად, რომ სხვა სიტუაცია მართლაც ცოცხლად წარმოდგეს ჩვენ თვალწინ. მაგრამ ამ სხვა სიტუაციაში ჩვენი თავიც უნდა გადავიყოლოთ. მხოლოდ ამ შემთხვევაში ექნება აზრი გადანაცვლებას. თუ, მაგალითად, სხვა ადამიანის მდგომარეობაში ჩავაყენებთ ჩვენს თავს, მაშინ მას გაუგაბთ, ანუ სხვის სხვაგარობას, მის ჭეშმარიტ ინდივიდუალობას სწორედ იმის წყალობით გავიცნობიერებთ, რომ მის მდგომარეობაში ჩავაყენებთ ჩვენს თავს.

ასეთი გადანაცვლება არც ერთი ინდივიდუალობის სხვა ინდივიდუალობაში შთაგრძნობას (Einfühlung) წარმოადგენს, არც სხვის დაკვემდებარებას საკუთარი კრიტერიუმებისადმი, არამედ ყოველთვის უფრო მაღალ ზოგადობამდე ამაღლებას ნიშნავს, რაც არამარტო საკუთარი, არამედ სხვისი პარტიკულარობის დაძლევაც არის. აქ იმიტომ არის უპრიანი ჰორიზონტის ცნების გამოყენება, რომ იგი აღმატებულ შორსმჭვრეტელობას გამოხატავს, რომელსაც გამგები უნდა ფლობდეს. ჰორიზონტის მოპყრება ყოველთვის იმას გულისხმობს, რომ ახლოს და მეტისმეტად ახლოს მდებარე საგნების მიღმა ყურებას ვსწავლოთ, არა იმიტომ, რომ მათ თვალი ავარიდოთ, არამედ იმიტომ, რომ ისინი უფრო დიდ მოლიანობასა და უფრო სწორ ზომებში უკეთ დავინახოთ. ისტორიულ ცნობიერებას სწორად ვერ აღვწერთ, თუკი ნიცშეს დარად მრავალი ცვალებადი ჰორიზონტის შესახებ ვიღლაპარაკებთ და მათში გადანაცვლების სწავლებას მივყოფთ ხელს. ვინც ასე აარიდებს თვალს საკუთარ თავს, იმას სწორედ რომ არავითარი ისტორიული ჰორიზონტი არ გააჩნია, და ნიცშეს მტკიცება, ისტორიას ცხოვრებისათვის უარყოფითი მნიშვნელობა აქვსო, სინამდვილეში ისტორიულ ცნობიერებას როგორც ასეთს კი არ ეხება, არამედ თვითგაუცხოებას, რომელიც მას (ისტორიულ ცნობიერებას) ემართება, როცა იგი თანამედროვე ისტორიული მეცნიერების მეთოდიებს თავის ნამდვილ არსებად მიიჩნევს. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ: ჭეშმარიტი ისტორიული ცნობიერება საკუთარ აწმეოს მუდამ ითვალისწინებს, და თანაც ისე, რომ იგი თავის თავსაც და ისტორიულ სხვასაც სწორ პროცეციებში ხედავს. ცხადია, სათანადო ძალისხმევაა საჭირო საიმისოდ, რომ ისტორიული ჰორიზონტი მოიპოვო. უახლოესის მიმართ ჩვენ მუდამ სასოებითა და შიშით აღსავს მიკერძოებული დამოკიდებულება გვაქვს და ამგვარი

* მხოლოდ მე თვითონ. (ლათ.).

წინასწარშემუშავებული აზრით ვეგებებით წარსულის მოვლენას. ამიტომ მუდმივი ამოცანაა, დავაძრკოლოთ წარსულის ნაჩქარევი მიმსგავსება (Angleichung) საკუთარ გრძნობად მოლოდინებთან (Sinnerwartungen). მხოლოდ ამ შემთხვევაში გავიგონებთ გადმოცემას ისე, როგორც იგი თავის თავისი საკუთარი განსხვავებული აზრით მოსმენადს ხდის.

ზემოთ ჩვენ წარმოვაჩინეთ, რომ ეს ისე მიმდინარეობს, როგორც მოშორების (Abhebung) პროცესი. დავაკვირდეთ, რა შინაარსი ძევს მოშორების ცნებაში. მოშორება ყოველთვის ორმხრივ მიმართებას გულისხმობს. ის, რაც მოშორებულ უნდა იქნეს, რაღაცას უნდა მოშორდეს, და პირიქით: ეს უკანასკნელი თვითონაც უნდა მოშორდეს მას. ამრიგად, ყოველგვარი მოშორება იმასთან ერთად, რაც რაღაცას შორდება, იმ რაღაცასაც ხილვადს ხდის, რასაც შორდებიან. ზემოთ ჩვენ ეს აღვწერეთ როგორც წინასწარშემუშავებული თვალსაზრისის შეტანა [გაგების პროცესში]. ჩვენ იქიდან ამოვლიოდით, რომ ჰერმენევტიკულ სიტუაციას ის წინასწარშემუშავებული შეხედულებები განსაზღვრავენ, რომლებიც ჩვენ მოგაქვს თან. ამდენად ქმნიან ისინი აწმყოს პორიზონტს, რადგანაც იმას გამოსახავენ, რის მიღმა გახედვა ვერ შევძლით. მაგრამ არ უნდა გვევონოს, თითქოს აწმყოს პორიზონტს შეხედულებათა და შეფასებათა მყარი ფონდი განსაზღვრავდეს და შემოზღუდავდეს, და თითქოს წარსულის სხვაგვარობა მას ისე შორდებოდეს, როგორც რამე მყარ ფუნდამენტს.

სინამდვილეში აწმყოს პორიზონტი მუდმივი ფორმირების პროცესშია, რაკიდა ჩვენ იძულებილი ვართ ყველა ჩვენი წინასწარშემუშავებული შეხედულება გამუდმებით შევამოწმოთ. არცთუ უკანასკნელი ადგილი ამგვარი შემოწმების საგანთა შორის უჭირავს წარსულთან შეხვედრასაც და იმ გადმოცემის გაგებას, საიდნაც ჩვენ მოვდივართ. ამგვარად, აწმყოს პორიზონტის ფორმირება სულაც ვერ მოხდება წარსულის გარეშე. ისევე არ არსებობს აწმყოს პორიზონტი თავისთავად, როგორც წარსულის პორიზონტები, რომელთა მოპოვებაც შეიძლება გვირდებოდეს. პირიქით, გაგება ყოველთვის არის ამგვარი, თითქოსდა თავ-თავისოვის არსებული პორიზონტების ურთიერთშერწყმის პროცესი. ამგვარი შერწყმის ძალას ჩვენ ვიცნობთ უწინარეს ყოვლისა ძველთა დროთაგან და მისი (შერწყმის) მიამიტური დამოკიდებულებიდან თავისი თავისა და თავისი წარმომავლობისადმი. ტრადიციის მოქმედების პროცესი გამუდმებით ხდება ამგვარი შერწყმა, ვინაიდან იქ კვლავ და კვლავ მიმდინარეობს ძველისა და ახლის ურთიერთშეზრდა ცოცხალ ღირებულებად ისე, რომ საერთოდ არც ერთი და არც მეორე ერთმანეთს კატეგორიულად არ შორდება.

თუკი ეს ერთმანეთს დაშორებული პორიზონტები სულაც არ არსებობს, მაშინ რატომდა ვლაპარაკობთ პორიზონტების შერწყმაზე და არა უბრალოდ ერთი პორიზონტის ფორმირებაზე, რომელიც თავის საზღვარს გადმოცემის სიღრმეში გადასწევს? ამ კითხვის დასმა იმას ნიშნავს, რომ ვალიაროთ იმ სიტუაციის განსაკუთრებულობა, რომელშიც გაგება მეცნიერული ამოცანა ხდება, და რომ საჭიროა ეს სიტუაცია, ვითარცა ჰერმენევტიკული სიტუაცია, ჯერ შემუშავებულ იქნეს. გადმოცემასთან ყოველი შეხვედრა, რაც ისტორიული ცნობიერებით ხორციელდება, აღბეჭდილია დაძაბული ურთიერთობით ტექსტსა და აწმყოს შორის. ჰერმენევტიკის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ეს დაძაბულობა მიამიტური მიმსგავსებით კი არ დაიფაროს, არამედ შეგნებულად გამომზეურდეს. ამის გამოა, რომ ჰერმენევტიკული დამოკიდებულების აუცილებელ ამოცანას წარმოადგენს ისტორიული პორიზონტის შემუშავება, რომელიც აწმყოს პორიზონტისგან განსხვავდება. ისტორიულ ცნობიერებას შეგნებული აქვს თავისი საკუთარი სხვაგვარობა და ამიტომ ჩვენამდე მოღწეული გადმოცემის პორიზონტს აშორებს თავისი საკუთარი პორიზონტისაგან. მეორე მხრივ თვით იგი (ისტორიული ცნობიერება) – ამის წარმოჩენას ვცდილობთ ჩვენ – წარმოგვიდგება მხოლოდ როგორც მოქმედ ტრადიციაზე დანაშრევი, და ამიტომ ერთმანეთს დაშორებულებს ის (ისტორიული ცნობიერება) მყისვე აერთიანებს, რათა ამ გზით მოპოვებული ისტორიული პორიზონტის ერთიანობაში თავისი თავი თავისივე თავთან მოარიგოს.

ამგვარად, ისტორიული პორიზონტის შემუშავება გაგების პროცესის მხოლოდ ერთი ფაზაა და გარდასული ცნობიერების თვითგაუცხოებაში კი არ აპირებს დარჩენას, არამედ მას გაგების აწმყოსეული საკუთარი პორიზონტი წამოეწევა. გაგების განხორციელებისას ხდება პორიზონტების ნამდვილი შერწყმა, რაც ისტორიული პორიზონტის შემუშავებასთან ერთად იმავდროულად მის გაუქმებასაც ახდენს. ამგვარი შერწყმის კონტროლსდაქვემდებარებულ განხორციელებას ჩვენ ზემოქმედებისისტორიისძიერი ცნობიერების ამოცანა ვუწოდეთ. ესთეტიკურ-ისტორიული

პოზიტივიზმის მიერ რომანტიკული ჰერმენევტიკის კვალდაკვალ ეს ამოცანა მიჩქმალული იყო, მაშინ როცა სინამდვილეში იგი წარმოადგენს საერთოდ ჰერმენევტიკის ცენტრალურ პრობლემას. ეს გახლავთ გამოყენების პრობლემა, რომელიც ყოველ გაგებაში ძევს.

გამოყენების ჰერმენევტიკული პრობლემა

ჰერმენევტიკის ადრეულ ტრადიციაში, რომელიც რომანტიზმის შემდეგდროინდელი მეთოდოლოგიის ისტორიული თვითცნობიერებიდან მთლიანად გაქრა, ამ პრობლემას ჯერ კიდევ თავისი სისტემატური ადგილი ეკავა. იქ ჰერმენევტიკული პრობლემა ასეთ შემადგენელ ნაწილებად იყოფოდა: განასხვავებინენ გაგებას (subtilitas intelligendi) ინტერპრეტაციისაგან (subtilitas explicandi), და პიეტიზმში ამას მესამე წევრად გამოყენება (subtilitas applicandi) დაუმატეს (მაგ., ი. ი. რამბაზთან). ამ სამა მომენტმა უნდა შეადგინოს გაგების განხორციელების წესი. ნიშანდობლივია, რომ სამივეს „სუბტილიტას“ ეწოდება, ანუ ისინი იმდენად მეთოდებად კი არ ითვლებიან, რომელსაც უნდა ვფლობდეთ, რამდენადაც უნარად, რომელიც გონის განსაკუთრებულ თავისუფლებას მოითხოვს.

როგორც ვნახეთ, ჰერმენევტიკულმა პრობლემამ თავისი სისტემატური მნიშვნელობა იმის შედეგად მოიპოვა, რომ რომანტიზმის წყალობით შეცნობილ იქნა „intelligere“-სა და „explicare“-ს შინაგანი ერთიანობა. ინტერპრეტაცია (Auslegung) გაგების შემდგომი და შემთხვევითი აქტი კი არ არის, არამედ გაგება ყოველთვის ინტერპრეტაციაც არის, და ამდენად ინტერპრეტაცია გაგების ექსპლიციტური (განმარტებითი) ფორმაა. ამ შეხედულებას უკავშირდება ის, რომ განმმარტებელი ენა და ცნებითობაც ასევე გაგების შინაგან სტრუქტურულ მომენტად იქნა აღიარებული და ამის შედეგად საერთოდ ენის პრობლემამ თავისი ოკაზიური განაპირა პოზიციიდან ფილოსოფიის ცენტრში გადმოინაცვლა. ამას კვლავ დავუბრუნდებით.

მაგრამ გაგებისა და ინტერპრეტაციის შინაგანმა შერწყმამ იქმდე მიგვიყვანა, რომ ჰერმენევტიკული პრობლემის მესამე მომენტი, გამოყენება, ჰერმენევტიკის კონტექსტიდან მთლიანად ამოვარდა. სულთმარგებელი გამოყენება, რაც, მაგალითად, წმინდა წერილის ხვედრია ქრისტიანულ გამოცხადებასა და ქადაგებაში, სულ სხვა რამ ჩანდა, ვიღრე მისი ისტორიული და თეოლოგიური გაგება. ახლა ჩვენმა განსჯამ იმ შეხედულებამდე მიგვიყვანა, რომ გაგებისას ყოველთვის ხდება იმგვარი რამ, რასაც ინტერპრეტაციონის თანამედროვე სიტუაციაში იმ ტექსტის გამოყენება შეიძლება ეწოდოს, რომლის გაგებასაც ესწრაფიან. ამგვარად, ჩვენ თთქოს იძულებული გავხდით ერთი ნაბიჯი გადაგვედგა რომანტიკული ჰერმენევტიკის მიღმა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ არამარტო გაგებასა და ინტერპრეტაციას, არამედ მათთან ერთად გამოყენებასაც ერთიან პროცესად მოვაზრებთ. ამით სულაც არ ვუბრუნდებით ჰერმენევტიკული პროცესის ტრადიციულ დელიკატურ დაყოფას სამ ნაწილად, რასაც პიეტიზმი ქადაგებდა. პირიქით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ გამოყენება ჰერმენევტიკული პროცესის ისეთივე აუცილებელი შემადგენელი ნაწილია, როგორიც გაგება და ინტერპრეტაცია.

ჰერმენევტიკული დისკუსიის აქამომდელი მდგომარეობა გვაძლევს იმის საბაბს, რომ ეს თვალსაზრისი თავისი პრინციპული მნიშვნელობით წარმოვაჩინოთ. ამისთვის პირველ რიგში ჰერმენევტიკის დავიწყებულ ისტორიას უნდა მიგმართოთ. ოდითგანვე სავსებით ბუნებრივად ითვლებოდა, რომ ჰერმენევტიკის ამოცანაა ტექსტის აზრი იმ კონკრეტულ სიტუაციას მოარგოს, რომელ სიტუაციაშიც ეს ტექსტი მეტყველებს. ღვთაებრივი ნების განმმარტებელი, რომელსაც ორაკულის ნათქეამის ინტერპრეტაცია ძალუს, ამის თავდაპირველი მოდელია. ასევე დღემდე ყოველი თარჯიმნის მოვალეობა ის კი არ არის, უბრალოდ გადათარგმნოს, რაც მოლაპარაკების მონაწილემ წარმოთქვა, არამედ მან მისი აზრი ისე უნდა წარმოადგინოს, როგორც საჭიროდ მაჩნია მოლაპარაკების ჰეშმარიტი სიტუაციიდან გამომდინარე, ანუ იმ სიტუაციიდან გამომდინარე, რომელსაც მხოლოდ ის იცნობს, ვითარცა მოლაპარაკების ორივე ენის მცოდნე.

ჰერმენევტიკის ისტორია იმასაც გვასწავლის, რომ ფილოლოგიურის გარდა თეოლოგიური და იურიდიული ჰერმენევტიკაც არსებობდა და მხოლოდ სამივე მათგანის ერთიანობა შეადგენდა ჰერმენევტიკის ცნების სრულ შინაარსს. მხოლოდ მე-18 და მე-19 საუკუნეებში ისტორიული ცნობიერების განვითარების შედეგია ის, რომ ფილოლოგიური ჰერმენევტიკა და ისტორიული

მეცნიერება სხვა პერმენევტიკულ დისციპლინებს ჩამოშორდა და, როგორც ჰუმანიტარული მეცნიერებების მეთოდოლოგიამ, სრული დამოუკიდებლობა მოიპოვა.

მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულება, რაც თავდაპირველად ფილოლოგიურ პერმენევტიკას იურიდიულ და ოფიციალურ პერმენევტიკებთან აკავშირებდა, გამოყენების როგორც ყოველგვარი გაგების ერთ-ერთი შემადგენელი მოქმედის აღიარებას ემყარებოდა. როგორც იურიდიული პერმენევტიკისთვის, ასევე ოფიციალური პერმენევტიკისთვისაც ხომ არსებითა ის დაძაბულობა, რაც არსებობს ერთი მხრივ მოცემულ ტექსტსა – კანონსა თუ გამოცხადებასა – და მეორე მხრივ იმ აზრს შორის, რომელიც მის გამოყენებას ენიჭება ინტერპრეტაციის კონკრეტულ მოქმედში – განაჩენის გამოტანისას თუ ქადაგებისას. კანონს არ სურს ისტორიულად იქნეს გაგებული, მას სურს ამოქმედებისას ინტერპრეტაციის მეორებით მოახდინოს თავისი თავის კონკრეტიზაცია. ასევე არც რელიგიური გამოცხადების ტექსტს სურს, მარტოოდნენ ისტორიულ დოკუმენტად აღიქვან, მას სურს იმგვარად იქნეს გაგებული, რომ თავისი მაკურნებელი ზემოქმედების განხორციელება შეძლოს. ეს ორივე შემთხვევაში გულისხმობს, რომ ტექსტი, კანონი იქნება ეს თუ რელიგიური გამოცხადება, თუკი მისი სათანადოდ გაგება გვსურს, ანუ იმის შესაბამისად გაგება, რა პრეტენზიასაც ეს ტექსტი აცხადებს, იგი ყოველ მოქმედში, ანუ ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში, ახლებურად და სხვაგვარად უნდა იქნეს გაგებული. გაგება აქ უკვე გამოყენებასაც ნიშნავს.

ჩვენ ახლა იმ წანამდღვარს დავეყრდნით, რომ გაგება ჰუმანიტარულ მეცნიერებებშიც არსებითად ისტორიულია, ანუ იქაც ამა თუ იმ ტექსტს მხოლოდ მაშინ გავიგებთ, თუ ის ყოველ კონკრეტულ ვითარებაში სხვადასხვაგვარად იქნება გაგებული. ისტორიული პერმენევტიკის ამოცანისთვის სწორედ ის იყო დამახასიათებელი, რომ იგი გაიაზრებდა იმ დაძაბულ ურთიერთობას, რაც ერთობლივი საქმის თვითობასა (der Selbigkeit der gemeinsamen Sache) და იმ ცვალებად სიტუაციას შორის არსებობს, რომელშიც იგი გაგებულ უნდა იქნეს. ჩვენ იქიდან ამოვედით, რომ რომანტიკული პერმენევტიკის მიერ განაპირებული ისტორიული ცვალებადობა გაგებისა (Bewegtheit des Verstehens) საკითხის პერმენევტიკული დასმის ჭეშმარიტ ცენტრს წარმოადგენს, რაც ისტორიული ცნობიერების შესატყვისია. ჩვენი დაკვირვებანი ისტორიული ცნობიერებისთვის ტრადიციის მნიშვნელობის თაობაზე ეყრდნობა ფაქტობრიობის (Faktizität) პერმენევტიკის პაიდეგერის მიერ ჩატარებულ ანალიზს და ვეცადეთ იგი ჰუმანიტარული მეცნიერებების პერმენევტიკისთვის მიგვესადაგებინა. ჩვენ წარმოვაჩინეთ, რომ გაგება იმდენად ის მეორედ კი არ არის, რომლის მეშვეობითაც შემძეცნებელი ცნობიერება მის მიერ შერჩეულ საგანს მიემართება და მის ობიექტურ შეცნობას ახდენს, არამედ ის უფრო ისეთი რამ არის, რისი წინაპირობა გადმოცემის მეორებით ჩვენამდე მოღწეულ ხდომილებაში ყოფნაა, მასშიმყოფობაა (Darinstehten). თვითონ ვაგებაც ხდომილება აღმოჩნდა და პერმენევტიკის ამოცანა, ფილოსოფიური თვალსაზრისით, იმაში მდგომარეობს, რომ დაისვას კითხვა, რა მეცნიერების რა გაგებაა ეს, რომელიც თავის თავში ისტორიული ცვალებადობის მიერ გადაადგილდება.

ჩვენ ყოველთვის ვითვალისწინებდით იმას, რომ ამით თანამედროვე მეცნიერების თვითცნობიერებას რაღაც უწევულო მოთხოვნა წაეყინება. ჩვენი განსჯანი მთლიანობაში იქითკენ იყო მიმართული, ეს მოთხოვნა იმით შეგვემსუბუქებინა, რომ იგი წარმოჩნილიყო როგორც პრობლემათა დიდი რაოდნობის კონვერგენცია. მართლაც პერმენევტიკის აქამომდელი თეორია განსხვავებულ ნაწილებად იშლება, რომელთა ერთიანობასაც იგი თვითონ ვერ შეინარჩუნებს. ეს სწორედ მაშინ არის თვალსაზრისით, როცა ინტერპრეტაციის ზოგადი თეორიის შექმნას ვესწრაფით. როცა, ვთქვათ, შემცნებითი, ნორმატიული და რეპროდუქციული ინტერპრეტაციის ურთიერთგამიჯვნას ვახდენთ, როგორც ეს ე. ბეტი (E. Betti) მოიმოქმედა განსაციფრებელ ცოდნასა და მიმოხილვაზე დაფუძნებულ თავის ნაშრომში სახელწოდებით „ინტერპრეტაციის ზოგადი თეორია“, ამ დანაწილებისადმი მოვლენათა მისადაგებისას სიძნელეებს ვაწყდებთ. ეს უწინარეს ყოვლისა ეხება მეცნიერებებში გამოყენებულ ინტერპრეტაციას. თუ თეოლოგიურ ინტერპრეტაციას იურიდიულს ამოვუყენებთ გვერდით და შესაბამისად ნორმატიულ ფუნქციას დავუქვერდებარებთ, მშენ შლაიერმახერი უნდა გავიხსენოთ, რომელიც, პირიქით, თეოლოგიურ ინტერპრეტაციას უმჭიდროესად უკავშირებდა ზოგად, ანუ, მისი ტერმინოლოგიით, ფილოლოგიურისტორიულ ინტერპრეტაციას. მართლაც ნაპრალი შემცნებით და ნორმატიულ ფუნქციას შორის თეოლოგიურ პერმენევტიკაზე გადის და ამ ნაპრალის ამოვსება მნელად თუ მოხერხდება იმის

საშუალებით, რომ მეცნიერული შემუცნება შემდგომი სასარგებლო გამოყენებისაგან განვასხვაოთ. ასეთივე ნაპრალი აშკარად სამართლებრივ ინტერპრეტაციაზეც გადის, რამდენადაც სამართლებრივი ტექსტის აზრის შემუცნება და მისი გამოყენება კონკრეტულ სამართლებრივ შემთხვევაში ორი ერთმანეთს დაცილებული აქტი კი არ არის, არამედ ერთიანი პროცესია.

მაგრამ თვით ის ინტერპრეტაცია, რომელიც აქამდე განხილულ ინტერპრეტაციის სახეობათაგან ყველაზე შორსმდგომი ჩანს, ვგულისხმობ რეპროდუქციულ ინტერპრეტაციას, რომლის დროსაც პოეტური და მუსიკალური ნაწარმოები უნდა შესრულდეს – და მხოლოდ შესრულებისას ავლენენ ისინი თავიანთ ჭეშმარიტ არსებობას – ძნელად თუ ჩაითვლება ინტერპრეტაციის დამოუკიდებელ სახეობად. მასზეც გადის ნაპრალი შემუცნებით და ნორმატიულ ფუნქციას შორის. არავინ მოახდენს დრამის ინსცენირებას, პოეტური ქმნილების დეკლამირებას, არავინ შეასრულებს მუსიკალურ ნაწარმოებს ისე, თუ ტექსტის თავდაპირველ აზრს არ ჩასწოდება და მას თავის რეპროდუქციასა და ინტერპრეტაციაში არ იგულისხმებს. მაგრამ ასევე ვერავინ შეძლებს ამ რეპროდუქციული იტერპრეტაციის განხორციელებას, თუკი ტექსტის გრძნობად მოვლენად გარდაქმნისას ყურადღებას არ მიაქცევს იმ სხვა ნორმატიულ მომენტს, რომელიც სტილის შესატყვისად გადმოცემის მოთხოვნას საკუთარი აწმყოს სტილური ნებით ზღუდავს. თუ საკუთარი გავითვალისწინებთ, უცხოენოვნი ტექსტების თარგმანი ან სულაც მათი პოეტური გარდათქმა, ის კი არა, ტექსტთა მართებული დეკლამაციაც კი ზოგჯერ როგორ კისრულობს თავის მხრივ ისეთივე განმარტებითი სამუშაოს შესრულებას, როგორსაც ფილოლოგიური ინტერპრეტაცია ეწევა, ისე, რომ ესენი ორივენი ერთმანეთში გადაიზრდებიან, მაშინ ვერ გავიცვლით დასკვნას, რომ შემუცნებით, ნორმატიულ და რეპროდუქციულ ინტერპრეტაციათა ურთიერთგამიჯვნას, რომელიც თავისთავად გვეძალება, პრინციპული მნიშვნელობა კი არა აქვს, არამედ იგი ერთიან ფენომენს აღწერს.

თუკი ეს სწორია, მაშინ ჩვენ წინაშე დგება ამოცანა, ჰუმანიტარულ მუკნიერებათა პერმენევტიკა ხელახლა განვსაზღვროთ იურიდიულ და თეოლოგიურ პერმენევტიკათა მახვილი. ოღონდ ამისთვის დაგვჭირდება ჩვენი კვლევის შედეგად მოპოვებული დასკვნა, [კერძოდ ის] რომ რომანტიკული პერმენევტიკა, რამაც თავისი დაგვირგვინება ფსიქოლოგიურ ინტერპრეტაციაში, ანუ სხვა ინდივიდუალობის გამოცნობასა და შეცნობაში პოვა, გაგების პრობლემას მეტისმეტად ცალმხრივად ეკიდება. ჩვენი განსჯანი გვიკრძალავს იმას, რომ პრობლემის პერმენევტიკული დასმა ინტერპრეტატორის სუბიექტურობასა და გამგები აზრის ობიექტურობაზე გადავანაწილოთ. ასეთი ქმედება იმ მცდარ წანამდლავრზე დაყრდნობა იქნებოდა, რომელიც ვერც სუბიექტურისა და ობიექტურის დალექტიკის აღიარებით გადაილახება. ნორმატიული და შემუცნებითი ფუნქციების გამიჯვნა მთლიანად გახლეჩდა იმას, რაც აშკარად ერთიანია. კანონის აზრი, რომელიც თავის ნორმატიულ გამოყენებაში იჩენს თავს, პრინციპულად სხვა არაფერია, თუ არა აზრი იმ საქმისა, რომელიც ტექსტის გაგებისას იძენს მნიშვნელობას. საკუთარი უმართებულოა ტექსტთა გაგების შესაძლებლობის დაფუძნება „კონგენიალობის“ წინაპირობაზე, რამაც შემოქმედი და ქმნილების ინტერპრეტატორი უნდა გააერთიანოს. ეს რომ მართლა ასე იყოს, მაშინ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საქმე ცუდად იქნებოდა. პირიქით, გაგების სასწაული იმაში მდგომარეობს, რომ იგი კონგენიალობას არ საჭიროებს იმისთვის, რომ გადმონაცემში შევიცნოთ ის, რაც ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი და თავდაპირველი აზრის შემნახვევა. ჩვენ გვაქვს უნარი, გავისწინათ ტექსტის აღმატებული პრეტენზის მიმართ და იმ მნიშვნელობას შევუსაბამოთ გაეგება, რა მნიშვნელობითაც ის ჩვენ გველაპარაკება. პერმენევტიკა ფილოლოგისა და ისტორიულ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში საერთოდ არ არის „საუფლო (საბატონო) ცოდნა“ (Herrschafswissen), ანუ არ არის ათვისება დაუფლების მნიშვნელობით, არამედ თვითონ ექვემდებარება დაუფლებისკენ მიმართულ ტექსტის პრეტენზიას. ხოლო ამისი ჭეშმარიტი ნიმუში არის იურიდიული და თეოლოგიური პერმენევტიკა. საკანონმდებლო ნების ინტერპრეტაცია, ღვთაებრივი აღთქმის ინტერპრეტაცია, ესენი, უდავოდ, საუფლო, ანუ საბატონო ფორმები კი არ არის, არამედ – მსახურების ფორმები. იმის სამსახურში, რაც ხამს (ჯერ არს – gelten soll), ისინი ინტერპრეტაციებია, რომლებიც გამოყენებას შეიცავენ. ახლა მიზანი ის არის, რომ ისტორიულმა პერმენევტიკამაც გამოყენებითი ამოცანა შეასრულოს, ვინაიდან ისიც აზრის მნიშვნელოვნობის (Geltung) სამსახურში დგას, რაკილა აშკარად და შეგნებულად დროთა შორის არსებულ იმ ნაპრალზე ხიდის გამდებრა,

რომელიც ინტერპრეტატორს ტექსტისგან აშორებს, და იმ აზრობრივ გაუცხოებას ძლევს, რაც ტექსტის მიმართ იჩენს თავს.

გერმანულიდან თარგმნა **ლევან ბრეგაძე**

Hans Georg Gadamer, Wirkungsgeschichte und Applikation

Translated by **Levan Bregadze**

აპაკი ხინოიბიძე

ჰიატუსი ქართულ ენასა და ლექსში

ჰიატუსი ლინგვისტური ტერმინია, გავრცელებული განმარტებით – ხმოვნების თავმოყრა სიტყვათა გასაყარზე, წინა სიტყვის ბოლო ხმოვნისა და მომდევნო სიტყვის საწყისი ხმოვნის შეხვედრა, რაც წარმოთქმას აძლევს. მაგრამ, რადგან იგი განსაკუთრებით თვალსაჩინო ლექსშია, პოეტიკურ ტერმინადაა მიჩნეული.

ალექსანდრ კვიატკოვსკის თავის „Поэтический словарь“-ში მოაქვს ჰიატუსის რამდენიმე ნიმუში რუსული პოეზიდან, როგორც ხმოვანთა არაკეთილხმოვანი თავმოყრა, მაგალითად ლერმონტოვის:

И стало в памяти моей
Прошедшее, ясней, ясней.

ანდა ვლადიმერ მაიაკოვსკის: „И под гармонию ея я строил стих“ ჰიატუსი ღიაობაა, პირის დაღება (Зияние). თავის განმარტებაში ლექსიკონის ავტორი პარალელს ავლებს ტერმინებთან: ელიზია და სინკოპა, რომლებიც ხმოვნის ამოვარდნას გულისხმობენ.

ჰიატუსის ლათინური განმარტებაც, საიდანაც იგი სათავეს იღებს, ხვრელი, ნახვრეტია. და ჰიატუსშიც ზოგჯერ სიტყვათა გასაყარზე განმეორებადი ხმოვნის ამოვარდნა ხდება იმ მიზნით, რომ წარმოთქმა გაადვილდეს, კეთილხმოვანი გახდეს.

ჰიატუსი არ არის ხშირი და ჩვეულებრივი მოვლენა. ლიტერატურათმცოდნეობის ტერმინთა ზოგიერთ ლექსიკონში იგი საერთოდ არ გვხვდება. მას ვერ ვიპოვთ ქართულ ლექსიკონებშიც.

ყველა ენაში სიტყვათა გასაყარზე ხმოვნებიც ხვდებიან ერთმანეთს, თანხმოვნებიც და ხმოვნებიცა და თანხმოვნებიც ერთად. საილუსტრაციოდ: ხმოვანთა შეხვედრა – „საამო არის“, თანხმოვანთა შეხვედრა „რისთვის მაგონებ“ (ხმოვნისა და თანხმოვნის შეხვედრა ჩვენი მიზნისათვის საინტერესო არ არის).

როგორია ქართულ ენაში სიტყვათა გასაყარზე ცალ-ცელკე ხმოვანთა და თანხმოვანთა თავმოყრის სტატისტიკა?!^{*}

ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ პირველი წიგნის შესავალში სიტყვათა გასაყარზე თანხმოვანთა შეხვედრა ბევრით ჭარბობს ხმოვანთაშეხვედრას (ჯავახიშვილი 1965: 293).

რა ვთარებაა მწერლობაში?!

პროზაში, რომელიც ახლოსაა ჩვეულებრივ სამეტყველო ენასთან, მდგომარეობა მნიშვნელოვნად განსხვავებულია, ვიდრე პოეზიაში.

იღიას „ოთარაანთ ქვრივის“ მეორე თავში სიტყვათა გასაყარზე ხმოვანთა შეხვედრა 57-ჯერ გვხვდება, ხოლო თანხმოვანთა შეხვედრა – 136-ჯერ.

აკაგის „ბაში-აჩუკის“ მესამე თავში სიტყვათა გასაყარზე ხმოვნები 51-ჯერ ხვდებიან ერთმანეთს, თანხმოვნები კი – 143-ჯერ. როგორც ვხედავთ, ორივეგან თანხმოვანთა შეხვედრა ბევრით ჭარბობს ხმოვანთა შეხვედრას.

სულ სხვა სურათია პოეზიაში. „ვეფხისტყაოსნის“ პირველ თავში „ამბავი როსტევან არაბთა მეფისა“ ხმოვანთა შეხვედრა აშკარად მეტია თანხმოვანთა შეხვედრაზე.

გნახოთ კონკრეტულად.

ხმოვანთა შეხვედრა*.

იყო არაბთს (1), მეომარი უებრო (14), მე არ (2), დამესა უმთენაროსა (24), ჭირთა უფრო (51), სოფელი ასრე (52), რაღაა იგი (53), რასაცა ახლავს (53), ვარდი არ (71), თათბირი ავიცა (72), მეფობა უთქვენოდ (82), მე იყოს (84), მე ამირ-სპასალარისა (91), სრულნი არაბი

* ციფრები სტროფებისა და სტრიქონების აღმნიშვნელია.

(131), ცრემლთა აფრქვევს (154), თავია არ (161), ცრემლითა აივებოდა (162), ცეცხლი არ (164), ასულო ისმინე (171), მეფე არაბეთს (172) საქმისა იყვ (184), უხვი ახსნილთა (193), ფურსა უპყრობდა, ისმენდა (202), წვრთასა არ (202), მღერასა იქმს (203), გამზრდელი ერთგული (211), გასცა უზომო, უანგარიშო, ულევი (204), სიუხვე არ (233), ტაძჭა არაბულსა (242), ცალიერსა არ (244), და არცა (244), დღე ერთ (251), სმა-ჭამა იყო (251), რა უმძიმს (254), პირმზე ავთანდილ (261), მეფესა ანუ (264), თვარა აქა (272), ყოლა არა (272), და ავთანდილ (281), თვითო აივეს (282), მეფეო აღარ (291), მკადრაო ან (302), ბრძანებანი უიმედნა (203), ეგე არ (311), გაზირო ესეა (311), კაცი არ (313), იცინი ანუ (334), კვლა უბრძანა (341), გკადრო არ (353), ამიკლო ამაზეო (354), მე არ (381), ნუ იქმო (382), ვისძი უთხრობენ (384), ვინცა იყოს (394), თავნი ამისთვის (412).

თანხმოვანთა შეხვედრა სიტყვათა გასაყარზე.

რადგან ენაში თანხმოვანთა რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე ხმოვნებისა, ერთი და იმავე თანხმოვნის შეხვედრით შემოვიფარგლე:

ბრძანეთ თქვენი (61), მეფედ დასმა (101), მის სოქალისა (102) ხელმწიფედ დავსვი (112), მოვიდეს სრულნი (131), დადგეს საჯდომი (134), მეფედ დასვეს (152), უთხრეს სხვაგნით (152), ალაფობდეს საჭურჭლესა (241), ნეტარ რა (254), ადგეს სოგრატ (281), არის სითგანცა (313), რად დამგმეო (351), ყმაწვილობდეს, საყვარლად და (392), მათად დასადარებლად (401), გაყარეს სმა (414).

(ხანგრძლივი მეტრული პაუზის გამო სტრიქონები ერთმანეთისაგან გამოვყავი. სტრიქონთა შიგნით სინტაქსური პაუზები კი არ გამითვალისწინებია).

როგორც ვხედავთ, პროზის საპირისპიროდ, პოეზიაში ხმოვანთა შეხვედრასა და თანხმოვანთა შეხვედრას შორის სხვაობა დიდია. ხმოვანთა შეხვედრა აშკარად ჭარბობს თანხმოვანთა შეხვედრას (54 16-ზე).

ამის მიზეზი ისაა, რომ ლექსში სიტყვიდან სიტყვაზე გადასვლა პარმონიულია, სტრიქონი მუსიკალურად ჟღერს, რასაც ხმოვანთა შეხვედრა უწყობს ხელს.

აქ მივადექით მთავარ სათქმელს.

ქართულში ხმოვანთა თავმოყრა ხშირია: „დააირა“ – „მზემ დასავლეთი დააირა“ (გალაკტიონი) ზედიზედ ოთხ ხმოვანს ითვლის, ხოლო „დააარსა“ – ზედიზედ სამ ერთსა და იმავე ხმოვანს. ამავე დროს ხმოვანთა თავმოყრა არასდროს არ აღიქმება გამოთქმის სიმძიმედ.

ხშირია თანხმოვნთა თავმოყრაც – „გვლობნის“, მაგრამ იყი გამოთქმას ამძიმებს. ამასთან, ჩვეულებრივ სიტყვათხმარების დროს მეორე ლ-ს ამოვარდნა ხდება. ვ თანხმოვნის გარეშე იკითხება სიტყვებიც: „მჭევრმეტყველება“ და „გამჭვირვალე“. დასავლურ კილოებში ხშირია „ბავშვის“ მეორე ვინის ამოვარდნაც – „ბავშვი“ (გვხვდება ნიკო ლორთქიფანიძის ენაში).

თანხმოვნის ამოვარდნის საპირისპიროდ, ქართულში არასდროს არ ხდება ხმოვნის ამოვარდნა (მხედველობაში მაქვს სალიტერატურო ქართული), პირიქით, როგორც ზემოთმოტანილი მაგალითებით დავრწმუნდით, ხმოვანთა თავმოყრა ენას ამშვენებს და ალამაზებს.

ახლა სიტყვათა გასაყარი ვნახოთ გალაკტიონის სტრიქონში: „რა ამოძრავებს კიპარისის ტანს“, პირველი ნახევარი, სადაც სიტყვათა გასაყარზე ხმოვნები ხვდებინ ერთმანეთს (ა, ა.) ლაღად იკითხება, ხოლო მეორე ნახევარი, სადაც თანხმოვანთა თავმოყრა გვაქვს (ს, ტ) – მძიმედ.

ზოგჯერ თანხმოვნის ამოვარდნა იმიტომ ხდება, რომ ხმოვნები ერთად მოხვდეს („გზას აცდენილის“ პარალელურად ჩვეულებრივი „გზააცდენილი“).

ყოველივე ეს ქართული ლექსის ვოკალურ სიმდიდრეზე მიუთითებს. ხმოვნები ჟღერი ბგერებია, ვოკალურად თვალსაჩინო.

„ვეფხისტყაოსნის“ ზემოთმოტანილი ნიმუშები, სადაც სიტყვათა გასაყარზე თანხმოვნები ხვდებინ ერთმანეთს და გამოთქმას ანელებენ, ხოლო ზოგვერ წინა, განმეორებადი თანხმოვნის ამოვარდნის საფრთხეს ქმნიან: „ხელმწიფედ დავსვი“, „მოვიდეს სრულნი“, „ნეტარ რა“ და სხვა. ისევე, როგორც ჩვეულებრივი მეტყველებიდან – მამამ მომიტანა, მაინც ცდება, ეს სასმისი, ერთ თაიგულად, როგორც რგავდა და სხვა, ტიპიური ჰიატუსია.

ისე ძნელი წარმოსათქმელია „ნეტარ რა“, „მამამ მომიტანა“, ისე აფერხებს მეტყველებას, რომ, როგორც იტყვიან, ენას მოიტეხ.

ჰიატუსთან კავშირი არა აქვს, მაგრამ ქართულში გამოთქმის სიმძიმეს ბევრი სხვა რამეც განაპირობებს: რა და რა თანხმოვანთა შეჯგუფება ხდება, რომლიდან რომელზე გადასვლა და სხვა.

ერთმა გარემოებამ მიიქცია ჩემი ყურადღება. ჩვენს ენაში გამოთქმას ამძიმებს და-ზე გათავებულ სიტყვაზე და კავშირის დართვა, რაც ჩვეულებრივ მეტყველებაში არც თუ იშვიათია: წავიდა და გაფრინდა, გადაბრუნდა და მოკვდა და სხვ.

დავინტერესდი, იჩენს თუ არა იგი თავს პოეზიაში (ცხადია, მხედველობაში მაქვს ჟეშმარიტი პოეზია).

ვნახე „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი და პირველი თავი, რაც 72 სტროფს შეიცავს, აგრეთვე, „არტისტული ყვავილების“ პირველი ათი ლექსი (60 სტროფი).

„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგსა და პირველ თავში, სადაც და კავშირი 34-ჯერ გეხვდება, იგი მხოლოდ ერთხელ ერთვის და-ზე გათავებულ სიტყვას: „მეფემან თავი დაპკიდა და პქონდა დაღრეჯილობა“. თანაც დაპკიდა-სა და და-ს შორის ცენტურაა და ეს სიტყვები ერთმანეთს ხანგრძლივი პაუზითა დაშორებული.

„არტისტული ყვავილების“ ათ ლექსში და კავშირის რიცხვი 27-ია და არც ერთ შემთხვევაში იგი და-ზე გათავებულ სიტყვას არ ერთვის.

რუსთაველმა და გალაკტიონმა კარგად იცან, რომ და-ზე გათავებულ სიტყვაზე და კავშირის დართვა შეაფერხებდა ლექსის მუსიკალურ დინებას.

მაგრამ, როგორც ვთქვი, ამას ჰიატუსთან საერთო არაფერი აქვს.

ამრიგად, თუ საერთოდ ჰიატუსი სიტყვათა გასაყარზე ხმოვანთა თავმოყრის სიმძიმეს და ზოგჯერ ერთი ხმოვნის ამოვარდნას ნიშნავს, ქართულში იგი თანხმოვანთა თავმოყრის სიმძიმედ და ზოგჯერ მის ამოვარდნად უნდა მივიჩნიოთ.

სადავო, თითქოს, არაფერია. მიგნებულია ჰიატული ქართული სახესხვაობა. მაგრამ, აი, გალაკტიონის პოეზიამ არ დაადასტურა ეს დაკვირვება.

გავსინჯე „არტისტული ყვავილების“ პირველი ათი ლექსი.

ხმოვანთა შეხვედრა სიტყვათა გასაყარზე*.

მხურვალე ვნებები (I 13), დარჩება აუზთან (I 21), რომანზე ისვენებს (I 23), ღამეა უკუნი (I 72), ცეცხლი არ (II 23), და არც (II 24), ყველანი აქ (II 34), კი არ (II 41), ყვავილნი არ (II 53), ამარა უდაბნოში (II 72), ოდესმე ოდესმე (III 22), საგანთა უარით (III 32), და ალვა (III 33), ცივი უდაბნო (IV 44), ყვავილები უხვად (V 31), ქარში ათრობს (V 33), შეაზელი ესტარგეზი (V 43), მანდილი ამ (VI 44), გზა არის (VI 91), მომწყურდი ეხლა ისე (VII 12), ბარათებში აღარ (VII 12), და ალმაცერი (VII 24), ძვირფასი ანბანები (VII 31), საუკუნო ალად (VIII 42), ეხლა ამ (VIII 21), ენკუნისოვე ეპარება (IX 21), მაღლა ამართულ (IX 33), ზედმეტი უცხო, უნაყოფო (IX 43), გაქრა ათასი (X 1), საგსეა ით (X 21), დამჭერი არის (X 41), დამრჩა ასეთი (X 44).

ერთი და იგივე თანხმოვნის შეხვედრა სიტყვათა გასაყარზე:

ამ მაისს (I 1), „უმანკო ჩასახვის“ სავანეს (I 32), შემხედავს საშვენი (I 41), ხელთათმანს სასახლის (I 84), ლოცვის სიმხურვალეში (II 44), შენს სახეს (II 61), შენს სახელს (II 61), განუგეშებს საოცრების (II 63), ზევით თუ (II 82), ამაოდ დაგნედე (II 13), ალმას საყურეთა (III 14), ლიდიის სამრეკლო (III 23), ლანდებს სასახლეში (IV 1), მიდის სავარძელთან (IV 33), ლანდებათ თეთრ (V 41), მიჰქრის საშიშ-ჩქარი (VII 71), ჩემს სამშობლოში (VI 23), მაგრამ მე (VI 33), მუდამ მებაზსოვრება (VI 33), უღონოდ დახრილს (VI 42), ამიტომ მიყვარს (VI 51), წყებად დაწვენა (VI 54), ზაფხულის სურნელება (VII 13), შემოღომის სიახლოვე (VIII 14), მორევიან ნისლები (VII 23), უურცლებს სარკებში (VII 44), მაღალ ლაჟვარდთა (VIII 22), მაზნის სიძნელით (IX 31), ცეკვას სამეფოდ (X 31).

როგორც ამ საილუსტრაციო მასალიდან ჩანს, სიტყვათა გასაყარზე თანხმოვანთა შეხვედრა ხშირია, ჭარბობს ხმოვანთა შეხვედრას, რაც გადახვევაა ქართული პოეზიის ჩვეულებრივი ძლიერობიდან, მაგრამ ყველაზე მთავარი გადახვევა ისაა, რომ სიტყვათა გასაყარზე თანხმოვანთა შეხვედრა დისპარმონიული არ არის.

* რომაული ციფრი ლექსის აღნიშნავს, არაბული-სტროფებს და სტრიქონებს.

რა დისპარმონიაზე შეიძლება ლაპარაკი, მაგალითად, ამ შემთხვევაში: „წყებად დაწვენა“ („და ზაბაზების წყებად დაწვენა“), „მაოდ დაგენდე“ და სხვ.

აქედან გამომდინარე, ჰიატუსის ჩემს მიერ შემოთავაზებული გაგებაც საეჭვო ხდება.

მაგრამ საქმე ისაა, რომ თავისი შედევრების მიხედვით, რომლებიც ძალზე ბევრია, გალაკტიონი არ არის ქართული პოეზიის ჩვეულებრივი, რიგითი მოვლენა. იგი განსაკუთრებულია, განცალკევებული, ყველასგან გამორჩეული.

რუსთველი რუსთველია, მაგრამ სიბოლიზმია, რომელმაც გადატრიალება მოხდინა მსოფლიო ლიტერატურაში და რომლის ღირსეული წარმომადგენელი გალაკტიონია, დაამსხვრია ძველი სტერეოტიპები და გალაკტიონის პოეზიაც ახალ გზაზე გაიყვანა, ახალ ღირებულებებს აზიარა. ეს იმდენად უცილობელი ჰქონდარიტებაა, რომ მტკიცებას არც საჭიროებს. ორიოდე სიტყვას მაინც ვიტყვი.

„ვეფხისტყაოსნის“ მშვენიერი ქალები: ნესტანი და თინათინი, რომლებიც ასე ბრწყინავენ მსოფლიო პოეზიაში, მაინც რეალური არსებანია, გალაკტიონის მერი კი ზეციური ქმნილებაა.

მაშინ, როცა გალაკტიონის თანამოკალმენი აბანოდან გამოსულ ქალებზე წერენ: „შენ აბანოდან გამოდიოდი“ (გრიშაშვილი), „აბანოდან ამაიღლის თვალციმციმა ქალი“ (ლეონიძე), მერი უხილავი და ხორცშეუსხმელი ასულია, „ხელუხლებელი, როგორც მზის სხივი, მიუწვდომელი, როგორც ედემი“.

მთავარი და არსებითი პოეტური ხელოვნებაა. რაღაც ენით გამოუთქმელი სითბო, სილამაზე და სიამოვნება იღვრება გალაკტიონის ღექსებიდან, მშვენიერება ოლიმპოს მწვერვალზეა ასული.

გალაკტიონის ლადო ასათიანისეული დახასიათება – „შენა ხარ ღექსის მეორედ მოსვლა“, მხოლოდ ფრთიანი გამოთქმა არ გახლავთ. მას რეალური საფუძველი აქვს.

„ეფემერას“ ავტორი ხშირად არ ემორჩილება ღექსისა და ენის დადგენილ კანონებს. მას საკუთარი პოეტიკა და საკუთარი გრამატიკა აქვს. ღექსის რეფორმატორობასთან ერთად იგი ენის რეფორმატორიც არის (რასაც, ალბათ, დაადასტურებს მომავალი კვლევა-ძიება), ისევე როგორც რუსთველი არა მარტო თვისობრივად ახალი ღექსის შემომტანია, ახალი სალიტერატურო ენის შემქმნელიცაა.

საკვლევ თემასთან დაკავშირებით კატეგორიულად უნდა ითქვას, რომ ღექსში სიტყვათა გასაყარზე თანხმოვანთა ხშირი შეხვედრა და პარმონიული უღერადობა მხოლოდ და მხოლოდ გალაკტიონის პერსონის კუთვნილებაა, მისი ფენომენით არის განპირობებული.

ყოველივე ამის გამო, რადდენადაც მოულოდნელი არ უნდა იყოს, ჰიატუსის განმარტების დროს ნიმუშად გალაკტიონის პოეზიას ვერ ავიღებთ.

იგივე ლადო ასათიანი – თავად ნიჭიერი და საინტერესო პოეტი, ამ მხრივ გალაკტიონისგან მკეთრად განსხვავებულია. მისთვის იშვიათია თანხმოვანთა შეხვედრა ერთი სიტყვის ბოლოსა და მომდევნოს დასაწყისში, რაც მხოლოდ 20-ჯერ იჩენს თავს ერთმანეთს მიღევნებულ 17 ღექსში 1971 წლის კრებულიდან, მაშინ როცა გალაკტიონის 10 ღექსში იგი 31-ჯერაა. მთავარი კი ისაა, რომ ცალკეული შემთხვევები მნელად წარმოსათქმელია: „სიკეთედ დაგვებედება“, „რომ მოერიდა“, „სიყვარულით თვალსევლი“. ან წინა თანხმოვანი ამოვარდნის ზღვარზეა – „უღვაშის სუნი“ („სიმინდის უღვაშის სუნი“).

იმდენად დიდია გალაკტიონი, იმდენად ზებუნებრივია მისი ღექსი, რომ ვერ თავსდება მოზომილ ჩარჩოებში, ვერ ეტევა საყოველთაოდ ცნობილ ფარგლებში, ანგრევს მის ზღუდეებს და თვისუფლად ნავარდობს პოეზიის თვალშეუდგამ სივრცეებში.

ამიტომ ჰიატუსის განმარტებისას გალაკტიონის პოეზიის გვერდის ავლით და ქართული ღექსის ჩვეულებრივი გაგებით უნდა ვიხელმძღვანელოთ.

ჩვეულებრივად კი ასეა: ქართულ ენასა და ღექსში სიტყვათა გასაყარზე ხშირია ბოლო თანხმოვნისა და მომდევნო სიტყვის საწყისი თანხმოვნის შეხვედრა (როგორც ვთქვი, მხედველობაში მაქვს ერთი და იგივე თანხმოვანი), ზოგჯერ კი ბოლო თანხმოვნის ამოვარდნას იწვევს. ამას ხომ სახელი უნდა დაერქვას და სხვა რა შეიძლება ეწოდოს, თუ არა ჰიატუსი.

(ცხადია, ხმოვანთა, ისევე როგორც თანხმოვანთა შეხვედრის ჰარმონიულობა-დისპარმონიულობას თუ ამოვარდნას სხვა ფაქტორებიც განაპირობებს, მაგრამ ჩვენ ჰიატუს ვიკვლევთ).

ამრიგად, სიტყვათა გასაყარზე ხმოვანთა შეხვედრა და სიმძიმე, რასაც სხვა ენებში ჰქონდა ჰქონდა უწოდებენ, ქართულში თანხმოვანთა შეხვედრის სიმძიმით უნდა შეიცვალოს.

მაგრამ ამ დასკვნის აბსოლუტიზირება არ შეიძლება, რადგან კვლევა-ძიება მცირე მასალაზე ვაწარმოვე.

სალაპარაკო ქართულიდან თუ პოეზიიდან ვრცელი მასალის განალიზება, ვფიქრობ, დაადასტურებს ზემოთ მოტანილ დაკვირვებას და ქართული ჰქონდა გაგება და განმარტება ძალაში უნდა დარჩეს.

ჰქონდა ლინგვისტური და პოეტიკური ტერმინი, შეტანილ უნდა იქნას ლიტერატურათმცოდნების ქართულ ლექსიკონებში.

დამოწმებანი

ჯავახიშვილი 1965: ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია. თბ.: გამოცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1965.

Akaki Khintibidze

Hiatus in Georgian language and poem

Summary

Hiatus is an amount of vowels of the joint of the words that makes expression difficult to pronounce and sometimes it makes one of the vowels drop out.

But in Georgian language the meeting of the adjoining vowels doesn't make the pronunciation difficult (saamo aris), also at times when the vowel is not dropped out.

it is difficult in Georgian to pronounce consonants at the joint (mamam momitana, movides srulni), especially in the verse.

This phenomenon must be named, a hiatus.

თამარ ბარბარაძე

„ცისფერყანწელთა“ მეტრიკა

(პ. იაშვილი, ჭ. ჭაბიძე, ვალ. გაფრინდაშვილი)

„ცისფერყანწელთა“ სალიტერატურო ორდენში, როგორც ცნობილია, 1916 წელს გაურთიანდნენ: პაოლო იაშვილი, ტიციან ჭაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, ივანე ყიფიანი და სანდრო ცირეკიძე. 1918 წელს მათ შეუერთდნენ: გიორგი ლეონიძე, სერგო კლიაშვილი, რაუდენ გვეტაძე, შალვა აფხაძე, შალვა კარმელი, ნიკოლო მიწიშვილი და ალი არსენიშვილი. „ცისფერყანწელებთან“ თანამშრომლობდნენ და მათს პერიოდულ გამოცემებში ბეჭდავდნენ თავიათ თხზულებებს: ლელი ჯაფარიძე, ლადო მაჭავარიანი, გრიგოლ ჯაფარიძე, გრიგოლ ცეცხლაძე, ვიქტორ გაბესკირია, ლილი მეუნარგია, ლევან ასათავი, რაულ გოგონია. 1919 წელს გამოქვეყნდა „გალაკტიონ ჭაბიძის უერნალის“ აღდგენილი გამოცემა, რომლის მე-2 ნომერში ზ. მექელიამ დაბეჭდა გ. ლეონიძის მიერ შედგენილი „ყანწელების გენეალოგია“, სადაც მოცემულია „გვარების ესთეტიკა და ქიმერიადა“: 1. გრიგოლ რობაქიძე, 2. ვალ. გაფრინდაშვილი, 3. პ. იაშვილი, 4. ჭ. ჭაბიძე, 5. შ. აფხაძე, 6. ნიკ. მიწიშვილი, 7. ს. ცირეკიძე, 8. კ. ნადირაძე, 9. ალი არსენიშვილი, 10. ნიკო ლორთქიფანიძე, 11. არისტო ჭუმბაძე, 12. ლადო გუდიაშვილი, 13. გიორგი ლეონიძე. ეს სია 1923 წელს არის შესრულებული.

ჩვენ პირველ სიას ვყრდნობით და „ცისფერყანწელთა“ მეტრიკას 1916 წელსა და 1918 წელს სალიტერატურო სკოლაში გაერთიანებული ქართველი პოეტების თანმიმდევრობით წარმოვადგენთ.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულმა სალიტერატურო კრიტიკამ მოგვიანებით უარყოფითად შეაფასა „ცისფერყანწელთა“ მეტისმეტი გატაცება 10 და 14 მარცვლიანი საზომებით: „სიბბოლისტებმა წინ წამოწიეს 14 და 10 მარცვლიანი ლექსები. განსაკუთრებით პირველი გახშირდა. კლასიკური სონეტის გარშემო გამართულ კამათში, ტრიოლეტებისა და რონდოების კორიანტელში, ტრადიციული მდიდარი შაირი სრულიად დაივიწყეს. შეიქმნა ერთგვარი სტანდარტი და მტკიცება იმისა, რომ თითქოს სონეტის ფორმას მარტო 14 მარცვლიანი ლექსი შეეფერდა. მოდერნისტებმა, რა თქმა უნდა, ბევრი სიახლე მისცეს ქართულ ლექსს, მაგრამ იმის გამო, რომ მეტრულ-რიტმული სტანდარტების გაბატონებას ცდილობდნენ, ქართული ლექსის მეტრულ (და რიტმულ) გაღარიბებას უწყობდნენ ზელს“, – წერდა კრიტიკოსი გრ. აბაშიძე 1937 წელს, (აბაშიძე 1937: 56). ერთი შეხედვით, ეს საყვედური სამართლიანია: „ცისფერყანწელების“ ლექსების უდიდესი ნაწილი, მართლაც, 14 და 10 მარცვლიანი საზომებით არის შესრულებული, მაგრამ „ცისფერყანწელი“ პოეტების ლექსების მეტრიკაზე საგანგებო დაკვირვება, ზემოხსენებული საზომების გარდა, ბევრ საინტერესო, ორიგინალურ ვარიაციასა და სქემას აშკარავებს და თვალსაჩინოს ხდის, რომ „ცისფერყანწელი“ მეტრიკა არც ისე დარიბი და მწირია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს.

პალო იაშვილის მეტრიკა

სანდრო ცირეკიძე 1924 წელს აღნიშნავდა: „პალო იაშვილი არაა მოყვარული გაყინული ფორმების. „წითელი ხარის“ და „ფარშავანგების“ ავტორი ყველაზე უპეტ იმორჩილებს თავისუფალ ლექსს“ (ცირეკიძე 1924: ...). ამასთან ერთად, ფიქრობდნენ, რომ „... პირველი კლასიკური სონეტი დასწერა ჩვენში ელენე დარიანმა; პალო იაშვილმა შეჰქმნა შემდეგი სონეტები: ელამი სონეტი, სონეტი ამორალი და სონეტი უნაგირით“ (გაფრინდაშვილი 1919: 13).

სალიტერატურო კრიტიკაში საგანგებოდ ხაზგასმულია ისიც, რომ „ცისფერი ყანწების“ პერიოდში პალო იაშვილმა ერთ ათეულზე მეტი სონეტი შექმნა, მათგან კი არცერთი ყრუ, ურითმო არ არის (მერკვილაძე 1975: 60-61). მელოდიურობა განსაზღვრავს პალო იაშვილის ლექსების თავისებურებას, მიძღვნით, მიმართებით ხასიათთან ერთად: სონეტების უმრავლესობა ავტომედალიონებია, ხოლო პოეტის ბევრი ლექსი კონკრეტულ ადრესატს გულისხმობს, ან „მინიშნებათა პოეტიკის“ პრინციპებს ეყრდნობა და მტკიცედ ერთგულია საკუთარი „სულის შინაარსისა“ (ვ. ბრიუსოვი).

პ. იაშვილის მეტრიკა გავაანალიზეთ პოეტის ბოლოდროინდელი გამოცემის მიხედვით: „პალო იაშვილი. საიუბილეო – საარქივო გამოცემა ორ წიგნად. წიგნი პირველი. პოეზია. პროზა. კრიტიკული წერილები. პირადი მიმოწერა. თბილისი, 2004“. „წიგნი მეორე. თარგმანები. მოგონებები პალო იაშვილზე. თბ., 2004“.

პალო იაშვილის პირველი ლექსი, რომელიც 1911 წლით თარიღდება, ტრადიციული მაღალშაირის საზომით 44/44 არის შესრულებული, მაგრამ ჩვენი აზრით, ლექსის გრაფიკა შესაცვლელია: იგი ჩვეულებრივი, 8 მარცვლიანი შაირით (4/4) უნდა იყოს წარმოდგენილი:

არის:

ცრემლის ცხარე ნაკადული, გულში სევდა ჩაქრებული,
უიმედო სიყვარული – არ მშორდება, სულ თან დამდევს
სულის ლტოლვა სწრაფად ქრება, ჩემი ვარდი ნორჩად ჭენება ...
გაგლახ!.. რაღა მეშველება? ვინ მომისხმოს მწამლავ დარდებს ... (წ. I, გვ. 11)

უნდა იყოს:

ცრემლის ცხარე ნაკადული,
გულში სევდა ჩაქრებული,
უიმედო სიყვარული –
არ მშორდება, სულ თან დამსდევს – და ა. შ.

„შეგირდობის ხანა“ პალო იაშვილისათვის დაბალი და მაღალი შაირის საზომსა და 16 მარცვალს გულისხმობს 1913 წელს („მეორეს“ – 4/4, „წითელი დღე“ – 53/53). ამავე, 1913 წელს პოეტი ლექსს „ზარის ხმა ქარში“ მელოდიასაც უძებნის: „ნანი ნაუ ნანი, ნაუ ნანი ნინა...“ („ზარის ხმა ქარში“):

ნანი ნაუ ნანი, ნაუ ნანი ნინა
შორს სადლაც ყვავილს ბუჩქებეშ მიეძინა
ქარმა ცვრიან ბალაზს ველზე ჩაურბინა
ცვარი ბალას მოსწყდა, სევდით დაიგმინა
ქარში ზარის ხმა გაისმის
ნაუ ნანი ნინა!..

ამ ლექსში წარმოდგენილი უსემანტიკო ერთეულები, რეფრენად ქცეული, 12 მარცვლიანი საზომით, ჯერ 42/42 ვარიაციით, ხოლო შემდეგ 4/4.4 (ზარი უფრო: ნაუ, ნაუ ნანი ნანა), ნაუ... ნანა... ნაუ, ნანი! ნაუ ნინა... ლექსის ბოლოს თითქმის ნახევრდება: ნაუ... ნა... ა... ნ... ი... ნი... ნა... (5/2). პაოლო იაშვილის „ზარის ხმა ქარში“ საინტერესო ექსპერიმენტად გვესახება, თუ როგორ შეიძლება ერთმანეთს შეეხამოს ლექსის შინაარსი და მეტრიკა. მთელი ლექსი ემორჩილება ზარის ხმოვანებას ქარში, სადაც სილაბიზმის პრინციპით გამართული 12 მარცვლიანი სტროფების გვერდით არის 8 მარცვლიანი მესამე სტროფი:

ქვენის ცოდვებს, ქვეყნის კვნესას,
ქვენის სირცხვილს, ქვეყნის ჭორებს
ქარი ხელში ათაბაშებს,
მოატარებს მთებს და გორებს
ცოდვილ მიწას არ აშორებს
ნაუ... ნანა!.. ნაუ, ნანი!.. ნაუ ნინა....

პაოლო იაშვილის პირველი, ტრიოლეტებით დაწერილი ლექსი „მეფის ქორწილი“ 1915 წლით არის დათარიღებული და იგი ოთხი ტრიოლეტებისაგან შედგება (I. „ქორწილი ხარობს და სხივოსნობს მეფე ძვირფასი...“. II. „ანათებს დარბაზს ვეზირების ტანსაცმელები“, III. „მოსწყინდა მეფეს ეს ნადიმი და სილამაზე“, IV. „სეფე – დარბაზში მზის სხივების ცეცხლი ანთია“). 5/4/5 – საზომით შესრულებული ეს ტრიოლეტები დღემდე იმსახურებს მგვლევართა ყურადღებას, თუმცა პაოლო იაშვილს ამ ფორმისათვის შემდგომ აღარ მიუმართავს. ასევე, 1915 წელს იწერება პაოლო იაშვილის პირველი კანონიკური სონეტები: „სონეტი ელლის“, „სონეტი ვალერიან გაფრინდაშვილს“, ხოლო პოეტის პირველი ვერლიბრი „ფარშავანგები ქალაქში“ 1918 წლით თარიღდება („ეგროპა“ 1922 წელს არის დაწერილი). 1915 წელს უკვე გამოიკვეთა პაოლო იაშვილის განსაკუთრებული გატაცება 14 (5/4/5) და 10 (5/5) მარცვლიანი საზომებით, რაც საუკეთესოდ აირეკლა მისმა ჰეტეროსილაბურმა შედევრმა „ძახილი“, რომელიც სამი საზომის მონაცემებით არის დაწერილი:

მარგალიტები მოვიხვიე ყელზე სამწყება... (5/4/5)
მარგალიტები... იაგუნდები... (5/5)
არ შემიძლია შენი სახის გადავიწყება! (5/4/5)
არ დაბრუნდება? 5

5/4/5, 5, 5/4/5, 5/5, 5 – მონაცემებით აგებული პაოლო იაშვილის „ძახილი“ მეოლდიურობით გამორჩეული ლექსია ქართულ პოეზიაში. 1915 წელსვე ჩნდება პაოლო იაშვილის პოეზიაში 12 მარცვლების სხვა ვარიანტებიც: 33/33 („გათავდა ნადიმი, სად არის მხლებელი?“), რომელიც 11 მარცვლიან სტრიქონს ენაცვლება სტროფში (33/32): „ცხენები მზად არის? – თავადო, გელით!“) ან (33/14): მსურს ვუთხრა ჩემს თავადს: „შენ გენაცვალე“).

პაოლო იაშვილის 138 ლექსიდან მეოთხედი (32 ლექსი) 5/4/5-ით არის შესრულებული, ცოტა უფრო მეტი (38 ლექსი) კი – 5/5-ით. ნახევარი ლექსებისა კი სხვადასხვა საზომით არის გამართული.

მოკლესაზომიან ლექსებს იშვიათად შეხვდებით პაოლო იაშვილის პოეზიაში: ძირითადად, ცალკეულ სტრიქონებს მართავს იგი, ან საბავშვო ლექსებსა და მიძღვნებს წერს. მაგ.: „მედეიას ლექსი“

თუ გინახავთ
დათვის ნეკი,
იმ სიგრძეა

ჩუმი ლეპვა
ჯერ ოთახში,
შემდეგ ბაღში
დადის, დადის
კუდ-ბაზექით

5 მარცვლიანი სტრიქონი, უფრო ხშირად, დატეხილი 14 მარცვლის (5/4/5) მესამედია:

თქვენს თბილის, თქვენს თვალებს
ვერ ვენახები;
მზე მივლის... მაწვალებს
მე ვენახები.
ძვირფასებო, ასეთია
სოფლის წუხილი.

ამ შხრივ საინტერესოა „წერილი ანნა ახმატოვას“ (1922წ.):

მე მინდა გითხრა სამძიმარი, 5/4
რომ ბლოკი მოკვდა! 5
ხან და ხან ჩუმი და მძინარე 5/4
მეცა ვარ ბლოკთან. 5
(„ნასაყდრალის გალავნიდან“, 1922)

7 მარცვლედის (4/3 (3/4)) და (5/2 (2/5)) ორივე სახეობა გვხვდება ლექსში „არგვეთის ლამეები“:

ცაზე ვერცხლის მერცხლები 4/3
სხედან ლურჯ ბუდეებში, 3/4
მთვარე ცივად ეცემა 4/3
შეერის ტყეში გამართულ 4/3
ტოტების ბადეებში 3/4
... ალვის ზებს აცვიათ 4/3
სირმანი ნაბდები, 4/3
ტკბილი სიზარმაცეა 2/5
და მდინარეც სავსეა 4/3
თითქოს – თეთრი ბატებით. 2/5

1926 წელს შვიდმარცვლედის ამ იშვიათი ვარიაციებით (3/4, 2/5) შესრულებული პაოლო იაშვილის ლირიკული შედევრი „არგვეთის ლამეები“ გვიდასტურებს, რომ პოეტი კარგად ფლობს ლექსის ტექნიკას და ცნობილი მეტრების (5/5, 5/4/5) გარდა, იშვიათ ვარიაციებსაც იყენებს.

საგულისხმოა, რომ თავიდან ბოლომდე შვიდმარცვლედით (3/4, 2/5) დაწერილი ლექსები ქართულ პოეზიაში – იშვიათია. მისი ცნობილი ნიმუშია გალაკტიონის „ჭიანურები“ (1916):

მიდის ოპერა „ლაქმე“,
ბუტაფორიის შეხლა!
განა ეს არის საქმე?
მე სულ სხვას ვფიქრობ ეხლა
სტირად ვიგონებ ვერლენს,
როგორც დაღუპულ მამას,
დაღვრის შეშლილი ცრუმლებს,
მოგონებათა გამმას.

ქართულ პოეზიაში ფართოდ გავრცელებული ცხრამარცვლედის სიმეტრიული წყობა 3/3/3 პაოლო იაშვილის პოეზიაში იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ცალკეული სტრიქონების სახით.

უფალო! უსმინე შევარდენს 3/3/3
მის სელიო გიგზავნი ბარათს 3/3/2

მიშველე ღორებში ჩაგარდნილს 3/3/3/
ღორებში დარჩენილს მარად. 3/3/2
(„მელორის სიმღერა“)

II სტროფი იზოსილაბურია:

როგორც რომ ბურვაკი პალოზე 3/3/3
ახოში ბაწარით აბია, 3/3/3
მარტო ვარ, უფალო, დალოცე, 3/3/3
მეღორე ცრემლების ყლაპაა! 3/3/3

ბოლო სტროფი ისევ ჰეტეროსილაბურია: 3 3 3 //3 3 2.

თორმეტმარცვლების დამოუკიდებელი სახეობა 33/33, თანამედროვე პოეზიაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეტრი, პაოლო იაშვილის პოეზიაში პირველად 1916 წელს ჩნდება ამგვარი ვარიაციით: 33/33-24/15-24/24-15/15:

გაიხსნა ჭიშკარი. სულო, სად იჩქარი?
ვედარ დაბრუნდები: იქ საშინელია,
ყოფნა გაწამდება, როცა დაღმძება,
ვერ გათამამდება, ვინც გრძნობით ნელია.
(„იქითური“, 1916)

პაოლო იაშვილის ლექსტყობას საინტერესო წერილი მიუძღვნა შორენა ქურთიშვილმა, რომელმაც ყურადღება მიაქცია დარიანული ციკლის ლექსების მეტრიკას: „ძახილი“, „პირამიდებში“.

შკვლევგარის აზრით: „ჰეტეროსილაბურობისა და თავისუფალი წყობის ნაერთს წარმოადგენს ლექსი „წერილი დედას“. პირველი ორი სტროფის არათანაბარმარცვლოვანი წყობას განაპირობებს ბოლო განსაკუთრებული სიდიდის სტრიქონი: 3/3, 3/3, 3/3, 3/3 და 5; აგრეთვე: 3/3, 3/3, 3/3, 3/3 და 5/6. მესამე სტრიქონში ერთმანეთს ენაცვლება თერთმეტ და თორმეტმარცვლიანი სტრიქონები: 6/5, 6/5, 33/33, 24/24. მეოთხე და მესუთე სტრიქონები თავისუფალი ლექსის ნიმუშია. პაოლო იაშვილის სხვა თავისუფალ ლექსებთან ერთად („წითელი ხარი“, „ფარშავანგები ქალაქში“), მეტრული სისტემის რღვევა ზემოხსინებულ ლექსში შევნებული მანევრი და პოეტის ვერლიბრიო დაინტერესების მაჩვენებელია. ეს ფორმა ლექსის ტექნიკური „ათვისებისა“ და მისივე შესაძლებლობების საზღვრის გაფართოებისათვის სჭირდებოდა პოეტს“ (ქურთიშვილი 2002: 93).

პაოლო იაშვილის „დარიანული ციკლის“ ლექსებში სრულიად გამორჩეული ადგილი ეთმობა „დარიანულს“, რომელიც ალიტერირებული „ჯ“ ბერის მეოხებით და ლექსის გრაფიკის, საზომის თავისებური, ჯაჭვისებური მიმოხრით, სიმბოლისტური პოეტიკის ნიშანთა სისტემაში ლექს-სიმბოლოს ფუნქციას ასრულებს. ჩვენი აზრით, „დარიანული“ (1923) ჰეტეროსილაბური ლექსია: 8:7 (4/4-4/3) (2/5); სიმეტრიული ორსაზომიანობა (I-III, II-IV) ქართულ პოეზიაში კარგად ცნობილია, მაგრამ პაოლო იაშვილის ექსპერიმენტი სტრიქონების დატეხვის ფონზე მიმდინარეობს: პირველ სტროფში ჯაჭვის სამი რგოლი („დაიტანჯა“, „მაჯა“, „მარჯნის“) 4 და 2, 2 მარცვლიან სიტყვებად იშლება, რომელსაც მოსდევს სამი, სამსიტყვიანი ტაეპი:

... მძიმე ჯაჭვის ტარებით,
ბევრი ცრემლი დამეხსარჯა
ერთ დამის ნეტარებით

მეორე სტროფში წყდება მე-4 სტრიქონის ბოლო რგოლი:

მძიმე ჯაჭვის
ტარებით

ხოლო მესამე სტროფში მე-5 სტრიქონი წყდება. ჯაჭვი, რომელიც კავშირის, სიმტკიცის სიმბოლოა, დაიშალა და ბოლოს „ქაჯათ გადაგვარებით“ დასრულდა.

ავტოგრაფში აშკარად განირჩევა თითოეულ სტროფში რიტმული გასაყარი რეფრენსა და სტროფის დანარჩენ ტაქტებს შორის: „დაიტანჯა მავა მარჯნის მძიმე ჯაჭვის ტარებით“ სამივე სტროფში გამოცალკევებულია დანარჩენი მონაკვეთებისაგან:

- I. ბევრი ცრემლი დამეხარჯა
ერთ ღამის წეტარებით
- II. მე ლოყაზე დამრჩა
ფარჩა
- III. ჩემ დამტანჯველს
ღმერთი დასჯის
ქაჯათ
გადაგვარებით

როგორც ვხედავთ, სტროფებში ტაქტების რაოდენობა იზრდება: 2-3-4 და ბოლო სტროფში რეფრენის სტრიქონების რაოდენობა (4) უთანაბრდება მირითადი სათქმელის ტაქტების რიცხვს (4). ეს ლექს-სიმბოლო ტანჯვისა და მისი მოთმენის თანაარსებობის გათანაბრების ასახვას ემსახურება. პოეტური სტილისტიკა აქ სემანტიკის მოთხოვნას ემორჩილება და მკითხველი, ვიზუალურად და აკუსტიკურად, მოწმე ხდება ამ გარდასახვისა: ლირიკული გმირი ემორჩილება მარადიულობისა (ჯაჭვი) და თანამედროვეობის (ერთი რგოლი) ურთიერთზემოქმედების მუდმივ კანონს.

პაოლო იაშვილის პეტეროსილაბური საზომით დაწერილ ლექსთა შორის საგანგებოდ გვინდა ფურადება შევაჩეროთ სიმეტრიული ათმარცვლებისა და ბესიკურის მონაცვლეობით აგებულ ლექსზე: „ლილი მეუნარგიას“:

პატარა ბალიშს დაეცა ცრემლი, 5/5
პატარა ფილტვებს მიეპარა ჭლექი და ხველა... (5/4/5)
ჩამოწყდი როგორც ყვავილი ცრემლის, 5/5
შენ, რომ იყავი საიდუმლო და ჭიანჭველა 5/4/5

3/3/3/3, ფრანგულ-ალექსანდრიული ლექსის ქართული ვარიანტით, არა მარტო ცალკეულ სტრიქონებში, არამედ მთელ ლექსში, პირველად 1917 წელს დაწერა პაოლო იაშვილმა: „ასო ლასი როიალზე“. ლექსის ყველა სიტყვაში ხმიანობს ასო-ბერა ლასი; ლირიკული გმირი – ლეილა – იმორჩილებს თხზულების ყველა ბერას, რომელთა მუსიკალობა და მელოდიურობა განსაზღვრავს ამ ლექსის გამორჩეულ ადგილს ქართულ პოეზიაში.

ტიციან ტაბიძის მეტრიკა

ტიციან ტაბიძის მეტრიკა, ერთი შეხედვით, „ცისფერყანწელთა“ ტრადიციულ, მათ მიერ გაშინაურებულ ორ მირითად საზომის: სიმეტრიულ ათმარცვლებს (5/5) და ბესიკურ თოთხმეტმარცვლებს (5/4/5) ეყრდნობა. პოეტის სადებიუტო წლიდან, 1909-დან „ცისფერყანწელთა“ ორდენში გაერთიანებამდე – 1916 წლამდე დაწერილი 37 ლექსიდან 31 – 5/5-ით არის შესრულებული, 4 – 5/4/5-ით, მხოლოდ თითო-თითო ლექსია დაწერილი შაირით (44/44) და დაბალი შაირით 5/3-ით.

1915-დან 1922 წლამდეც, მირითადად, ისევ ზემოხსენებული ორი საზომი ბატონობს. ლექსში „მელიტა“ კი ტ. ტაბიძე სრულიად სხვა გზას ირჩევს: ჰეტეროსილაბიზმს მიმართავს ორგვარი ვარიაციით: თუ პირველ სტროფში ერთმანეთს ენაცვლება ათმარცვლები და თერთმეტმარცვლები (5/5, 3/3/2/3, 5/5, 3/3/2/3), მეორე სტროფში თორმეტმარცვლების ორი სხვადასხვა ვარიაცია: 3/3/3/3 და 2/4/2/4

- | | |
|-----------|--|
| I სტროფი: | ალექსანდრია... ყარაბულახი... 5/5 |
| | ასტრალი წევარი, ღმერთი მელიტა... 3/3/2/3 |
| | მოდგება ლექსი, როგორც ულაყი, 5/5 |
| | მადონა, აფთარი, ღმერთი მელიტა 3/3/2/3 |

II სტროფი:	პოეტის ოცნების დიდი ხნის წვალება 3/3/3/3 მაღალ ტროტუარზე თვითონ კლეოპატრა 2/4/2/4 გამვლელს და გამომვლელს ლოცვას ავალებდა 2/4/2/4 ეს გულიც, ეს ლექსიც იმან გამოფატრა. 3/3/2/4
------------	---

ამ ლექსში ტ. ტაბიძე ერთ საყურადღებო აზრს გამოთქვამს თორმეტმარცვლიანი ლექსის ვარიაციებით:

მინდა დღეს მოვეწეო მართლა ლირიკულად – 3/3/2/4
ჩვენშიც შეიძლება, რომ იყოს პინდარი 2/4/3/3
მაგრამ როგორ მიდის ლექსი ორიბულად, 4/4/4/4
თუმცა სხვა ლექსების არის საწინდარი 3/3/2/4

„ლექსის ირიბულად წასკლა“, ჩვენი აზრით, საზომის სიახლეს, თორმეტმარცვლედის ახლებურად ვარირებას უნდა უკავშირდებოდეს. აქვე არის პირობაც: „ლექსი ირიბულად“ „არის სხვა ლექსების საწინაღოი“.

ასე „იძიბულად წასული ლექსებია“, ჩვენი აზრით, 1922 წელს დაწერილი შებრუნებული სონეტი „ნინა მაყაშვილ“ (3+3+4+4+2), „მინდა, რომ მოვეწყო ავტონომიურად“ (3/3/6, 2/4/3/3, 4/4/4/4, 3/3/6/), „მინდა, რომ მოვეწყო ავტონომიურად, ჩვენშიც შეიძლება ცხოვრება კეთილი...“ (3/3/3/3, 2/4/2/4, 2/4/3/3, 3/3/3/3) – სამსაზომიანია.

1922 წელს დაწერილი ლექსი 10 მარცვლები -11 მარცვლედთან - 13 მარცვლედთან („ვარ უსათუოდ ამის მოვალე“):

I სტროფი:	ვარ უსათუოდ ამის მოვალე 5/5 ლექსში ვახსენო გიონ საგანელი 5/6 ყველას გადაგვიტანს სიკვდილი მაღე 6/5 ასე დატრიალდა ბოროტი საქმელა. 6/3/4
III სტროფი:	ვინ იტყვის, საგანელით ქვეყანა დაობლდა, 3/4/3/3 - 13 ვინ იტყვის, ლექსებზე ის როგორ დაობლდა, 3/3/3/3 - 12 უნდა ყოფილიყო ყველაზე მეტი 6/5 - 11 უთუოდ, ეს ჭინას მანიფესტი, 3/3/4 - 10 უთუოდ დაფასდება განწირვის შესტი. 3/4/3/2 - 12

უკანასკნელ ორ სტრიქონედში 12 მარცვლედი ენაცვლება 11 მარცვლედს:

საწყალი საგანელი... ჭინკა და ელვა, 3/4/5
პატარა კუბი... რამხელა დაწყევლა 5/3/3

ჰეტეროსილაბიზმით განსაკუთრებით უნიკალურია ტ. ტაბიძის ამავე, 1922 წელს დაწერილი „სუზონის ფალაკრინი“.

ეს ლექსი არაკანონიკურია, როგორც პოეტი ამბობს: „შეიძლება წერა იეროგლიფებით“ და „გაუგებრად“, იგი „მესტვირე პოეტების“ ლირიკასთან დაპირისპირებაა. წინაპართა სახეებთან განმორება, მათისუული სარწმუნოების კრიმსახურება, ავი მომავლის წინათვრინობა:

„.... თორმეტმა მღვდელმა მამა გასულიეს
მე ერთი მღვდელიც არ ამიგებს წესს...“
„.... მართალი გულით, უკანასკნელ თავის განწირვით,
შეიძლოს ყველას, უსათუოდ გამომიზიროთ...“

„სუზონის ფალავანის“ I სტროფი ოთხსაზომიანია:

II სუბროცი – სამსაზომიანია (10-11-12):

- 3/4/3 – 10 მადონა დეზერტირის ბაზარზე
 4/3/3 -10 (უსათუოდ თემაა ახალი)
 4/3/4 – 11 გულგრილობით ქვეყანა გადავრაზე,
 4/2/3/3 – 12 „დასაკლეთის დივანს“ დასწერდა ბაყალი.

III სტროფი – სამსაზომიანია (11-12-13):

- 3/3/2/3 – 11 მე თვითონ მიყვარდა წინათ ლირიკა,
 3/4/3/3 - 13 მზად ვიყვა, უმიზეზოდ მთელი დღე მეტირა.
 3/3/2/3 – 11 დღეს ყველა იმედი მართლა გაირიყა –
 3/3/3/3 – 12 ლირიკის პოეტი მგონია მესტვირე

IV-V სტროფები იზოსილაბურია, ტრადიციული 14 მარცვლედით (5/4/5) გამართული VI სტროფი კი ტრადიციული, სიმეტრიული ათმარცვლედით (5/5) არის დაწერილი. ლექსის უკანასკნელი, VII სტროფი ისევ ჰეტეროსილაბურია, ორსაზომიანი (14:12):

და ვმადლობ უფალს, ჩემი სული მას აბარია, 5/4/5
 მან ერთმა იცის, რომ არ იყო იგი სამიწე. 5/4/5
 ასე ატირებდა პოეტს მაღარია 2/4/2/4
 ასე გაუგებრად წერდა ტიციან ტაბიძე 2/4/2/6

1922 წელი პოეტური აღმაფრენისა და სალექსო ფორმათა აღმოჩენების დრო იყო ქართულ პოეზიაში. ვალ. გაფრინდაშვილის წერილიც დაიწერა: „რითმა 1922 წელში“. საგანგებოდ კითხულობდნენ პოეტი - კრიტიკოსები: რა იყო ახალი 1922 წელს ქართულ პოეზიაში? ჩანს, ბევრი რამ იყო ახალი სალექსო საზომების დამკვიდრების შერივი: ვფიქრობთ, ტ. ტაბიძის ზემოხსენებული ლექსის სათაურიც: „სეზონის ფალავანი“ ლექსის მეტრიკის შეფასებაა: ლექსი, ახალშემოღებული საზომების მონაცემების თვალსაზრისით, მართლაც, გამორჩეულია, „ფალავანია“ 1922 წლის პოეტური სეზონისა. უფრადღებოდ ვერ დავტოვებთ პოეტისეულ შეფასებასაც: „ლირიკის პოეტი მგონია მესტვირე“, რაც, ერთგვარად, დაპირისპირებაა მესტვირული, მუხამბაზური ლირიკის მიმართ: მწყობრი, ჰარმონიული ხმების შეცვლა დისკარმონიით, სალექსო სტრუქტურის რღვევით, ერთგვარად ესადაგებოდა 1922-1923 წლებში ტ. ტაბიძის მძიმე სულიერ განწყობილებას, მძაფრ განცდას, რომელიც ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვას მოჰყავა.

საგულისხმოა, რომ 1923 წელს იწერება პოეტის პირველი ვერლიბრებიც: „ორპირის ოქროპირი“, „მელიტას“, „უქური კეირა“. 1921 წელს ვერლიბრით არის შესრულებული პოემა „ცხენი ანგელოსით“.

მეტრიკის დეკანონზაციის პროცესს ამთავრებს, ჩვენი აზრით, ტ. ტაბიძის მრავალმხრივ საყურადღებო ლექსი „მუხამბაზი, რომელიც არ იმღერება“ (1925 წ. მაისი). დავიწყებთ იმის აღნიშვნით, რომ მოულოდნელია სათაური – გამოცხადება – აღიარება: ეს არის მუხამბაზი, რომელიც არ იმღერება, ანუ სიმღერისათვის, ტრადიციისათვის აღარავის სცალია, დაახლოებით ისე, როგორც ი. გრიშაშვილი ეთხოვება ძველ თბილისს, სადაც „ლუდუკის საარი ქარს აღარ მოაქვს“, ანუ პოეზია აღარ ემორჩილება ბუნებრივ, სულისმიერ კარნახს, იგი ჰარმონიის კანონებს აღარ აღიარებს და, დარღვეული პროპირციებით მცხოვრები ქალაქის მსგავსად, უსაზომო, მოუწესობებელ, არაკანონიკურ ხმებს ეყრდნობა. იწყება ერთგვარი გაჯიბრება ძველ ყოფასა და ხმებთან: არაკანონიკურია სტროფიკა, რითმა, მეტრიკა:

საგსე ყანწები თამადას ელიან, 5/6
 მემის დაძლება: „დაძლიე, აიტინ!“ 6/6
 ტიციან მქვია, ვრჩები ტიციანად, 5/6
 ლექსით და ღვინით ყველამ მიცანით, 5/5
 ლექსებს ვიტყვი. ცის ქუხილი რა არი?! 4/4/3
 საიათოვას შიგ საფლავში გავუტეხო ფიცარი. 5/4/4/3

ერთი საინტერესო დამთხვევაც არის: თუ ერთ-ერთი პირველი არაკანონიკური ლექსი ტ. ტაბიძემ 1922 წელს დაწერა, სათაურით „მელიტა“, ჰარმონი ვერლიბრიც, 1923 წელს

დაწერილი, ეძღვნება „მელიტას. დადაისტური მადრიგალი“. ირონია და ცინიზმი განსაკუთრებით იყიდებს ფეხს ტიციან ტაბიძის 1922-1923 წლების ლირიკაში, უსასო ცინიზმითა და თვითირონითაა გაჯერებული ტ. ტაბიძის შეკითხვა ლექსში „ორპირის ოქროპირი“:

ლექსებისთვის ვინც მოიცლის, ის რა კაცია!
კითხეთ თქვენს ნაცნობ პატიოსან პოეტს,
თუ ის შინაურია,
ვინ უფრო აღელვებს:
სტეფან მალარმე თუ დანიელა ურია?

1922-25 წლები განსაკუთრებით გამოირჩევა ტ. ტაბიძის პოეზიაში მეტრული ძიებებით. 1928 წლამდე პოეტის ლექსები კვლავ ჩვეულ, ტრადიციულ საზომებს ($5/5, 5/4/5$) ეყრდნობა და მხოლოდ 1928 წელს დაწერილ ლექსებში: „იარალის“ და „ოქროყანა“ მიმართავს პოეტი ისევ ჰეტეროსილაბიზმს: სანდორ შანშიაშვილისადმი მიძღვნილ ლექსში სიმეტრიულ ათმარცვლებს ($5/5$) ენაცვლება ხუთმარცვლიანი სტროფები:

წითელი ღვინის
იცლება თასი
ისმის სიმღერა –
– შევსვათ ათასი. („იარალის“)

უნებურად გახსენდება ნიკ. ბარათაშვილის:

ამავსებ ღვინით –
აგავსებ ლხინით,
შესვი! გაამოს!
(„წარწერა აზარფეშაზედ“)

ცალკე უნდა გამოიყოს ტიციან ტაბიძის ციკლი „ქალდეას ქალაქები“, რომელიც ოთხი ლექსისაგან შედგება და 1916 წელს არის დაწერილი: „მაგი წინაპარი“ (1916), „უაბჯარონი“ (1916), „წიგნიდან „ქალდეას ქალაქები“ „L'art Poétique“ (1916), „ქალდეას მზე“ (1916). ოთხივე ლექსი დაწერილია დატებილი თოთხმეტმარცვლებით: $5/4,5; 5/4,5$. მხოლოდ „უაბჯარონში“ არის რვატაებიანი სტროფები:

... და მე ხანდახან მეჩვენება,
გითომ სამყარო
ბაღია დიდი, დაწერებლილი
და შხამიანი.
მძიმე მხედარნი, შუბლშეკრულნი
და უაბჯარო,
მოპერიან: რემბო, ერედია,
ემილ ვერპარნი. („უაბჯარონი“)

ხოლო დანარჩენი 3 ლექსის სტროფიკა კატრენია:

და ჩემი ჩანგი სირცხვილიდან
დაიმსხვრეოდა,
თუ გიტარაზე მისი ლექსი
მომებებოდა
(„L'art Poétique“)

ამავე ვარიაციით – $5/4,5$ არის დაწერილი 1918 წელს „მღვდელი და მალარია“:

რექვიემივით ისმის ახლა
ყველა არია.
ძველი ოქმა: გიურ მღვდელი
და მალარია.

ხოლო 1920 წელს – „მღვდელი და მალარია“ კუბოში:

გავა წლისთავი... ოქტომბერი,
ბნელ ოლარებით,
ჩემში ატირებს მამაჩემის
შავ ანაფორას.

1921 წელს – „დროშა ქიმერიელთა“

ცა დარხეული, როგორც დროშა
ქიმერიელთა,
ქალდეას დროშა მეწამული
და მოწამლული.

1922 წლიდან კი ტიციან ტაბიძის მეტრიკაში იწყება პეტეროსილაბური ვარიაციებით მანევრირება და, განსაკუთრებით, 12 მარცვლიანი ალექსანდრიული ლექსის ქართული შესაძლებლობების მოსინჯვა ერთი სტროფის ფარგლებში. ტიციან ტაბიძე ერთ-ერთი პირველი იყო მათ შორის, ვინც წუხდა იმის გამო, რომ: „არ არსებობს ერთი შრომა, ქართული ლექსის ბუნებას რომ იკვლევდეს“ (ტაბიძე 1916: 20) და მთელი პასუხისმგებლობით აცხადებდა: „ძველი გაგება შთაგონებული, უბრალო ამღერების, – დღეს სასაცილოა“ (ტაბიძე, 1921: 3); ამიტომაც მოითხოვდა პოეტი პოეზიის აკადემიის გახსნას: პოეტური ტექნიკის განვითარების მიუხედავად, ქართველი პოეტები კვლავ ძველ შემოქმედებით ხერხებს მიმართავნ, შხატვრულ ხერხებს და გამოშახველობით საშუალებებს სტიქტურად, გაუაზრებლად იყენებენ. იგივე აზრი გამოთქმულია პეტეროსილაბური სტროფიკით დაწერილ ლექსში 1922 წელს: „ვარ უსათუოდ ამის მოვალე“:

...ჩვენ უფრო უარესი დრო მოგვეწა, 3/4/5 (12)
რადგან ჩვენ თვალწინ ლექსიც კი დაობდა 5/3/3 (11)

როგორც ტიციან ტაბიძის მეტრიკის ანალიზმა გვიჩვენა, „ცისფერყანწელთა“ ორდენში ყოფნის დროს – 1916-1925 წლებში დაწერილი ლექსების უმრავლესობა, საზომთა მომარჯვების თვალსაზრისით, საინტერესო სურათს გვაძლევს: ამ პერიოდში დაწერილი 39 ლექსიდან მხოლოდ შვიდია სიმეტრიული ათმარცვლედით (5/5) – ცამეტი კი და თოთხმეტმარცვლედით (5/4/5) შესერულებული (13-დან 8 სონეტია). 20 ლექსი კი, როგორც უკვე ვნახეთ, საინტერესო მეტრულ რეპერტუარს ეყრდნობა. ტ. ტაბიძე, კერძოდ, განსაკუთრებით აქტიურად მიმართავს:

- ა) პეტეროსილაბიზმს;
- ბ) 14 მარცვლედის დატეხილ ფორმას;
- გ) 12 მარცვლედის სხვადასხვა ვარიაციას;

ვალერიან გაფრინდაშვილის მეტრიკა

„ვალერიან გაფრინდაშვილმა მოიტანა სიცივე და ზომიერება ევროპიელისა. იმას დღემდე არ დაუწერია თავისუფალი ლექსი“. (ცირკები 1922: ...). „ცისფერყანწელთა“ ორდენის არსებობის დროსვე (1915-1925 წ.წ.) ვალ. გაფრინდაშვილი, თითქოს, ითვალისწინებს ამ „შენიშვნას“ და 1922-1925 წლებში წერს რამდენიმე ვერლიბრს: „ბოჭემის მონოლოგი“ (1922), „მისს ლეა ლე“ (1923), „ყელსახვევის პოეტიკა“ (1923), „ჩემი სიზმრებიდან“ (1924), „ტომას ჩატერტონ“ (1924), „ჩინეთი“ (1925). საერთოდ კი, თამამად შეიძლება ითქვას, რომ „დაისების“ ავტორი, მართლაც, ყველაზე მეტად ემორჩილება კანონიკური სალექსო ფორმებისადმი ერთგულების კანონს და აღნიშნულ ათწლეულში, ძირითადად, კლასიკური მეტრით – 5/5 და 5/4/5-ით წერს; ამასთან ერთად, ქმნის 12 სონეტს, კანცონას („თვალთა საფერფლე – დაითალხა ცა შორეული“, 1918წ.), ტრიოლეტებს („სანტიმენტალური ტრიოლეტი“, „ტრიოლეტები“, „სატურნირო ტრიოლეტი“, „ცირკის ამორმალი. ექსპონატი“), ბალადას („სანდრო ცირკიდების“) და ა.შ.

ვალ. გაფრინდაშვილის პირველი ლექსი „რკალიდან ოცნება“ 1914 წლით თარიღდება და იგი სიმეტრიული ათმარცვლედით (5/5) არის შესრულებული:

ბნელი ტყე, როგორც ჩანგი სოველი
წვიმიან ღამით ხმოვანობს ქარში.
და იმყოფება სული ყოველი
დამატყვევებელ ცრემლთა სიზმარში

1915 წლით არის დათარიღებული ვალ. გაფრინდაშვილის პირველი არაკანონიგური სონეტი (3+3+4+4) „შეხვედრა“, ტრადიციული მეტრით – 5/4/5-ით აქედან მოკიდებული, ვიდრე 1919 წლამდე, ლექსების აბსოლუტური უმრავლესობა (74-დან მხოლოდ 1 არის განსხვავებული საზომით დაწერილი) მხოლოდ ორ, ზემოხსენებულ მეტრს ეყრდნობა: 5/5-ით არის დაწერილი – 13 ლექსი, ხოლო 5/4/5-ით – 60 ლექსი.

ერთადერთი ლექსი, რომელიც 1915-1918 წლებში ვალ. გაფრინდაშვილის მიერ განსხვავებული საზომით - 33/33 (ვარიაციით 33/24) – დაწერა, არის „მინიატურა“:

ვთ შენი ნაბიჯი, დღე იყო პატარა, 33/33
ჩემს ახლო მენ ეტლმა ნელა ჩაგატარა, 33/24
შენ თეთრი ქოშები ჩაგეცვა ცბიერი, 33/33
ლამაზო, კეკლუცო, ნუთუ ლმობიერი? 33/24
თეთრ ქოშებს ვესროლე ვითელი, წითელი, 33/33
შენ, ვარდო, ქოშებით ნუთუ გაითელე? 33/24

XX საუკუნის 10-იან წლებში, როგორც ცნობილია, ქართველი სიმბოლისტები ბევრ საინტერესო ექსპერიმენტს მიმართავდნენ ჟანრების დაახლოების თვალსაზრისით. ცნობილია ს. ცირეკიძის „სონეტი პროზით“, ს. კლდიაშვილის „ნატურმორტე“, ასევე პროზით შესრულებული სონეტი; ჩვენი აზრით, ვალ. გაფრინდაშვილის ზემოხსენებული „მინიატურა“ ამავე ყაიდის ექსპერიმენტია: ლექსით შესრულებული მინიატურა. ეს უანრი კი განსაკუთრებით პოპულარული გახდა ქართულ მწერლობაში 1890-1900-იან წლებში (ვაჟა-ფშაველა, ვ. ბარნოვი, ჭ. ლომთათიძე, შ. დადიანი, ეკ. გაბაშვილი და სხვ.), ხოლო „ცისფერყანწელებთან“ მისმა პოპულარობამ ზენიტს მიაღწია. ქართული მინიატურული პროზა, უანრობრივად, ძალიან დაუახლოვდა ლირიკულ პროზას, რომელსაც რიტმული იმპულსიც აქვს და – ალაგ-ალაგ – რითმაც. ვალ. გაფრინდაშვილი, ზემოხსენებული ლექსის „მინიატურის“ გარდა, წერს ნამდვილ „მინიატურასაც“, რომელიც საყვარელ ქუჩებს ეძღვნება: „...სანამ ამ ქუჩებს გავიცნობდი, მე არ ვიყავ ბედნიერი და მკლავდა მარტობა. ახლა ბედნიერი ვარ და ჩემი პაემანი ქუჩებთან უტკბესია სიყვარულის პაემანზე“.

მინიატურის დიდოსტატი „ცისფერყანწელთაგან“ სანდრო ცირეკიძე იყო. ფორმის ვირტუოზობა არაა კლება ხიბლავდა ვალ. გაფრინდაშვილსაც, რომელმაც ს. ცირეკიძეს უძღვნა „ბალადა“ 1924 წელს (ჟურნ. „მეოცნებე ნიამორები“, №11):

აქ აღარ ისმის ქვეჭნის ხმაური, ა
სდგას დანგრული ჩემი ტაძრი, ბ
საგსე იდუმალ ხავსის ტრაურით. ა
აქ თითქოს სუნთქავს ელეაზარი. ბ
თუ წინათ იყო აქ მულდაზარი, ბ
თუ იყო ცეცხლი, სისხლის ღვრა ხარბი ც
დღეს არის მხოლოდ შავი ნაცარი ბ
და მე – გვიანი აენობარბი... ჩ

როგორც მიუთითებენ (როლ. ბერიძე), ეს ლექსი, სქემიდან გადაუსვლელად, მიჰყება „ფრანგული ბალადის“ მყარ, გავრცელებულ სახეობას და ზედმიწევნით ესადაგება ფრანსუა ვიონის იმ ლექსებს, რომელთაც საფუძვლად უდევთ ფრანგული ბალადის ზეაღნიშნული სტროფულ – რიტმული მოდელი („ვედრების ბალადა“, „ვიიონი – თავის დობილს“, „წვრილმანთა ბალადა“ და ა.შ.), გავიხსენოთ, აგრეთვე, გალაკტიონის ბალადა: „აქ მარმარილოს მაღალი სვეტი“. რაც შეეხება საზომს, „ბალადას“ ვალ. გაფრინდაშვილი 5/5-ით წერს.

1918 წელს დაწერილ „კანცონაში“ კი პოეტი ორი ცნობილი, საყვარელი საზომის, კომბინაციას მიმართავს:

თვალთა საფერფლე – დაითალხა ცა შორეული, 5/4/5
 კვლავ მივაშურე მე იალადებს, 5/5
 ისევ პაემანს გავუმართავ სტეტაკ დამურებს, 5/4/5
 და სონეტს მეტყვის აყორნებულს ზემორიელი. 5/4/5
 იქ, სადაც ფიქრებს ქარი ალალებს, 5/5
 ციცინათელა უხმო წუთებს ასალმურებს. 5/4/5
 სასაფლაოზე სცივათ ამურებს 5/5
 და ოფელია იხედება მკრთალ წვიმებიდან, 5/4/5
 როგორც ყვითელი ალტი ხმებიდან 5/5
 მაგრამ მაღრიბი დაანელებს თავის ნაგერჩხლებს 5/4/5
 და ჩემს მუდარას დაფუჩებულს გადასცემს მერცხლებს 5/4/5

როგორც ცნობილია, კანცონა (კანსონა) პროვანსელმა ტრუბადურებმა შემოიტანეს ლირიკაში და იგი უნდა იყოს 3, 5, ან 7 სტროფიანი ლექსი, რომლის პირველი სტროფის რითმები სავალდებულოა დანარჩენი სტროფებისათვისაც, ხოლო უკანასკნელი სტროფი, „ფრანგული ბალადის“ მსგავსად, არის „მიმართვა“ მკითხველისადმი. XVIII-XIX სს. სახელწოდება „კანცონა“ იხმარება ვოკალურ და საკრავიერი ლირიკული მუსიკალური პიესების აღსანიშნავად. სწორედ ეს მუსიკალური თავისებურება კანცონისა იგულისხმა, ჩანს, ავტორმა, როდესაც „ყვითელი ალტი“ დაუკავშირა „მკრთალი წვიმების“ ხმაურიდან მომზირალ ოფელიას, ხოლო პოეტს ხმა „მერცხლებს“ გადასცა „მაღრიბმა“. ორი „ხმა“, ორი საზომი მონაცვლეობს ვალ. გაფრინდაშვილის ამ „კანცონაში“, ხოლო „მიმართვა“ – უკანასკნელი ორტაქედი – სტროფი ერთი საზომით არის შესრულებული (5/4/5).

ვალ. გაფრინდაშვილის ლექსი „მე და ოფელია“ (1919) ჰეტეროსილაბურია:

სარკესთან დაგებულ ზაფანგში გაება 33/33
 თმაგაშლილი, სოველი, მარადი ოფელია, 34/34
 და მისი გაისმის ტირილი, ვაება, 33/33
 რკინის ოთახში რა სამყოფელი! 5/6

სამსაზომიანობა: 12:14:11, რომელიც ამ ლექსის პირველსავე სტროფში გვხვდება, ორიგინალური ფორმის ძიებისაკენ მიგვანიშნებს: დისკარმონიული, ირეალური სამყაროს კავშირის მაძიებელი პოეტი მესამე გზის, არარსებული საშუალების, პოვნისაკენ უბიძგებს მკითხველს. ეს გზა მეორე სტროფშიც გრძელდება:

მას აკვარიუმში გაღუშვებ ფარულად, 1/5//3/3
 წყალში იცურავებს თევზივით ლამაზი, 24/33
 მაგრამ მეცხადება მისტიურ მარულად, 24/33
 მთვარიან შუალამისას ჰამლეტი სამასი. 34/33

ოფელიას ორეულის გარეშე დარჩენილი პოეტი თავს მარტოსეულად გრძნობს, ამიტომაც ჩივის ყოველდღიურ, გაუსაძლის ყოფაზე: „უსულოდ ქვეყანა რა სამყოფელია“ 3/4/1/5 (13). როგორც ვხედავთ, ვალ. გაფრინდაშვილი ლექსში „მე და ოფელია“ რამდენიმე მეტრს მიმართავს : 12 (33/33, 24/33, 15/51); 11 (5/6), 13 (34/33), 14 (34/34). ასეთი რამ ქართული მეტრიკის ისტორიაში, მართლაც, იშვიათი მოვლენაა. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში ლექსის მეტრიკა განპირობებულია სემანტიკით – თემატური ორიგინალურობა ამ ლექსისა ითხოვს საზომთა ამ მერყეობასა და მონაცვლეობას.

ჰეტეროსილაბიზმი, როგორც უკვე ვთქვით, იშვიათად გვხვდება ვალ. გაფრინდაშვილის პოეზიაში. ასევე იშვიათი გამონაკლისია 12 მარცვლიანი საზომი: „წითელი ბატონები“ (1915-1919 წლები), რომელიც რამდენიმე რიტმული ვარიაციით გამოიყენება ამ ლექსში (33/33, 33/15, 24/33):

და ხშირად ვოცნებობ მე იმის სილაზე, 33/33 –
 მინდა, რომ გამარტყას სახეში ველურად. 33/33
 წითელბატონების ცბიერი სინაზე 24/33
 აანთებს ჩემს ლოყებს ლალისფრად, გველურად. 33/33

როგორც ვალ. გაფრინდაშვილის მეტრიკაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, 1915-1925 წლებში, „ცისფერყნწელების“ არსებობის პერიოდში, 10 (5/5) და 14 (5/4/5) მარცვლიანი საზომების შემდეგ, პოეტის შემოქმედებაში ყველაზე ხშირია 12-მარცვლიანი საზომი სხვადასხვა ვარიაციით (33/33, 24/24, 33/15 და ა.შ.).

1921 წელს დაწერილი ვალ. გაფრინდაშვილის „ლოცვა“ პეტეროსილაბური ლექსია: ერთმანეთს ენაცვლება 12 და 13 მარცვლიანი საზომები:

ღმერთო, მაპატიე უმიზნო ცხოვრება! 24/33
ღმერთო, მაპატიე პოეტობის სურვილი 24/43
დღეს ჩემი ოცნება შენ გემათხოვრება, 33/15
სუსხიან, უცრემლო ქვითინით დაბურვილი 33/43

ვიყავი უგმები, როგორც რაძივილი, 33/24
და ახლა ვათავებ ისევ მონანიებით, 33/25
შიიღე, უფალო, ჩემი ლოცვის ტკივილი, 33/25
გამაბედნიერე შენივე ზმანებით 6/33

ვალ. გაფრინდაშვილის „ლოცვა“ ქართული მოდერნიზმის სულით გაუდენთილი და გულწრფელი მონანიების სურვილით გამსჭვალული ლექსია. ღმერთის სიკვდილით თავზარდაცემული ადამიანი თავშესაფარის ძიებასაც ვეღარ ბედავს და, გზადაბნეული, დაეხეტება უმიზნო ყოფით თავმობეზრებული:

შევსცერი მსოფლიოს, როგორც იდიოტი, 34/25
ირიბი სამყარო მთლად გადამაშენებს. 33/25
თუ ვერ მოვახერხე, მაინც ხომ მწყუროდა, 24/33
მაინც ხომ მინდოდა ქრისტეს სიყვარული, 33/24
მაგრამ მაწვალებდა სარკის ფულუროდან 24/24
ვიწრო ყელსახვევით აჩრდილი ფარული. 24/33
თუმცა მე პოეტად თავი გავასაღე, 33/24
თუმცა გამოვკვეთე თრთოლვა იქითური 24/24
არ იყო ჩემს ყოფაში სიმართლის ნასახი, 43/33
მეხალისებოდა ცხოვრება ბითური. 6/33

საგულისხმოა, რომ 1922-25 წლებში იწერება ვალ. გაფრინდაშვილის ვერლიბრები: „ბოჰემის მონოლოგი“ და „მისს ლეა ლე“, „ყელსახვევის პოეტიკა“, „ჩემი სიზმრებიდან. ალი არსენიშვილის – ბინების აღასფერი“, „ტომას ჩატერტონი“, „ჩინეთი“.

ვალ. გაფრინდაშვილი ამგვარად აყალიბებს თავის პოეტურ კრედოს:

პოეტისათვის მე ვიწამე ეს კარიერა:
სიგაუე, ჭლექი და თვითმკვლელობა...
(„ბოჰემის მონოლოგი“)

მიუხედავად იმისა, რომ პოეტი ვერლიბრის პოეტიკასაც დაუუფლა და სამყაროსთან დისპარმონიას, ლექსის დატეხილი სტრიქონებით, ურითმო, ყრუ სონეტით, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ფრაზებით გამოხატავდა, მისი სული ხშირად მაინც სავსე იყო მელოდით, ჰარმონიით, მუსიკით, რომელიც ხელოვნურად მორგებულ ნიღაბს და უსხლტებოდა ხელოვნურ არტახებს:

ეხლა საესეა მიზრაფებით ჩემი ოთახი,
მხლობ ჩემს ნიშანს მოელიან, რომ გაიარონ.
შენ, ჩემო ლექსო, უკვდავება ვერ გამოხატე
და სახეები ოცნებაში ჩუმად სტირიან.
(„ჩემი ოთახი გათენების წინ“, 1923)

მიზრაფი – საკრავის სიმი – ვალ. გაფრინდაშვილის საყვარელი პოეტური სახეა, რომელიც პოეტურ შთაგონებას, სიხარულს, სილამაზეს უკავშირდება:

გრძელი მიზრაფით მე გავაპე ფარდა ზვიადი.
ოქროს ტრირება აელვარდა კვამლის ხაზებით...
(„ოთახი – ბალდახიანი“)

„მეოცე საუკუნეში ყოველი ლიტერატურული რეკოლუცია იწყება ლირიკის სფეროში და შეძლებ პოეზიის სხვა სფეროებში მჩენს თავს... ლირიკა მონოლოგია. ლირიკოს არ ჰყავს აუდიტორია. მისი ლექსი ლოცვაა და ამ ლოცვის ავტორი ყველაზე უფრო განმარტოებულია პოეზიაში. ლირიკოს უდაბნოში ქმნის თავის ლოცვებს. ლირიკა არის „თეატრი თავისთვის“ და აქ საჭიროა უმძაფრესი ფანტაზია, რადგან ლირიკოსი თვითონ არის ამ თეატრის მსახიობი, რეჟისორი, ავტორი და მაყურებელი“, – წერდა ვალ. გაფრინდაშვილი ესეებში „შენიშვნები ლირიკზე“.

ვალ. გაფრინდაშვილი თვითონ იყო საოცრად ფაქტი და ნიჭიერი მკვლევარი ქართული ლექსისა. წერილში „დავით გურამიშვილი. პარალელები“ ვალ. გაფრინდაშვილი საუბრობს ალიტერაციაზე (ასო „მ“-სა და „ა“-ს განსაკუთრებულ სიხშირეზე დავ. გურამიშვილის პოეზიაში: I გამოხატავს ღმულის, ჩივილის ასოციაციას, ხოლო „ა“, რემბოს დახასიათებით, ტრაურულია) და, ამასთან ერთად, დაწვრილებით გვიხასიათებს პოეტის საზომებს:

„გურამიშვილს აქვს ოცმარცვლოვანი ლექსი, შემდგარი ორი ათმარცვლოვანი ლექსიდან:

ნუ გძინავს, სულო, აწ განიღვიძე,
რომ არ შეიქნა ლამპარ შრეტილი.

აქვე ახასიათებს იგი 16 (8:8), 14 (7:7; 8:6) – მარცვლიან ლექსებს.

აქვე ასახელებს ცამეტმარცვლიან ლექსეს: „ჩემგან თვალად უარესი შენ შეიყვარე. 10 (5:5), 11 (4:3:4), 8 (5:3), 6 (3:3), ხუთმარცვლოვანი ლექსი: „მუნ ვერსად ვნახე“. მერე კი დასძენს: „ეს ციტატები საკმარისად მოწმობენ ზომათა სიუხვეს და მრავალფეროვნებას“.

როგორც ვხედავთ, ვალერიან გაფრინდაშვილი პოეტის ერთ-ერთ ლირსებად „ზომათა სიუხვესა და მრავალფეროვნებას“ მიიჩნევს. მართალია, ამ მხრივ ვალერიან გაფრინდაშვილის ლირიკა მრავალსაზომიანობით არ გამოირჩევა, მაგრამ მეტრიკის მხრივ სიღარიბე სრულიად გასაგებია, „ცისფერყანწელთა“ პოეტიკის თავისებურებებიდან გამომდინარე: 10 (5:5) და 14 (5:4:5) მარცვლიანი საზომებისადმი ნებაყოფლობითი მორჩილება ყველა „ცისფერყანწელთათვის“ იყო მეტ-ნაკლებად დამახასიათებელი.

დამოწმებანი:

აბაშიძე 1937: აბაშიძე გრ. შაირის ვარშემო. ქ. ჩვენი თაობა, №28, 1937.

გაფრინდაშვილი 1919: გაფრინდაშვილი ვალ. სინეტის პრობლემა. ქ. მეოცნებე ნიამორები, 1919.

მერკვილაძე 1975: მერკვილაძე გ. სიტყვა პაოლო იაშვილის პოეზიაზე. წიგნში: „პაოლო იაშვილი, პოეზია, პროზა, წერილები, თარგმანები. თბ.: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1975.“

ტაბიძე 1916: ტაბიძე ტ. ქ. ცისფერი ყანწელი, №1, 1916.

ტაბიძე 1921: ტაბიძე ტ. აკადემია პოეზიის. გაზ. კომუნისტი, №36, 1921.

ჭურთიშვილი 2002: ჭურთიშვილი შ. პაოლო იაშვილის ლექსწრობა. ქ. კრიტერიუმი, №5, 2002.

ცირეკიძე 1922: ცირეკიძე ს. ვალერიან გაფრინდაშვილი. გაზ. რუბიკონი, №12, 1922.

ცირეკიძე 1924: ცირეკიძე ს. პორტრეტები. პაოლო იაშვილი. გაზ. ბარიკადი, №1, 1924.

Tamar Barbakadze

Metric System of Tsispherkantselebi
(Paolo Iashvili, Titsian Tabidze, Valerian Gaphrindashvili)

Summary

The article analyses the metric system of „Tsispherkantselebi“ („Blue Horns“ - Paolo Iashvili, Titsian Tabidze, Valerian Gaphrindashvili) during the “literary group” period (1915-1925); the subject of research is isosyllabic (equalsyllabic) and heterosyllabic (unequalsyllabic) metres, interrelation of rhythm and semantics, and the part of other metres on the background of principal metres 5/5 and 5/4/5.

Taking into consideration above mentioned poets' attitude towards metric system and using special diagrams present rhythmic variations of the works are presented.

In the article the peculiarities of Paolo Iashvili's 5,7,12 syllabled verses, the individuality of the technique of the determined verse forms (sonnet and triolet) and verlibre are shown. We investigate Paolo Iashvili's „Darianuli's“ symbolical function of alliteration, according of which this literary work appears to be kind of support for „Elene Dariani's Diaries“. Very often Paolo Iashvili's metrical experiments are held towards line breaks.

Twenty of thirty-nine verses of Titsian Tabidze written in 1915 - 1925 are heterosyllabic. The poet uses the breaking form 5/4/5 of 14 syllables: 5/4, 5 and different variations of 12-syllabled lines: 3/4/5; 5/3/4; 6/6; 4/4/4 is displayed in the relation of metric to the semantics in the noncanonical sonnets and unequal syllabic verses by Titsian Tabidze. Titsian Tabidze's theoretical observations on the Georgian verse is reflected in the very particular way in the poet's versification. At this point the verse „The Fighter of the Season“ (1922) is of a special importance.

Valerian Gaphrindashvili's poetry is not distinguished by the great variety of metres: the most part of this poetry is written in 5/5 and 5/4/5 metre. However there are some exceptions like 33/33 (33/23) metre. In Valerian Gaphrindashvili's verses „Ballade“, „Miniature“, „Kantona“, (12:14:11) three metred „Ophelia and Me“, „Prayer“ (12:13) and some noncanonical sonnets are analyzed.

In the author's opinion the poorness of the metric repertoire of „Tsispherkantselebi“ is only an illusion. These poets closely connected metric and thematic sides; besides that the alliteration is one of the most important part in the rhythmic organization of the verse. „Tsispherkantselebi“ enriched the history of the Georgian versification with shortmetre (5, 6) and 12 syllabic (33/33, 4/4/4, 3/4, 5, 6/6) variations of Alexandriuli.

პახა ლავით ური

მწერალთა სასახლეში გამართული ერთი დისკუსიის შესახებ*

კამათი ქართული ლექსის ბუნების შესახებ განსაკუთრებით გამწვავდა გასული საუკუნის 60-იან წლებში და ეს იყო ის შემთხვევა, როდესაც სამეცნიერო დისკუსია გასცდა ტრადიციულ ნორმებს. ყველაფერი კი 1972 წელს მწერალთა სასახლეში გამართული სხდომით დასრულდა, რომელმაც ერთგვარად გააფორმა კიდევ მისი შედეგები. სხდომის სტენოგრამა „ლიტერატურული საქართველოს“ ორ უახლოეს ნომერში უზარმაზარი კუპიტურებით ისტამბებოდა.

სტენოგრამა გვაუწყებს: „მწერალთა კავშირში შედგა ლიტერატურული კრიტიკის სექციისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის“ გაერთიანებული სხდომა, რომელზედაც აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა წაიკითხა მოხსენება თემაზე „მეტრი და რიტმი ვეფხისტყაოსანში“.«

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბერძნული მეტრიკის სახელმძღვანელოებზე გაზრდილი მასწავლებლების მიერ საუკუნეების მანძილზე ტრადიციად ჩამოყალიბდა მათთვის ახლობელი მოდელების ხელოვნური გამოყენება სხვა ენათა ლექსთწყობის კვლევისას: „მათ წარმოედგინათ ეს მოდელები რაღაც აბსოლუტურ უნივერსალიერად, რომლებიც მააჩნდათ ყველა ენისა და ყველა ხალხის პოეზიისათვის დამახასიათებლად“.

მხოლოდ მოვაინებით, როდესაც ენათმეცნიერება გათავისუფლდა კლასიციზმის გავლენისაგან, ყველგან და მათ შორის ჩვენთანაც ცნობილი გახდა, რომ ყოველ ენას აქვს თავისი დამახასიათებელი სტრუქტურა და ეს არ შეიძლება არ აისახოს ლექსთწყობაშიც. მომხსენებელმა აღნიშნა ჯერ ნ. მარის, ხოლო შემდგომ ა. შანიძის, არნ. ჩიქობავას, გ. ახვლედიანის, ვ. თოფურიას და სხვა ენათმეცნიერთა დამსახურება ქართული ენისათვის ბუნებრივი ცნებებისა და მოვლენების დადგენის საქმეში, რომლებიც მკვეთრად განსხვავდებიან ანტიკური ლინგვისტური კატეგორიებისაგან და საკუთრივ ქართული ენის შინაგანი ბუნებისათვის დამახასიათებელი მოვლენებიდან მომდინარეობენ. ქართული ენათმეცნიერების მიღწევები უკანასკნელი 40-50 წლის მანძილზე მნიშვნელოვნად განპირობებულია ამ სწორი მეთოდოლოგიური პრინციპებით, რომლებიც

* მასალა იხ.: გაზ. ლიტერატურული საქართველო, 1972 წ., № 6.

საფუძვლად ედო მთელს საენათმეცნიერო მუშაობას ჩვენში უკანასკნელ ხანებში. „სამწუხაროდ, ის, რაც გააკეთეს ჩვენმა ენათმეცნიერებმა, ვერ შეძლეს ჩვენი ლექსონური მკვლევარებმა. დღემდე გავრცელებულია მცდარი შეხედულება, თითქოს ქართულ, ვითომდა სილაბურ-ტონურ, ლექსონური საფუძვლად უდევს ქორე, დაქტილი, პეონი და სხვა სიდიდეები, რომლებიც კლასიკური ლექსონური მცდარი სილაბურ-ტონურობად გამოცხადების, ამ *circulus in probando* ე. ი. ლოგიკური უაზრობის ან აბსურდის (ქართული ლექსის სილაბურ-ტონურად გამოცხადება) საფუძვლად ორმარცვლიან სიტყვებში ბოლოდან მეორე და სამმარცვლიანი ბუნებრივად არსებულ მახვილს ასახელებს. სწორედ ამ ფაქტორმა წაახალისა ზოგიერთი მკვლევარი² შეეთხა ცნება „ორმარცვლიანი ტერფისა“ (ქორე), ერთ შემთხვევაში და „სამმარცვლიანი ტერფისა“ (დაქტილი), მეორე შემთხვევაში. აქეე საილუსტრაციოდ მოჰყავს სტრიქონის ტერფებად დაყოფის კლასიკური ნიმუში: ჰყვა ლომ/სა და / ვითა / გმირსა“, სადაც ქორეული ტერფის არსებობის დასადასტურებლად სიტყვას „ლომსა“ მახვილი ვითომდაც ბოლო მარცვალზე მოუდის, საპრისპიროდ მათივე ფუნდამენტური თეზისა ორმარცვლიან სიტყვაში ბუნებრივი მახვილის ბოლოდან მეორე მარცვალზე დისლოკაციის შესახებ. ამ შემთხვევაში სიტყვა ქორეულ ტერფში ვერ განთავსდა და გაიხლიჩა სქემის ინტერესებისათვის. „მაშასადამე, „ტერფებს“ ადგენენ სიტყვების მახვილის მიხედვით, ხოლო სიტყვების მახვილს – „ტერფების“ მახვილის მიხედვით“. – ასეთი გონიერად მახვილი დეფინიციით ანასიათებს მკვლევარი სილაბურ-ტონურობის დამცველთა სქემას.

მოხსენების შემდგომი ნაწილი მთლიანად დაეთმო ნაშრომის ძირითადი ტენდენციების მიმოხილვას: „ვეფხისტყაოსნის“ 16 მარცვლიანი კარედი (სტრიქონის ან ტაეპის ენათმეცნიერული შესატყვისი) იყოფა ორ თანაბარ ნაწილად – ნახევარკარედად. თითოეული მათგანი კი თავის მხრივ კიდევ ორ ნაწილად. მიიღება, ერთ შემთხვევაში, 4/4 (მაღალი შაირი) და, მეორე შემთხვევაში, 5/3 ან 3/5 (დაბალი შაირი). ამ ნახევარკარედის ნახევარი დამოუკიდებელი სეგმენტია (ენათმეცნიერული ტერმინი) და სწორედ მათი თავისებური შედგენილობა და „ქცევა“ ქმნის კიდეც რიტმს. კერძოდ, მაღალი შაირის სტრიქონის დასაწყისში, ერთმარცვლიანი სიტყვა „მე“ (მე, რუსთველი, ხელობითა...) იწყება პირველ მარცვალთან და იქვე მთავრდება. ისევე, როგორც ორმარცვლიანი „ნახეს“ (ნახეს უცხო მოყმე ვინმე...), იწყება პირველ მარცვალთან და მთავრდება მეორესთან. ასევეა სამმარცვლიანი და ოთხმარცვლიანი სიტყვებიც. მომხსენებელმა აუდიტორიას შეახსენა, რომ პოემაში 1543 ხუთმარცვლიანი სიტყვაა და არც ერთი მათგანი არ არის მაღალი შაირის სტროფში. სწორედ იმიტომ, რომ მაღალ შაირში მეოთხე მარცვალი არის სიტყვაოგასაყარი და მას ვერც ერთი მათგანი ვერ გადალახავს. სწორედ ასე, გამონაკლისის გარეშე, მაღალი შაირის 16897 ორმარცვლიანი სიტყვიდან არც ერთი არ იწყება მეოთხე მარცვალთან, ისევე როგორც სამმარცვლიანი – მესამე ან მეოთხე მარცვალთან. ოთხმარცვლიანი სიტყვა კი აუცილებლად პირველ მარცვალთან უნდა დაიწყოს. „დავუშვათ მაღალი შაირის სტროფები შედგება ორმარცვლიანი ქორებისაგან (ე. ი. ნახევარკარედში ოთხი ტერფი). როგორ უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ პირველი „ტერფიდან“ სიტყვა შეიძლება გადავიდეს მეორეში, მაგრამ მეორე „ტერფიდან“ მესამეში ვერანაირად ვერ გადავა? ასევე მესამე „ტერფიდან“ შეიძლება გადავიდეს მეოთხეში, მაგრამ მეოთხედან მეხუთეში – ვერა. ამგვარადვეა მეორე ნახევარკარედში, ყველა სტრიქონში, ყველა სტროფსა და მთელ პოემაში“. – შენიშვნავს მკვლევარი.

ანალოგიური ვითარებაა დაბალ შაირშიც. იქ სიტყვაოგასაყარი იქმნება სამმარცვლიან და ხუთმარცვლიან სეგმენტებს შორის და თუ ეს ზღვრი მოიშალა, რიტმიც დაირღვევა. „ყველაფერი ეს მოწმობს, რომ ქორები და დაქტილები „ვეფხისტყაოსანში“ არ არსებობს. ყოველგვარი ცდა, რომ პოემის ტექსტი ქორეულ და დაქტილურ სტროფებში ჩაეტიოს, იწვევს არევ-დარევას მახვილის განაწილების მხრივ და სრულ ქაოსს ლექსის სტრუქტურაში.“

აქ მკვლევარი ეხება ზოგადად მახვილის როლს ქართულში, რომლის არარელევანტურობასაც, ყოველ შემთხვევაში სხვა ე. წ. სილაბურ-ტონური ლექსონური მცდარი შედარებით, თვით ა. გაწერელიაც აღიარებს. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ქართული მახვილი არ შეიძლება იყოს მეტრული და რიტმული ერთეულების მარეგულირებელი, სწორედ მისი ამ თვისების გამო და რომ ის მხოლოდ გარკვეულ ექსპრესიულ ფაქტორს წარმოადგენს და პაუზასთან ერთად, მიჯნის ფაქტორის შექმნაშიც მონაწილეობს. მაგრამ მუდმივ პროსოდიულ

სიდიდეებს, ანტიკური და ზოგიერთი თანამედროვე (მაგ. რუსული) ენებისგან განსხვავებით, ვერ შექმნის.

მკვლევარი გულდასმით განიჩილავს აქამდე ქართული სამეცნიერო ლიტერატურისათვის შეუმჩნეველ მიჯნის ფაქტორს. მიჯნა (ლია მიჯნა), მისი განსაზღვრებით, არის საზღვარი ერთი მორფების ბოლოკიდურ ფონემასა და მომდევნო მორფების თავკიდურ ფონემას შორის, რასაც განაპირობებს პაუზა, რიტმი და მახვილი. „წარმოთქმათა საზღვრების ეს გაკვეული კავშირი ქმნის დისტინქტურ კონტრასტებს სუპრასეგმენტალურ დონეზე და ამდენად მას ფონოლოგიური ლიტერატურულება ენიჭება“.

მიჯნის ფაქტორით გამოწვეულ მინიმალურ წყვილებს მკვლევარი მრავლად მოიპოვებს როგორც „ვეფხისტყაოსანში“ და მეხოტბების პოეზიაში, ასევე საერთოდ, ქართულში. გრაფიკაში მიჯნა შპაციებით (ცარიელი ადგილებით) აღინიშნება. მაგ. ასოთა თანმიმდევრობა „დაწერაქვითა“ სხვადასხვა მნიშვნელობას შეიძენს იმის მიხედვით, თუ როგორ დავყოფთ მას შპაციებით: 1. დაწერა ქვითა; 2. და წერაქვითა. ამ შპაციების რეფერენტი ზეპირ მეტყველებაში არის მიჯნა, რომელიც სეგმენტის ფარგლებში შეიძლება სხვადასხვა ადგილას შეგვხვდეს და შესაბამისად, ხელი შეუწყოს სხვადასხვა რიტმული ვარიაციების წარმოქმნას „რაც არ უნდა აკურიოთ მუდმივ სიდიდეებში“.

დასკვნის სახით კი მკვლევარი ობიექტურად შენიშნავს, რომ საერთოდ, ქართული ლექსის სილაბური ბუნება ბევრ მკვლევარს აღუნიშნავს დაწყებული მამუკა ბარათაშვილიდან და იოანე ბაგრატიონიდან და რომ ქართული ლექსის რიტმს ქმნის მარცვლების რაოდენობით განსაზღვრული დროის მონაკვეთები, ე. წ. კადენციები, რომლებიც ხასიათდება მარცვალთა ტენდენციით, განმეორებულ იქნებ დროის ამა თუ იმ განზომილების ინტერვალებში, მარცვლის შემადგენელი ბგერების რაოდენობისა და სეგმენტის ფარგლებში მახვილების რაოდენობისგან დამოუკიდებლად. საერთოდ, პოემის ტექსტის ანალიზი, მკვლევარს იმის დასკვნის საფუძველს აძლევს, რომ ურთეულები, რომლებიც შეადგენებ პოემის ლექსის ზომას, პროპორციულ მიმართებათა დიდ რაოდენობას ქმნიან, ამჟავებენ მჭიდრო კავშირს მეტრულ-პროსოდიულ და სემანტიკურ-გრაფიკულ ელემენტთა შორის. სტროფის საზღვარი ემთხვევა სემანტიკურად და კომპოზიციურად დამთავრებულ ნაწილს, კარედი მთავრდება იქ, სადაც – წინადადება, ან ფრაზა, ხოლო სეგმენტის საზღვრები ემთხვევა სიტყვის საზღვარს. „მთელ ამ როტულ მიმართებებს მარცვლებს, სიტყვებს, სეგმენტებს, კარედებსა და სტროფებს შორის საფუძვლად უდევს სიმეტრია (მაღალ შაირში) და ოქროს კვეთის პროპორცია (დაბალ შაირში), რომელიც „ვეფხისტყაოსანში“ სრულყოფილების საზღვრებს აღწევს – ასკვნის მკვლევარი.

მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლა – გვაუწყებს „ლიტერატურული საქართველო“.

კამათში მონაწილეობდნენ ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორები: ნოდარ ნათაძე და აკაკი ხინთიბიძე, პროფესორები: აკაკი ურუშაძე და გივი გაჩჩილაძე, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თამაზ გამყრელიძე, შოთა რუსთველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი როლანდ ბერიძე და აკადემიკოსი ალექსანდრე ბარამიძე.

მომხსენებელთა უმრავლესობა გ. წერეთლის საეტაპო მნიშვნელობის ნაშრომის მაღალი მნიშვნელობის სასარგებლოდ იყო განწყობილი. თუმცა იყო შენიშვნებიც, რომელთა დიდ ნაწილსაც აკადემიკოსმა ამომწურავად უპასუხა სხდომის უკანასკნელ ნაწილში. მანვე აღნიშნა, რომ „შენიშვნა დადებითი იქნება ეს თუ უარყოფითი, მისაღებია მისთვის, როცა ის სათანადო მეცნიერულ დონეზე დგას“.

თავდაპირველად მან კმაყოფილებით აღნიშნა ბერძნული ენის სტრუქტურის შესახებ კაპიტალური შრომების ავტორის პროფესორ აკაკი ურუშაძის გამოსკლა, რომლის აზრით, ანტიკური ტერფოვანების მორგება ქართულ ლექსზე სრულიად უნაყოფო გამოდგა. სწორედ ამ მიზეზით ვერ მოხერხდა პომეროსის პოემების ორიგინალის საზომებით გადმოქართულებაც.

მისი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ასევე გ. წერეთლის მნიშვნელოვანმა აზრმა მიჯნის ფენომენის თაობაზე, ასევე საკამათო საკითხის – მეტრისა და რიტმის მიმართების მისეულმა გადაწყვეტამ, რომ მეტრი რიტმის კომპონენტია. „ამ გამოკვლევამ, რომლის მსგავსი მეტრიკის გარშემო არსებულ დიდმალ ლიტერატურაში არსად მეგულვის, საბოლოოდ მოჰყვინა შუქი რუსთველური ლექსისა და საერთოდ ქართული ლექსთწყობის ურთეულეს პრობლემას და გადაწყვიტა კიდეც იგი“ – ასკვნიდა აკ. ურუშაძე.

გ. წერეთელმა ხაზგასმით აღნიშნა აკაკი ზინთიბიძის გამოსვლა და მისი მეცნიერული კეთილსინდისიერება, როდესაც ის მრავალი წლის მანძილზე სრულიად საწინააღმდეგო აზრს იზიარებდა, მაგრამ ჭეშმარიტების სიყვარული პირად ამბიციებზე მაღლა დააყენა, რითაც სხვებს მეცნიერული გაბედულების და პრინციპულობის მაგალითი მისცა. ³

რამდენიმე სიტყვით შეეხო ასევე პროფესორ გივი გაჩეჩილაძის თვალსაზრისსაც, რომელმაც საანგარიშო ნაშრომი ხატოვნად შეადარა ურთულესი მწვერვალის დაღაშექრას ყველაზე ციცაბო მხრიდან. გ. გაჩეჩილაძე შენიშნავდა, რომ „გ. წერეთლისეული სეგმენტი ეს ის მუხლი, ან მუხლებია, რომელსაც კარგად იცნობს ქართული ლექსონის მარცვლებისა ჯერ კიდევ მამუკა ბარათაშვილიდან მოკიდებული და რომელსაც ის თავადაც იყენებს სამეცნიერო შრომებში. ქართული ლექსის სტრიქონში მარცვალთანაბრობა იმთავითოვე ტრადიციული და ბუნებრივი მოვლენა გახლდათ და ყოველი შემთხვევა მარცვლის მოკლება-მომატებისა, რასაც არცთუ იშვიათად მიმართავდნენ თანამედროვე პოეტები, ლექსში პროზაული საწყისის მხოლოდ გარკვეული ესთეტიკური დანიშნულებით შემოტანის ცდა იყო და არა ნორმა“. მანვე გაიხსენა მოსე ჯანმვილის დაკვირვება და შემდეგ სერგი ჟღენტის შრომა ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურის შესახებ, რომლის მიხედვითაც მრავალმარცვლიან ქართულ სიტყვებში ბოლო ორი მარცვალი წარმოითქმება სუსტად, ხოლო დანარჩენ მარცვლებზე თანაბრად ნაწილდება ამოსუნთქვის ძალა. გ. გჩეჩილაძე ასევე შეეხო შაირისგან განსხვავებულ საზომებსაც, სადაც ერთი მეტრის ფარგლებში, სეგმენტთა განაწილების კვალად, შეიძლება იყოს სხვადასხვა რიტმული ვარიაციის მქონე ორი ათმარცვლიანი ლექსი). ეს საკითხი არც გ. წერეთელს დარჩენია ყურადღების მიღმა: „ამ თვალსაზრისით საერთოდ მთელი ქართული პოეზია შესასწავლი და ვუიქრობ, რომ შეიძლება გარკვეული კანონზომიერებები დადგინდეს“ – აღნიშნა გ. წერეთელმა.

გ. წერეთლისთვის განსაკუთრებულად მრავლისმეტყველი იყო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ენათმეცნიერ თამაზ გამყრელიძის გამოსვლის მირითადი მოტივი: „რადგანაც ლექსთწყობის სტრუქტურის ანალიზი, ენის საერთო შესწავლის ერთ-ერთ მირითად ასპექტს წარმოადგენს, სტრუქტურული პოეტიკა ამ თვალსაზრისით შესაძლებელია ენათმეცნიერების ერთ-ერთ დარგად იყოს განხილული“. მანვე ნათლად დაადასტურა, რომ ვეფხისტყაოსნის რიტმი გარკვეული სიგრძის სილაბური მონაკვეთების რეგულარულ მონაცვლეობას ემყარება, რომ მაღალი შაირის ნახევარკარებებში ყოველი მეოთხე მარცვლის შემდეგ, დაბალი შაირის ნახევარკარებებში კი ყოველი მესამე ან მეხუთე მარცვლის შემდეგ აუცილებლად არის სიტყვის ბოლო და მცირე ცეზურა, და რომ ეს სავსებით ეგუება ქართული ენის ბუნებასა და პროსოდიულ თავისებურებებს, სადაც „მახვილი ფონოლოგიურად უფუნქციოა, არაღირებულია და მხოლოდ ფონეტიკურ, სიტყვის თანმხლებ ანთროპოფონურ ოდენობას წარმოადგენს“.

გ. წერეთელი საგანგებოდ შეეხო აღ. ბარამიძის შენიშვნებს, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ის სავსებით დაეთანხმა ავტორს რუსთველის ლექსის რეგულირებულ სილაბურ ლექსად გამოცხადების საკითხში, ისეთმა ტერმონოლოგიურმა ეკლექტიზმა, როგორიც იყო დაბალი შაირის სამარცვლიანი სეგმენტის „სამმარცვლოვან ტერფად“ და „რიტმულ ჯგუფად“ მოხსენიება, ცხადყო, რომ აკადემიკოსი ჯერ კიდევ არ იყო გათავისუფლებული სილაბურ-ტონური თეორიის გავლენისაგან. ასევე „როდესაც ჩვენ ვამტკიცებთ, რომ პოემაში ორმარცვლიანი „ტერფი“ არ არსებობს, ეს იმას ნიშნავს, რომ არ არსებობს ორმარცვლიანი სეგმენტი... ცალკე აღებული ორმარცვლიანი სიტყვა ქართულში, მახვილის დისტრიბუციის თვალსაზრისით, შეიძლება ბერძნული ქორესათვის მიგვემსგავსებინა (და ამან შეიყვანა შეცდომაში ბევრი მკვლევარი), მაგრამ ორმარცვლიანი ერთეული ან ორმარცვლიანი სეგმენტი ვეფხისტყაოსანში არ არსებობს (ეს კარგად ჩანს ისეთი შეფარდების უქონლობით, როგორიცაა 2 4 2)“ – სამართლიანად შენიშნა გ. წერეთელმა.

აღ. ბარამიძის დაეჭვება გამოიწვია აგრეთვე იმ 23 შემთხვევამ (12 696-დან), როდესაც ნახევარკარებები არ არის დაყოფილი სეგმენტებად, რასაც გ. წერეთელმა რუსთველამდელი პოეზიის რედიმენტალური ნაშთი უწოდა. „ამ სქემის გამოდევნებამ და მისმა აბსოლუტიზაციამ კი შედეგად ის გამოიღო, რომ სრულყოფილებას მოკლებული და რუდიმენტულის კატეგორიას მიეკუთვნა ვეფხისტყაოსნის ბრწყინვალეზე უბრწყინვალესი სტროფი“:

კარვის კალთა ჩახლართული 2 + 2 + 4
ჩაგჭერ, ჩავაკარაბაკე.“ 2 + 6

— დასძენდა აღ. ბარამიძე.

პასუხად გ. წერეთელმა შენიშნა, რომ რუდიმენტული სალექსო სისტემისადმი კუთხილება სრულიად არ აყენებს ეპექვეშ სტრიქნის თუ საერთოდ ლექსის მხატვრულ ღირსებას, ისევე, როგორც არც სეგმენტური განაწილებაა რომელიმე ნაწარმოების მაღალმხატვრულობის გარანტი. „ეს ორი სხვადასხვა სახეა ლექსის პულსაცისა: ერთი უფრო მარტივი, მეორე უფრო სიმეტრიული და რთული“.

შოთა რუსთველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლის როლანდ ბერიძის შენიშვნა ძირითადად მოხსენების იმ ნაწილს ეხებოდა, სადაც რუსთველის მიერ 16 მარცვლიანი შაირის არჩევის მიზანშეწონილობაზე იყო საუბარი. „ქართული ლექსის ბევრ საზომში ბუნებრივად არის მოცემული არა ორი, არამედ მრავალგვარი რიტმის საფუძველი. მაგალითად, 12 მარცვლიან საზომში 3/3/3/3, ან 2/4/2/4, ან 5/5/2, 4//4/4, 4/2//4/2. ასეთივე შესაძლებლობები აქვს 13, 10 და 8 მარცვლიან ლექსსაც“.

პასუხად გ. წერეთელი მთავარ დამნაშავედ გაუგებრობას ასახელებს და ადასტურებს, რომ ერთადერთი საზომი, რომელსაც შეეძლო ერთდროულად მოეცა ეპივალენტური სიმეტრიაც (საფუძველი გეომეტრიული პროპორცია 2 4 8) და ოქროს კვეთიც (საფუძველი ე.წ. ფიბონაჩის რიგი: ...3 5 8 13) არის 8 მარცვალი (საერთო ორივე მიძღვნობისთვის).

გ. წერეთელმა განსაკუთრებული ადგილს დაუთმო ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორ ნოდარ ნათაძის მოსაზრებებს, რომელმაც შენიშნა, რომ მეცნიერული ნაშრომი უდავოდ უდიდესი მნიშვნელობისაა, მაგრამ ადგილი აქვს რიგ შეუსაბამოებებს. ის სავსებით ეთანხმება აკადემიკოსს, რომ მაღალი შაირის ტრადიციული დაყოფა 16 და 8 მარცვლებად არ იყო ამომწურავი და რომ საკუთრივ 8 მარცვლები თავის მხრივ აუცილებლად უნდა დაიყოს კიდევ ორ სეგმენტად. „ამ თეზისის ჭეშმარიტების გარანტია იმაშია, რომ ავტორის მიერ დაგენილი ის კანონზომიერება, რომ კომბინაცია 2 4 2 პოემაში არ გვხვდება, ვერცერთი სხვა ფაქტორით ვერ აიხსნება. სხვა საკითხია მახვილი, როგორც ვეფხისტყაოსნის ლექსის კონსტრუქციული ელემენტის ფაქტორი. ეს იმით მტკიცდება, რომ პოემაში სისტემური ხასიათი აქვს დაბალ შაირში სამმარცვლიანი, ხოლო მაღალში ორმარცვლიანი რითმის ხმარებას. ეს მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, რომ პოემაში გარითმულია არა მსგავსი მარცვალთკომბინაციები თავისთავად, არამედ მსგავსი მარცვალთკომბინაციები მახვილის მსგავსი განაწილებით, ანუ ტერფები.⁴ დაბალი შაირი აუცილებლად „დაქტილით“ მთავრდება, მაღალი ქორეთი (პირობითად)“.

თუმცა თავადვე მიუთითა, რომ ეს ფაქტი გამორიცხავს ოთხმარცვლიანი სიტყვების არსებობას საერთოდ დაბალ შაირში, ხოლო სამმარცვლიანებისას – მაღალ შაირში (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ერთმარცვლიანი სიტყვა სემანტიკურად არადამოუკიდებელია და შერწყმულია მრავალმარცვლიანთან). არადა ტექსტში ასეთებიც არის. „მაგრამ საქმე იმაშია, რომ ასეთი „დარღვევების“ ჯამი რა გინდ მცირე იყოს, აქ გადახვევა მახვილთა განაწილების ნორმად მიჩნეული წესიდან ეხება ტერფთა ათ პროცენტზე ნაკლებს და თანაბრადაა განაწილებული ტექსტში. ეს „დარღვევები“ არ აფერხებს ლექსის მდინარებას იმიტომ, რომ ტერფთა დანარჩენი ნაწილი ისეთ მტკიცე რიტმულ ჩარჩოს ქმნის, რომელიც კმარა, რომ ეს გადახვევები ყურისთვის შეუმჩნეველი გახდონ“.

გ. წერეთელი, საპასუხოდ, მახვილის შესახებ თ. გამყრელიძის დეფინიციას იმოწმებს: „არ შეიძლება მახვილი რაიმე როლს თამაშობდეს სეგმენტების რეგულირების საქმეში, რადგან ქართულში მას ფონოლოგიური ღირებულება არა აქვს“.

სხვაგვარად, მახვილი ქართულში არაა სუბსტრანციური ღირებულების და ამიტომაა ყოველგვარი „გადახვევა“ ყურისთვის შეუმჩნეველი და არა იმიტომ, რომ მათი რიცხვი მცირეა, რადგან დანარჩენი ნაწილი „მტკიცე რიტმულ ჩარჩოს ქმნის“. საპირისპიროდ ამისა, „საკმარისია ამოვაგდოთ ერთი მარცვალი ყოველი მეათე სტრიქნში, ან თუნდაც ერთ შემთხვევაში, რომ იმწამსვე იგრძნოთ დარღვევა“.

ორმარცვლიანი და სამმარცვლიანი რითმების ხმარება ვეფხისტყაოსანში ძალიან კარგად აიხსნება იმ პრინციპის მიხედვით, რომელიც საფუძვლად უდევს პოემის ლექსთწყობას. ეს არის სიმეტრიული შეფარდებები გარკვეული სილაბური სიგრძის ელემენტთა შორის. „იმ სტროფებში,

რომლებიც კენტმარცვლიან სეგმენტებზეა აგებული, გვაქვს კენტმარცვლიანი რითმები, ხოლო წყვილმარცვლიან სეგმენტებთან – წყვილმარცვლიანი რითმები“ – ასკნის კამათის დასასრულს მეცნიერი.

ჩვენ შეძლებისდაგვარად სრულად გადმოვეცით 1972 წელს მწერალთა სასახლეში გამართული მეტად საინტერესო და ეპოქალური მნიშვნელობის დისკუსიის საოქმო მასალები, რომლის მიხედვით გაფორმდა და დაკანონდა ქართული ლექსის სილაბურობის თეორია, საპირისპიროდ მანამდე, რამდენიმე ათეული წლის მანძილზე გაბატონებული სილაბურ-ტონური თეორიისა.⁵

განმარტებანი:

¹ შევნიშნავთ, სილაბურ-ტონურობა გაბატონებულ თეორიად აკაკი გაწერების ძალისხმევით, განსაკუთრებით მისი ფუნდამენტური ნაშრომის „ქართული ლექსის“ გამოქვეყნების (1953 წ.) შემდგომ იქცა. მანამდელი ვითარების საილუსტრაციოდ აკაკი გაწერებისა ერთგან შენიშნავს: „დღოდაშვილი უარყოფს მისი დროის (საუბარის კ. დღოდაშვილის სტატიაზე „ქართული ლექსწყობა“ (1890წ.) ლიტერატურულ წრებში გავრცელებულ აზრს, თოთქოს ქართული ლექსთწყობის ბუნებას მარტოლდენ მარცვლების თანაბრობა განსაზღვრავდეს“.

² აქ და ყველანა, სადაც საუბარია სილაბურ-ტონურობის დამცველთა შესახებ, ძირითადად, რასაცვირველია, აკაკი გაწერების იგულისხმება, რომელიც სხდომას არ ესწრებოდა. ის ზემოაღნაშნულ მოვლენას სიტყვათა გახლების შესახებ თავისებურ ინტერპრეტაციას უძების. ის შენიშნავს ერთგარ უხერხელობას და აცხადებს, რომ „ტაქტში ტერფის ფარგლები მეტწილად ფიქციურია და არარეალური (ზოგჯერ ემთხვევა სიტყვებს შორის არსებულ ბუნებრივ, საზღვრებს, ზოგჯერ კი არა). ამდენად ტერფი და მეტრული სქემა, რომლის ელემენტები ტერფი შეადგენს, აბსტრაქციული სახეებია რიტმის ზოგადი, არარეალური ფორმისა და აუცილებელია მარტოლდენ საზომების აღწერისა და კლასიფიცირებისათვის“. მოხმობილი სტროფის ძირითადი რიტმული ტენდენცია მართლაც ქრონულია: „ნახეს ჟცხო მოყმე ვინმე…“, „ვითა გმირსა“ და ა. შ., სადაც სიტყვა არ იხლისხება სქემის საჭიროებისათვის.

³ თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აკაკი ხინთიბიძის გამოსვლა არ ყოფილა სავსებით სილაბისტური. მაგ.: „დაუკირისპირდა რა გავრცელებულ თვალსაზრისს, აკად. გ. წერეთელმა ახალი არგუმენტებით გაამდიდრა ჩვენი წარმოდგენა ვეფხისტყაოსნის ლექსის სილაბურობაზე…“ ან „თუმცა ქართული ვერსიფიკაციის შემდგომი განვითარება მიგვანიშნებს, რომ ტონურობის აბსოლუტური გამორიცხვა არც ვეფხისტყაოსნიდან შეიძლება, რომელიც ამ მხრივ ზოგიერთ საგულისხმო დეტალს შეიცავს და პოტენციალურად მაინც ქართული ლექსის საერთო სახის განმსაზღვრელია“. „ჩვენი აზრით, რეგულირებული სილაბური ლექსის მიმართება საზოგადოდ ქართულ ვერსიფიკაციასთან შემდგომი ველევა-ძიების საგანი უნდა გახდეს“. „თუკი დაისმება საკითხი – ლექსთწყობის ცნობილი სისტემებიდან რუსთველის ლექსი რომელს უნდა მიეკუთვნოს, პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს – სილაბურ სისტემას“.

ადსანიშნავა, რომ აკაკი ხინთიბიძის მოელი შემდგომი მრავალწლიანი, თავდაუზოგავი კვლევა-ძიება მეტრიკის სფეროში „ვეფხისტყაოსნის“ მისამართით წარმოთქმული ამ თეზისის მოელი ქართულ ლექსთწყობაზე გავრცელებას მიეძღვნა:

⁴ აღნიშნულ საკითხს ეძღვნება ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორ თამარ ლომიძის ბრწყინვალე მონოგრაფია „ქართული რითმის ისტორიიდან“ („მეცნიერება“ 1988 წ.), სადაც ის შენიშნავს, რომ ბუნებრივი და მეტრული მახვილი დაბალ შაირში ერთმანეთს ემთხვევა, განსხვავებით მაღალი შაირისაგან. სადაც არაიშვიათად, ცალკე აღებული სიტყვა ბუნებრივი მახვილით ბოლოდან მესამე მარცვალზე მაგ.: „ქეიტპირსა“, სარითმო წყვილების (პირსა, ტირსა, ჭირსა) მეტრული ზეგავლენით მახვილს ბოლოდან მეორე მარცვალზე ითხოვს „ქეიტპირსა“. „ამ გაუგებრიბის თავიდან ასაცილებლად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დაქტილური ბუნებრივი მახვილები, რომელებიც დაცულია დაბალ შაირში და რომელთაც არღვევებს („გადაადგილებს“) მაღალი შაირი, ასახავს ქართული ენის გვიანდელ აქცენტუაციურ ნორმებს. მაღალი შაირის მეტრული მახვილები შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც შედარებით ადრეული აქცენტუაციის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც ამჟამად აღარ შეიმჩნევა ქართულ შეტყველებაში. მეცნიერი იმოწმებს არნ. ჩიტობავას ფუნდამენტურ დასკვნებს შევლ ქართულში მახვილის სხვაგარი განლაგების შესახებ, ასევე ი. თვედორაძის ექსპერიმენტული გამოკვლევის შედეგებს და ნაშრომის დასაწყისშივე შენიშნავს: საფიქრებელია, რომ პოეტური შეტყველების აქცენტუაციური თვისებურებების საყრდენიც (ზოგჯერ მაინც) უძველესი ენობრივი მახვილებია. ამასთან, თუ „ვეფხისტყაოსნის“ მაღალი შაირის მეტრული მახვილები დაემთხვევა არქაულ ბუნებრივ მახვილებს, ეს ერთ-ერთი არგუმენტი იქნება ქართული ლექსის სილაბურ-ტონური თეორიის სასარგებლოდ“. ნაშრომის შემდეგი ნაწილი სტროფი მახვილის ლინგვისტურ-ფონოლოგიური ფუნქციის თვალსაზრისით უძველესი ენობრივი კონსტრუქციის კვლევას ეძღვნება. კვლევის შედეგები კი, ჩვენი აზრით, თავისუფლად გამოდგება ნაშრომის დასაწყისში მოქმდალებულად მოცემული თეზის არგუმენტად.

⁵ მოუხედავად იმისა, რომ ჩვენ ძირითადად თანაგურმნობთ მწერალთა სასახლეში მაშინ არსებული იდილიის სამეცნიერო პათოსს (მცირ „დარღვევების“ მიუხედავად), მაინც აღნიშნავთ, რომ ამ შემთხვევაში სამეცნიერო კონტექსტი არ იყო თვითქმარი: თავისთავად სილაბურ-ტონური ლექსთწყობა

ჩვენში ჩრდილოები მეზობლის კულტურული ინტერვენციის შედეგი გვმონაა (იხ. ჩვენივე „აკაკი გაწერელია და სილაბურ-ტონური ოქორია“), რაც დროში თანხმდება XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის, ალტერნატიული კულტურის აღმავლობას რუსეთში, რომელმაც იდეური და ფიზიკური გავრცელება პპოვა მის სამხრეთ გუბერნიაში. ამ ალტერნატიული კულტურის ქართული ნაირსახეობა იქცა მანამდე სუსტად, ძირითადად, თარგმანებში წარმოდგენილი ქართული სილაბურ-ტონური ლექსის დამკანონებლად. მოგვანებით, საბჭოთა ეპოქის დადგომაში, ხოლო შემდეგ მისმა აღმავლობამ, აქაც და ჩრდილოეთშიც, შეიწირა ამ კულტურის ესთეტიკა, ისევე როგორც მისი მატარებელი ადამიანები. სილაბურ-ტონურობის მეტრი – აკაკი გაწერელია მენტალურად ამ კულტურის პირმშო გახლდათ და ასეთადაც დარჩა. შემთხვევითი არც ის იყო, რომ ამ დისკუსიამ და ძირითადად, მისი შედეგების გაფორმების სათავე დაუდო 70-იანი წლების ცხობილ საუნივერსიტეტო დებატებს ქართული და საერთოდ პოეტური მეტყველების შესახებ. ქვემექსტი ამ დებატებისა თპოზიციური გახლდათ: მიუხედავად იმისა, რომ თითქოს აღსდგა ქართული ლექსის სილაბურ ლექსთწყობათა სისტემებისადმი კუთვნილების ისტორიული კანონზომიერება, საზოგადოებრივი აზრი არაერთგვაროვანი იყო.

Kakha Davituri

One Discussion held in the Writers Union Summary

In 1972 at the guest-house for writers a very interesting scientific discussion was held. The main speaker was academician Giorgi Tsereteli. The topic of his speech was „Metre and Rhyme in The Knight in Panther’s Skin“.

He surveyed in details a dominant theory of that time that addressed literary studies about syllabic-tonic character of Georgian verse (based on Akaki Gatsrelia’s „A Classic Georgian Verse“ according to the theory Georgian accent is not relevant, representing itself as a certain expressive factor).

The fact that in Georgian language among disyllabic words a stress comes on the second syllable from the end, while among trisyllabic words a stress comes on the third syllable from the end, facilitated some researchers to consider the Greek rhythms as the rhythmic factors of Georgian versification. According to the researcher, this attitude had been a result of confusion and rejection of characteristic features of Georgian prosody. The other part of the lecture was wholly dedicated to the review of basic tendencies of the work: 16-syllable verse of „The Knight in Panther’s Skin“ is divided into two equal parts. Each of them in turn is divided into two parts, correspondingly. In the first case we have 4/4 (high-style verse) and in the second – 5/3 or 3/5. A part of a half of a line is an independent segment. It is exactly its special content and „conduct“ that facilitates creation of the rhyme.

In conclusion the researcher noted that a syllabic character of Georgian verse in general had been mentioned before, from Mamuka Barathashvili and Ioane Bagrationi; and Georgian rhythm consists of time-length, so called cadences defined by a quantity of syllables. The tendency of syllables to be repeated in different pieces of time, independently from a number of accents being parts of a syllable and a number of prosodies within a segment, are characteristic for cadences.

In general, the analysis of the text gives the researcher a reason to conclude that units forming a metre of verse in the poem and making a huge number of proportional relations are closely connected to metric-prosodic and semantic-graphic elements. An edge of each line coincides with the part semantically and compositionally completed. A line ends where a sentence or phrase itself and edges of a segment coincide with the edges of a word. „All these complicated interrelations between syllables, words, segments, strokes and lines are based on symmetry (in high-style verse) and the golden mean (in low-style verse) that reaches the limits of perfection“, concludes the researcher.

Dr.Nodar Natadze and Dr.Akaki Khintibidze as well as Prof. Akaki Urushadze and Prof.Givi Gachechiladze, a corresponding member of Academy of Sciences Tamaz Gamqrelidze, an associate researcher at Shota Rustaveli Institute of Georgian Literature Roland Beridze and academician Alexandre Baramidze attended the discussion.

Discussion held in 1972 at the guest-house for writers was of a great importance: a theory of syllabic character of Georgian verse was acknowledged and admitted in contradiction to syllabic-tonic theory that had been dominated for dozens of years before.

მარიამ ნინიშვილი

მხატვრული ნარატივი პუბლიცისტიკაში

პუბლიცისტიკის დარგში პროფესიონალი უურნალისტების გარდა ხშირად მოღვაწეობენ მწერლებიც. დიკენსმა, ზოლამ, მარკესმა პრესაში ხანგრძლივი თანამშრომლობის შემდეგ მოჰკიდეს ხელი მწერლობას. მსგავსი მაგალითები ბევრია ამერიკულ ლიტერატურაშიც (ფიშკინი 1985: 3-6). წიგნში „ფაქტიდან გამონაგონისკენ (უურნალისტიკა და მხატვრული ნაწერები ამერიკაში)“ საინტერესო დაკვირვებებია იმის თაობაზე, თუ რა გავლენა იქნია მარკ ტევენის, უაიტმენის, დრაიზერის, ჰემინგუეის და დოს პასოსის შემოქმედებაზე მათმა ხანგრძლივმა (ზოგ შემთხვევაში 20-25 წლიანმა) პუბლიცისტურმა მოღვაწეობამ. ჩვენს ქვეყანაში ცნობილი მწერლებისა და პრესის ურთიერთობა უმეტეს შემთხვევაში საპირისპიროდ წარიმართებოდა ხოლმე — მწერლობიდან უურნალისტიკისკენ.

XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე საქართველოში თითო-ოროლა პერიოდული ბეჭდვითი ორგანო არსებობდა და უურნალისტური სარბიელი ისე ფართო არ იყო, როგორც ევროპასა და ამერიკაში, მაგრამ ჩვენ გვქონდა მდიდარი მხატვრული ტრადიციები, ამიტომ ლექსი და მოთხრობა უფრო ადრე იწერებოდა, ვიდრე პუბლიცისტური სტატია. რამდენადაც ლიტერატურას საქართველოში მკითხველის ესთეტიკური მოთხოვნების დაკმაყოფილების გარდა ერთს შემაკავშირებლის და წინამდლოლის ფუნქციაც პქონდა, უურნალისტიკაში უკვე ჩამოყალიბებული მწერლებიც ერთვებოდნენ. ნიმნდობლივია, რომ ლიტერატურულ ასარეზზე საქვეყნო აღიარების მიუხედავად, ილია ჭავჭავაძე ცხოვრების ბოლო ცამეტი წლის განმავლობაში მხოლოდ პუბლიცისტურ წერილებს აქვეყნებდა.

ერთი და იმავე ჩანაფიქრის თუ აზრის გამოხატვა მხატვრულადაც შეიძლება და დოკუმენტურადაც. პრესისთვის ორივე მისაღებია, მაგრამ, როგორც ფორმით, ისე შინაარსით, ყოველდღიური ცხოვრების დინამიკას პუბლიცისტიკა უფრო მარჯვედ უწყობს ფეხს, ვიდრე სიტყვააზმული ლიტერატურა. პრაქტიკული თვალსაზრისითაც, გაზრის ან უურნალის ორ ნომერს შორის ინტერვალში სტატიის დაწერა უფრო იოლია, ვიდრე მხატვრული თხზულებისა.

უურნალისტიკის განვითარებამ და მისმა სპეციფიკამ ამერიკის შეერთებულ შტატებში ლიტერატურის წილშივე მოახდინა ძვრები — წარმოშვა და საოცრად პოპულარული გახადა ახალი პროზაული უანრი ნოველა — ისეთი მოცულობის ნაწარმოები, რომელიც იოლად თავსდებოდა უურნალისა თუ გაზრის ერთ ნომერში. ჩვენთან იმავე პროცესმა გამოიწვია მწერლობის მიზიდვა დოკუმენტური უანრებისაკენ, პუბლიცისტიკაში მათ ჩაბმას კი მოჰყვა მხატვრული უანრობრივი ფორმებისა და გამომსახველობითი საშუალებების შემოტანა. პრესის ფურცლებზე გჩნდა ისეთი თხზულებები, რომლებიც დოკუმენტური პროზის თვისებებსაც ატარებდა და მხატვრულისასაც — ფაქტობრივად მათ ზღვარზე იყო.

მართალია, პუბლიცისტიკა ძირითადად ინფორმაციულ-ანალიტიკური მიზანდასახულობისაა და კონკრეტულ თემებსა და პრობლემებს ეხება, მაგრამ მკითხველისათვის სულერთი არ არის, რა ფორმით მიაწვდიან მას სათქმელს — რამდენად ესთეტიკური და მიმზიდვები იქნება იგი. ამიტომ გონებამახვილურმა შედარებამ, სხარტმა გამონათქვამა, ლექსიკის შერჩევამ, დახვეწილი ფორმის გამოძებნამ, მოვლენის ზუსტმა და მორგებულმა სახელდებამ უურნალისტიკაში მწერლების ჩართვის შემდეგ უფრო დიდი ფურადლება მიიპყრო. ეს პროცესები საზღვარგარეთულ პუბლიცისტიკაშიც განვითარდა, მაგრამ არა ისეთი სწრაფი ტემპით და ისე მოკლე დროში, როგორც ჩვენთან.

განსაკუთრებით ბევრი სიახლე შემოიტანა პუბლიცისტიკაში ილია ჭავჭავაძემ. თავისი სტატიებისათვის იგი მრავალფეროვან ფორმებს ირჩევდა. ფელეტონი „სხარტულა“ არის დაწერილი პიესის სახით, რომელშიც ორი პერსონაჟი მონაწილეობს — რედაქტორი და მისი რაინდი ბაქია. პირველი უურნალ ცისკრის რედაქტორს — ივანე კერესელიძეს განასახიერებს, მეორე კი — ანტონ ფურცელაძეს, რომელიც ქრელი ბექას ფსევდონიმით წერდა. თხზულებას აქვს

საგმაოდ ვრცელი სასცენო რემარკები – დეკორაციის აღწერილობა და მინიშნებები ამა თუ იმ ფრაზის „წარმოთქმის დროს საჭირო ემოციურ დატვირთვაზე“. სიუჟეტი გამოგონილია. მისი ხორცშესხმისთვის გამოყენებულია მრავალფეროვანი მხატვრული ხერხები, მაგრამ ჩანაფიქრი პუბლიცისტურია. იგი მიზნად ისახავს უურნალ „საქართველოს მოამბის“ მიმართ „ცისკრის“ თანამშრომელთა მტრული განწყობის სარკასტულად წარმოჩენას.

სიტუაციის კომიზმის ჩვენების მიზნით მწერალი სხვა ფორმებსაც მიმართავს. სტატია „აბავი ყბადასაღები და წყალწასაღები“ წარმოსახვით რეპორტაჟს „ტიფლისსკის ლისტოკ“-ის რედაქციიდან, სადაც თითქოსდა მიძღინარების ნიკო ნიკოლაძისთვის „ბელინსკიბის“ მინიჭების საზეიმო აღნიშვნა. ტექსტში ჩართულია ამ თავყრილობაზე წაკითხული დეპეშები, რომლებიც დოკუმენტურობის იმტირების მიზნით გამოგზავნის ზუსტი დროის აღნიშვნით იწყება და პირადი წერილებისათვის დამახასიათებელი დასასრულის პაროდიზირებით მთავრდება: „ზოილი და ვანუა – ღვთის მადლით – მშვიდობით ბრძანდებიან“.

იმის გამო, რომ წერილში „ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე“ ავტორი თავისი ოპონენტების – მიხეილ და ივანე მაჩბლების საჯარო გამოსვლებს უპირისპირდება, თავდაც ლექციის ფორმას იჩჩევს და ნოდარ ტაბიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „კათედრაზე შემდგარს კათედრიდანვე ეპაერება“ (ტაბიძე 1998: 114). როგორც საჯარო გამოსვლის სპეციფიკა მოითხოვს, სტატია იწყება საზოგადოებისადმი მიმართვით: „მოწყალენო ქალბატონებო და მოწყალენო ბატონებო. მე არ ვიცი, როგორ აღმოვთქვა, რა სიხარული ჰდულს და გადმოდის ეხლა ჩემს გულში, რომ გხედავთ ამდენს ბრწყინვალე გვამს, აյ მობრძანებულს ჩემდა სასმენად“ (ჭავჭავაძე: 400). ტექსტს სარკასტულ იერს აძლევს ენის არქაულობაც.

ასევე სრულად მიზანდასახულად ირჩევს ილია ჭავჭავაძე ფორმას წერილისათვის „გომართელის ფილოსოფია და არჩილ ჯორჯაძის ფსიქოლოგია“. რამდენადაც სტატია ოჯახის სიმტკიცისა და მნიშვნელობის შესახებ პრესაში გამოთქმულ ეჭვებს უპირისპირდება, ავტორი მას მეუღლისათვის გაგზავნილი წერილის სახეს აძლევს და ოპონენტთა დასკვნებს აბათილებს მკითხველისათვის იმის წარმოჩენით, თუ სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს მსგავსმა აზრებმა. სიუჟეტი და ტაბაჟი აქაც, ისევე, როგორც ზემოთ განხილულ სხვა წერილებში, გამოგონილია, მაგრამ მიზანი კვლავ კონკრეტული – უურნალ „კვალში“ დაბეჭდილი რამდენიმე წერილის გამოხმაურება, რომლებშიც მწერლის აზრით სიბრძნე და სიცრუე ერთმანეთში იყო არეული.

წმინდად პუბლიცისტური მიზანდასახულობით ამ წერილებიდან არ გამოირჩევა „ორხმიანი საახალწლო ოპერეტი“, რომელიც ილიას გალექსილი ფორმით აქვს დაწერილი. მასში მონაწილეობენ გიორგი წერეთელი, ზოილი, სილოვან ხუნდაძე, ილია ხონელი და სხვა რეალურად არსებული პირები. თითოეული მათგანის „სოლო პარტიას“ მოყვება „ხოროს“ გამოსვლა, რომელიც წინამორბედის ნათქვას აფასებს და ზოგ შემთხვევაში სრულიად აქარწყლებს. ის, რომ მოქმედი პირები აქ საკუთარი სახელებით ან ყველასათვის ცნობილი ფსევდომიმებით არიან შემოყვანილნი, ტექსტის პუბლიცისტურ უღერადობას კიდევ უფრო აძლიერებს. ამ ნაწარმოებსა და ზემოხსნებულ „სხარტულას“ შორის ფორმის, გამომსახველობისა და მიზანდასახულობის თვალსაზრისით უფრო მეტი მსგავსებაა, ვიდრე განსხვავება, მაგრამ დღესდღეობით ერთი მხატვრულ თხზულებად არის მიჩნეული და აკადემიურ გამოცემაში ლექსების გვერდით იბეჭდება (ჭავჭავაძე 1987: 161), მეორე კი – დოკუმენტურ პროზად და შესაბამისად პუბლიცისტიკის ტომში აქვს მიჩნილი ადგილი (ჭავჭავაძე 1991: 135). მთლიანად პუბლიცისტური უღერადობისაა ცნობილი „გამოცანებიც“.

ილია ჭავჭავაძის ნოვაციებს ბევრმა სხვა მწერალმა აუბა მხარი. დღიურის ფორმა აქვს აკაკი წერეთლის სტატიას, რომელიც „დროების“ 1875 წლის 24 იანვრის ნომერში დაიბეჭდა და სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებულ მოკლე ჩანაწერებს აერთიანებს. სიზმარ-ცხადის სახით არის წარმოიდგენილი სტატია „ბოდვა“ (დროება 1875: 21 მარტი), წერილში „გმილისალმება“ კი სათავადაზნაურო ბანკის გარდაცვალება და მისი დატირებაა პაროდიზებული. პუბლიცისტიკაში გამოგონილი სიუჟეტის შემოტანა, მხატვრული ტაბაჟის შემოყვანა და ახალი ფორმების ძიება XIX საუკუნის ქართულ პრესაში თანადათანობით ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

ცალკე დაკვირვებას იმსახურებს ილია ჭავჭავაძის, ვაჟა ვეჟალასა და აკაკი წერეთლის მხატვრულ-პუბლიცისტური წერილების ციკლები რეალისტური პროზას მსგავსი გამოგონილი ტიპაჟის – სფირიდონისა და თადეოზის, მამუკასა და ექვთიმეს, ივანიკასა და გოჯასპირის

მონაწილეობით, რადგან ეს სტატიები მათი ანონიმურობის გამო (ჭრელაშვილი 1981: 39; ლეკიშვილი 1969: 175) დიდხანს არ შედიოდა მათი ავტორების თხზულებათა მრავალტომეულებში, კრიტიკოსთა ყურადღების არეალში მხოლოდ ატრიბუციის კუთხით ექცეოდა და სტილისა და ფორმის თავისებურებების თვალსაზრისით შეუსწავლელი დარჩა.

მხატვრულ-პუბლიცისტური ტიპაჟი – სფირიდონი და თადეოზი იღლიამ თავის ნაწერებში პირველად 1863 წელს შემოიყვანა ციკლში „სფირიდონისა და თადეოზის ბასი“. როგორც სათაურიდანაც ჩანს, წერილებს დიალოგის ფორმა აქვს.

ფილოსოფიური, მორალისტური და სხვადასხვა აქტუალური თემების განსახილველად დიალოგს ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში მიმართავდნენ. ამის ყველაზე ცნობილი მაგალითი პლატონის დიალოგებია, სადაც უცვლელი მონაწილის – სიკრატეს თანამოსაუბრები განსხვავებული მსოფლმხედველობის, ფილოსოფიური აზროვნებისა და ცხოვრებისეული თვალსაზრისის მქონე ადამიანები არიან. დიალოგების მეშვეობით პლატონი ერთი მხრივ წარმოაჩენს თავისი მასწავლებლის ფილოსოფიურ შეხედულებებს სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მეორე მხრივ კი ხატავს იმდროინდელი სოციალური წრებისა და საზოგადოებრივი აზრის მთელ სპექტრს. თემების მონაცვლეობას განაპირობებს სიტუაციისა და თანამოსაუბრის შეცვლა, რაც სიუჟეტის განვითარების მსგავს ფუნქციას ასრულებს, ქმნის ტექსტის დინამიურობას და მას საინტერესო წასაკითხს ხდის.

ტიპური სახეების შექმნის და დიალოგური ფორმის არჩევისას ილია ჭავჭავაძე მსგავს ამოცანას ისახავს მიზნად – გვაჩვენოს აზრთა ჭიდილი და დაპირისპირებული შეხედულებების მქონე ადამიანთა სახეები, მაგრამ კონკრეტული მიზნდასახულობიდან გამომდინარე მას არ სჭირდება თანამოსაუბრეთა ასეთი ფართო სპექტრი. ამიტომ არჩევანს აკეთებს ორ ტიპურ სახეზე, რომლებიც იმ დროისათვის ყველაზე აქტუალური თემების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილე ჯგუფებს – მამათა და შვილთა ბანაკებს განასახიერებენ. მათი დიალოგების წარმოჩენით მწერალი გვაჩვენებს ორივე მხარის შეხედულებებს.

სფირიდონი ახალგაზრდა, პროგრესულად მოაზროვნე, განათლებული კაცია, რომელიც საინტერესოდ საუბრობს სხვადასხვა საკითხებზე და კარგად ერკვევა მოვლენების არსები. მას უყვარს სამშობლო და განიცდის მისთვის პრობლემურ ყველა საკითხს, აქვს დახვეწილი მხატვრული გემოვნება, აბსტრაქტული აზროვნებისა და განსჯის უნარი. მისი ლექსიკა არ არის გადატვირთული სამეცნიერო ტერმინებით, მაგრამ ეტყობა განსწავლულობა. მისი ბიძა თადეოზი კი ძველი თაობის წარმომადგენელია. მასაც უყვარს თავისი ქვეყანა და აინტერესებს მიმდინარე პროცესები, მაგრამ უჭირს „ცისკარში“ დაბეჭდილი სტატიების არსება და ლირებულებებში გარკვევა. ამ ხანდაზმული კაცის მეტყველებაში ხშირია არქაზმები. იგი ვერ ეგუება არა მარტო ახალ ლექსიკას, არამედ ყოველივე ახალს.

მართალია, ნაწარმოების მიზანდასახულობა პუბლიცისტურია, მაგრამ ტიპაჟის სახეთა წარმოსაჩენად მწერალი ძალიან მნიშვნელოვან შტრიხებს გამოკვეთს. მაგალითად, თადეოზს ათემევინებს: „ჩემი გულგრილობით ისე მოვუარე ჩემს თავს, რომ ეხლა ჯანზეც კარგათა ვარ და ღონეზედაცა“. გულგრილობის ხარჯზე სიმშვიდის და ჯანმრთელობის შენარჩუნება ადამიანის ღირსებად, რა თქმა უნდა, ვერ ჩაითვლება. თადეოზს შეჩერები ჭირი ურჩევნია შეუწეველ ლხინს. მისი ამგვარი განწყობა ჩანს „ცისკრის“ შესახებ ნათქვამიდან: „ოღონდ „ცისკარი“ იყოს და როგორიც გინდა იყოს“. მოხუცი ვერ ეგუება კრიტიკას და უკაყოფილობას გამოთქვამს: „რა არის, კრიტიკებით ამსეს ეს უურნალი.“ თადეოზის დევიზია: „განა ჩვენ არ გვესმის, მაგრამ ჩუმად ვაროთ“. ეს აზრები და განწყობა სრულიად მიუღებელი იყო ილიასთვის და თუმც აქ პირდაპირ კომენტარებს არ აკეთებს, საუბრისას წარმოჩენილი ნააზრევით თავად ახასიათებინებს თადეოზს საკუთარ პიროვნებას.

სფირიდონი ბიძაზე ნაკლებად არ აფასებს ტრადიციებს, მაგრამ მათი ბრმად მიმდევარი არ არის. ის ცდილობს თავისიც და სხვისიც – ყველაფერი ობიექტურად შეაფასოს. მაგალითად, ახალი ცნებების აღსანიშნად უცხო სიტყვების შემოტანას საჭიროდ მიიჩნევს და არც ენაში უკვე არსებულ ნასესხობებზე უარის თქმის მომხრეა, რადგან უცხო სიტყვებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ნებისმიერი ხალხის ლექსიკაში და მათ გარეშე ენა „კალიისგან მოჭმულ ყანას“ დაემსგავსებოდა. აქაც, ისევე როგორც ბევრ სხვა საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებებში, მნელი არ არის თვით ავტორის დამოკიდებულების შეცნობა.

პუბლიცისტურ სივრცეში მხატვრული ტიპების შემოყვანით ილიამ საშუალება გამონახა აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით ორი განსხვავებული მხარის აზრები და პოლემიკა ერთი წერილის ფარგლებშივე წარმოეჩინა. „ბაასის“ თემები იმის მიხედვით არის შერჩეული, თუ რა პრობლემების ირგვლივ იყო გაჩაღებული კამათი ამ ორ ბანაკს შორის. ესენია: მამულის სიყვარული, უურნალის ავ-კარგი, ლიტერატურის დანიშნულება, სათარგმნი მასალის შერჩევის პრინციპი და სხვ.

ყველა ის საკითხი, რაც „სფირიდონისა და თადეოზის ბაასია“ განხილული, მწერალმა ადრეც წამოჭრა დოკუმენტურ პუბლიცისტურ წერილებში, მაგრამ იქ მკაცრი, მეცნიერული ტონი ჰქონდა არჩეული, აქ კი ყველა პრობლემას მშვიდად და გამარტივებულად განიხილავს, ალბათ იმიტომ, რომ დიალოგები ბევრად უფრო მსუბუქი წასაკითხი გაეხადა სწორედ თადეოზის მსგავსი მკითხველისათვის. წერილების მიმზიდველობას ისიც განაპირობებს, რომ მონაწილეებს მასში განსხვავებული შეხედულებების გარდა სხვადასხვაგვარი მეტყველება და განწყობა შემოაქვთ.

„საქართველოს მოამბეში“ „სფირიდონისა და თადეოზის ბაასის“ სამი წერილი დაიბეჭდა, 80-იან წლებში კი მწერალმა პაექრობას პირადი წერილების სახე მისცა. („წერილები გადაღმითგა“, 1886–1890). ეპისტოლარული ქანრიც ხანგრძლივი ისტორიის მქონეა. იგი თავდაპირველად პოპულარული გახდა შილერის, პასკალისა და მონტესკიეს თხზულებებით და გვევდება როგორც დოკუმენტურ, ისე მხატვრულ ნაწერებში. წერილების სერია პუბლიცისტიკაში აკტორს საშუალებას აძლევს დროის ნებისმიერი ინტერვალის შემდეგ ბუნებრივად წამოჭრას ახალი თემები და წარმოგვიჩინოს მათზე განსხვავებული აზრები.

როგორც დიალოგის, ისე მიმოწერის ფორმის არჩევისას ავტორები ძირითადად ერთი რომელიმე პერსონაჟის პირით გადმოგვცემენ საკუთარ დამოკიდებულებას, თავის ნაცვლად მას ამტყველებენ. ასეთი ილიასათვის სფირიდონია. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მიმოწერაში მთავარი როლი მას დაეკისრა. ყველა წერილი სფირიდონის მიერ არის დაწერილი და მათშივეა ინფორმაცია თადეოზის პასუხების შესახებაც. ავტორმა დიალოგიდან მიმოწერაზე გადასვლის ფაქტს სიუჟეტური ახსნა მოუძენა, ვითომდა თადეოზი მოხუცდა, ქალაქში ველარ ჩამოდიოდა, ბიძა-მმისწული ერთმანეთს ვერ ხვდებოდნენ და საუბრებიც ამიტომ აღარ იმართებოდა, მაგრამ რეალურად მწერალს დასჭირდა ცოტა უფრო ვრცელი და ჩაღრმავებული მსჯელობა, რასაც წერილის ფორმა უკეთ დაიტევდა.

80-90-იან წლებში ილიას მიერ ნაცად ხერხს ვაჟა-ფშაველამაც მიმართა. მან „ივერიაში“ გამოაქვეყნა ეპისტოლარული ფორმით დაწერილი სტატიების სერია, რომელშიც შემოიყვანა ტიპაჟები – მამუკა და ექვთიმე. („წერილი მეგობართან“, 1889–1893) სტატიები ამ სახელების ხელმოწერით იძებლებოდა, რის გამოც ავტორი დიდხანს იყო დაუდგენელი.

მამუკასა და ექვთიმეს სახელებშიც იმდროინდელი საზოგადოების ცალკეული წრებია განზოგადებული. სფირიდონისა და თადეოზისგან განსხვავებით ისინი ერთი თაობის წარმომადგენლები არიან, ერთად სწავლობდნენ და ერთნაირი განათლება მიიღეს, მაგრამ ცხოვრების წესი და მიზანდასახულობა რადიკალურად განსხვავებული აქვთ. მამუკასთვის მთავარი ეროვნული ღირებულებებია, ექვთიმესთვის კი – პირადი კეთილდღეობა. პირველი სწავლის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა, რომ თავისი ცოდნა ქვეყნისთვის მოეხმარა, მეორე კი რუსეთში დარჩა კარიერის შესაქმნელად. მამუკას წერილები თავიდან შვიდი, კეთილგანწყობილი კილოთია დაწერილი, მაგრამ ბოლო ორ ბარათში ურთიერთობა ძალიან მწვავდება. მხატვრული სიუჟეტის მსგავსად გარკვევით იკვეთება კვანძის შეკვრა და გახსნა. ექვთიმეს შესახებ მოულოდნელად ვიგებთ ბევრ ისეთ რამეს, რაც მასზე წარმოდგენას გვიცვლის. თურმე ის ბავშვიაბში ამხანაგებს ფულს პარავდა ტებილეულის საყიდლად, სტუდენტობისას ესირცხვებოდა მამის ღარიბული ჩაცმულობა და მაღლავდა, რომ მისი შვილი იყო. ექვთიმე ოცდათი წლის ასაკშიაც კი უმწიფესარა და ჩამოუყალიბებული დარჩა, დიდკაციით და ჩინ-ტედლებით მოპქონდა თავი და ჭეშმარიტი ღირებულებების ფასი ისევ არ იცოდა, სულ კანტის და ჰეგელის ხსენებაში იყო, მაგრამ სინამდვილეში არცერთი არ ჰქონდა წაკითხული.

ყოველივე ამას მამუკა წერს, მაგრამ ექვთიმეს პასუხიდანაც დასტურდება ბრალდებების მართებულობა. ის თავადაც არ უარყოფს ამ ფაქტებს, მაგრამ მაინც სჯერა, რომ სწორ გზას ადგას, კმაყოფილია საკუთარი წარმატებით და ქედმაღლურად უყურებს ყველას.

წერილების თემატიკას აქაც განაპირობებს არჩეულ ტიპაჟთა ინტერესების სფერო. ამ შემთხვევაში იგი მოიცავს საკითხებს სათავადაზნაურო ბანკის, პოლიტიკური მიმდინარეობების, ქართველთა ნიპილისტობის, ეროვნული თვითშეგნების არქონის, კარიერიზმის, ზნე-ჩეულებების, მშობლიურ ენაზე სწავლების აუცილებლობის და სხვ. შესახებ. წერილებში შიგადაშიგ ჩართულია ლექსები, რომელთა დიდი ნაწილიც განსახილველი საკითხებიდან გამომდინარეობს და სპეციალურად სტატიებისთვის დაწერილი ჩანს.

მამუკასა და ექვთიმეს მიმოწერა მათი შეხედულებების, მიზანდასახულობისა და ხასიათების გარდა განსხვავებულია ენით და სტილითაც. პირველი ჩეულებრივ სალაპარაკო ენაზე წერს და ხშირად იყენებს ქართულ ანდაზებს, მეორეს წერილები კი აჭრელებულია რუსული ფრაზებით. ვფიქრობთ, ეს სტატიები საინტერესო წასაკითხი იქნებოდა მკითხველისათვის, განსაკუთრებით, კვანძის მოულოდნელი გახსნით.

90-იან წლებშივე მხატვრული ტიპაჟები და სიუჟეტის მსგავსი მონახაზი თავისი პუბლიცისტური წერილების ციკლში აკაკი წერეთელმაც გამოიყენა („სახუმარო გასართობი“, 1893–1897). მანაც, ილას პირველი ციკლის მსგავსად, დიალოგის ფორმას მიმართა. ეს ფელეტონებიც ხელმოუწერელი იყო და მათი ატრიბუცია ცნობილ ტექსტოლოგს, ლევან ჭრელაშვილს ეკუთვნის.

იმის გამო, რომ ამ პერიოდში ბანკის საკითხებთან დაკავშირებით გამწვავებული იყო დაპირისპირება დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს წარმომადგენლებს შორის, მწერალმა დიალოგის მონაცილებად ამ მხარეთა ტიპური წარმომადგენლები აირჩია – ივანიკა და გოჯასპირი. კამათის ტონი არც აქ არის ცხარე და ორი პერსონაჟიდან უფრო აქტიურია ის, რომელიც ავტორისეულ პოზიციას იცავს. ამ შემთხვევაში ეს არის ივანიკა. პერსონაჟთა სამეტყველო სტილი მნიშვნელოვნად განსხვავებულია ერთმანეთისგან. აღმოსავლელი გოჯასპირი ძირითადად სალიტერატურო ენაზე მეტყველებს, ივანიკას საუბარში კი უხვადაა დასავლური დიალექტიზმები და დამახინჯებული ნახესხები სიტყვები, მაგ.: „მარა“, „მიჩიკინებს“, „რაცხა“, „ლედახტორი“ და სხვ.

დიალოგებიდან ჩანს როგორც პერსონაჟთა პირადი პრობლემები, რაც წმინდად მხატვრული გამონაგონია, ისე რეალური საზოგადოებრივი ვითარება. ხშირად არის გაკრიტიკებული გაზეთი „ივერია“ და სათავადაზნაურო ბანკი, ეჭვია გამოთქმული საგაზეთო რეკლამების სანდოობაზე, ბანკის ხელმძღვანელობის უანგარობაზე და სხვ.

პუბლიცისტური ჩანაფიქრის განსახორციელებლად აქაც არის გამოყენებული მხატვრული სიუჟეტური მონახაზები. მაგ. იმის დასამტკიცებლად, რომ „ივერიის“ რეკლამებს მკითხველი არ უნდა ენდოს, აღწერილია, ვითომ ივანიკა და გოჯასპირი ერთად შევიდნენ რეკლამირებულ დუქან „პურ-ლეინოში“ და აღმოაჩინეს, რომ იქ არცერთი საჭმელი არ ვარგოდა.

სტატიებში მწერალი იყენებს სხვადასხვა ტროპებს, განსაკუთრებით ხშირად – პიპერბოლას და ალეგორიას. ბანკის ხელმძღვანელობას უცხო ცხოველებად – ოხტიოზავრად და პლეზიოზავრად, სხვაგან კი ღორკუდეიდ და გოჭკუდეიდ წარმოაჩენს და სარკასტულად აღწერს მათ ორთაბრძოლას. ყოველივე ეს გაფორმებულია აკაკისთვის დამახასიათებელი სატირულ-იუმორისტული სახეებით და შესაბამისი ლექსიკით, რის გამოც წერილები მსუბუქად იკითხება.

ეს ფელეტონები ფორმით უფრო კოლორიტულია, ვიდრე ილიასა და ვაჟას მსგავსი ციკლები და პერსონაჟთა მეტყველების თავისებურებებიც უფრო მკაფიოდ არის გამოკვეთილი, მაგრამ ნაკლებ ინფორმაციული და ანალიტიკურია. მათში მხატვრული ელემენტები ჭარბობს პუბლიცისტურს და უხვად არის პოეტური ჩანართებიც. მიუხედავად ამისა, ვერ ვიტყვით, რომ ამ სამ ციკლს შორის ფორმის ან მიზანდასახულობის თვალისაზრისით მნიშვნელოვანი განსხვავება იყოს. სამივეგან არის გამოგონილი სიუჟეტი და პერსონაჟები, მიზანი კი პუბლიცისტურია.

სასურველია, რომ XIX საუკუნის პრესაში გამოქვეყნებული წერილების ეს სერიები, ისევე, როგორც გამოგონილი სიუჟეტის და ტიპაჟების შემცველი სხვა სტატიები, თეორეტიკოსთა სპაციალური კვლევის საგანი გახდეს და მოხდეს უანრის იდენტიფიკაცია. უნდა გაირკვეს, არის თუ არა მართებული მათი აღრევა დოკუმენტურ პუბლიცისტიკასთან და მწერლების თხზულებათა აკადემიურ გამოცემებში დაუცალკევებლად დაბეჭდვა.

მსგავსი საკითხების გადაჭრის აუცილებლობა მეცნიერებს აღრეც დაუნახავთ. 1970 წელს ქალაქ ივანოვოში სპეციალური კონფერენცია ჩატარდა მხატვრულ-დოკუმენტური უანრების

პრობლემათა შესახებ (მხატვრულ-დოკუმენტური უანრები 1970) საუბარი იყო კლასიფიკაციაზე, ახალ უნიტერ წარმონაქმნებზე, მათ ურთიერთქმედებებზე, ტიპიზაციაზე, ხასიათების გახსნის და სტილის თავისებურებებზე, მხატვრულობის კრიტერიუმებზე და სხვ.

სამეცნიერო ფორუმზე გაკეთდა საინტერესო დასკვნები: ა) მხატვრულ-დოკუმენტური უანრების კვლევა დროის ისტორიულ ჭრილში, საზოგადოებრივ მოთხოვნებთან და ლიტერატურის განვითარების კანონზომიერებებთან კავშირის გათვალისწინებით უნდა წარმოებდეს (კუპრიანოვსკი 1970: 4), ბ) ნარკვევი, მემუარები, ბიოგრაფია და ავტობიოგრაფია მიეკუთვნება ეპოსს, დღიურები და ეპისტოლარული ლიტერატურა კი – ლირიკას (ცვაგი 1970: 7). გ) ტერმინი მხატვრულ-დოკუმენტური ლიტერატურა აღნიშნავს ან ნამდვილი და გამოგონილი მასალების ურთიერთშეთავსებით თხრობის ორგანიზების განსაკუთრებულ საშუალებას ან ნაწარმოების განსაკუთრებულ ფუნქციას, რომელიც ერთდროულად ატარებს ისტორიულ-შემცენებით ინფორმაციას და მხატვრულ შინაარსს. დ) მხატვრულ-დოკუმენტური ლიტერატურა თანამედროვე ლიტერატურულ ვითარებაში ჩამოყალიბების აქტიურ პროცესში მყოფი მხატვრული სტილია, რომლის სპეციფიკაც არის დოკუმენტალიზმის გამოყენება ესთეტიკური მიზნებისათვის. ე) ამ ტიპის ლიტერატურაში კონკრეტული ფაქტები სახეების მნიშვნელობას იძენს, რეალურ მოვლენათა სისტემა ეპიკურ სიუჟეტად იქცევა, პირადი განსჯა და ავტორ-მთხრობელის ასოციაციები – ლირიკულ სიუჟეტად, საზოგადოებრივი ძალების შეჯახება, რეალურ ადამიანთა დაპირისპირება და ავტორ-მთხრობელის სულში მიმდინარე შინაგანი ბრძოლა კი – თხზულების კონფლიქტებად. ვ) მხატვრულ-დოკუმენტური სტილის ნაწარმოებში ფაქტობრივი სიზუსტე თვითმიზანი არ არის. იგი მხატვრული ზემოქმედების დომინანტური საშუალება (ლეიდერმანი 1970: 12-15). ზ) აქ ფაქტები გარდაიქმნება ხატ-იდეებად და ხატ-პერსონაჟებად, რომლებიც მჭიდრო კავშირშია თვით ავტორის ხატთან და ა ქმნის ლირიკო-ეპიკურ სამყაროს. სიუჟეტის მხატვრულ-დოკუმენტურ ხასიათს ჰარმონიულად ერწყმის ცალკეული გამოგონილი სიუჟეტური განშტობები, რომლებიც, მართალია, ჯერ შორდებიან მას, მაგრამ შემდეგ ისევ უბრუნდებიან. თ) მხატვრული დოკუმენტალობა არის არა მხოლოდ სტილის ელემენტი, არამედ ფორმადქმნადობის პრინციპი, რომელიც აღწევს ტექსტის ყველა სტრუქტურულ კომპონენტში (ზახაროვა 1970: 33-35).

კონფერენციის მონაწილეთა უმრავლესობა აქცენტირებას აკეთებდა მხატვრულ დოკუმენტალისტიკასა და ჩვეულებრივ პუბლიცისტიკას შორის არსებულ განსხვავებებზე, მაგრამ იყო სხვაგვარი მოსაზრებებიც, მაგალითად, XIX საუკუნის მხატვრულ დოკუმენტალისტიკაზე საუბრისას მიხაილოვამ აღნიშნა, რომ ფელეტონებში ტიპიზაცია ხორციელდება არა თვით ფაქტში, არამედ ფაქტის არჩევაში, გააზრებასა და მოწოდების ფორმაში. იგი წერს: „სწორედ იმიტომ, რომ დოკუმენტალურობა, როგორც ფელეტონის ტიპოლოგიური ნიშანი წარმოადგენს უანრის მხატვრული სტრუქტურის ელემენტს, გამოგონილი ფაქტები და სახეები, რომლებიც შემოტანილია ფელეტონის ქსოვილში, აღიქმება, როგორც ყოველდღიური, დოკუმენტური, სარწმუნო ფაქტების კანონზომიერი განზოგადება. ამ ასპექტში ფელეტონი არის დოკუმენტური უანრი და მისი დაყოფა ბელეტრიზებულად და პუბლიცისტურად ძალზე პირობითია“ (მიხაილოვა 1970: 43).

ამ მოსაზრებას დავთეთნებებით თუ არა, მხატვრულ პუბლიცისტიკას სპეციფიკური კვლევა მაინც სჭირდება. ჰერსეის აზრით (ჰერსეი 1981: 208), არ შეიძლება, რომ რაღაც ერთდროულად რომანიც იყოს და პუბლიცისტიკაც. ყველაზე მნიშვნელოვანი ნიშანი აღბათ მაინც მოტივაციაა.

ვფიქრობთ, საინტერესო იქნება მთელი ამ მასალის შესწავლა ნარატოლოგის კუთხით, რადგან ზემოთ განსხილულ წერილებში თხრობითი დისკურსიც და სიტუაციურიც, ორივე გამოგონილია, დოკუმენტურია მხოლოდ თხრობითი აღსანიშნი და ისიც არა ყოველთვის. რაც მთავარია, დოკუმენტური პუბლიცისტიკასან განსხვავებულია თხრობის ფოკუსი.

უანრობრივი იდენტიფიკაციის სირთულეს მხოლოდ მხატვრულ პუბლიცისტიკაში არ გაწყდებით. ჩერნეცის აზრით, XIX და XX საუკუნეების ლიტერატურაში თავი იჩინა უანრობრივი დაყოფის ატროფიის ტენდენციამ. მწერლები სულ უფრო იშვიათად იყენებდნენ მკვეთრად რეგლამენტირებულ სტრუქტურებს, რადგან ისინი აღიქმებოდა ანაქრონიზმებად. ეპოსშიც, ლირიკაშიც და დრამაშიც წამყვანი ადგილი დაიკავა ისეთმა სინთეზურმა ფორმებმა, რომლებიც მნელი მისაკუთვნებელი იყო რომელიმე უანრისათვის (ჩერნეცი 1964: 351).

ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდა XX და XXI საუკუნეების მიჯნაზე. თუ „აფრიკის მწვანე მოებში“, ჰემინგუეი მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ (ჰემინგუეი 1935: III), ცდილობდა

შეექმნა რაღაც შუალედური ჟურნალისტიკასა და მხატვრულ გამონაგონს შორის, მოგვიანებით დოქტოროუმ განაცხადა: „უკვე აღარ არსებობს ცალკე მხატვრული ლიტერატურა და ცალკე არამხატვრული – არის მხოლოდ ნარატივი“ (დოქტოროუ 2001:).

ფიშკინის აზრით: „მოვიდა დრო, რომ მოიხსნას საზღვრები, რომლებიც ერთმანეთისგან აცალებებს ჟურნალისტიკისა და მხატვრული ლიტერატურის შემოქმედთა სამყაროებს“ (ფიშკინი 1985: 9). მეცნიერი ამას ფაქტისა და გამონაგონის ქორწილს უწოდებს. ლენარდ დევისის თვალსაზრისით ეს საზღვრები არც იმთავითვე ყოფილა მყარი, რადგან ჟურნალისტიკასა და რომანს მისი თქმით საერთო ძირები აქვს მე-16 – მე-17 საუკუნეების განუყოფელი დისკურსის მქონე ლიტერატურაში (დევისი 1983: 51). ნორმან სომსი და მარკ კრამერი მხატვრული პუბლიცისტიკის (Literary Journalism) ერთ-ერთ პირველ წარმომადგენლად დანიელ დეფოს მიიჩნევენ. ნოშანდობლივია მარკ კრამერის ნახევრად იუმორისტული დეფონიცია (კრამერი 1995:). იგი ლიტერატურული პუბლიცისტიკის ფორმას უწოდებს „შეიცნობ, როცა დაინახავს“ (you-know-it-when-you-see-it).

შესაძლოა, ერთი მხრივ ლიტერატურაში შეჭრილმა დოკუმენტალისტურმა ნაკადმა და მეორე მხრივ პუბლიცისტიკაში გადმოხერგილმა მხატვრულმა ელემენტებმა ერთობლივად შეუწყო ხელი თანამდეროვე ეპოქაში სხვადასხვა დისკურსთა შორის საზღვრების მოშლას. მხატვრული პუბლიცისტიკის კვლევა საინტერესოა იმ კუთხითაც, რომ პისტორიუმის დიდი წნით ადრე სწორედ მის ფარგლებში მოხდა ფაქტისა და გამონაგონის შერწყმა.

დამოწმებანი:

დევისი 1983: Lennard, Davis. *Factual Fictions: The Origins of the English Novel*. New York: Columbia University Press, 1983.

დოქტოროუ 2001: Doctorow, E. L. *New York Times Book Review*. განთავსებულია 2001 წლის 13 სექტემბერს. <http://WWW.wordspy.com/WAW/Doctorow-E.L....asp-22k>.

დოროჸა 1875: გაზით „დოროჸა“. 1875, 24 იანვარი; 21 მარტი.

ზახაროვა 1970: Захарова Т. Дневник писателя Ф. М. Достоевского, как художественно-документальное произведение. Художественно-документальные жанры (Вопросы теории и истории; тезисы докладов на межвузовской научной конференции. г. Иваново: 1970.

კრამერი 1995: Kramer, Mark. *Breakable Rules for Literary Journalists. Literary Journalism. Documentary Studies, Journalism and Non-fiction*. New-York: Ballantine Books, 1995. განთავსებულია 1995 წლის 1 იანვრიდან. <http://WWW.nieman.harvard.edu/narrative/digest/essays/breakablerules-Kramer.html-47k>.

კუპრიანოვსკი 1970: Куприяновский П. В. Некоторые вопросы теории и истории художественно-документальных жанров. Художественно-документальные жанры (Вопросы теории и истории; тезисы докладов на межвузовской научной конференции. г. Иваново: 1970.

ლეიდერმანი 1970: Лейдерман Н. Л. К вопросу о художественности в документальном повествовании. Художественно-документальные жанры (Вопросы теории и истории; тезисы докладов на межвузовской научной конференции. г. Иваново: 1970.

ლეკიშვილი 1969: ლეკიშვილი ს. ვაჟა-ფშაველას უცხომი პუბლიცისტური წერილების სერია „ივერიას 1889-1893 წწ. ფურცლებზე“. ქ. მნათობი, 1969, №1. „საუბარო ვასართობი“. გაზ. კვალი, 1893, № 37-52; 1894, №1, 1896, №19; 1897, №23,42.

მიხაილოვა 1970: Михайлова Л. Документальность как художественный элемент жанровой структуры фельетона. Художественно-документальные жанры (Вопросы теории и истории; тезисы докладов на межвузовской научной конференции. г. Иваново: 1970.

მხატვრულ-დოკუმენტური ჟანრები 1970: Художественно-документальные жанры (Вопросы теории и истории; тезисы докладов на межвузовской научной конференции. г. Иваново: 1970.

ტაბიძე 1988: ტაბიძე ბ. ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკა. 1988; წერილები გაფაღმოთვას. გაზ. ივერია, 1886, №261; 1889, №25, 88, 273; 1890. წერილი მევობართას. გაზ. ივერია, 1889 №154,254. 1890, №50,71,85, 113, 118, 147, 165. 1891, №170. 1892, №251. 1893, №142.

- ფიშკინი 1985:** Shelley Fishkin, Fisher. *From Fact to Fiction (Journalism and Imaginative Writing in America)*.
The Johns Hopkins University Press, Baltimore and London: 1985.
- ჩერნეЦ 1964:** Чернец Л.В. *Теория литературы, Основные проблемы в историческом освещении. Роды и жанры литературы*, М.: 1964.
- ცვაიგი 1970:** Цвайг Г. М. *Развитие жанров художественно-документальной литературы. Художественно-документальные жанры (Вопросы теории и истории; тезисы докладов на межвузовской научной конференции*. г. Иваново: 1970.
- ჭავჭავაძე 1953:** ჭავჭავაძე ი. თხზულებანი ათ ტომად. ტ. III, 1953.
- ჭავჭავაძე 1987-1991:** ჭავჭავაძე ი. თხზულებანი მც ტომად. ტ. 1, თბ.: 1987; ტ. 5, თბ.: 1991.
- ჭრელაშვილი 1981:** ჭრელაშვილი ლ. უკრნაც „საქართველოს მთამბეჭა“ და გაზეთ „იურიაში“ სფინქსის ჩიტორელის ფსევდონიმით გამოქვებული ნაწერების ატრიბუტის საკითხები. ქართული უკრნალისტიკა. 1981.
- ჰემინგუეი 1935:** Hemingway, Ernest. *Green Hills of Africa*. New York: Charles Scriber's Sons; 1935.
- ჰერსეი 1981:** Hersey. *John april comment at Poynter Fellowship symposium at Yale*. 1981.

Mariam Ninidze

Imaginative Narrative in Journalism

Summary

Many great writers have done a lot of work not only in fiction but in journalism as well. Those who started with publicity and then became writers have succeeded in introducing realistic elements into fiction. Others who began with literature and chose journalism only afterwards, enriched documentary style with imaginative elements. Journalistic activity of the XIX century famous Georgian writers: Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli and Vaja-Pshavela is rather interesting from this point of view. Great number of their newspaper essays and series of articles have plots and fiction-like, typical characters. They must be classed as literary journalism or realistic fiction and should be studied accordingly.

There is considerable difference between literary journalism and the so-called narrative journalism. Therefore we consider that in the academic editions of the writers' heritage such articles should be published in a volume separate from the ordinary, documentary material.

რევაზ სირაძე

„იდგნენ და ელოდნენ“, „დგანან და ელიან“

„ქართული მწერლობის ამირანი“ – ვაჟა-ფშაველა, გულით მღეროდა, გულამომჯდარი ეხვეწებოდა მშობლიურ მთებს:

„რატომ არ მღერით, მთებო?!!...“ ვაჟა-ფშაველას „მთანი მაღალნი“ (1895 წ.) ხშირად მოთხოვდა ითვლება, არადა თავისი სახისმეტყველებით უფრო ლირიკული შინაარსისაა, პროზაული ფორმის ლირიკაა... მაგრამ ეს ცალკე საკითხია.

დემა შენგელაია წერდა:

„რა არის ეს? მოთხოვდა თუ ღალადისი?

ვაჟა-ფშაველა თითქოს მანფრედის სამყოფელში დამკვიდრებულა და რაღაც უნახავი მართლაც უნახავს...

... თუ „გველისმჭამელი“ გასაღებია ვაჟას პოეზისა, „მთანი მაღალნი“ ასევე გასაღებია პროზისა“ (შენგელაია 2003: 528-529).

ტიციან ტაბიძე აღნიშნავს: „სრულიად განცალკევებული ადგილი უჭირავს ვაჟას შემოქმედებაში პროზას... ვაჟა-ფშაველასგან მეტი რომ არ დარჩენილიყო, გარდა „მთანი მაღალნისა“, მას მაინც უნდა დარჩენოდა დიდი მწერლის სახელი. ეს არის ერთი გაუთავებელი საგალობელი და ბუნებაში გადაწინობა. ჯერ არსად არ დალაპარაკებია მწერალი მთას ასეთი ენით“ (ტაბიძე 2003: 347).*

ნიშანდობლივია, რომ თუმცა ორივე ავტორის მიერ „მთანი მაღალნი“ პროზად ითვლება, მაგრამ არსებითად ამ ნაწარმოების ლირიკული ნიშნებია მითითებული: „ღალადისი“ (დ. შენგელაია) და „საგალობელი“ (ტ. ტაბიძე).

მოკლედ, ჩევნთვის საჭირო ექსცერპტებით გავიხსენოთ „მთანი მაღალნი“: „იდგნენ და ელოდნენ. უსაზღვროა მთების მოლოდინი; უსაზღვრო ზღვადა სდგას იმათ გულში, წითლად, სისხლისფრად შედედებული უთიმოშიმებთ გულ-მკრდში, გარეთ სახეზე კი არაფერი ეტყობათ, გარდა მტერობისა. ეს არის კიდეც ნიშანი მოლოდინისა. ვინ რა იცის, რა ამბავია მთების გულში, რა ცეცხლი სდულს და გადმოდის.

მთებო! რას ელით, ვის ელით, ნუთუ გყავთ სატრფო დიდიხნის უნახავი? იქნება შვილი დაჰკარგეთ? იქნება ძმა, ან დედა გყავთ შორს წასული და არაფერი ამბავი მოგვსლიათ? პასუხი არ ისმის. სდგანან წარბშუხრელად. ელოდენ, ელიან და კვლავ ექნებათ მოლოდინი. რა დააშრობს იმათ გულში იმ მოლოდინის ზღვას? არა აქვს იმას ბოლო, არც დასასრული, როგორც ღვთაებას არა გაქვთ აზრი? იდეა? გრძნობა? არ ოცენებობთ? როგორ არა! მაშ, რაა ის მშვენიერი ყვავილები, თქვენ რომ გულ-მკერდს გიმშვენებთ? ეგაა თქვენი ოცნება, იმედი, ნუგეში. რად იბურავთ თავს ხშირის ნისლებით, თუ ჩუმ-ჩუმად რასმე არა ჰყიქრობთ და მაგ ფიქრს არ გვიმალავთ ადამიანის შვილებს?!...

სდგანან და ელიან, წვიმა წვიმს იმათ თავზედ, ელვა უტუსავს ოქროს ქოჩორს, მეხი ეთამაშება იმათ თვალებს და ხშირადაც ერჭობა ისარივით გულ-მკერდში... არაფერია ეგრევ, თუ კლდე და ლოდები მაინც ელიან. წადით, ვისაც არ გინდათ ჩევნთან მაღლა, ცის ახლოს ყოფნა, დაბლა განისვენეთ.

სდევს თოვლს. ჰყინავს. ცივა. ქვა ტყვრება, მთებს სუდარი ჩაუცვამთ. . .

სდგანან და ელიან... ელიან ვის? ან რას? რაღაცას. დიაღ, რაღაცას! ეს რაღაცაა უნახავის დანახვა“ (ვაჟა-ფშაველა 1993: 164-165).

ჩევნი მიზანია წარმოვაჩინოთ ვაჟ-ფშაველას „მთანი მაღალნის“ ორი წყარო: 1. ევსევი ალექსადრიელის (V ს.) „პვირიაკეს“ საკითხავი და 2. გოეთეს მთათა ბუნების გააზრება „მოგზაურობიდან იტალიაში“.

* დ. შენგელაიას და ტ. ტაბიძის მოსაზრებანი მოგვაწოდა პროფ. იუზა ევგენიძემ – რ. ს.

ამთავითებ შევნიშნავთ:

ამ შემთხვევაში წყაროზე საუბარი ტრადიციული გაგებით პირობითია. პირდაპირი სახით მათგან ვაჟა თითო-ოროლა (თუმცა ძალზე საყურადღებო) დეტალს იყენებს. ალბათ, უფრო უპრიანი იქნება მოვიხმოთ პოსტმოდერნიზმის მიერ გააქტიურებული „ინტერტექსტუალური“ წაკითხვა. ეს მეტი შედეგის მომტანი ჩანს.

არც ერთი ამათთაგანი ვაჟას ზემოაღნიშნული, ან, სხვა რომელიმე ნაწარმოების წყაროდ საერთოდაც არ დასახელებულა.

აღნიშნული „წყაროები“ არაა მოხსენიებული იმ მკვლევარებთანაც-კი, რომელთა მიერ საგანგებოდა განხილული ბურების ვაჟასეული გააზრებები, ან თუნდაც, თვით – „მთანი მაღალნი“ (გრ. კინაძე, მ. კვესელავა). მ. კვესელავას ცნობილ წიგნში „ფაუსტური პარადიგმები“ ქვეთავიცაა: „მთანი მაღალნი“, მაგრამ ეს სახელდება უფრო მეტაფორულია, „ფილოსოფიური მეტაფორაა“. აქ ხშირადაა საუბარი გოეთესა და ვაჟას თვალსაზრისთა სიახლოვეზე, თუმცა არა ჩანს აღნიშნული „წყარო“ „იტალიაში მოგზაურობიდან“. აქ მნიშვნელოვანი მინიშნებაა: „გოეთე ამბობდაო: ზედვა ამავე დროს ფორმის მიცემაო“ (კვესელავა 1961: 86).

თ. შარაბიძე წერს: „ვაჟა არ განმარტავს, თუ რას ნიშნავს დანახვა, არ იძლევა მის კონკრეტულ წარმოდგენას. როგორც გრ. კინაძე აღნიშნავს, „მის თხზულებაში ფაქტები, მოვლენები და საგნები დგანან ჩვენს წინაშე და არა – პოეტის პზრი მათ შესახებ. ვაჟა-ფშაველა კი არ ასკვნის და აფასებს, არამედ ზედავს და ამაშია მისი, როგორც ხელოვანის თავისებურება“ (შარაბიძე 1996: 2).

ქართულად ნათარგმნია ევსევი აღექსანდრიელის შემდეგი საკითხავები: „შობისათვის“, „ნათლისღებისთვის“, განკაცებისთვის“, „კვირიაკესათვის და უწესოდ მომღერალთათვის“, „ყოველთა მოწამეთათვის“, „შობისათვის ითანესა“ (კეკელიძე 1957: 42-43). პ.-გ. ბეკი საუბრობს მისი პომილეტაური ნაწარმოებების „ლიტერატურულ ხასიათზე“ (ბეკი 1959: 400).

ევსევი აღექსანდრიელის საკითხავი „კვირიაკესათვის“ ქართული თარგმანის ორი ვარიანტი პირველად გამოსცა თორნიკე ჭყონიამ (ხელნაწერთა 1960: ...).

თ. ჭყონიას დასკვნით, თარგმანები X საუცუნებდება შესრულებული.

ევსევი აღექსანდრიელის (V ს.) საკითხავის „კვირიაკესათვის“ ბოლო გამოცემაა თამილა მგალობლიშვილისა „კლარჯულ მრავალთავში“ (მგალობლიშვილი 1991: 281-285). აქ ნათქვამია (მოგვყავს კუპიურები): „ესე კვირიაკე არს დღის მოსახსენებელი უფლისად, რომელსაცა საუფლო ეწოდების... ესე არს დასაბამი მკუდრეთით აღდგომისად... ერთი ესე დღე მოგუეცა ჩუენ ლოცვისათვის და განსუენებისათვის... მოიხსენენ მსხურაპლისა მას ზედა რომელ-იგი პირველ ჯმულ იყვნენ მშობელნი იგი შენი და მმანი და ნათესავნი და თესლ-ტომნი იგი შენი“ (გვ. 281). „ლოცვასა და ზიარებასა დეგ და ჰებდომა... არა მძიმე არს შენდა დგომა და ლოდებაო, არცა ზამთარი გაჭირებს შენ... მრავალნი დგანედ და მოელიედ მრავლითა წადიერებითა დღესა კვირიაკესა...“ (გვ. 282). (ზოგიერთ მუშაკი) „ვერ ხელ-ეწიფებინ ზე ახილვად და განსუენებად, არამედ დგან და ელინ იგი დღესა მას კვირიაკესა“ (გვ. 284).

როგორია შეხვედრები ევსევი აღექსანდრიელის საკითხავთან „კვირიაკესათვის“?

1. ამ მცირე საკითხავში პირველ აღმსარებლობით ნაწილში (გვ. 282) შვილჯერაა ამ ტიპის ფრაზები: „დგანან და ელიან“ თუ „იღენენ და ელოდნენ“: (იქვე: „დგანედ და ელიედ“). „ხელო ლოცვასა და ზიარებასა დეგ და ჰებდომა... კიდრე ეკლესისა განტევებამდე“ (გვ. 282). იუდაო „არა ელოდა და ჰებდო ლოცვასაო“ (გვ. 282). „არა მძიმე არს შენდა დგომა და ლოდებაო, არცა ზამთარი გაჭირებს შენ მუნ შიდა, არცა ცეცხლი, არცა სხუად რა გუემა“.

ამ საკითხავში მოლოდინი საღვთო მოლოდინია, რასაც განაპირობებს თვით აღდგომის კვირესთან დაკავშირებული განცდა, რამდენადაც აღდგომა საყოველთაო აღდგომის წინაგანჩინებაა.

ვაჟას ნაწარმოებში სამჯერაა ზემოაღნიშნული ტიპის შესიტყვება და თუ რას გულისხმობს ისინი, ამავე ტექსტიდან ჩანს: მოები „ელიან, ვის? ან რას? რაღაცას. დიაღ, რაღაცას. ეს რაღაცაა უნახავის დანახვა“. ამ მოლოდინსაო არა აქვს ბოლო, „არც დასასრული, როგორც დვთაებას“.

ორივე ნაწარმოებში მოლოდინი საღვთო იმედს უკავშირდება და იმედითა გამსჭვალული.

ალბათ, არც ისაა შემთხვევითი, რომ საღვთო მოლოდინი დაკავშირებულია მასთან და ალბათ, არც ის, რომ მთებს თავს დასთამაშებთ არწივი, სიმბოლო ამაღლებისა.

რაც შეეხება გოეთეს ნააზრევს მთებზე, რომლებიც ალპებს უკავშირდება, ძირითადად ვიყენებთ მ. ბახტინის თარგმანს, თუმცა ვითვალისწინებთ სხვა რუსულ თარგმანსაც და გერმანულ დედანსაც.

აქ გავიხსნებთ კარგად ცნობილ და ხშირად მოხმობილ მოგონებას სვ. სალარიძისა: „ერთ დღეს ვაჟა-ფშაველა მესტუმრა, როცა ვგითხულობდიო ბარატინსკის ლექსის „გიორგის სიკვდილზე“ (აქვე მოტანილია ამ ლექსის სტრიქონები, რომლებიდანაც ჩანს, თუ რაოდენ ესმოდა გოეთეს ბუნების მოვლენათა საიდუმლოებანი). ამის მოხმენაზეო „მთელი მთა სიხარულისა ამოსკდა ლუკას გულიდან, ციბრუტივით ტრიალებდა ჩემს ოთახში და გაიძახოდა: „აი, ჩემი სარკე, მე ვიპოვე ჩემი თავი“. ლუკა, ეს ჩანასახშივე გენიალური ნიშნების გლეხი, ბუნების შეგრძნობასა და გაგხაში ორივე ფეხით იდგა სპინზას პანთეისტურ თვალსაზრისზე და ღმერთად მიაჩნდა სამყაროს გასულიერებული სუბსტანცია“ (სალარიძე 1967: 292).

გ. გაჩეჩილაძე ვაჟას მთების მარადიული დუმილი მოლოდინს დაუკავშირა და ვაჟასავე არსებითი სიტყვებით გასცა პასუხი კითხვას - რას ელიან მთები? ესააო რაღაც და „ეს რაღაცაა „უნახვის დანახვაო“ (ესა ვაჟას სიტყვები) (გაჩეჩილაძე 1986: 45 მარადიული დუმილი მოლოდინიაო. „აწ ესერა ჰგიეს: „სარწმუნოებად, სასოებად, და სიყუარული“ (I კორინთ., 13,13).

ადრეც აღვნიშნეთ, რომ დუმილის საკითხი „სხვადასხვა დროის ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად შეიძლება გააზრებულიყო. დუმილში განცდის თავისებურება გააზრებული აქვს შავთელსა და ბარათაშვილს, ტიუტჩევსა და მალარმეს... გიორგი მერჩულისთვისაც კი დუმილია უმაღლესი სიბრძნე. განცდის უმაღლესი ფორმაა დუმილში განცდა“... (სირაძე 1975: 42).

გ. ბახტინი განიხილავს დრო-სივრცულ (ქრონოტოპულ) მთლიანობას გოეთეს ნაწარმოებებში. ყურადღებულია გოეთეს „უნარი, დრო იხილოს და ამოიკითხოს სამყაროს სივრცულ მთლიანობაში“ (ბახტინი 1979: 204). გოეთესთანაც და ბახტინთანაც ეპმირიული რამაა „ნილვადი დრო“ და არა მეტაფორა. „ერთ-ერთ მწვერვალს ისტორიული დროის ხილვისა მსოფლიო ლიტერატურაში მიაღწია გოეთემ (ბახტინი 1979: 205), წერს ბახტინი. ეს მოამზადაო XVII ს.-ის განმანათლებლობამ (ბახტინი აქვე ითვალისწინებს ანტიკურსა და რენესანსულ ტრადიციებს). გავიხსნოთ ვივალდის „წელიწადის დრონიც“ (რომელიც სულ ბოლო ხანს ძალზე გაპოპულარულდა საბალეტო დადგმებითაც კი). გოეთეს მიხედვით, ლიტერატურა მხატვრული ხედვაა ისტორიული დროისა.

გ. ბახტინი წერს (ქვეთავები: „დრო და სივრცე გოეთეს ნაწარმოებებში“): „Вот небольшая иллюстрация к этому“ „видению становления“ из „Путешествия в Италию“. Когда мы смотрим на горы, вблизи или издалека, и видим их вершины то сверкающими на солнце, то окутанными туманом, то среди бушующих грозовых туч, под ударами дождя, или покрытыми снегом, - мы относим это все за счет влияния атмосферы, потому что ее движения и изменения мы хорошо подмечаем и видим простым глазом. Напротив, горы для наших внешних чувств остаются неподвижными в своем исконном виде. Мы считаем их мертвыми, тогда как они застыли, мы думаем, что они бездействуют потому, что они пребывают в покое. Но же с давних пор я не могу удержаться, чтобы не приписывать большую часть атмосферных изменений именно их внутреннему, тихому, тайному воздействию (XI 28)“ (ბახტინი 1979: 209).

გ. ბახტინი დასძებს: „Ведь горы для обычного наблюдателя – сама статика, воплощение неподвижности и неизменности. На самом же для горы вовсе не мертвые, они только застыли, они вовсе не бездейственны, но только кажутся такими, потому что покоятся, отыхают“ (ბახტინი 1979: 209).

მთის მაცოცხლებელი არის შინაგანი პულსირება. ეგვევ განსაზღვრავს არა მარტო თვით მთის, არამედ მისივე შემოგარენის ცვალებადობას. პულსირება ცვალებადობაა, მაგრამ თავადაც ცვალებადია, ხან ნელღება, თითქოს, კვდება, ხან-კი ძლიერდება.

ამგვარად, ვაჟა-ფშაველას „მთანი მაღალი“ უკავშირდება ორ ტექსტს:

1. გოეთეს „იტალიაში მოგზაურობას“, რომლის მიხედვით მთებში არის ცხოველმყოფელი ძალა, რასაც ფარავს მათი მდუმარება და სიწყნარე (მსგავსადაა გააზრებული გოეთე ბ. ბახტინთანაც).

2. ევსევი ალექსანდრიელის პომილეტიკურ თხზულებას ვაჟა-ფშაველას „მთანი მაღალი“ უკავშირდება ორმხრივ: ერთია მარადიული საღვთო მოლოდინი, ხოლო, მეორეა ლექსიკა:

„საკითხაგში“ რამდენჯერმე მეორდება „დგანან და ელიან“, რაც აგრეთვე გამოხატავს სწორედ მარადიული მოლოდინის იდეას.

დამოწმებანი:

გოეთი 1981: გეთე ი. ვ. *Собрание сочинений*. Т. XI, М.: ХЛ, 1980, с. 14-15; *Goethes Werke*. Berlin und Weimar: 1981. s. 16.

ბახტინ 1979: ბაქტინ მ. მ. *Эстетика Словесного творчества*. М.: 1979.

ბექი 1959: ბექი პ.-გ. წგ-ში: *Kirche und Theologische litteratur in Byzantinischen Reich*. Munchen: 1959.

გაჩეჩილაძე 1986: გაჩეჩილაძე გ. არასიტუციერი კომუნიკაცია მხატვრულ ლიტერატურაში. მისსავე წგ-ში: სულიერი გამოცდილების სამყაროში, თბ.: „მერანი“, 1986.

ევსევი ალექსანდრიელი 1991: საკითხავი კვირიაკესათვის. კლარჯული მრავალთავი (რედ. თ. მგალობლიშვილი), 1991.

ვაჟა-ფშაველა 1993: ვაჟა-ფშაველა, მთანი მაღალნი. თხზულებანი. ტ. IV. თბ.: გამომცემლობა „საქართველო“, 1991.

ქიქელიძე 1957: ქიქელიძე კ. ეტიუდები. V, თბ.: 1957.

კვესელავა 1961: კვესელავა მ. ფაუსტური პარადიგმები. წიგნი II. 1961.

მგალობლიშვილი 1991: მგალობლიშვილი თ. (რედაქტორი). ევსევი ალექსანდრიელი, საკითხავი კვირიაკესათვის. კლარჯული მრავალთავი. თბ., 1991.

სალარიძე 1967: სალარიძე სვ. ვაჟა-ფშაველა ლიტერატურისა და ხელოუნების შესახებ. თბ.; 1967.

სირაძე 1975: სირაძე რ. ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები. თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა; 1975.

ტაბიძე 2003: ტაბიძე ტ. ვაჟა ფშაველა (შემდგ. ი. ევგენიძე, ლ. მინაშვილი, ჯ. ჭუმბურიძე). თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა; 2003.

შარაბაძე 1996: შარაბაძე თ. მთა – ქრისტიანული სახე-სიმბოლო (ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მიხედვით). გაზ. მცხეთა, 5, IV; 1996.

შეგელაძე 2003: შეგელაძა დ. მთების სიმღერა // ქართველი მწერლები ვაჟა-ფშაველას შესახებ (შემდგ. ი. ევგენიძე, ლ. მინაშვილი, ჯ. ჭუმბურიძე). თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2003.

ხელნაწერთა 1960: ევსევი ალექსანდრიელის სიტყვა „კვირიაკესათვის და უწესოდ ძოძურალთათვის“ ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. II, 1960.

Revaz Siradze

Sources of Vazha-Pshavela's "High Mountains"

Summary

Vazha-Pshavela's „High Mountains“ is one of the best texts of this genial Georgian writer. We consider that this text might be analysed in the frame of intertextuality, and a special reading methodology, which was actualized by Postmodernism.

After the close analysis of the content and lexical resources of Vazha-Pshavela's text, we can conclude that Vazha-Pshavela's „High Mountains“ is “connected” with two texts: Goethe's „Journey to Italy“ and Eusebus of Alexandria's homiletic work.

1. According to Goethe's „Journey to Italy“, mountains bear the vivifying strength which is concealed by their silence and quietness (Mikhail Bakhtin similarly analyses Goethe). The same symbolic solution we have in Vazha-Pshavela's text;

2. With Eusebus of Alexandria's homiletic work Vazha-Pshavela's „High Mountains“ is connected in two ways: one is the eternal divine expectation and the other is lexis: in „Reading“ the phrase „they stand and wait“ is repeated several times that also represents the idea of eternal expectation.

შოთა ბოსტანაშვილი

ურიდოდ და უდერიდოდ

ვთარებით ბრუნვაში წარმოდგენილი ეს სათაური ტექსტშიც თავისი თავის აღწერის ინტენციით ვითარდება, მაგრამ შეიძლება თვითკმარი ღირებულებაც ქონდეს. თავად ტექსტი კი ჩემი ერთგვარი ღირებულების აქციის გაგრძელებაა „უანრებს შორის მოშლილი საზღვრების აღილზე“. მას წინ უძღვდა: „უსახსროდ და უროსინანტოდ“ (გაზეთი „24 საათი“ 8.X.2002); „საზღვრების კონფლიქტი და ურბანული კონფლიქტის საზღვრები“ (უკრაინი „კავკასიის მაცნე“ IX.2003); „ურაბლოდ“ (გაზეთი „კალმახობა“ №3, 2004). აღნიშნულ ტექსტებში „ნაპოვნი სავნებივთ“ ან/და „მოპარული ობიექტებივთ“ „ჩაშენებული“ ფოტო-სახლები ავილე – ტექსტის ტერიტორია გაყათავისუფლე „სახლის“ ასაშენებლად.

„სახლი“ სემანტიკური გოლიათია არამარტო ერთეულ ფოტო-სახლებთან, არამედ ყველა, ერთად აღებულ, აშენებულ და ასაშენებელ სახლთან მიმართებაში. აი, ამ გოლიათზეა ღობარაკი.

„უ – „უნი“ ხმიანი ასო არს და ართონი უმრავლესთა და თავად მოვალს ყოვლისა უქონელობისა, ვითარცა უღიოდ, უცხენოდ, უმამულოდ... ესრუთ ყოველთა სიტყვათა ზედა მოვალს“. (საბა).

უ – ს ანალიგიურია ლათინური თავსართი „de“, რომელიც აღნიშნავს: 1. გამოყოფას, მოშორებას, მოსპობას, უკუგდებას; 2. დაღმავლობას, დაქვეითებას.

უ – ონტოლოგიური სიცარიელეა, სიტყვათშორისი უსიტყვობის, ხარვეზის ნიშანია (знак пробела);

- უ – სიტყვამდელი და ნასიტყვარი ადგილია;
- უ – უჯამოა, უამმიღმური და უამგამოღმური;
- უ – მეტაფიზიკაა;

უ – ქართული დაო? აი ეს არის სადაო და ამავე დროს სადერიდაო.

დაო, რომელიც შეიძლება გამოისახოს, არ არის მუდმივი დაო, რადგან ნებისმიერი ნიშანი საზღვარია და ვერ ასახავს დაოს უსაზღვრობას.

- უ – ფონემა და გრაფემა;
- უ – მხოლოდ და მხოლოდ საზღვარია, – არაჩეულებრივი საზღვარი;
- უ – საზღვარია ორ უკიდურესობას შორის;
- უ – არამარტო უქონელობას, არამედ აღმატებულ ქონებასაც აღნიშნავს.

ამ საქმეში მას ბოლოსართებიც ეხმარებიან. მაგ.: უ – წმინდ – ური

უ – წმინდ – ესი

უ – ს ქრონოტოპში ხვდებიან ერთმანეთს საკრალური და პროფანული. (რას შვებიან ეს აფიქსები და სუფიქსები?! სრული მონოპოლია აქვთ ნებისმიერი ტექსტის სივრცეში. აი გლობალიზაცია ამას ქვია).

უ, დაო – უდაოდ არ არის და არც ლათინურ *de*-სთან მიმართებაშია მეტა.., მაგრამ *de*-ზე მეტია.

უფრო მეტი ამ საკითხებზე სპეციალისტებმა იციან, თუმცა მუდამ რჩება რაღაც, – „იგი არ უწყის გრამატიკოსმა არც კიდევ მისმა სქელმა წიგნებმა“ – ასე იტყოდა აპოლინერი. (აი, ვინ აუქმებდა საზღვრებს და სასვენ ნიშნებს ვინ არ სწყალობდა).

იმავე პოეტურ ტექსტშია ეს სტრიქონებიც:

...ო ეს ენები ისე მოძველდნენ რომ ცალი ფეხი სამარეში უდგიათ უკვე

და ამ ენებზე პოეზიაში თუ განავრძობენ ისევ საუბარს
ან ჩვეულების ტყვენი არიან ანდა აკლიათ გამბედაობა...

ენის მოძველებასთან დაკავშირებით მოვუსმინოთ უაკ დერიდას, მეოცე საუკუნის დასასრულის ფრანგ ფილოსოფოსს, პოსტსტრუქტურალისტს: „...მე ისეთი გრძნობა მაქს, რომ ყველაფერი რასაც ვაკეთებ, ხელჩართული ბრძოლაა ფრანგულ ენასთან, ბობოქარი, მაგრამ პირველყოფილი ხელჩართული ბრძოლა, სადაც არსებითა სასწორზე შეგდებული.

არსებითში იგულისხმება ჭეშმარიტი თავისუფლება..., როდესაც შევეწინააღმდეგებით იმ აზრს, რომ რეალობის არსი რაღაც ჭეშმარიტებაშია, რაც მისი სისტემის გარეთ მდებარეობს“ (უაკ დერიდა). ამ თეზაში არა მარტო უ და დაო სადაო და სადერიდაო, არამედ ყველა მეტაზიზმური ფენომენი: ეფოსი, არსე, ტელოსი, ენერგია, ალეთია, ტრანსცენდენტი, ცნობიერება და სინდისი, ღმერთი, ადამიანი და ა.შ.

დერიდას მსოფლგანცდის ცენტრალური დისკურსი მეტაფიზიკასთან საზღვრების გაუქმებაა. ეს წინადაღება უფრო მართალი და გამა/როტული რომ გახდეს საზღვრებს რიდები ჩავანაცვლოთ.

რიდე — პირბადე, დაფარულის, ერთსახის — უნივერსალური ეპისტემის სემანტიკური რიგიდან მოხმობილი კონოტაციაა და ერთდროულად ტოპოსის პარადიგმაა — ზედაპირია. ზედაპირის აღწერა, როგორც სიღრმის დისკურსის კრიტიკა, რიდეს ორმაგ კოდს ანიჭებს.

რას წარმოიდგენდა დეკოსტრუქციის ავტორი და ავტორიტეტი, რომ სადღაც სხვაგან — ქართული ენის სივრცეში გადატანილი მისი გვარი ისეთ დეკონსტრუქციას განიცდიდა, რომ მისივე შემოქმედების მთავარ სიტყვად დერიდე (რიდების ჩამოხსნად, მოშორებად) წარმოსდგებოდა.

უფრო მეტიც, რიდეების* მოშორება ამავე დროს რ/იდების მოშორებაა, იდების მოშორება კი დეკონსტრუქტივიზმის არსია. ეს არსი არ მდგომარეობს ერთი რიგის იდების მიერ მეორეთა განდევნაში, არამედ იდეურობის, როგორც აქტიური ისტორიული ფაქტორის ამოწურვაში — ისტორიის წარმოების მეტაფიზიკური ტექნოლოგიების დასასრულში, როცა რეალობისაგან განყენებული იდეა რეალიზდება ისტორიაში.

მაშასადამე (ჰმ?..): იდეა — საზღვარი, საზღვარი კი რ/იდეა.

ამრიგად, ორმაგი კოდის შე/მცველი და ძველი რ/იდები პოსტსტრუქტურალიზმის ქართულენოვან ნიშნად წარმოსდგება და ამავე დროს პოსტსტრუქტურალიზმის თეზა: ზედაპირის ძილმა ისევ ზედაპირია, პერიფრაზირდება: რ/იდების ძილმა ისევ რ/იდებია.

განცხადება იდეურობის ამოწურვის შესახებ იმდენადვე განეცუთვნება იდეათა რიგს, როგორც რეალობას და შეიძლება ყველაზე უფრო დიდ (უდიდეს) მეტანარატივად წარმოსდგეს.

ვგონებ, დეკონსტრუქცია ეწინააღმდეგება რა ერთის გაბატონებას, ვერ ზღუდავს ცალკეულ ერთეულთა სიმრავლის ტოტალურობას — ახალ გაბატონებას.

ამ მსჯელობის კვალობაზე საბჭოური ნარატივის დასასრული, როგორც ენდიზმის კულტურა, შესაძლებელია ერთდროულად სხვა, ახალი გაბატონების პროტოკულტურული პარადიგმა აღმოჩნდეს.

აშკარად წინმსწრები იდეურობით დამუხტული სიტყვაა იქნება!

ამ პათოსის დეკონსტრუქცია წარმოსდგება სიტყვით: იქნებ?..

პირველში მომავალი მოიაზრება, როგორც თხრობითი ან/და ბრძანებითი კილო (თუ რა უნდა იყოს). აქ აწმოზე ძალადობის მუდმივი დისკურსია.

მეორეში მომავალი მოიაზრება, როგორც კავშირებითი კილო, — ამოუწურავ შესაძლებლობათა ასპარეზი.

პირველი — ავტორიტარული ნარატივია,

მეორე — ლიბერალურ-დემოკრატიული.

როგორც ჩანს მათ შორისაც მოშლილია რ/იდები და უკიზო რეჟიმია.

ნათესაობით ბრუნვაში რიდე (რიდით) ახალ კონოტაციას იძენს.

რიდით (მორიდებით, განრიდებით) — ეთიკის სივრცესაც მო/იცავს, აფაროვებს რიდეურიდობის იმპერიის საზღვრებს და დამატებითი კოდებით ამდიდრებს. ასე მაგალითად (ესეც მამასადამესა ჰგავს): საკრალური და პროფანული გამიჯნულია რიდით. მონუმენტალური

* დ. ანდრიაძეს აქვს წერილი „რიდეების სეზონი“ (გამოფენის მიმოხილვა).

ნარატივია. მასში რამდენიმე კოდია (საზღვარი, განრიდება, განსხვავებული იდეები). უფრო მეტიც – პარადოქსია, მაგრამ საკრალური და პროფანული არა მარტო გამიჯნულები, არამედ გამიჯნურებულებიც არიან ხშირად (აյ უკვე სოციალური ნარატივია).

ეს რაც შეეხება ტექსტის სივრცეებს. რა ხდება სივრცულ ტექსტებში? უბრალოდ – ურბანულ სხეულში; როგორ პოულობენ საერთო ენას ენა და ქალაქი, სიტყვა და სახლი.

საზღვრების კონფლიქტი და ურბანული კონფლიქტის საზღვრები

ურბანული კონფლიქტი გლობალური მოვლენაა, – ხუროთმოძღვრულ ლოკალში კი არქიტექტურული ქსოვილისა და ნაქსოვის ტექსტურის აღრევისა და გარღვევის შემთხვევაა, რომლის ინტენცია ტენდენციაზე მიუთითებს, – კანონის ტრადიციულ საზღვრებს აუქმებს და განსხვავებულს ამკვიდრებს. ამ პროცესის საზღვარი (რიდე) ახალი ქსოვილია – ახალი საზღვრებია (რ/იდეებია). ჩვენ პროცესის დასაწყისში ვიმყოფებით.

ურბანული კონფლიქტი ხუროთმოძღვრული დიალოგის გამწვავებული ფორმაა; არქიტექტურული კონტექსტიდან ამოგარდნა; შემოქმედებითი შედეგის – ვიზუალური ხედის და კარგვაა; სურათის დარღვევაა და ნიშანთა სისტემის მოშლაა; სხვა სახეების შექმნა და წარმოქმნაა; სხვა სახელების დამახებაა – სწორედ ეს უკანასკნელი აინტერესებს წინამდებარე წერილს. ერთი რამ კი ამთავითვე უნდა გავარჩიოთ: კონფლიქტი, როგორც სტიქტური მოვლენა (ჩვენი სამშენებლო პრაქტიკა) და კონფლიქტი, როგორც კონცეპტუალური მოვლენა – ფარსი, თამაში (ჩვენში უფრო კულტურული იმპორტი). სტიქტური მშენებლობა და მშენებლობის სტიქია – ორივე სახეზეა. ამჯერად კონცეფციებს დავუგდოთ ყური.

ურბანული კონფლიქტი შეიძლება წარმოვადგინოთ როგორც ხელოვნების და სოციაკულტურული სისტემების სემიოლოგიის ინტერესთა სფერო, – სადღეისოდ განვრცობილი დეკონსტრუქტივისტული პრაქტიკის ერთ-ერთი კერძო შემთხვევა.

დეკონსტრუქტივიზმი და პოსტმოდერნიზმი, როგორც პოსტსტრუქტურალისტური დისკურსი, ემიჯნება რა მეტაფიზიკას, საზღვრების (რ/იდეების) მოშლას, მათ განადგურებას ეფუძნება. “არაფერი არ არსებობს ტექსტის გარეთ” – აცხადებს უკ დერიდა და თავად ფილოსოფიასაც ლიტერატურულ უანრად განიხილავს.

საზღვრების კულტუროლოგიური მნიშვნელობა კლასიკურ ფილოსოფიაში განსხვავებულია. გასული საუკუნის 20-იან წლებში მ. ბახტინი აღნიშნავდა, რომ „კულტურის ყველაზე დაძაბული და ნაყოფიერი სიცოცხლე გადის მისი ცალკეული სფეროების საზღვრებზე (რ/იდეებზე), არა იქ და არა მაშინ, როცა ეს სფეროები იკეტებიან თავ-თავიანთ სფერიუკაში“. განსჯისათვის ორი განსხვავებული თეზაა – ბინარული ოპოზიციის ახალი პარადიგმა: საზღვარი-უსაზღვრობა (რიდე-ურიდობა).

საზღვარი (რიდე) სტრუქტურალისტური ცნებაა, იგი გულისხმობს საზღვრის (რიდის) გადალახვის (დარღვევის) ინტენციას; ურიდობა – მოურიდებლობას, შედეგად აღმოცემებულ კონფლიქტს და კონფლიქტის შედეგს – ნაყოფიერ სიცოცხლეს, რასაც ბახტინი მიუთითებს. კონფლიქტი ლიტერატურაში დამკვიდრდა როგორც კოლიზია და ტრადიციული ესთეტიკური ფენომენებიც (დრამა, ტრაგედია, კომედია, რომანი, საერთოდ კულტურა და ისტორიაც) – ის, რაც საინტერესოა საზღვრებზე (რ/იდეებზე) აღმოცენდება. ბინარული ოპოზიციების ერთი (მარცხენა ან მარჯვენა) პოზიციის არჩევანის შემთხვევაში სიბრძლისა და სინათლის, ავისა და კარგის, კეთილისა და ბოროტის საზღვრები (რ/იდეები) გადაიქცევათ კონფლიქტის სივრცედ.

არჩევანი დასავლურ გარიანტად განიხილება, აღმოსავლურისგან განსხვავებით, რომელიც ბინარული ოპოზიციის ორივე წევრის მიღებას, მათი სინთეზისა და სიმბიოზის ტრადიციებს ემყრება. საზღვარი (რიდე) აქაც არსებობს, მაგრამ გადასცლა არ არის საზღვრის (რიდის) დარღვევა, ამიტომ არც კონფლიქტია.

ქართული კულტურული ტრადიციები, როგორც აღმოსავლურ-დასავლურის საზღვარი (რიდე), ქოვნა-არყოფნის საზღვრების (რ/იდეების) კონფლიქტსაც განიცდის და იგივე საზღვარზე უკონფლიქტო გადასვლასაც, – ერთს სიკვდილით აღნიშნავს, მეორეს – გარდაცვალებით. ამდენად სახეზე უნდა იყოს არჩევანი + მიღება. არჩევანის დროს ერთს – მხოლოდ სიცოცხლეს ირჩევს; მიღების დროს – ორივეს, სიცოცხლეს და შეცვლილ სიცოცხლეს – გარდაცვალებას.

გარდაცვალება ორბუნებოვანი, ორაზროვანი ერთსიტყვაობაა. სიკვდილთან, როგორც ბოლოვადობასთან მიმართებაში იგი სიცოცხლის დამთავრებასაც ნიშნავს და სიცოცხლის გაგრძელებასაც. როგორც პოსტსტრუქტურალისტები იტყვიან, ორმაგი კოდის მატარებელია და ურთიერთოვამომრიცხავი შინაარსების უკონფლიქტო თანაარსებობის ნიმუშია. იქნებ აქ ინახება ქართული ტრადიციების პოსტმოდერნისტული არაცნობიერი (ცოცხლად ვადღეგრძელოთ; ის აქ არის; იქ შეხვდებიან და მისთ.)

გარდაცვალება აღწერს დროის ისტორიულ ცვალებადობასაც და ისტორიის მიღმურ მარადიულობასაც; წუთისოფელსაც და საუფეველსაც; დროსაც და სივრცესაც. ამდენად ოლამის და ქრონოტრიპის სემანტიკური რიგის ქართულ პარადიგმად წარმოსდგება. გარდაცვალება უსაზღვრობის საზღვარია; უკამო უამია.

გარდაცვალება გულისხმობს მკვდრეთით აღდგენის მოლოდინს, და ამ მოლოდინის მუდმივ გადავადებას.

გარდაცვალება არა აქვს ბინარული წყვილი – ოპოზიცია;

გარდაცვალება ვერ ნაწილდება აღმნიშვნელ-აღსანიშნად.

გარდაცვალება თუ სიცოცხლის (ყოფნის) რეპრეზენტანტია და ხელახლა უნდა წარმოადგინოს სიცოცხლე, როგორც რეფერენტი ყოველი წარმოდგენისას ანადგურებს მას, რომ იმავდროულად ხელახლა წარმოადგინოს.

აღნიშულ კონტექსტში გარდაცვალება აღმნიშვნელია, სიცოცხლე – აღსანიშნი. ასეთი განაწილება ერთდროულად გადანაწილებას – როლებისა და ადგილების შეცვლასაც ნიშნავს.

თუ გარდაცვალება აღსანიშნია, მაშინ სიცოცხლეა აღმნიშვნელი – რეპრეზენტანტი. იგი ხელახლა და გამონაკლისის გარეშე, აუცილებლობისა და გარდაუვალობის პრინციპით ხელახლა წარმოადგენს გარდაცვალებას, როგორც რეფერენტს და ყოველი წარმოდგენისას აღადგენს მას, მაგრამ შეცვლილი სახით, რომ ხელახლა და იმავდროულად გაანადგუროს.

როგორც ჩანს ყოფნა-არყოფნის ბინარულ ოპოზიციაში (ქართულ ენაში) საზღვრების (რ/იდეუბის) კოფლიქტი დაძლეულია, აქ თავისუფალი მისვლა-მოსვლაა.

გარდაცვალება, – გადასკლას, განსხვავებას, (განსხვავებულად ყოფნას) გულისხმობს. ამდენად, სახეზეა გადასკლა-გადავადება (დაყოვნება) – სხვაობის უწყვეტი მწერივი – გამოსხვავება. ამ მოსაზრების გამოსახატად უაკ დერიდა სიტყვათთამაშის ფრანგულ ჰიბრიდის ქმნის: „differance“ (ა ჩაენაცვლა e-ს), რომელიც არაფერს აღარ აღნიშნავს გარდა საკუთარი თავისა. ეს ის შემთხვევა როცა აღმნიშვნელი ემთხვევა აღსანიშნს.

იქნებ მხცოვანი ქართული „გარდაცვალება“ ახალგაზრდა ფრანგული „difference“-ია?

კონფლიქტსაც და უკონფლიქტობასაც სახეები და სახელები წარმართავენ – ისინი ჩაენაცვლებიან ფიზიკურად არსებულ ადამიანებს, საგნებისა და მოვლენებს, ამდენად საზღვარზეა ოპოზიცია: აღსანიშნი-აღმნიშვნელი, რეფერენტი-რეპრეზენტანტი. აღსანიშნთა იერარქიული სათავე თავდაპირველი საწყისია – აბსოლუტია.

უსაზღვრობა (ურიდობა) პოსტსტრუქტურალისტური რეპრეზენტანტია. იგი ეჭვქვეშ აყენებს თავდაპირველი საწყისის, აბსოლუტის, იგივე მეტაფორიზმური სუბიექტის არსებობას და აცხადებს აღსანიშნის სახეზე არყოფნას. (სახეზე მხოლოდ ტექსტია – დერიდა) ამდენად იგი აუქმებს ოპოზიციებს და საზღვრებს (რ/იდეუბს). რჩება მხოლოდ აღმნიშვნელი – ნიშანი რომელიც უკვე თავისი შინაგანი საზღვრებით (რ/იდეუბით) და ორბუნებოვნებით გამოწვეული კონფლიქტებით ცოცხლობს და მოძრაობს.

საზოგადოდ ნიშანი გადატანითი-მეტაფორული ფაქტია და საიდანაც ის არის გადატანილი (აღსანიშნიდან) მისგან უკვე განსხვავებული, უცხო და ახალი მივლენაა – მასი სხვაა. ამდენად ენა მხოლოდ მეტაფორულია, მეტაფორა დაუსრულებლად პარადიგმულია და ყოველი პარადიგმა განსხვავებულია, განსხვავებათა საზღვრები (რ/იდეუბი) კი საპირისპირო მნიშვნელობის შემცველია. ამ უწყვეტ პროცესს, რომელსაც დერიდა დასემინაციას უწიდებს, ტოტალური გაუცხოების პრობლემას წარმოადგინს, ურთიერთგამომრიცხავ მნიშვნელობებსაც მოიცავს, მნიშვნელობათა თანაბარუფლებინობასაც და ალტერნატიულ მნიშვნელობათა კალეიდოსკოპში გაბნეული რომელიმე კონკრეტული მნიშვნელობის უარყოფასაც. ეს პერმანენტული პროცესია პოლისემიზმი.

სხვაობა (საზღვარი) – გადასვლა (საზღვრის დარღვევა), როგორც უწყვეტი ერთდროულობა (დერიდასეული ერთსიტყვაობა) ან ვეღარ ასწრებს კონფლიქტის აღმოცვნებას, ან სულ

კონფლიქტია — მხოლოდ საზღვრებია (რ/იდეებია); ან აღარ არის საზღვარი (რიდე) და ამდენად არც საზღვრების (რ/იდეების) კონფლიქტია — მხოლოდ კონფლიქტის საზღვრებია (რ/იდეებია):

დასაწყისი — „ჯერ არ არის კონფლიქტი“; დასასრული — „უკვე არ არის კონფლიქტი“.

ამიერიდან „ჯერ არ...“ და „უკვე არ...“ არეგულირებენ ქართულ პოსტსტრუქტურალისტურ ტოპოსს, როგორც „სიღრმის“ („დამარხულის“, „საიდუმლოს“) ლინგვისტურ ალტერნატივას.

კონფლიქტის საზღვრები უკონფლიქტობა; შესაბამისად — უსახეობაა და უსახელობაა; აქ არყოფნაა, არამედ სადღაც სისტემის გარეთ; დაუსტრუქტობაა; გარდაცვალებაა. აღნიშნული მოვლენა წარმოსდგება, როგორც ბინარულ ოპოზიციათა დეკონსტრუქცია (და არა დესტრუქცია). თუ საზღვრების (რ/იდეების) კონფლიქტი ნაყოფიერი სიცოცხლეა კონფლიქტის საზღვრები (რ/იდეები) — ნაყოფიერი გარდაცვალებაა და ტოვებს კვალს.

პოსტსტრუქტურალისტური ცნებების (არქიტექსტი, მეტატექსტი, ინტერტექსტუალობა, ავტორის სიკვდილი და მეთხველის სიკვდილი) არქიტექტურულ პარადიგმად გამოდგება, როგორც ორდერის ტოტალურობა, ისე ტიპიური პროექტების ანონიმურობა; როგორც გენგეგმის გრამატოლოგიური თვითკმარობა, ისე მათი ქაღალდური სიცოცხლე; სივრცე კი შეოლოდ სასაფლაოა — ნეკროპოლისა. ზემოაღნიშნული დისემინაცია და პოლისემიზმიც განურჩევლობა — განუკითხაობას ადასტურებს.

პოსტსტრუქტურალისტური კონფლიქტის საზღვრების (რ/იდეების) ერთ დისკურსს — უსაზღვრობა (მუუ-რიდე-ძლობა) — უკონფლიქტობას პოსტმოდერნიზმი უძღვება. მეორეს — მხოლოდ საზღვრების (რ/იდეებია), მხოლოდ კონფლიქტია — დეკონსტრუქტივიზმი. პირველი ტოტალურ განურჩევლობას და გულგრილობას ნერგავს, მეორე — ტოტალურ გარჩევებს, გულისხეთქვას და მღელვარებას. აღნიშნული ორივე სინდრომი დამახასიათებელია ჩვენი საზოგადოებისა და იმ ურბანული არქიტექსტისათვის, რომელშიც ის ცხოვრობს.

ურბანული კონფლიქტის და საზღვრების პრობლემის აქტუალობას ამბაფრებს ჩვენი დრო, როგორც XX და XXI საუკუნეების საზღვარი (რიდე), მეორე და მესამე ათასწლეულების საზღვარი (რიდე); გადატევითული (ისტორიული პრობლემებით, კომპლექსებით) და განთავისუფლებული ცნობიერების საზღვარი (რიდე); ერთი საზოგადოებრივი ფორმაციიდან მეორეში გადასვლის საზღვარი (რიდე); დაადი ქვეყნა, რომელშიც დავიბადეთ — მისი არსებობის და აღარ არსებობის საზღვრები (რ/იდეები).

ჩამოხსნილი რეინის ფარდის, დანგრული ბერლინის კედლის, დია საზოგადოებების წარმოშობის, უვიზო რეჟიმების, განვითარებული საკომუნიკაციო საშუალებების სიკეთეს და საერთოდ საზღვრების (რ/იდეების) ტოტალური მოშლის ნაყოფს მხოლოდ მიღების (მე უნდა...) და არჩევანის (მე მინდა...) შეწონასწორებული კულტურული ტრადიციები გადაარჩენს. ურბანული კონფლიქტიც ამ პრინციპით უნდა ამორწუროს და მოწესრიგდეს.

ტოპოსის მოწესრიგება (ურბანულთან მიმართებაში — ფასადების გადაღებვა, გზების დაგება, სკვერების და შადრევნების მოწყობა) პოსტსტრუქტურალისტური დისკურსის ნიშანია. სახელმწიფო კი სტრუქტურული ფერმენტია და მისი ნიშანი წესრიგის სივრცეა (სიღრმეა).

მეორეს მხრივ თანამედროვე (შეცვლილი) ეპისტემა სიღრმის ლოკალიზაციას და ზედაპირის გლობალიზაციას უკავშირდება.

რომელ რეალობასთან გვაქს საქმე ჩვენს პრაქტიკაში? არც ერთთან და არც მეორესთან. ჩვენ ნამდვილ რეალობასთან გვაქს საქმე. ნამდვილი რეალობა კი ფულის რეალობაა და ხელოვნებაც განისაზღვრება არა ესთეტიკის კვალობაზე, არამედ იმ მოვების მიხედვით, რასაც მისი პროდუქცია იძლევა. ამდენად ენობრივ შემცენებასაც ფიქტიური ხასიათი აქვს და დეკონსტრუქციის ინტენციის მატარებელია.

ახალი არქიტექტურა ვეღარ (აღარ) ეწერება ვერც ლანდშაფტურ, ვერც ურბანულ ტექსტებში, ანუ სახლები არ მეგობრობენ — სახლები მოგებრობენ. აი, ამაზე იტყოდა დერიდა: „ჩრდილი არის იქ, სადაც დეკონსტრუქცია საკუთარ მნიშვნელობას პოულობს“. არა მეგობარი, არამედ მოვებარი სახლები სოციალური სნეულების ნიშნებია — უსრბანული გამონაყარის მსგავსად ავადმყოფობაზე რომ მიუთითებს (ახალი სათაურიც ვიპვე, მაგრამ სხვა დროს, სხვა ტექსტში გავშალოთ). რა მოვლენაა, რა ქვია მა! რომელი სახელის დაძახება (რაც თავიდანვე გვაინტერესებს), სად ეხმიანება პოსტსტრუქტურალისტურ ექსპლიცირებას, იქნებ ამოვიცნოთ?

პარალელური თხრობა?, ორაზროვნება?, თამაში თუ კრიტიკული წაკითხვა? პლურალიზმი თუ ორმაგი კოდირება?, პაროდირება თუ მაკორექტირებელი ირონია?, პასტიში, ფრაგმენტულიბა თუ ეკლექტიზმი?, დესაკრალიზაცია თუ დენოტაცია? ნარატივი თუ ნონსელექცია?, პიბრიდი თუ გაბატონება?, კოლექტიური კოდი ინდივიდუალურში, თუ დიდაქტიკა, რომ არ შეიძლება გამოვიტანოთ საბოლოო განაჩენი?; იქნებ ხასიათის კრახი ან ხასიათის გაპნევა?, ავტორიტეტების კრიზისი თუ დეფოკალიზაცია? – არა, არც ერთი – ეს ყველაფერი პოსტმოდერნისტული კონცეპტებია (მეორე ამბავია – მისაღებია თუ მიუღებელი) და ჩვენს სინამდვილესთან არაფერი საერთო არა აქს. ეურბანიზაცია, როგორც თვისობრივად ახალი მოვლენა, გადის ურბანული კონფლიქტის საზღვრებიდან.

რაც ამ შემთხვევებში ხდება კეთილის და ბოროტის, კონფლიქტის და უკონფლიქტობის მიღმაა, საერთოდ არ არის რაიმე ინტელექტუალური გამოცდილების შედეგი, მას შეიძლება უკატრონო ნიშანი ვუწოდოთ, ან მაწაწალა ნიშანი.

როგორ მოვუძებნოთ უფრო ზუსტი სახელი ანონიმურის დაწინა-ურებას. ამის ოსტატი დერიდაა. მაშ ასე შევუძგეთ საქმეს:

პერსონაჟის წინა პლანზე წამოწევას ფოკალიზაცია ეწოდება. თუ ეს პერსონაჟი გარგანტუაა, თანაც რაბლეს გარეშე (გასათვალისწინებელია ავტორის სიკვდილი), მკითხველი კი მგზნებარე ნარატორია (თუმცა მკათხველიც მკვდარია), ყველგან ჩაიდენს ეს უატრონო, როცა ფეკალის გამოშვება მოუნდება თავისი დიდი გავიდან.

ვინაიდან ეს ყოველივე ურბანულთან მიმართებაში სასაცილო სულაც არ არის, ჩამოვაშოროთ რაბლე და ჩვენი ურბანული კონფლიქტის (და იქნებ არა მხოლოდ ურბანულის) მდგომარეობას „ურაბლეო გარგანტუას კომპლექსი“ ვუწოდოთ.

ახლა ისლა დაგვრჩა, რომ ეს ყველაფერი გამოხსატოთ ერთი პიბრიდული სიტყვით. ამისთვის ისევ დერიდასეული ოპერაცია უნდა ჩავატაროთ – ლიტერატურათმცოდნებით ტერმინში ფოკალიზაცია (რაც პერსონალის წინა პლანზე წამოწევას ნიშნავს) – ასო თ შევცვალოთ ასო კ-თი (დიახ, როგორც difference). მივიღებთ ფეკალიზაციას – დეკონსტრუქციულ, ორაზროვან სიტყვას, რაც კარგად გამოხატავს ზემოთაღნიშნული ფურბანული კონფლიქტების სახელს – ენობრივ ნიშანს (ჩრდილიც ისევ იქ არის, სადაც დეკონსტრუქციამ თავისი მნიშვნელობა იძოვა). ენის ფორმირების ამ საიდუმლო მიმართებას უწოდებს დერიდა თავაზიან არათავაზიანობას.

გავიხსენოთ, რომ „ერთეულთა ის სისტემა, რომელიც ენობრივ ნიშანთა სისტემად გვევლინება, იმავდროულად ფასეულობათა სისტემას წარმოადგეს“ (სოსიური) და ისიც გვეცოდინება, რომ თუ დროზე არ აღვადგინეთ სისტემის (კანონის) საზღვრები (რ/იდეები) რა „ფასეულობებით“ აივნება კონფლიქტის საზღვრები (რ/იდეები).

რამდენადაც difference ცარიელი ნიშანია, იმდენად ფეკალიზაცია (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც) სავსე ნიშანი გამოდის. ისევ დეკონსტრუქცივიზმი, – მისი ავტორიტეტიც უფრო ამაღლდა. თუ პოსტმოდერნისტულ თამაშესაც დაგიწყებთ ამ ახლად შობილ სიტყვაში (ფ-ეკალი-ზაცია) ეკალსაც ვიპოვთ და ვარდიც იქვე იგულისხმება (უკალი უკარდოდ – კარდი უკალოდ – უკალ ვიცით, რომ ეს სულ ერთია). როგორი წარმოსადგენია პოეზიის სასახლის – „არტისტული ყვავილების“ თავზე გარგანტუას ფეკალი? უ უ უ უ...

ა ავტორის სიკვდილი და მისი სევდაც: მე ვარდები მოგართვით და...

ესეც ჩვენი ურბანობა და უდერიდობაც.

უაკ დერიდა გარდაიცვალა 8 ოქტომბერს, 2004 წელს.

ამ წერილზე მუშაობისას, დიდი ფილოსოფობის გარდაცვალებიდან პირველი წლისთავი სრულდებოდა. „ნიუ-იორკ თამბზში“ დაბეჭდილ სტატიას, სათაურით „უაკ დერიდა, ბუნდოვანი თეორეტიკოსი, 74 წლის ასაკში გარდაიცვალა“ პროტესტის წერილი მოყვა, რომელსაც ხელი რამდენიმე თასმა აღამიანმა მოაწერა. მეც ჩემი წერილით ვუერთდები ამ პროტესტს.

დერიდა გარდაიცვალა – გავიდა ყოფიერების სახლიდან „ყოფიერების სახლის“ სახლიკაცი; გავიდა „მეტაფიზიკის“ სიერციდან მეტაფიზიკის ბუნდოვან სივრცეში.

დერიდას გასცლისას გაღებულ კარში შემოჭრილი სინათლისაკენ მიიქცა მზერა. პარადოქსია, მავრამ ჩემი მყისიერი ჩრდილიც სინათლის შემხვედრი მიმართულებით ჩემს წინ განეფინა.

კარი დაიხურა. წავიდა დერიდა – დარჩა სინათლე.

მოვბრუნდი – ჩემს წინ დერიდაა, უკანა კარიდაან შემოსული სინათლის კონტრასურში. მივეახლუ და ვეამბორუ, გიხაროდეს ძეთქი...

ჩემი ჩრდილი ისევ ჩემს წინაა... განვენილია შემხვედრი ჩრდილიც ყოფიერების სახლიკუისა (დიახ, პარადოქსულად).

- მე არა ვარ ჩემი ჩრდილის საზღვარი?
 - ჩრდილი არის იქ, სადაც დეკონსტრუქცია თავის მნიშვნელობას პოულობს;
 - რა არის დეკონსტრუქცია?
- დეკონსტრუქცია არის ის, რაც კრიტიკულ წაკითხვას უბრალოდ თან ახლავს...,
- შენა ხარ ი(უ)დეის ძევე?..
 - შენ ამბობ.

თბილისი, 1-8 ოქტომბერი 2005 წ.

P.S. ვასრულებ დანაბირებს და ამ წერილს ვუგზავნი ზაზა შათირიშვილს – „ნარატივის აპოლოგიის“ ავტორს. ბოლოსართი სათაურით, რომელიც დერიდას დავესესხე: წერილი „იაპონელ“ მეგობარს.

Shota Bostanashvili

Sans Reverence and sans Derrida

(The Georgian title is a play of words)

Summary

The present text emerged on the place of removed boundaries between genres, expanding the realm of literature through conquest of the areas (territories) of linguistics, philosophy and architecture.

Examining the urban conflict as a specific case of poststructuralist practice – separate (extreme) violations cannot be identified with explicit system of signs and through deconstructivist – post-modernistic sensitivity these violations obtain their new names: „Focalization“ and „the complex of Gargantua sans Rable“.

New epistemological changes (shifts) recalled historical paradigms.

კონტექსტით განპირობებული „შემატება-კლება“

ტ. ს. ელიოტის „ოთხი კვარტეტის“ ქართულ თარგმანში

„შემატება-დაკლების“ პრობლემა თარგმნის პროცესში ჯერ კიდევ ძველ ქართველ მწიგნობართა შრომებში წამოჭრილ ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. ძველი ქართული ლიტერატურის სპეციალისტები მიუთითებენ, რომ აღნიშნული პრობლემა იდგა მწერლების, რედაქტორების, მთარგმნელებისა და კალიგრაფების წინაშე. იოანე-ზოსიმე (X), ექვთიმე ათონელი (955-1028), გიორგი ათონელი (1009-1065), ეფრემ მცირე (XI), „ნინოს ცხოვრების“ მეტაფრასტი (XI-XII), ათონის აღაპების გადამწერი იოანე თაფლასიძე (XI-XII), ანტონ პირველი (1720-1788) და სხვანი აქტიურად მსჯელობდნენ „შემატება-დაკლების“ თეორიული და პრაქტიკული დანიშნულების შესახებ საკუთარ თეორიულ თხზულებებსა თუ მსატვრულ ნაწარმოებებში (მენაბდე 1997: 124).

შემატებასა და დაკლებას თავისი ფუნქცია აქვს თანამედროვე პრაქტიკულ თარგმანშიც და მისი მნიშნვნელობა მატულობს მოდერნისტული და პოსტმოდერნისტული ნაწარმოებების თარგმანების ზრდასთან ერთად. პრაქტიკულ თარგმანში მიმდინარე პროცესები ითხოვს შემატება-დაკლების თეორიის თანამედროვე გააზრების აუცილებლობას.

ტ. ს. ელიოტის პოემების ზ. რატიანისეული ქართული თარგმა-ნების ანალიზის შედეგად გამოვლინდა ის კანონზომიერებები, რაც განაპირობებს მსატვრული ტექსტის თარგმანში ცალკეული ლექსიკური ერთეულებისა, და, ზოგჯერ, შესიტყვებების, ჩართვასა და ამოკლებას. კანონზომიერება მდგომარეობს ჩანართთა და ამოკლებათა ლოგიკურობაში, ამიტომ თარგმანში განხორციელებულ ტრანსფორმაციათა შედეგად მიღებულ არადედნისეულ ჩანართებსა და ამოკლებებს ლოგიკით იმპლიცირებული ეწოდა. აღნიშნულ ტერმინში ლოგიკურობა ფართო ცნებაა და გულისხმობს ტექსტის ყოველგვარი მახასიათებლის — კონტექსტის, ქვეტექსტის, გამარტებების, ფონური და იმპლიციტური ინფორმაციის, ექსტრალინგვისტური ფაქტორების, ისტორიული და ყოფითი რეალიების გათვალისწინებას თარგმნის პროცესში.

ჩანართთა და ამოკლებათა ხასიათისა და შინაარსის მიხედვით ლიჩ-ში.* სხვადასხვა სახეობა გამოიყო, ესენია: კონტექსტით განპირობებული, სინონიმური კომპენსაციის საფუძველზე აღმოცენებული და ასენა-განმარტებითი.

„ოთხი კვარტეტის“ თარგმანი ვრცელი ტექსტია და ამიტომ უხვად შეიცავს ყველა სახეობის ლიჩ-ს, რომელთა შორის სიმრავლით გამოირჩევა კონტექსტუალური ჩანართები. ამ შემთხვევებში ადგილი აქვს დედნისაგან აბსოლუტურად განსხვავებული სიტყვებისა და შესიტყვებების ჩართვას, რომელთა კანონზომიერება ცხადი ხდება მხოლოდ კონტექსტის გათვალისწინებით და ფონური ინფორმაციიდან ლოგიკურ-აზრობრივად ან საფეხურებრივად გამომდინარების გამო.

განვიხილოთ მაგალითები: Words... decay with imprecision ნათარგმნია ასე: „ხოლო სიტყვები... იღუპებიან არასწორი აზრის სიმრუდით“. სიტყვა „აზრი“ დედანში არ ჩანს, მაგრამ საყოველთაოდ მიღებული ჭეშმარიტება და ბუნებრივი მოვლენაა ის ფაქტი, რომ სიტყვების დანიშნულებას „აზრის“ გადმოცემა წარმოადგენს. ამიტომაც ლოგიკურია მისი გამოჩენა თარგმანში, რომლის პწყარდული შინაარსიც ასეთია: სიტყვების საშუალებით გამოითქმება აზრი, ხოლო სიტყვები თავის მხრივ, შეიძლება დაზიანდეს, „დაიღუპოს“ (რაც ნიშნავს მათი მნიშვნელობისა და დანიშნულების დაკარგვას) აზრის ბუნდოვანებისა და „სიმრუდისგან“.

* ლიჩ – იმპლიცირებული ჩანართი.

ასევე გამართლებულია „ჩიტიც გვიხმობს“ ჩამატება შემდეგი ტაქტის თარგმანში: „And the bird called, in response to the unheard *music* – ჩიტიც იძახის, ჩიტიც გვიხმობს, თითქოს პასუხობს უხმო მუსიკას“.

დედანში არ ჩანს, თუ ვის უხმობს ჩიტი, თარგმანი კი ობიექტად გვთავაზობს მრავლობითი რიცხვის პირველ პირს – მთხრობელს. კონტექსტიდან ცნობილია, რომ მთხრობელი ბაღშია და ამდენად, ეს ჩანართი მხოლოდ აზუსტებს სიტუაციას, მოქმედი პირების ადგილსამყოფელს და არაფერს ამატებს ისეთს, რაც დედნიდან არ გამომდინარეობს.

მომდევნო მაგალითშიც დედანში არ ჩანს თარგმანის მიერ შემოთავაზებული განსაზღვრება „განწირული“ (And so each venture is a new beginning, a raid on the inarticulate life – იმპლიკირებული ჩანართი. – „ამიტომ ყველა იერიში ხელახლი, განწირული დასაწყისია, გამოუთქმელი თავდასხმაა“), თუმცა სტროფის კონტექსტის გათვალისწინებით აბსოლუტურად კანონზომიერია, განწირული ეწოდოს ხელახლ მცდელობას, რომელიც, როგორც დედნის მომდევნო ტაქტი გვამცნობს, „უჟი და ამათ ხერხებით ხორციელდება“.

კონტექსტისმიერი ლოგიკით იმპლიკირებული ჩანართების კანონზომირების ნათელსაყოფად საუკეთესო მაგალითია ისეთი თარგმანების ჩვენება, სადაც ჩართული არადედნისეული სიტყვა არ არის კონტექსტიდან გამომდინარე ერთადერთი ლოგიკური შესატყვისი. პოემის III კვარტეტის II თავში ასეთი ტაქტი: „სად არის ბოლო მეთევზეთა ზღვაში თარეშის, მღვრიე ბურუსში რომ დაინთქნენ დაუდგრომელნი – Where is the end of them, sailing into the wind's tail, where the fog cowers?“ „დაუდგრომელნი“, რომელიც არადედნისეული წარმონაქმნია, თარგმანში მეთევზეთა განსაზღვრებად გამოჩნდა. დაუდგრომლობა, როგორც თვისება, მხოლოდ მეთევზეთა თვისება რომ იყოს, მაშინ ამ ჩანართს ლოგიკურ-კონტექსტუალური საფუძველი ექნებოდა, მაგრამ დაუდგრომელი შეიძლება იყოს ყველა სულიერი არსება და არა მარტო მეთევზე. ამდენად, მოცემულ მაგალითში ჩართულ „დაუდგრომლებს“ ლოგიკური ჩანართის კვალიფიკაცია ვერ მიენიჭება.

მომდევნო მაგალითში არადედნისეული ჩანართია არა ერთი სიტყვა, არამედ მთელი წინადადება: „პირქუშ ქალმერთს ივიწყებრ ქალაქელები, მაგრამ ის ჯერაც ცოცხალია – The brown god is almost forgotten by the dwellers in cities“. ის ფაქტი, რომ მდინარის ღმერთი „ჯერაც ცოცხალია“, დედნის შესაბამის ტაქტში არა, მაგრამ მომდევნო ტაქტიდან კი ჩანს: implacable, keeping his seasons and rages, destroyer,... ამდენად, თარგმანში „ის ჯერაც ცოცხალია“-ს ჩართვა ლოგიკურია, ის თვით დედნიდან გამომდინარეობს, როგორც დასკვნა ისეთი არსების შესახებ, რომელიც „შფოთავს, ანგრევს, ბრაზობს“, ხოლო ვინც ასე იქცევა, ცხადია, რომ „ის ჯერაც ცოცხალია“. პოემის ამავე თავში მდინარის აღწერაშია კონტექსტუალური ჩანართის კიდევ ერთი მაგალითი: [მდინარეს] კარგად ახსოვს ის, რასაც კაცნი ივიწყებრ მოუცლელობით – reminder of what men choose to forget. დედანში „მოუცლელობა“, როგორც დაკიწყების მიზეზი, დასახელებული საერთოდ არ არის., მაგრამ მისი ჩართვა თარგმანში კანონზომიერია მთელი პასაჟის კონტექსტის გათვალისწინებით: ურბანისტულ ყოფაში ჩაბმულმა ადამიანებმა დაივიწყეს ბუნება, რისი სიმბოლური გამოხატულებაა მდინარე და მისი ყავისფერი ღმერთი, მას პატივს არ სცემენ ადამიანები, სამაგიეროდ, ეთაყვანებიან მანქანებს, როგორც ტექნიციზმის ეპოქის სიმბოლოს – god ... unhonoured, unpropitiated by worshippers of the machine, ანუ ადამიანები დაკავებული არიან ყოველდღიური ყოფით და დრო აღარ რჩებათ ბუნებისათვის. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს „მოუცლელობა“, როგორც მიზეზი მათი უფრადებობისა მდინარის ღმერთის მიმართ.

ამავე სტროფშია კიდევ ორი არადედნისეული, მაგრამ ლოგიკური ჩანართი. პირველია „შსვერპლშეწირვა“, რომელიც ინგლისურ ტექსტში ნახსენები არ არის (მის მაგივრად ვკითხულობთ: unhonoured, unpropitiated), თუმცა თარგმანში ეს სიტყვა არა მარტო ლოგიკური ჩანართის სახეს იღებს, არამედ ავსებს კიდევ პასაჟის სახეობრივ სისტემას: შსვერპლშეწირვა წარმართული ღვთისმსახურების განუშორებელი რიტუალი (ტექსტში სწორედ მდინარის ღმერთის თაყვანისცემაზეა ლაპარაკი), ამიტომ თარგმანში ის, უბრალოდ, ღმერთის თაყვანისცემისა და პატივისცემის კონკრეტულ გამოხატულებას წარმოადგენს და, ამდენად, ლოგიკურად მისაღები ჩანართია.

ამავე სტროფის მეორე ჩანართია „machine“-ს შესატყვისად „თევზსაჭერი გემის ძრავები“, რომელიც ლოგიკური ჩანართის სახეს იღებს იმდენად, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა წინა

სტროფიდან მდინარის აღწერისას ნახსენები „commerce“, რომელიც მდინარესთან კავშირში მხოლოდ და მხოლოდ სავაჭრო გემების სახით მოიაზრება, თარგმანმა კი ამ ლოგიკის რეალიზება მოახდინა.

იმპლიცირებული ჩანართის სახეს იღებს მომდევნო ტაქტის თარგმანში ჩართული „ცოხა“: „ხმა შორეული, კლდის კბილებში ტალღათა ცოხნის – The distant rote in the granite teeth“. რამდენადაც დედანში ნახსენებია „გრანიტის კბილები“, გამართლებულია მასთან სიტუაციურად ახლოს მდგომი სიტყვის „ცოხნის“ შემოტანა თარგმანში. „ცოხნაც“ და „კბილებიც“ ჭამასთან დაკავშირებული სემანტიკური კომპონენტებია, ხოლო პოემის ამ მონაკვეთში, რომელშიც ზღვაა აღწერილი, ზღვის კლდებში მოგუგუნე შორეულ ხმებსა და ზღვის მიერ შთანთქმულ ტალღებზეა ლაპარაკი. დედანშიც და თარგმანშიც ეს აზრი მხატვრული სახეებითაა გადმოცემული: „გრანიტის კბილები“ ზღვის კლდების აღსანიშნავად და „ტალღათა ცოხა“ კლდეებზე დამსხვრული ტალღების მიერ გამოცემული ხმების სიმბოლოდ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, თარგმანში კონტექსტუალური ჩანართის სახე შეიძლება მიიღოს არა მხოლოდ ცალკეულმა სიტყვებმა, არამედ შესიტყვებებმა, წინადადებებმა და სტროფებმაც კი. მაგალითად, „არ განსხვავდება არაფერი – დაღუპვაც და დაბრუნებაც ხვედრია თქვენი – This is your real destination“. როგორც ვხედავთ, თარგმანი დედანს საერთოდ არ ჰგავს ლექსიკური შემადგენლობით. პოემაში ლაპარაკია იმ ზღვაოსნებზე, რომლებიც პორტში დაბრუნდნენ და იმათზე, რომლებიც ზღვაში დაიკარგნენ: You who come to port and you whose bodies will suffer the trial and judgement of the sea, or whatever event, this is your real destination. თარგმანში გაჩენილი არადედნისეული წარმონაქმნი – „არ განგასხვავებთ არაფერი, დაღუპვაც და დაბრუნებაც ხვედრია თქვენი“ – ერთგვარი დასკვნაა დედნისეული მოცემულობისა, რომელიც გულისხმობს შემდეგს: ვისაც რა ერგო, ის ყოფილა მისი მგზავრობის საბოლოო წერტილი (real destination): დაღუპვა ან დაბრუნება.

სიტუაციის ლოგიკით განპირობებული კონტექსტუალური ჩანართის გამჭვირვალე მაგალითია შემდეგი წინადადება: „ხოლო დამსკდარი მიწა ზმორებით, ამთქარებს შრომის ამაოებით – The parched eviscerate soil/ Gapes at the vanity of toil“. დედანში „ზმორება“ არ გვხვდება, თუმცა, როგორც ერთსა და იმავე სიტუაციასთან დაკავშირებული ცნებები, ლოგიკურია მისი ჩართვა „მოქარების“ პარალელურად, თუნდაც ეს რიტმისა და რითმის ადეკვატურობის მისაღწევად ხდებოდეს.

ვნახოთ სხვა მაგალითებიც: It is not to ring the bell backward ასეა ნათარგმნი: „განა იმიტომ, რომ ზართა რეკვით გამოვაღვიძოთ საშინელება“., „საშინელების გამოღვიძება“ დედანში არ გვაქვს, მის ნაცვლად ვკითხულობთ „ring backward“, რაც გულისხმობს „წარსულს“, „უკან მოტოვებულ დროსა და სიტუაციას“. დედნის წინამავალი ტაქტებიდან ირკვევა, რომ ეს წარსული ასახავს მე-17 საუკუნის ინგლისის ისტორიის შავგნელ ფურცლებს, მეფეთა მკვლელობებს, პოლიტიკურ დაპირისპირებებსა და სხვა საშინელებებს. ეს სიტუაცია თარგმანში ნაგულისხმევია და, შესაბამისად, თავს იჩენს ზემოთ მოყვანილ სტროფში ჩართული ეპითეტის („საშინელების“) საშუალებით.

წმინდა კონტექსტუალური ჩანართის სახე აქვს შემდეგ ქართულ წინადადებასაც: „ისევ ხმიანობს ძველი ჩანჩქერი, მიმალული, თვალშეუსწრები – The voice of the hidden waterfall“. როგორც ვხედავთ, დედანში ჩანჩქერის განსაზღვრებად მხოლოდ „მიმალული“ გამოდის, თარგმანი კი დამატებით კიდევ ორ განსაზღვრებას გვთავაზობს: „ძველი“ და „თვალშეუსწრები“. ამ უკანასკნელის ჩამატებას მარტივი საფუძველი აქვს. ის ჩანჩქერის ერთ-ერთი მახასიათებელია და სრული უფლება აქვს მთარგმნელს, მის აღსაწერად გამოიყენოს აღნიშნული ზედსართავი. „ძველის“ ჩართვის მიზეზს კი გაანალიზება სჭირდება, რადგან ასე თვალნათლივ არ დევს ტექსტის ზედაპირზე. დასახმარებლად მივმართოთ კონტექსტს: ეს პასაჟი დროის წრიული ბრუნვის კონცეფციაზეა აგებული და მასში ნახსენებია ის მომენტები, რაც მუდმივად მეორდება: დასაწყისი, რაც ერთხელ უკვე იყო, რასაც იცნობდნენ და მერე ხელახლა დაუბრუნდნენ განახლებულს. აქედან მოდის „ძველის“ ჩამატების ლოგიკური საფუძველი. ეს მომენტი რომ გაცნობიერებული აქვს მთარგმნელს, ამას ადასტურებს იქვე გამოყენებული ზმიზედა „ისევ“, რაც ასევე გამეორებადობის, ერთხელ უკვე არსებულისა და ნანახის გრამატიკული მარკერია.

თუკი ზემოთ მოყვანილ მაგალითებში არადედნისეული ჩანართებისთვის საფუძველს იძლევა კონტექსტი და ლოგიკური აზროვნება, ისეთი შემთხვევებიც მოიქცნება, სადაც ჩანართის საფუძველს კონკრეტულ-ისტორიულ რეალიებთან დაკავშირებული ფონური ინფორმაცია იძლევა. If I think of a king of nightfall ქართულად ასეა გადმოტანილი: „თუ დავუიქრდები კიდევ ერთხელ დევნილ მეფეზე“. როგორც ვხედავთ, დედანში მეფის განსაზღვრებად არსად ჩანს „დევნილი“, სამაგიეროდ, ამ განსაზღვრების კანონზომიერება ცხადი ხდება პოემის კომენტარებიდან, საიდანაც ვებულობთ, რომ ელიოტი აქ გულისხმობდა ინგლისის მეფე კარლ I სტიუარტს, რომელსაც ჯერ დევნილნენ, შემდეგ კი თავი მოჰკვეთეს.

ლოგიკურ-კონტექსტუალური ჩანართების გვერდით, „ოთხი კვარტეტის“ თარგმანში გვხვდება ამავე მიზეზებით განპირობებული ამოკლებანიც. ანუ ეს ორი ერთმანეთის საპირისპირო მოვლენა ერთსა და იმავე საფუძველზეა აღმოცენებული, თუმცა მათი რაოდენობა ჩანართებთან შედარებით გაცილებით მცირეა, რაც, ალბათ, თარგმანის პრეროგატივაა, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მთარგმნელი ცდილობს, დედნის ადეკვატური ტრანსფორმაციისა და მისი გაგების გაიოლების მიზნით, თარგმანის ტექსტს გაცილებით მეტი რამ დამატოს, ვიდრე ამოაკლოს.

ტექსტის ანალიზისას გამოირკვა, რომ ამოკლებათა უმრავლესობა გვხვდება დესკრიპტიულ მონაკვეთებში, ხოლო მათ გვერდით ყოველოვის გვხვდება ჩანართებიც, რასაც განაპირობებს ტექსტში წონასწორობის დაცვის აუცილებლობა. ყოველივე ამის შედეგად თარგმანში არაფერი იკარგება იდეურ-აზრობრივი კუთხით, ცვლილება მხოლოდ ლექსიკურ დონეზე ხდება.

პოემის III კვარტეტის V თავში ლაპარაკია იმაზე, თუ რა ხერხებით ცდილობენ ადამიანები წარსულისა და მომავლის შეტყობას და ამის საჩვენებლად პოეტი ჩამოთვლის მეთხობის ათასგარ საშუალებას, მარსიდან მიღებული შეტყობინებებისა და სულების გამოძახებით დაწყებული, სიზმრის ახსნით დამთავრებული. ამ ჩამონათვალში ვკითხულობთ, რომ ადამიანები evoke tragedy from fingers, release omens by sortilege or tea leaves. ეს მონაკვეთი თარგმანში ასახული არ არის, სამაგიეროდ, გვხვდება არადედნისეული „მკითხაობა ყავაზე“, რაც, ამავე დროს, მკითხველთათვის ბუნებრივი რეალია. მიუხედავად ასეთი ცვლილებისა, ტექსტის ეს მონაკვეთი ადეკვატურად გადმოსცემს დედნის პათოსს, ცხადად გვეუბნება სათქმელს და მკითხაობის დანარჩენი ხერხების დედნისეული ჩამონათვალის სიტყვასიტყვითი თარგმანის ვრცელ ნუსხასაც გვთავაზობს. ლექსიკურ დონეზე ასეთი სერიოზული ცვლილება თარგმანში არ ტოვებს ორიგინალიდან გადახვევისა და დაუკმაყოფილებლობის შთაბეჭდილებას და ეს ხდება იმიტომ, რომ ამოკლების პრინციპი გულისხმობის ერთი და იმავე კატეგორიის სიტყვებს შორის მთარგმნელის მიერ გაკეთებულ არჩევანს და არა რამე ძირულ აზრობრივ ცვლილებას.

აღნიშნული ცვლილების კანონზომიერებაზე მიუთითებს ინესა მერაბიშვილის დაკვირვება დედნიდან თარგმანში შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაციის გადატანასთან დაკავშირებით: „პოეტურ თარგმანში შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაცია თანამიმდევრული სიზუსტით არასოდეს გადმოიცემა, რაც არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს ვოლუნტარიზმს, როგორც უპასუხისმგებლო თვითნებობას მთარგმნელის მხრიდან. მაგრამ, ამავე დროს, დედნისეული ტექსტის ცალკეული დეტალის შინაარსის გაუთვალისწინებლობამ თუ უგულებელყოფამ, შეიძლება, დაამახინჯოს თარგმანის შინაარსობრივ-ფაქტობრივი ფენა“ (მერაბიშვილი 2005: 199).

თუკი კონტექსტუალური ამოკლების წინა მაგალითი მკითხაობის ხერხების ჩამონათვალს წარმოადგენდა, შემდეგი ნიმუში ზღვის სურათის აღწერაა: „The sea is a land's edge also, ... the pools, where it offers to our curiosity the more delicate algae and the sea anemones – ზღვაც საზღვარია მიწისათვის... სრუტების თხელი წყლიდან ამოგვცერიან ანემონები, სინატიფე წყალმცენარეთა“. ეს პასაჟი, როგორც დესკრიპტიული ხასიათის ტექსტი, ერთდროულად მთარგმნელისეულ ამოკლებებსაც შეიცავს და ჩანართებსაც: დედნისეული pools ნათარგმნია, როგორც „სრუტების თხელი წყალი“, რაც შინაარსობრივ დონეზეც კი არ შეესაბამება ორიგინალს, სადაც კარგად ჩანს, რომ „pools“ ზღვის ცალკეულ წერტილებზეა თქმული და არა „სრუტებზე“ და „თხელ წყლებზე“. ამდენად, აღნიშნული ჩანართი წარუმატებელი თარგმანია და რეაქტიონებს მოითხოვს. ამავე სტროფის მეორე ტაქტის თარგმანში კი კონტექსტუალური ამოკლება გვხვდება: It offers to our curiosity (ჩვენს ცნობისმოყვარეობას სთავაზობს) მთარგმნელს ნეიტრალური შესატყვისით („ამოგვცერიან“) გადმოაქვს, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა თარგმანში, თუკი მას ნაწარმოების იდეური დატვირთის მქონე რეალია არ აკლდება.

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, კონტექსტუალურ ამოკლებებზე ლაპარაკი შესაძლებელია მხოლოდ დესკრიპტიული ხასიათის მონაკვეთებში, რადგან სხვა შემთხვევებში მოსალოდნელია, მკითხველისათვის საინტერესო ისტორიული და საზოგადოებრივი ყოფის დეტალები და თავისებურებები დაიკარგოს. ჩამონათვალს კი ზოგადი, საყოველთაო ხასიათი აქვს და ისეთ ინფორმაციას არ შეიცავს უცხოენოვანი მკითხველისათვის, რომლის დაკარგვაც მთარგმნელის მხრიდან უმართებულო იქნებოდა.

ვნახოთ ამოკლების შემცველი კიდევ ერთი დესკრიპტიული მონაკვეთი: The shattered lobsterpot, the broken oar and the gear of foreign dead men. ქართულად გემის დაღუპვის შედეგად ზღვაში მიმოფანტული საგნების აღწერა ასეა გადმოცემული: „...ნივთებს, რომლებიც ეკუთვნოდათ დამხრჩვალ უცნობებს“. ამგვარად, ნეიტრალური სიტყვა „ნივთები“ დედანში დასახელებულ იმავე სიტყვას (gear – „ვინმეს საკუთრებაში მყოფი ნივთები“) და ორ კონკრეტულ საგანს („დამსხვრული ნიჩაბი“ და „თასი ზღვის კიბორჩხალებისათვის“) გულისხმობს. ამ საგნების დაუკონკრეტებლობა ისეთი თარგმანისეული დანაკარგია, რომლის დატოვებაც უკეთესი იქნებოდა, მაგრამ რომელიც არ არღვევს დედნისეულ აზრს, ადეკვატურად გადმოსცემს კონტექსტის ინტონაციას და იმეორებს დედნის რიტმულ სტრუქტურას. ამ მიზეზების გამო გამართლებულია ამოკლებების არსებობა თარგმანის ტექსტში, თორებ ხშირად უამრავი ისეთი ამოკლებაც გვხვდება, რომლებიც დაუშვებელია, რადგან დედნისეული კომპონენტების გაწირვით არასწორ თარგმანს ქმნის.

პოემის III კვარტეტის II თავში ორ სტრიქონშია აღწერილი შემოდგომის ყვავილთა ჭკნობა: „The silent withering of autumn flowers, Dropping their petals and remaining motionless – ყვავილთა ჩუმი ჩამოჭკნობის შემოდგომისას, გამხმარ ფოთოლთა ჩამოცვენის ბოლო სად არის“. თარგმანში მონაკლები მიზანი არ არის. ამ შესიტყვებას კონტექსტუალური ამონაკლების გვალითიკაცია ენიჭება, რადგან უმისიდ არ ირღვევა დედნისეული სურათი; ლოგიკით ისედაც იგულისხმება, რომ ჩამოცვენილი ყვავილის ფურცლები უძრავად ეყრება.

ამგვარად, როგორც დედნისა და თარგმანის შედარებითმა ტექსტოლოგიურმა ანალიზმა ცხადყო, კონტექსტუალური ჩანართების შემთხვევაში დედნისეული ერთეულები განიცდის ისეთ ტრანსფორმაციას, რომ თარგმანი ლოგიკურად და ადეკვატურად გამოიყურება, თუმცა წყარო-ტექსტი და მიზანი-ტექსტი უკვე აღარ ფარავს ერთმანეთს ანუ ისინი ლექსიკურ დონეზე, შესაძლოა, არანაირ მსგავსებას არ ამჟღავნებდნენ. მიუხედავად ამისა, ლოგიკურ საფუძველზე აღმოცენებული ჩანართები დაუშვებელია არასწორ ინტერპრეტაციად და არააღეკვატურ თარგმანებად კვალიფიცირდეს იმ შემთხვევაში, თუ დაცული იქნება კონტექსტუალური შესაბამისობა.

დამოწმებანი:

ელიოტი 1998: ელიოტი ტ. ე. ლუქსები და პოემები (თარგმანი და წინასიტყვაობა – ზ. რატიანისა, ბოლოსატყვაობა – რ. ჩხეიძისა). სერია – მსოფლიო პოეზიის ბიბლიოთეკა). თბ.: 1998.

ელიოტი 1974: T. S. Eliot, *Collected Poems (1909-1962)*; London, Faber and Faber Edition, 1974.

მენაბედე 1997: მენაბედე ლ. ძველი ქართველი მწერლები ლიტერატურულ ურთიერთობათა და მთარგმნელობითი ხელოვნების შესახებ. საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემია, შრომები, I, თბ.: 1997.

მერაბიშვილი 2005: მერაბიშვილი ი. პოეტური თარგმანის ლინგვისტიკა. თბ.: 2005.

Manana Matiashvili

Additions and Losses Implicit by Context in Georgian Translation of T. S. Eliot's „The Four Quartets“

Summary

The article analyses the problem of changes made in the target-text in the process of translating. It is interesting that the problem of additions and losses in the translation occur even in the works of old Georgian authors. The concept of Additions and Losses has its own function and importance in the modern translation practice that needs to be appreciated theoretically. For the theoretical reasons the Georgian translation of „The

“Four Quartets” by T. S. Eliot is analyzed. After detailed comparison of the original and its translation there have been allocated those cases when transposition differs from the initial text. Differences between the original text and its translation might be inadequate or logically implicit. Logically implicit additions have been classified in some groups: Implicit by context, Explanatory, Additions made on the basis of synonyms.

In the Georgian translation of „The Four Quartets“ mostly inclusion of the non-original lexical units - implicit by context - occur. After reviewing the plenitude of examples of the translation it is concluded that additions/losses implicit by context bear the brand of adequacy if they are functional substitutes that do not oppose the information given in the original text.

ნანა მრევლიშვილი

ტერმინი ჯერჩინება არსენ იყალთოელთან და გელუსისტეს განმარტებათა
გელათურ თარგმანებში

ფილოსოფიურ-თეოლოგიური თუ ყოფით-ლექსიკური ტერმინოლოგიის კვლევა საინტერესოა არა მხოლოდ ქართული სამწერლობო ენის განვითარებისა თუ სხვადასხვა სალიტერატურო სკოლის შესწავლის თვალსაზრისით, არამედ ასევე, აუცილებელია, ამა თუ იმ მთარგმნელისა თუ ავტორის ცნებით – ტერმინოლოგიური აპარატის დადგენისათვის. ამ თვალსაზრისით შესწავლილ ტერმინოლოგიას სტატიკური მახასიათებლის მნიშვნელობა ენიჭება მთარგმნელისა თუ ავტორის ვინაობის განსაზღვრისას.

დ. მელიქშვილის მითითებით, „ერთი საღიტერატურო სკოლის ფარგლებში მსოფლმხედველობრივი და ენბრივ-სტილური ერთიანობის ვითარებაში აგტორთა და მთარგმნელთა იდენტიფიკაციისა თუ გამიჯნვისათვის მნიშვნელობა აქვს არა იმ საერთოს, რაც მათ შორის დასტურდება, არამედ განმასტევავებელი ენობრივი ნიშნების დადგენას“ (მელიქშვილი 1996: 68).

აქვე მეცნიერი მიუთითებს, რომ ეს მეთოდი კატეგორიული დასკვნების გამოტანის საშუალებას არ იძლევა. რამდენადაც გელათელი მოღვაწეები გამუდმებით მუშაობდნენ ენის, სტილისა და ტერმინოლოგიის დახვეწაზე, ამგვარი კვლევისას გასათვალისწინებელია ამა თუ იმ ავტორისა თუ მთარგმნელის მოღვაწეობის ეტაპი. აქვე გასათვალისწინებელია – თხზულება თარგმანს წარმოადგენს თუ ორიგინალს, რადგან ეს ფაქტორები განაპირობებენ თარგმანის (ან ორიგინალური ძეგლის) ტერმინოლოგიურ და ენობრივ-ლექსიკურ სახეს.

ბერძნული ტექსტის მონაკვეთის თარგმნისას, სადაც ტერმინი **የ■♦Օመብ** შესახებაა საუბარი, ეფრემი ჩამოთვლის ამ ტერმინის ქართულ შესატყვისებს: ცნობა, მეცნიერება, განზრახვა: „ხოლო ესე საცაურ იყავნ, ვითარმედ ცნობისა, გინა მეცნიერებისა, ანუ განზრახვისა სახელი მრავალსახე არს და მრავალთა პირთა მომასწავებელ: რამეთუ ოდესმე სწავლასა მოასწავებს, ვითარცა იგი საღმრთო მოციქული იტყვს, ვითარმედ: „ქალწულთათკს ბრძანება უფლისა მიერ არა მაქუს, ხოლო განზრახვასა მივსცემ,“ ოდესმე – ზრახვისა, ვითარ იგი წინასწარმეტყუელი დავით იტყოდის, ვითარმედ: „ერსა შენსა ზედა მმაცუვიდეს, ზაკუვით ზრახეს.“ ხოლო ოდესმე – განჩინებისა, ვითარ-იგი დანიელ იტყვს, ვისო მე ვითარმედ: „გამოკდა განჩინება ურცხვნოებით,“ ხოლო ოდესმე – სარწმუნოებისათკს ანუ ნებისა, ანუ განზრახვისა“ [94vI]. ბოლოს ქართული

ტრანსკრიბით წერს ამ ტერმინს და დასძენს: „რაოთა ერთბამად მარტივად ვთქუა, ოცდარვა სახედ მოიღებვის სახელი ესე, რომელსა „ლნომი“ უწოდიან“ [94V] (წმ. იოანე დამასკელი).

ამ ცნებებს (ცნობა, მეცნიერება, განზრახვა) ერთი ტერმინით – ჯერჩინებით – გამოხატავს არსენ იყალთოელი: „ხოლო შესწავებად საჭმარ არს, ვითარმედ ჯერჩინებისა სახელი მრავალსახე და მრავლისა დამნიშვნელ არს“ [83vI]. (შედრ. ხოლო ესე საცნაურ იყავნ, ვითარმედ ცნობისა, გინა მეცნიერებისა, ანუ განზრახვისა სახელი მრავალსახე არს – ეფრემი).

არსენიც ჩამოთვლის იმ ცნებებს (სარწმუნობა, თნება, ცნობა...), რომლებიც ქართულში ბერძნული ქრისტიანობის შესაბამისად გამოიყენება და ერთ ტერმინოლოგიურ შესატყვევისს – ჯერჩინებას – მიუსადაგებს მათ: „შემოკლებულად ითქვემდედ, დანიშნულთაებრ მოიღებვის სახელი „ჯერჩინებისა“ –

ამავე ძეგლის ეფრემისეულ რედაქციაში ამ ტერმინთან დაკავშირებით ორი მინაწერი გვხვდება. ერთი, შედარებით მცირე, არსენ იყალთოვლის რედაქციიდან აღებული ტექსტის ის მონაკვეთია, რომელიც ზემოთ მოვიხმეთ („შემოკლებულად ითქმოლედ, დანიშნულთაგან მოიღების სახელი „ჯერჩინებისა“), ხოლო მეორე, შედარებით ვრცელი, ეხება ამ ტერმინის პოლისემის პრობლემასა და მისი ქართულად თარგმნის თავისებურებას. შეისწავეს აგტორი (სავარაუდოდ, ის ტექსტის გადამწერი უნდა იყოს), მიუთითებს, რომ ჯერჩინება არის ქართული შესატყვისი ბერძნული „ლნომისა“, ეს სიტყვა ბერძნულშივე სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება და, შესაბამისად, ქართულშიც სხვადასხვა ტერმინით გადმოდის ისევე, როგორც მრავალი სხვა ტერმინი, რომელიც კონტექსტის შესაბამისი ფორმით გადმოიცემა: „ჯერჩინებისა ღნომა. შეისწავე, ვითარმედ ერთსა ამას სიტყუასა, რომელსა ბერძნულად ღნომი უწოდიან, ქართულად ერთი არარა მოეპოების. ამისთ სცა (...) ბერძნულადცა [ოცდა]რვა თარგმანი აქცუს]. ეგრეთვე ქართულად სხუებრ და სხუებრ დასდებენ და იქმარებენ წმიდანი მამანი ჩუენნი ეფთგმე და გიორგი მთაწმიდელი, ვითარცა ადგილსა შეეტყუებოდეს, რამეთუ ესე მრავალთა სიტყუათა სჭირს ბერძნულად“ [94vII].

სულხან-საბას ლექსიკონის მიხედვით, კერძოინგრა სათოოების გაგებას უკავშირდება: „კერძოინგრა – სათოო უჩნდეს ZA. სათოო უჩნდესავით. კერძოინგრა კარგა გასინჯე. დამასკელის სარწმუნოებაში: (...) B. დაკერება, სათოო უჩნდესავით Cab. დაკერება Cqd“ (სულხან-საბაორბელიანი).

ამდენად, ტერმინი კერძინება არსენ იყალთოელის ცნებით-ტერმინოლოგიური აპარატის კუთვნილება ჩანს. განსაკუთრებული ინტენსივობით გამოიყენება გარდამოცემის არსენ იყალთოელისეულ რედაქციაში და არც ერთხელ არ გვხვდება ამავე ძეგლის უფრო მცირისეულ რედაქციაში. ეს ფორმა, როგორც ჩანს, არსენ იყალთოელამდე ყოფით-ლექსიკურ სფეროში არცთუ ხშირად, მაგრამ მაინც გამოიყენებოდა. ამ ტერმინის ზმური ფორმა დასტურდება ჯერ კიდევ ადიშის ოთხთავში (IX ს.) საჭიროდ მიჩნევის, საჭიროდ ჩათვლის მნიშვნელობით: „აწ მარქუ ჩუენ: ვთოარ კერვიჩს: წეს არს ხარკისა მიცემა კეისრისა, ანუ არა?“ (ადიშის ოთხთავი 2003: 205).

იგივე მნიშვნელობით გვხვდება ეს ფორმა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“: „ხოლო წოდებად სახელი გლაზაკთა ჯერ-იჩინა ქრისტემან შენებასა წმიდათა მონასტერთასა“ (გიორგი მერჩულე 1986: 87). გვხვდება, აგრეთვე, იერემიას წინასწარმეტყველების იერუსალიმურ ნუსხაში: „და თუ არა ჯერ-გიჩს წინაშე თუალთა მოსლვად ჩემ თანა ბაბილონდ“ [ციტ. 1992: 40,5].

ამ ფორმას იყენებს ეფთვიმე ათონელიც ტრადიციული (საჭიროდ, მიზანშეწონილად მიჩნევის) მნიშვნელობით. ბასილი კესარიელის სწავლათა მისეულ თარგმანში (ბასილი კესარიელის სწავლანი) გვხვდება ჯერმინების ზმნური ფორმები: „ჯერ-მიჩნს ნაკლულევნებისა მის აღსრულებად; არა ჯერ-მიჩნა ნამეტნავისა მის გლახაკთა და მიცემა“ (ქურციკიძე 1963: 43,29; 87,24).

არსენმა ამ ფორმას ტერმინოლოგიური დატვირთვა მისცა. გარდამოცემაში იმ კონტექსტში, სადაც არსენთან ჯურჩინება გავაქვს, აფრენმისულ რეფაქციაში გახვდება:

განვითარებული კულტურული მემკვიდრეობის განვითარების მიზანით [102rI] ॥ რომლისათვის არა ჯერჩინებითა [87rI].

ცნობა: არა თვითი ცნობისა ჩუქუნისა [119vII] || არა თვითი ჯერ-ჩინგაისა ჩუქუნისა [94vI].

მეცნიერებითი: ეწოდების მას ნება მეცნიერებითი [73rI] ॥ ითქუმის ნებად კერძინებისად [73rII].

ბჭობა: ამას ეწოდების ბჭობა [72rI] || სახელ-იდების ჯერჩინებად [73rI] და ა. შ.

გარდამოცულის არსენისეულ თარგმანში ამ ტერმინის შესატყვისი თითქმის ყველა შემთხვევაში არის ბერძნული ზე-•O ღექსემა:

არცა	სხუა	იყო	რამეთუ	ჯერჩინება	H
ნებება		ჭორცთა	განიყოფვის		წ
ნებისად [72vI]			გუამოვნებათა	თანა	◆
			[73vI]		□

ამისთვის	განიყოფებაან	ამისთვის	განყოფილი
ნებანიცა	და	ცნობანი	არიან ნებებანიცა და
[72vI]		ჯერჩინებანი	[73vI]
ვინაოთგან	არა	ნებითა	რომლისათვის
განზრანვითითა,	არამედ	ჯერჩინებითა,	არამედ
უფროოსედა	ბუნებითითა	უფროოსედა	ბუნებითითა
ძალითა	განიყოფებოდეს	ძალითა	განითხვოდეს
ურთიერთას	ორნი	იგი	ურთიერთას
ნებანი	უფლისანი.	ბუნებანი	უფლისანი.
[102vI]		[87vI]	

ხოლო ცნობისა და ხოლო კერძონებისა და ფრთხოებისა უფლისათვის წინაღორჩევისა თქმა
თქმა ყოვლად უფლისა ზედა მისაღორჩევას არს. შეუძლებელ არს [83rII] ■ [1076D]
[94rII]

ვითარ-იგი იტყვს ვითარცა იტყვს
 ვისტპსმე, ვითარმდე: დანიელ, ვითარმდე:
 „გამო და განჩინება „ვისტპს გამო და
 ურცხვნოებით.“ [94vII] ჯერჩინება უსახური?“
 [83vI]

გვხვდება ამ ფორმის მოქმედებითი ბრუნვის ფორმანტით ნაწარმოები მიმღეობაც, რომელიც ბერძნულ **ჴ■•○ჩ&□■** ფორმას შეესაბამება:

მეორე შემთხვევაში ტერმინი კერძინება წარმოდგენილია წინდებულიანი ფორმით (რომელიც შედგენილი შემასწერის სახელადი ნაწილია) და შეესატყვისება ბერძნულში ასევე წინდებულიან ფორმას - ♦◆♦赫ომ♦თხ „რომლისათვის სათონ იყოვს ღმერთი, რამეთუ თანაკერძინებელ ექმნების და მიჰევდავს ეგვიპთართა მათ საქმეთა მათ თანა. [231. III] – ხ□ &თხ ჟ♦ო□&თხ ით□ოთ♦ ♦□♦♦თ•♦ა ♦◆♦赫ომ♦თხ &თხ ჟ♦ო□&თხ ♦თხო ♦□&თხ თ♦♦♦■ □□თ□თ•♦ა

ამ ტერმინის შესატყვისად არსენიცა და ეფრემიც ნება|ნებება ფორმას მიმართავენ:
 „**† M • მ O T** [უ ტ ტ] – ნებასა [ეფრემი – 72vI], ნებება [არსენი – 73vI];
† M • მ • M • M“ [უ ტ ტ ტ] – ნებასა [ეფრ. – 72vIII], ნებისა [არს. – 73vI]; **† M • მ O T M T**
 ც [უ ტ ტ ტ] – ნებანივა [კლ. – 72vII], ნებიანივა [არს. – 73vII]“ და ა. შ.

და მათ შესრულებული იქნა ეს ტერმინი „**განმარტება**“ [780B].

როგორც დავინახეთ, გალესიასტეს განმარტებათა გელათურ თარგმანებში ტერმინ **წერტილის** თარგმნისას დაახლოვებით ისეთივე ვითარება გვაქვს, როგორიც გარდამოცემის ეფრემისეულ რედაქციაში.

ტერმინი **ჯერჩინება** საერთოდ არ დასტურდება არც ამონიოს ერმისის თხზულებათა ქართულ თარგმანებში*, რომელიც გელათის სალიტერატურო სკოლის ნორმებით არის შესრულებული და არც იოანე პეტრიწის პროკლე დიადოხოსის ღმრთისმეტყველების საფუძვლების განმარტებაში (იოანე პეტრიწი). არ გვხვდება არც დიდი სჯულის კანონში, როგორიც ზოგიერთი მკვლევარი არსენ იყალთოელის მოღვაწეობის ადრეულ პერიოდს მიაკუთვნებს.

ამდენად, ტერმინი **ჯერჩინება**, რომელიც ბერძნული **წერტილი** ლექსემის შესატყვისად გამოიყენება, ქართულ საღვთისმეტყველო-თეოლოგიურ ტერმინოლოგიაში არსენ იყალთოელის დამკიდრებული ჩანს. ამ ფორმის ტერმინად ჩამოყალიბება არსენის მოღვაწეობის გვიანდელ პერიოდს უნდა უკავშირდებოდეს, რადგან რუს-ურბნისის კრების ძეგლისდებაში, რომლებიც არსენის მოღვაწეობის აღრეულ პერიოდს განეკუთვნება, ამ ტერმინს ვერ ვხვდებით. რაც შეეხება გალესიასტეს განმარტებათა გელათურ თარგმანებს, აქ, როგორც შევნიშნავდით ეს ტერმინი ორჯერ დასტურდება, მაგრამ არც ერთხელ არ გვხვდება იმ შესიტყვებაში (წერტილი – ჯერჩინება), რომელშიც მას არსენი იყენებს.

დამოწმებანი:

ადიშის ოთხთავი 2003: ადიშის ოთხთავი, თბ.: 2003.

დანელია 1992: დანელია პ. (რედაქტორი). იურემას წინასწარმეტყველების ძეგლი ქართული კერძოები. გამოსცა პ. დანელიამ. 1992.

იოანე პეტრიწი 1999: განმარტება პროკლე დიადოხოსის „ღმრთისმეტყველების საფუძვლებისა“. ტექსტის ახალქართული ვარიანტი, გამოკვლევა და ლექსიკონი ეპუთვნის დ. მელიქიშვილს. 1999.

მელიქიშვილი 1996: მელიქიშვილი დ. გელათის სალიტერატურო სკოლის ენობრივი სტილის ერთიანობისა და ინდივიდუალურობის საკითხისათვის. „უწყებანი“, 1996, №2, გვ. 68.

მერჩულე 1986: მერჩულე გიორგი, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. 1986.

მანქ. Migne. Patrologia Graecolatina. t. 94.

ორბელიანი 1993: ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული. II, 1993.

ქურციკიძე 1963: ქურციკიძე ც. (რედაქტორი). ბასილი კესარიელის სწავლათა ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი. ძეგლი ქართული მწერლობის ძეგლები. V, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ. 1963.

წმ. იოანე დამასკელი 2000: წმ. იოანე დამასკელი, მართლმადიდუმელი სარწმუნოების ზედმიწვნითი გადმოცემა. 2000.

Nana Mrevlishvili

The term **γυναι** in translations of Arsen Ikaltoeli and Gelati translations of Ecclesiast's Interpretation

* ამონიოს ერმისის თხზულებათა ქართული თარგმანები კრიტიკული აპარატის დართვით 1983 წელს გამოაქვენა მათ რაფავამ. ამ ძეგლის მთარგმელის შესახებ სამეცნიერო წრეებში აზრთა სხვადასხვაობა იყო. პ. კეჭელიძე ძეგლის მთარგმნელად იოანე ტარიშისტეს მიჩნევდა. ს. გორგაძე და ი. ლოლაშვილი თვლიდნენ, რომ მთარგმნელი პეტრიწი უნდა ყოფილიყო. დ. მელიქიშვილის აზრით, ამონიოსის ქართული თარგმანები „მიჰყება არსენის მიერ თარგმნილი „დიალექტიკის“ სისტემას და არსებითად ემიჯნება პეტრიწისეულ როგორც ლოგიკურ, ისე – გნოსეოლოგიურ ტერმინოლოგიურ სისტემას.“ ძეგლის მთარგმნელად პეტრიწის მიჩნევის თვალსაზრისს არ იზიარებს არც ნათელა კეჭალმაძე, რომელიც იყო თავდაპირველი მკვლევარი ამონიოსის თხზულებების ქართული თარგმანებისა. ამავე აზრს ავთარებს მათ რაფავა. ძეგლის ენობრივ-ტერმინოლოგიური კლევის საფუძველზე იგი ასკვნის: „იოანე პეტრიწის მიჩნევას „მოსაცსენებელთა“ მთარგმნელად ელობება რიგი ტექსტოლოგიური და ენობრივი ხასიათის მონაცემები. იოანე პეტრიწი არ ჩანს „მოსაცსენებელთა“ მთარგმნელი.... „მოსაცსენებელთა“ მთარგმნელის ვინაობის საკითხი დღესდღეობით ისევ ღიად რჩება“ (058).

Summary

Studying of philosophic-theological or common-lexical terminology is interesting not only from the viewpoint of development of Georgian written language or study of different Georgian literary schools but it is also necessary for the establishment of the apparatus of notions and terminologies of a given translator or author. The terminology, studied from this point of view, is attached the meaning of a static characteristic in establishing of a personality of some translator or author. While studying the translation issues concerning Gelati translations of Ecclesiast's Interpretation our attention was attracted by the term γυωμη-jerCineba. In the presented article we discourse on peculiarity of translation of the above-mentioned term by Efrem Mtsire and Arsen Ikaltoeli and consider the peculiarity of translation of this term in Gelati translations of Ecclesiast's Interpretation against this background. Let us point out that in translation of the term γυωμη in the studied monument we have approximately the same situation as in Efrem's version of "gardamocema". It looks like this term was introduced in Georgian theological terminology by Arsen Ikaltoeli and its formation as a term must be related to the later period of Arsen Ikaltoeli's activities. In Gelati translations of Ecclesiast's Interpretation the term γυωμη is confirmed twice but it is not once found in the word combination (γυωμη- jerCineba) in which it is used by Arsen.

ზურაბ პიპაძე

ცხოველთა ეპოსი

ცხოველთა შესახებ ამ პატარა მოთხრობების ერთობლიობას ეპოსს ვუწოდებთ, თუმცა ისინი, ერთი შეხედვით, იგავ-არაკათა მონათესავე უანრია. იგავი თუ არაკი, ან თუნდაც, იგავ-არაკი, ნართაული თხრობაა: იგი მოგვითხრობს ცხოველებზე და მათ ურთიერთობაზე, მსმენელმა კი მათში ადამიანები და ადამიანთა ურთიერთობანი უნდა იგულისხმონ. იგავის მგელი, მელია ან დათვი არის არა მგელი, მელია თუ დათვი, არამედ ამა და ამ ხასიათის, ნირის, უნარის, თვისებების, ქცევის ადამიანი. ანუ, სხვაგვარად, ეს ცხოველები, რომლებიც გადადიან იგავიდან იგავში, ადამიანებს განასახიერებენ. შეიძლება ითქვას, რომ ეს ცხოველები მსახიობები არიან და გარეკეული ტიპის ადამიანთა როლებს ასრულებენ. ეს ცხოველები, რომლებიც ბუნებით უტყვინი არიან, თითქოს სცენიდან ამხელენ კაცთა მოღმის მანკიერ მსარებეს, თუმცა თავად მათ ბუნებით არ ახასიათებთ გაკიცეული მანკიერებანი; თავიანთი ბუნებითი მოწოდებით ისინი (ცხოველები) მორალური პასუხისმგებლობისგან თავისუფალნი არიან. ეს გარემოება ამძაფრებს და ეფექტურს ხდის მხილებას. ისინი ოტვირთავენ ადამიანთა მანკიერებებს, თავად უცოდველნი ადამიანთა უკეთურებათა მხილების ინსტრუმენტები არიან.

მაგრამ ხალხური ეპოსი ცხოველთა შესახებ ანუ ცხოველთა ეპოსი, რომელსაც მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოდ იგავები, არ არის მხილებითი. ისინი არ შექმნილან მორალისა და ჭიქუის სასწავლებულად. თუმცა მათში ჩადებულ სიბრძნეს პრაგმატული დანიშნულება მიეცა, რაც წარმოშობიდანვე მათ არ გააჩნდათ. რა იყო მათი საზრისი, რას გამოხატავენ ეს ლაკონიური მახვილგონიერი სიუჟეტები მოულოდნელი კომიკური თუ ტრაგიკომიკული დასასრულით? რისოდეს შეიქმნა ისინი? არის გავრცელებული აზრი, თითქოს ცხოველთა „ზღაპრები“, როგორც მათ არასწორად უწოდებენ, შეიქმნა იმ მიზნით, რომ დაეფიქსირებინათ სხვადასხვა ჯურის ცხოველთა ხასიათები, თვისებები, და ამ სახით შენახულიყო ცოდნა მათ შესახებ, რათა ასე გადაცემოდა თაობიდან თაობას. გონებამახვილურია ამ უანრის ამგვარი წარმოშობა: ისინი, ამ მხრივ, ემსგავსებიან ანდაზებს, რომლებიც ასევე შემჭიდროებულად ინახავენ ცოდნას ყოფიერების სხვადასხვა სფეროდან, ლაკონიურ ფრაზაში წერები მრავალგზისი გამოცდილების შედეგებს, რათა თაობიდან თაობას გადაეცეს. თუ ეს ასე იყო, ცხოველთა ეპოსს უნდა დაერქვას ცოცხალი ბუნების (პერსონაჟებად მცენარეებიც შეიძლება შეგვევდეს) პირველყოფილი სახელმძღვანელო, ბუნების კარი, რომლის საშუალებითაც ახალი თაობა წინასწარ, ცდაში შესვლამდე, ეზიარებოდა ცხოველთა ურთიერთობების ცოდნას, მათი ხასიათის საიდუმლოებებს. მაგრამ ასე იყო? ეს დანიშნულება ჰქონდა მათ? ამის საწინააღმდევოდ ლაპარაკობს ის არსებითი გარემოება, რომ ცხოველთა ეპოსის ცხოველები ძალზე დაშორებული არიან ბუნებაში რეალურად არსებულ ცხოველებს. მგლი და დათვი სულაც არ არიან ისეთი ბრივები, როგორც ეპოსში არიან გამოვანილი. მგლისა თუ დათვის შესახებ ამგვარი „ცოდნით“ აღჭურვილი მონადირისა თუ ვინმე გლეხის ნაბიჯები ტყეში მარცხიანი იქნება. ამ უკანასკნელ ას წელს განვითარებული ნატურალისტური მეცნიერება და პრაქტიკა არ ადასტურებს „ზღაპრულ“ და რეალურ ცხოველთა შესატყვისობას. აშკარაა, რომ „ზღაპრული“ ცხოველები გამონაგონის სფეროს ეპუთვნიან, ფანტაზიის ნაყოფი არიან. მაგრამ თუ როგორ ინარჩუნებენ ისინი ცხოველმყოფელობას, ავთენტურობას, ნამდვილობას – სწორედ ეს არის ყოველი გამონაგონის, როგორც მსატვრული შემოქმედების, საიდუმლო.

არსებობს თვალსაზრისი, რომლის თანახმად ცხოველთა იგავი მითოლოგიური წარმოშობისაა, ანუ თითოეული სიუჟეტი ინახავდა ინჯორმაციას რაიმე საგნისა თუ მოვლენის (თუ მთლიანად სამყაროს არა) წარმოშობის შესახებ. სხვაგვარად: იგავი გარდაქმნილი, დესაკრალიზებული მითოსია. შეიძლება წარმოვიდგინოთ საზოგადოება, სადაც მართლაც ცხოველთა იგავები მითოსის როლს ასრულებენ – ცხოველებს თავიანთი ქმედებებით, თუნდაც ცბიერებით და ეშმაკობით, გაიძვერობით, მუხლობით შემოაქვთ რეალობაში რაღაც სიახლე,

ადამიანებისთვის პოულობენ გადარჩენის სახსარს. ისინი – მელა იქნება, ყვავი თუ ყორანი ადამიანთა საზოგადოების წინაპრებად ითვლებიან, რომელთაც ადამიანებს გაუმზადეს პირობები ადამიანური ცხოვრებისთვის, თავად კი განუდგნენ ადამიანებს და არჩიეს ცხოველური სახით განეგრძოთ არსებობა. ამგვარ იგავებს, თუ მკაცრად მითოლოგიური არა, შეიძლება ეტიოლოგიური ვუწოდოთ. ასეთებია ქართულ ფოლკლორში გავრცელებული, აწ საბავშვო რეპერტურის კუთვნილი სიუჟეტები, როგორიც არის, „რატომ აქვს ოფოფს სავარცხლიანი ქოჩორი“ და სხვა მისი ანალოგიური. მითოლოგიური წარმოშობის მომხრეთა აზრით, ცხოველთა ეპოსის ბავშვთა აუდიტორიაში გადასვლა-გადანაცვლება მისი დევრადაციის ნიშანია, მათ ამ წრეში გამრთობი ფუნქცია აქვთ შეძენილი. მაგრამ ისმის კითხვა – როდის მოხდა ეს გადასვლება?

თუ მითოსური იგავების სეკულარულ იგავებად გარდაქმნა სინამდვილეს შეესაბამება, ეს გარდაქმნა უნდა ვიგულოთ არა, მაგალითისთვის, რომელიმე კერძო, ეროვნულ (ვთქვათ, ქართულ) ფოლკლორულ სინამდვილეში, არამედ უფრო ადრე, ვიდრე ისინი ამ ფოლკლორის ფონდში შემოაღწევდნენ. რადგან ეჭვი არ არის, რომ ცხოველთა იგავების ფონდს (ჯადოსნურ ზღაპართა ანალოგიურად) საერთო წარმოშობა აქვს. სხვა საკითხია, შესაძლოა, გადაუქრელიც, თუ სად, რომელ ხალხში, რომელ საზოგადოებაში ჩამოყალიბდა მისი ტიპები დღვენდელი სახით, მაგრამ ისინი, ერთმანეთის მეტ-ნაკლებად იდგნტურნი, ყოველ ხალხში დამოუკიდებლად რომ არ აღმოცენებულან, აშკარაა. მსედველობაში გგაქვს ევრაზიის სივრცეში გავრცელებული იგავები, რომლებიც შინაარსობრივად იგივეობრივინი არიან – წარმოადგენენ საერთო ფონდს, რაც მათი კლასიფიკაციის და კატალოგიზაციის შესაძლებლობას იძლევა. არსებობს საერთო ფონდი, რომლის სისახსრდან თითოეული ტრადიცია ქმნის თავის მარაგს, ცხადია, ვარიაციულად, ქმნის საკუთარსაც. ასე, მაგალითად, ცხოველთა საერთაშორისო იგავერი ფონდიდან საქართველოში დადასტურებულია 130-მდე ფაბულა, აქედან ნახევარი ორიგინალურია, რომელიც არ გვხვდება მსოფლიო ფოლკლორში (თ. ქურდოვანიძე). დასაშვებია ქართულ იგავებში მითოლოგიურ-ტრიქსტერული (ოინბაზური) კვალის ძიება, მაგრამ ეს უკვე ცალკე, კერძოდ, ისტორიული კვლევის პრობლემაა. ჩვენი ამოცანა არ მდგომარეობს იგავთა გენეზისის დადგენაში, ჩვენ მიზნად ვისახავთ, გავარკვითოთ, თუ რას წარმოადგენს დღეს იგავთა ეს ფონდი თავის მთლიანობაში იმ სახით, როგორადაც ჩვენამდე მოაღწია. რა არის ცხოველთა ეპოსის საზრისი, რას გვეუბნება მსმენელს, რა სიბრძნეს ინახავს იგი თავისი ფაბულის მეშვეობით.

განვმარტოთ, რას ვგულისხმობთ, როცა ცხოველთა იგავებს ეპოსს ვუწოდებთ. მიჩვეული ვართ, რომ ეპოსი დიდი ტილოა, ფართო ასპარეზია, როგორც სივრცულ, ისე დროუქმული განზომილებით. ეპოსის გმირს (გმირებს) მრავალზღურბლიანი თავგადასაგალი აქვთ. ეპოსი მოიცავს გმირის ცხოვრების არა მხოლოდ ერთ ან რამდნიმე ეპიზოდს, არამედ მთლიანად დაბადებიდან აღსასრულადე (აპოთეოზამდე). ეპოსის სიუჟეტი მოიცავს (ემთხვევა) გმირის ცხოვრებას, მთლიანად ავსებს მას. ცხოველთა იგავს, ცალკე აღებულს, არც ხანგრძლივობა აქვს და არც საკმარისი სივრცე. რა გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ცხოველთა ნოველისტურ იგავებს ეპოსი ვუწოდოთ?

თუმცა ცხოველთა ერთი რომელიმე იგავი პერსონაჟის, ვთქვათ, მელის, რომელიმე ოინბაზობას გადმოგცემს თავისი დასაწყისით და დასასრულით, ანუ თვითქმარია, დასრულებულია, მანიც ეს თვითქმარი სიუჟეტი ერთი მთელის ნაწილად უნდა გავიაზროთ. ნაწილებს მთლიანობაში აქცევს ერთგვარობა პერსონაჟებისა, რომლებიც იგავიდან იგავში, სიუჟეტიდან სიუჟეტში გადადიან. თუ ერთგან კვდებიან, მეორეში ცოცხლდებიან, ინარჩუნებენ რა იგივეობას თავის თავთან. მელია ყველგან მელია, ის ყველა იგავში მელიობს, არსად კარგავს მელიაობას, მგელი არ მოიშლის მგლობას, რაც მის მარადიულ ბრიყვობასა და სისარბეში, ასევე მარად მშივრობაში მდგომარეობს. ისინი არ შეიძლება ასეთები არ იყვნენ, არასოდეს შეიცვლიან ნირს და ქცევას, რომ სხვა სახით გვეჩვინონ. ჩვენ თითოეულ მათგანს ყველგან გამოვიცნობთ როგორც ძველ ნაცნობს, რომელიც მრავალგზის შეგვედრია. ნიშანდობლივია, რომ მელა თუ მგელი, თითოეული ცხოველი, ინდივიდია და, ამავე დროს, თავისი გვარის ერთადერთი წარმომადგენელი. ერთსა და იმავე სიუჟეტში მის გვერდით სხვა მელა და სხვა მგელი არ ჩანს. მელა, მგელი და სხვანი იგავთა ერთობლიობის პერსონაჟთა საკუთარი სახელებია. ამ მხრივ, ეს სამყარო დასაზღვრულია, ერთხელ და სამუდამოდ დეტერმინირებული. თითქოს ეს არ არის

თავისუფლების სამყარო, მაგრამ მის ფარგლებში, მისგან გამოუსვლელად, მისი ბინადარნი ახერხებენ თავისუფალნი იყვნენ თავის ქმედებებში.

ეს არის ერთიანი ეპიური სამყარო, სადაც ცხოვრობენ, მიმღიან, მოქმედებენ, ერთმანეთს ხვდებიან ეს არსებები. ეს მათი სამყაროა, მათოვის ნაცნობია იქ ცხოვრების წესები და ეს არავის უკვირს. ჩვენც ვიღებთ ამ წესებს, როგორც ასეთს, როგორც თავისთავად ცხადს. ეს სასტიკი, ურთიერთშეუთავსებლობის, პრინციპულად ანტაგონისტური სამყაროა. რა შორს დგას იგი იმ სამყაროსგან, სადაც სახლიდან გამოსული ჯადოსნური ზღაპრის გმირი შედის, სადაც მას უხდება მოგზაურობა, თავისი რაობის გამოვლენა (მანიუესტაცია). მართალია, იქ არის ანტაგონისტი, მავნე, არის ცრუგმირი (ყველაზე საშიში ანტაგონისტთა შორის), მაგრამ იქ არიან შემწენიც და მჩუქრებელნიც, რომელთა წყალობით ყოველი ხიფათი დაძლეულია. ამის საპირისპიროდ, ცხოველთა ეპოსის სამყაროში არ არსებობენ შემწენი, ხიფათში ჩაცვენილი მისი მკვიდრნი თავის თავზე არიან მინდობილნი... ეს სიცრუის, გაუტანლობის, ურთიერთმოლორების, მუხანათობის სამყაროა. ყველანი ერთმანეთს ატყუებენ ან ცდილობენ მოტყუებას. ეს არის მათი ცხოვრების წესი – მოღუს ვივენდი. მაგრამ მოღორებაც არის და მოღორებაც. ამით არ კამყოფილდება უდიდესი, დაუცხრომელი ოინბაზი მელა. თავდება სისასტიკით. მგელი არა მხოლოდ მოღორებულია, არამედ ტყავიც აქვს გამდვრალი. უდანაშაულო, თუნდაც ხარბ მგელს, ტყავს აძრობენ არაფრისთვის, მხოლოდ იმისთვის, რომ თავიდან მოიშორონ, გზიდან ჩამოიცილონ? არის რაიმე საზრისი ამ მუხანათობაში, რომელიც ასეთი სისასტიკით გვირგვინდება? ადამიანს მაინც – ამაზე უნდა იყოს გათვლილი იგავი – ეცინება, თითქოს ბოლომდე არც კი სჯერა, რომ ასეთი სისასტიკე ნამდვილად ხდება. ეს სისასტიკე ცხოველთა იგავში კი არა, არამედ ადამიანთა შესახებ მოთხრობაში რომ გამოჩენილიყო – ანუ ადამიანისთვის გაეძროთ ტყავი ანგარებით თუ, მით უარესი, უანგაროდ, – ეს აუტანელი იქნებოდა და იმ კომიზმისთვის, რომელიც ახლავს ცხოველთა იგავს, ადგილი ნამდვილად არ დარჩებოდა. ამიტომაც უნდა ვითიქროთ, რომ ცხოველთა ეპოსის ცხოველები ცხოველები არიან და მათ უკან ადამიანები არ იგულისხმებიან. სისასტიკე განელებულია ცხოველთა უპასუხისმგებლო სამყაროში გადატანით. არავის გაუზიდება სურვილი, მორალური კუთხით შეაფასოს მელის ჯერ მუხანათობა და მერე სისასტიკე, ბოროტი ხუმრობა, რაც ადამიანთა შემთხვევაში ბუნებრივი იქნებოდა. ეს სამყარო ასეთია – არა ამორალური, არამედ იმორალური, რის მიმართაც მორალური კატეგორიების მიყენება უადგილო იქნებოდა. თუ რაიმე შემორჩა მითოლოგიური (თუკი გაუვლია მას ასეთი პერიოდი) ცხოველთა ეპოსის, ეს უნდა იყოს სწორედ მისი სრული ემანსიპაცია, გათავისუფლება მორალისგან. მორალი არც მასშია და არც დასკვნაში, რითაც ჩვეულებრივ მთავრდება ეზოპეს იგავები. იმორალიზმი არის მისი ზნეობრივი კრედო. შესაძლოა, ვისაუბროთ მხოლოდ დამთხვევაზე მითოლოგიურ იმორალიზმთან და ცხოველთა ეპოსის ასევე პრინციპული იმორალიზმი მის დამოუკიდებელ ნიშან-თვისებად და მახასიათებლად მივიჩნიოთ, რითაც ის ფუნდამენტურად განსხვავდება ჯადოსნური ზღაპრისგან. ის საქციელი, რომელიც არ მოეკითხება მელას, უდანაშაულო მგელი რომ ჩააგდო ჭაში ან გაატყავა, უთუოდ მოეკითხებოდა ჯადოსნური ზღაპრის გმირის ანტაგონისტს, ის პასუხს აგებს თავის ქმედებაზე. ზღაპრის სამყაროსგან განსხვავდით ცხოველთა ეპოსის სამყარო უპასუხისმგებლო სამყაროა. ვიცით, რას გვიმჩელს ჯადოსნური ზღაპრი თავისი შინაარსით და ესქატოლოგიური ფინალით. იგი გვიხატავს სამყაროს, სადაც მავნე-ანტაგონისტებთან ერთად თანაარსებობენ კეთილი ნების არსებანი – ყოფიერების რომელ საფეხურსაც არ უნდა ეკუთვნოდნენ ისინი. რას გვიმჩელს ცხოველთა ეპოსი, თითოეული მისი ეპიზოდი? ზღაპრის საპირისპიროდ, თანაარსებობის, თანაცხოვრების (სიმბიოზის) შეუძლებლობას, არსებათა ურთიერთშეუთავსებლობას. ტოტალური სიცრუე, მუხანათობა, დალატი, სისასტიკე ამ შეუთავსებლობის გამოხატულება. ამ სამყაროში მეგობრობის ყოველი მცდელობა კრანით მთავრდება. კომიკურ-ირონიულია უკუღმართი დასასრულის ფონზე ცხოველთა იგავის დასაწყისი: ერთხელ მელა და მგელი დამტობილდნენ. ვგრძნობთ, რომ ეს მმობა თხელ საფარველად აქვს გადაფარებული მათ ურთიერთობას. ის განწირულია ჩაშლად ამ ჩაკეტილი სამყაროს წესისამებრ.

ცხოველები ადამიანებივით იქცევიან, მიწნებიც თითქოს ადამიანური აქვთ, ლაპარაკობენ ადამიანურად, მაგრამ მაინც ცხოველებად რჩებიან. მათი ეს უცნაური სტატუსი – ადამიანურობა ცხოველობის შენარჩუნებასთან ერთად ცხოველთა ეპოსის უანრის დამახასიათებელი ნიშანია. ცხოველი ადამიანის ენით ლაპარაკობს, მაგრამ ეს არ არის აღქმული, როგორც სასტაული, ეს არ

განეკუთვნება სასწაულთა კატეგორიას, როგორც, მაგალითად, წინასწარმეტყველ ბალაამის სახედრის ამეტყველება. ბალაამის სახედარმა ენა ამოიდგა უკიდურესი გაჭირვებისას, მოხდა გარდატეხა, თუმცა ეფექტული, მის ბუნებაში და სახტად დასტოვა თავისი პატრონი, მაგრამ ცხოველთა ეპოსის მელა-მგელს ენა არ ამოიდგამს – მათ თავიდანვე შიცემული აქვთ მეტყველების უნარი.

არის არსებითი განსხვავება ცხოველთა ეპოსისა და ჯადოსნური ზღაპრის ცხოველებს შორის. ისინი არა სხვადასხვა სამყაროს, არამედ, შეიძლება ითქვას, ცხოველთა განსხვავებულ გვარებს ეკუთვნიან. საერთო სახელწოდებამ შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს. თუნდაც ის გარემოება, რომ ჯადოსნურ ზღაპარში ისინი (მელა იქნება თუ მგელი) არ არიან თავისთავადნი, არამედ დამხმარენი, რის გამოც მათ უნდა შეიცვალონ მათოვის ჩვეული ნირი და ქცევა. ცხოველთა ეპოსის პერსონაჟი არ გამოიდგება მთავარი გმირის შემწედ ან მჩუქებლად. ისინი მხოლოდ საკუთარი თავით არიან დაკავებულნი, საკუთარი მიზნები ამორჩავებთ მათ. საკმაოდ ეგოცენტრულნი არიან იმისათვის, რომ უანგაროდ გაუწიონ სამსახური ზიფათში ჩავარდნილ ადამიანს.

ორიოდე სიტყვა კომპოზიციაზე. ცხოველთა იგავი არ არის დამორჩილებული ისეთ მქაცრ კანონებს, როგორც ჯადოსნური ზღაპარი. იგი არ ექვემდებარება ვლ. პროპასულ მორფოლოგიურ (resp. ფუნქციონალურ) ანალიზს. თუ ზღაპრის გმირის გამოსვლა ასპარეზზე განპირობებულია გამსტუმრებლის ფუნქციით, მისი წარმატება-წარუმატებლობა დროებითი, ზღაპრის იმანენტური კანონების მიხედვით დამოკიდებულია მავნეზე, ანტაგონისტზე, შემწეზე, მჩუქებელზე; სრულიად განსხვავებული ვთარებაა ცხოველთა ეპოსში. მთავარი გმირი, თუკი იგავში არსებობს ასეთი, მხოლოდ და მხოლოდ თავის თავს „ეყუდნის“, პატრონად, შემწედ და მჩუქებლად თავისი თავი ჰყავს. არ ვიცით, საიდან ჩნდება ის ასპარეზზე. რამ გამოიყვანა მელა თავისი სოროდან, ჩვენთვის უცნობია. არ ჰყავს მას გამსტუმრებელი. ის და მისი მოწინააღმდეგე უკვე გარეთ არიან, გზაზე. ამბავიც გზაში იწყება, შესვედრით. ხვდებიან, როგორც წესი, სხვადასხვა (მხოლოდ სხვადასხვა!) გვარის ცხოველები. შეხვედრას, როგორც საშუალებას, მხოლოდ ორი მიზანი შეიძლება ჰქონდეს: დამმობილება და შემძიმე (შეჯიბრი). დამმობილება გულისხმობს საკვების ერთობლივად მოპოებას, ერთად ჭამას, საერთო ტრაპეზს. მიზანი თითქოს მატერიალურია, უკიდურესად ყოფითი, ბიოლოგიური, მაგრამ ერთად ჭამა-სმა თანაცხოვრების, სიმბიოზის შესაძლებლობის უდიდესი გამოცდაა, რის შემდეგაც უნდა დაიწყოს სხვა, მაღალი რანგის ურთიერთობები. აյ არ წავალთ შორს იმის საჩვენებლად, თუ რაოდენ დიდი ხვედრითი წონა აქვს ხალხების ყოფა-ცხოვრებაში საერთო სუფრას, სადაც ადამიანები ერთიანობას ეზიარებიან. ადამიანები ერთი მოდგმაა, ერთ გვარს წარმოადგენენ ურიცხვ ქმნილებათა შორის, ამიტომაც მათ სურთ ერთიანობა, მიისწრაფიან ერთმანეთისკენ, ცდილობენ დაძლიონის ბაბილონის გოდოლის შემდგომი უცხოობა, მოძებნონ უცხოში „სხვაი ჩემი“ (გრ. ობაქიძე).

ცხოველთა ეპოსშიც არის სურვილი, თითქოს შინაგანი, თანდაყოლილი ლტოლვა ერთად ცხოვრებისა, რასაც აქ სრულიად კანონზომიერად საერთო ტრაპეზი გამოხატავს. მაგრამ ეს არ ხერხდება მათი ერთმანეთთან შეუთავსებლობის გამო. გავიხსენოთ მელასა და წეროს ეპიზოდი, რომელიც მაინც შევიდობიანად მთავრდება, თუმცა ერთმანეთის მასპინძლობით იმედგაცრუებულნი (განხიბლულნი) ერთმანეთს შორდებიან, რათა კვლავ აღარ შეხვდნენ ერთმანეთს. მაგრამ ასე მშვდლიბანად არ შორდებიან ერთმანეთს დამმობილებული მელა და მგელი. „მმობილ“ მგელს, რომელსაც თავისი წილი ერბო შეუჭამა მელიამ, მოღორება არ აქმარა, ტყავი გააძრო ამ სიტყვის პირდაპირი, სასტიკი მნიშვნელობით. ეს სისასტიკე, რასაც მელა უმიზნოდ, შეიძლება ითქვას, უანგაროდ სჩადის, სხენებული შეუთავსებლობის კატეგორიული გამოხატულებაა. რას ნიშნავს ეს სიღრმისეულად? ნიშნავს იმას, რომ ცხოველთა სამყარო ერთიანი არ არის – ყველა შექმნილია „თავისი გვარის მიხედვით“, ამ გვართა შორის კავშირი არ არსებობს, გადებული ხიდი უმაღლედება, როგორც კი ფუნდამენტური მოთხოვნილება – ამ შემთხვევაში ჭამა – წამოიწევს წინ? ცნობილია, რომ კვების სისტემა ხალხთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, შესაძლოა, გადამწყვეტი განმასხვავებელი ნიშანიც არის. თუ ეს ასეა ადამიანთა საზოგადოებაში, მით უფრო ეს ითქმის ცხოველების მიმართ, რომელთა ერთადერთი საქმიანობა ბიოლოგიურ მოთხოვნილებებთან არის დაკავშირებული. სხვადასხვა გვარის ცხოველთა სიმბიოზი კრახისთვის არის განწირული.

მათი ყოველი ერთობლივი საქმიანობა ასევე სრული კრახით მთავრდება: მამალი, მელა, ძალი ვერ აშენებენ სოფელს. ეს ცხოველთა ეპოსის თემა ადვილად ხდება მორალიზების საშუალება, როგორც, მაგალითისთვის, კრილოვის არაქში (Однажды лебедь, рак да щука). სხვადასხვა გვარის ცხოველები სამყაროს (კერძოდ, ტყის) საერთო ჰამონიაში მონაწილეობენ, მაგრამ ერთმანეთისადმი შეუთავსებელნი, შეურიგებელნი და მტრულნი არიან. ამას აჩვენებს ცხოველთა ეპოსი. რას უნდა იწვევდეს ეს პარადოქსები ჩვენში, ადამიანებში? სიცილს თუ ჩაფიქრებას? მელის უწყალო ონები, რომლებიც „მმობილისადმია“ მიმართული, თვითკმარი ღირებულების შემცველია. ონები ონებისთვის, ომბაზობა ონბაზობისთვის. ვერ ვიტყვით, რომ ეს ონები ჩაგვაფიქრებს, ჩაგვახდებს ჩვენს თავში. არა, მელია თავისი თავაშვებული, სრულიად გაუმართლებელი, უმიზეზო საქციელით ჩვენს სამხილებლად არ არის მოვლენილი ცხოველთა ეპოსში. თუმცა, ვიმეორებ, იგი შეიძლება მორალის წასაკითხად, ჭკუის სასწავლებლად იქნას გამოყენებული. მაგრამ ეს უკვე სხვა უანრი იქნება.

მაგრამ, თუ უფრო ღრმად შევხედავთ ამ შეუთავსებლობას, დავინახავთ, რომ შეუთავსებლობა აქციდენტურია, ფენომენურია, სიღრმეში კი ერთიანობა ძევს – ყველა ქმნილება ერთ ბუნებას არის ნაზიარები და, თუ ცხოველები ზედაპირულად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, სიღრმეში ისინი ერთნი არიან, როგორც ერთი შემოქმედის ქმნილებანი. დამმობილების, თანაცხოვრების სურვილი ცხოველთა ეპოსში ამით არის გამოწვეული, იგი შინაგანი ძახილია, ბუნებრივი ტენდენციაა. ხალხური სიტყვიერება იცნობს ცხოველთა სამყაროს სოლიდარობას, რომელიც ძლევს ზედაპირულ მტრობას. არაფერს ვიტყვით ჯადოსნურ ზღაპარზე, სადაც ეს თვალსაჩინოა. მთელი მისი ხერხმალი სოლიდარობაზეა აგებული – მათი ქმედების მიზანი მთავარი გმირია. ფოკლორი იცნობს დაუდგენელი უანრის ტექსტებს, სადაც ძლეულია გაუცხოება, აღდგენილია ერთიანობა, როცა გამოჩნდება საერთო მიზანი. ერთ-ერთი ასეთია „საბრალო დედაბრისასა“ (ქხ №713), სადაც თითქმის ყველა გვარის შინაურ-გარეული ცხოველი, რომელიც კი ამ ლექსის შემქმნელი საზოგადოებისთვის არის ცნობილი, გართიანებულია კაცთაგან (სოფლისგან) გარიყულ-მიტოვებული დედაბრის შესაწევად. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ცხოველებში (აპა, მათი სრული სია: თაგვები, ლომები, ვეფხვები, ტახები, მელიები, წეროები, ბატები, ირმები, დათვები, მგლები, შაშვები, გნოლები, კაჭკაჭები, მტრედები, გვრიტები, ვარიები, იხვები, ტოროლები, ხოხები, ბულბულები და, ბოლოს, „საწყალი ბერი ქედანი“) ადამიანები იგულისხმებან? არამც და არამც! მთელი პარადოქსი, იუმორი, შესაძლოა, კომიზმიც სწორედ იმაშია, რომ შემწენი სწორედ ცხოველები არიან და არა ადამიანები, რომელთაც ჰუმანისტური გრძნობა ისედაც უნდა ჰქონდათ ამ მარტოზელა, უმწეო დედაბრის მიმართ, მაგრამ გაწირეს. თუმცა ისიც უნდა თქვას, რომ ამ მოზრდილი ლექსის, თითქოს ეპოსის, საზრისში მხილება არ ძევს, მისი პათოსი არ არის მამხილებელი. ის, რაც მოუღწეველია ცხოველთა ეპოსში, აქ მიღწეულია. აქ თხა და მგელი ერთად არათუ სბოვენ, ერთად შრომობენ სხვისთვის, ერთი მიზნით არიან გაერთიანებული. ყველა თავისი შესაძლებლობით შეეწევა დედაბერს. ცხოველთა სამყარო ემსახურება მარტოდ დარჩენილს. დედაბერი ადამის როლშია, როგორც ყოველი ქმნილების ბატონი. ადამია ამ დედაბრის სახით თავისი ძველი დიდება აღიდგინა, როგორც ყოველი ქმნილების პატრონმა. ცხოველთა სამყარო ადამიანის სამსახურშია ჩაყენებული და პოემა, რომელიც მთლიანად მამითადის თემაზეა აგებული, ლხინით ანუ თავისი ბუნებრივი დასასრულით მთავრდება:

სილამაზისთვის ხოხობი შუაში ჩაისვიანო,
ბულბული გალობისათვის სულ თავსა დაისვიანო,
საწყალი ბერი ქედანი ბოლოში მოგდიანო.
ერთად სმენ, სჭამენ, ლხინობენ, ჰარალეს დასახიანო.

დიდებული ფინალია, რომელიც არსობრივად უპირისპირდება ცხოველთა ეპოსის ტრაგიკომიკურ ფინალს და თავისი საბოლოო ნადიმით ჯადოსნური ზღაპრის იმედიანი დასასრულისკენ იხრება.

წერო:

ქა 1979: ქართული ხალხური პოეზია. ტ. VIII, ობ.: 1979.

Zurab Kiknadze

Animal Epic

Summary

I call this aggregate of short stories about animals (AT 1-99) an epic, though at first glance, they evince likeness with fables. However, this is only at first sight. Fable is roundabout narration: it tells about animals and their relations, while the listeners perceive humans and human relations. The wolf, fox and bear of a fable are not wolf, fox and bear but men of a certain character dispositions.

Narratives called fairy-tales are different. In them animals (wolf, fox and bear) do not embody humans but their own selves, who also have no link to real animals. They shift from narrative to narrative, from subject to subject. If they die in one narrative, they come to life in another, preserving their identity. Fox and Wolf - each „animal“ is an individual and at the same time the only representative of its species. In one and the same narrative no other Fox and no other Wolf are to be found besides those already mentioned. Fox, Wolf and others are proper names of the characters of the epic. The inmates also manage to be free in their actions.

This is a single epic world in which these creatures live, walk about, act and meet one another. This is relentless, mutually incompatible, essentially antagonistic world. The greatest and restless trickster Fox is not content with deception. Wolf is not only deceived but with Fox's support, he is flayed for nothing. There is no rationale in this perfidy that ends in such cruelty. Should this cruelty have appeared in a story about humans, or had man been flayed in self-interest, this would have been intolerable. No place would have been left for the comism or even grotesque that attends an animal fable. Cruelty is alleviated by the transfer to the irresponsible world of animals. No desire will arise in anyone to judge from the moral angle first the perfidy of the Fox and then cruelty, evil joke, which would have been natural in the case of humans. This world is such – not amoral but immoral to which applications of moral categories are out of place. The animal epic shows the impossibility of coexistence in one world – the mutual incompatibility of creatures. Total falsehood, perfidy, betrayal and cruelty are an expression of incompatibility. Every attempt at friendship in this epic world end in a fiasco. The beginning („Once Fox and Wolf made friends“) of the epic of animals is comic grotesque against the background of the evil end. We feel that this friendship is a thin veil over their relation. It is doomed to failure according to the rule of this world.

დავით ანდრიაძე

რიცხვის სიცოცხლე და ნების ისტორია

(ვოლუნტარისტული თემა დეკონსტრუქტივისტული ვარიაციებით)

ყველა თავისი სამრეკლოდან რეკავსო და, მეც ფერწერის ისტორიიდან დავიწყებ...

ფერით წერის ხელოვნებამ საკუთარი „მეტა“-ს თვითრეფლექსიას იმპრესიონიზმში მიჰყო ხელი, ფენომენოლოგიურ მოდელად კი, მუსიკას მიმართა.

მუსიკა რიცხვის სიცოცხლეა, სიცოცხლე - შემოქმედებითი ევოლუცია, შემოქმედებითი ევოლუცია კი, ხანიერება.

მუსიკის, ამ ტემპორალური ხელოვნების, და შესაბამისად, მუსიკალური დროის ანუ არტისტული ხანიერების წიაღში რიცხვის უძრავი ეიდოსია გარინდებული.

ფერწერულ-იმპრესიონისტულ ტემპორალობასაც ღია მონასმთა „ტაქტებით“ რეპრეზენტირებული რიცხვული მოდული უდევს საფუძვლად;

არც იმპრესიონისტული „რიცხვია“ შიშველი და უსიცოცხლო კონსტრუქტი; ისიც duree-სთან წილნაყარი სახე-სიმბოლოა.

იმპრესიონისტულ-ფერწერულ პარტიტურაში, ყოველი მომდევნო „მონასმი-ტაქტი“ მსხვერპლად აღარ იწირავს წინამორბედს; და იმავდროულად, ცოცხლად ინახავს მის კვალს... სხვათა შორის, მუსიკასთან (და პოეზიასთან) მიმართებით, ლეონარდო ფერწერის უპირატესობას, სწორედ იმაში ხედავდა, რომ ეს უკანასკნელი არ თხოულობს წინარე „ფორმის“ სიკვდილს და ყოველივეს სიმულტანურად წარმოგვიდგენს.

იმპრესიონიზმი კვლავც ძალაშია რენესანსული სიმულტანიზმის და აქედან გამომდინარე, ტემპორალური სეგმენტების ერთდროული რეპრეზენტაციის მეთოდი. ოღონდ, აქ შეუფარავად შემოდის მონასმის ცოცხალი, არტეფაქტურული ნაკადი, რომელიც ჯერ კიდევ ვენეციელებიდან, სახელდობრ, ტიციანიდან იღებს სათავეს.

ასეა თუ ისე, იმპრესიონიზმში მონასმი – ტაქტები „ვერტიკალური წაფენის“ პრინციპით ჩაენაცვლებიან, ოდნავ მოგვიანებით კი, პუანტილიზმ-დივიზიონიზმში, ისინი პრინციპულად, აღარ „აკვდებიან“ ერთმანეთს და სასურათე სიბრტყეზე პორიზონტალურად განლაგებულ შრებად წარმოგვიდგებიან, ფენა-ფენა რომ იშლებიან სივრცეში...

იმპრესიონიზმი ფორმათქმნადობის მუსიკურ პოეტიკას ეფუძნება-მეთქი; და ეს პოეტიკა პოეზიასაც მსჭვალვას (შდრ. ვერლენის დევიზი: „მუსიკა უპირველეს ყოვლისა“), ხოლო საკუთრივ ფერწერაში, „რიცხვის სიცოცხლის“ იდეით სულდგმულობს.

„რიცხვის სიცოცხლე“ – მუსიკის არსია; და ა. ლოსევისეული მუსიკის ფილოსოფიის ამოსავალი იდეაც ესაა.

მაშ ასე, იმპრესიონიზმში მხატვრული დრო მუსიკალური დროის არხით შემოდის...

ასე კონსტიტუირდება სახვითი ხელოვნების ქმნილების ყოფიერება, როგორც ერთგვარი მორფოლოგიური კენტავრი ანუ აუდიო-ვიზუალური ფენომენი, რომლის არსიც მეტაგამოსახულებაშია.

ესაა წინააღმდეგობათა სინთეზი, ცოცხალი და ხანიერი აწმყოს სახით მოვლენილი. იგი უპირატესპირდება სახვითი (resp. მუსიკური) ხელოვნების ქმნილების, როგორც ონტოტექსტის იმგვარ ეიდოსს, რომელიც, ამ ტერმინის ჭეშმარიტი ანტიკური გაგებით - ფორმაა; ოღონდ არა Forma formata, არამედ Forma formans.

მაგრამ, ანტიკურობაში, ფიგურული რიცხვის ეიდეტური ქანდაკი წინარეარსებული, საზრისამდელი რიცხვის წიაღში იბადება. ამგვარი რიცხვი კი, ფლორენსკისამებრ, პირველია და ჭეშმარიტი, იგი არსებულთათვის - პრინციპია და წყარო მისივე პიპოსტასური ყოფიერებისა.

ეს - პლატონური რიცხვი ქმნის მუსიკას, როგორც ტემპორალურ ხელოვნებას. გავიხსენოთ, რომ ამგვარი რიცხვი ცოცხალი და ხანიერი სტრუქტურაა; და ფენომენოლოგიური ეიდეტიკის

საგანიც – მუსიკა იქნება თუ ფერწერა, ცოცხალი უნდა იყოს და ცოცხლადვე დარჩეს. არტისტიკული ინტერპრეტაციის ობიექტიც ხომ, მუდამ ცოცხალი, ვიტალური სტრუქტურაა და არა გამომშრალი, ანატომიური სხეული. არტეფაქტის გვამით პრეპარირება ხომ ძირითადად მკვდრადშობილ თეორიათა ადეპტების „საქმეა“.

ლოსევის თანახმად, არც მხატვრული ფორმის დიალექტიკური კატეგორიების „ლოგიკური დამუშავება“ ეგების; ისინიც ცოცხლად უნდა მოვიწელთოთ.

მუსიკის ფენომენოლოგიური ეიდონიც „ცოცხალი სინთეზით“ კონსტიტუირდება. „Musica est exercitium arithmeticae occultum nescientis se numerare animi - მუსიკა არის საიდუმლო ვარჯიში არითმეტიკაში სულისა, არაცნობიერად რომ აწარმოებს გამოთვლას“ (ლაიბნიცი).

ეს - მუსიკის ლაიბნიცისეული დეფინიციაა, 1712 წლის 17 აპრილით დათარიღებული, ჰოლბახისადმი მიწერილი ბარათიდან.

შოპენპაუერი თავის უკდავ წიგნში - „სამყარო როგორც ნება და წარმოდგენა“ - ირონიულად უტოვებს ლაიბნიცს ამ სიტყვების თქმის უფლებას, რამდენადაც ფრანგი მოაზროვნე მუსიკის ზედაპირული მნიშვნელობით შემოიფარგლება და მარტოდენ მისი „გარსის“ განხილვით ქმაყოფილდება.

ოდნავ ქვემოთ, შოპენპაუერი ერთ სემიოტიკურ სიტუაციასაც მონიშნავს: რიცხვითი კონსტრუქციები, რომელზეც „განლაგდება“ მუსიკა, თავდაპირველად მხოლოდ ნიშნებია და არა აღსანიშნი - ამბობს იგი და სხვა ხელოვნებებთან ანალოგით, შესაძლებლად მიიჩნევს, დაგასკვნათ, რომ გარკვეულწილად, მუსიკა ისევე მიემართება სამყაროს, როგორც ხატი-პირველხატს, ხოლო სამყაროსადმი მუსიკის მიმართება, როგორც რელაცია ანახახისა - პირველსახისადმი, უსასრულოდ ჭეშმარიტი და უცოთმელი დამიზნების მყისიერი პროცესია. ეს უცოთმელობა კი, იმაში ვლინდება, რომ მუსიკის ფორმა სავსებით განსაზღვრულ, რიცხვულად გამოხატულ წესებამდე დაიყვანება, წესებამდე, რომელსაც მუსიკა ვერსად გაექცევა, და მუსიკადვე დარჩება... ოღონდ, იტყვის შოპენპაუერი - წერტილი, სადაც მუსიკა და სამყარო განუყოფელი არიან, ესაა ასპექტი, სადაც მუსიკა სამყაროს მიემართება, როგორც ბაძვა.

აი, რას ასახავს, რას ბაძვს მუსიკა - სამყაროს!

და ეს ბაძვა სამყაროსი ნების ობიექტივაციით წარმოგვიდგება. ესაა იმდენადვე უშუალო და ტოტალური ასარკება ნებისა, როგორც თავად სამყარო, როგორც თავად იდეები, თავის აურაცხელ გამოვლინებებში, ცალკეულ ნივთთა სამყაროს რომ მოგვივლენენ.

ამ გაგებით, მუსიკა, სხვა ხელოვნებათაგან განსხვავებით, იდეებს კი არა, მის უდიდებულესობა - ნებას ირეკლავს, თავად ნებას ასახავს, ნებას ბაძავს; და ესაა ნების-მიერი, ვოლუნტარისტული მიმეზისი (თუ მეტამიმეზისი).

ალბათ, უპრიანი იქნებოდა, აქვე მოგვეხმო რიპარდ ვაგნერი, რომლის თანახმადაც, „პლასტიკურ მხატვარში“ ინდივიდუალური ნება წმინდა ჭვრეტის გამოისობით დუმდება, მუსიკოსში კი, იგი უნივერსალური ნების სახით იღვიძებს; და ეს უნივერსალური ნებაა, საკუთარ თავს ყოველგარ ჭვრეტაზე ადამატებით რომ სწვდება. მსმენელისა და მაყურებლის, მუსიკისა და ფერწერის ფუნდამენტური განსხვავებაც აქვდან მომდინარეობს: ფერწერა ამშვიდებს, მუსიკა კი, აღაგზნებს ნებას, რაც იმას ნიშნავს, რომ ნება, როგორც ასეთი, შებოჭილად მოიაზრება ფერწერაში, საკუთარი თავი მის გარეთ მყოფ ნივთთა არსისაგან განსხვავებულად რომ ჰყავს წარმოდგენილი; ესაა ინდივიდი, რომელიც ობიექტთა დაუნტერესებელ ჭვრეტაში, ახლადა იწყებს თავის შეზღუდულობებზე აღმატებას. აი, მუსიკოსში კი, ნება იმთავითვე შეიგრძნობს აპრილულ, ინდივიდუალურ შეზღუდულობებზე აღმატებულ მთლიანობას; სმენა კარს უხსნის მუსიკოსს, ამ გარით კი, მისთვის იხსნება სამყაროს ბჭენი...

მუსიკა თავად მეტაფიზიკის გამოცხადებაა; მეტაფიზიკის ეპიფანია...

ვაგნერისათვის, რომელიც ფ. ლაკულაბარტის დეკონსტრუქტივისტული „სკლით“, ჰერდერთან უფრო ამჟღავნებს სიახლოეს, ვიდრე შოპენპაუერთან, ხსენებული გამოცხადება ისტორიულია: ლუთერის წყალობით რომანული მუსიკისგან განთავისუფლებულ, გერმანულ მელოსს ხვდა წილად მისია ახალი და საბოლოო ონტოლოგიური გამოცხადებისა. არსებულის ყოფიერება - ნებაა; ადამიანის არსი კი, გონება კი არა, გულია (გრძნობები). ამ „მეტაფიზიკური აუცილებლობის“ გამო იქცევა მუსიკა ყველაზე ძლევამოსილ ენად.

აღტერნატივა ასეთ სახეს იღებს: ან პოეზია, თავისი სტიქით, უნდა დანებდეს ენას და იქცეს ფილოსოფიად, თანაც ფილოსოფიად, რომანტიკული სპეკულატური პროგრამით, დასასრულისათვის რომ მიუღწევია და რაღაც „ახალი მითოლოგის“ გამოგონების წილ, თავისიგე დასაბამის - პოეზიის ზღურბლთან „ატუზულა“, ანდა თავად პოეზია უნდა „აითქვიფოს“ მუსიკაში და მასშივე პოვოს გადარჩენის ერთადერთი შანსი.

პოეზიის მუსიკალური განზავება ვაგნერს ქიმიურ პროცესად ესახება და ამაშიც - ისევ ლაკუ-ლაბარტს თუ დავიმოწმებ, ვაგნერისეული დიალექტიკა, კვლავინდებურად, რომანტიკულად უფრო გვევლინება, ვიდრე ჰეგელიანურად.

მოკლედ, ვაგნერისათვის, როგორც არა იმდენად კომპოზიტორისათვის, რამდენადაც მითოსმეეგერისათვის ერთადერთი, შესაძლებელი პოეზია - ესაა მუსიკალურ-დრამატული პოეზია, ძველი საოპერო „ლიბრეტო“, რომლის ფუნქციაც, დიახაც, იდეის, როგორც მითის ანუ ხელოვნების რომანტიკული უტოპის გრძნობადი ხატებით რეპრეზენტაციაა.

მითი - პირველადი და ანონიმური ხალხური ლექსია, რომელშიც თითქმის გამქრალია ადამიანურ ურთიერთობათა ის პირობითი ფორმა, მარტოლდენ ასტრაქტული გონებით რომ აიხსნება. სამაგიეროდ, მითში წაუბაველი კონკრეტიკით ხდება შესაძლებელი სამარადისოდ გასაგები და ჭეშმარიტად ადამიანური რამ, თითოეულ მითს პირველი შეხედვისთანავე, ინდივიდუალურ ხასიათს რომ ანიჭებს.

ასე იქცევა „მომავლის პოეზიის“ პარადიგმად მითი; ასე მოძღვრავს ვაგნერი ბოდლერს. ხოლო, ეს მითი რაღაც სხვაა, ვიდრე შტამპი, „შტამპი, გენიას რომ ქმნის“.

ვაგნერი აკონსტრუირებს ტერიტორიას, რომელზეც „აწარმოებს“ „გეზამეუნსტვერკის“ გავრცელების ტოტალიტარულ-ესთეტიკურ პოლიტიკას. ამ „პოლიტიკური პროგრამის“ ერთი უმთავრესი პუნქტი ანტისემიტიზმია: „ორგანიზება შეთქმულებისა ებრაული რასის გასანადგურებლად“.

ვაგნერისეულ ესთეტიკურ პოლიტიკაში აღარაფერი რჩება არც „პოლიტიკური ესთეტიზმისაგან“ და არც „ესთეტიური პოლიტიკისაგან“.

ვაგნერის სამიზნე ვალტერ ბენიამინის მიერ, მოგვიანებით მონათლული „პოლიტიკის ესთეტიზაციაა“.

ეს, სულ სხვა პროგრამა - ხელოვნება, არა როგორც პოლიტიკური მიზანთაგანი, არამედ ხელოვნება, ვითარცა პოლიტიკის, როგორც ასეთის მიზანი; არა ესთეტიკური პოლიტიკა, არამედ ლანგრებეს ზუსტი ტერმინით - Kunstpolitik, პოლიტიკა, როგორც ხელოვნების ნაწარმოები.

ასე იმენს ხელოვნება ახალ მითოსურ სტატუსს. მითი, როგორც „საშუალო“ რომანტიზმის ტოპოსი არიული რასის თვითიდენტიფიკაციის ერთადერთ ორგანოდ მოიაზრება. აქედანვე იღებს სათავეს ხესნებული იდენტიფიკაციისათვის ბრძოლის სპეციფიკური სტრატეგია; სტრატეგია kulturkampf-ისა. ამასთან, ესაა ბრძოლა, ევროპული ცივილიზაციის „წინააღმდეგ მიმართული... სხვაგვარად: ბრძოლა ნეოკლასიკური კულტურის ღირებულებათა სახელით, ბრძოლა ბერძნული მოდელის, რაც შეიძლება არქაული ისტებლიშმენტის დასაუფლებლად, და ამ „უწმიდესი“ ავონისტური ლოგიის შესაბამისად, დიდი გერმანული ხელოვნების დასამკვიდრებლად...

ლესინგიდან და ვინკელმანიდან, ვიდრე ნიცშემდე და 30-იანი წლების პაილეგერამდე, მთლიანობაში კი, მესამე რაინის ეპოქის ჩათვლით, გერმანული „ესთეტიკური პოლიტიკა“ სწორედაც kulturkampf-ის რებრიკით მოიაზრება. ნიცშესეულ ლოზუნგს თუ გავიხსნებოთ, ესაა „მომავლის მითის დაფუძნება“.

ვოლუნტარისტული თემის რაფსოლიული განვითარების ფორმამ ძალიან რომ არ შემიტყუოს, ისევ საწყის მელოდიას დაუბრუნდები:

მელოდიაში შეიცნობა ობიექტივაციის უზენაესი თვისება, მელოდიაში, ერთი გაბმული აზრი, დასაწყისიდან დასასრულობდე რომ ვითარდება... ვითარდება თავისი უწყვეტი მნიშვნელობით...

ამიტომაც ესახება „ნების მეტაფიზიკის“ შემოქმედს მელოდია-აზრში დანთქმული მიზანსწრაფვის გამოხატულებად...

ადამიანი „სხვათა“ გარემოცვაში, ერთადერთია, არსთა გამრიგესაგან მინიჭებული გონით, მუდმივად რომ იყურება „წინაც“ და „უკანაც“...

ასე მისდევს იგი წინასწარ გაუთვალისწინებელ შესაძლებლობათა მდინარებას და ამგვარად ასრულებს თავის, ცხოვრებისეულ გზას.

მელოდიაც ასევე, ერთადერთი ფლობს ყოფიერების გაუთვალისწინებელ მნიშვნელობათა მომცველ, დასაწყისიდან დასასრულადე, არხედან ტელოსამდე გადაწვდენილ მოძრაობას.

ასე მოგვითხრობს მელოსი ნების ისტორიას; საიდუმლო ისტორიას...

ასე წყვილდებიან მელოსი და საზრისი, მელოსი და ადამიანური ყოფიერების გზა; მელოსის დრო და ყოფიერების დრო; მელოსის სივრცე და ყოფიერების ტოპოლოგია; მელოსის ქრონოტოპოსი და ყოფიერების ქრონოტოპოსი...

ამგვარი კორელაციების წყარო მელოსისა და ყოფიერების იმ საზიარო მოღუსშია აღვლენილი, ხანიერება რომ პევია...

დიახაც, ხანიერება შეიძლება დავსახოთ ნების ისტორიად, თანაც, განსაგნებულ, ობიექტივირებულ მოძრაობად, განსაგნებული მოძრაობის თვისება კი, გონის აპრიორული თვისებაა.

თავად მუსიკალური დრო უძრავი იდეაა, ამ იდეიდანვე ამოზრდილი გონის თვისებებით რომ სულდგმულობს.

სწორედ ეს უნდა იყოს მუსიკა, როგორც რიცხვის სიცოცხლე, მით უფრო, რომ დრო-სიცოცხლეა, რიცხვი კი, ამ სიცოცხლის საზრისი.

როდესაც შოპენპაუერი ამბობს, მელოდია ნების იდუმალ ისტორიას მოგვითხრობსო, იმასაც დასხენს, რომ მუსიკა ფერწერულად ასურათხატებს ნების ყოველგვარ ლტოლვას, ანდა ნებისმიერ სულიერ ძვრას, ყოველივეს, რაც გონიერს - მგრძნობელობის ნეგატიურ ცნებამდე დაჰყოვს.

ყურადღება მივაქციოთ გამოთქმას - „ფერწერული დასურათხატება“! ეს უკანასკნელი ხომ, მუსიკის, როგორც ობიექტივირებული ნების, სახელდობრ, მელოსის მეოხებით, ნების საიდუმლო ისტორიის ნარაციის პროცესში, „დამხმარე“ ფორმულად კი არაა მოხმობილი, არამედ კონსტიტუირებად პრინციპადა ნავარაუდევი.

ფერწერული სახიერება ანუ ის, რასაც ადორნო შონბერგთან მიმართებით, მუსიკის ფიგურატულობას უწოდებს, თანაბრადაა როგორც მუსიკის, ისევე პოეზიის ხატისქმნადი პრინციპი. ოღონდ, ერთიცა: მუსიკა პათოსის გა-გონების ენაა, პოეზია - პათოსის გა-გონიერების ენა. ამ ორი „ენის“ სინთეზს ადამიანი თავისი ქრომატულ-სიმბოლური ცნობიერების წიაღში ახდენს, თანაც, მას მერე, რაც ღვთით ნაბოძებ სამყაროს, თავისი ნების შესატყვისად, „უთვალავი ფერით“ გადმოცემულ ქვეყანად წარმოიდგენს.

ცხადია, ეს „უთვალავი ფერიც“ მეტაფორაა. მამა პ. ფლორენსკის მიაჩნდა, რომ პირველშესაქმის სამ ძირულ ასპექტს ფერთა სიმბოლიკის სამი ძირითადი ფერი განსაზღვრავს, ყველა დანარჩენი კი, თავისი მნიშვნელობით ფუნქნდება, როგორც შუალედური ფერები, ოღონდ, რაოდენ „უთვალავიც“ არ უნდა იყოს ეს ფერები, ყოველი მათგანი ერთი და იმავე სოფიის-ანალოგიური ზეციური ნათლისადმი მიმართებაზე მეტყველებს. ერთი მხრივ, მზე, უნატიფესი მტვერი და სიცარიელის წყვდიდადი, ხოლო მეორე მხრივ, ღმერთი, სოფია და ჯოვინტური ანუ მეტაფიზიკური არყოფნის წყვდიდადი - ის საწყისებია, ფერთა მრავალსახოვნებას რომ განაპირობებს როგორც აქ (გრძნობად სამყაროში), ისევე იქ (ინტელიგიბელურ სამყაროში).

ასეა თუ ისე, ფერი, ჩრდილ-სინათლის დარად, მხოლოდ და მხოლოდ, ელემენტია ფერწერული ხატოვანებისა. მისი ტროპოლოგიური ინვარიანტებია: „სიმბოლური კოლორისტიკა“, „მითოლოგიური კოლორისტიკა“, „იმპრესიონისტული მეტაფორიკა“... მით უფრო, არ ეგების ფერწერული ხატოვანების, თავიდან ბოლომდე - კოლორისტულ კლავიატურაზე გადაწყობა.

ფერი - მატერიალურად სასრული ფენომენია, რომელიც მარტოოდენ პოეტურ-მეტაფიზიკური წარმოსახვის უსასრულობასთან მიმართებით შეიძლება გაცოცხლდეს მხატვრულ ონტოტექსტში. ოღონდ, ეს „პრმ“ ფიზიკური ფერი არტისტული ცნობიერების პირველიძგად, თუნდაც პირველმოდელადაც შეიძლება მოგვევლინოს.

ფერის მეტყველება (resp. უღრადობა) ფერწერის ხელოვნებაში საღებავის ინსტრუმენტული ფაქტურითა დეტერმინირებული. ამ მხრივ, საგულისხმოა პარალელი, რომელსაც ფლორენსკი ავლებს ორლანსა და ზეოს საღებავს შორის.

ორლანი, როგორც მუსიკალური ინსტრუმენტი, იმ ისტორიულ სივრცესთანაა დაკავშირებული, ალორძინების კულტურას რომ გუხმობთ. რუსი ღვთისმეტყველი და ხელოვნებათმცოდნე ხაზს უსვამს შემდეგ გარემოებას: კათოლიციზმზე მსჯელობისას, ჩვეულებისამებრ, ივიწყებენ, რომ დასავლური ეკლესია - აღორძინებამდე და აღორძინების შემდეგ, სხვადასხვა რიგის მოვლენებია. დასავლეთევროპული კულტურა კი, სახელდობრ, რენესანსული

კათოლიციზმიდან მომდინარეობს და ბგერის სფეროში, საკუთარ თავს საორლანო მუსიკით გამოხატავს.

მაგრამ, რა კავშირია ორლანის ბგერად და ზეთის საღებავის ქრომატულ ფაქტურას შორის?

საქმე ისაა, რომ ზეთის საღებავის კონსისტენციას შინაგანი ნათესაობა აკავშირებს ორლანის ზეთისებრ, „მსუე“ ბგერასთან, ხოლო მსუე მონასმი და ზეთის ფერწერის „სიმაძლე“, თავის წილ, შინაგანად უკავშირდება ორლანული მუსიკის „ნაჯერ“ ხმოვანებას, მის მრავალშრიან ტემბრალურ პალიტრას; ეს ფერებიცა და ეს ბგერებიც, მიწიერნი, ხორციელნი არიან, ვიტალური ენერგიით დატენილნი... ამიტომაც არ ეხამუშება ყურს, მათ დასახასიათებლად, იმგვარი, ცოტა არ იყოს, გასტრონომული ტერმინების მოხმობა, როგორიცაა „სიმსუე“ თუ „სიმაძლე“.

მოკლედ, ზეთის ფერწერა იმ ეპოქაში ვითარდება, როდესაც მუსიკაშიც იზრდება ორლანთა შენებისა და გამოყენების ხელოვნება. აქ კი, ფლორენსიკი ერთი გენეტიკური - მეტაფიზიკური ფესვიდან ორი მონათესავე „მატერიალური“ მიზეზის წარმოშობის სიტუაციასაც მონიშნავს, სიტუაციას, რომლის კვალობაზეც, ზეთის ფერწერაც და საორლანო მუსიკაც, ერთი და იმავე მსოფლშეგრძნების გამოხატულებად წარმოსდგება.

არსებობის ცალკეული ოპუსი; მაგრამ, არსებობს თავად მუსიკაც, „მუსიკა საზოგადოდ“, რომელიც არც კომპოზიტორზე დაიყვანება და არც მსმენელზე. „მუსიკა საზოგადოდ“ - ხმოვანი ხელოვნების არსა, ცალკეული ოპუსი კი, ამ არსის კონკრეტული გამოვლინება. ეს - ავტორიტეტული მუსიკის მიცოდნეთაგანი.

და მართლაც, „მუსიკა საზოგადოდ“ - ხმოვან მიმართებათა ლოგიკაში მდგომარეობს, მუსიკალური ლოგიკის პირველსაწყისი კი, ხმაა, ერთეული ტონია, მისი შინაგანი ლტოლვაა, აკორდისაკენ მიმართული, აკორდისაკენ, მისსავე ობერტონებში რომაა დაუნჯებული. პირველი ობერტონი - ოქტავა მირითადი ტონის განახლებაა, ესაა სასწაული, ხმოვანი სისტემა თავის არსებობას რომ უნდა უმადლოდეს.

ოქტავის სასწაული - თავად მუსიკის ქვაკუთხედია; და ეს სასწაული იმაში მდგომარეობს, რომ ოქტავა, „ერთი და იგივეცა“ და „სხვადასხვაც...“ ესაა ლოგიკური დისონანსი; დისონანსი უაღრესად ამაღლებულიც და საკრამენტულიც ...

კვინტა და ტერცია გაცილებით მარტივად, ასე ვთქვათ, პროფანულად არიან „მოწყობილნი“; კვინტა-აგენტია მუსიკალური მოძრაობისა, ტერცია კი, შემავსებელი ტონია გამოფხიზლებული ხმიერებისა; და სწორედ ეს ინტერვალები ასხეულებენ ოქტავაში დაუნჯებულ საკრალურ პარადოქსეს...

ასე ამოიზრდება ცალკეული ტონიდან აკორდი, რომელიც ადამიანების „გამოგონებული“ კი არა, მათ მიერ „ნაპოვნია“ და ჩვენს ჩაურევლადაც არსებობს სამყაროში;

თავად მუსიკაც - „მუსიკა საზოგადოდ“, ასევე, ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობს, ცალკეული ოპუსი კი, ისაა, რაც გატარებულია ადამიანთა „თავებში“ და ან ამახინჯებს „მუსიკას საზოგადოდ“ (ამ დროს ვლაპარაკობთ შემოქმედებით წარუმატებლობაზე) ანდა მეტაკლები ადეკვატურობით განახსეულებს თავად მუსიკას (ამ დროს ვლაპარაკობთ შედევრზე).

და ამასთან, „მუსიკა საზოგადოდ“ იგივე რჩება, მარად და მარად იგივე; იგივეცა და თვითიგივეობრივიც...

ასე უპირისპირდება „თავად მუსიკის“ და მისი ერთიანობის იმპერსონალურობას ცალკეულ ოპუსთა პერსონიფიკაციულობა და სიმრავლე...

ასე თეოლოგიზირდება „მუსიკა საზოგადოდ“ და გვიბიძგებს, მუსიკალური საზრისის თეორეტიზირებისას, დავადგინოთ ანალოგიები ხმოვან ფირმებსა და რელიგიურ შინაარსს შორის. ამიტომაცაა, რომ გასული საუკუნის დასაწყისის ერთი მივიწყებული ავტორის - ნ. მოლენპაუერის თანახმად, ცნებებში - „მუსიკალური ხელოვნება“ და „რელიგია“ კორელატური შინაარსი იგულისხმება.

„ღმერთი“ და „მუსიკა საზოგადოდ“, ასევე ეკვივალენტურნი არიან, საყოველთაო საზრისთა თვისებით ეკვივალენტურნი, რელიგია კი, როგორც „მუსიკის“ კონკრეტული მიმართების ფორმა, თავის მხრივ, ოპუსის, როგორც „მუსიკის“ კონკრეტული მოვლინების ფორმასთან ამჟღავნებს მსგავსებას.

თუკი ღმერთის სიმბოლურ საყოველთაობას „შემოქმედი“ რიცხვის ძველთამველი ზატის სახით წარმოვიდგნთ, მაშინ მუსიკის კონცეფცია მათემატიკური არგუმენტებით შეივსება.

ყოველივე ამის დასტურს კაიზერის ფუნდამენტურ „პარმონის“ სახელმძღვანელოშიც ამოიკითხავს კაცი.

კაიზერისათვის ახალი დრო, სამყაროსთან ადამიანის მიმართებაში „შეგრძნობადობის“ პრევალენტობით ხასიათდება; საყოველთაოდ ბატონდება გაპტიკური „შემეცნება“, პარმონიულს რომ ავიწროებს. ეს უკანასკნელი კი, პარმონიული შემეცნება - ერთდღოულადაა მათემატიკურიცა და მუსიკალურიც. ნებისმიერი რიცხვი შეიძლება შევავსოთ მნიშვნელობით, რომელიც აკუსტიკურად იქნება აღქმული. ამიტომაცაა, რომ „უნდა ავიღოთ ელემენტარული მათემატიკური თეორემა და... მოვისმინოთ იგი“.

აი, ამ დროს კი, სინამდვილე - სასწაულად, ყოფიერება კი, ინფორმაციისგან - „გალობად“ გარდაისახება...

პითაგორელებისა არ იყოს, კაიზერისეული პლანეტათა ორბიტაც დიატონიკურ გამაზეა „აწყობილი“. ეს უკანასკნელი კი, მუსიკის მორფოლოგიური ნორმაცაა და კოსმოსის არქეტიპიც...

ასე იწყებს მუსიკა ხელახალ თანხმიერების ძიებას კულტურის კონტექსტში, სახელდობრ, ახალ კონსონანსთა დადგენას ევროპული ფილოსოფიის იმ გენეზისთან, რომელიც ჯერ კიდევ ნიცშემ განსაზღვრა, როგორც „იდეალისტური პლატონიზმი“;

ასე ანდენს მუსიკა თავისი ავტონომიის ნორმატიულ კანონიზირებას; და ისევე არ უწევს ანგარიშს ამ ნორმატივების შეუსაბამობას რეალური თანამედროვეობისადმი, როგორც ევროპული მეტაფიზიკა, სამყაროს „ჭეშმარიტად“ (იდეალური) და არაჭეშმარიტად (რეალური) დაყოფის პროგრესირებად გზაზე ჯიუტად რომ იკაფავს გზას.

მუსიკისა და ფილოსოფიის ამ კონსონანსურ ტონალობაში ჟღერს ანალოგიათა რესტავრაციის ცდები რიცხვულად რეპრეზენტირებული კოსმოსის პითაგორულ მოდელს, როგორც „საზრისსა“ და მუსიკალურ გამას, ვითარცა „ფორმას“ შორის...

მუსიკალური ფორმის, როგორც პროცესისა და ხანიერების წარმოდგენა ფერწერულ-სურათხატოვანი კონსტრუირების თვინიერ დაუძლეველი ამოცანაა. თავის მხრივ, ფერწერული სურათხატოვნებაც წარმოუდგენელია რეპრეზენტაციული განსახოვნების გარეშე.

ასე ერთვებიან არტისტულ-მორფოლოგიურ ატრაქციონში მუსიკა, ფერწერა და მისტერია (თეატრი); და, ბუნებრივია, ამას ჩინებულად გრძნობს შოპნჰაუერიც...

ყველაფრის თავი და თავი კი, მაინც მუსიკაა.

მუსიკის წყალობით, რეალური ცხოვრებისა და სამყაროს ყოველი სურათი, ყოველი სცენა ყოველწამიერად წარმოსდგებიან მზარდი მნიშვნელოვნებით - იტყვის შოპნჰაუერი; და რაც უფრო შეესატყვისება მელოდია - მოვლენის უშინაგანეს არსე, მით უფრო ინტენსიურია მისი მნიშვნელოვნება...

ამ შემთხვევაში, „მნიშვნელოვნება“ - „რეპრეზენტაციონის“ კორელატადაც შეიძლება ვიგულისხმოთ. ამასთან, ყურადღება გავამახვილოთ სიტყვებზე - „რეალური ცხოვრებისა და სამყაროს ყოველი სურათი, ყოველი სცენა“. ექსისტენციალისტურ ენაზე, რას უნდა ნიშნავდეს ეს სიტყვები, თუ არა თავად სამყაროში მყოფი ადამიანის მიერ, საკუთარი ფუნდამენტურონტოლოგიური მდგომარეობის, როგორც ში-მყოფობის-საკუთრივ „სურათად“ თუ „სცენად“ დასახული ყოფიერების პროტაგონისტად თვითრეფლექსიას ანუ საკუთარი ექსისტენც-სუბიექტობის არტისტულ გარდასახვას; და არა უბრალოდ გარდასახვას, არამედ, ისევ და ისევ რეპრეზენტაციას.

სიტყვიერ-პოეტური ტექსტიცა და ვიზუალურ-რეპრეზენტაციული არტეფაქტიც, მუსიკასთან შეუღლებული, ქმნიან საზიარო არტისტულ დისკურსს - მღერა-თამაშს, პანტომიას, ოპერას... ოღონდ, მთავარი და არსებითი ისაა, რომ ადამიანური ცხოვრების ცალკეული „ცოცხალი“ სურათ-სცენები აუცილებელი კავშირით კი არ ერწყმიან ერთმანეთს, არამედ ნიმუშის რეჟიმში მიემართებიან.

ესაა ერთგვარი პარადიგმული სინთეზი, რომელშიც უმთავრესი ფერმენტის როლს, კვლავაც მუსიკა ასრულებს. ამასთან, როდესაც ვამბობთ, ადამიანური ცხოვრებიდან აღებული სცენები ნიმუშის სტატუსით ეწერებიანო მუსიკის კონტექსტში, ისიც უნდა დავძინოთ, რომ მხედველობაში

გვაქვს ნიმუში - საყოველთაო ცწებასთან მიმართებით, ამ საყოველთაო ცწებად კი, კვლავინდებურად, მუსიკა უნდა ვიგულისხმოთ, მუსიკა, რადგანაც გრძნობად-რეალურად რეპრეზენტირებული ხატი ადამიანური ყოფიერებისა - გამოსახულება იქნება ეს თუ სიტყვა, - რეალური განსაზღვრულობის კონტექსტში ანუ გარკვეულ ქრონოტოპოლოგიურ კომპნენდიუმში წარმოგვიდგენს იმას, რასაც მუსიკა გამო-თქვამს საყოველთაო ფორმით, მელოდია კი, საყოველთაო ცნებების ხატად და მსგავსად, რეალურის აბსტრაქტულობას აღნიშნავს.

აი, საკუთრივ, მელოსში კონცენტრირებული „რეალურის აბსტრაქტულობა“ და ამ უკანასკნელის ფერწერული რეპრეზენტაცია აქცია ფერწერულმა ავანგარდმა თავის საჯილდაო ქვად; და ეს „ქვა“ აბსტრაქტულმა ექსპრესიონიზმმა ვასილი კანდინსკის ხელით ერთობ მაღლა აზიდა. სხვა საქმეა, რომ მუსიკამაც ბევრი რამ „ისწავლა“ ფერწერისაგან. საკუთრივ ფერწერული იმპრესიონიზმის წიაღში ჩაისახა მუსიკალური იმპრესიონიზმი და მისი თანამდევი „სიმფონიური სურათის“ უანრი. ანალოგიური მიმართებანი დეინდება მუსიკალური და პოეტური დისკურსების „ურთიერთობამსჭვალვის“ ასპექტითაც (მაგ. „მუსიკალური პოემა“).

ასე იწყებს მუსიკა - ფერწერის, ხოლო ფერწერა - მუსიკის „ბაძას“...

ასე მთავრდება ფერწერაში ლიტერატურული პროგრამულობის, ნარატიული დისკურსის დაბლევის გარდამავალი ეტაპი, რასაც ჰ.-გ. გადამერისა არ იყოს, მისი სრული „დამუნჯება“ მოსდევს.

იწყება ახალი ერა; ერა ფერწერის აუდერებისა, ამუსიკებისა...

ფერწერული დისკურსის ტრანსფორმაციის ეს სურათი „წიგნის“ ეპოქის - „ნაწერის“ ეპოქით ჩანაცვლების პისტსტრუქტურალისტური თეორიის კონტექსტშიც შეიძლება აღვიქვათ.

ამ გაგებით, ფერწერა „წერის ნულოვან დონეს“ (რ. ბარტი) უბრუნდება, ფერით წერის „ნულოვანი დონის“ პარადიგმა კი, კ. მალევიჩის „შავი კვადრატია“ - ეს ტაბულა რაზა. შენიშვნის სახით, შეიძლებოდა გაგვეჩენებინა ტაბულა რაზა-ს თაობაზე აღვლენილი რეცეპციები ლაბნიცთან, მანამდე - ლოკან. რაც შეეხება „შავ კვადრატი“, ამ მეტასურათზე, როგორც კულტურულ სუბსტიტუტზე შეიძლება დაიწეროს (თუ გა-დაიწეროს) ხატიც და სურათიც...

მოკლედ, „შავი უფლისტულის“ (როგორც მალევიჩი უწოდებდა თავის შედევრს) დაწერის მომენტიდან, ფერწერა ნულოვანი რევლექსიის ობიექტად იქცევა. ნულოვნებაზე კი, იმიტომაც ვახდენთ პედალირებას, რომ ფერწერის ნარატიულ-რეპრეზენტაციული თვითრეფლექსიის კლასიკურ-თემატური პარადიგმაც არსებობს, ველასკესის „მენინების“ ნარატიული ონტოტექსტის სახით.

მაგრამ, მიმეტური ესთეტიკის ჩარჩოებში, ხელოვნებას ჯერ კიდევ არ გააჩნია საკუთარი ყოფიერების - „ენის“, ანდა უფრო ზუსტად, „დისკურსის“ თვისებით შეგრძნების უნარი.

ხელოვნება თავად იყო ენა, რამდენადაც იყო უნივერსალური გონებისა და დეკორატიული ნიშნების იდეალური სინთეზის ინსტრუმენტად გვევლინებოდა. ეს „ენა“ სოციალურ და ამდენადვე, არა ბუნებრივ მიზეზთა გამო საკუთარ თავში იყო გამოკეტილი და მხოლოდ XX საუკუნის მიწურულისათვის აიმღვრა ამ ენის გამჭვირვალება, ამღვრეულ ენაში კი, წყლისა არ იყოს, ბევრმა გაზვადებული წარმატებითაც კი ითევსავა...

ასეა თუ ისე, XX საუკუნის ლიტერატურულმა ფორმამ საკუთარ თავში განავითარა დამატებითი ძალები, რაც არ უკავშირდება არც მის სინტაქსს, არც ევფონიას... ლიტერატურა იწყებს მოჯადოებას, შეშფოთებას...

ამიერიდან, ლიტერატურას სოციალური პრივილეგირებულობის თვისებით კი არ აღიქვამნ, არამედ გამკვრივებულ, შედედებულ, გაღრმავებულ სიტყვად დებულობენ, განსხეულებულ იდუმალებად რაცხავენ, მასში ოცნებასაც და მუქარასაც ერთდროულად შეიგრძნობენ... მოკლედ, ლიტერატურული ფორმა, როგორც ობიექტი, ექსისტენციურ შეგრძნებათა მანიფესტირების შესაძლებლობას იძენს.

თავისი იმანენტური ენიდან და ამ ენის სინტაქსიდან გამომდინარე, იკონიკურ-პლასტიკური ფორმაც ანალოგიურ მეტამორფოზას განიცდის; და ეს მეტამორფოზა იმპრესიონისტული პლაინ აირ-დან - „მოქმედების ფერწერამდე“ ვითარდება, თუმცა, ეს სულაც არაა ბოლო ინსტანცია...

საქმე „ობიექტის ხელოვნებამდე“ მიდის; რედი-მეიდი ხომ საბოლოოდ აუქმებს არტეფაქტულად კონსტრუირებულ ფორმას. ესაა დეზინიატორთა მიერ ჩადენილი ის ბოლო „დანაშაული“ ანუ არტისტულ-ლინგვისტური კატასტროფა, პლასტიკურ-იკონიკური საგნის

განადგურებით რომ აღნიშნავს ფიქტიური არტისტული ობიექტივაციის სიკვდილს... და როგორც მალარმე „კლავდა“ სიტყვას, რომლის გვამადაც უნდა ქცეულიყო ლიტერატურა, პოსტმოდერნისტი „მხატვარიც“, ვთქვათ, უან ტენგლი, ასევე წარმოგვიდგნენ მკვდარ, ექსპლოატაციიდან გამოსულ სუბიექტებს, როგორც მხატვრობის გვამს. ანდა, ანსელმ კიფერი ავილოთ, კიფერი, რომელიც ფერს ტყვიას ჩაუნაცვლებს და ამით გამოხატავს ფერწერული დისკურსის მილიტარისტულ ნებას.

ასეთ სიტუაციაში, ცოტა არ იყოს, ირონიულად უდერს შოპენჰაუერის სიტყვები, რომ ხელოვნებას შეიძლება ეწოდოს „სიცოცხლის ფერი“...

ხელოვნებას, გარკვეული აზრით, მართლაც სიკვდილთან, და ამდენადვე, „სიკვდილის ფერთან“ უფრო აქვს საქმე...

და მანც, თუკი სამყარო, როგორც წარმოდგნა, ესაა ნების ხილულობა ანუ ჩენილი ნება, ხელოვნება ის Camera obscura-ა, რომლის მეშვეობითაც, მით უფრო აშკარად ვხედავთ საგნებს; ესაა ორგანონი, რომლის მეოხებითაც შესაძლოა ამ საგნების გან-ხილვაც და მო-ხილვაც - თეატრი თეატრში; სცენა სცენაზე; როგორც „ჰამლეტში“... აქ უკვე, მეტახელოვნების კონტურები იკვეთება.

თანამედროვე მხატვრობა კარგახანია აღარაა Camera obscura, არც საგანთა განსახოვნებაა მისი ტელოსი. ეს საგნები ისედაც სახეზეა. თუნდაც, მარსელ დიუშანის ლეგენდარული პისუარის სახით. ამ სანიტარულ ობიექტს სახელი აქვს პოეტურად გადარჩეული და „შადრევანი“ ჰქვაა; და არა მხოლოდ ჰქვაა, არამედ აღნიშნავს და წარმოგვიდგნენ კიდეც შადრევანს. დეზინიატორი გვაიძულებს, დავემორჩილოთ მის ნებას, დავძლიოთ ამ „ზხა“ ობიექტის პირველადი ფურქციონალობა და სულაც, მის „მეორე პლანად“ ვიგულისხმოთ შადრევნის რენესანსული კულტურული მითოლოგება და პაროლიზებულ-ტრავესტირებული არტისტული ლოგიკით დავიჯეროთ, რომ „პისუარი“ - „შადრევანია“... შადრევანია, შადრევანი!

სხვათა შორის, პაროდია არც შოპენჰაუერს ეუცხოება. მუსიკის ლაიბნიცისეულ დეფინიციას იგი ასე გარდათქვამს: „Musica est exercitium metaphysices nescientis se philosophari animi“ - მუსიკა - ესაა მეტაფიზიკური ვარჯიში ქვეცნობიერად მოფი-ლოსოფოსე სულისა“.

შოპენჰაუერი ლაიბნიცს მუსიკის, მარტოდენ გარეგანი მნიშვნელობით რეფლექსის გამო საყვედურობს, თუმცა, თავის მხრივ, შოპენჰაუერსაც შეიძლება „ვუსაყვედუროთ“ იმის გამო, „გარეგანს“ - „შინაგანისაგან“ იზოლირებით რომ მოიაზრებს. არადა, ერთიცა და მეორეც - „გამოხატვის“ პლანში, იგივეობრივი არიან. თავად ტერმინი - „გამოხატვა“ მიანიშნებს „გარეგანს“ აქტიურ რელაციაზე „შინაგანისადმი“, და ამდენადვე გულისხმობს გარეგანისა და შინაგანის თვითიგივეობრივ სხვაობას; ამ მხრივ, გარეგანი - შინაგანის „სხვა“, და პირუკუ: შინაგანი-გარეგანისა....

ბენედეტო კროჩე „გამოხატვაში“ საკუთრივ ენას გულისხმობდა, ენას, რომელიც დესკრიფიული მეტყველების პარალელურად, პოეტურ სიტყვა-გამოთქმებსაც მოიცავს, მუსიკალურ ნოტებსაც, პლასტიკურ ფიგურებსაც, ქრომატულ ხატებსაც... ბოლო-ბოლო, ყოველგვარი გამოხატვა ესთეტიკურ ხასიათს ატარებს.

სხვათა შორის, კროჩე ესთეტიკურ გამოხატვას პრინციპულად განასხვავებს ნატურალისტურისაგან, ამასთან, გამორიცხავს ნატურალისტურ გამოხატვას ენაში, რამდენადაც ეს უკანასკნელი მოკლებულია „სპირიტუალისტური“ გამოხატვისათვის ნიშანდობლივი აქტიურობისა და გონიობის ჭეშმარიტ ხასიათს. კროჩე სემიოტიკაში დიახაც, ამ რიგის ბუნებრივ ნიშანთა შესახებ მოძღვრებას გულისხმობს და ამდენადვე, თვლის, რომ ესთეტიკას ანუ მეცნიერებას სულიერი გამოხატვის შესახებ და სემიოტიკას საერთო არაფერი აქვთ. მოგვიანებით, კერძოდ 1968 წელს დაწერილ ერთ სტატიაში ამ აზრს თავისებურად შეეხმიანება იულია კრისტევა, როდესაც აღიარებს, რომ „სემიოტიკისათვის ლიტერატურა არ არსებობს.“

გამოხატვასთან უშუალოდაა დაკავშირებული „განცდის“ პატეგორია. საკუთრივ გან-ცდის ცნებაშია შესაძლებელი „გამო-ხატვის“ სრული დახასიათებაო, იტყვის ადრეული ლოსევი და „განცდის“ კატეგორიის დაფუძნებისას, მყისვე ინებებს, უარყოს „სენტიმენტალურ-ინტელიგენტური“ რეფლექსიები იმის თაობაზე, რომ მთავარია არა აზრი, არამედ განცდა, რომ მუსიკა - განცდათა ენაა.

ასე რომ, მუსიკის, როგორც „რიცხვის სიცოცხლის“ თეორია უკიდურესობებს არ უშვებს...

და მაინც, მოუხელთებელი რამაა მუსიკურ-რიცხვული სიცოცხლე... ამგვარ „სიცოცხლეში“ ლაიბნიცისეული „სულის გაუცნობიერებელი გამოთვლა“ უძლურია, გამოიწვიოს მხოლოდ იმგვარი სიამოგნება, რომელსაც, შოპენპაუერის ირონიული შენიშვნისამებრ, მათემატიკური განტოლების სწორი ამოხსნისას განვიცდით ხოლმე.

ეს „გაუცნობიერებელი გამოთვლა“ თავად სიცოცხლის შინაგანი სტიქიის რიტმული გამოხატვაა, სულის შეუქცევადი მოძრაობის რიტმული გამო-ხატვა...

აი, რატომაა მუსიკა - სიმბოლო, ცნობიერებაში რიცხვის სიმბოლური კონსტრუირებას რომ მოაწავებს; და რაც მთავარია, ესაა გამოთვლის თავისებური ex-stasis.

Ex-stasis-ის დროს კი, გამოთვლას აზრი ეკარგება!

ლაიბნიც-შოპენპაუერისეული დეფინიცია ამიტომაც იღებს ლოსევთან ასეთ სახეს: „Musica est raptus numerare se nescientis animae - „მუსიკა, ესაა აღმაფრენა სულისა, რომელსაც არ ძალუდს საკუთარი თავის გამოთვლა“.

ასე იძებს სული, როგორც გაუთვლელი (და გაუ-თვალის-წინებელი) ფენომენი კატეგორიალურ გარკვეულობას; სული, რომელსაც, პოეტის პერიფრაზით თუ ვიტყვით, სწყურია გამოთვლა, როგორც გაუთვლელობა...

დამოწმებანი:

ესთეტიკა 1982: *Музыкальная эстетика Германии XIX века.* Т. 2, М.:1982.

ლაქუ-ლაბარტი 1999: Лаку-Лабарт Ф. *Musica ficta. Фигуры Вагнера.* П - г.: 1999.

ლოსევი 1927: Лосев А. Ф. *Музыка как предмет логик.* М.: 1927.

ლოსევი 1927: Лосев А. Ф. *Диалектика художественной форми.* М.: 1927.

მილენბაური 1910: Меленгауэр Н. *Музыкальное искусство и христианская религия.* М.: 1910.

ფლორენცი 2000: Флоренский П. *Собрание сочинений. Статьи и исследовния по истории философии искусства и археологий.* М.:2000.

შელინგი 1966: Шеллинг Ф. В. *Философия искусства.* М.: 1966.

შოპენპაუერი 1998: Шопергауэр А. *Мир как воля и представление.* М.: 1998.

ჩერეგანიჩენკო 1989: Чередниченко Т. В. *Тенденции современной западной музыкальной эстетики.* М.: 1989.

David Andriadze

Life of Numbers and History of Will

(Voluntaristic theme with deconstructivistic variations)

Summary

„Musica est exercitium arithmetical occultum nescientis se numerare animi“ - „music is mysterious arithmetical exercise, which counts unconsciously“ According to Schopenhauer, who was idly ionizing because of this Leibniz's definition, music differs from other arts by imitation of will. It is arbitrary, voluntaristic metamimesis. That's why music is principally “other” art, being on the other side of mimesis and antimimesis, even though „other“ in relation to art.

Melos „tells“ the history of will: this is voluntaristic narrative, which discourse combines melos and meaning, melos and time, the space of melos and the typology of existence etc. Ultimatlly, the source of such correlations reveals in the common modus of melos and existence, the so called temporality. The latter is the material, objective movement of will; the objective movement, from it's side, is a prior peculiarity of mind. And the musical time as immovable idea lives on the mind's peculiarity, which comes from this idea. Hence, music as the live of number, should be understood (and heard) on this base, all the more that the time is the life, and the number is the meaning of the life. Musical-numeral life is par excellence the elusive phenomenon. And in such „life“ unconscious calculation cannot evoke the same „pleasure“ that we feel during the solution of mathematical equation.

„Unconscious calculation“ is the rhythmical expression of inner element of life as the unturned movement of soul (Bergson's duree). That's why music is a symbol that foretells the tropological constructing of number. This is voluntaristic calculation as ex-stasis of musical discourse.

During ex-stasis the calculation loses the sense and is represented in will again.

The definition given Leibniz and Schopenhauer is represented by A. Losev in the following way: „Musica est raptus numerare se nescientis animae“ - music is an inspiration of soul, which cannot calculate itself.

The definition given Leibniz and Schopenhauer is represented by A. Losev in the following way: „Musica est raptus numerare se nescientis animae“ - music is an inspiration of soul, which cannot calculate itself.

ნუგზარ ბარდაველიძე

პოსტმოდერნისტული დისკურსი PR-ზე და რეკლამაზე

ამჟამინდელ დასავლეთ სამყაროში, უფრო ზუსტად კი დასავლელ ინტელექტუალებში ეგზომ პოპულარური ძველი ჩინელი მოაზროვნე სუნ ძი, თავის ტრაქტატში სამხედრო ხელოვნების შესახებ სასარგებლო დარიგებას იძლევა, რომელიც არა მხოლოდ ომის ხელოვნებით დაინტერესებულებს წაადგებათ, არამედ კარგ მეგზურად გამოდგება ნებისმიერ სფეროში. და თუ დიდი ჩინელის დარიგებათა პერიფრაზს გავაკეთებთ, იგი იდეალურად მოერგება რეკლამასა და საზოგადოებასთან ურთიერთობების ხელოვნებას.

სუნ ძის ტრაქტატის პირველ თავში, რომელსაც „წინასწარი გათვლები“ ეწოდება, ომის მნიშვნელობაზეა ზოგადი საუბარი. თუ ზოგიერთ ჩევნთვის საინტერესო სენტუციაში სიტყვა „ომს“ შევცვლით „საზოგადოებასთან ურთიერთობებით“, მივიღებთ მეტად გასათვალისწინებელ დარიგებას დემოკრატიული სისტემისათვის: PR – „ეს არის დიდი საქმე სახელმწიფოსათვის (ჩვენს შემთხვევაში არასახელმწიფო ორგანიზაციებისათვისაც), ეს არის სიცოცხლისა და სიკვდილის საფუძველი, ეს არის გზა არსებობისა და გზა დალუპვისა და ეს უნდა გავაცნობიეროთ“ (კონრადი 2000).

რაც შეეხება გზას, სუნ ძისთან იგი მოიაზრება როგორც მდგომარეობა, მოვლენა: „როცა მიაღწევ იმას, რომ ხალხისა და მმართველის აზრები ერთმანეთს დაემთხვევა, როცა ხალხი მზადაა მასთან ერთად მოკვდეს, მასთან ერთად იცოცხლოს, როცა მას არც არაფრის ეშინია და არც არაფერს უფრესს ეჭვის თვალით“ (კონრადი 2000).

და თუ რომელიმე ორგანიზაცია, ან პიროვნება ფლობს ამ გზას, ანუ ვინც ფლობს ძლიერ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, ვინც ფლობს მოქნილ პროპაგანდისტულ მანქანას, „ვისაც უსრულებენ წესებს და ბრძანებებს“, ვისაც უკეთესი სპეციალისტები ჰყავს, ვინც უკეთ არის გაწვრთნილი და განსწავლული და ვინც სწორად იყენებს თეორიასა და პრაქტიკას, ვინც სამართლიანად სჯის და აჯილდოებს, სწორედ ის მიაღწევს უკომპრომისო კონკურენციულ გარემოში წარმატებას.

სულ რაღაც ორი ათეული წლის წინ, „საბჭოური უძრაობისა“ და საყველთაო დეფიციტის პირობებში, რეკლამა უცხო ხილი იყო არა მხოლოდ პროვინციების მკვიდრთათვის, არამედ დედაქალაქის სწოდებისათვისაც და იმ პერიოდის სარეკლამო სლოგანი ვერ გასცდა თბილისის ვაგზლის მოედანზე ათწლეულების განმავლობაში თავმომწონედ აქაფებულ რეკლამას, რომელიც ამცნობდა დედაქალაქის მკვიდრებსა და სტუმრებს, რომ „ლუდი სასიამოვნო და მარგებელია“. და ამ ორენოვნმა რეკლამამ (თუ არ ჩავთვლით რომ ხშირად თვეების განმავლობაში დაზიანებული განათების გამო ვერ გაიგებდთ, კერძოდ რომელი სასმელი იყო სასიამოვნო), გაუძლო ჟამთა სვლას და სტალინური ეპოქიდან გორბაჩოვისეულ „პერესტროიკამდე“ უცვლელად მიაღწია, ვიდრე იგი ანტიალკომლურმა კომპანიამ არ იმსხვერპლა. გმირთა მოედანზე იყო სხვა სარეკლამო სლოგანიც, რომელიც გვამცნობდა, რომ იყო „ქართული ჩაი“, მაგრამ არ გვეუბნებოდა რა უნდა გვექნა ამ ჩაისათვის – დაგველია, გვეყიდა თუ უბრალოდ გვეამაყა მისით. მაგრამ იმავე „პერესტროიკამ“ გზა გაუხსნა სარეკლამო ბუმს და მეოცე საუკუნის ორმა ვეშაპმა, PR-მა და

რეკლამაში (რომელზედაც დედამიწა დგას), თამამად შემოცურა მანამდე მათთვის აღკვეთილ ზონად მყოფ მსოფლიოს ერთ მექანიზმზე.

დღეს რეკლამას მთლიანად დაპყრობილი ჰყავს საზოგადოების ცნობიერება და ადამიანები იმის მიუხედავად, ეს სურთ თუ არა, განიცდიან რეკლამის მუდმივ ზემოქმედებას.

90-იანი წლებიდან რეკლამა შემოიჭრა ადამიანის ცხოვრებაში ტელეეკრანისა და პრესის, ბილბორდებისა და ლაითბოქების სახით და დაიწყო მძაფრი კონკურენციის ერა, არა მხოლოდ უცხოურ საქონელს შორის, არამედ ადგილობრივი წარმოების პროდუქტებს შორისაც. გავიხსენოთ რამდენჯერ აუგორეს კონკურენტმა ქართულმა ფირმებმა ერთმანეთს ე. წ. „შავი პიარი“ კონკურენტებს შორის ბრძოლა ხან სარეკლამო ბილბორდების განადგურებით გამოიხატებოდა, ხან მედიაში შეკვეთილი სტატიების გამოქვეყნებით, სადაც დაშვებული თუ დაუშვებელი მეთოდებით სახლს უტეხდნენ ერთმანეთს.

დასავლეთში პოპულარული წიგნის „კულტურული ინდიკატორები – მესამე ხმა“ ავტორი ქ. ჰერბენირი მახვილგონივრულად აღნიშნავს – თანამედროვე სოკრატე ალბათ იტყოდა: „შეიცან კომუნიკაციები, რათა შეიცნო საკუთარი თავი“. რეკლამის ფენიმენი თანამედროვე სამყაროში წარმოადგენს მსოფლიო, გლობალურ კომუნიკაციას, რომელიც იქნება თანამედროვე ტექნიკური საშუალებებისა და ეფექტური კრეატიული ტექნოლოგიებით. მას ახასიათებს გავრცელების მაღალი სისწრაფე და ცნობიერებაზე ზემოქმედების დიდი უნარი.

როგორც რეკლამის ბევრი მკვლევარი აღნიშნავს, თანამედროვე სარეკლამო ხელოვნება ჩამოყალიბების პროცესშია, რეკლამის წარმოების საკომუნიკაციო სამეცნიერო პარადიგმა ჯერ კიდევ ფორმირების სტადიაშია (პოვერენგო 2004: 8) და „კონცეფციის გაურკვევლობა შეიძლება გამართლებული იქნეს იმით, რომ იგი ასახავს საგნის არსის გაურკვევლობას“ (ჯერი 1999: 9).

რეკლამმცოდნეობა – მძლავრად განვითარებადი დისციპლინაა, და, შეიძლება ითქვას, რომ თავისი არსით იგი „მულტიპარალიგმულია“. ის ასახავს როგორც მიღწეულ წარმატებებს, ასევე სირთულებს და სხვა სამეცნიერო დისციპლინების დივერგენტულ ინტერპრეტაციებს, რომელთანაც რეკლამმცოდნეობასა და რეკლამწარმოებას უხდება მჭიდრო საგნობრივი დაკავშირება: სოციოლოგია, ეკონომიკა, მარკეტინგი, ფინანსოლოგია, კომუნიკაციტიკა, ლინგვისტიკა, ხელოვნების თეორია და ა.შ. (პოვერენგო 2004: 9).

საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, მიმდინარეობს ახალი „მკვეთრად გამოხატული“ დიზაინის მქონე რეკლამის, სარეკლამო დიზაინის მიებანი; ვითარდება კრეატიული ტექნოლოგიები, ინვენტარიზაცია მედიადაგეგმვა. თუ სარეკლამო კომუნიკაციები შეიცავენ აუდიტორიაზე ზემოქმედების ნეგატიურ ელემენტს, ეს ეფექტი რეკლამის დომინირებული მდგომარეობის გამო შეიძლება მკვეთრად გაძლიერდეს მედიასივრცეზე. ამერიკელი მკვლევარები გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ დღეისათვის „ჩვენს მედიაგარემოზე, მის ხარისხზე პასუხისმგებლობა თანაბრად უნდა გადაინაწილოს როგორც მისმა შექმნელებმა, ასევე მომხმარებლებმა“ (თომანი 1992), რაშიც არ შეიძლება არ დავეთანხმოთ.

მეოცე საუკუნის უკანასკნელ ათწლეულებსა და ოცდამეერთე საუკუნის დასწყისში ეგზომ პოპულარული მიმდინარეობა, რომელიც პოსტმოდერნიზმის სახელით არის ცნობილი, გახდა საზოგადოების ცნობიერების წარმართველი მოვლენა. მრავალი მკვლევარი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „პოსტმოდერნიზმია ჩამოაყალიბა განსაკუთრებული, სპეციფიური მენტალიტეტი, რომელიც ახასიათებს თანამედროვეობას, და იგი იქცა მასების შემეცნების ერთგვარ დუღაბად“ (პოვერენგო 2004: 10).

XXI საუკუნის დასაწყისში პოსტმოდერნიზმი, რომელიც ათასწლეულთა მიჯნაზე სოციალურ-კულტურულ ფენომენად გადაიქცა, სწრაფად იმენს სიმწიფის ნიშნებს და თანამედროვე კულტურის ყველა სფეროს მოდის ახალ ნიშნებს კარნახობს. პოსტმოდერნიზმის ეს გავლენა ცხადია ყველაზე ნათლად სწორედ სარეკლამო სფეროში წარმოჩნდება და თავის ასახვას ჰქონებს საზოგადოებრივ ურთიერთობებშიც.

დღეისათვის პოსტმოდერნიზმის ფენომენი იშვიათად თუ ვინმეს დაეჭვება იწვევს, მაგრამ იგი სხვადასხვა აგტორთა მიერ ნაირგვარად აღიქმება და განიხილება. ზოგი მას დემონურ მოვლენად განიხილავს და ადამიანური ზნეობის დამანგრეველ თვისებებს მააწერენ, თუმცა კულტურაში ახალი მოვლენის აღმოცენებისას ძველი მთლიანად არასდროს ქრება, ხოლო, რაც თავს იჩენს

სიახლის გამოვლენის შემთხვევაში, შეიძლება დაკანასიათოთ პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთი დამაარსებლის ჯ. დერიდას საყვარელი გამოთქმით – „ყოველთვის უკვე“ (დერიდა 1975: 313).

პოსტმოდერნიზმი მოგვევლინა მოდერნის ეპოქის შემცვლელად. მოდერნის უწოდებენ ძირითადად სტილურ მიმდინარეობას ხელოვნებაში, ხოლო მოდერნიზმს – ეპოქის ინტელექტუალურ გააზრებას. განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენდა თანამედროვეობის პრიორიტეტი წარსულზე – „ყოველი ეპოქა თავის დროზე უახლოვდება კრიზისის საზღვარს. ამიტომ ყოველ ეპოქაში ჩნდება რომელიდაცა მიმდინარეობა, რომელიც თამაშობს ავანგარდის როლს. აგანგარდი ანგრევს, დეფორმირებას ახდენს ძველისას“ – წერდა უმბერტო ეკო. უახლეს ეპოქაში ეს იყო მოდერნი, რომლის შემცვლელად მოგვევლინა პოსტმოდერნი, რომელიც კრიტიკულად უდგება ძველ ფასეულობებს, ახდენს არსებულის დეკანონიზაციას, გადაკოდირებას, გადაფასებას.

უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ორი ცნება – „პოსტმოდერნი, რაც სიტყვასიტყვით ნიშავს მოდერნის შემდგომ პერიოდს და პოსტმოდერნიზმი – რაც წარმოადგენს კულტურის თვითშეგნებას, მიმართულებას მოცემულ ისტორიულ ეპოქაში“ (ლექსიკონი 2004: 39).

პოსტმოდერნიზმი არის საზოგადოების ხაზგაშულად გამოკვეთილი, გაურკვეველი მდგომარეობა; ადამიანთა ცხოვრების ხასიათი იძენს გლობალური და ფრაგმენტული საზოგადოების თვითშეგნებას, სადაც არ არსებობს შეფასების აპსოლუტური წესები და კრიტერიუმები. პოსტმოდერნიზმი უარყოფს განმანათლებლობის იდეებს და საზოგადოების სრულყოფას რაციონალური აზროვნების საშუალებით. პოსტმოდერნისტების აზრით „საზოგადოების წვდომა რაციონალური გზით შეუძლებელია, რადგან საზოგადოება მუდმივ ცვლილებებშია“ (ლოუსონი 2002: 334).

ფართო კონტექსტში პოსტმოდერნიზმში იგულისხმება „ცივილიზაციის გლობალური მდგომარეობა უკანასკნელ ათწლეულებში, კულტურული ზეზაშენისა და ფილოსოფიურ ტენდენციათა მთელი ჯამი“ (ვაინშტეინი 1993: 31), რომელიც კულტურულ-ისტორიული განვითარების ეტაპის დასრულებასთან, „თანამედროვეობის“ /მოდერნის/ თვითამოწურვასთან, „ევროპური კრიზისის განასერში შესვლასთან“ (სკოროპანოვა 2002: 334) დაკავშირებით ჩამოყალიბდა.

თავად ტერმინი „პოსტმოდერნი“ გამოიყენა ა. ტოინბიმ თავის 1947 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ისტორიის გამოკვლევანი“, ახალი ომის შემდგომი განვითარების ეტაპის აღსანიშნავად (ილინი 2001: 323).

პოსტმოდერნიზმის დამახასიათებელი ნიშნებია: ტრადიციული ფორმების ნგრევა, ციტატურობა, ინტერტექსტუალობა, მორალთან დაკავშირებით მარგინალურობის გამოვლენა, კანონების უარყოფა, გაურკვევლობა, სამყაროს აღქმა როგორც მუდმივად ცვალებადი, ამორფული, პოლივარიანტული რეალობისა. ზოგიერთი მკვლევარი პოსტმოდერნიზმში გამოჰყოფს შემდეგ ნიშნებს:

1. გაურკვევლობა; არაზროვნება.
2. ფრაგმენტულობა. მხატვარი პოსტმოდერნისტი ქმნის დეკონსტრუქციებს, არჩევს კოლაჟებს, მონტაჟებს, იყენებს მზა ან დანაწევრებულ ტექსტებს.
3. დეკანონიზაცია, ყველა კანონებისა და ნორმების, ეროვნული და რელიგიური პირობითობების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება.
4. ზედაპირულობა, გამოკვეთილი სახის არქონა.
5. წარმოუდგენელის წარმოდგენა.
6. ირონია, დამცინაობა.
7. პიბრიდიზაცია ან უანრების მუტანტური ცვლილებები, გაურკვეველი ფორმების „პარალიტერატურა“, „პარაკრიტიკა“, „არამხატვრული“ რომანის დამკვიდრება.
8. კარნავალიზაცია. კარნავალიზაცია ნიშავს ენის ცენტრიდანულ ძალას, საგნების „პირობით მხიარულ მიმართებას“, ცხოვრების ველურ აურზაურში, უწესრიგობაში მონაწილეობას, სიცილის იმანენტურობას.
9. პერფორმანსი; თეატრი იქცევა ცხოვრების დეკანონიზაციის არსებულ ნორმად.
10. კონსტრუქტივიზმი. პოსტმოდერნიზმი კონსტრუირებას უწევს რეალობას.

11. იმანენტურობა. თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებების მეშვეობით შესაძლებელი გახდა ადამიანის შეგრძებების განვითარება. შესაძლებელი გახდა მოვიცვათ სამყარო არაცნობიერის საიდუმლოებებიდან დაწყებული კოსმოსის შავი ხვრელებით დამთავრებული და ყოველივე ეს გადავიყვანოთ ნიშნების ენაზე, გარდავქმნათ ბუნება კულტურაში, იმანენტურს ემთოტიკურ სისტემაში (კერიმოვი 2001: 201).

პოსტმოდერნიზმის თეორეტიკოსები ცდილობენ დამტკიცონ ჭეშ-მარიტების პირობითობა თანამედროვე სამყაროში. პ. ვეინის აზრით, „როგორც ნებისმიერი თანამედროვე საგანი, ჭეშმარიტებაც დაიშალა და მან დაკარგა თავისი ერთიანობა, იგი გაიფანტა, მისი მოძრაობა ერთგვარი გაზვიადებით შეიძლება შევადაროთ, განვსაზღვროთ როგორც ხეტიალი, უაზრო მოძრაობა“ (ილინი 2001: 324).

წარმოიშვა აზრი, დავეთანზმოთ თანამედროვე სამყაროში „შემოკლებული ჭეშმარიტების“ არსებობას, სადაც სიმართლე და გამონაგონი კარგავს თავის სიმკვეთობის. ყველაფერი ხდება რაღაც დიფუზური, მკვეთრი საზღვრების გარეშე.

„შემოკლებული ჭეშმარიტების“ იდეა ძევს პრაქტიკულად ყოველი სარეკლამო შეტყობინების საფუძველში. რადგან ჭეშმარიტება პირობითია, ყველგან და ყველაფერში გამეფებულია სიმულაცია; რეალობა იცვლება სინამდვილის მოდელირებული ნიშნებით. პოსტმოდერნიზმს შემოაქვს და ავითარებს ისეთ სერიიზულ ცნებას, როგორიცაა – სიმულაკრი (ლათინური სიტყვიდან simulacrum – სახე, მსგავსება). „გამოყენება – ეს არის ვირტუალური ერთობა ყველა საგნისა და შეტყობინებისა, რომლებიც ქმნიან მეტნაკლებად შეკრულ დისკურსს ნიშნებით სისტემატურ მნიშვნელობებას, რომლებიც გარდაიქმნებინ საგნებად“. – (წერს ჟ. ბოდრიარი 1993: 18). გამოყენებულ ნიშანთა – სიმულაკრების (მიმსგავსებების), ტიპი, ეს არის სწორედ სიმულაკრები (მიმსგავსებები). ასე ესმოდა მას სახეები, რომლებიც ნთქავდნენ, სდევნიდნენ რეალობას. პრაქტიკულად მთელი თანამედროვე სამყარო, მისი აზრით, ფუნქციონირებს როგორც წარმოსახვითი სამყარო, რომელიც „მგონია“ რომ ასეთია, ეს არის სიმულაკრ-ფანტომების წარმოდგენა, რომელიც ნაკლებად ასახავს სინამდვილეს; არ შეეფერება რეალობას, მაგრამ აღიქმება როგორც რეალობა. მეტიც, ის უფრო რეალობად აღიქმება, ვიდრე თავად წარმოდგენა – რეალობა. სწორედ ამ სამყაროს უწოდა ჟ. ბოდრიარმა – პიპერრეალობა.

ჟ. ბოდრიარი ცდილობდა აეხსნა სიმულაკრი, როგორც სიმულაციის პროცესის შედეგი, რომელიც არყოფნას ყოფნად ადგენს და შლის ყოველგვარ საზღვარს რეალობასა და წარმოსახვითობას შორის. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ სიმულაკრი – ეს მოდელირებაა და არა უბრალოდ ასლის გადაღება. ჟ. დელიოზი, რომელიც ასევე იკვლევდა ამ პრობლემებს, აღნიშნავს, რომ „სიმულაკრი“ – ეს არის ნიშანი, რომელიც უარყოფს როგორც ორიგინალს, ასევე ასლს, იგი კონსტრუქციაა, რომელიც თავის თავში მოიცავს დამკვირვებლის ხედვის კუთხეს. სიმულაკრის ქმნილების ეფექტი არის სიმულაცია“ (დელგზი 1993: 118).

პოსტმოდერნიზმის თეორეტიკოსები მთელ თანამედროვეობას განიხილავნ როგორც ტოტალური სიმულაციის ერას. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა პოსტმოდერნიზმის მამამთავრების მოსაზრებები თანამედროვე სამყაროში ინფორმაციის დანიშნულების შესახებ. აქვე მოისაზრება საზოგადოებრივი კომუნიკაციები და ურთიერთობები.

ჟ. ბოდრიარის აზრით, ინფორმაცია დღევანდელობაში არავითარ აზრს არ შეიცავს, იგი უბრალოდ „გაითამაშებს“ მას, ვინაიდან კომუნიკაციას შეცვლის მისდაგვარი სიმულაკრით. ყველაფერი ეს კი აყალიბებს სამყაროს აღქმის სპეციფიკას ანუ პოსტმოდერნისტულ, მედიაზირებულ საზოგადოებას და მის შემეცნებას. ეს არის პოსტმოდერნისტული მედიაზირებული საზოგადოება, თავისი სპეციფიკური აზროვნებითა და მსოფლმხდევლობით. სწორედ ამიტომ პოსტმოდერნიზმი აქცენტს აკეთებს სახეზე (იმიჯზე), რომელმაც დაჩრდილა რეალობა, სინამდვილე.

პოსტმოდერნიზმი ყურადღებას ამახვილებს არა საგნის, მოვლენის ანარეკლზე – არამედ მის კონსტრუირებაზე, სინამდვილის, რეალობის მოდელირებაზე, ხელოვნური რეალობის შექმნაზე. ამ თვალსაზრისით, თავისი სპეციფიკიდან და ბუნებიდან გამომდინარე, ყველაზე უკეთ მისადაგებული სწორედ ტელევიზიაა.

პოსტმოდერნიზმი, როგორც მიმართულება ჩამოყალიბდა სწორედ ტელევიზიის სწრაფი და ფართო აღმავლობისა და განვითარების პერიოდში და შეითვისა მრავალი რამ მისი ესთეტიკიდან.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია – ტელევიზიისათვის დამახასიათებელი მოზაიკური მოწოდების მეთოდი და ინფორმაციის წარმოდგენის მისეული სტილი, ე.წ. „ვიდეოკრატია“, ხედვის ანუ თვალის თვისეუფლება. ასე რომ ცნებებს – ხელისეუფლება, თავისეუფლება, პოსტმოდერნისტულ ეპოქაში ემატება ახალი ცნება – **თვალისეუფლება**.

მასმედიაზირებულ სამყაროში შემცენების პროცესი იძნეს მოზაიკურ ხასიათს. გამოსახულება იქმნება თანმიმდევრობით, მოზაიკურად განვითარებული მოკლე სიუჟეტებით; გამოსახულება მისრიალებს ზედაპირზე, იძნეს ფლუპტაციურ ხასიათს, (მოციმციმე, მოთამაშე გამოსახულება). ამის ნათელი მაგალითია კადრების სწრაფ ცვლაზე აგბული კლიპური კულტურა, პირველ რიგში სარეკლამო სწრაფი მონტაჟით შესრულებული სიუჟეტები.

სამყაროს იერარქიული მოდელის სანაცვლოდ, სადაც არსებობს მთავარი და მეორესარისხოვანი, შემოთავაზებულ იქნა ქაოტური მოდელი; დესტრუქციული ქაოტური მოდელის თეორიული გააზრებისათვის გამოყენებულ იქნა პოსტსტრუქტურალიზმის კონცეფციები. უ. დელეზმა შემოიტანა ბიოლოგიდან აღებული ტერმინი „რიზომა“. რიზომა მთავარი ფესვის მაწისქეშა დატოტვილი ნაწილია. რიზომა – ეს მეტაფორა პოსტმოდერნიზმი აღნიშნავს უწესრიგო, არაპრევალირებულ მიმართულებას ცნობიერებისა. ეს ერთდროულად არის ცენტრულობის უარყოფა; მრავალი აზრის არსებობაც სადაც არ არის მთავარი და მეორესარისხოვანი, – ესაა; ყველაფერი მნიშვნელოვანია, ყველაფერი ურთნაირად იმსახურებს ყურადღებას და ასახულია ტექსტში. სწორედ ესაა სარეკლამო ტექსტების რიზომულობა და პოლისებია. „არსებობს მრავალრიცხოვანი მნიშვნელობა სტრიქონთშორისი აზრების ცამციმისა, არსებობს სიცარიელები, აზრი კი უფრო ხშირად სწორედ სტრიქონებშორის არსებულ სიცარიელეში იბადება“ (ფუკო 1996: 129).

სიცარიელეები – ეს არის ინტერპრეტაციები, რომლებიც არსებობენ, თუმცა კი არ აღინიშვნებიან ტექსტში. მ. ფუკო აკეთებს დასკვნას, რომ „საბოლოო ანგარიშით მანიფესტირებული მსჯელობა დაბეჭითებით წარმოგვიდგენს იმას, რის შესახებაც იგი არ საუბრობს. სწორედ ამგვარი აღთქმა არის ის სიცარიელე, რომელიც შიგნიდან /აყალიბებს/ ყველაფერს რაზეც მიმდინარეობს საუბარი“ (ფუკო 1996: 130-131).

რეციპიენტს ცნობები, მათ შორის სარეკლამო განცხადებების გაცნობისას, აძლევს თვალისეუფლების შეგრძნებას – რაც არ არსებობდა იერარქიული მოწყობის საკომუნიკაციო აქტისას. ეს არის თავისეუფალი ინტერპრეტაცია, გამომდინარე ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზებიდან. ინდივიდს შეუძლია „თავად შექმნას ახალი მოსაზრებები, შეცვალოს დამოკიდებულება, გაიხსნოს ადრე არსებული სურვილები, ცხადია, მისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე. სარეკლამო ტექსტები და ინფორმაციები თითქოს ეთამაშება რეციპიენტს, აძლევს მას საშუალებას თავად გაუკეთოს თავისეუფალი ინტერპრეტაციება მოსმენილს ან ნანახს; ამის ყველაზე ნათელი მაგალითია ბოლომდე ართქმული ტექსტები, მოსაზრებები, აზრები, რაც აგრერიგად პოპულარული გახლავთ სარეკლამო სლოვანებში და რაც აძლევს გასაქანს რეკლამის მომხმარებლის ფანტაზიას.

რეკლამა, წარმოადგენს რა ნიშნებისა და სიმბოლოების ურთიერთშერწყმის ნიმუშს, განიხილება როგორც პოსტმოდერნისტული ესთეტიკის პრინციპებით აგებული პოსტმოდერნისტული ტექსტი.

თანამედროვე რეკლამაში კრეატიული ტექნოლოგიების გამოყენება, რომლებიც იქმნება პოსტმოდერნისტული სტილისტიკის გათვალისწინებით, არის განმსაზღვრელი ფაქტორი. პოსტმოდერნიზმი ვერბალურ და ვიზუალურ სარეკლამო კომუნიკაციებზე უპირობო ზემოქმედებას ახდენს. თანამედროვე სარეკლამო კრეატივი – ეს არის პოსტმოდერნისტული სტილისტიკის გამოყენება. „ამასთანავე მრავალი ფაქტორი გვარწმუნებს, რომ პოსტმოდერნიზმი არა მხოლოდ “გადავლილი წვიმა“ არამედ მომავალისაკენ გადებული ხიდიც“ (სკოროპანოვა 2002: 222-223).

1979 წელს უ. ფ. ლიოტარის მიერ შექმნილი წიგნის – „პოსტმოდერნის“ (ლიოტრი 1998: 5). გამოქვეყნების შემდგომ მრავალი რამე შეიცვალა. პირველ რიგში საზოგადოებრივ ცნობიერებაში, ამიტომ სოციოკულტურული გამოწვევა პოსტმოდერნიზმისა საზოგადოებაში გლობალიზაციის ხანაში უყოფმანოდ მიიღო.

დღეისათვის პოსტმოდერნისტული რიზომის, ინტერნეტის ქსელისმაგვარი სამყაროს მოდელი ჩამოყალიბების პროცესშია, რაც გლობალიზაციის ეპოქის სამყაროს სახეს უნდა წარმოადგენდეს; იგი უკვე ჯდება საზოგადოების ცნობიერებაში. ამერიკელი მკვლევარი მ. კასტელსი გვთავაზობს

ახალ ცნებას – „ინფორმაციული საზოგადოება“, რომელიც დაკავშირებულია ახალი „რეალური ვირტუალური კულტურის“ გავრცელებასთან, რაც აგრერიგად დამახასიათებელია პოსტმოდერნიზმისათვის როდესაც იქმნება წარმოსახული რეალიები, კომუნიკაცია იცვლება „სიმულაციებით“, ინფორმაცია კი მხოლოდ „გაითამაშებს“ აზრს (კასტელსი 2000: 16).

საზოგადოებასთან ურთიერთობები (შემოკლებით PR) ხშირად ერევათ ხან “პაბლი-სიტში“, ხან “პრომოუშენში“, ზოგი კი მას, როგორც რეკლამის ერთ-ერთ სახეობას, ე.წ. უფასო რეკლამას ისე განიხილავნ. PR ზოგჯერ გაყიდვის პროცესის სტიმულირება-წახალისებაშიც ერევათ. ამიტომ რეკლამის დაგეგმვასასა და წარმართვაში ძალზე მნიშვნელოვანია გავარკვიოთ და განვსაზღვროთ PR-ის არსი და მისი არსებითი განსხვავება რეკლამისაგან. რეკლამა და PR, ეს ორი სრულიად განსხვავებული კომუნიკაციური ფორმაა და, როგორც წესი, რეკლამა ყოველთვის უფრო აწყობილი და ეფუძნულია, თუ კარგად არის აწყობილი შესაბამისი ურთიერთობები საზოგადოებასთან.

ყველაზე მოკლე და პოპულარული განსაზღვრით, PR-ის მიზანია ურთიერთობა საზოგადოებასთან საქმიანობაში (ბაზარი, ბაზრის მომზარებელი, საარჩევნო ელექტორატი და სხვ.) მონაწილე საზოგადოების გათვითცნობიერებისა და ინფორმირებულობის საშუალებით. პაბლისიტი კი ეს არის რეკლამის საშუალებით პიროვნების ან მხატვრული ნაწარმოებისათვის სახელის განთქმა და პოპულარულად ქცევა (კუკარკინი 1978: 346). პრომოუშენი – ბაზარზე საქონლის წინ წამოწევაა, მისი გასაღებისათვის ხელშეწყობა, ხოლო PR მოწოდებულია წარმატებით შეისწავლოს ბაზარი და თავისი საქმიანობა ააგოს ნამდვილ ფაქტებზე და გარემოებებზე, იყოს მაქსიმალურად ობიექტური, საიმედო; რეკლამა კი, როგორც აღვნიშნეთ, უნდა იყოს სტიმულის მომცემი გასაღებისათვის, იგი უნდა იყოს ემოციურად შეფერილი, მიმზიდველი და, შესაძლებელია, მიკერძოებულიც. ერთი სიტყვით, მთავარი განსხვავება რეკლამასა და PR -ს შორის ის არის, რომ “თავისი მიზნების მისაღწევად PR უნდა იყოს მიკერძოებული, მაშინ როდესაც რეკლამა უნდა იყოს მიკერძოებული” (ჯეფკინსი 2002: 317).

ამასთანავე ბევრად უფრო ადვილია სარეკლამო მომსახურეობა გაუკეთდეს იმ საქონელს, რომელსაც ადამიანები იცნობენ ან გაუგიათ რაიმე მის შესახებ; ასე რომ რეკლამა შესაძლოა გავხადოთ ბევრად ეფუძნული და ეკონომიური, თუ არსებობს ურთიერთობა მომხმარებელთან, წარმოებს მისი განწყობის, დამოკიდებულების კვლევა, სურვილებისა და მოთხოვნილებების შესწავლა. მაგალითად, როდესაც მომხმარებელი ყიდულობს საკვებ პროდუქტს, აინტერესებს თუ სად, როგორ ეკოლოგიურ ვითარებაში მოხდა მისი მოყვანა – დამზადება; ან ასარჩევი კანდიდატის პროგრამაზე უფრო მისი ოჯახური ცხოვრების დეტალები და გატაცებები აინტერესებთ. როდესაც მომხმარებელმა ან ამიმრჩეველმა იცის მის მიერ საგარაულო არჩევანის თავისებურებები, იგი უფრო თამამ და გადამწყვეტ ნაბიჯს დგამს. ამაში მას ეხმარება ინფორმაცია, რომელსაც იგი იღებს პრესაში გამოქვეყნებული სტატიებიდან, ტელერეპორტაჟებიდან.

ცხადია, საზოგადოებრივი ურთიერთობები, საზოგადოებრივი აზრი არ ყალიბდება მხოლოდ მასშედის საშუალებით. თანამედროვე PR მოიცავს კომერციულ და არაკომერციული, საზოგადოებრივ და კერძო ორგანიზაციების მოქმედების მთელ სპექტრს, იგი ეხება ისეთ საკითხებს, რომლებიც ცილდება არჩევნების, მარკეტინგისა და რეკლამის ფარგლებს. PR-ის სფერო მოიცავს ადამიანებთან ურთიერთობას, კრიზისული სიტუაციების პროფილაქტიკას, პრევენციული საქმიანობის წარმართვას, გაუთვალისწინებული სიტუაციების მინიმუმამდე დაყვნას, პოლიტიკურ ლობირებას; PR-ის ზოგიერთი საქმიანობა დაკავშირებულია კანონმდებლობასთან და სარეკლამო ხელმძღვანელობასთან (ჯეფკინსი 2002: 134).

PR-მასალები ძირითადად ფაქტებს უნდა ეყრდნობოდეს და უნდა იყოს ინფორმაციული, შეიცავდეს ფაქტობრივ მონაცემებს და არა ემოციურ ან შთაბეჭდილებების მომხდენ მტკიცებებს; არ საჭიროებს თვითშექმნასა და თვითწარდგენას. PR კი ეხება მრავალ სფეროსა და ორგანიზაციას, რომლებიც, შესაძლოა, არ უკავშირდებოდნენ რეკლამასა და არ მოითხოვდნენ რეკლამირებას. მაგ., სახანძრო რაზმი ან სასწრაფო დახმარება არ ეწევა ავადმყოფობის ან ხანძრის რეკლამირებას (ჯეფკინსი 2002: 319). მაშინ როდესაც რეკლამა, როგორც წესი, მიმართულია ბაზრის ცალკეული სეგმენტებისა და კონკრეტული სოციალური ფენებისადმი, PR მიმართავს მრავალრიცხოვან საზოგადოებას, ორგანიზაციებს, სოციალურ ჯგუფებს, რომელთანაც თანამშრომლობს ინფორმაციის საშუალებით (ჯეფკინსი 2002: 329).

და რაც მთავარია, ეს საზოგადოებრივი ჯგუფები შესაძლოა სრულებითაც არ იყვნენ კომპანიის ნაწარმის მომხმარებლები.

სარეკლამო საქმის დანახარჯები განისაზღვრება რეკლამის შექმნაში გაწეული ხარჯებითა და სარეკლამო ადგილის, ან დროის ღირებულების ჯამით. PR-ის ფასი კი განისაზღვრება დროის დანახარჯს პლუს თვალსაჩინოების და შეხვედრების ორგანიზების ხარჯები.

რეკლამის მიზანია – აღძრას ადამიანების რაღაც ქმედებები; მაგ., შეიძინოს ესა თუ ის საქონელი, მისცენ ხმა ამა თუ იმ კანდიდატს, ან, თუნდაც, უბრალოდ შეახსენოს ადამიანებს რაიმე საქონლის ან მომსახურეობის სფეროს პერსექტიული სტუმრობის შესახებ.

PR-ის მიზანია – ურთიერთგაების მივაღწევა, რომელიც ეხება ორგანიზაციასა და საზოგადოებას, მათ ურთიერთობას ყველა სფეროში. ერთი სიტყვით, PR და რეკლამა ორი სრულიად განსხვავებული სამყაროა და PR-ის მოქმედების სპექტრი ბევრად ფართოა ვიდრე რეკლამისა (ჯეფკინსი 2002: 331). სარეკლამო საქმიანობა, მიუხედავად იმისა, რომ იგი უფრო ძვირადღირებულია, სრულიადაც არ უნდა იქნას განსხილული უფრო მნიშვნელოვან სფეროდ ვიდრე PR. საზოგადოებასთან ურთიერთობები ბევრად განსაზღვრავს ორგანიზაციის პრესტიუს, მის საიმედოობას და იგი გადამჭრელად მოქმედებს ორგანიზაციისადმი საზოგადოების კეთილგანწყობაზე, ნდობის ფაქტორსა და საერთო რეპუტაციაზე.

PR მუშაობს საზოგადოებასთან, არა ზოგადად საზოგადოებრიობასთან, არამედ კონკრეტულ საზოგადოებრივ ჯგუფებთან. საზოგადოებრივ ჯგუფებში მოიაზრება ადგილობრივი მოსახლეობა /რაიმე კონკრეტული ტერიტორიის მაცხოვრებლები, პოტენციური თანამშრომლები, მომწოდებლები, დისტრიბუტორები, მომხმარებლები და ე. წ. საზოგადოებრივი აზრის შემქმნელები და ლიდერები, რომელთა თვალსაზრისსაც ანგარიშს უწევს საზოგადოების ფართო ფენა. აქ მოიაზრებიან მშობლებიც, მასწავლებლებიც, პოლიტიკოსებიც, მედიისა და შოუბიზნესის ვარსკვლავები. მათ შეუძლიათ გადამწყვეტი გავლენა იქონონ იმაზე, შეიძნეს თუ არა საზოგადოება რეკლამირებულ საქონელს.

PR განსაზღვრავს რეკლამის ეფექტურობას და მას შეუძლია საზოგადოების მტრული განწყობა, უნდობლობა, უინტერესობა გარდაქმნას სიმპათიად, კეთილგანწყობად და დაინტერესებად.

PR-სა და რეკლამას შორის შედარებაზე თვალსაჩინოდ მეტყველებს ერთი გარემოება: PR კომპანიის წარმოება საჭიროა რეკლამის გამოშვებამდე, მისი აქტიური მოქმედების დროს და რეკლამირების დასრულების შემდეგაც (ჯეფკინსი 2002: 332). თუ რეკლამირება შედარებით ხანმოკლე პროცესია – PR - კომპანია ბევრად ხანგრძლივი და, შეიძლება ითქვას, უწყვეტი. PR-საშუალებების საქმიანობა და მისი დამოუკიდებლობა რეკლამისგან კომპანიას აძლევს საშუალებას საზოგადოებას მუდმივად შეახსენოს თავისი ნაწარმის შესახებ, ხოლო პოლიტიკოსი PR-საშუალებების მეშვეობით ასევე მუდმივად ურთიერთობს თავის მხარდამჭერებთან. მაგ., პოლიტიკოსი მუდმივად უნდა იყოს საზოგადოების ყურადღების არეში, ხოლო მისი სარეკლამო ბილბორდები მხოლოდ არჩევნების წინ გამოიფინება.

მაშინ როდესაც სარეკლამო მასალები ქვეყნდება სპეციალურად გამოყოფილ დროს, ან სპეციალურ ადგილას, PR-მასალები გადაიცემა ჩვეულებრივ საინფორმაციო გადაცემების დროს და მას მაყურებელი თუ მკითხველი უშუალოდ, ძალაუტანებლად, შეუმჩნევლად აღიქვამს.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ PR-მასალები ემსახურება საზოგადოების საგანმანათლებლო და საინფორმაციო უზრუნველყოფას და ისინი გამოირჩევიან თავიანთი ობიექტურობითა და სანდოობით, ხოლო რეკლამა მოწოდებულია დაარწმუნოს და შეეცადოს გადაწყვეტილება მიაღებინოს მომხმარებელს; რეკლამა, როგორც წესი, გამოირჩევა მიკერძოებულობით.

დამოწმებანი:

ბოლოიარი 1993: Бодрийяр Ж. *Интервью Катрин Франблен с Жаном Бодрийяром*. М.: „искусство“, I.1993.

დელევზი 1993: Делез Ж. *Платон и симуляция, Новое литературное обозрение*. 5, 1993.

დერიდა 1976: Derrida. J. *of grammatology* –Baltimore. 1976.

განშტერი 1993: Вайнштейн О. *Постмодернизм: история или язык?*. «Вопросы философии». 3, 1993.

თომანი 1991: Thoman E. *Media literacy for the 90's- US Style Media Development*. 1991.

- ილინი 2001:** Ильин И. *Постмодернизм. Словарь терминов.* М.: 2001.
- კასტელის 2000:** Кастельс М. *Информационная эпоха: экономика, общество и культура.* – М.: 2000.
- კემბელი 1997:** Кембелл Д. *Герой с тысячью лицами.* Киев: 1997.
- კერიმოვი 2001:** Керимов.Т. *Постмодернизм. Современный философский словарь.* Минск:2001.
- კოვრიუჟნიკო 2004:** Ковриженко М., *Креатив в рекламе.* СПБ «Питер», 2004.
- კონრადი 2000:** კონრადი ბ. სუბ და ტრაქატი სამხედრო ხელოვნების უძახებ. თბ.: 2000.
- კუკარინი 1978:** Кукаркин А.В. *Буржуазная Массовая культура.* М.: 1978.
- ლექსიკონი 2002:** სიუზალუბ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონ-ცხობარი. „ლოგოს-პრეს“, 2004.
- ლიოტარი 1998:** Лиотар Ж.Ф. *Состояние постмодерна.* М.: СПБ, 1998.
- ლუისონი 2002:** Луисон Т. Геррод Дж. *Социология А-Я, словарь-справочник Гранд.* М.:2002.
- სკოროპანოვა 2002:** Скоропанова И. *Русская постмодернистская литература.* М.:2002.
- ფუკო 1996:** Фуко М. *Археология знания.* Киев: 1996.
- ჯერი 1999:** Джери Д., Джери Дж., *Большой толковый социологический словарь.* М.:1999
- ჯეფკინი 2002:** Джекинс Ф. *Реклама.* М.: Юнити, 2002.
- ჯეფკინი 2002:** Джекинс Ф. *Паблик рилейшинз.* М.: Юнити, 2002.

Nugzar Bardavelidze

Postmodern Discourse on PR and Advertising

The given article analyzes works of contemporary Postmodern authors in light of PR and Advertising - two basic qualities of the democratic world.

After winning of Georgia's independence and country's introduction to the free market system public relations as well as advertising have started their rapid and chaotic development. It is important to learn from the experience of the Western world to properly orientate in newly introduced concepts; yet it is nonetheless important to understand Georgian market and how PR and Advertising function in the given environment in order to have a satisfactory rate of relevance.

In Georgia, last decade of the previous century is characterised with such broad spreading of advertising and PR campaigns that it has become unthinkable to live without the information of this kind today.

The specific common mental state created during Postmodern era can be compared to a prism through which the society nowadays is inclined to perceive.

In the beginning of 21st c. Postmodernism, as a new societal and cultural phenomenon, quickly assumes signs of maturity and influences contemporary culture with the latest standards. This influence is obviously at its clearest in advertising but it also effects public relations.

To a certain extent PR aims to educate and inform, and it is that much trustworthy and unbiased. Whereas advertising more aggressively strives to persuade clients and even manoeuvre their decision. Advertising, in this way, is many times more subjective.

The present article attempts to find way in intricacies of PR and advertising in light of Postmodern theory.

ქვალი ნათელი

1970 წლის მაისი იდგა. ლიტერატურის თეორიის განყოფილების ხელმძღვანელმა ბატონმა მამია დუდუჩავაშ იკითხა – როლანდ ბერიძეს ვინ იცნობთო. წაეკითხა მისი წერილი „ქართული ლექსის მიუგნებელი საზომები“, რომელიც რამდენიმე თვით ადრე „მნათობში“ დაიბეჭდა, ძალიან მოსწონებოდა და მასთან შეხვედრის სურვილი გამოთქვა. ამ საქმის მოგვარება დაევალა ფილიპე ბერიძეს, რომელიც როლანდს კარგად იცნობდა. მოკლე ხანში როლანდი განყოფილებაში გვესტურა. ბატიონი მამია იმ დღეს იმყოფებოდა სამხატვრო აკადემიაში, სადაც ესთეტიკის კათედრას განაგებდა. მე როლანდს აკადემიაში გაყვევი. ბატონმა მამიამ გულთბილად მიღო, წერილი შეუქო და ინსტიტუტში გადმოსვლა შესთავაზა. მიუხედავად მისა, რომ ახალ ადგილზე ხელფასი ნაკლები ექნებოდა, როლანდი უყოვმანოდ დათანხმდა და იმავე წლის 1 ოქტომბრიდან მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე იქნა მიღებული.

ამ დროისათვის როლანდს უკვე მეტად საინტერესო გზა ჰქონდა განვლილი. 1944 წელს დაამთავრა სიღნაღის საშუალო სკოლა. იმავე წლის დეკემბერში არმიის რიგებში გაიწვიეს, სადაც 1950 წლამდე იმსახურა. 1962 წელს დაამთავრა ა. ს. ჟუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. 1952 წლის ოქტომბრიდან 1953 წლის მაისამდე მუშაობდა გაზეთ „გამარჯვების“ კორესპონდენტად ქ. გორში, ხოლო 1953 წლის აგვისტოდან 1970 წლის ოქტომბრამდე რესპუბლიკურ გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ კორესპონდენტად ქ. რუსთავში.

ლიტერატურის ინსტიტუტში მოსვლისთანავე როლანდი აქტიურად ჩაება სამეცნიერო საქმიანობაში. სულ მალე უმრავი მეგობარი შეიძინა. კველამ შეიგრძნო, რომ ლექსითმცოდნეობას საიმედო ძალა შეემატა. თითქმის ერთმანეთის მიყოლებით გამოაქვეყნა საყურადღებო გამოკვლევები: „ქართული ლექსის მიუგნებელი საზომები“, „თანამედ-როვე ქართული სტროფის კლასიფიკაციისათვის“, „უთანაზომო სტროფის განსაკუთრებული სახე“, „თანამედროვე ქართული პოლიმეტრული სტროფი“, „ქართული ლექსის ჭეშმარიტი ბუნების გამო“, „მოთა რუსთაველის „რიტმული სვლა“, „ვილანელი, სექსტინა და ფრანგული ბალადა“, „ოქტავა და ტერცინა“ და სხვ. 1975 წელს მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

როლანდის ნაშრომებმა მოკლე ხანში მიიქცა საყოველთაო ფურადღება. მათი თეორიული ღირებულება არაერთმა ცნობილმა მეცნიერმა აღიარა. რად ღირს, თუნდაც, ის, რომ ბატონი აკაკი გაწერელია ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა მის ნიჭიერებას, ძიების აღღოს და თავის გამორჩეულ მოწაფედ თვლიდა.

როლანდის ინტერესის სფეროს არ წარმოადგენდა ორდინარული თემები. იგი გაბედულად ეჭიდებოდა ხელუხლებელ პრობლემებს და წარმატებითაც. ასევე ფართო იყო კვლევის არეალიც, ერთნაირი გატაცებით მუშაობდა როგორც კლასიკურ, ისე თანამედროვე ქართული ლექსის ბუნების შესასწავლად.

იშვიათი თავდავიწყებითა და რუდუნებით ემსახურებოდა იგი თავის საქმეს. თვალებში უჩვეულო ნათელი ჩაუდებოდა, როცა ახალი მიგნების შესახებ გესაუბრებოდათ.

ჩინებული მეხსიერება საშუალებას აძლევდა ზეპირად წარმოეთქვა ქართული პოეზიის თითქმის ყველა გამორჩეული ნიმუში და საინტერესო დეკლამაციით წარმოედგინა სამეგობრო ტრაქეზზე, რაც არც თუ იშვიათად ხდებოდა.

საერთოდ, მშეიდი, პირდაპირი და შეუპოვარი იყო კამათისას, თუ მსჯელობა ლექსითმცოდნეობის ნებისმიერ საკითხს შეეხებოდა. ამ დროს მისთვის ავტორიტეტი არ არსებობდა.

მეუღლის, ქალბატონ ქეთოს გარდაცვალების შემდეგ ოჯახის მთელი სიმძიმე მას დაწვა, მაგრამ ხვედრს ვაჟაცურად უმკლავდებოდა, ზრუნვასა და სითბოს არ აკლებდა შვილებსა და შვილიშვილებს. შვილიშვილების სურათს ჯიბით დაატარებდა და მათ შესახებ დიდი სიყვარულით ჰყვებოდა.

ბოლო დროს ხშირად აგადმყოფობდა, თუმცა ცდილობდა შინაგანი სიმტკიცე შეენარჩუნებინა, ჩვეული რიტმიდან არ ამოვარდნილიყო. რუსთავიდან ჩამოსვლას ვერ ახერხებდა, მაგრამ მირეკავდა და ინსტიტუტის ამბეჭს გებულობდა.

წავიდა ჩვენგან ძვირფასი როლანდი და თან წაიღო მრავალი ჩანაფიქრი, მაგრამ დატოვა კვალი ნათელი, რომელიც შარავანდედად ადგას მის ხსოვნას.

როლანდ ბერიძე

საცნაური ხმები ჰიმნოგრაფიისა
(გარდასულ ხმათა საცნაური ხმები)

1. 500 წლის ქართული ლექსი

გალაკტიონი იტყვის:

დაპქრიან უდაბნოს ქარები,
მტანჯავენ და ვიცი: გახსოვარ!
სამრეკლოს ანგრევენ ზარები...
წმინდაო, წმინდაო მაცხოვარ!
(„შემოდგომა „უმანკო ჩასახების მამათა სავანეში“)

პირდაპირ საოცარია! ეს ლამაზი მეტრული წყობა – ერთმანეთს მიღევნებული სამი დაქტილი – ათასი წლის წინათ ქართული მონასტრების თაღებქეშ ასე ჟღერდა:

რომელი ვიდოდის უბიწოდ,
მართალი იყო და მოშიში.
...
სულისა წმიდისა ნებითა
ღირს იქმნა დაჯდომად თევდოსი.

ორტაქედები ამოღებულია იოანე მინჩხის საგალობლიდან – „ხსენება ღმრთივ-გვირგვინოსანისა მეფისა თევდოსი მორწმუნისა, სასწაულთა მოქმედისა“.

უკან მოვიტოვოთ კიდევ ხუთასი წელი, გადავფურცლოთ V საუკუნიდან მომდინარე თარგმანები ებრაული ტექსტებისა, რომელნიც ქართველ პოეტებს „წყობილი სიტყვით“ გადმოუღიათ. წავიკითხოთ „გალობა მოსესი“ და... უამიდან უამზე შემოგვანათებს დაქტილური ცხრამარცვლიანი საზომი:

უფალი, შემმუსვრელ ბრძოლათა...
რჩეული მხედრები სამ-მდგომნი...
ძრწოლმან შეიპყრნა იგინი...
და ქუჩდა უფალი ცით გამო.

მეოთხე ტაეპი ციტირებულია დავითის XVIII ფსალმუნიდან.

და თითქმის დაუკერებელი ამბის მოწმენი ვხვდებით: არა მარტო დაქტილურ ცხრამარცვლიან, არამედ ყოველგვარ წყობას ჩვენი ლექსისას ქართველი ჰიმნოგრაფებისაკენ მივყავართ!

სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე სათანადო სისირულით არ არის აღწერილი და სისტემაში მოყვანილი ქართული სალექსო საზომები, — ამბობს პავლე ინგოროვა და გვთავაზობს ჩვენი სილაბური ლექსის მეტრულ ტაბულას. აქვეა მოკლე ქრონოლოგიური მიმოხილვა, თუ რომელ ძველქართულ ტექსტშია დამოწმებული ესა თუ ის საზომი.

აქ, უწინარეს ყოვლისა, საყურადღებოა შემდეგი მომენტები:

„პროკოპის მარტვილობაში“, რომელიც V-VII საუკუნეებით თარიღდება, დადასტურებულია ბისტიკაურის 20-მარცვლედით გაწყობილი ტაეპი პომეროსისა (5/5/5). ეფრემ მცირის (XI ს.) ლიტერატურულ მემკვიდრეობაში, კერძოდ, „ელინთა მემკვიდრეობაში“ მოიძევება ამავე მეტრით მოწესრიგებული პომეროსისეული პწყარი. V საუკუნიდან მომდინარე ახალი აღთქმის ძველქართულ ტექსტში, პავლეს ეპისტოლებში, დამოწმებულია ძვ. წ. VI საუკუნის – ეპემნიდე კრეტელის ტაეპი, მთიბლურ-ბისტიკაურის 19-მარცვლედით აგებული (3/5/5). მოციქულთა საქმის XVII თავის 28-ე მუხლში მოიპოვება ძვ. წ. IV საუკუნის პოეტის – არატე კილიკიელის ტაეპი, რომელიც გამართულია ჩვეულებრივი 10-მარცვლიანი ბისტიკაურით (5/5). ლეონტი მროველის თხზულებაში „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“ არის ციტატა სპარსულ „უფალთა წიგნიდან“, დაბალი შაირით ჩამოქნილი.

მკვლევარი გვამცნობს, რომ V-VIII საუკუნეთა ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის საზომთა ნაწილი იგივეა, რაც სილაბურ ლექსში. ესენია: 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9-მარცვლიანი მონომეტრები. VIII-IX საუკუნეებში იქმნება იამბიკონური ტაეპები: 5/7; 7/5, 3/9, იამბიკონური დისტიქონები: 7/7, 7/9 და სხვანი, რომელთაც ავტორი „შენაერთ საზომებს“ უწოდებს.

ეს ყოველივე პ. ინგოროვას შემოქმედებითს აქტივში შედის. „ტაბულაში“ და მოკლე ქრონოლოგიურ მიმოხილვაში აღნუსხულია აურეთვე სხვა მკვლევართა მონაპოვარნიც, კერძოდ, ნიკო მარის მიერ 1910 წელს აღმოჩენილი მაღალი შაირის 16-მარცვლედით შესრულებული ლექსი ფილიპესი „ქება ბეთლემისა, ქალწულისა და ძისა“; სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ დიონისე არეოპაგელის წიგნის ქართულ თარგმანში მიგნებული ტაეპი პომეროსისა, დაბალი შაირით გამოკვეთილი, ექვთიმე თაყაიშვილის მიერ მიკვლეული ოთხტაეპოვანი დაბალი შაირით დახვეწილი ლექსი „კანონთათვის“ და სხვ.

მაგრამ „ტაბულას“ მრავალი თვალსაჩინო ნაკლიც გააჩნია.

ჯერ-ერთი, არც ძველსა და არც ახალ ქართულ პოეზიაში არ მოიძევება, მაგალითად, შემდეგი საზომები:

1. ექვსიანი ტეტრამეტრი – 6 6 6 6
2. ექვსიანი დაქტილური ტეტრამეტრი – 6 6 6 6 6
3. ექვსიანი ბოლოსპონდეური ტრიმეტრი – 6 6 6 6
4. ექვსიანი ბოლოსპონდეური ტეტრამეტრი – 6 6 6 6
5. შვიდიანი ტრიმეტრი, რეული – 7 7 7
6. შვიდიანი ბოლოდაქტილური ტრიმეტრი – 7 7 7 7
7. შვიდიანი ბოლოქორეული ტრიმეტრი – 7 7 7 7
8. ცხრიანი დიმეტრი – 9 9
9. ოთხიან-ხუთიანი ტეტრამეტრი (აღმავალი) – 4 5 4 5
10. ოთხიან-შვიდიანი ტეტრამეტრი – 4 7 4 7

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ მკვლევარი არ (თუ ვერ) ასახელებს პოეტებს, რომელთა შემოქმედებაშიც ხელმისაწვდომი იყოს ზემოთ ჩამოთვლილი საზომები. ავტორს, შესაძლოა, ეს მეტრული წყობანი მხოლოდ თეორიულად დასაშვებად მიაჩნია. მაშინ ხომ საჭირო იყო ამის თქმა?

მეორეც, მკვლევარს თავისივე ხელით დალაგებულ საეკლესიო საგალობლებში ვერ შეუმჩნევია ბევრი საზომი, რომელთა უმრავლესობაც საფუძვლად დაედო ქართულ სილაბურ-ტონურ ლექსს. ამ წყობათა საილუსტრაციოდ მაგალითებით მომარჯვება უხვად შეიძლება, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანდა. დაგემაყოფილდეთ ზოგიერთი ნიმუშის დამოწმებითა და თანამედროვე ქართული პოეზიდან შესაძარებელი სტროფების ან ცალკეული ტაეპების მოტანით.

ტაბულაში გამოტოვებულია.

1. ექვსმარცვლედი, 2/4. გრიგოლ ხანძთელი, „რაჟამს დაემსჭვალე“:

რაჟამს დაემსჭვალე
ჯვარსა ძელისასა,
მაშინ მოაკვდინე
ძალი სიკვდილისა.

გალაკტიონი, „ქებათა-ქება ნიკორწმინდას“:

აქ რომ თაღებია,
სვეტთა შეკონება,
ისე ნაგებია,
სიზმრის გეგონება.

გრიგოლ ხანძთელის პოეზიდან მოხმობილი მაგალითი, სხვათა შორის, აბათილებს აკაკი გაწერელიას მოსაზრებას, თითქოს ექვსმარცვლიანი საზომის ეს რიტმული ვარიაცია ქართულ ლექსს XIX საუკუნეებდე არ გამოყენებინოს. უფრო მეტი: აღნიშნული მეტრი (და არა მხოლოდ რიტმული ვარიაცია) უცნობი ხილი როდია აღორძინების ხანისა და ე. წ. გარდამავალი პერიოდის პოეზისათვის, რომლის კვლევაც საფუძვლად უდევს აკ. გაწერელიას „ქართულ ლექს“.

2. ექვსმარცვლედი, 5/1, ავტორები – გრიგოლ ხანძთელი, „რომელმან დააფუძნე“, – იოანე მინჩხი, „გულისხმა-ვყოთ ამაოება“; მიქაელ მოდრეკილი, ბოლო ორი ტაქი, „ეტლთა სიმრავლე“; „არავინ არს წმინდა შენებრ“:

რაჟამს გულისხმა ფვეს...
თავნი საღმრთოთა მით...
ცხოველს მყოფელი ღვეს...
და განმანათლა ჩვენ.

გალაკტიონი, „ვისმენ დანატრულ ხმას“:

ალვა მწვერვალთა ხრის,
ნაზი ტანივით სწორს,
მთიდან ნიავი ჰქრის
შორს, უბოლოდ შორს.

სერგი გორგაძე, რომელიც ცდილობდა ქართული ლექსი როგორმე ბერძნული მეტრიკისათვის მიესადაგებინა, სხვათა შორის, ზუსტად ამ სტროფის ორტაეპედებს თვითნებურად აერთიანებდა და, ამრიგად მიღებულ „საზომს“ ხან „ლოგაედურ-დაქტილურ ოთხმარცვალკვეცილ ტეტრამეტრს უწოდებდა, ხანაც „დაქტილურ დიმეტრს“ ეძახდა და ხელოვნური ცეზურით ასე უღმერთოდ ლეწავდა ლექსის მუსიკას:

ალვა მწვერ/ვალთა ხრის,
ნაზი ტა/ნივით სწორს,
მთიდან ნი/ავი ჰქრის
შორს, უბო/ლოდ შორს.

საიდან სადაო? გალაკტიონის გრაფიკა გარკვეულად გვიჩვენებს, რომ ჩვენს წინაშეა ჯვარედინი რითმებით გამართული ლოგაედური ექვსმარცვლედი ერთმარცვლიანი სიტყვის კადენციით.

3. შვიდმარცვლედი, 3/3/1. გრიგოლ ხანძთელი, „მამათა ჩვენთა“; ბასილი ხანძთელი, „იოანე ნათლის მცემელი და ჰეროფე“; გიორგი მერჩულე, „ბრძანებითა შენითა“; მიქაელ მოდრეკილი, „ღმრთისმშობელსა უბიწოსა“:

არამედ კადნიერ მყვენ...
რომელნი ჩინებულ ხართ...
სიკვდილი მგლოვარე არს...
მეორედ შობითა დღეს.

სიმონ ჩიქოვანი, „ცხოვრება წისქვილში “:

ოცნება, ყოველთვის მხნე,
ედება ჭრილობას მტლედ.

4. რვამარცვლედი, 3/3/2. დავით აღმაშენებელი, „წამისყოფითა“, „ღმერთო მაცხოვარო“ (მეორე-მესამე ტაქტები), „რაჟუშს ესმა“:

განმაძრცვე, დედაო, რათა...
მონებად მივჰყოდე თავი...
კაენის მკვლელებრი ცნობა...
სიბრძნითა ღმრთისათა ღმრთისა.

გალაკტიონი, „ჩურჩული – ულურჯეს ფარჩის“.

ახლოა სიმძიმე წვიმის,
ეზოში აპობენ შეშას,
პოეტი – რითმას და სიმებს,
გრიგალი იტაცებს ნეშოს.

5. რვამარცვლედი, 2/4/2. VIII-IX საუკუნეთა უცნობი პოეტი, „დაღადვებავ სულთქმით“; იოანე მინჩხი, „ესაია, მხიარულ იყავ“; მიქაელ მოდრეკილი, „სტკებნიდეს მგზებარესა მას“; სტეფანე სასანოისძე ჭყონდიდელი, „შენ, უფალო, ნათელი ზარ“.

თავნი ვეშაპთანი, ქრისტე...
დადგა მდინარეთა ზედა...
შთაპხედ ქვესკნელისა ბჭეთა...
სისხლთა დათხევითა, მხნეო.

ოთარ ჭელიძე,

6. ცხრამარცვლედი, 3/3/3. მაგალითი მოტანილია ნარკვევის დასაწყისში.

7. ცხრამარცვლედი, 4/4/1. ივანე ქონქოზისძე, „არა ჰმსახურე“; იოანე მინჩხი, „გალობანი გიორგისნი“:

გონებითა მიიცვალე შენ...
სამებელნი მოიძაგნა მან.

მურმან ლებანიძე, „წვიმს, წვიმს“:

ბაზრის ბოლოს შემოხვდები მწირს,
შენებრ შიშველს და შენსავე ტოლს:
- გამარჯობა, შავო ბიჭო ჯიმ!
გაგიმარჯოს, ოეთრო მმაო ტომ!

8. ათმარცვლედი, 3/3/3/3. იოანე მტბევარი, „რომელმან წინასწარ“, მიქაელ მოდრეკილი, „შეცომილთათვის“:

და ღვინო გულისხმის ყოფისა ასე...
მწუხარე ცრუმლითა გეგლოვდა შენ.

გალაკტიონი,

უცნობ გზას ვადგივარ, სად მივალ, ვინ?
ჩემს უკან წყვდიალი, ბურუსი წინ.

9. ათმარცვლედი, 3/3/4. მიქაელ მოდრეკილი, „იონა მენავეთა“:

ზატითა მოსრული იორდანეს...
ცოდვანი ყოვლისა სოფლისანი...
სიბნელე შვაულისა აჩრდილისა...
იხილვა ნათელი ჭეშმარიტი.

მურმან ლებანიძე, „ლეზგარას ბოლოში“:

ლეზგარას ბოლოში ნაღვლიანი
კოშკია – და კოშკთან სახლი არი...

10. ათმარცვლედი, 2/4/4. იოანე მინჩხი, „პირველქმნული ადამ“; გიორგი მთაწმიდელი, „ცეცხლი შვიდწილ მოტყინარე“:

მტერნი აღდგომისა შენისანი...
რათა განბრძობილმან გონებითა.

მურმან ლებანიძე, „ლეზგარას ბოლოში“:

თავზე მყინვარები დაგვპრიალებს...
ბევრი მოგვიკლავსო საღლიანებს.

11. ოეთრმეტმარცვლედი, 5/5/1. იოანე მტბევარი, „ძლეულ იქმნეს ბუნებანი“:

და მოციქულთა თანამოდასე ხართ.

12. ოერთმეტმარცვლედი, 3/4/4. გრიგოლ ზანძთელი, „რაჟამს იხილნა“, ნინოს მესამე პინგოგრაფი (ბოლბელი), „უგალობდეთ უფალსა“, მიქაელ მოდრეკილი, „მოძიებად წარმართთა“, ბასილი ბაგრატის ძე ხახულელ-მთაწმიდელი, „ყრმათა ღმრთისმსახურთა“:

სამჯელი საუკუნო ჯოჯოხეთი...
განვნათლდეთ, მორწმუნენო, სიხარულით...
მთავრი მთავრობათა ზეცისათა...
შესხმანი წმიდათანი განაშვენენ.

მუხრან მაჭავარიანი, „გახტანგი“:

კარიბჭე მოღლიავდა გალავანის,
მცხეთაში შემოვიდა ქარავანი.

13. ოეთრმეტმარცვლედი, 3/3/3/2. იოანე მინჩხი, „ლვივსენითსა“; მიქაელ მოდრეკილი, „რომელმან განავლო“, დავით აღმაშენებელი, ბოლო ორი ტაეპი, „შეუწელმან მაყვალმან“:

რამეთუ ვითარცა აჩრდილი წარვალს...
ცანი და ქვეყანა მგლოვარე იქმნეს...
საწუთრელ სულისა, გარეშე მისსა...
პატივი ხატისა შენისა შენდა.

ასეთი სახის ტაეპს სერგი გორგაძე „აშულურს“ უწოდებდა, რადგან „უფრო აშულებში ყოფილა გავრცელებული, თუმცა მისი პირველი (სიც) ნიმუშები ბესიკის ლექსებში გვხვდება...“ (გვ. 6).

14. ოორმეტმარცვლედი, 5/5/2. იოანე მინჩხი, „სუფევს ღმერთი წარმართთა ზედა“; ბორენა დედოფალი, იამბიკო; გიორგი მთაწმიდელი, ბოლო ორი ტაეპი, იამბიკო „გეორგი“:

მოპხედე, მხსნელო, ვენახსა შენსა ამას...
დაემხო ქალი, პირველ სისხლითა მორვალი...
განსაკრთომელთა ღმრთისა საქმეთა წიგნი,
ემბაზის მაღლთა აღმომმბელი ჩვენი.

გიორგი ნაფეტვარიძე, „ორი გაზაფხული“:

ქარს ნაბადივით ტანზე იხვევდნენ მთები,
ასავსავებდნენ ცაში ხეები ხელებს,
ძლივს მოღიოდა შორი სიმღერის ხმები
და ხმაურობდა სახლების უკან ღელე.

15. თორმეტმარცვლედი, 2/4/2/4. ბიბლიის ქართული ტექსტი – გალობა მოსესი II; მიქაელ მოდრეკილი, მეორე-მესამე ტაეპები, „თავსა წიგნთასა“ და „იონა მენავეთა“; დავით აღმაშენებელი, „შეუწველმან მაყვალმან“:

ვითარ მიმოსთესნა ძენი ადამისნი...
ცეცხლი უსხეულო, შანთი ღმრთებისა...
რაჟამს შეიმოსენ ხორცი კაცობრივნი...
და აწ მომდრეველი მუხლთა გულისათა.

გალაკტიონი, „შავით შემოსილხარ, როგორც ელეგია“:

შავით შემოსილხარ, როგორც ელეგია,
მუხლზე დაცემულხარ, როგორც ანგელოსი,
სანთლის ელვარება ხატებს შელეგია,
იგი ოცნებაა მიქელ-ანგელოსი.

16. თორმეტმარცვლედი, 3/3//3/4. იოანე მიხეილი, „გულისხმა-ვყოთ ამაოება“; მიქაელ მოდრეკილი, დავით აღმაშენებელი, „რაჟამს ესმა“; არსენ იყალთოელი“, „განზომილთაგან სიტყვათა“:

ვითარცა მტერისა ბადენი განფენილნი...
რომელმან აღიხვნა ცოდვანი სოფლისანი...
და ღმრთებრ იხსნიდეს ბრალთაგან, რომელიცა...
მეცხრედ და მეათედ „საქმენი მეფეთანი“:

ჯემალ ინჯია, „სირბილი უთოვლო ზამთარში“:

გავრბივარ და სმენა მომტაცა ბეთჰოვენმა,
ნეტავი შესცვლიდეს მუსიკას ატენური,
გავრბივარ და ნაცნობ ადგილებს ვეთხოვები,
ქუჩები, გამიშვით, ვეღარსად დავტეულგარ.

17. თოთხმეტმარცვლედი, 7(5+2)//7(5+2). მიქაელ მოდრეკილი, „მიდგომილება“, მისივე

პირველშობისა ზაკვით ქადაგებული შენი...
ახარებდ ბერწი ეგე, რომელი არა შობდი.

გალაკტიონი, „მერის თვალებით“:

ჩამოიბუროს ზეცა, მისიც აღარ მჯერა –
მერის თვალებით იგი ვერ გაბრწყინდება, ვერა!

18. თოთხმეტმარცვლედი, 6(4+2)//8)4+4). ნინოს II პიმნოგრაფი, „ო სასწაული“, გიორგი მერჩულე, „კლდესა ხედა“:

ო, შრომანი შენი, სანატრელო მოციქულო...
ვითარცა თქვა პირველ, უთხარ მისთა მოწაფეთა.

მურმან ლებანიძე, „კიმბირის პაპა“, ცალკეულ ტაეპებად:

და ირკუტსკის თავზე – საოცარი ყვავილია.

19. თხუთმეტმარცვლედი, 3/3//3/3/3. იოანე ქონქოზისძე, „ნაწილ ჩემდა ხარი“, მიქაელ მოდრეკილი, „ქრისტემან ლმერთმან“:

მეორედ შობასა მოიგებს სისხლითა თვისითა...
აღავსო საღმრთოთა ნათლითა ყოველი სოფელი.

სიმონ ჩიქოვანი, „ქარბორია“, ცალკეულ ტაეპებად:

ფუტურო რო ფოტო, ცაშორი, ჩხრიალი ჯანდაბას...
ჰე, გზაზ ნაკლები, გზა მისდევს გაქვალულ ებიონს.

20. თხუთმეტმარცვლები, 7(4+3 ან 3+4)//8(4+4). მიქაელ მოდრეკილი, „ცანი შვენიერებამან“, გიორგი მერჩულე, „შენ, რომელმან ცნობა“:

წინასწარმეტყველება დავითისი აღესრულა...
ბუნება კაცობრივი გამოიხსენ წყევისაგან.

მურმან ლებანიძე, „ციმბირის პაპა“, ცალკეულ ტაეპებად:

და ვონგოტის გმირებიც მისდევენ და მისდენიან...
თუმცა მთელი ციმბირი მშეირი და ტიტველია.

* * *

პავლე ინგოროვას დაკვირვებით, „ეფრემ მცირემ დაამკვიდრა ქართულ პოეზიაში სალექსო საზომი – მაღალი შაირის 12-მარცვლები ანუ იამბიკონ-შაირი... ეს საზომი ეფრემ მცირემდე სპორადულად გვხვდება (როგორც შემადგენელი ნაწილი იოანე-ზოსიმეს მაღალი შაირის პოლიმეტრისა)“.

ამ დებულების პირველი ნახევარი სრული ჭეშმარიტებაა, ხოლო მეორე ნახევარი სადაოც არის და დასაზუსტებელიც. სადაოა, რადგან იოანე-ზოსიმეს „გუნდნი იგი ზეცისანი“ პავლე ინგოროვას მიერ ლექსად დალაგებულია არა პიმნოგრაფიაში მიღებული პუნქტუაციის მიხედვით, რაც ამოსავალი წერტილია საეკლესიო გალობათა ფორმების გასახსნელად, არამედ საკუთარი თვალსაზრისით. მგვლევარის აზრი მცდარია, რადგან 4+4+4 ეფრემ მცირემდე გვხვდება, მაგალითად, იოანე მტბევარის იამბიკონში „მძლავრმან“ (გალობანი შობისანი):

საიდუმლო საშინელი, რომელიცა...
საიდუმლო, განმწმდედელი სულთა ჩვენთა...
მოვედით დღეს, მორწმუნებო, და ვიზილოთ...
მას ემბაზსა, განმწმდედელსა წარმართთასა.

ეგვე მეტრი ხელშესახებია სხვა პიმნოგრაფებთანაც.

* * *

პავლე ინგოროვა წერს: „ვეფზისტყაოსანში ორი საზომიაო მიღებული – 16-მარცვლიანი დაბალი და მაღალი შაირები“. მას ავიწყდება, რომ პოემაში არის ფისტიკაური* ოცმარცვლედით გაწყობილი ერთი სტროფი, რომლის პირველი ტაეპიც ასე იკითხება:

შეკრა წითელი ასი ათასი პირად მზემან და ტანად სარომან.

იქნებ „ვეფზისტყაოსანის“ 771-ე სტროფი შოთას კუთვნილებად არ მიაჩნია მკვლევარს?

* * *

პავლე ინგოროვას აზრით, ქართულ პოეზიაში სულხან-საბა ორბელიანმა შემოიტანა დაქტილურ-ფერხისული 13-მარცვლები (ავტორის ტერმინოლოგიით; ექვსნიშნიან-შვიდიანი დიმეტრი, აღმავალი) და ლოგაედური 13-მარცვლები (ავტორის ტერმინოლოგიით; შაირ-ბისტიკაურის 13-მარცვლები). საიდუსტრაციოდ დასახელებულია მაგალითები:

1. „უცხოს“ ბოლო ტაეპი. იგულისხმება რეფრენი „ქილილა და დამანადან“:

ჰქონიან მას უგლიძი, გლისპი, სარცხვინელია

და რეფრენი დღემდე უცხობი ქართველი პოეტის ლირიკულ პოემა „ნარგიზოვანიდან“:

* ვეფზისტყაოსანში ფისტიკაურის არსებობა პირველად ლუკა ისარლიშვილმა აღნიშნა.

ჰქონიან მას სახელად ქართლი შვენიერია.

2. საბას სტრიქონები „ქილილა და დამანადან“:

მრავალთა უამთა მოგებად თემთა იარო,
ეგოდენ ზრუნვა უმეტეს გაგიზიარო...

მკვლევარი ცდება. ორივე საზომი ქართულ პოეზიაში დადასტურებულია სულხან-საბა
ორბელიანის დაბადებამდე რამდენიმე ასეული წლით ადრე. სანიმუშოდ –

1. გრიგოლ ხანძთელი, „შენ მხოლოსა“, მისივე „რომელმან შეიმოსე“:

ვითარცა მთიებნი ყოვლად მნათობიერნი...
რომელმან განახვნა საქანელნი ცისანი.

2. იოანე მინჩხი, „შენ მხოლოსა“, სტეფანე სასანოისძე ჭყონდიდელი, „შობა შენი
უხრწნელ“:

სიმართლე შენი, პატიოსანო მეფეო...
სახედ ტრედისა გარდამოსლვისა მათ ზედა.

აქვე უნდა შეგნიშნო: მკვლევრის აზრით, საბას პოეზიიდან დამოწმებულ საზომში ცეზურა
მოდის 8 მარცვლის შემდეგ: მრავალთა უამთა მოგებად 11 თემთა იარო. ეს შეხედულება სწორი
არ უნდა იყოს. ქართული ლექსის ბუნებრივი პროსოდია მიგვანიშნებს, რომ ცეზურა იგულისხმება
5 მარცვლის შემდეგ: მრავალთა უამთა II მოგებად თემთა იარო.

და კიდევ:

აკ. გაწერელია ამბობს ამ საზომის თაობაზე: „რამდენადაც შეგვინიშნავს მას პირველად
იყენებს სულხან-საბა „ქილილა და დამანაში“...

მაგრამ რა პასუხი გავცეთ ჰიმნოგრაფებს?

* * *

პავლე ინგოროვას აზრით, ქართულ პოეზიაში დავით გურამიშვილმა შემოიტანა: 3/3, 4/2,
4/5, 4/7, 6/7, 4/4/5, 4/4/6, 8//6 (რეული), 5/5/5. ავტორის მაგალითებია:

1. ვიწყო მე გალობა,
მიყოს მან წყალობა. (ს. გ. 42)
 2. მოწყალების კარო... (ს. გ. 20)
 3. ვამე ცოდვილს და უნანელსა...
 4. ვა რამდენი ყვავის ზაფხულს ახალნი... (ს. გ. 22).
 5. ვთქვათ, რა ვარდმან თავის-თავზე თქვა სიტყვა ავი... (ს. გ. 61)
 6. ჰე, ღმერთო, აღმიხილნე თვალი გონებისა...
 7. ზუბოვეკიდამ მომავალმან ვნახე ერთი ქალი (ს. გ. 32) (პირდაპირ დ.გ-ს არ ასახელებს)
 8. დიდება შენდა, დიდება, სახით მზეთა-მზეო!
 9. აღდგა ქრისტე და აღმოიყვნა ადამიანი. (ს. გ. 59)
- მკვლევარი ცდება. ყველა ეს საზომი ქართულ პოეზიაში დადასტურებულია გურამიშვილის
დაბადებამდე ასეული წლებით ადრე. სანიმუშოდ –
1. ექვსმარცვლედი, 3/3. მიქაელ მოღრეკილი, „რომელმან უფსკრულთა“:

უფსკრულსა წყვდიადსა
უმეცრებისასა
დანთქმული ტვირთითა
ცოდვისა ბრალთათა...

საკითხთან დაკავშირებით:

მაშასადამე, ორდაქტილიანი ტაეპების არსებობა უძველეს ქართულ ლექსში უტყუარი
ფაქტია. ამიტომ დღეს უეჭველ ანაქრონიზმად მოჩანს სერგი გორგაძის ნათქვამი: „დაქტილური
ლექსის გენეზისისათვის. ჩვენ მწერლობაში არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს გურამიშვილის
განცხადებას, რომ მისი პოემის („წიგნი ესე მხიარული ზაფხული“, რ. ბ.) მეტრს საფუძვლად

უდევს რუსული მეტრიული პროტოტიპი... ერთი სიტყვით, ქართულ მწერლობაში დაქტილური მეტრიკის როგორც წარმოშობა, ისე დამოუკიდებელ დარგად გამოყოფა და ჩამოყალიბება ახალევროპულსა და, კერძოდ, რუსული მეტრიკის გავლენას უნდა მიეწეროს. ასეთია ჩვენი დასკვნა დაქტილური მეტრის წარმოშობის შესახებ ქართულ პოეზიაში“.

მცდარი დასკვნაა.

2. ექსმარცვლები, 4/2. იოანე მინჩხი, „რომელმან დაფუძნე“; იოვანე მტბევარი, „მონებისა მისგან“; მიქაელ მოდრეკილი, ბოლო ტაეპი, „რომელმან უფსკრულთა“:

ლოცავნ ღამე ყოველ...
აღვსებულნი მაღლით...
მორწმუნებო ერნო...
არსებითა სწორი.

აქვე:

სერგი გორგაძის „ქართული ლექსის“ გამოქვეყნების შემდეგ ბოლოქორული ექსმარცვლებით დაიწერა გიორგი ლეონიძის „მეცამეტე საუკუნე“, რაჟდენ გვეტაძის „მერკვილაძის დები“, ანა კალანდაძის „დამილოცეთ, მმებო“ და სხვანი. ამიტომ ეხლა მოძველებულად გამოიყერება ს. გორგაძის თქმა, ვითომ ეს მეტრი არასოდეს დამოუკიდებელ ლექსად არ გვხვდებოდეს და ბერძნული „ითიფალიკის“ მსგავსად ან სრულ ქორეულ დიმეტრს უერთდებოდეს მისამართ მუხლად, ან თავისავე ზომის მუხლთან ერთად ჰქმნიდეს თორმეტმარცვლიან კათალექტურ ტეტრამეტრს (1).

ვერ დაგვთანხმებით აკ. გაწერელისაც, რომელიც ასე ფიქრობს: ქართულ ლექს ექსმარცვლიანი საზომის ამ რიტმული ვარიაციით (4/2) XIX საუკუნეში არ უსარგებლიათ.

3. ცხრამარცვლები, 4/5. იოანე მინჩხი, „სუფევს ღმერთი წერა“:

და გმონებენ ადამენნი...
მორწმუნეთა სათნოთა შენთა...
და მეფე ყო თონთა ზედა...
და გულისა სიწრფოვებანი.

4. თერთმეტმარცვლები, 4/7 (4+3 ან 3+4 ანდა 2+5). მიქაელ მოდრეკილი, „ვითარცა იგი პირველადვე“; მისივე „ქერუბინთა თანა“:

მაღლით წმა ყეს ქრისტეს ამაღლებასა.
აღიხვენით ბჭენი თქვენი, მთავარნო...
ხორცშესხმული სოფელსა იქადაგა...
ნათელ იღო სიმბადლით იორდანეს.

5. თხუთმეტმარცვლები, 8(4+4) // 5(2+3 ან 3+2). მიქაელ მოდრეკილი, „ვითარცა იგი პირველადვე“:

გიხილა რა უბიწომან შშობელმან შენმან.

ამ საზომს სერგი გორგაძე „გურამულს“ უწოდებდა.

შეცდომაა.

6. ცამეტმარცვლები, 7(4+3) // 6(4+2 ან 2+4). მიქაელ მოდრეკილი.

და ხორცითა აღვიდა უხორცოთა თანა...
შემოქმედმან შემოსად ხატი შექმნულისა.

7. თოთხმეტმარცვლები, 8(4+4) // 6(4+2 ან 2+4). იოანე ქორქოზისძე, „ყრმანი ბრწყინვალენი“; მიქაელ მოდრეკილი, „რომელი უწინარეს“:

მოისწრაფა მისთვის სიკვდიდ მოწამემან ჰაბო...
და საყდარი მისი სვეტთა ზედა ღრუბელთასა.

8. თხუთმეტმარცვლები, 5/5/5. მიქაელ მოდრეკილი, „ცანი შვენიერებამან“,

იორდანესა ზედა მდგომარე, ვითარცა კაცი....
ესე არს სიტყვა, იგი მამისა თანამფლობელი.

ამ საზომს სერგი გორგაძე „დიდბესიკურს“ უწოდებდა...

რაკი გურამიშვილზე ვლაპარაკობთ, ბარემ ერთი მომენტიც გავიჩენოთ. აკ. გაწერელია ამბობს, სულ სხვა რიტმული აგებულება აქესო თორმეტმარცვლიან საზომს დავით გურამიშვილის ზოგიერთ ტაეპში. იშველიებს მაგალითებს:

ა) აბრაკაბის ღმერთი, საბაოთი ერთი.

...

ბ) მოქმედი ყოველთა მკვდართა და ცხოველთა.

და ასევნის: „მაშასალამე, XVIII საუკუნიდან აღნიშნულ საზომში ჩნდება სიტყვათა სხვაგვარი განაწილების სისტემა, ვიდრე ეს იამბიკური მეტრისათვის იყო მიღებული“. დავეთანაბოთ მკვლევარს?

მაშინ რაღა ვუყოთ ძველქართულ სასულიერო პოეზიაში გავრცელებულ ასეთ ტაეპებს:

1) თორმეტმარცვლები, 6(4+2) // 6(4+2). ბიბლიის ქართული ტექსტი (დავითის ფსალმუნი XVIII), იოანე მინჩხი, „პირველქმნული ადამ“:

და გარემოს მისა საყოფელი მისი...

და ღმრთელებით აღსდევ მესამესა დღესა.

2) თორმეტმარცვლები, 3/3//3/3. იოანე მინჩხი, იამბიკო „საღმრთომან ნისლმან“; იოანე მტბევარი, შობისათვის უფლისა ჩვენისა იქსუ ქრისტესა და წენება იოსეფ მართლისა, გალობა „საღმრთომან ნისლმან“:

მეორე მიზეზი ყოველთა მიზეზთა...

ბეთლემო, იხარებდ, რამეთუ წე იგი...

* * *

პავლე ინგოროვას აზრით, ქართულ პოეზიაში ბესიკმა შემოიტანა 14-მარცვლები – 5/4/5 (ავტორის ტერმინოლოგიით: ოთხიან-ხუთიანი ტრიმეტრი), დაქტილურ-ლოგაედური 11-მარცვლები – 6/5 (ავტორის ტერმინოლოგიით: ექვსიან-ხუთიანი დიმეტრი), შაირ-ფერხისული 15-მარცვლები – 4/4/7. მისი მაგალითებია:

1. შენის ბაგისა ორნი მეცნეს ტკბილი და მწარე,

ორკეცად შენი სიყვარული თავს დამაფარე.

2. რა გული დავაგე შენად სარებლად...

3. რას მაისობ, ისარს ისობ, ის გიხარის, აი რა!

მკვლევარი ცდება. სამივე საზომი ქართულ პოეზიაში დადასტურებულია ბესიკის დაბადებამდე ასეული წლებით ადრე, სანიმუშოდ –

1. გრიგოლ ხანძთელი, „გარდააცვ მშვილდსა“; ბასილი ამბა საბაწმიდელი, „ქება საბასი და საბაწმიდისა“, VIII-IX საუკუნეებში თარგმნილი უცნობი ქართველი პოეტის მიერ; ნინოს II ჰიმნოგრაფი, „ოღ, სასწაული მადლისა საუჯვესა ნინოს“; იოანე მინჩხი, იამბიკო „სამებისა“, დავით აღმაშენებლი, „მტვირთველმან გამოუთქმელად“; არსენ ბულმაისიმისძე, „გალობა წმიდისა მოციქულისა ნინოს“:

და მტერნი ჩვენი ურწმუნონი დაუმორჩილენ...

ესე ვითარნი მოწავენი მოიპოვნა მან...

რამეთუ ესე არს მოძღვარი, მსგავს მოციქულთა...

ვითარცა ელვა ქვეყნასა მან დამაბნელნა...

არცა ჩემოდნად ბრალეულსა ნათელი მისი...

ხმა ვყავო: შენ, ქრისტე, კურთხულ ხარ უკუნისამდე.

თოთხმეტმარცვლიანი საზომის ამ ფორმას ქართული ვერსიფიკაციის მკვლევარნი უკავშირებენ ბესიკის სახელს. სერგი გორგაძე მას არქმევს მცირე ბესიკურ ლოგაედურ

ტრიმეტრს. აკ. გაწერელიას თქმით, „თოთხმეტმარცვლიანის საზომის ახალი, ორიგინალური და ამჟამად გავრცელებული ფორმის შემომტანია ბესიკი“. აკ. წინთიბიძე წერს: „ბესიკური საზომის ძირითადი სახეა ორ ლოგაედს შორის მოქცეული პეონი“. პავლე ინგოროვაც, როგორც უკვი ითქვა, ბესიკის მიერ შემოღებულ საზომთა შორის ასახელებს „ოთხიან-ხუთიან ტრიმეტრს“.

ეს შეხედულება, ვგონებ, დროა გაქარწყლდეს.

2. თეთრმეტმარცვლედი, 6(3+3)//5(2+3). გრიგოლ ხანძთელი, „რაჟამს იხილნა“; იოანე მტბევარი, „რომანმან წინასწარ“; მიქაელ მოდ-რეკილი, „გონება კაცთა“; რატი ორბელი, „საგალობელი ტიტე მოცი-ქულისა“:

აგურთხნა სულისა მიერ წმიდისა...
საწყისოსთა ქრისტესთა, ყოვლად ნეტარო...
და სიბრძნე სოფლისა ბრძენთა დაინოქა...
სწავლისა ცეცხლითა კერპთა სადგური.

3. თხუთმეტმარცვლედი, ბოლოდაქტილური, 8(4+4)//7(4+3). მიქაელ მოდრეკილი, „რაჟამს იხილნა“:

უქადაგა უშჯულოთა ერსა შჯულის მდებელმან...
მოვისწრავით დღეს ერთობით, მორწმუნები, ნათლითა.

* * *

პავლე ინგოროვა ამბობს, მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკში“, გარდა ცნობილი საზომებისა, დასახელებულიაო ხუთი ახალი საზომი. მათ შორის, ქორეულ-პეონური ათმარცვლედი („ჭაშნიკის ავტორის ტერმინოლოგით: მუხრანული; პავლე ინგოროვას ტერმინოლოგით: ოთხიან-ექვსიანი ბოლოსპინდეური – დიმეტრი“):

სამგალი აქვს სამუშაო, ძალო,
თუ მოიმკი, კეთილსა იქმ, რძალო...

მკვლევარი ცდება. ეს მეტრული წყობა „არ-ახალია, ძველია“. სანიმუშოდ – ბიბლიის ქართული ტექსტები – „გალობა მოსესი I“ და „გალობა ამბაკომისი“; გრიგოლ ხანძთელი, „ესმა მოსლვაი“, დავით აღმაშენებელი, „შეუწველმან ყვავილმან“:

საკირველი დიდებათა შინა...
და შედგა ძრწოლა ძვალთა ჩემთა...
ნათლისღებად მომავალი, ქრისტე...
არცა დაგდევ სასოება ჩემი.

* * *

„ტაბულის“ მიხედვით, ბოლოქორეული შვიდმარცვლედი შექმნილია XX საუკუნეში. ავტორი მაგალითს არ იშველიერს. იგი, ალბათ, გულისხმობს, რომელიც ოთხტაეპოვან სტროფებად გამოძერწა გალაკტიონმა. სანიმუშოდ –

საიდან მოდის ეს წყობა?

იქნებ გალაკტიონს ბიძგს აძლევენ ილია ჭავჭავაძის სტრიქონები:

აყვავებულა მდელო,
აყვავებულა მთები.
(„გაზაფხული“) და სხვ.

მაგრამ XIX საუკუნის პირველ ნახევარში აღექსანდრე ჭავჭავაძის კალმით ოთხტაეპოვან სტროფად უკვე გამოწროთობილია ჩენოვის საინტერესო მეტრი ჯვარედინი რითმით:

ვამე შორს მყოფსა შენსა
ვერ მჭერეტსა შენსა მშვენად!

მელევის ცნობა მთმენსა,
შექმნილსა მგოდებ ენად!
(„გამე გორს მყოფსა“).

აღ. ჭავჭავაძემდე ეს საზომი პეტერომეტრული სტროფის ნაწილად გვხვდება დ. თუმანიშვილის – ე. წ. გარდამავალი პერიოდის პოეტის ლექსში „გასეთ შიარემის ხმაზედ“:

მისი უებრო წელი,
აფროდიტური ველი,
და მშვენიერი ყელი,
იცოცხლოს მრავალ წელი...

უფრო ადრე? ბესიკის სამგლოვიარო ოდის – „სამბიმარის“ ლუწი ტაეპები ხშირად გამართულია ბოლოქორეული შვიდმარცვლედით:

განცა სიცოცხლე ნავით...
ლომო, შთამოი მამით...
უთმენნი, არდა სათნი...
მარიამ დედის ძესა...

ხოლო ეგევე წყობა ასეული წლების მიღმა მაგრად ფესვგადგმულია ძველქართულ პიმოგრაფიულ ლექსში. სანიმუშოდ – მიქაელ მოდრეკილი, „ცეცხლი შვიდწილ მოტყყინარე“:

მაღალია შინა მყოფი
შეუწერელი ღმერთი.

გიორგი მერჩულე, „მთასა ზედა სინასა“:

ხოლო წარმართთა ერი
მიეგებვიან ღმერთსა.

ფსალმუნი „გალობა მოსესი“:

და ალვამაღლო ესე...
უფალ სახელი მისი...
მიჰყავ მარჯვენა შენი...
სამკვიდრებელსა შენსა... და სხვ. და ა. შ.

საზომი გაბატონებულია ძველქართულ პოეზიაში, ე. ი. მკვლევარი ცდება.

საკითხთან დაკავშირებით:

აკ. გაწარელიას შეხედულებით, „თეორიულად დასაშვებია და პრაქტიკულად განსახორციელებელიც – ოღონდ ქართულ ლექსში XIX საუკუნემდე ერთხელაც არ გვხვდება – კომბინაციები: ქორე – დაქტილი – ქორე (232); დაქტილი – ქორე+ქორე (322). ეს მოსაზრება უნდა გაუქმდეს.

როგორც ვხედავთ, აღნიშნული კომბინაციები რეალურად ფრთაშესხმულია...

საქართველოს ანექსია რუსეთის მიერ: ახლებური შეფასებები და მიღებობები ისტორიის გაკვეთილები*

იტალიელი ქართველოლოგი და სლავისტი, ვენეციის კა' ფოსკარის უნივერსიტეტის ამერიკანისტიკის, იტერისტიკისა და სლავისტიკის კათედრის გამგე, პროფესორი ლუიჯი მაგაროტო ცნობილია არა მხოლოდ ქართული კულტურისადმი მიძღვნილი სამცნიერო გამოკვლევებით, არამედ – ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის, სიმბოლისტ და თანამედროვე ქართველ პოეტთა ნაწარმოებების მხატვრული თარგმანებითაც. ამჯერად მეცნიერი თავის ახალ ნაშრომში „საქართველოს ანექსია რუსეთის მიერ (1783-1801)“ (L'annessione della Georgia alla Russia (1783-1801), (Pasian di Prato: Campanotto Editore, 2004, 158 გვ.) იკვლევს საქართველოს რუსეთის შეერთებასა და მის შედეგებს, რაც ქართული და რუსული სპეციალური ლიტერატურის ღრმა ცოდნას მოითხოვს.

აღსანიშვანია, რომ რუსეთის იდეოლოგიური და პოლიტიკური ზეწოლის მიუხედავად, ქართულმა ისტორიოგრაფიამ, ცარიზმა და რუსეთს შორის თავად ვ. ი. ლენინისეული განსხვავების ოსტატურად მომარვებებით, თავიდანვე ძირითად გააანალიზა ეს პრობლემა: ერთი მხრივ, აღიარა რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ და დიპლომატიურ ურთიერთობათა გაფართოების დიდი მნიშვნელობა, მეორე მხრივ კი, 1801 და 1811 წლების მოვლენები შეაფასა როგორც ანექსია, ორ სახელმწიფოს შორის დადებულ შეთანხმებათა უხეში დარღვევა. მხედველობაში მაქს არა მხოლოდ ივანე ჯავახიშვილისა და ნიკო ბერძნიშვილის ფუნდამენტური ნაშრომები, არამედ – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის მიერ გამოცემული „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ (ტ. IV, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1973). სამაგიროდ, როგორც მკვლევარი აღნიშნავს, ვასილი კლიუჩევსკიდან დაწყებული ყველა რუსმა ისტორიკოსმა და მათ კვალზე იტალიელმა სლავისტებმა (ერთადერთი დარგის სპეციალისტებმა, რომლებიც იტალიაში ამ საკითხებით დანტერესდნენ) – ეტორე ლო გატომ და მის შემდეგ რუსული კულტურის შესახებ მისმა თანამემამულე უახლესი აკადემიური გამოცემების ავტორებმაც კი – რუსეთთან საქართველოს შეერთება ნებაყოფლებით აქტად მიჩნიეს, რითაც გააყალბეს და დამახინჯეს ისტორიული ფაქტები (გვ. 11-12); ამ თვალსაზრისით დასავლეთში დღემდე ერთადერთ იშვიათ გამონაკლისად რჩებოდა ცნობილი ქართველოლოგის, დევიდ ლანგის მონოგრაფია „საქართველოს სამეფოს უკანასკნელი წლები, 1658-1832“ (ნიუ იორკი, 1957). აქდან გამომდინარე, სარცენზიო ნაშრომი მეტად საყურადღებო სიახლეა იტალიისა და, საზოგადოდ, დასავლეთის სამცნიერო წრეებისა და მკითხელებისათვის, რადგანაც ახლებურად სვამს და აფასებს დიდი ხნის წინათ თითქოსდა გადაჭრილად მიჩნეულ საკითხს.

წიგნის გარეკანს ამშვენებს მიხეილ ლერმონტოვის ნახატის „მდინარე ვალერიკის ნაპირებზე“ (1840) ფერადი რეპროდუქცია. დასაწყისში (გვ. 7-9) განმარტებულია უცხოურ სახელთა ტრანსლიტერაციის არჩეული პირინციპები, ხოლო „შესავალში“ (გვ. 11-13) ახსნილია საკითხის დასმის მეცნიერული მნიშვნელობა და მიზანდასახულობა. ამას მოსდევს თავები: „ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის 1783 წელს დადებული ტრაქტატი“ (გვ. 15-58), „ქართლ-კახეთის სამეფოს და მოუკიდებლების დასასრული“ (გვ. 59-117) და „დამატება“, რომელიც შეიცავს: „1783 წლის ისტორიას“ (ვენეცია, ს. დ.) და ფრანჩესკო ბეკატინისეულ „თურქების და კონსტანტინოპოლის, გერმანიის, რუსეთის და სხვა ქრისტიან სახელმწიფოთა იმპერატორთა ისტორიაში“ (ვენეცია, 1791) დასტამბულ გეორგიევსკის ტრაქტატის იტალიურ თარგმანებს (გვ. 121-136), ქართლ-კახეთის მეფის, ერეკლე II-ის (1762-1798) მიერ ვენეციის რეპსუბლიკისადმი მიწერილი წერილის, აგრეთვე, მისივე ერთი უდრიესატო ბარათის (გვ. 137-143), ასევე, რუსეთის იმპერატორების, პავლე I-ის 1800 წლის 18 დეკემბრისა და ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტების მევლევის მიერ შესრულებულ იტალიურ თარგმანებს (გვ. 145-151). წიგნს ერთვის საკუთარ სახელთა საძიებელი, რაც მიზანმიმართულს ხდის ფაქტობრივი მასალებით მდიდარი ნაშრომის კითხვას. გამოკვლევაში ჩართულია ერეკლე II-ისა (გვ. 33) და გიორგი XII-ის (გვ. 90) პორტრეტები, რომლებიც ნიკოლოზ ავხაზს (XVIII ს.) და XVIII-XIX სს.-ის უცნობ მხატვარს ეკუთვნის, ასევე, ფრანც რუბოს (XIX ს.-ის მეორე ნახ.) ნახატის „რუსთა ჯარების შესვლა ტფილისში 1799 წელს“ რეპროდუქცია (გვ. 84-85).

პირველ თავში ავტორი ხაზს უსვამს კავკასიისადმი რუსი საზოგადოების კულტურულ ინტერესს, რომელიც ყველაზე ხატოვნად მწერლობაში გამოვლინდა. რუსულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა

* მადლობას ვუხდი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, პროფესორ მარიამ ლორთქიფანიძეს, რომელიც ხელნაწერში გაეცნო წინამდებარე სტატიას და თავისი საყურადღებო შენიშვნებით დიდად დამეხმარა მის სრულყოფაში.

მიმოხილვის ფონზე აღნიშნულია, რომ კავკასიის თემა პირველად აღექსანდრე პუშკინმა დაამუშავა პოემაში „კავკასიური ტყვე“ (1821) და რომ მხოლოდ ამის შემდეგ გადაიქცა იგი XIX-XX ს. -ის რუსული მწერლობის ჭეშმარიტ მითად. რაც შეეხება თავად სახელმწიფო ურთიერთობების ისტორიას, აქ რუსეთთან შედარებით, ინიციატივა უდავოდ საქართველოს მასარეზე იყო, რომელიც თავისი ეკონომიკურ-პოლიტიკური და სამხედრო ზერიბის ხანაშივე დაინტერესდა რუსეთთან პოლიტიკური კავშირით. ამ წანამძღვრების ფონზე განიხილავს მკვლევარი პეტრე ლილის (1682-1725) და ქართლის მეფის, ვახტანგ VI-ის (1716-1724) ურთიერთობას და მიუთითებს, რომ სპარსეთის წინააღმდეგ 1722 წელს დაწყებული საომარი ოპერაციების პეტრეს მიერ ცალმხრივმა შეჩერებამ გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდო ომში უკვე ჩათრეული ვახტანგი და იძულებული გახადა, 1186 დიდგვაროვან რჯაახთან ერთად თავშესაფარი მოსკოვში ეძებნა. მოვაინებით ეკატერინე I-ის გამეფებამ, რომლის პოლიტიკურ მიზნებში არ შედიოდა ქართლის მეფის დახმარება, ვახტანგის ამაღლა გადააქცია რუსეთში საქართველოს მრავალრიცხოვან და აქტიურ კოლონიად, რომელიც არასიდეს მოსწყვეტია საკუთარ ეროვნულ ფესვებს.

სამაგიეროდ, რუსული ხელოვნება აბსოლუტურად გულგრილი იყო კავკასიისა და საქართველოს მიმართ. სუსტი იყო, აგრეთვე, რეგიონის მიმართ რუსეთის პოლიტიკური ინტერესებიც, რის გამოც რუსეთის იმპერიასა და ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის კავშირ-ურთიერთობა 1783 წლამდე სპორადული რჩებოდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ოსმალეთის იმპერიასთან დადგებული შეთანხმებებით, რუსეთს მოკვეთილი პქონდა გზა ზღვისპირეთისაკენ: პირველი რუსული ავანპოსტი, მოზდოკი 1763 წელს აშენდა, გრიგორი პოტიომეტი 1770 წელს შეუდგა ციხე-სიმაგრეების მშენებლობას კავკასიაზე გამავალი საზღვრის გასამაგრებლად. საქართველოს სამხედრო გზის სახელწოდებით ცნობილი პირველი საგზაო მაგისტრალის მშენებლობა კი 1783 წელს დაიწყო. იმ დროისათვის არ არსებობდა კავკასიის გეოგრაფიული რუკაც (გვ. 23-24).

ქართველები რუსეთში ხედავდნენ ერთორწმუნებ, უანგარო, ლეგენდარულ ქაუყანას, რომელსაც სთხოვდნენ არა მხოლოდ სამხედრო დახმარებას, არამედ დიპლომატიურ თანადგომას ოსმალეთის წინაშე, რათა მას ქართლსა და კახეთში ლეკო თარეში აელაგმა. თავის მხრივ, რუსეთი მხოლოდ ზოგადი დაპირებებით იფარვებოდა, სტამბოლში მუდმივად მყოფი მინისტრის, აღექსე ობრეზკოვის მეშვეობით კი თურქებს დაბეჭითებით არწმუნებდა თავის ნეიტრალიტეტში. რუსეთის პოზიცია დახმარების მოძლიობინე ქართველებს აიძულებდა, პარალელურად მუსულმანურ სახელმწიფოებთან მშვიდობიანი თანაცხოვრების გზები ეძიათ. ამავე მიზეზით, თემბურაზ II-მ, ერეკლე II-მ და სოლომონ I-მა 1758 წელს დადეს შეთანხმება უცხო სახელმწიფოს თავდასხმის შემთხვევაში ურთიერთიდაბრების შესახებ, თუმცა, როდესაც მუსტაფა III-მ იმერეთის დაპყრობა გადაწყვიტა, ქართველმა მეფეებმა რუსეთისათვის დახმარების თხოვნის მეტი ვერაფერი მოახერხეს. მანაც, დახმარების ნაცვლად, ოსმალეთი კიდევ ერთხელ დაარწმუნა თავის ნეიტრალიტეტში. 1760 წელს იმპერატორ ელისაბედ პეტრეს ასულის ბრძანებულები თა და კანცლერ გრაფ მიხეილ ვორონცოვის მორიგი განკარგულებებით, ნებისმიერი მიზნით რუსეთში გამგზავრების მსურველი ყველა ქართველი პეტერბურგიდან სათანადო ნებართვის მოლოდინში დროებით ყიზლარში ან ასტრახანში უნდა შეეჩერებინათ. ამავე წელს ყიზლარსა და ასტრახანში რამდინმეჯერ შეჩერებულმა თვით მეფე თემბურაზ II-მაც კი მხოლოდ შეცვლილი საერთაშორისო ვითარების წყლობით შეძლო მგზავრობის გაგრძელება, რათა 1761 წლის აპრილში ელისაბედ პეტრეს ასულს ხლებოდა, თუმცა, უშედეგოდ და შინ მომავალი ასტრახანში გარდაიცვალა.

მკლევარი პოლიტიკურ გულუბრყვილობად მიხნეს ქართველ დიპლომატთა რწმენას, რომ რუსეთი მხოლოდ საერთო აღმსარებლობის გულისათვის დამყარებდა საქართველოსთან კავშირს, ან რაიმე ფორმით გაუწევდა მფარველობას. მხოლოდ 1768 წლის რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებამ შეცვალა ვითარება ქართველ მეფეთა სასარგებლოდ: თურქეთის სავარისო შენაერთების კავკასიაში შესაყოვნებლად და ამით ყირიმსა და ევროპაში თურქთა ძალების დასასუსტებლად, რუსეთმა კავკასიაში დივიზია განალაგა. ერეკლე II და სოლომონ I, რომლებიც ესწრაფოდნენ ოსმალეთის მიერ მიტაცებული ქართული ტერიტორიების დაბრუნებას, ლეკითა ალაგმასა და ცენტრალიზებული მმართველობის განმტკიცებას, ომში რუსეთის მხარეზე ჩაებნენ, მაგრამ როდესაც გრენადი ტორტლებენი, ერეკლეს მიერ მოთხოვნილი 5-7 პოლკის ნაცვლად, ტფილისში მხოლოდ 400 ჯარისკაცით ჩამოვიდა, რომელთაც მოგვინებით 3300 ჯარისკაცი შემოემატათ, ნაიელი გახდა, რომ ომის მთელი სიმძიმე ქართველთა მხრებზე უნდა გადასულიყო. ორწლიანი ბრძოლების შემდეგ ერეკლე ურთიელს ვითარებაში აღმოჩნდა: ვერ განახორციელა თვითი ვერც ერთი პოლიტიკური ჩანაფიქრი, რუსეთთან კავშირის დამყარებამ კი კიდევ უფრო აგრესიული გახადა ოსმალეთი. როგორც უცხოეთთან ურთიერთობის კოლეგიაში ნიკიტა პანინისთვის გაგზავნილი ნოტები მოწმობს, მდგომარეობიდან გძმოსავალს ერეკლე მკაფიოდ განსაზღვრული პირობებით რუსეთის მფარველობის შესვლაში ხედავდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც 1774 წლის ქუჩუკ-გაინარჯის ზავით რუსეთმა სამხრეთის საზღვრები გაიმაგრა, მან ქართველები ოსმალეთის წინაშე მარტოდმარტო დატოვა. „საქართველოს იმდროინდელ ისტორიაში“, – შეინშავს მკლევარი, – „ნაღვლიანად ენაცვლება ერთმანეთის ქართლ-კახეთის მეფის, ერეკლესა და იმერეთის მეფის, სოლომონის მხრიდან გამუდმებული სევდიანი თხოვნა იმპერატორ ეკატერინე II-ის მიმართ

დახმარების, დაცვისა და მფარველობის შესახებ და, ამავე დროს, ხაზგასმული სიმშვიდე რუსეთის საიმპერატორო კარისა, რომ მას კავკასიაში არ ჰქონდა სასიცოცხლო ინტერესები და ამიტომ მიზანშეუწონლად მიიჩნევდა, დახმარებოდა კავკასიის პატარა ერთმორწმუნე სახელ მწიფოებს“ (გვ. 28). მუსულმანური სახელმწიფოების მუდშივი მუქარის პირობებში ერკლემ დიდი მოხერხებულობით გაართვა თავი ურთულეს ვითარებას და სამხედრო-პოლიტიკური მიზნების მისაღწევად თავის სამსახურში ჩააყენა სომეხი დიპლომატები და აგენტები, ჩერქეზთა, ოსთა და ყალმუხთა დაქირავებული სამხედრო დაჯგუფები (გვ. 29). 1776 წელს დაუზავდა ოსმალებს, თუმცა, მაინც ვერ მოიპოვა მათი ნიღბა; მოგვიანებით კი კიდევ უფრო გააქტიურა რუსეთთან ურთიერთობა, როდესაც XVIII ს.ის მეორე ნახევრის მნიშვნელოვანი სახელმწიფო მოღვაწის, გრ. პოტიომკინის ახალი პოლიტიკური კურსის წყალობით რუსეთმა შეიცვალა კავკასიური პოლიტიკა და იმპერიის საზღვრების სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნებს ისეთივე საიცოცხლო სტრატეგიულ-პოლიტიკური და გეოპოლიტიკურ-ეკონომიკური მნიშვნელობა მიანიჭა, როგორც – ევროპულ რეგიონებს.

ამავე დროს, ერკლე II, რომელიც რეალისტურად აფასებდა იმსანად რუსეთის სუსტ პოლიტიკურ ინტერესებს კავ კასიაში, 1781-1782 წწ.-ში ავსტრიის იმპერატორს, იოზეფ II-ს (1765-1790) სთხოვდა, პოლიტიკური თანადვობა და ფინანსური დახმარება გაეწია ქართული ჯარის ერთი პოლკის ევროპული სტანდარტების მიხედვით აღჭურვასა და გაწვრთნაში. იგი ანალოგიური წერილებით მიმართავდა საფრანგეთის მეფეს, ვენეციის რესპუბლიკას, ნეაპოლის მეფეს, რომის პაპსა და პრუსიის მეფესაც. ზოგიერთმა წერილმა ადრესატამდე გვან, ზოგიერთმა კი, მაგალითად, ვენეციის დოფისადმი მიწერილმა წერილმა, რომლის იტალიურ თარგმანებს მევლევარი 137-140-ე გვერდებზე აქვეყნებს, საერთოდ ვერ მიაღწია. ერკლეს პოლიტიკურ გამჭრიახობაზე მეტყველებს ისიც, რომ მას ამოძრავებდა რწმენა არა იმისა, რომ ევროპის ერთმორწმუნე სახელმწიფოები მას საერთო სარწმუნოების გამო დაეხმარებოდნენ, არამედ იმისა, რომ ოსმალების იმპერიასთან მათი სულ უფრო მზარდი პოლიტიკური წინააღმდეგობა, შეიძლებოდა, შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაზრდილიყო. ამის გამო დასავლეთი აუცილებლად უნდა ყოფილიყო დაინტერესებული აღმოსავლეთში მოკავშირების მოძიებით (იხ. გვ. 31-32).

ერკლე დახმარებას სთხოვდა რუსეთსაც და საჭიროდ მიიჩნევდა, გრ. პოტიომკინისათვის დასავლელ სახელმწიფოებთან მიწერილი ბარათების ასლებიც კი გაეგზავნა. საგარეო პოლიტიკის ახალი სტრატეგიული კურსის შესაბამისად, რუსეთი კონკრეტულ ნაბიჯებს დგამდა კავკასიაში თავისი გავლენის გასაძლიერებლად (გვ. 32-34), მაგრამ იმის შიშით, რომ დასავლეთი ევროპა საქართველოთი მასზე ადრე არ დაინტერესებულიყო (გვ. 34), ეკატერინე II-მ 1782 წლის დეკემბერში ალექსანდრე ბეზბოროდკოსა და გრ. პოტიომკინს დაავალა, მოემზადებინათ ქართულ სამეფოებთან დასადები ტრაქტატების პროექტები. იმპერატორის მრავალი მითითება (მაგალითად, ქართველი მეფები თოვლებოდნენ არა ქვეშევრდომებად, არამედ – რუსეთის მფარველობაში მყოფ მოკავშირებად) კიდევ აისახა ტრაქტატში, რომელიც, პოლიტიკური მოსაზრებებით, 1783 წლის 24 ივლისს მხოლოდ ქართლ-კახეთის სამეფოსთან დაიდო ქალაქ გეორგიევსკში და მასში გათვალისწინებულ იქნა ქართული მხარის შენიშვნები. მას ეკატერინეს მხრიდან ხელი მოაწერა გენერალმა პავლე პოტიომკინმა, ერკლე II-ს მხრიდან კი – თავადებმა იოანე ბაგრატიონმა და გარსევან ჭავჭავაძემ. მევლევარს მოჰყავს „რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულში“ (ტ. XXI, C.-II., 1830, გვ. 1013-1017) გამოქვენე ბული ტრაქტატის ოფიციალური რუსული ტექსტის იტალიური თარგმანი (გვ. 35-44) და დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ ეს იყო ტაქტიკი „მფარველობითი ტრაქტატი“, რომლის მსგავსი დოკუმენტის რაობა შემდგანაირად არის განსაზღვრული უმერ დე ვატელის 1758 წელს და სტამბულ კლასიკურ ნაშრომში „ხალხთა სამართლი“ (Le droit des gens): [...] სუსტი სახელმწიფო, რომელიც თავისი უსაფრთხოების მზრდით უფრო ძლიერი სახელმწიფოს მფარველობაში შედის და ძაღლისერების ნიშად მფარველობის შესაბამის კალდებულებას კისრულობს ისე, რომ ინარჩუნებს თავის ხელისუფლებასა და სუვერენიტეტს, ეს სახელმწიფო [...] რჩება სუვერენულ სახელმწიფო, რომელიც, ხალხთა სამართლის კარდა, ხევა სამართლის არ ცნობს“ (გვ. 44; ხაზგასმა ჩემია – გ. შ.).

ამრიგად, იმდროინდელი საერთაშორისო სამართლის ნორმების თანახმად, ქართლ-კახეთის სამეფო გეორგიევსკის ტრაქტატის დაღების შემდეგაც ინარჩუნებდა სახელმწიფოებრობას, თუმცა, ასე არ ფიქრობს ყველა იურისტი და ისტორიკოსი. მოჰყავს რა ფ. ფონ ლისტის, ღ. ნიპოლდის, ღ. ლე ფურის, ღ. ალენის, ღ. ლენგის, ზ. ავალიშვილის მოსაზრებები, მკვლევარი აანალიზებს ტრაქტატის შინააღ წინააღ მდეგობებს. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ გარევნულად ორივე მხარე ურთიერთობანასწორი ჩანდა (სწორედ ამის გამო ორივე მხარე ცნობდა ერთმანეთის კონკრეტულ უფლება-მოვალეობას და ტრაქტატის XII მუხლის თანახმად, ნებისმიერი ცვლილება ერთმანეთობან უნდა შეთანხმებულიყო, გვ. 45), დოკუმენტში ორი სახელმწიფოს მეთაურთა მიმართ გამოყენებული ტიტულატურა სრულიად საპირისპირო ვითარებაში გვარწმუნებს: ეკატერინე ყოველთვის მოქსენიება როგორც „მისი იმპერატორობითი დიდებულება, იმპერატრიცა და თვთმერობელი ყოვლისა რუსეთისა“ („Ея императорскаго величества“), ერკლე მეფე, სუვერენული სახელმწიფოს მეთაური და ბაგრატიონთა უძველესი სამეფო დინასტიის შთამომავალი, კი – მთავრის ტიტულით: „უგანათლებულესი“ („светлейший“; გვ. 45-46).

მკვლევარი საზს უსვამს იმასაც, რომ ტრაქტატით ნაკისრი ვალდებულებების მიუხედავად, ერეპლეს არც საგარეო სუვერენიტეტზე უთქვამს უარი: იგი, ფაქტობრივად ტრაქტატის მოთხოვნების დარღვევით, რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიასთან შეუთანხმებლად აწარმოებდა დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას მეზობელ სახანობთან და სამთავროებთან, თუმცა, რა თქმა უნდა, იმის გათვალისწინებით, რომ ეს ურთიერთობა არ უნდა ყოფილიყო რუსეთის იმპერიის ონტერესების საწინააღმდეგო. რუსეთი ზოგჯერ ხელსაც კი უწყობდა ერეკლეს საგარეო პოლიტიკის დამოუკიდებლად წარმართვაში: მაგალითად, 1784-1789 წლებში იმერეთის სამეფოს საქმეებში ჩარევისას, ანდა 1790 წელს იმერეთის მეფესთან და ოდიშისა და გურიის მთავრებთან ურთიერთდახმარების შესახებ ხელშეკრულების დადგისას. ასეთ შემთხვევაში ოსმალეთი რუსეთს ბრალს ვერ დასდებდა უცხო ქვეყნების საქმეებში ჩარევაში, ოვითონ რუსეთი კი ვალდებულებას კისრულობდა, დახმარებოდა თავის მფარველობაში მყოფ ქართლ-კახეთის სამეფოს, თუკი იმერეთის, ოდიშისა და გურიის დახმარებისათვის მას ოსმალეთი თავს დაესხმოდა (გვ. 46).

ტრაქტატს რეალური შედეგები უნდა მოეტანა ქართლ-კახეთის სამეფოსათვის: ორივე სახელმწიფოსათვის პრიორიტეტული განდა ურთიერთდამაკავშირებელი გზის გაყვანის საკითხი: 1783 წლის ნოემბერში რუს ეგერთ არი ბატალიონი ოთხი ზარაბაზით პოლკოვნიკ სტეფანე ბურნაშვილის მეთაურობით ტფილისში შევდა; 1784 წლის ოქტომბერში რუსთა და ქართველთა საჯარისო შენაურობმა რუსი განერლის, ალექსანდრე სამოილოვის მეთაურობით პირველი ბრძოლა გამართეს ლექებთან, ლეკემბერში კი ერეპლეს სამხედრო ოსტრუქტორები გამოუგზავნეს 24 ზარაბაზითან ერთად (გვ. 47).

ოსმალეთმა ყოველივე ეს ქუჩუკ-კაინარჯის ზავის XXIII მუხლის დარღვევად მიიჩნია და პროტესტი განუცხადა კონსტანტიპოლიში რუსეთის სრულუფლებიან მინისტრს, იაკობ ბულგაკოვს, თუმცა, ვერ გაძედა, რამე გადამჭრელი ღონისძიებისთვის მიერართა. მან მხოლოდ ის შეძლო, რომ მატერიალურად დაეხმარა ჩრდილო-კავკასიელ მუსულმანთა ტომებს ქართლ-კახეთის წარტყმებაში, მაგრამ ესეც სრულიად საქმარისი აღმოჩნდა ერეკლესა და რუსულ საჯარისო შენაურთებზე მუდმივი ზეწოლისათვის, ამასთანავე, ერეკლე იძულებული გახდა, 1786 წელს ახალციხის ფაშას, სულეიმანს ოფიციალურად დაპირებოდა, რომ თავის სამეფოში 3000-ზე მეტ რუს ჯარისკაცს არ იყოლიებდა და თავს არ დაესხმოდა საფაშოს. სამაგიუროდ, სულეიმანმა იკისრა, რომ თავის საფაშოში აქრძალვადა ქართველ ტყმებს არ წააქეზებდა ქართლ-კახეთის წინააღმდეგ და სასაზღვრო ზოლიდან გაიყვანდა იქ მუდმივად დაბანაკებულ ჯარს (გვ. 48).

ამასბაში რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა გამწვავდა არა მხოლოდ ყირიმში, შავიზდვისპირეთსა და დნეპრისპირეთში რუსეთის გავლენის გაძლიერების, არმედ რუსეთისა და ავსტრიის მიერ შემუშავებული ე.წ. „საბერძნეთის პროექტის“ გამო, რომელიც მიზნად ისახავდა ევროპიდან თურქთა განდევნას, ბიზანტიის იმპერიის აღდგენას და მის ტახტზე ეკატერინეს შვილიშვილის დასმას, რაც 1787 წელს რუსთ-ოსმალეთს შორის ომის დაწყების მიზეზი გახდა (გვ. 48-49). მართალია, მასში რუსეთმა დიდი უპირატესობით გაიმარჯვა, მაგრამ ავსტრიამ ოსმალეთთან სეპარატული ზავი დადო და რუსეთმა 1791 წლის იასის ხელშეკრულებით მხოლოდ ყირიმში, ბუგისა და დნესტრის შორის მდებარე ტერიტორიაზე გაბატონებას და ახალციხის ფაშისგან ქართლ-კახეთის სამეფოს ქვემერდობებზე თავდაუსხმელობის პირობას მიაღწია (გვ. 49).

მკვლევარი ააშკარავებს რუსეთის მიერ ტრაქტატის დარღვევის შემთხვევებს. კერძოდ, რუსეთ-თურქეთის 1787-1791 წწ.-ის ომის დაწყებამდე პ. პოტიომკინმა რუსეთის ხელისუფალთაგან მიღებული გრიგორებულებით, ერეკლეს პროტესტის მიუხედავად, 1787 წლის 26 ოქტომბერს საქართველოდან მოლიანად გაიწვია ვლადიკავკაზში რუსული გარნიზონი. რუსეთის იმპერია ამ გადაწყვეტილებას ოფიციალურად იმით ხსნიდა, რომ იგი თითქოს არ აპირებდა საომარი ოპერაციების საქართველოს ტერიტორიიდან წარმოებას, საქართველოში რუსი ჯარისკაცები გამუდმებით შიმშილობდნენ, ერეკლესათვის უმჯობესი იყო, თვითონვე ეზრუნა საქართვის სამეფოს დაცვაზე და აღედგინა ტრაქტატამდელი საგარეო კავშირები (გვ. 50). მკვლევარი აკეცევს რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილების ნამდვილ მიზეზებსაც: ეკატერინემ იმპერიის უკიდურეს სამხრეთ პროვინციებად ყირიმი და ყუპანისპირეთი განსაზღვრა და შესაძლებლად მიიჩნია, თურქეთისათვის კავკასია დაქცებებინა; ეგრისაში შექმნილი ანტირუსული კოლონია შეეცადა, ამბულებინა რუსეთი, შვედეთისათვის ბალტიისპირეთის ქვეყნები, პოლონეთისათვის კი ბელორუსია დაეთმო; რუსეთ-შვედეთის ომის დროს, 1788 წელს პეტერბურგი რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. საგარეო საქმეთა კოლეგია 1788 წლის 14-16 დეკემბრის სხდომაზე მზად იყო, ყირიმისა და ყუბანისპირეთის სანაცვლოდ ოსმალეთისათვის კავკასია გადაეცა (ქუჩუკ-კაინარჯის ზავის თანახმად, ქართლ-კახეთის სამეფო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, დასავლეთ საქართველო კი ოსმალეთის იმპერიის ნაწილად ცხადდებოდა), მაგრამ თურქეთმა უარი თქვა ამ წინადაღებაზე, რაღაც რუსეთის დამარცხების იმედი პქონდა. ომში რუსეთის გამრჯვება აისხა იასის ზავში, მაგრამ ის ფაქტი, რომ მასში სიტყვაც არ არის დაძრული გეორგიევსკის ტრაქტატზე, იმას ნიშნავს, რომ ორივე მხარე დე ფაქტო ცნობდა, მაგრამ იურიდიულ მნიშვნელობას არ ანიჭებდა რუსეთისა და ქართლ-კახეთის სამეფოს კავშირს.

1791 წლის 5 ოქტომბერს გრ. პოტიომკინის გარდაცვალებისა და კავკასიაში რუსეთის სარდლად პ. პოტიომკინის ნაცვლად ივანე გუდოვაჩის დანიშვნის შემდეგ ტრაქტატმა საბოლოოდ დაკარგა იურიდიული და ფაქტობრივი ძალა. მკვლევარი საგანგებოდ ჩერდება ამ საკითხებზე (გვ. 51-52) და დ. ლანგთან ერთად, რომელიც, თავის მხრივ, რუსი ფუნქციონერის მიერ 1801 წელს წარმოთქმულ სიტყვებს იმოწმებს, დასკვნის: „1783 წელს რუსეთის მიერ [ქართლ-კახეთის სამეფოსათვეს] აღთქმულმა მფარველობამ ეს ბედრული ქვეყანა უბედურების უფრსკულში გადაჩესა და საბოლოო დადუცვამდე მიიყვანა“ (გვ. 52).

წიგნის მეორე თავში მკვლევარი მიმოიხილავს XVIII ს.-ს მეორე ნახევარში კავკასიის შესახებ რუსეთში დასტამბულ სემიონ იგნატიევის, ალექსანდრე ამილახვის, ფრანგი აბატის, იოსეფ დე ლა პორტის თხულებებს, სტეფან ბურნაშვილისა და ევგენი ბოლხვიტინოვის ეთნოგრაფიულ-სტროიულ ნაშრომებს საქართველოზე (გვ. 61-65). სამართლიანია შენიშვნა, რომ თუ გორგიევსკის ტრაქტატის დადებამდე ერეკლე II-ისათვის ძირითად საფრთხეს ისმალეთი წარმოადგენდა, ტრაქტატის დადებისა და რუსეთის მიერ მისი ფაქტობრივი იგნორირების შემდეგ სამიშროება უკვე საპარსეოიდანაც ეჭუქრებოდა, რადგანაც იგი მას მოლალატე ქვეშევრდომად თვლიდა. მკვლევარი ემიციანარევი ობიექტურობით იხსენებს 1794 წელს ირანის ტახტზე აღა-მაჰმად-ხანის ასვლას, ეკატერინე II-ის მიმართ 1793 წლის მარტიდან მოყოლებული ერეკლე მეფისა და დარეჯან დედოფლის გამზღმებულ ხვეწნა-შუდარას დახმარების შესახებ, გ. ჭავჭავაძის ელჩობას პეტერბურგში, რუსეთის საიმპერატორო კარის აბსოლუტურ გულგრილობას, გულვითის 1795 წლის 7 მაისს მოხსენებას, სადაც გენერალი გადაჭარბებულად მიიჩნევს ერეკლეს შემფრთხებას აღა-მაჰმად-ხანის მოქმედებით, კრწანისის 1795 წლის 10-11 სექტემბრის ტრაგედიას და იმას, რომ 13 სექტემბრის, როდესაც აოზრებულ ტფილისში საპარსელები დათარეშობდნენ, გუდოვაჩი რუსეთის გენერალურ შტაბსა და გრაფ პლატონ ზუბოვს უმტკიცებდა, აღა-მაჰმად-ხანის წარმატებები ქართლ-კახეთის საფრთხეს ვერ შეუქმნის (გვ. 68). მეცნიერი სწორად მიუთითებს, რომ ტფილისის იავარქმიდან 18 დღის შემდეგ რუსეთის ხელისუფალთა მიერ გუდოვაჩისადმი გაცემული განკარგულება რუსეთის მფარველობაში მყოფი ქვეყნების აღა-მაჰმად-ხანისაგან დაცვის შესახებ მხოლოდ ფორმალური აქტი იყო (გვ. 69), თუმცა, მკვლევრის აზრით რუსეთის ხელისუფალთა მოქმედებას, შეიძლება, ის გამართლება მოეძებნოს, რომ, როგორც 6. გვოზდევიც აღნიშნავს, გრ. პოტიომკინის გარდაცვალების შემდეგ, რომელიც პირადად იცნობდა ირანის ახალ შაჰს, პეტერბურგის სახელისუფლებო წრეებში ვერავინ აფასებდა რეალურად, თუ რა სამიშროებას წარმოადგენდა იგი მთელი რეგიონისათვის (გვ. 67).

მკვლევარს დაუსაბუთებლად მიაჩნია ზოგიერთი ისტორიკოსის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ რუსეთის საიმპერატორო კარბა გეორგიევსკის ტრაქტატით გათვალის წინებული მოვალეობანი თითქის იმიტომ არ შეასრულა, რომ მას შემდგომში გაიოლებოდა აღა-მაჰმად-ხანის მიერ დაქცეული საქართველოს დაპყრობა (გვ. 69). მისი აზრით, გრ. პოტიომკინის გარდაცვალების შემდეგ რუსეთის იმპერიის უმთავრესი გეოპოლიტიკური ინტერესი მისი დასავლეთის საზღვრებისაკენ იყო მიმართული. კრწანისის ტრაგედიამ კი, რომელიც რუსეთმა საკუთარი პოლიტიკური თავმოყარეობის შელახვად მიიჩნია, ერთგვარად გამოაცოცხლა მისი საგარეო პოლიტიკა სამხრეთ საზღვრებზე: შეიმუშავა აზერბაიჯანისა და საპარსეოს კასპიისპირა პროვინციების ანექსიის გეგმა; 1796 წლის 19 თებერვალს ეკატერინე II-მ ვალერიან ზუბოვს უბრძანა, დაუცვა სამხრეთის საზღვრები, გაეთავისუფლებინა ირანის ბატონობისაგან კავკასიელი ხალხები და თავად ირანში დაემყრებინა წესრიგი; 2 აპრილს დაიწყო საომარი ოპერაციები და რუსმა სარდალმა ტრიუმფით მიაღწია ძირისარე არაქსს.

1796 წლის 6 ნოემბერს ეკატერინეს გარდაცვალებამ და პავლე I-ის გამეფებამ რადიკალურად შეცვალა რუსეთის პოლიტიკა იმპერიის სამხრეთ-აღმოსავლეთსა და კავკასიაში. ვ. ზებოვის ადგილას პავლე I-მა ისევ გუდოვაჩი დანიშნა და, როგორც ჩანს, სწორედ მისი რჩევით გამოიწვია 1797 წლის ივნისში ქართლ-კახეთიდან საჯარისო შენაერთები. ამჯერადაც ამაო აღმოჩნდა ერეკლე მეფის, დარეჯან დედოფლის, საქართველოს ელჩის, გ. ჭავჭავაძისა და უფლისწულ მირიანის პროტესტი და ხვეწნა-შუდარა. აღა-მაჰმად-ხანმა სწრაფად წამოიწყო კავკასიის კამპანია და დაიკავა შუშა, მაგრამ 1797 წლის ივლისში მისმა მკვლელობამ ერეკლე აშკარა საფრთხისაგან იხსნა, თუმცა, მას კარგად ესმოდა, რომ როგორც კი ბაბა-ხანი ირანის ტახტზე ფეხს მოიკიდებდა, ეს საფრთხე ისევ წარმოიშობოდა. სწორედ ამის გამო ერეკლეს საგანგებო დავალებით გ. ჭავჭავაძემ არაერთხელ, თუმცა, უშედეგოდ, დაუსაბუთა საგარეო საქმეთა კოლეგიას ქართლ-კახეთის სამეფოს როტელი ვითარება. 1798 წლის 11 იანვარს ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ ქართლ-კახეთი შინაგანად დაქსაჭული და ირანის მუდმივი საფრთხის ქვეშ მყოფ ქვეყნად რჩებოდა (გვ. 72).

მკვლევარი მოკლედ, მაგრამ საფუძვლიანად მიმოიხილავს გიორგი XII-ისა და დარეჯან დედოფლის ურთიერთწინააღმდეგობასა და პავლე I-ის მტკიცე განზრახვას, გიორგის გარდაცვალების შემდეგ მეფედ ეცნი არა მისი ძმა, თულონი, არამედ – უფროის ძე, დავითი (გვ. 72-73). მეცნიერს არც ის რჩება მხედველობიდან, რომ ქართველთა მოთხოვნა და იმპერატორის ჩარევა სამეფოს საშინაო საქმეებში ეწინააღმდეგებოდა გეორგიევსკის ტრაქტატის სულისკვეთებას, რომელიც მემკვიდრეობის საკითხს ქართლ-კახეთის სამეფოს საქმედ მიიჩნევდა (გვ. 73). გიორგის სახელმწიფოებრივმა არაკომპეტენტურობამ,

ურთულესმა საშინაო ვითარებამ, ლეკების თარეშის გაძლიერებამ და ირანის შაპის ტახტზე ფათალი-ხანის სახელით ასული ბაბა-ხანის გამუდმებულმა მუქარამ აიძულა გიორგი, მეტი აქტიურობა გ. ჭავჭავაძისაგან, რომელიც 1798 წლის 16 დეკემბერს, მეფის სახელით, საგარეო საქმეთა კოლეგიას ოფიციალური ნოტით ქართლ-კახეთის სამეფოს დასაცავად 3000 რუსი ჯარისკაცის გამოვზავნას სთხოვდა. ბორბარტოლისტული საფრანგეთის ინტერესებმა ანატოლიასა და სპარსეთში პავლე I დაარწმუნა იმაში, რომ გადაუდებელი იყო არა მხოლოდ თურქეთთან ანტიფრანგული კავშირის შეკვრა, არამედ – შავი და კასპიის ზღვისპიროთში რუსეთის ჰეგემონის აღდგენა და ქართლ-კახეთის სამეფოს ოკუპაცია.

შესაბამისად, კოლეგიამ რუს დიპლომატებს დაავალა, შაპისათვის შეეხსენები ნათ, რომ 1783 წლის ტრაქტატის ძალით ქართლ-კახეთის სამეფო გათავისუფლდა სპარსეთის გავლენისაგან, ხოლო 1799 წლის 11 თებერვალს გ. ჭავჭავაძეს ოფიციალურ აცნობა, რუსული საჯარისო შენაერთი უკვე ქართლ-კახეთის სამეფოსაკენ მიემართება, ზარბაზნებს, რაც შეიძლება, მალე გადმოგცემთ, შაპს კი დიპლომატიური ნოტით გავაფრთხლებოთ, რომ რუსეთი მის მთარველობაში შეოფიც ქვეყნების მიმართ მუქარას სპარსეთის შხრიდან არ მოითმენს. ამავე დროს, ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ოფიციალურ ელჩად დანიშნულ პეტრე კოვალენსკის გამგზავრებამდე ისეთი ინსტრუქციები მისცეს, როგორსაც, როგორც წესი, აძლევენ არა ელჩს, არამედ – მეფის ნაცვალს. გაწვრთნილმა ინტრიგანმა კოვალენსკიმ სულ მალე უდიდესი გაელენა მოიპოვა სუვერენულ ქართლ-კახეთში. მკვლევარი სამართლიანად მიუთითებს ამ ფაქტის პარადოქსულობაზე, თუმცა, იმასაც აღნიშნავს, რომ რუსი დიპლომატის წარმატება განაპირობა თავად გიორგი XII-მ, რომელიც ასე უფრო დაცულად თვლიდა თავს დარეჯან დედოფლის მომხრე პარტიისაგან (გვ. 75), რომელშიც ორი ფრთა გამოიყოფოდა: ალექსანდრე ბატონიშვილი მუსულმანთა გვერდიგვერდ იბრძოდა რუსთა წინააღმდეგ, დარეჯანი და მისი დანარჩენი შეიღები კი აღიარებდნენ როლს, რომელიც ერკლებ რუსეთს მიანიჭა. იყო კიდევ ერთი – მესამე პარტია, რომელმაც ხელსაყრელ მომენტში მეხუთე კოლონის როლი შეასრულა. იყი რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის ანგესას ქაფნის შინაგანი ბრძოლებისაგან თავის დაღწევის ერთა დერთ გამოსავლად თვლიდა (გვ. 75).

1800 წლის ამბებმა (ფათალი-ხანის შეჭრა აზერბაიჯანში; ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ მასთან კავშირის ცდა; რუსეთის საგარეო პოლიტიკის მესვეურების: თედორე როსტოპჩინის, ნიკიტა პანინისა და დიმიტრი ტატიშვილის მიედგაცურუება გიორგი XII-ის უნიათობის გამო; იულონ, ვახტანგ და ფარნაოზ ბატონიშვილების გალაშქრება თბილის სხვ; ალექსანდრე ბატონიშვილისა და ომარ-ხანის კავშირი, გენერალ ლაზარევის მიერ მათი გაერთიანებული ლაშქრის დამარცხება 7 ნოემბერს (გვ. 76-77); გიორგი დაარწმუნა, რომ 1783 წლის ტრაქტატი საქმარისი ვერ იქნიოდა ქვეების გარეშე მტრებისაგან დასაცავად და მისი ერთიანობის შესანარჩუნებლად. მკვლევარს მოჰყავს მეფის 1799 წლის 7 სექტემბერს თავისი ელჩებისათვის გაგზავნილი განკარგულების ტექსტი, სადაც იგი უფრო მჭიდრო კავშირის სანაცვლოდ პავლე I-ს მთელ თავის სამეფოს სთავაზობს (გვ. 77). მკვლევარი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რუსი ისტორიკოსები საქართველოს ანგესას, როგორც წესი, ამართლებენ ამ დოკუმენტით, საიდანაც მოჰყავთ სიტყვები: „უმსხვერპლეთ ყოველი სამეფო და სამფლობელო ჩემი [...] დაანებეთ სრულსა ნებასა და მზრუნველობასა მათსა [...]“, მაგრამ აპრილული მიზანმიმართულობით ამასინჯებენ ისტორიულ ფაქტებს, რადგანაც მალავენ წერილის მეორე ნაწილს, სადაც ამ კავშირის უმოავრეს პირობად გიორგი მისი შთამომავლობისთვის ტახტის შენარჩუნების წერილობით გარანტიას ითხოვს. მკვლევარი ხაზს უსკამს იმას, რომ, მკაცრი ცენზურის მიუხედავად, ქართველი ისტორიკოსები ყოველთვის ჯეროვნად აფასებდნენ წერილის ამ ნაწილს (გვ. 113-114).

რუსეთთან კაშტრის ახალი ფორმების ძიებაში 1800 წლის აპრილს გიორგი XII-მ პეტერბურგში გაგზავნა ახალი ელჩობა: გარსევან ჭავჭავაძე, გიორგი ავალიშვილი, რევაზ ფალავანდიშვილი. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ პავლე I-მა 1800 წლის 19 ნოემბერს მოიწონა და საბოლოო შეთანხმებისათვის გიორგის გამოუგზავნა 16 „სათხოვარი პუნქტისაგან“ შემდგარი დიპლომატიური ნოტა, რომლის საფუძველზე ქართლ-კახეთის მეფის თანხმობის შემთხვევაში გამოიცემოდა ორმხრივი საიმპერატორო აქტი. მკვლევარს მოჰყავს ნოტის სრული და ზუსტი იტალიური თარგმანი (გვ. 78-86), მისი კომენტარში (გვ. 87-88) კი საგანგიბოდ აღნიშნავს, რომ რუსეთ-საქართველოს ასაღლი პოლიტიკური კავშირი გიორგი XII-ის აზრით იყო ზუსტად ისეთი, როგორიც მის წინაპრებს სეფიანთა ირანთან პქონდათ, ანუ პატარა სახელმწიფო დიდ სახელმწიფოს უკავშირდებოდა იმ პირობით, რომ ინარჩუნებდა როგორც საკუთარ სამეფო სახლს, ასევე – სრულ საკანონმდებლო ავტონომიას. მკვლევარის აზრით, ანალოგიური იყო ინდოელ რაჯებსა და ბრიტანეთის იმპერიას, 1809-1917 წლებში – ფინეთსა და რუსეთის იმპერიას, ანდა 1815 წლის ვენის კონგრესის გადაწყვეტილებათა თანახმად, პოლონეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის დადებული შეთანხმებანი. ამავე დროს, ექვსთვიანი მოლაპარაკებების შედეგად თავად პავლე I-მაც კარგად უწყოდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფო სახლს იყო სამედი გარნტიას აძლევდა. ამიტომ მოულოდნელი და გაუგებარია მის მიერ 1800 წლის 15 ნოემბერს გენერალ კარლ კნორინგისადმი მიწერილი წერილი (მოტანილია მისი იტალიური თარგმანი, გვ. 88), საიდანაც „თვალნათლივ ჩანს, რომ იმპერატორს განზრახული პქონდა, სამხედრო გზით დაეპყრო ქართლ-კახეთის სამეფო და არ დაეშვა გიორგის

მემკვიდრის გამეფება“, ანუ ქართლ-კახეთი იმპერიის ერთ-ერთ პროვინციად ექცია (გვ. 89). იგივე აზრი მედავნდება გრაფ როსტოკინის მიერ კნორინგისადმი მიწერილ წერილშიც.

მკვლევარი მიუთითებს, რომ შესაძლებელია, პავლე I-მა ეს გადაწყვეტილება ქართლ-კახეთის სამეფოს ბუნებრივი წარისეულის შესახებ ცნობილი მინერალოგის, გრაფ აპოლოს მუსინ-პუშკინის ოპტიმისტური პროგნოზის საფუძველზე, ანდა რუსეთის სამხრეთის საზღვრებზე იმ საფრთხეს გათვალისწინებით მიიღო, რაც შენაგანად აშლილ ქართლ-კახეთს მუსულმანურ სახელმწიფოებთან დაპირისპირების შემთხვევაში ეჭუქრებოდა (გვ. 89-91), თუმცა, ფაქტი ფაქტად რჩება: 1800 წლის 17 დეკემბერს სახელმწიფო საბჭომ გადაწყვიტა ქართლ-კახეთის სამეფოს იმპერიის პროვინციად გადაქცევა, 18 დეკემბერს კი პავლე I-მა ხელი მოაწერა ანექსიის აქტს, რომელიც გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ პეტერბურგში 1801 წლის 18 იანვარს, ტფილისში კი 16-17 თებერვალს გამოქვეყნდა (მოტანილია მისი სრული და ზუსტი იტალიური თარგმანი, გვ. 145-146).

გიორგი XII ვერ მოესწრო თავისი ელჩების ტფილისში დაბრუნებას. მკვლევარი მიმოიხილავს იულონ ბატონიშვილის იმერეთში გაქცევას, პავლე I-ის მკვლელობას და ალექსანდრე I-ის გამეფებას, იმპერატორისადმი დავით გიორგის ძის, დარეჯან დე დოფლისა და ქართველი ელჩების თხოვნას ქართლ-კახეთის მეფის საკოთხის გადაწყვეტის შესახებ (გვ. 92-93): ისინი ერთხმად მოითხოვდნენ ტახტზე ბაგრატიონთა დაბრუნებას, დავითი იწონებდა 16-პუნქტიანი დიპლომატიური ნოტით გათვალისწინებულ პირობებს, დარეჯან დედოფლი კი უმედოდ ესწრაფოდ 1783 წლის ტრაქტატით განსაზღვრული მდგომარეობის აღდგენას. 1801 წლის 11 და 15 აპრილს ალექსანდრე I-ის ინიციატივით მოწვეულმა სახელმწიფო საბჭომ განიხილა ქართლ-კახეთის სამეფოს საკითხი (გვ. 93-95), 22 მაისს ტფილისს მიავლინა კნორინგი, რომელმაც გადააყნა დავითი და ქვეყნის სათავეში ჩააყნა ადგილობრივ რუსეთის კეთილშობილთა საბჭო გენერალ ლაზარევის მეთაურობით. მკვლევარი აღნიშნავს, რომ კნორინგმა პირადი ისტერესების შესაბამისადაც ოსტატურად გამოიყნა 22-დღიანი ვაზიტი იმისათვის, რათა იმპერატორი დაერწმუნებინა ანექსიის აუცილებლობაში და ქართველთა მიერ მის მხარდაჭერაში. ამ სიცრუის სამხილებლად მკვლევარი ახსენებს საქართველოში XIX ს.-ის პირველი ნახევრის ანტირუსულ აჯანყებებს (გვ. 95, 115) და არც ის რჩება მხედველობიდან, რომ ალექსანდრე I-ს თავისმა მრჩევლებმა: ალექსანდრე ვორონცოვმა და ვაქტორ კოჩუებიდ დაწვრილებით დაუსაბუთეს კნორინგის რელაციის სიძუდარე და, მათი აზრით, 1783 წლის ტრაქტატით გათვალისწინებული მდგომარეობის აღდგენის მიზანშეწონილობა. ეს მოსაზრებები მათ უცვლელად გაიმეორეს 1801 წლის 8 აგვისტოს მოწვეულ სახელმწიფო საბჭოს სხდომაზეც, რომელმაც მხარი დაუჭირა მათ მოწინააღმდეგ ვ. ზუბოვს და საბოლოოდ გადაწყვეტა ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია. მიუხედავად ამისა, ალექსანდრე I-მა 13 აგვისტოს მაინც დააყნა ეს საკითხი განსაზილველად საიდუმლო კომიტეტის წინაშე, რომელმაც მხარი დაუჭირა აღ. ვორონცოვსა და ვ. კოჩუებებს, რომელებმაც თავიანთი ადრინდელი პოზიცია დააფიქსირეს, თუმცა, ამჯერად ალექსანდრე I-მა უფყობანოდ გადაჭრა საკითხი ანექსიის სასარგებლოდ (გვ. 97-98) და, იმპერატორად კურთხევის ცერემონიალისათვის მოსკოვში მყოფმა, 1801 წლის 12 სექტემბერს იფიციალურად გამოსცა შესაბამისი მანიფესტი. მკვლევარს მოჰყავს ამ დოკუმენტის იტალიური თარგმანი (გვ. 147-151), მისი კომენტარისას კი საზგანმით აღნიშნავს: მანიფესტი ახსენებს აღა-მაჟმალ-ხანის მიერ ტფილისის იავარყოფის შემდეგ ეკატერინე II-ის მიერ ქართლ-კახეთში გაგზავნილ კორპუსს, მაგრამ სიტყვას არ ძრავს იმაზე, რომ სპარსეთმა ქართული სამეფოს წარტყმევნა სწორედ იმის გამო შეძლო, რომ რუსეთმა არ შეასრულა გეორგიევსკის ტრაქტატით ნაკისრი ვალდებულებანი (გვ. 98). საგულისხმოა ისიც, რომ ქართლ-კახეთისათვის ამ საბედისწერო საკითხის გადაწყვეტის დროს რუსეთში მყოფ ქართველ ელჩებს არათუ არ ჰყითხეს აზრი, არამედ საერთოდ არ ჩააყენეს საქმის კურსში და მათ მანიფესტის შესახებ მხოლოდ არაოფიციალური წყაროებიდან შეიტყვეს (გვ. 99), რის გამოც ვიცე-კანცლერის, ალექსანდრე კურაკინისათვის 1801 წლის 6 ნოემბერს გაგზავნილ ბარათში მათ მთელი სიმბატიოთ გამოხატეს თავიანთი აღმფოთება. მკვლევარს მოჰყავს ამონარიდი გ. ჭავჭავაძის მიერ მეუღლისადმი მიწერილი ბარათიდან, სადაც ნათქვამა, რომ არც ერთი ერთი ისე არ დაუმტკირებით, როგორც – ქართველები (გვ. 100).

მკვლევარი ხაზგასმით და არაორაზროვნად ნათელყოფს, ალექსანდრე I-იდან დაწყებული თუ როგორ სისტემატურად აყალბებდა რუსული და საბჭოთა ოფიციალური ისტორიულ ფაქტებს (ის. გვ. 99, 101), რათა ქართულ სახელ მწიფოზე აშკარა ძალადობა ღეგიტიმურ საფარველში გაეხვა. მართალია, XVI ს.-დან მოყოლებული ქართველი მეფები თანადგომას სიხოვდნენ რუსეთს, მაგრამ არც ერთ მათგანს არ უთქვას უარი ტახტზე და არ უთხოვათ თავისი სამეფოს რუსეთთან შეერთება (გვ. 101-102). მკვლევარი ისენებს, თუ როგორი დიდი სამხედრო ძალით დაიმორჩილა რუსეთმა დასავლეთ საქართველო. ის ფაქტი, რომ XIX ს.-ში ათწლეულების განმავლობაში კაგასია რუსეთის უპირველესი ფრონტის ასპარეზი იყო, ამ რეგიონის ღრმა ანტირუსულ განწყობილებას მოწმოს. კავკასია რუსეთისათვის გადაიქცა „ობილ ციმბირად“, რომლის მშვენიერებით მოიხილნენ აქ გადმოსახლებული რუსი ინტელექტუალები: ალექსანდრე პუშკინი, იულიუს ფონ კლაპროთი და ალექსანდრე პეტერბურგში კავკასიელებს ყველაზე

შორეული ეგზოტიკური აღმოსავლელებივით მშვენიერებად თვლიდნენ (გვ. 103-104); ამან კავკასია და, კერძოდ, საქართველო, XIX ს.-ის რუსული ლიტერატურის შთაგონების უპირველეს წყაროდ აქცია.

თავის მხრივ, ქართველი ინტელიგენცია მოული XIX ს.-ის პირველი ნახევრის განმავლობაში ცდილობდა, შეეფასებინა ქართლ-კახეთის ისტორიული ბედი. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, ერეკლე II-მ აირჩია მცირე ბორიტება, რომელმაც, საბოლოო ჯამში, საქართველოს თვითმყოფადობა გადაარჩინა. სხვა თვალსაზრისის მიხედვით კი საქართველოსათვის რუსეთი ისეთივე მტერი იყო, როგორიც – თურქეთი ან სპარსეთი. ამდენად, 1783 წლის ტრაქტატის დადგინდების ნაცვლად, რამაც ქვეყანა საბოლოოდ ანექსიამდე მიიყვანა, უკეთესი იქნებოდა, ერეკლეს გამუდმებით ეცვალა პოლიტიკური პარტნიორები. მკვლევარი ამ კუთხით აანალიზებს ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“ და ორ ლექსის, რომელიც მას პოვინის ერთგვარ ორ ურთიერთსაწინააღმდეგო ეპილოგად მიაჩნია. პირველი მათგანი – „საფლავი მეფის ირაკლისა“ მხარს უჭერს რუსეთთან საქართველოს კულტურული და არა პოლიტიკური ერთობის იდეას, მეორე – „სუმბული და მწირი“ კი – საქართველოს თვითმყოფადობის შენარჩუნების პოზიციას (გვ. 105-108).

ამ საინტერესო, დოკუმენტირებული და დასავლელი მკითხველისათვის უდავოდ საჭირო ნაშრომის დასასრულს მკვლევარი 1801 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიას მთულევებელი ძალადობის აქტად მიიჩნევს, თუმცა, ამას არა რომელიმე რუსი იმპერატორის ნება-სურვილით ხსნის, არამედ – იმპერიალისტური სულისკვეთებით თვით რუსული სახელმწიფოსი და, საერთოდ, იმდროინდელი საზოგადოებისა, რომლის ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური შეხედულების წარმომადგენლის, დეკაბრისტ პავლე პესტელის აზრითაც კი, დამოუკიდებლობის ღირსი მხოლოდ ის ერთა, რომელსაც მისი შენარჩუნება შეუძლია და, ამდენად, რუსეთი სწორად მოიქცა, როდესაც რეგიონში მშვიდობის დასამყარებლად კავკასიის თავდაცვისუნარიანობას მოკლებული ხალხები დაიმორჩილა (გვ. 108-110). თითებზე ჩამოსათვლელნი იყვნენ საწინააღმდეგო პოზიციაზე მდგარი რუსი ინტელექტუალები. მკვლევარი არაორაზროვნად დასავნის, რომ რუსულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული შეხედულების საწინააღმდეგოდ, გიორგი XII-მ რუსეთთან შეერთება კონკრეტული პირობებით ითხოვა, მაგრამ საქართველოს ბედი რუსეთის დაუოკებელმა იმპერიალისტურმა მისწრაფებამ გადაწყვიტა; მეფე გიორგი მიენდო ერთმორწმუნე სახელმწიფოს, მაგრამ „მშედველობიდან გამორჩა ძლიერი მეზობლის პეგმონისტური მისწრაფები, რომელმაც შემდეგ მთელი სამხრეთ კავკასია დაიპყრო და, ამავე დროს, თავისი ჯარები წარმართა აღმოსავლეთისაკენ, აღმოსავლეთ აზისაკენ, სადაც XIX საუკუნეში გასაოცარ ტერიტორიულ წარმატებებს მიაღწია“ (გვ. 111).

სპეციალური ლიტერატურისა და მოსკოვის, თბილისისა და ვენეციის სახელმწიფო არქევებში დაცული მასალების ანალიზის საფუძველზე ავტორი დამაჯერებლად ასაბუთებს თავიდანვე გაცხადებულ თეზის იმის შესახებ, რომ რუსეთის ხელისუფლებამ განახორციელა ნამდვილი ანექსია, შეძლევ კი „[...] ორგანიზება გაუკეთა ზოგიერთი დოკუმენტის მიერობებულ და ცალმხრივ წარმომაზე დაფუძნებულ პროპაგანდისტულ მონტაჟს, რითაც შეძლო ცნობილი ისტორიკოსების თვალის ახვევა, უფრო ზუსტად კი მათი ავტორიტეტის ამ ვიწრო ოპერაციის სამსახურში ჩაყენება“ (გვ. 12).

ერთი უმნიშვნელო შენიშვნა: ავტორი ქართველების მიმდობლობას რუსეთისადმი მათი გულუბრუვილობით ხსნის (გვ. 26). მართალია, ამ საყითხზე ასეთივე აზრი ჰქონდა ივ. ჯავახიშვილსაც (ის. მისი „დამოკიდებულება რუსეთისა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში“, თბ., 1919, გვ. 52), მაგრამ, კვიქტობ, ასეთი მიღომა პრობლემის გაიოლებული ახსნა უფროა, ვიდრე – სინამდვილე. ჩემი აზრით, მუსულმანურ სახელმწიფოებთან ფიზიკური გადარჩინისათვის მრავალსაუკუნოვანმა ბრძოლამ ქართველებს ერთგვარად დაუკიდებელი პოლიტიკური თვალსაწირი. მათ მცდარად ირწმუნეს, რომ მსოფლიოს ისტორიას წარმართავდა მხოლოდ რელიგიური და არა ეკონომიკური ინტერესებისათვის ბრძოლა. ამიტომ სკეროდათ, რომ რუსეთი მათ უანგაროდ დაეხმარებოდა და აზრადაც არ მოსდიდათ, რომ ამ ქვენის სახელმწიფოებრივ კონცეფციაში, რომელიც სრულიად განსხვავებულ ისტორიულ-პოლიტიკურ კონტექსტში ყალიბდებოდა, საერთო სარწმუნოება არ წარმოადგენდა არც საფუძველს და არც მიზეზს სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შესაკვრელად.

იმ დირსებების გარდა, რომელებზედაც რეცნზიის სხვადასხვა ადგილას უავე გავამახვილე ფურადება, ჩემი აზრით, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს სარცენზიო ნაშრომის სიახლეები. გამოკვლევის უპირველეს მეცნიერულ დირსებად მეჩვენება ის, რომ 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი პირველად არის გაანალიზებული იმდროინდელი საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით. ამ ტრაქტატით, ქარ თველ ისტორიკოსთა ერთი ნაწილის აზრით, ერეკლე II-მ საკუთარი ნებით თქვა უარი სუვერენულობაზე, იტალიელ მეცნიერს კი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში შემოაქვს იმდროინდელი საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი უპირველესი წყარო – ემერ დე ვატელის ზემოთ დასახელებული კლასიკური ნაშრომი და თვალსათლივ ცხადყოფს, რომ ერეკლე II ჩინებულად იყო გარკვეული „ხალხთა სამართალში“ და იგი უფრო შორსმჭვრეტელურად და ბრძულად იყურებოდა წინ, ვიდრე ეს დღეს ზოგიერთ ჩვენგანს წარმოუდგენია.

დიდია ნაშრომის მეცნიერული მნიშვნელობა თვით დასაკლური ისტორიოგრა ფიისათვის. იგი ნათელს პფენს დასავლელ ისტორიკოსთათვის ძნელად ხელმისაწვდომ რუსულ, საერთოდ მიუწვდომელ ქართულ ისტორიულ წყაროებს, სამეცნიერო ლიტერატურას და მიუკერძოებლად, ობიექტურად ააშკარავებს დასავლელი მკითხველის წინაშე სიყალბეს, რომლითაც ჯერ რუსულმა და შემდეგ კი საბჭოთა ისტორიოგრაფიამ წარმოაჩინა საქართველოს ტრაგიკული დასახრული.

დაბოლოს, წიგნის დიდ ღირსებად მიმაჩნია ისიც, რომ იგი სრულიად ახლებურად წარმოგვიჩენს წარსულის ისტორიის გაკვეთილებს და ღრმად გვაფიქრებს ჩვენს აწმყოსა და მომავალზე. ეს მთ უფრო აქტუალურია დღეს, როდესაც საქართველოს თავგანწირულ ძალისხმევას, თავი დააღწიოს რუსეთის ორსაუკუნოვან გავლენას, ასეთი მტრული, ისტერიული გამოხდომებით ზვდება ყოფილი მეტროპოლია.

გაგა შურლაია

საეკლესიო მეცნიერებათა დოქტორი, ვენეციის სახელმწიფო უნივერსიტეტ „პა“ ფოსკარის“ ევრაზიული კულტურების კვლევის კათუდრის მკვლევარი, რომის პაპის აღმოსავლური ინსტიტუტის მოწვეული პროფესორი, ვატიკანის სამოციქულო ბიბლიოთეკის მეცნიერი კონსულტანტი.

რომი, 2006 წლის 23 ოქტომბერი.

ახალი წიგნები

ლიტერატურის თეორია:

XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები

(ავტორთა კოლექტივი)

რედაქტორები: თ. დოიაშვილი, ი. რატიანი

2006

გვ. 262

ეს გამოცემა მე-20 საუკუნის დასავლური ლიტერატურულ-თეორიული სივრცის მიმოხილვის პირველი ცდა ქართულ ლიტერატურათმცოდნებაში. წიგნი საშუალებას მისცემს ლიტერატურისა და ლიტერატურათმცოდნების პრობლემებით დაინტერესებულ ფართო მკითხველს, მშობლიურ, ქართულ ენაზე გაუცნოს მე-20 საუკუნის ლიტერატურის თეორიის მიღწევებს, ეზიაროს სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა დროს ჩამოყალიბებული ლიტერატურულ-თეორიული სკოლების (რუსული ფორმალიზმი, დიალოგური კრიტიკა, პრალის სკოლა, ფსიქოანალიზი, ფეონმენოლოგიური კრიტიკა, ენის სემიოლოგია, ჰერმენევტიკა, ამერიკული „ახალი კრიტიკა“, სტრუქტურალიზმი, პოსტსტრუქტურალიზმი და დეკონსტრუქცია, რეცეფციული ესთეტიკა, ნარატოლოგია, მითოლოგიური კრიტიკა, მარქსისტული კრიტიკა, პოსტმოდერნიზმი, ახალი ისტორიზმი) ძირითად პრინციპებსა და დებულებებს, ათვისოს მათი პირველადი ტერმინოლოგიური აპარატი.

ირმა რატიანი, „ქრონოგრაფი იღრა ჭავჭავაძის პროზაში“

(ხუთი თხზულების ანალიზი)

გამომც.: უნივერსალი

2006

გვ. 183

წიგნი ეთმობა მხატვრული დროისა და სივრცის ზოგადსტრუქტურული თავისებურებებისა და კონკრეტულ თხზულებებში მათი რეალიზების სპეციფიკის კვლევას.

ნაშრომი მიზნად ისახავს, ი. ჭავჭავაძის პროზაული თხზულებების განალიზების საფუძველზე, რეალისტური ლიტერატურისათვის ნაშანდობლივი მხატვრული დრო-სივრცის გლობალური, ე. წ. „მსოფლიო სტანდარტებით“ აღქმის პრინციპისა და ფსიქოლოგიური სუბლიმაციის პროცესის თავისებურებათა წარმოჩნას, ქრონოგრაფის სტრუქტურული არაერთგვაროვნებისა და მისი რეალიზების მოდალური ინვარიანტების გამოვლენას, რეალისტურ ნაწარმოებში კონცენტრირებული მხატვრული დრო-სივრცის აღქმის პრობლემის გააზრებას.

წიგნი განსზღვრულა როგორც ლიტერატურის თეორიის პრობლემებით დაინტერესებული სპეციალისტების, ისე ლიტერატურის პრობლემებითა და ი. ჭავჭავაძის შემოქმედებით დაინტერესებული ფართო მკითხველისათვის. ნაშრომის შედეგები, დებულებები, დასკვნები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ლიტერატურათმცოდნებისა და ლიტერატურის თეორიის ცალკეული კურსების შემუშავებისას.

ზაზა გოგია, „საუკუნეთა გზაგასაყარზე“

(ლიტერატურული ნარკვევები)

გამომც.: ზეკარი

2006

გვ. 221

კრებული ასახავს ბოლო ათწლეულების ქართული კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრების ზოგად სურათს.

ავტორის რეფლექსის საგანია თითოეული თაობის როლის ჩვენება და წარმოჩნა ლიტერატურული ცხოვრების მთლიანი კონტექსტის გათვალისწინებით, რაც ნარკვევების კრებულს ერთ მთლიან კონცეპტუალურ ნაშრომად წარმოვიდგენს და კრიტიკოსის ხედვის მასშტაბს ადასტურებს.

საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე

(ავტორთა კოლექტივი)

რედკოლეგია: ზაზა კვერცხიშვილი, ზურაბ კინაძე, მალხაზ ხარბეგია

გამომც.: არეტე

2005

გვ. 568

ორი ასწლეულის და ორი ათასწლეულის გარიერაუზე ჩნდება აუცილებლობა, რომ საქართველოს ისტორია, კულტურა და საზოგადოებ-რივი ცხოვრება შეფასდეს. ამგვარი კომპლექსური ხასიათის სამეშაო საქართველოში აქამდე არ ჩატარებულა. ავტორთა აღისანის შედეგად მივიღეთ შესანიშნავი კრებული. აქ თავმოყრილია განსხვავებული, ზოგ შემთხვევაში კი ერთმანეთის საწინააღმდეგო თვალსაზრისები. მასში შეკრებილი სტატიები თავიანთი სტილური თუ ინტელექტუალური მრავალფეროვნებით, აზრთა და გრძნობათა ამ დუღილის გამომხატველია. კრებულში შესულია ზურაბ კინაძის, ზაზა შათირიშვილის, ლევან ბერძენიშვილის, ზაზა კვერცხიშვილის, ზურაბ ქარუმიძის, ირაკლი ჩარკვანის, გია ნოდას, სოსო ტაბუცაძის, გაგა ნიურაძის, ზალა ანდრონიკაშვილის და სხვგვის სტატიები. მკითხველი ასევე შეხვდება თარგმნილ ტექსტებსაც (ელიას კანეტი, ფერდინანდ ტონისი). საგულისხმოა ისიც, რომ წიგნს მნიშვნელოვანი პირთა საძიებელი ერთვის.

Geoffrey Galt Harpham, Character Of Criticism

ჯეფრი გოლთ ჰარფამი, „კრიტიკის თვისებურება“

გამომც.: Routledge

2006

გვ. 208

კრიტიკოსების დეტალური და სითბოთი გამსჭვალული პორტრეტების ჩვენებით ჰარფამი კრიტიკულ აზროვნებაში ადამიანის ბუნების როგორ მხარეებს გამოავლენს. იგი ისეთი მოაზროვნების პორტრეტებს გვთავაზობს, როგორებიცაა ელაინ სქერი, მარტა ნუსბაუმი, სლავონ შიუეკი და ედვარდ საიდი. უკანასკნელ თავში წარმოდგენილია თანამედროვე ვითარების ანალიზი, სადაც კრიტიკა ტერორიზმის კონტექსტში განიხილება. ავტორის აზრით, კრიტიკის ბუნება არა მხოლოდ თანამედროვეობის ანალიზს გულისხმობს, არამედ თვით კრიტიკის მიმართ ახლებურ მიღვომას ითვალისწინებს და კრიტიკის მნიშვნელოვან მოთხოვნებს უსახავს.

Catherine Nepomnyashchy, Under the Sky of My Africa: Alexander Pushkin and Blackness

კატარინ ნეპომნიაშჩი, „ჩემი აფრიკის ცის ქვეშ: ალექსანდრ პუშკინი და შავკანიანთა პრობლემა (რუსული ლიტერატურის და თეორიის კვლევა)“

გამომც.: Northwestern University Press

2006

გვ. 520.

ეს არის პირველი წიგნი ინგლისურ ენაზე, სადაც ისეთ სა-კითხებზეა საუბარი, როგორებიცაა: რასობრივი ანალიზი, პოლიტიკა, მუსიკა, მითოპოეტური კრიტიკა, პუშკინმცოდნეობის მაგისტრალური ხაზი... ესეებში, რომლებიც პუშკინის ცხოვრებას და შემოქმედებას, რიგორობით, ბიოგრაფიული, იკონოგრაფიული, კულტურული და სოციოლოგიური კუთხით განიხილავს, საკითხთა ისეთ ვრცელ არეალს მოიცავს, როგორიცაა რასობრივი შეხძელებები პუშკინის ხანაში თუ რასობრივი საკითხი გვანდელ საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა ხანის რუსეთში. საბოლოო ჯამში, წიგნი გვთავაზობს ძირითად მასალას როგორც კონკრეტული თემის, ისე პროვოკაციულ წაკითხვებსა და ინტერპრეტაციებს, რაც რუსულ კულტურაში პუშკინის და რასობრივი საკითხის მომავალ ანალიზზე გავლენას მოახდენს.

Andrew Dalby, Rediscovering Homer: Inside the Origins of the Epic

ანდრიუ დელბი, „ჰომეროსის ხელახალი აღმოჩენა: ეპოსის სათავეების სიღრმეში“

გამომცემელი: W. W. Norton & Company

2006

გვ. 266.

იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რომელშიც ჰომეროსის ეპიკური პოემები იქმნებოდა, დელბი საკმაოდ გაბედულ თეზისს გვთავაზობს: ჰომეროსი ქალი იყო. ამ მტკიცებას ერთგვარი დაბრკოლებაც ახლავს თან. ლინგვისტი და ისტორიკოსი დელბი მშვენივრად გვიამბობს პოეზიის ზეპირიდან წერილობით საფარიზე გადასვლის პროცესზე, მაგრამ მისი თეორია „ილისეს“ და „ილიადას“ ავტორის სქესთან დაკავშირებით სპეციალატურია. გამორჩეულად ძლიერი თავია „ილიადა“ და ისტორია „ძირითადად ითახიმ

ლატაცის „ტროა და პომეროსითაა“ შთაგონებული. თუმცა დელბის მცდელობების მიუხედავად, პომეროსი, როგორც ყოველთვის, მაინც მოუხელთებელი რჩება.

Frances L. Restuccia, Amorous Acts: Lacanian Ethics in Modernism, Film, and Queer Theory
ფრენსის ლ. რესტუჩია, „სასიყვარულო ქმედებები: ლაკანისეული ეთიკა მოდერნიზმის ხანაში, ფილმი და ლატენტურობის თეორია“

გამომცემლობა: Stanford University Press
2006

გვ. 208

წიგნი ფსიქოანალიტიკური თეორიის საშუალებით ურთიერთობების, გამოცდილებების, ხელოვნების, პოლიტიკისა და ადამიანურ ინტერაქციათა მრავალი სახეობის მნიშვნელობას ეხება. მართალია, ლაკანის თეორიის თანახმად, სიყვარული, გარკვეულწილად, ადამიანის „მე“-ს გახლებას უკავშირდება, მაგრამ სიყვარულის ლაკანისეული კონცეფცია აյ პოლიტიკური თვალსაზრისით სასარგებლოდა მიჩნეული. ამ გამოკვლევის თანახმად, ლაკანისეული სიყვარული სამი სხვადასხვა ფორმით წარმოგვიდგება და ცდილობს გამოვლინოს როგორც საფრთხე, ისე მისი კულტურული პოტენციალი. ამ მოსაზრებასთან მისვლამდე, წიგნში ნდომის ლაკანისეული ეთიკის საფუძველზე რამდენიმე თანამედროვე ბრიტანული რომანი (ე. ფორსტერის, ვირჯინია ვულფის, დ. ლორენსის და გრემ გრინის) და ასევე ფილმებია („ტალღების გამობისას“, „მეშვიდე ცა“ და „ზარალი“) გაანალიზებული. ბოლოს წარმოდგენილია კისლიოვსკის ფილმის, „ოეთრის“ ინტერპრეტაცია.

The Death of Artemio Cruz - Carlos Fuentes

Harold Bloom (editor)

„არტემიო კრუზის სიკვდილი – კარლოს ფუენტესი“

რედ.: ჰაროლდ ბლუმი

გამომცემელი: Chelsea House Publications

2006

გვ. 212

ეს წიგნი „ბლუმის თანამედროვე კრიტიკული ინტერპრეტაციების“ სერიიდანაა. წინასიტყვაობა პაროლდ ბლუმს ეკუთვნის და მასში თავმოყრილია ფუენტესის აღიარებული რომანის „არტემიო კრუზის სიკვდილის“ სხვადასხვა ინტერპრეტაცია. წიგნში წარმოდგენილია აგრეთვე ბიბლიოგრაფიული მონაცემები და ა.შ.

Mark Morford, Robert Lenardon, Classical Mythology

მარკ მორფორდი, რობერტ ლენარდონი, „კლასიკური მითოლოგია“

გამომცემლობა: Oxford University Press

2006

გვ. 894

წიგნში წარმოდგენილია ორიგინალური წყაროების საუკეთესო თარგმანები. მასში გაცოცხლებულია ბერძნული და რომაული მითები. ტექსტები ბერძნულიდან და ლათინური წყაროებიდანაა ნათარგმნი (პომეროსი, პესიოდე, პომერული პიმნები, პინდარე, ესქილე, სოფოკლე, ევრიპიდე, პერიდოტე, პლატონი, ლუკანე, ლუკრეციუსი, ვირგილიუსი, ოვიდიუსი და სენეკა). წიგნის ავტორები პოეტური თხრობის პარალელურად საგანმანათლებლო კომენტარებსაც გვთავაზობენ. ამასთანავე, მითების შექმნის ისტორიულ და კულტურულ წინაპირობების რეპროდუქციებით. აგრეთვე მკითხველი უხე მასალას შეხვდება მითოლოგიის გავლენაზე ხელოვნების და ლიტერატურის სფეროებზე; რუკებს, საინტელექტუალური და ა.შ.

Charles E. Bressler, Literary Criticism: An Introduction to Theory and Practice

ჩარლზ ბრესლერი, „ლიტერატურის კრიტიკა: თეორიის და პრაქტიკის შესავალი“

გამომცემლობა: Prentice Hall

2006

გვ. 352

ლიტერატურის თეორიის და კრიტიკის ეს შესავალი, სადაც განხილულია ამ დარგის ისტორიული განვითარება და წარმოდგენილია სხვადასხვა თეორიული სკოლის საფუძვლები, სტუდენტებისთვისაა განსაზღვრული და მათ ინტერპრეტაციის ცნობიერ, ინფორმაციულ არჩევანს გვთავაზობს. მასში მე-20

საუგუნის კრიტიკა ისტორიულ და ფილოსოფიურ კონტექსტშია წარმოდგენილი. წიგნს კრიტიკულ ტერმინთა ლექსიკონი ერთვის.

Левицкий Ю.А., Лингвистика текста

ю. ლევიცკი, „ტექსტის ლინგვისტიკა“

გამომცემლობა: Высшая школа

2006

გვ. 207

წიგნი განხილულია ტექსტის ლინგვისტიკის ჩამოყალიბების სა-კითხები და მისი ძირითადი მიმართულებები, ტექსტის ქმნის პროცესები და მისი ადგილი ტექსტის ტიპოლოგიასა და ენის სისტემაში. ილოლოგის ფაკელტეტის სტუდენტებისა და ასპირანტებისთვის, რომელთა სპეციალობა ენის თეორიაა.

Каллер Дж., Теория лит-ры Краткое введ.

Жонатан ქალერი, „ლიტერატურის თეორიის მოკლე შესავალი“

გამომცემლობა: Астrelъ

2006

გვ. 160

რა არის ლიტერატურის თეორია? რის თუ არა კავშირი ლიტერატურასა და კულტურას შორის? — აი, ამ საკითხების გარკვევას ისახავს მიზნად ჯონათან ქალერის წიგნი. ავტორი ნათლად განგვიმარტავს ენის და მნიშვნელობის ბუნებას და აგრეთვე იმასაც, ლიტერატურე თვითგამოხატვის ფორმაა თუ მკითხველის ყურადღების მიპყრობის საშუალება. აქვე მიმოიხილავს სხვადასხვა სკოლებს: დეკონსტრუქციას, სემიოტიკას, პოსტკოლონიურ თეორიას და სტრუქტურალიზმს. იგი ისეთ საკითხებზე მსჯელობს, როგორიცაა ლიტერატურა და საზოგადოებ-რივი თვითშეგნება, პოეზია, პოეტიკა და რიტორიკა. ერთი სიტყვით, ეს წიგნი ყველასთვის საგულისხმოა, ვინც ლიტერატურის მნიშვნელობით და ამ საკითხის ირგვლივ წამოჭრილი კამათითა დაინტერესებული.

მოამზადა გაგა ლომიძე

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო აუგლიპაციების სტილი

1. ლიტერატურის ინსტიტუტის პერიოდულ გამოცემებში იმეჭდება ნაშრომები, რომელიც მოიცავს თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობისათვის აქტუალურ თემებსა და პრობლემებს, მნიშვნელოვან გამოკვლევათა ჯერ გამოუქვეყნებულ შედეგებს.
2. ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ცალად (ელექტრონული ვერსიით, დისკეტზე – floppy A:) და თან ახლდეს:
 - ❖ თავფურცელი, რომელშიც მითითებული იქნება ავტორის სახელი, გვარი, სტატუსი და საკონტაქტო კოორდინატები;
 - ❖ ანოტაცია ქართულ ენაზე (1 ნაბეჭდი გვერდი).
3. დამოწმებანი (დამოწმებული ლიტერატურის ნუსხა) სტატიას უნდა ერთგოდეს ბოლოში.
4. ნაშრომი მოცულობით უნდა იყოს კომპიუტერზე ნაბეჭდი არა უმეტეს თხუთმეტი და არანაკლებ სუთი გვერდისა.
5. ნაშრომი დაბეჭდილი და გაფორმებული უნდა იყოს A4 ფორმატის თეთრ ქაღალდზე შემდეგნაირად:
 - ა) ნაშრომის სათაური (იწერება შუაში);
 - ბ) ნაშრომის ტექსტი;
 - გ) დამოწმებანი (დამოწმებული ლიტერატურის ნუსხა);
 - დ) ანოტაცია;
 - ე) ოთხივე მხრივ დატოვებული მინდორი 25 მმ;
 - ვ) ნაბეჭდი ტექსტის შრიფტი – Lit.Nusx 11, ინტერვალი – 1;
6. ჟურნალში მიღებულია ეპროპული სტანდარტების შესაბამისად შემუშავებული ციტირებისა და მითითების წესი „ლიტერატურის ინსტიტუტის სტილი“ (ლისტ).
მისი მოთხოვნება:
 - ა) მოტანილი ციტატა ძირითადი ტექსტისგან გამოიყოფა ბრჭყალებით („ „). ციტირების დასასრულს, მრგვალ ფრჩხილებში, დაისმის ინდექსი, რომელშიც აღნიშნულია ციტირებული ტექსტის ავტორის გვარი, ტექსტის გამოქვეყნების წელი, შემდეგ – ორწერტილი და გვერდი. მაგალითად: (აბაშიძე 1970:25). (იხ. დანართში წარმოდგენილი ნიმუში).
 - ბ) სალექსო სტროფის (და არა სტრიქნის) ციტირების შემთხვევაში, მოტანილი ციტატა გამოიყოფა ტექსტისაგან და ციტატის ფონტის (შრიფტის) ზომა მცირდება ერთი ინტერვალით (მაგ.: ოუ ტექსტის ფონტის ზომა Lit.Nusx 11, მაშინ ციტატის ზომა იქნება Lit.Nusx 10).
 - გ) მე-6 პუნქტის მოთხოვნა არ ეხება რებარიკებს „გამოხმაურება, რეცენზია“ და „ახალი წიგნები“, სადაც შრიფტის ზომებია:
 - ❖ ძირითადი ტექსტი Lit.Nusx 10,
 - ❖ განმარტება-შენიშვნები (სქოლითში ჩატანით) – Lit.Nusx 9.
7. დამოწმებანი (დამოწმებული ლიტერატურის ნუსხა) უნდა დალაგდეს ინდექსის მიხედვით, ანბანური რიგით და დაიბეჭდოს გარკვეული წესით (დაწვრილებით იხ. დანართის ცხრილი).
8. ა) სტატიის ავტორის ვრცელი განმარტებანი ინომრება და ინაცვლებს ტექსტის ბოლოს ანოტაციის წინ;
ბ) სტატიის ავტორის მცირე შენიშვნები აღინიშნება ვარსკვლავით და ჩაიტანება გვერდის ბოლოს, სქოლითში.
9. ავტორი პასუხისმგებელია დასაბეჭდად წარმოდგენილი ნაშრომის ლიტერატურულ სტილსა და მართლწერაზე.
10. შემოსული სტატია სარეცენზიოდ გადაეცემა ანონიმურ ექსპერტს.
11. შემოსული მასალების განხილვის შემდეგ, დამატებითი მითითებებისათვის, რედაქცია დაუკავშირდება დასაბეჭდად შერჩეულ ნაშრომთა ავტორებს.
12. ავტორის, განსაზღვრული ვალით (არა უმეტეს სამი დღისა), კორექტურისათვის ეძლევა უკვე დაკაბადონებული ნაშრომი. ოუ დადგენილ ვადაში სტატია არ იქნება დაბრუნებული, რედაქცია უფლებას იტოვებს შეჩეროს იგი ან დაბეჭდოს ავტორის ვიზის გარეშე.

ციტირების, მითითებისა და ბიბლიოგრაფიის ფორმის ნიმუში

ნიმუში:

უნიტის ამოცანაა პრუსტის მხატვრული მანერის თავისებურებათა გამოკვლევა და იმის დასაბუთება, რომ „მეტაფორა და მეტონიმია შეუთავსებელი ანტაგონისტები როდი არიან. ისინი განამტკიცებენ და მსჯვალავენ ურთიერთს, მეორე მათგანის ჯეროვანი შეფასება სულაც არ ნიშნავს მეტონიმიათა ერთგვარი ნუსხის (რომელიც კონკურენციას გაუწევს მეტაფორათა ნუსხას) შედგენას, არამედ – იმის გამოვლენას, თუ როგორ მონაწილეობენ და ფუნქციონირებენ ანალოგის მიმართებათა ფარგლებში „თანაარსებობის“ მიმართებები. ამგვარად, უნდა გამოაშეარავდეს მეტონიმიის როლი მეტაფორაში“ (უნიტი 1998: 37). რატომ შეარჩია უნიტმა ანალიზის საგნად სწორედ პრუსტის შემოქმედება? იმიტომ, აღნიშნავს მეცნიერი, რომ თვით პრუსტის ესთეტიკურ თეორიაში, ისევე, როგორც პრაქტიკაში, მეტაფორულ (ანალოგიაზე დამყარებულ) მიმართებებს ძალზე არსებითი როლი განეკუთვნება, იმდენად არსებითი, რომ მათი მნიშვნელობა და როლი, სხვა სემანტიკურ მიმართებებთან შედარებით, ძალზე გაზვიადებულია.

ცხრილი

მონაცემის ტიპი	დამოუმჯობლი ლიტერატურის ნუსხის (დამოუმჯობარის) ფორმა ინდექსის მიხედვით Bibliography Form
წიგნი, ერთი ავტორი	აბაშიძე 1970: აბაშიძე კ. ეტიუდები XIX ს.-ის ქართული ლიტერატურის შესახებ. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1970.
Book, one authors	გაისი 1962: Weiss, Daniel A. <i>Oedipus in Nottingham: D.H. Lawrence</i> . Seattle: University of Washington Press, 1962.
წიგნი, ორი, ან მეტი ავტორი	ბექელიძე ... 1975: ბექელიძე კ., ბარამიძე ა. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1975. ნათაძე ... 1994: ნათაძე კ., პეტრიაშვილი ვ., ნაკაშიძე ბ. ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან. ქუთაისი: გამომცემლობა „განთიადი“, 1994.
Book, two authors	ჰიუტონი ... 1959: Houghton, Walter E., and G. Robert Strange. <i>Victorian Poetry and Poetics</i> . Cambridge: Harvard University Press, 1959.
ყოველთვიური ჟურნალის ან სხვა ტიპის პერიოდული გამოცემის სტატია	ალექსიძე 1992: ალექსიძე ზ. „ქართველ ებრაელთა“ ხადმრთო მისია საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ოფიციალური ქ. ივერია. ქართულ- ევროპული ინსტიტუტის ჟურნალი, 1, 1992.
Article in a journal or magazine published monthly	სომერი 1988: Sommer, Robert. <i>The Personality of Vegetables: Botanical Metaphors for Human Characteristics</i> . Journal of Personality 56, no. 4 (December) 1988.

წიგნი, ავტორის გარეშე	საბიბლიოთეკო ... 1989: საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაცია და მართვა. ბათუმი: გამომცემლობა „აჭარა“, 1989.
Book, no author given	ცხოვრების ... 1976: <i>New Life Options: The Working Women's Resource Book</i> . New York: McGraw-Hill, 1976.
დაწესებულება, ასოციაცია და მისთანანი, ავტორის პოზიციით	მერიკის ... 1995: ამერიკის ბიბლიოთეკათა ასოციაცია. ორგანიზაციის სახელმძღვანელო ცნობარი და 1995/1996 წლის წევრთა ცნობარი. ჩიკაგო: ამერიკის ბიბლიოთეკათა ასოციაცია, 1995.
Institution, association, or the like, as "author"	ამერიკის ... 1995: American Library Association. <i>ALA Handbook of Organization and 1995/1996 Membership Directory</i> . Chicago: American Library Association, 1995.
რედაქტორი, ან კომპილატორი, ავტორის პოზიციით	დუდუჩავა 1975: დუდუჩავა მ. (რედაქტორი). <i>ლიტერატურის თეორიის მცირე ლექსიკონი</i> . თბ.: გამომცემლობა „ნაკადული“, 1975.
Editor or compiler as "author"	პენდერსონი 1950: Henderson, J.N.D. (editor). <i>The World's Religions</i> . London: Inter-Varsity Fellowship, 1950.
ელექტრონული დოკუმენტი ინტერნეტიდან	მიტჩელი 1995: მიტჩელი, უილიამ ჯ. ბიტების ქალაქი: სივრცე, ადგილი და საინფორმაციო ნაკადი [ონ-ლაინ წიგნი] (ექმბრიჯი: გამომც.: MIT Press, 1995, განთავსებულია 29 სექტემბრიდან, 1995); მის.: http://www-mitpress.mit.edu:80/City_of_Bits/Pulling_Glass/index.html ; Internet.
Electronic document: From Internet	მიტჩელი 1995: Mitchell, William J. <i>City of Bits: Space, Place, and the Infobahn</i> [book on-line]. Cambridge, MA: MIT Press, 1995, accessed 29 September 1995; available from http://www-mitpress.mit.edu:80/City_of_Bits/Pulling_Glass/index.html ; Internet.
ენციკლოპედია, ლექსიკონი Encyclopedia, Dictionary	ენციკლოპედია, ლექსიკონი 1961: ენციკლოპედია საუნივერსიტეტო ლექსიკონი. სპრინგფილდი: MA: G. и C. Merriam, 1961 ენციკლოპედია 1961: Webster's New Collegiate Dictionary. Springfield: MA: G. & C. Merriam, 1961.
ინტერვიუ (გამოუქვეყნებელი) საავტორო ხელნაწერი	მორგანისი 1996: მორგანისი, ნენსი დ. ინტერვიუ ავტორთან, 16 ივლისი 1996, ფოლ რივერა, მასაჩუსეტსი, ჩანაწერი
Interview (unpublished) by writer of paper	მორგანისი 1996: Morganis, Nancy D. <i>Interview by author</i> , 16 July 1996, Fall River, MA. Tape recording.
საგაზიონო სტატია Newspaper article	ნიუ იორკ ტაიმსი 1990: „მარიოტის კორპორაციის პროფილი“, გაზ. ნიუ იორკ ტაიმსი, 21 იანვარი 1990, ჩან. III, გვ. 5. ნიუ იორკ ტაიმსი 1990: "Profile of Marriott Corp." <i>New York Times</i> , 21 January 1990, sec. III, p. 5.
ერველგვირეული ჟურნალის სტატია	ნაითი 1990: ნაითი რ. პოლონენის შინაომნები. ქ. აშშ-ის სიახლენი და მსოფლიოს ცნობები, 10-17 სექტემბერი, 1990.
Article in a magazine publis	ნაითი 1990: Knight R. <i>Poland's Feud in the Family</i> . U.S. News and World Report, 10-17 September, 1990.

hed weekly (or of general interest)	
თეზისები, ან სადისერტაციო ნაშრომის დასკვნები (დებულებები)	ფილიპსი 1962: ფილიპსი, ო. ოვიდიუსის ზეგავლენა ლუკანის ზეგურ სახოგადოებაზე. სადოქტორო დისერტაცია, ჩიკაგოს უნივერსიტეტი, 1962.
Thesis or dissertation	ფილიპსი 1962: Phillips, O. <i>The Influence of Ovid on Lucan's Bellum Civile</i> . Ph.D. diss., University of Chicago, 1962.

* ერთსა და იმავე წელს გამოცემული რამდენიმე ნაშრომი (ცალკე ან თანაავტორობით) ან ერთი და იგივე ნაშრომი (გაგრძელებებით) რამდენიმე ნომერში მიეთითება ანბანური რიგით.
მაგალითად: (აბაშიძე 1987ა: 21), (აბაშიძე 1987ბ: 87).